

5

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



675
1965/2

675
2

მეცნე

2

1965

45



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

გეგნე

საქართველოს სსრ
 მეცნიერებათა აკადემიის
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა
 განყოფილების
 ორგანო

*

МАЦНЕ
 (ВЕСТНИК)
 ОРГАН

ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК
 АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

2

23

9863

ცამოცემლობა „მეცნიერება“
 Издательство „Мецниереба“
 თბილისი — 1965 — Тбилиси



სარედქციო კოლეგია

ბ. ბერძენიშვილი, ა. ბოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი,
ი. დოლიძე, გ. ლეონიძე, ვ. ფანჩვიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი),
ვ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Бердзенишвили Н. А., Бочоришвили А. Т. (главный редактор), Гугушвили П. Б.,
Долидзе И. С., Кватадзе Э. Г. (ответственный секретарь), Леонидзе Г. Н.,
Панчвидзе В. Н., Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В., Церетели С. Б.,

ვ. ი. ლენინი—კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი

(ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავის გამო)

კლ. სიყარაშვილი

22 აპრილს შესრულდა 95 წელი კომუნისტური პარტიისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და ყველა მშრომელთა საყვარელი მასწავლებლის გენიალური ლენინის დაბადებიდან.

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთ მდიდარსა და მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ეს პერიოდი დიდმნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ კაპიტალიზმი იმპერიალიზმის სტადიაში შევიდა და მეფის რუსეთი იმპერიალიზმის ჭაჭვის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ რგოლად გადაიქცა, არამედ იმიტომ, რომ ამ პერიოდში მოხდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში რევოლუციური მოძრაობის ცენტრის გადმონაცვლება.

ახალი ეპოქა დღის წესრიგში აყენებდა მარქსიზმის შემოქმედებითად განვითარების, მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ახლებურად ხელმძღვანელობის ამოცანას. ეს ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც ახალ ისტორიულ პირობებში განავითარა მარქსიზმის სამივე შემადგენელი ნაწილი: ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმის თეორია. გაამდიდრა იგი ახალი იდეებით და აიყვანა უმაღლეს საფეხურზე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის არენაზე გენიალური ლენინის გამოსვლა უდიდესი მოვლენა იყო რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარების ისტორიაში, მარქსიზმის შეუბღალავად დაცვისა და შემოქმედებითად განვითარების ისტორიაში, მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთებისა და ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის ტიტანური ბრძოლების ისტორიაში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასისა და გლეხობის მოძრაობას, რითაც დაიწყო მეფის რუსეთის პროლეტარიატის მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდად გადაქცევისათვის გმირული ბრძოლების ეპოქა. ეს იყო ახალი პერიოდი რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარების ისტორიაში. „მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგს დაიწყო,—წერდა ვ. ი. ლენინი,—მისი (მუშათა კლასის—ვ. ს.) გამოღვიძება, და ამასთან ერთად დაიწყო რუსეთის მთელი დემოკრატიის ისტორიის ახალი და ყველაზე სახელოვანი პერიოდი“¹.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 161.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვ. ი. ლენინმა შეუპოვარი იდეური ბრძოლა გააჩაღა რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნისმის წინააღმდეგ, მოახდინა ნაროდნიკული მსოფლმხედველობის იდეური განადგურება და უზრუნველყო მარქსიზმის გამარჯვება რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ვ. ი. ლენინის პრინციპულმა იდეურმა ბრძოლამ ნაროდნიკობის, „ლეგალური მარქსიზმის“, „ეკონომისმის“ და საერთაშორისო ოპორტუნისმის წინააღმდეგ ბრწყინვალე როლი შეასრულა სოციალიზმთან რუსეთის მუშათა მოძრაობის შეერთების ისტორიაში.

70 წლის წინათ 1895 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინმა შექმნა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც წარმოადგენდა მუშათა მოძრაობაზე დაყრდნობილ, ახალი ტიპის პარტიის პირველ სერიოზულ ჩანასახს. „ბრძოლის კავშირმა“ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის განვითარების ისტორიაში პირველად დაიწყო მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალიზმთან.

„ბრძოლის კავშირის“ დარბევისა და ვ. ი. ლენინის დაპატიმრებისა და გადასახლების შემდეგ, განსაკუთრებით გააქტიურდნენ „ეკონომისტები“, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ რუსეთის პროლეტარიატი რევოლუციური ბრძოლის გზიდან და გადაეყვანათ იგი რეფორმისტულ გზაზე. „ეკონომისტებს“ სურდათ შეექმნათ II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიების მსგავსი პარტია, რომელიც, მათი აზრით, დაუყოვნებლივ II ყრილობის შეკრებით უნდა მომხდარიყო. გადასახლებიდან დაბრუნებულმა ვ. ი. ლენინმა დაგმო „ეკონომისტების“ თვალსაზრისი და გადაჭრით მოითხოვა პროლეტარული პარტიის შექმნისათვის. მისი მიზნებისა და ამოცანების ყოველმხრივი შესწავლა, რათა გარკვეულიყო რუსეთის პროლეტარიატი იმაში, თუ როგორი პარტია ესაჭიროებოდა მას ისტორიის მიერ წამოყენებული დიადი ამოცანების რევოლუციურად გადაწყვეტისათვის. „ლეგალურ მარქსისტებთან“, „ეკონომისტებთან“, ბუნდულებთან და მათ თანამოაზრეებთან იდეურ ბრძოლებში ვ. ი. ლენინი გადაჭრით მოითხოვდა რუსეთის პროლეტარიატისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ოპორტუნისტული გავლენისაგან განთავისუფლებას და ახალი რევოლუციური პარტიის შექმნისათვის მეცნიერულ მუშაობას.

რუსეთში ახალი ტიპის პარტია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით იქმნებოდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გარდატეხის პერიოდში, რევოლუციური მოძრაობის ცენტრის დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმონაცვლების პერიოდში, იმპერიალიზმის ეპოქაში, განვითარებული რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის საბრძოლო არენაზე გამოსვლის პირობებში, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდებოდა სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის დასავლეთ ევროპის II ინტერნაციონალის პარტიების ჩამოყალიბების პირობებისაგან.

ახალმა პერიოდმა მოითხოვა მთელი პარტიული მუშაობის ახლებურად, რევოლუციურად გარდაქმნა, პროლეტარიატის აღზრდა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის სულსისკვეთებით. ისტორიამ დღის წესრიგში დააყენა II ინტერნაციონალის პარტიების პრინციპულად საწინააღმდეგო, ახალი ტიპის პარტიის შექმნა, რომელიც შესძლებდა პროლეტარიატის და მისი მოკავშირე გლეხობის წაყვანას არა მარტო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებისათვის ბრძოლის გზაზე, არამედ სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის შემოქმედებითი შრომის გზაზეც.

მართალია, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა „კომუნისტთა კავშირის“ წესდებაში, „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, „გოთას პროგრამის კრიტიკაში“, „ერფურტის პროგრამის კრიტიკაში“ და სხვა შრომებში მოგვცეს გენიალური მონახაზები კომუნისტური პარტიის შესახებ, მაგრამ, ჯერ ერთი, იმ პერიოდში პრაქტიკულად არ იდგა დღის წესრიგში მასობრივი კომუნისტური პარტიის შექმნის საკითხი, რის გამოც ცხოვრება არ მოითხოვდა პროლეტარულ პარტიაზე დასრულებული მოძღვრების შემუშავებას, მეორეც, კომუნისტურ პარტიაზე მარქსისტული მონახაზები დაამახინჯეს II ინტერნაციონალის ოპორტუნისტმა ლიდერებმა. ამიტომ ვ. ი. ლენინს წილად ხვდა კომუნისტურ პარტიაზე მარქსისტული მონახაზების არა მარტო აღდგენა, არამედ ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად მისი შემოქმედებითად განვითარება, ახალი დებულებებით და დასკვნებით გამდიდრება და ახალი ტიპის პარტიაზე მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად მწყობრი რევოლუციური მოძღვრების მეცნიერულად შემუშავება, როგორც პროლეტარიატის ორგანიზაციის უმაღლეს ფორმაზე.

ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის პირველ მთავარ რგოლად თვლიდა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსებას, რომლის ხელის ჩაქიდებით ამოწეული იქნებოდა მთელი ჯაჭვი, ყველა რგოლი, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისმის იდეური განადგურებისა და სოციალური რევოლუციის პარტიის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე. 1900 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გამოვიდა გაზეთი „ისკრა“. იგი გახდა არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა პროლეტარული პარტიის შექმნისათვის იდეური ბრძოლის ისტორიაში.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ გადასახლებაში ყოფნის დროს შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის აგების გეგმა, რომელშიც მეცნიერულად განსაზღვრა, რომ ახალი ტიპის პარტია უნდა შედგენილიყო ორი ნაწილისაგან, ხელმძღვანელი კადრის, თეორიულად მომზადებულ პროფესიონალ რევოლუციონერთა ვიწრო წრისაგან და პერიფერიული პარტიული ფართო მასებისაგან. გაზეთმა „ისკრამ“ ვ. ი. ლენინის მეთაურობით ფესვებამდე გააშიშვლა „ლეგალური მარქსიზმის“, „ეკონომიზმის“, ბუნდულების და მათი საზღვარგარეთელი მასწავლებლების ოპორტუნისტული ბურჟუაზიული ბუნება. ვ. ი. ლენინმა გაზეთ „ისკრას“, ეურნალ „ზარისა“ ფურცლებზე, და განსაკუთრებით თავის კლასიკურ შრომაში „რა ვაკეთოთ?“ არა მარტო დაიცვა მარქსიზმი და იდეურად დაძლია რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნისმი, არამედ გაამდიდრა მარქსისტული მოძღვრება ახალ პირობებში და გენიალურად შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები. ლენინურმა „ისკრამ“, ლენინის კლასიკურმა შრომებმა და იდეურ-პოლიტიკურმა ბრძოლებმა განხაპირობეს არა მარტო „ეკონომიზმის“ და მისი თანამოაზრე ყველა სასის ოპორტუნისტული მიმდინარეობის იდეურად დაძლევა და რუსეთში მუშათა მოძრაობის სოციალიზმთან შეერთება, არამედ ყველა პირობის მომზადება ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის. ვ. ი. ლენინმა საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის ისტორიაში პირველად შეიმუშავა პროლეტარული პარტიის საბრძოლო მოქმედების პროგრამა...

რსდმპ II ყრილობაზე 1903 წლის ზაფხულში გადაწყდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის პოლიტიკური ამოცანა. პარტიის II ყრილობაზე ისტორიამ საკითხი პირდაპირ დააყენა — რა გზით უნდა წასულიყო რუსეთის პროლეტარიატის მოძრაობა? წავიდოდა იგი ზარქისტულ-ლენინური მოძღვრებით ნაჩვენები რევოლუციური ბრძოლის გზით, თუ ის დაეშვებოდა ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი ღამორჩილებისაკენ. ცარიზმთან და ბურჟუაზიასთან რეფორმისტული შეგუებისაკენ, როგორც ამას მოითხოვდნენ „ეკონომისტები“ და მათი მემკვიდრე—მენშევიკები. ლენინელთა წინააღმდეგ ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ვ. ი. ლენინმა მინც მოახერხა მტკიცე ისკრელთა თავის ვარშემო დაზარზვა, ოპორტუნისტთა წინააღმდეგობის იდეური დაძლევა და ახალი ტიპის პარტიის, ბოლშევიკების პარტიის შექმნა. რსდმპ II ყრილობაზე გამარჯვა მარქსიზმ-ლენინიზმის დიადმა იდეებმა და ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით პირველად შეიქმნა პროლეტარული მოძრაობის განვითარების ისტორიაში პირველი რევოლუციური პარტია—ბოლშევიკურ პარტია, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიებისაგან. ეს იყო არა მარტო „ეკონომიზმზე“ და მენშევიზმზე გამარჯვება, არამედ საერთაშორისო ოპორტუნისტზე გამარჯვებაც.

ვ. ი. ლენინის მიერ ახალი ტიპის პარტიის შექმნით დაიწყო ახალი პერიოდი არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის განვითარების ისტორიაში. ვ. ი. ლენინმა კომუნისტური პარტია შეაიარაღა თეორიულად, შეაკავშირა ორგანიზაციულად, განამტკიცა და გამობრძმედა პოლიტიკურად, გადააქცია მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებულ, დისციპლინირებულ უძლეველ ძალად, პროლეტარული ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად, მშრომელთა მილიონიანი მასების მორგანიზებელ, წარმმართველ, უბადლო ხელმძღვანელობის უნარიან ძალად.

მშობლიური კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1905—1907 წლების რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და 1907—1910 წლების რაქეციის პერიოდში, მუშათა კლასისა და მისი კლასობრივი მოკავშირე გლეხობის შეტევისა და უკან დახევის ურთულეს პირობებში მოწოდების სიმადლეზე აღმოჩნდა, იდეურად ძლედა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებს, სწორად და ორგანიზებულად წარმართავდა მშრომელთა მილიონიანი მასების ბრძოლას ცარიზმზე გამარჯვებისათვის, რათა გაწმენდილიყო გზა სოციალისტური რევოლუციისათვის, სოციალიზმისათვის.

რაქეციის პერიოდში, თეთრი ტერორის მძვინვარების მიუხედავად, კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის წინამძღოლობით ლეგალური და არალეგალური მუშაობის ოსტატურად გამოყენებით შეძლო მებრძოლი ძალების არა მარტო შენარჩუნება, არამედ ორგანიზაციულად შემკვიდროება და პოლიტიკურად გამტკიცება. ვ. ი. ლენინმა გენიალურად შეიმუშავა ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული, ტაქტიკური და თეორიული საფუძვლები, იდეურად დაძლია რუსეთისა და საერთაშორისო ოპორტუნისტები, მიღწია მენშევიკებთან საბოლოო გათიშვას და სოციალისტური რევოლუციის პარტიის სრულ დამოუკიდებლობას 1912 წლიდან. მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში (1910—1914 წწ.) კომუნისტური პარტია იტაქვეშეთიდან გამოვიდა

სიცოცხლისუნარიანი და გამობრძმედილი, რომელიც მარჯვედ ჩაუდგა სათავეში მუშათა კლასისა და გლეხობის მოძრაობას ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემულებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პირველმა მსოფლიო ომმა საქვეყნოდ ცხადყო II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების ბელადების აშკარად გადასვლა იმპერიალიზმის მხარეზე. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მხოლოდ კომუნისტური პარტია აღმოჩნდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და ყველა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების ერთგული. მან გამოამჟღავნა მსოფლიო ომის ყაჩაღური იმპერიალისტური ხასიათი და საქვეყნოდ ამხილა მენშევიკების, ესერებისა და მათი საზღვარგარეთელი მასწავლებლების—II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული პარტიების, მოღალატური სახე. ბოლშევიკების პარტიამ იმპერიალიზმს სასიკვდილო განაჩენი წაუყენა და გადაჭრით მოითხოვა იმპერიალისტური ომის საშეწყობელი ომად გადაქცევა.

მარქსიზმის შეუბღალავად დაცვისა და შემოქმედებითად განვითარების საფუძველზე, მარქსისტულ ლიტერატურაში ვ. ი. ლენინმა პირველმა გააკეთა იმპერიალიზმის ღრმა მეცნიერული ანალიზი თავის კლასიკურ ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, რომელიც 1916 წელს დაწერა. ვ. ი. ლენინმა ამ ნაშრომში გენიალურად განსაზღვრა, რომ „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიაა“, „მომაკვდავი კაპიტალიზმია“. „სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ“.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში უსაზღვროდ იზრდება მშრომელთა მილიონიანი მასების ჩაგვრა, ექსპლოატაცია, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯა, ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის აბსოლუტური და შედარებითი გადატაკება, რომლებიც აღრმავებენ და აწვეავენ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, დღის წესრიგში აყენებენ რევოლუციური აფეთქების საკითხს მეტროპოლიებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გამწვავება შრომასა და კაპიტალს შორის, კოლონიებსა და მეტროპოლიებს შორის და სხვადასხვა ქვეყნების მონოპოლისტურ ფინანსურ ჯგუფებს შორის მსოფლიოში პირველობისათვის ასუსტებს და არყევს კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს, ამზადებს ობიექტურად პირობებს რევოლუციისათვის, პროლეტარიატს აყენებს რევოლუციის გზაზე, აჩქარებს პროლეტარულ რევოლუციას.

მარქსისტული მოძღვრების შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია. მან თავის კლასიკურ ნაშრომებში: „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“, „სოციალ-დემოკრატიის სამხედრო პროგრამა“ და „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“—იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გააკეთა გენიალური დასკვნა იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური უთანაბრო ნახტომისებური განვითარების გამო შესაძლებელია იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევა მის ერთ-ერთ ყველაზე

სუსტ რგოლში, რომ ასეთ პირობებში შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ ცალკე აღებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, კერძოდ, ისეთ ქვეყანაში, როგორც რუსეთი იყო. ვ. ი. ლენინმა კაცობრიობის ისტორიის განვითარების ახალ პირობებში საბრძოლო-სამოქმედო გზა უჩვენა ყველა ქვეყნის პროლეტარებს ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევისათვის, ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

მეფის რუსეთი, როგორც იმპერიალიზმის ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი მთავარი რგოლი და იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების საკვანძო პუნქტი, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევისათვის ყველაზე სუსტი რგოლი აღმოჩნდა, რომელიც პროლეტარული რევოლუციის გენიამ დიდმა ლენინმა დროულად და ოსტატურად გამოიყენა ცარიზმისა და მემამულეთა კლასის ბატონობის დამხობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლაში.

კომუნისტურმა პარტიამ, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიით შეიარაღებულმა, დარაზმა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასი—რუსეთის პროლეტარიატი და მისი მოკავშირე გლეხობა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის, ცარიზმისა და მემამულეთა ბატონობის დამხობისათვის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის, მეფის რუსეთში მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტისათვის.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ვ. ი. ლენინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების პეტერბურგში არ ყოფნისა და მენშევიკებისა და ესერების მიერ ანტიხალხური მოღალატური პოლიტიკის გატარების გამო, ომის საშინელებით, სიმშლითა და სიღატაკით გაწამებული მშრომელთა მასები, რევოლუციის გამარჯვებით გაბრუნებულნი, წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ, რამაც განაპირობა ცარიზმის დამხობის შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გვერდით ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შექმნა.

შექმნილმა ვითარებამ ორძალაუფლებიანობის რთულ პირობებში ვ. ი. ლენინისა და კომუნისტური პარტიის წინაშე დღის წესრიგში ახალი საბრძოლო ამოცანა დააყენა: გაეთავისუფლებინათ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მილიონიანი მასები ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა და მენშევიკურ-ესერული პარტიების თვალთმაქცური მოღალატური გავლენისაგან და მოეხდინათ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდა. ამ ისტორიულ ამოცანას ისახავდა ვ. ი. ლენინის „აპრილის თეზისები“. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ სისტემატური ახსნა-განმარტებით მიგვეზიდა მშრომელი მასები საბჭოებში, გაგვეზარდა საბჭოების ავტორიტეტი ხალხთა ფართო მასების თვალში, მოგვეპოვებინა უმრავლესობა საბჭოებში და მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლათ შეგვეცავლა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკა საბჭოების ხალხური პოლიტიკით. ეს იყო რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების გეზი.

მაგრამ 3—5 ივლისს მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ, როდესაც მენშევიკური და ესერული საბჭოები დროებით ბურჟუაზიული მთავრობის დამატებად გადაიქცნენ, რევოლუციის მშვიდობიანი გადაზრდის საკითხი მოიხსნა და დღის წესრიგში დადგა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი. პარტიის VI ყრილობამ, რომელიც 1917 წლის ზაფხულში შედგა, მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ისტორიული გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის შესახებ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი გამარჯვება განაპირობა იმან, რომ კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მოწოდების სიმამლუზე აღმოჩნდა, რომელმაც მძლავრ რევოლუციურ ნაკადად ვაერითიანა ხალხთა საერთო-დემოკრატიული ბრძოლა ზავისათვის, ომის შეწყვეტისათვის, მემამულეთა ბატონობის ლიკვიდაციისათვის, ეროვნული თავისუფლებისათვის, სოციალისტური რევოლუციისათვის, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

დიდი ლენინის ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიის პრინციპულმა ბრძოლამ მშრომელთა ყველა მტრის წინააღმდეგ, მისმა ტიტანურ-რევოლუციურმა მუშაობამ მუშათა კლასში და გლეხობაში, ჯარისკაცებში და საბჭოებში, გამარჯვებით დააგვირგვინა ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყება. რუსეთის პროლეტარიატმა გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის კლასიკურ განხორციელებას წარმოადგენდა.



სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მრისხანე დღეებში ლენინური მოძღვრების საფუძველზე შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში პირველი საბჭოთა მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ ყრილობამ ვ. ი. ლენინი აირჩია. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დაიცვა და შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული თეორია სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. 1905—1907 წლების რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების დროს წარმოშობილი საბჭოების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შექმნა დასრულებული მოძღვრება ახალი ტიპის სახელმწიფოზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, როგორც პროლეტარული რევოლუციისა და ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის ბატონობის იარაღზე, საბჭოთა ხელისუფლებაზე, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმაზე. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა სავალდებულოა ყველა ქვეყანაში, როგორც ბურჟუაზიული დიქტატურის უარყოფა, მაგრამ მისი სახელმწიფოებრივი ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროს კონკრეტული ისტორიული პირობების შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა იყოს. ვ. ი. ლენინის გენიალური განსაზღვრა ცხოვრებამ გაამართლა. მეორე მსოფლიო

ომის შემდეგ წარმოიშვა პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა—სახალხო დემოკრატია.

ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი წყობილების ნამსხვრევებზე შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება. საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოებრივი წყობილების პოლიტიკურ საფუძველს. კომუნისტური პარტიის განუყოფელი ხელმძღვანელობის პირობებში საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობა ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული მუშებისა და გლეხების კლასობრივ კავშირსა და მეგობრობას.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი უძლეველობა და სიცოცხლისუნარიანობა ნათელყო ჯერ კიდევ 1918—1920 წლებში, როცა გმირმა საბჭოთა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციაზე და შინაურ კონტრრევოლუციაზე.

მარქსისტულ-ლენინური უკვდავი მოძღვრების საფუძველზე კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელმაც მშრომელ ხალხს მიანიჭა უნარისა და ნიჭის განვითარებისა და გაფურჩქვნის განუსაზღვრელი თავისუფლება. საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებამ საფუძვლიანად შეცვალა ხალხთა დამოკიდებულება შრომისადმი, იძულებითი შრომის ადგილი თავისუფალმა შრომამ დაიკავა. ისტორიის შემოქმედმა მშრომელმა ხალხმა პირველად დაიწყო მუშაობა თავისთვის, თავისი საზოგადოებისათვის.

ამიერიდან საჭირო იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ქარიშხალში და სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში გამარჯვებულ გმირ ხალხს და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას საქვეყნოდ დაემტკიცებინათ, რომ ნათ შეუძლიათ არა მარტო ძველის ნგრევა, არამედ ახლის აშენება—სოციალიზმის აშენება. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალიზმის მშენებლობის მეცნიერული კონკრეტული გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედვა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

1922 წელს შეიქმნა სსრ კავშირი და საბჭოთა ქვეყანა გადაიქცა სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელიც გარდამქმნელ გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე მშრომელთა სასარგებლოდ. ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა სახელმწიფომ სწორად წარმართა მშრომელი ხალხის შემოქმედებითი ძალები სახალხო მეურნეობის აღსადგენად; გმირმა საბჭოთა ხალხმა მიუხედავად გაუგონარი სიძნეელებისა, კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტების წინააღმდეგობისა, მაინც მოახდინა მოკლე დროში სახალხო მეურნეობის აღდგენა.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური მოძღვრების განხორციელებისათვის ბრძოლებში მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ იდეურად გაანადგურა ლენინიზმის მტრები და უზრუნველყო საბჭოთა გმირი ხალხის შემოქმედებითი შრომის გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური გეგმის გამარჯვების საფუძველზე შეიქმნა სოციალიზმისათვის მტკიცე ეკონომიური საფუძველი—პირველხარისისოვანი მძიმე ინდუსტრია და მექანიზებული საკოლმეურნეო მიწათმოქმედება. მოისპოა უმუშევრო-

ბა და ადამიანის ადამიანზე ექსპლოატაცია, საფუძვლიანად გაუმჯობესდა ხალხთა მატერიალური და კულტურული ცხოვრება.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ხალხური პოლიტიკის საქვეყნო დემონსტრაციას წარმოადგენდა სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღება 1936 წელს, სოციალიზმის კონსტიტუციის მიღებამ ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზაციის განვითარების ისტორიაში. მან საქვეყნოდ ნათელყო სოციალისტური დემოკრატიის ხალხურობა და ყოველმხრივი უპირატესობა ყველა სახისა და ფორმის დემოკრატიაზე კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებით მოსპო ერთა შორის უთანასწორობა, განმტკიცდა სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ერთიანობა—ხალხთა მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელიც სოციალისტური წყობილების მძლავრ მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, სადაც ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები შესაბამება საზოგადოების განვითარების ინტერესებს.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი ძალა და ძლიერება და ხალხისადმი ხელმძღვანელობის სიბრძნე საყოველთაოდ ნათელყო დიდი სამამულო ომის პერიოდში, როდესაც საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩაშალეს ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების ყველა ვარაუდი და უზრუნველყვეს მათი განადგურება. დიდ სამამულო ომში საბჭოთა სახელმწიფოებრივმა და საზოგადოებრივმა წყობილებამ, საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გერმანიის ფაშიზმზე და იაპონიის იმპერიალიზმზე გამარჯვებით მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყვეს თავისი სიცოცხლისუნარიანობა და ძლევა მოსილება.

სსრ კავშირის დახმარებით ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში მშრომელმა ხალხმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა და შექმნეს პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა—სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკები, სადაც მშრომელები, თავიანთი ცხოვრების ბატონ-პატრონი, წარმატებით აშენებენ სოციალიზმს.

ახლა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა—სსრ კავშირი ერთადერთ ქვეყანას კი აღარ წარმოადგენს კაპიტალისტური სამყაროს ოკეანეში. არამედ სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა, სადაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მესამედზე მეტმა სამუდამოდ დააღწია თავი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის უღელს და მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძვის ახალი საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს უშუალო ხელმძღვანელობით საბჭოთა გმირმა ხალხმა ააშენა სოციალიზმი და წარმატებით აშენებს სრულ კომუნისტურ საზოგადოებას.

ამასთან სსრ კავშირში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენებამ და სოციალიზმიდან თანდათანობით კომუნიზმში გადასვლის ძლევამოსილმა პროცესმა განაპირობა სოციალისტური სახელმწიფოს საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესი. „სახელმწიფო, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — რომელიც წარმოიშვა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ“².

დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო იმაშია, რომ მათ გაუძღვლეს ისტორიულ გამოცდას და საქვეყნოდ დაამტკიცეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა, მაორგანიზებელი, წარმმართველი და გარდამქმნელი როლი საბჭოთა გმირი ხალხის ხელმძღვანელობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა სახის შტრების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში და სოციალიზმის აშენებისათვის შემოქმედებით შრომაში, არამედ იმაშიც, რომ ახალი ტიპის პარტიაზე და სოციალისტურ სახელმწიფოზე ლენინური უკვდავი მოძღვრება უბადლო სახელმძღვანელო იდეური იარაღია მოქმე კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ტიტანურ პრინციპულ ბრძოლაში.

მარქსისტულ-ლენინური უკვდავი მოძღვრების საფუძველზე სოციალიზმი მძლავრ სოციალისტურ სისტემად გადაიქცა, რომლის მოსახლეობა ერთ მილიარდს აღემატება და ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 35,6%-ს შეადგენს. მარქსისტულ-ლენინური პარტიები მსოფლიოს 90 ქვეყანაში არსებობს, იგი თავის რიგებში აერთიანებს 45 მილიონიან არმიას, რომელიც წინ მიუძღვის მშრომელ ხალხს, პროგრესულ კაცობრიობას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის პარტიის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული სსრ კავშირის მრავალეროვანი კომუნიზმის მშენებელი გმირი ხალხი დიდი ლენინის დაბადების 95 წლისთავს აღნიშნავს ახალი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ვითარებაში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების გაძლიერებისა და განმტკიცების ვითარებაში, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების, კოლონიალური სისტემის რღვევის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვებისათვის ახალ-ახალი ძალების შემოკრებისა და დარაზმების პირობებში.

² სკკპ პროგრამა, 1961, გვ. III.

სპინოზას შეხედობის თეორიის ზოგიაკთი საკითხი

დ. ლანელი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინსტიტუტმა)

რაციონალიზმი, როგორც გონების როლის განდიდება, როგორც ღვთაებრივი გამოცხადებისათვის ადამიანის ინტელექტის ძლიერების დაპირისპირება, სპინოზას ეპოქაში იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი დასაყრდენი, იყო პროტესტი ეკლესიისა და მისი ავტორიტეტის წინააღმდეგ.

თავისი მოძღვრების მიზანს სპინოზა, უპირველეს ყოვლისა, ეთიკის დაფუძნებაში ხედავდა. იკვლევდა რა ადამიანის ადგილს ბუნებასა და საზოგადოებაში, სპინოზას წინაშე იდგა გრანდიოზული ამოცანა ყოფიერებისა და ცნობიერების საკითხების კვლევისა. სპინოზას ონტოლოგია და გნოსეოლოგია არის ამ ამოცანის გადაწყვეტა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მიზანი სპინოზასათვის ეთიკის პრობლემაში იყო, ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი მან შექმნა სწორედ ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის და არა ეთიკის სფეროში.

სპინოზას შემეცნების თეორია მკაცრად რაციონალისტურია; იგი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან შემეცნების ემპირიულ და რაციონალურ საფეხურებს და ამ უკანასკნელს აკუთვნებს შემეცნების ერთადერთი ღირებული კომპონენტის როლს. სპინოზას გნოსეოლოგია არ არის თანმიმდევრულად მატერიალისტური, თუმცა მისი გენერალური ხაზი მატერიალისტური მიმართულებისაა.

უპირველესი, ჩვენი აზრით, რაც უნდა აღინიშნოს სპინოზას შემეცნების თეორიის დახასიათებისას, არის მისი მათემატიკური ორიენტაცია.

მათემატიკა მე-17 ს. რაციონალიზმისათვის არის ნიმუში მეცნიერულობისა საერთოდ, რამდენადაც მათემატიკის დებულებები მკაცრი ლოგიკურობით გამომდინარეობენ ერთიმეორისაგან; მათემატიკური ცოდნა არის სარწმუნო ცოდნა—მას აქვს აუცილებლობის, საყოველთაობის, სინათლისა და სიცხადის ნიშნები. მეცნიერული სისტემების აგების ნიმუშად მათემატიკური დედუქციის მიჩნევა ამ მოაზროვნეებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სქოლასტიკოსების დედუქციისა და სილოგიზმის კრიტიკასთან.

ფილოსოფიის მათემატიზირების პრინციპს ახალი დროის ფილოსოფიაში ყველაზე მკვეთრად პირველად დეკარტი აყენებს. ფილოსოფიაში ახალი მეთოდოლოგიის შემოტანითა და მისი მათემატიზირებით დეკარტი აკანონებს მომდევნო ეპოქების რიგი ფილოსოფიური სისტემების; თუ შეიძლება ასე ითქვას, მათემატიკურ სულს, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის წამომწყები და ფუძემდებელი იგი არ არის. მათემატიკური პრინციპის შემოტანა ბუნებისმეტყველებაში და, საერთოდ, აზროვნებაში წარმოადგენს გალილეის დამსახურებას. დეკარტი კი აგრძელებს მის საქმეს და აპყავს ეს მოთხოვნა უნივერსალობამდე.

შემეცნების რაციონალისტური თეორიის დაფუძნება მათემატიკური მე-
თოდის ანალოგიით, რაციონალიზმის შენობის აგება მათემატიკური პრინციპე-
ზის გამოყენებით წარმოადგენს ახალი დროის ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში
შემეცნების რაციონალისტურა თეორიის ღერძს. მე-17 ს. რაციონალისტების
სისტემებში მათემატიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საყურადღებოა ჰეგელის მოსაზრება ფილოსოფიაში მათემატიკური მე-
თოდოლოგიის შემოტანის შესახებ. ნაშრომში „ლექციები ფილოსოფიის ის-
ტორიაში“ ჰეგელი მიუთითებს, რომ ამ მეთოდში არასწორადაა გაგებული ფი-
ლოსოფიური ცოდნის ბუნება და საგანი, რამდენადაც მათემატიკური შემეცნე-
ბა და მეთოდი არის ფორმალური შემეცნება და, მაშასადამე, სრულიად შეუ-
ფერებელია ფილოსოფიისათვის. მათემატიკა იძლევა არსებული საგნის, რო-
გორც ასეთის, დასაბუთებას და არა დასაბუთებას საგნისა, მიღწეულისა ცნება-
ში; მას აკლია სწორედ ის, რაც ფილოსოფიის შინაარსია—ცნება და მიღწე-
ული ცნებაში¹.

უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკური მეთოდისადმი აპელირება დეკარ-
ტთან არ იღებს მათემატიკური მეთოდის ისეთი თაყვანისცემის ხასიათს, რო-
გორც სპინოზასთან. სპინოზას უკიდურესობამდე მიყავს დეკარტეს ეს პრინცი-
პი. მისი სისტემის გეომეტრიული არქიტექტონიკა ამის დამადასტურებელია.
დეკარტთან კა ფილოსოფიის მათემატიკურ მეთოდზე მსჯელობა არ გასცილე-
ბია, ჩვენი აზრით, ფილოსოფიისათვის მათემატიკის დეკლუქციების ანალოგიად
და ნიმუშად დასახვას: ფილოსოფიაში ყველაფერი ისევე აუცილებელი, ცხა-
ლი და ნათელი უნდა იყოს, ისევე უნდა გამომდინარეობდეს დებულებები ერთ-
მანეთისაგან, როგორც ეს არის მათემატიკაში. ფილოსოფიას არ სჭირდება
მეთოდის სესხება და გადმოტანა სხვა მეცნიერებებიდან—ეს დეკარტეს შესანიშ-
ნავად ესმის; როგორც ის თვითონ მიუთითებს, „მეცნიერებები სესხულობენ
თავიანთ პრინციპებს ფილოსოფიიდან“². დეკარტის პრინციპი მათემატიკის მე-
თოდის ანალოგიით ფილოსოფიის მეთოდის აგების შესახებ წარმოადგენს რა-
ციონალიზმის პრინციპის შემოტანას გნოსეოლოგიაში; მათემატიკა არ გადის
საკუთარი თავის ფარგლებიდან, ის თავის თავიდან ოპერირებს. ასევე გონება
არ უნდა გავიდეს თავისთავიდან—ინტუიცია და დედუქცია არ საჭიროებენ
ცდას.

ისმება კითხვა—როდ შეიძლება ახსნას მე-17—18 სს. შემეცნების რაციო-
ნალისტური თეორიის ეს მათემატიკური ტენდენცია, მათემატიკური სული?
ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მექანიკის განვითარების იმდროინ-
დელ დონეში, აგრეთვე როგორც თვითონ რაციონალიზმის, ასევე მათემატიკის
ბუნებაში, არსებაში.

ფილოსოფიაში მათემატიკური მეთოდოლოგიის პრინციპების დამკვიდრე-
ბა ასახვას ბუნებისმეტყველების განვითარების მექანიკური ფაზისა. მეცნიე-
რების დარგებიდან, აღნიშნავდა ფ. ენგელსი, იმ დროისათვის უპირატესი გან-
ვითარება მყარი სხეულების მექანიკამ მიიღო. ამან განაპირობა ის, რომ მე-
ქანისტური ახსნას დაქვემდებარა როგორც არაორგანული სამყაროს მოვლენე-
ბი, ასევე ცოცხალი ორგანიზმები. მექანიკის განვითარებამ თავის მხრივ გამო-
იწვია მათემატიკის, როგორც მისი საფუძვლის, განვითარება; აქედან—მათემა-

¹ იხ. Гегель, т. XI, гл. 305—306.

² Descartes, Oeuvres, t. VI, p.8.

ტიკის მნიშვნელობის გაზვიადება და მისთვის უნივერსალური ხასიათის მიცემა.

მეორე მხრივ, რაციონალიზმის მათემატიკური ორიენტაცია განაპირობა თვითონ რაციონალიზმისა და მათემატიკის არსებამ.

რაციონალიზმი თიშავს ერთმანეთისაგან შემეცნების ემპირიულ და რაციონალურ საფეხურებს, ანიჭებს რა ამ უკანასკნელს შემეცნების არა ერთ-ერთი, არამედ ერთადერთი ღირებული კომპონენტის მნიშვნელობას. იგი ამცირებს გრძობადობის როლს შემეცნებაში, წყვეტს აღამიანის ცნობიერებას გარემომცველი სინამდვილისაგან. გონება არის აბსოლუტურად ავტონომიური—იგი თვითმყოფი და თავისთავში ჩაკეტილი რეალობაა.

მეცნიერება რაოდენობრიობის შესახებ—მათემატიკა, რომელიც ისევე, როგორც მეცნიერების ყველა დარგი, უშუალოდ პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებათა, ამ შემთხვევაში—გაზომვის, გაანგარიშების, არხების მშენებლობის და სხვ. ნიადაგზეა წარმოშობილი, წარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც აზრის სფეროში ოპერირებს, და მასში ძნელად შესამჩნევია მიწასთან, ემპირიულ სინამდვილესთან პირვანდელი კავშირის ნიშნები. ეს თვისება თავისი თავიდან ოპერირებისა და მისი ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, ავტონომიურობა, მატერიალური საგნების სინამდვილისაგან, ცდისგან შედარებითი დამოუკიდებლობა გახდა, ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზი იმისა, რომ მათემატიკის მეთოდოლოგია მე-17 ს. რაციონალისტებთან გადაიქცა ფილოსოფიური მეთოდოლოგიის ნიმუშად.

რაციონალიზმი, როგორც თეორია, რომელიც უარყოფს გრძობადობის როლს და შემეცნების, ცოდნის წყაროდ თვლის მხოლოდ გონებას, სხვა მეცნიერებათა შორის ყველაზე მეტად სწორედ მათემატიკის მეთოდოლოგიას გამოიყენებდა თავისი დაფუძნებისათვის.

მათემატიკური მეთოდოლოგიის რა ნიშანი, რომელი მხარე დაუსახა ნიმუშად ფილოსოფიას მე-17 ს. რაციონალიზმმა? მათემატიკაში არის დებულებები, რომლებსაც დამტკიცება არ ესაჭიროებათ მათი სიმარტივისა და სიცხადის გამო, რომლებიც ჭეშმარიტებად არიან მიჩნეული თავისთავად. ამ დებულებებიდან მათემატიკის სხვა დანარჩენი დებულებები გამოიყვანებიან ლოგიკური აუცილებლობის ძალით. ეს დებულებები იწოდებიან აქსიომებად. სწორედ ასეთი აქსიომების მონახვას და ჰათვან აუცილებლობით სხვა დებულების გამოიყვანის ამოცანას უსახავს ფილოსოფიურ შემეცნებას მე-17 ს. რაციონალიზმი.

ფილოსოფიაშიც შეიძლება მოიხაზოს აქსიომები, ამბობენ ეს მოაზროვნეები, რომლებიც გამოდგებიან დებულებებისა და დასკვნების მთელი ჯაჭვის, მთელი სისტემის საწყისად. ჩვენ აქ მივადექით ლოგიკისა და ფილოსოფიის ერთ-ერთ კარდინალურ-პრობლემას—დასაბუთების საწყისის პრობლემას, რომელიც როგორც ასეთი, რა თქმა უნდა, ვერ იქნება ჩვენი განხილვის საგანი. ჩვენ აქ გვინტერესებს აღნიშნული პრობლემის ის გადაწყვეტა, რომელიც მოგვცა მე-17 ს. რაციონალიზმმა.

არისტოტელეს „მეორე ანალიტიკის“ პირველ წიგნში დასმული პრობლემა დასაბუთების საწყისის შესახებ ისევ პრობლემად რჩებოდა ფილოსოფიისა და ლოგიკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. დასაბუთების საწყისის პრობლემის სიძნელემ, აღნიშნავს არისტოტელე, ზოგი მიიყვანა მეცნიერების უარყოფამდე. თუ დასაბუთება მიდის უსასრულობაში, ე. ი. თუ მისი საწყისი საბუთდება სხვა საწყისით, ეს უკანასკნელი კიდევ სხვით და ა. შ. უსასრულოდ,

მაშინ მეცნიერული ცოდნა შეუძლებელია, რამდენადაც შეუძლებელია უსასრულობის გავლა. თუ საწყისი დაუსაბუთებელია, მაშინაც შეუძლებელია იყოს ცოდნა, რადგან ცოდნა—არის დასაბუთებული ცოდნა, და ისიც, საიდანაც იწყება ეს ცოდნა, დასაბუთებული უნდა იყოს და არა დაუსაბუთებელი³.

პრობლემა, არისტოტელეს აზრით, გადაწყდება იმ გზით, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დაუსაბუთებელი დებულება—აქსიომა. ამ საკითხის არისტოტელესეულ გადაჭრას ჰყავდა მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც.

„დასაბუთებას მე ვუწოდებ სილოგიზმს, რომელიც იძლევა ცოდნას“⁴. აღნიშნული პრობლემა არისტოტელესათვის, მაშასადამე, ფაქტურად დედუქციის საწყისის პრობლემაა.

დედუქციის კრიტიკა ფილოსოფიისა და ლოგიკის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, იყო მისი კრიტიკა სწორედ საწყისის პრობლემის კუთხიდან. ყოველთვის მიუთითებდნენ ხოლმე იმ სიძნელეზე დედუქციაში, რომელსაც *petitio principii* —გამოუვალი წრე—ეწოდება—დანასკვი წანამძღვარშია ნაგულისხმევი; მაშასადამე, ის, რაც დასაბუთდება, იგულისხმება იმაში, რაც ასაბუთებს. ამდენად, დედუქციის საწყისი ვერ ჩაითვლება ნამდვილ საწყისად.

მე-17 ს. რაციონალიზმი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, დასაბუთების საწყისად მიიჩნევს აქსიომებს—დაუსაბუთებელ და, მაშასადამე, გაუშუალებულ დებულებებს. მაგრამ ამ რაციონალიზმს თვითონ დედუქციაც სხვაგვარად ესმის, ვიდრე არისტოტელეს. არაერთხელ მიუთითებენ დეკარტეც, სპინოზაც და ლიბნიციც არისტოტელეს სილოგიზმის უსარგებლობაზე მეცნიერებისათვის, რამდენადაც ეს სილოგიზმი არ იძლევა ახალ ცოდნას. დეკარტისა და სპინოზას დედუქცია—ეს არის მსჯელობებისა და დასკვნების უწყვეტი ჯაჭვი, რომელშიც ყოველი რგოლი მკაცრი აუცილებლობით უნდა იყოს დაკავშირებული წინა და შემდგომ რგოლებთან; სწორედ ეს დედუქცია, ამტკიცებენ ისინი, იძლევა ახალ ცოდნას.

რა გზითაა მიღებული დედუქციის საწყისი დებულებები—აქსიომები? მე-17 ს. რაციონალიზმის მიხედვით, ინტუიციით. ეს დებულებები ინტუიტური სიცხადითაა ერთბაშად დაბადებული ჩვენს ცნობიერებაში, ისინი არაფრით არაა გაშუალებული და განპირობებული. მათ დამტკიცება არ ესაჭიროებათ—მათი ჭეშმარიტება დამტკიცების გარეშეც ცხადია და თვალნათლივი. არ სჭირდებათ რა თვითონ დამტკიცება, ისინი სხვა დებულებების დამტკიცების საფუძვლად გამოდგებიან. აქსიომებიდან ანალიზურად გამოიყვანება სხვა დებულებები, რომელთა დასაბუთება, ურთიერთკავშირი და ურთიერთგამომდინარეობა ქმნის ცოდნის მთელ სისტემას. გეომეტრია არის მეცნიერება, სადაც სრულყოფილად და სრულფასოვნად მოიხმარება ეს მეთოდი—აქსიომატური მეთოდი. მაგრამ ის, რაც კანონიერი და მეთოდურია მეცნიერების ერთი დარგისათვის, უკანონო და შეუფერებელია მეორე დარგისათვის. გეომეტრიის აქსიომები არ გამოდგებიან ნიშნულ ლოგიკისა და ფილოსოფიისათვის, მათი სპეციფიკა სხვაა.

აქსიომატური მეთოდის გამოყენება ფილოსოფიაში მარცხით დამთავრდა, და ეს ცდაც და ამ ცდის მარცხიც მე-17 ს. რაციონალიზმმა გვიჩვენა. თვითონ

³ იხ. *Аристотель, Аналитики*, გვ. 184—185.

⁴ იქვე, გვ. 181.

დეკარტემ, რომელმაც პირველად წამოაყენა გეომეტრიის მეთოდის ანალოგიით ფილოსოფიური სისტემის აგების მოთხოვნა, ფაქტურად ვერ მონახა ფილოსოფიაში ისეთი აქსიომატური დებულებები, რომელთაგან შემდგომი დებულებების ანალიზურად გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი. მისი *cogito, ergo sum* მისთვის აქსიომაა, მაგრამ ის არაა ისეთი აქსიომა, რომელიც იქნება დასაბუთების საწყისი.—სისტემის სათავეში მოქცეული დებულება, დებულება, რომლიდანაც ანალიზურად გამოიყვანება სხვა ფილოსოფიური დებულებები, არა, დეკარტისათვის ეს არის ინტუიციური, უშუალო დებულება, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება და რომელიც შეასრულებს არა დასაბუთების საწყისის, არამედ სისტემის ბერკეტის როლს—მასზე, როგორც უეჭვო და თვალჩათვლად დებულებაზე, დაყრდნობით შეიძლება, ასე ვთქვათ, შემდგომი ფილოსოფოსობა და სისტემის აშენება.

სპინოზა შეეცადა, ხორცი შეესხა დეკარტის ამ პრინციპისათვის და დალაგა თავისი „ეთიკა“ გეომეტრიული მეთოდით—აქსიომების, თეორემების, ლემებისა და სხვ. სახით.

დეკარტის მოთხოვნა ფილოსოფიის მათემატიზირებისა სპინოზას აპყავს უნივერსალობამდე როგორც შინაარსის, ასევე ფორმის მხრივ.

როგორც ცნობილია, დეკარტი წერდა ჩვეულებრივი, მეცნიერული წიგნების წერის მანერით. მხოლოდ ერთგან—თავის პასუხში ე. წ. მეორე შეკამათებაზე მიმართა მან დებულებების დალაგების გეომეტრიულ წესს.

სპინოზა ღვება დეკარტის მიერ ვაკვრით, ზერეულდ მითითებულ ამ გზაზე და უკვე თავისი პირველი ნაწარმოების—„მოკლე ტრაქტატი ღმერთზე, ადამიანსა და მის ბედნიერებაზე“ დამატებაში¹ ალაგებს დებულებებს სუბსტანციის, ატრიბუტების და სხვ. შესახებ აქსიომების, თეორემებისა და სხვ. სახით. უკვე აქ მოცემულია პირველი ესკიზი, პირველი ჩანაღებრი იმ საოცარი, ფილოსოფიის ისტორიაში ჯერ არნახული წერის მანერისა, რომელიც გვაჯერებს თავისი მეცნიერული სიმკაცრით და თავისებურებით.

გეომეტრიული მეთოდი სპინოზას ფილოსოფიაში უმჭიდროეს კავშირშია მისი რაციონალიზმის მთავარ მოთხოვნასთან; ეს მოთხოვნაა—ძირითადი საწყისი პრინციპებიდან მთელი სისტემის გამოყვანა დედუქციურ-რაციონალისტური წესით. სპინოზას რაციონალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ის, რომ შემეცნება უნდა გამოვიდეს ზოგადიდან და მარტივიდან და დედუქციისა და სინთეზის საშუალებით მივიდეს განსაკუთრებულსა და რთულამდე. შემეცნების მიზანია აუცილებელის შემეცნება, ან, სხვა სიტყვებით, აბსოლუტურად სარწმუნო ცოდნის მიღწევა. აუცილებელი სპინოზასათვის არის ის, რაც მიზეზიდან გამომდინარეობს; მასსაღამე, რიმიეს, როგორც აუცილებელის, შემეცნება ნიშნავს მის მიზეზზე ანელირებას. სარწმუნოსა და აუცილებელის შემეცნების მეთოდი კი შეიძლება იყოს დედუქცია, რამდენადაც ამ უკანასკნელს ზოგადი დებულებებიდან კერძო გამოყავს.

შემეცნება დასვენების ჯაჭვს წარმოადგენს. შემეცნებისათვის აუცილებელია—მონახოს ამ ჯაჭვის ის პირველი რგოლი, რომლიდანაც დანარჩენები გამომდინარეობენ. ეს პირველი რგოლი სპინოზას სისტემაში არის სუბსტანციის ცნება. აქსიომების, თეორემების, ლემებისა და სხვ. გეომეტრიული აპარატა

¹ Б. Спиноза, Избранные философские произведения, т. 1, 1957, гл. 165.

9863

სპინოზა
 ბიბლიოთეკა

ძონმარებულთა სპინოზას მიერ ფილოსოფიური დებულებების ერთმანეთიდან გამომდინარეობის ნათელსაყოფად, იმის საჩვენებლად, რომ როგორც მათემატიკაში გამომდინარეობენ დებულებები ერთიმეორისაგან და შეადგენენ ერთ მთლიან ჯაჭვს, სადაც თვითეული რგოლი დაკავშირებულია როგორც წინა, ასევე მომდევნოსთან, ასევე ერთმანეთთან დაკავშირებული დებულებები მეტაფიზიკაშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ის, რაც გააკეთა სპინოზას „ეთიკამ“, დაწერილმა გეომეტრიული წესით, გააკეთებდა ჩვეულებრივი წესით დაწერილი „ეთიკაც“ და უფრო უკეთა. სისტემის გეომეტრიული არქიტექტონიკა სპინოზასთან, ჩვენი აზრით, ძალიან ხელოვნური და ნაძალადევი და ხელს უშლის ავტორის თავისუფლად და მსუბუქად მანევრირებას. სპინოზას მაგალითმა აჩვენა ფილოსოფიურ აზრს, რომ გეომეტრიული მეთოდი, გეომეტრიული არქიტექტონიკა ვერ გამოდგება ფილოსოფიაში.

არის შეხედულება, რომლის მიხედვით, მცდარია დასაბუთების საწყისად ინტუიციის მიჩნევა, რამდენადაც ყოველგვარი ინტუიციის სხვა არაფერია, თუ არ სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ლოგიკურიდან კი უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ფსიქოლოგიური. ამდენად, მეცნიერებისა და დასაბუთების საწყისად ინტუიციის მიღება ფსიქოლოგიზმია. ასეთ აზრს გამოთქვამს პროფ. ს. წერეთელი წიგნში „დასაბუთების საწყისი“. ხოლო „თუ ინტუიციას გავიგებთ ისე, რომ რაიმეს უშუალო სიცხადე ამ რაიმეს უარყოფის შეუძლებლობას ნიშნავს.—წერს ს. წერეთელი,—მაშინ ჩვეულებრივი დედუქციის ფარგლებს გარეთ გავდივართ და თავისებურ დასაბუთებას ვაღიარებთ“⁶. და კიდევ: „ინტუიციით მიღებული რაღაც, რომელიც არის ის, რომლის უარყოფა შეუძლებელია, იქნება საგანი და არა ლოგიკურის საწყისი; ის ლოგიკური კი, რომლის უარყოფაც შეუძლებელია, დგინდება სწორედ უარყოფის საშუალებით. აქ იქმნება პირველი ლოგიკური მდგომარეობა, რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, რაც, როგორც სრული გაშუალება, რომელიც უარყოფით სრულდება, წმინდა უშუალობას აუქმებს“⁷.

დასაბუთების საწყისი, ს. წერეთლის აზრით. არ შეიძლება იყოს აქსიომა, რამდენადაც დაუსაბუთებელი ვერ გამოდგება დასაბუთების გამართლებითსათვის; აქსიომა თვითონ ქმნის უსასრულო რეგრესს. ვარდა ამისა, აქსიომების არჩევა მოითხოვს გარკვეულ საფუძველს, ე. ი. დასაბუთებას.

მაშასადამე, თუ დავუშვებთ დებულების უშუალობას (და ამ უშუალობის პირობად მივიღებთ ამ დებულების უარყოფის შეუძლებლობას), ჩვენ ფაქტიურად მაინც ვერ გამოვალთ გაშუალებულობის ფარგლებიდან, რადგან დებულების მიღმა და შემდეგ მისი უარყოფის შეუძლებლობის ჩვენება უკვე იქნება დასაბუთება, ე. ი. გაშუალება, იქნება თავისებური დასკვნა. ვაიმოსავალი ამ მდგომარეობიდან, ს. წერეთლის აზრით, შეიძლება გამოიწილოს იქნეს იმით, რომ დასაბუთების ლოგიკურ საწყისად თვით დასაბუთების, დასკვნის ბუნების დებულებას მივიჩნევთ. ეს თავისებური დასკვნა იქნება დასაბუთების არსების გამომხატველი. პასუხი კითხვაზე—თუ როგორია ეს დასკვნა, იქნება დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტა, რაც მოცემულია ს. წერეთლის დასახელებულ წიგნში. „დასაბუთების ლოგიკურ საწყისს წარმოადგენს უსასრულო დასკვნა—რაიმეს უარყოფით

⁶ ს. წერეთელი, დასაბუთების საწყისი, 1963, გვ. 26.

⁷ იქვე, გვ. 74.

ძისივე დაფუძნება, შინაგანი უარყოფით ლოგიკური თვითდადგენა; უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური პირველი ყოველგვარი დასკვნისა და დასაბუთების... უსასრულო დასკვნა უბირობო ლოგიკურია, რომლის ბუნებაც დაპირისპირებულია ერთიანობაში მდგომარეობს... დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური განვითარების დასაწყისი, არის დადებითი სინთეზური მსჯელობა, რომელიც დიალექტიკური ბუნებისაა“⁸.

როგორ არის შესაძლებელი შემეცნება? შემეცნება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც „იდეების რიგი და კავშირი ისეთივეა, როგორც ნივთთა რიგი და კავშირი“. სპინოზას ეს დებულება ის საფუძველია, რომელზეც უნდა აიგოს თეორია შემეცნების შესაძლებლობის, იდეების მიერ საგანთა ასახვის, სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. თავისთავად ეს დებულება არ მიუთითებს სახელდობრ ასახვაზე, იდეების დამოკიდებულებაზე საგნისაგან, მაგრამ ჩვენი ცნობიერების მიერ საგნების ასახვა შესაძლებელია სწორედ იმიტომ, რომ იდეებიც და ნივთებიც ერთსა და იმავე კანონზომიერებას ემორჩილებიან.

შემეცნება სპინოზასათვის არის გამოხატულება სულის მისწრაფებისა თავისი არსებობის შენარჩუნებისაგან. სულის არსება მდგომარეობს შემეცნებაში; უმაღლესი, რაც შეიძლება სულმა შეიმეცნოს, არის სუბსტანცია.

ასახვის თეორია სპინოზას სისტემაში მატერიალისტურ საფუძველზეა აშენებული—სპინოზა არაერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ადამიანის აზროვნება საგანთა ბუნებითაა განსაზღვრული.

სპინოზა ასხვავებს შემეცნების სამ სახეს: პირველი სახე შემეცნებისა—ესაა გრძნობადი, ანუ, როგორც სპინოზა უწოდებს, იმაგინაციური შემეცნება; მეორე—ინტელექტუალური, განსჯითი შემეცნება და მესამე—ძირითადი და უმაღლესი სახე შემეცნებისა—ინტელექტური შემეცნება.

ჩვენ არ შეგვხვებით სპინოზას შეხედულებებს შემეცნების პირველი საფეხურის შესახებ, არამედ განვიხილავთ შემეცნების მეორე და მესამე საფეხურების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს.

რაციონალური შემეცნება, სპინოზას აზრით, ზორციელდება განსჯის საშუალებით. მას საფუძვლად უდევს გონების ზოგადი ცნებები და ამ ცნებებით ოპერირება—დედუქციური დასკვნები. შემეცნების ეს სახე წარმოადგენს ხიდს, რომელზეც გავლით შემეცნების უმაღლეს საფეხურთან—ინტელექტურ შემეცნებასთან მივალთ. ამიტომ დასკვნებს სპინოზა ანიჭებს შემეცნებაში არა უმთავრეს, არამედ ერთგვარი დამხმარე შუალედის როლს⁹.

აღსანიშნავია, რომ განსჯას და გონებას სპინოზას ფალოსოფიაში არა აქვთ ის მნიშვნელობა, რომელიც მათ მიიღეს კანტის შემდეგ; სპინოზა არ ატარებს მათ შორის პრიციპულ ზღვარს. როგორც განსჯას, ასევე გონებას შემეცნებაში აქვთ ერთი და იგივე დანიშნულება. ორივე ერთად შეადგენს რა შემეცნების რაციონალურ საფეხურს. ყოველ შემთხვევაში, სპინოზას თხზულებებში არ მოიძებნება ადგილები, რომელთა მიხედვით საწინააღმდეგოს მტკიცება შეიძლებოდა. თხზულებაში „მოკლე ტრაქტატი დემერზე, ადამიანზე და მის ბედნიერებაზე“, კერძოდ, დიალოგში განსჯას, სიყვარულს, გონებასა და სურვილს შორის სპინოზა მიუთითებს, რომ განსჯა განიხილავს ბუნებას როგორც მოელს,

⁸ ს. წერეთელი, დასაბუთების საწყისი, გვ. 74.

⁹ Б. Спиноза, Избр. произв., т. I, 1957, გვ. 162.

უსასრულოს და უმაღლესად სრულქმნილს. დიალოგში განსჯა იმოწმებს გონებას, რომელიც იღებს სიტყვას განსჯის შემდეგ და დაახლოებით იმავეს ამბობს, რასაც ეს უკანასკნელი.

რაციონალური შემეცნება ჭეშმარიტ იდეებს იძლევა, ჭეშმარიტი იდეების წომეცემა, სპინოზას აზრით, აგრეთვე, შემეცნების მესამე—უმაღლესი საფეხური—ინტელექტური შემეცნება. ინტელექტის სპინოზა უწოდებს ნათელ და გარკვეულ შემეცნებას, მოიხმარს რა დეკარტის ფილოსოფიიდან ნასესხებ ცნებას ნათელი და გარკვეული და, მათსადაამე, ჭეშმარიტი შემეცნების შესახებ

ინტელექტური, ჭვრეტითი შემეცნება საგანთა არსების ადეკვატური შემეცნება. ინტელექტის დროს შესამეცნებელი ობიექტი გონებას უშუალოდ ეძლევა.

შრომაში „მოკლე ტრაქტატი ღმერთზე, ადამიანსა და მის ბედნიერებაზე“ სპინოზას ინტელექტის ცნებაში შეაქვს ერთი საყურადღებო მომენტი—სახელდობრ, ის, რომ ინტელექტური შემეცნების დროს სუბიექტი უერთდება, ერწყმის ობიექტს¹⁰, როცა ასე ვიმეცნებთ ღმერთს, ჩვენ ვუერთდებით მას, და სწორედ ამაშია უმაღლესი ნეტარება. ჩვენი ბუნებით ისე ვართ დაკავშირებულნი ღმერთთან, რომ მის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი არსებობა; აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ შეგვიძლია უშუალოდ შევიმეცნოთ ღმერთი. „იქედან, რომ ღმერთსა და ჩვენს შორის არსებობს ასე მჭიდრო კავშირი, გამომდინარეობს, რომ ჩვენ შეგვიძლია მისი შემეცნება მხოლოდ უშუალოდ“¹¹.

სპინოზას ეს მსჯელობა ღმერთთან შერწყმის შესახებ საკმაოდ თეოსოფიურად ედერს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ღმერთის ქვეშ სპინოზას ბუნება ესმის, ხოლო ადამიანს ბუნების ნაწილად თვლის, მაშინ ეს დებულება სპინოზას ფილოსოფიაში დისონანსის შემტან მომენტად არ მოგვეჩვენება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სპინოზას დებულება, წამოყენებული დასაჩუქრებულ შრომაში,—რომ სუბსტანციის შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ ინტელექტის საშუალებით,—ერთგვარად უცნაურად მოჩანს მისი, იმავე თხზულებაში მოცემული მტკიცების ფონზე¹², რომ ის ჩვენში, რამაც უნდა შეიმეცნოს ღმერთი, არის გონება.

ჩვენ ვფიქრობთ, ვეყრდნობით რა სპინოზას თხზულებებში გამოთქმულ დებულებებს, რომ ინტელექტის სფეროს სპინოზა მხოლოდ სუბსტანციის შემეცნებით არ განსაზღვრავს და არც იმას თვლის, რომ სუბსტანცია მხოლოდ ინტელექტით შეიძლება იქნეს შემეცნებული.

სპინოზას ზემოთ მოტანილი დებულება, გამოთქმული მის ერთ-ერთ პირველ თხზულებაში—„მოკლე ტრაქტატი ღმერთზე, ადამიანსა და მის ბედნიერებაზე“, სპორადულია, მით უმეტეს, რომ სხვა თხზულებებში საწინააღმდეგო აზრია გამოთქმული.

კუნთა ფიშერი თავის „სპინოზაში“ ამტკიცებს, რომ სპინოზა ინტელექტის მოქმედების სფეროს მხოლოდამხოლოდ სუბსტანციის შემეცნებით განსაზღვრავს: „წარმოსახვის ობიექტებს წარმოადგენენ ცალკეული საგნები მათ შემ-

¹⁰ Б. Спиноза, Избр. произв., т. 1, 1957, гл. 154.

¹¹ იქვე.

¹² იქვე, გვ. 159.

თხვევით გამოვლინებაში, ინტელექტის ობიექტს წარმოადგენს საგანთა კავშირი და ერთობა, ინტუიციის ობიექტს წარმოადგენს ღმერთი¹³.

მსგავს შეხედულებას გამოთქვამენ ვ. ვანდეკი და ვ. ტიმოსკო ბროშურაში „ბ. სპინოზას ფილოსოფიის ნარკვევი“. ეს ავტორები ამტკიცებენ, რომ სპინოზას მიხედვით, იმაგინაციური შემეცნებით ჩვენ შევიმეცნებთ ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს, შემეცნების მეორე საფეხურით—ატრიბუტებს და, ბოლოს, ინტუიციით შევიმეცნებთ სუბსტანციის უსასრულობას. ვფიქრობთ, რომ შემეცნების შესახებ სპინოზას მოძღვრების ასეთი ვაგება არ შეესაბამება სინამდვილეს.

გონებას და ინტუიციას სპინოზას სისტემაში არა აქვთ მოქმედების სხვადასხვა სფერო. სხვადასხვა ობიექტი. განსხვავება მათ ფუნქციებს შორის იმაში კი არ მდგომარეობს, თუ სახელობრ რას, სინამდვილის რომელ მხარეს შეიმეცნებენ ისინი, არამედ იმაში, თუ როგორ, როგორი ხერხით შეიმეცნებენ.

გონებას ცნებებითა და დასკვნებით ოპერირება სჭირდება, ინტუიციას კი არა—ის ჰერეტიკით. ერთბაშად ხილვით შეიმეცნებს საგანთა არსებას და სუბსტანციას. „შემეცნების მესამე სახეს მივყავართ ღმერთის რომელიმე ატრიბუტის ადექვატური იდიდან საგანთა არსების ადექვატური შემეცნებისაკენ, და რაც უფრო მეტად შევიმეცნებთ ჩვენ საგნებს ამ ხერხით, მით უფრო მეტად შევიმეცნებთ ღმერთსაც“¹⁴.

სპინოზა არ ამბობს, რომ ატრიბუტების შემეცნება მხოლოდ გონებით შეიძლება, ხოლო სუბსტანციისა—მხოლოდ ინტუიციით. არა მხოლოდ გონება შეიმეცნებს საგანთა კავშირებსა და არსებას და არც მხოლოდ ინტუიციას სწვდება სუბსტანციას. მათ მოქმედების უფრო ფართო ასპარეზი აქვთ. ინტუიციის შეიმეცნებს არა მხოლოდ სუბსტანციას, როგორც ასეთს, არამედ საგანთა არსებასაც სუბსტანციის არსების წვდომის საფუძველზე. მაგრამ ეს შემეცნება საფეხურებრივად. ზიგზაგებით კი არ მიმდინარეობს და არც არაფრით არის გაშუალებული. საგანთა არსების და სუბსტანციის შემეცნება შემეცნების მესამე საფეხურით—ეს არის შესამეცნებელი საგნის ინტუიტური სიცხადით ერთბაშად, უშუალოდ წვდომა.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ერთი ადგილი სპინოზას თხზულებიდან „მოკლე ტრაქტატი ღმერთზე, ადამიანსა და მის ბედნიერებაზე“: „ის ჩვენში, რამაც უნდა შეიმეცნოს ღმერთი, არის გონება, რომელიც ისე უშუალოდ არის მასთან დაკავშირებული, რომ არ შეიძლება არც არსებობდეს და არც ვაგებულ იქნას მის გარეშე“¹⁵. როგორც ვხედავთ, საკმაოდ ვარკვევითაა აქ მითითებული, რომ სუბსტანციას ჩვენ გონებითაც შევიმეცნებთ, მაგრამ თუ გონებით შემეცნების სტრას მსგელობები. დასკვნები გეჭირდება, ინტუიციის დროს ისინი უკვე ზედმეტია—სუბსტანციას ჩვენ შევიმეცნებთ ინტელექტუალური ხილვით ერთბაშად, რითაც შემეცნების უმაღლეს საფეხურზე ვიმყოფებით და ვაღწევთ სრულყოფილებას.

ავიღოთ „ეთიკის“ პირველი ნაწილის საწყისი განსაზღვრებები.

როგორაა ისინი მიღებული? ვეყრდნობით რა სპინოზას გნოსეოლოგიისა და მეთოდის ძირითად დებულებებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ სპინოზა თვლის ინტუიციის გზით მიღებულ პრინციპებად. ისინი არიან დედუქციის გა-

¹³ Куно Фишер. Спиноза, 1906, გვ. 511

¹⁴ Б. Спиноза, Избр. произв., т. I, გვ. 606.

¹⁵ იქვე, გვ. 159.

მოსავალი, საწყისი დებულებები და მთელი სისტემა, ჩამოყალიბებული „ეთიკაში“, მთვან დედუქციის წესით გამომდინარე და მათ საფუძველზე აშენებულია. მაშასადამე, ისინი უკვე მზა სახითაა მოცემული სისტემის საფუძველი: სპინოზა არც სვამს საკითხს—თუ როგორაა ისინი მიღებული, თვლის რა, რომ ისინი საერთოდ არაფრისაგან არაა მიღებული და გამოყვანილი, დასკვნებისა და მსჯელობების გრძელი ჯაჭვის დახმარებით კი არ არიან ჩამოყალიბებული, არამედ ერთბაშად, ინტუიტურად ეძლევიან ჩვენს ცნობიერებას. ჰეგელის აზრით, აქსიომები და დეფინიციები, რომლითაც სპინოზა იწყებს სისტემას, არ არის გამართლებული მის მიერ; ლოკის ერთ-ერთ დამსახურებად ჰეგელი თვლის იმას, რომ მან დატოვა შიშველი დეფინიციების ეს გზა, რომლითაც ჩვეულებრივად იწყებდნენ ფილოსოფოსობას, და შეეცადა—გამოეყვანა ზოგადი ცნებები¹⁶.

როგორ დაიბადა ის ცნებები, ის განსაზღვრებები, რომლებითაც იწყება „ეთიკის“ ხუთივე ნაწილი? როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ინტუიციით, სპინოზას შეხედულებით. მაგრამ სინამდვილეში სუბსტანციის, ატრიბუტების, მოდუსების განსაზღვრებები, მათი ის ნიშნები, რომლებსაც სპინოზა იკვლევს, ინტუიციითაა მიღებული? სპინოზა ხომ მათ იკვლევს, მოიხმარს რა დასკვნების, განსაზღვრებების, აქსიომების, თეორემების და სხვ. რთულ აპარატს. ის გზა, რომლის გაყოლებით აშენებულია „ეთიკა“, უკუ მიმართულებით უნდა მიდიოდეს. საწყისი დეფინიციები კვლევის შედეგია და არა კვლევაა მათი შედეგი. ამდენად, სპინოზას დედუქციურ სინთეზს ბზარი უჩნდება აქ. ამ პუნქტში. ადგენს რა სუბსტანციის, ატრიბუტების და სხვ. ცნებებს, სპინოზა შეუმჩნევლად უშვებს თავის კვლევაში ანალიზს. მიუთითებს რა ინტუიციაზე, როგორც მათი დადგენის ხერხზე, სპინოზა ვარდება წინააღმდეგობაში, რამდენადაც ისინი არა ერთდროული ინტუიტური აქტით აქვს მიღებული, არამედ კვლევის, საფეხურების დადგენისა და მათი გავლის, რთული ლოგიკური აპარატის გამოყენების შედეგად—მაშასადამე, გონებით, ინტელექტით, შემეცნების მეორე საფეხურით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სისტემის საწყისი განსაზღვრებების მოცემისას სპინოზა გონებაზე მიუთითებს, სახელდობრ, ატრიბუტის განსაზღვრებაში: „ატრიბუტის ქვეშ,—წერს იგი,—მე ვტულისხმობ იმას, რასაც გონება (ხაზი ჩემია—დ. დ.) წარმოიდგენს სუბსტანციაში, როგორც მისი არსების შემადგენელს“¹⁷.

შეიძლება გვითხრან, რომ აქ სპინოზა გონებას ინტუიციის მნიშვნელობით ხმარობს, რომ სპინოზას ინტუიცია—ინტელექტუალური ინტუიციია. ეს უკანასკნელი დებულება, რა თქმა უნდა, სწორია: სპინოზას ინტუიცია ინტელექტუალური ინტუიციია. მაგრამ იქ, სადაც სპინოზა ლაპარაკობს გონებაზე, სწორედ გონებაზე ლაპარაკობს და არა ინტუიციაზე და პირიქით.

ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სპინოზა შემეცნების მეორე და მესამე საფეხურებს მიჯნავს არა მათი ობიექტის, არამედ იმ ხერხის მიხედვით, რომლითაც ისინი აღწევენ შემეცნებას, ასაბუთებს „ეთიკის“ მეხუთე ნაწილის 38-ე თეორემაც: „რამდენადაც მეტ საინტელექტუალურს (ხაზი ჩემია—დ. დ.) შეიძლება სული შემეცნების მეორე და მესამე სახით, იმდენად იგი ნაკლებ ვნებას ღებუ-

¹⁶ Гегель, Соч., т. XI, 1935, გვ. 318.

¹⁷ Б. Спиноза, Избр. произв., т. I, გვ. 361.

ლობს ცუდი აფექტებისაგან და ა. შ.¹⁸. მაშასადამე, შემეცნების მესამე სახეც—ინტუიტური შემეცნებაც—თავის ობიექტად ხდის საგნებსაც და არა მხოლოდ მთლიანს—სუბსტანციას. მართალია, სუბსტანცია საგნებშია და საგნები სუბსტანციაში, მაგრამ სუბსტანცია სხვა და საგნები, მოდუსები სხვა, და ამიტომ, როცა სპინოზა ლაპარაკობს, რომ სული ინტუიციით საგნებს შეიმეცნებს, ის სწორედ საგნებზე მიუთითებს და არა სუბსტანციაზე.

აღსანიშნავია, რომ სპინოზა არცერთ თავის თხზულებაში არ იძლევა ინტუიციის საკუთარ განსაზღვრებას. როგორც ჩანს, ეს იმიტომ, რომ ინტელექტუალური ინტუიციის ცნება მას დეკარტის მიერ უკვე დადგენილად მიაჩნია და ზედმეტად თვლის მასთან მიბრუნებას.

როგორც დეკარტის, ასევე სპინოზას ინტუიცია, განსხვავებით მისტიკობისა და ინტუიტივისტების ინტუიციისაგან, ინტელექტუალურ ინტუიციას წარმოადგენს.

დეკარტთან ინტუიციის შედეგად მიღებული დებულებები წარმოადგენენ დედუქციის საწყის დებულებებს. დედუქცია, დეკარტის აზრით, უნდა ეყრდნობოდეს დებულებებს, რომელთა ჭეშმარიტება თვალნათლივია—ასეთი კი უმთავრესად ინტუიციის გზით მიღებული დებულებებია. ეს მომენტი საერთოა ინტუიციის როგორც დეკარტისეული, ასევე სპინოზასეული გაგებისათვის. მაგრამ მათ შორის არას რადიკალური განსხვავებაც: აქცევს რა ინტუიციის ცნებას თავისი მატერიალისტური გნოსეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად ცნებად, სპინოზა აცილებს ინტუიციის დეკარტისეულ გაგებას იდეალისტურ ელემენტებს. ინტუიციის დეკარტისეული გაგება მკიდროდ უკავშირდება მის მოძღვრებას თანდაყოლილი იდეების შესახებ. რაც შეეხება ამ უკანასკნელს—ინტუიციის კავშირს თანდაყოლილ იდეებთან, უნდა აღინიშნოს, რომ სპინოზა მას არ იზიარებს. თანდაყოლილი იდეები სრულიად განდევნილია სპინოზას ფილოსოფიური სისტემიდან.

ინტუიციის, როგორც შემეცნების უმაღლესი საფეხურის, შემოტანით, დებულებით საგნის არსებობისა და სუბსტანციის ერთბაშად წვდომის, მისი უშუალო ინტუიტური ხილვის შესახებ, სპინოზა უარყოფს შემეცნებას, როგორც ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობით გაშუალებულ რთულ დიალექტიკურ პროცესს.

ემპირიული საფეხურის წინაშე რაციონალური და ინტუიტური საფეხურების უპირატესობის, შემეცნებაში მხოლოდ მათი ღირებულების აღიარებით სპინოზა აშენებს თანმიმდევრულ რაციონალისტურ გნოსეოლოგიას.

ჩვენ გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს სპინოზას ფილოსოფიურ სისტემაში. ესაა საკითხი სუბსტანციის ატრიბუტების შემეცნების შესახებ.

სუბსტანციას უსასრულო ატრიბუტები აქვს—უსასრულონი თავისთავად და უსასრულონი რაოდენობით. ამ ატრიბუტებიდან ჩვენს გონებას მხოლოდ ორის—განფენილობის და აზროვნების შემეცნება შეუძლია. ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებობს უსასრულოდ მრავალი ატრიბუტი, მაგრამ, სახელდობრ, რომელნი—ამას ჩვენი გონება ვერ წვდება. თუ კი ის ვიცით, რომ ატრიბუტები უსასრულოდ მრავალია, რატომ ისიც არ ვიცით, სახელდობრ, რომელნი არი-

¹⁸ Б. Спиноза, Избр. произв., т. I, гл. 613.

ას ზოგიერთნი მაინც მათ შორის გარდა განფენილობისა და აზროვნებისა? სპინოზა ამ დილემის წინაშე დგას, და ამ დილემას ხედავდნენ მის სისტემაში როგორც მისი თანამედროვე, ასევე შემდეგდროინდელი მოაზროვნეები.

თვითონ სპინოზა ცდილობს მისგან თავის დაღწევას იმით, რომ მიუთითებს, ადამიანზე, როგორც არსებაზე, რომელშიც განფენილობისა და აზროვნების ატრიბუტები თავისებურად ხედებიან ერთმანეთს, ერთიანობაში იმყოფებიან; და რადგან ადამიანი სხეულისა და სულისაგან და მეტი არაფერისაგან (როგორც არაერთხელ მიუთითებებს სპინოზა) შედგება, ამიტომ მას ამ უსასრულოდ ჩრავალი ატრიბუტიდან მხოლოდ იმის შემეცნება შეუძლია, რომლის მოდიფიკაციებიდანაც თვითონ შედგება. აღნიშნული პასუხი მაინც არაა პრობლემის გადაწყვეტა. შემეცნების სფეროს გარეშე რჩება კიდევ უსასრულოდ მრავალი ატრიბუტი, რომლებზეც მითითებით სპინოზა აგნოსტიციზმში გადავარდნის საშიშროების წინაშე დგას. გამოდის, რომ ჩვენი გონების, ჩვენი შემეცნების უნარის მიღმა ყოფილა სფერო და ძალიან დიდიც—ატრიბუტები ხომ უსასრულოა.—რომელსაც ჩვენ ვერ მივწვდებით.

ადამიანს შეუძლია სუბსტანციის ადექვატური შემეცნება—ეს სპინოზას „ეთიკის“ ერთ-ერთი მთავარი დებულებაა, მაგრამ თუ კი სუბსტანციის ატრიბუტებიდან (და სუბსტანცია მდგომარეობს ატრიბუტებში) მხოლოდ ორის შეხედენებაა შესაძლებელი, მაშინ არც სუბსტანციის ადექვატურად შემეცნება ყოფილა შესაძლებელი. საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ამის შესახებ ვ. ვინდელბანდი თავის „ახალი ფილოსოფიის ისტორიაში“: „ამ ადგილში უკვე აშკარა ხდება, ერთი მხრივ, განდგომა მთლიანად ადექვატური ღმერთის შემეცნებიდან, მეორე მხრივ—პირველი ბზარი სპინოზას ფილოსოფიის დედუქციურ მეთოდში; რადგანაც სუბსტანციის ცნებიდან არ შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ სწორედ ეს ორი ატრიბუტია მისაწვდომი ადამიანის შემეცნებისათვის, არამედ ეს უკანასკნელი შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ სინთეზის პროცესში ცდის შეუმჩნეველი დაშვების შემდეგ“¹⁹.

მართლაც, აგებს რა სისტემას მათემატიკური დედუქციის მეთოდით, სპინოზა გამოდის იმ. თავისი ფილოსოფიისათვის სახელმძღვანელო. დებულებიდან, რომ დებულებათა მთელი ჯაჭვი პირველი დებულებიდან—სუბსტანციის ცნების განსაზღვრებიდან უნდა გამოდიოდეს. მაგრამ უსასრულოდ მრავალი ატრიბუტიდან მხოლოდ ორის შემეცნების შესაძლებლობის დაშვება სუბსტანციის განსაზღვრებდან დედუქციის წესით არ გამოიმდინარეობს; აქ რალაც უცხო ელემენტი იჭრება, და ეს უცხო ელემენტი არის სპინოზას რაციონალიზმში ცდა, ემპირიული შემეცნება.

საიდან ვიცით, რომ მხოლოდ ორის შემეცნებაა შესაძლებელი და დანარჩენის არა? შეიძლება გვეთქვა, რომ გამოცდილებიდან—ჩვენ ყოველთვის ვიმეცნებდით და ვიმეცნებთ მხოლოდ ორ ატრიბუტს, დანარჩენის შემეცნება კი ცდაში არაა მოცემული. მაგრამ ერთგული თავისი რაციონალიზმისა, სპინოზა არც მისცემდა და ვერც მისცემდა ასეთ პასუხს დასმულ კითხვაზე.

ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად ამ პრობლემის გადაჭრის ის ცდა. რომელიც მოცემული აქვს მოსე გოგბერძინს „ფილოსოფიის ისტორიაში“. საკითხს—თუ შეიძლება ჩვენი აზროვნება ისე განვითარდეს, რომ მან ორზე მეტი ატრიბუტი

¹⁹ В. Виндельбанд. История новой философии, С.—П., 1902, гл. 171.

შეიმეცნოს,—სპინოზასთვის, გოგებრიძის აზრით. „...მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც არ უნდა იყოს ატრიბუტი, სუბსტანციის მიმართ მისი დამოკიდებულება მაინც გამოიხატება არითმეტიკული დამოკიდებულებით ერთსა და ორს შორის. სუბსტანცია ანუ ღმერთი არის კრებადობა ყველა ატრიბუტისა. ეს კრებადობა კი ერთ შემთხვევაში ნიშნავს ორს, მეორე შემთხვევაში ნიშნავს უსასრულობას. ჩვენი აზრით, სპინოზას ამით სურს გვიჩვენოს, თუ როგორ შეიმეცნებს ჩვენი აზროვნება თავისი სასრულოვანი საშუალებებით უსასრულობას“²⁰.

ვფიქრობთ, რომ ორი ატრიბუტის შემეცნებადობის დაშვებით სპინოზამ არამც თუ ვერ გვიჩვენა—თუ „ჩვენი აზროვნება თავისი სასრულოვანი საშუალებებით როგორ შეიმეცნებს უსასრულობას“ (მ. გოგებრიძე), არამედ სწორედ ორი ატრიბუტის შემეცნებადობის დაშვების გამო ეს ვერ გვიჩვენა, რადგან ორის დაშვებით სპინოზამ თითქოს შემოსაზღვრა და შემოფარგლა უსასრულობა, არამც თუ მისი შემეცნება გააიგივა უსასრულობის შემეცნებასთან; ამასთანავე, ორი, მართალია, სიმრავლეა, მაგრამ ორი არცერთ შემთხვევაში არაა უსასრულობა.

შეუძლებელია, სპინოზას აზრით, სხვა ატრიბუტების შემეცნება ამ ორი ატრიბუტის—განფენილობისა და აზროვნების—ცოდნის საფუძველზე, რადგან ატრიბუტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. „ამ ორი ატრიბუტიდან და მათი მოდიფიკაციებიდან არ შეიძლება არც გამოყვანილ იქნას, არც საერთოდ შემეცნებულ იქნას ღმერთის არცერთი სხვა ატრიბუტი,—და ამიტომ მე ვასკენი, რომ ადამიანის სულს არ შეუძლია ჰქონდეს შემეცნება არც ერთ სხვა ატრიბუტისა, ორი დასახელებულის გარდა“²¹.

რატომ მხოლოდ ორი ატრიბუტის შემეცნებაა შესაძლებელი, თუ კი სამყარო ერთიანია? თუ სამყარო ერთიანია, მაშინ ატრიბუტების უსასრულო რიცხვი უნდა მოქმედებდეს ცალკეულ მოდუსებში და, მაშასადამე, ადამიანის სულშიც, და არა მხოლოდ ორი ატრიბუტი, ხბლო თუ მრავალი ატრიბუტი ელინდება თუ მოქმედებს ჩვენს სულში, მაშინ ჩვენ უნდა შეგვეძლოს არა მხოლოდ ორის შემეცნება; დაახლოებით ასე სვამს საკითხს ვალტერ ჩირნაჟუსი თავის ერთ-ერთ წერილში სპინოზასადმი „...მოდიფიკაცია, რომელიც წარმოქმნის ჩემს სულს, და მოდიფიკაცია, რომელიც გამოხატავს ჩემს სხეულს, არსებითად ერთიანი იგივე მოდიფიკაციაა, ოღონდ გამოხატული უსასრულო ხერხებით: ჯერ ერთი—განფენილობით, მეორე—აზროვნებით, მესამე—ღმერთის რომელიმე ატრიბუტით, რომელიც ჩემთვის უცნობია და ა. შ. უსასრულობა“. დე“²². თუ ასეა, მაშ სული რატომ მხოლოდ ორ ატრიბუტს იმეცნებს,—ესაა ჩირნაჟუსის შემდგომი ასკელობის აზრი. ჩირნაჟუსის შეიერ დასმულ ამ კითხვას სპინოზა ვერ პასუხობს, ვერ პასუხობს ვერც თავის თხზულებებში და ვერც სპასტუხო წერილში.

ისმება კითხვა: რატომ მიაწერა სპინოზამ სუბსტანციას უსასრულოდ მრავალი ატრიბუტი? სუბსტანცია თუ უსასრულო არ არის, მაშინ ის სუბსტანციაც არ იქნება. მაგრამ თუ ამ უსასრულო სუბსტანციას უსასრულოდ მრავალი ატრიბუტი, ისევე როგორც ყოველი მისი თვისება თუ მხარე, უსასრულოდ

²⁰ მოსე გოგებრიძე, ფილოსოფიის ისტორია, 1940, გვ. 309—394.

²¹ Переписка Бенедикта де Спинозы, 1891, გვ. 379.

²² იქვე, გვ. 389.

მრავალი არ ექნა, მაშინ მისი უსასრულობა განსაზღვრული, შეზღუდული, დაბოლოებული გამოდის, ე. ი. უსასრულობა არ იქნება. ამიტომ დასკირდა სპინოზას სუბსტანციისათვის უსასრულოდ მრავალი ატრიბუტის მიწერა. „მოკლე ტრაქტატში“ ღმერთზე, ადამიანსა და მის ბედნიერებაზე“ სპინოზა წერს: „საფუძველი ასეთია: რამდენადაც არარას არ შეიძლება ჰქონდეს ატრიბუტები, ამდენად ყველაფერს უნდა ჰქონდეს ყველა ატრიბუტი. რამდენადაც არარას არა აქვს ატრიბუტები, იმიტომ, რომ იგი არარაა, რაიმეს აქვს ატრიბუტები იმის წყალობით, რომ იგი რაიმეა. მაშასადამე, ის რამდენადაც მეტად რაიმეა, იმდენად მეტად უნდა ჰქონდეს ატრიბუტები. აქედან—ღმერთს როგორც სრულყოფილს, უსასრულოს და ყველა „რაიმეს“ შემცველს, უნდა ჰქონდეს აგრეთვე უსასრულო, სრულყოფილი და ყველა ატრიბუტები“²¹.

სუბსტანციის ატრიბუტების შემეცნების საკითხშიც სპინოზა რაციონალიზმის ძირითადი პრინციპიდან—ცხადი და გარკვეული შემეცნებიდან გამომდის. ატრიბუტები დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან, მაშასადამე, ერთის შემეცნება დამოკიდებული არ არის მეორის შემეცნებაზე. ხოლო ის, რაც სხვებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. უშუალოდ საფეხურების დაუხმარებლად, შეიმეცნება, შეიმეცნება უშუალოდ დამაჩერებლობის ფორმით, ცხადად და გარკვეულად. უპირველესი, რასაც ჩვენ უშუალოდ შევიმეცნებთ, სპინოზასათვის ჩვენი არსებაა. აქედან გამომდინარე, სუბსტანციის ატრიბუტებიდან ჩვენ უშუალოდ, ცხადად და გარკვეულად იმას შევიმეცნებთ, რომლებიც ჩვენს არსებაშია, რომლებიც ჩვენში მოქმედებენ—ესაა განუფენილობისა და აზროვნების ატრიბუტები.

ატრიბუტების შემეცნებადობის საკითხი წარმოადგენს სპინოზას სისტემაში ერთ-ერთ ღრმა წინააღმდეგობას, რომელიც გადაულახავია საერთოდ მეტაფიზიკური მატერიალიზმისათვის და, კერძოდ, სპინოზასათვის. იყო რა განსაზღვრული სუბსტანციის ცნებით, სპინოზამ მიაწერა სუბსტანციას უსასრულოდ მრავალი ატრიბუტი, მაგრამ დაუშვა მხოლოდ ორის შემეცნების შესაძლებლობა, დანარჩენ ატრიბუტებს მან თავი ვერ გაართვა, ვერ ახსნა მათი რაობა და დამოკიდებულება შემეცნებად ატრიბუტებთან.

სასრულო აზროვნების მიერ უსასრულობის შემეცნების დიალექტიკური პრობლემა სპინოზამ ისევე ვერ გადაწყვიტა, როგორც ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც იდგა მის წინაშე და რომელთა გადასაწყვეტად დიალექტიკის იარაღი იყო საჭირო.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ТЕОРИИ ПОЗНАНИЯ СПИНОЗЫ

Д. ДАНЕЛИА

Резюме

Один из величайших представителей рационализма XVII в. Спиноза проводит резкую грань между эмпирической и рациональной ступенями познания, считая эту последнюю единственно достоверным и значительным компонентом познания.

²¹ Б. Спиноза, Избр. произв., т. I, гл. 82.

Геометрический метод в философии Спинозы находится в тесной связи с основным требованием его рационализма. Это требование — выведение всей системы из первых основных положений дедуктивно-рационалистическим способом.

Спиноза различает три вида познания: I — чувственное познание, II — рациональное, рассудочное и III — интуитивное познание.

В данной статье мы рассматриваем вопрос о взаимоотношении второго и третьего видов познания в философии Спинозы.

В отличие от К. Фишера и некоторых других исследователей Спинозы, мы думаем, что разум и интуиция в системе Спинозы не имеют различных областей, объектов познания. Различие их функций состоит не в том, какую сторону действительности они познают, а в том, как, каким способом познают. Интуицией мы познаем не только субстанцию, как таковую, но и сущность вещей на основе постижения сущности субстанции. Разум оперирует понятиями, умозаключениями, тогда как интуиция познает субстанцию и модусы единым, одновременным актом созерцания.

В статье рассмотрен также вопрос о познании атрибутов субстанции. Субстанция состоит из бесконечно многих атрибутов, но человек из них может познать лишь два — протяженность и мышление. Почему возможно познание только названных атрибутов? Если мир един, то бесконечное число атрибутов должно действовать в отдельных модусах, следовательно, и в человеческой душе. Поэтому мы могли бы быть в состоянии познать не только два атрибута. Спиноза стоит перед этой дилеммой. Указанием на человека как на существо, в котором атрибуты протяженности и мышления встречаются друг с другом, Спиноза не решает этой проблемы.

Вопрос о познаваемости атрибутов является одним из глубоких противоречий в философии Спинозы. Это противоречие непреодолимо для метафизического материализма вообще и, в частности, для Спинозы.

Диалектической проблемы познания конечным сознанием бесконечности Спиноза не смог решить так же, как и некоторые другие вопросы, которые стояли перед ним и для решения которых необходимо было всесильное оружие диалектики.

ნაკანონიერი პროლეტარე უზნაძის განწყობის თეორიაში

პ. ბოჭორიანი

ფსიქოლოგიის ფილოსოფიურ პრობლემათა შორის არაცნობიერის პრობლემას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. პოზიცია, რომელიც უჭირავს ფსიქოლოგს ამ საკითხის გადაჭრაში, არსებითად განსაზღვრავს მის ზოგადფსიქოლოგიურ კონცეფციას. ამდენად გასაგები უნდა იყოს, რომ სისტემატური კვლევა განწყობის თეორიის ფილოსოფიური საფუძვლებისა გვერდს ვერ აუქლის არაცნობიერის პრობლემას, ამ პრობლემის გადაჭრის შეფასებას განწყობის თეორიის მიერ.

რამდენადაც ცნობილია, რომ თვითონ ეს თეორია ვითარდებოდა წლების მანძილზე, 1923 წლიდან 1950 წლამდე, არაცნობიერის ცნებისადმი დამოკიდებულებაც შეიძლება სხვადასხვა ყოფილიყო, განწყობის ცნების შეცვლასთან ისიც შეცვლილიყო. მაგრამ ამას ესაჭიროება ჩვენება, დამტკიცება: ყველაფერი როგორ ხდება სინამდვილეში, რაც ლოგიკურად შესაძლებელია. ამიტომ დგება ამოცანა: როგორ უყურებდა დ. უზნაძე არაცნობიერის ცნებას, როგორ ჰქონდა მას წარმოდგენილი სხვადასხვა დროს განწყობის დამოკიდებულება ამ ცნებასთან.

საინტერესოა, რომ არაცნობიერის პრობლემა დადგა დ. უზნაძის წინაშე იმავე მომენტში, როგორც კი მას განწყობის იდეა გაუჩნდა. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა: იმისათვის, რომ განწყობის ცნება გაჩენილიყო, საჭირო შეიქმნა სრულიად გარკვეული პოზიციის დაჭერა არაცნობიერის მიმართ. საქმის გითარება იყო ასეთი:

ფსიქიკური ცხოვრების ახსნის პრობლემა დ. უზნაძის წინაშე წამოიჭრა აღქმის ინტენციონალობის, საგნობრიობის პრობლემის სახით. პასუხი უნდა გაცემულიყო შემდეგ კითხვაზე: როგორ მიიღო აღქმამ, ფსიქიკურმა ფენომენმა საგნობრიობის ნიშანი? როგორ მოხდა სუბიექტურისა და ობიექტურის იმგვარი დაკავშირება, რომ სუბიექტურში ასახულია ობიექტური?

ერთ-ერთი შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე იქნებოდა არაცნობიერი ფსიქიკის დასახელება იმ პროცესის ხელმძღვანელად, რომელშიაც ფსიქიკის იმგვარი გაფორმება ხდება, რომ იგი ობიექტური სინამდვილის სახეად არის წარმოდგენილი. თუ ამ პასუხს შევიწყნარებთ, მაშინ ფსიქიკური ცხოვრების ახსნის ამ თეორიას, როგორც მიღებულია, არაცნობიერის თეორია უნდა ეწოდოს. არაცნობიერი ფსიქიკით უნდა აიხსნას ცნობიერების ის მოვლენები, რომელთა ახსნის საშუალება ცნობიერებაში არ მოიპოვება. დ. უზნაძე რომ ამ გზით წასულიყო, ის იქნებოდა არა ახალი ორიგინალური თეორიის ავტორი, არამედ დიდი ხნიდან კარგად ცნობილი თეორიის, არაცნობიერის თეორიის ერთ-ერთი მიმდევარი და წარმომადგენელი. მაგრამ დ. უზნაძემ ეს გზა ფსიქიკურის ახსნისა უარყო. უარყო იგი შემდეგი მოსაზრებით: „ცნობიერების მი-

ნაარსზე ნსოლოდ ცნობიერების ფარგლებში შეიძლება ლაპარაკი, და არაცნობიერი შეგარძნება, არაცნობიერი აღქმა, გრძნობა და ნებელობა სრულიად სახართლიანად ითვლება *contradictio in adjecto*-ს “უცილობელ ნიმუშად”¹ არაცნობიერი ფსიქიკური ფენომენი შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. ცხადია, ამგვარი ცნებით მეცნიერული თეორიის აგება შეუძლებელია.

მართალია, დ. უზნაძე თითქოს პირობითად ლაპარაკობს არაცნობიერის შინაარსზე და მიუღებლად მას თვლის იმ შემთხვევაში, თუ მის შინაარსად იგულისხმება კვლავ ის, რაც ცნობილია ცნობიერების შინაარსის სახით. მაგრამ არაცნობიერის სხვა შინაარსზე იგი ამ ნაშრომში აღარაფერს ამბობს და, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ასეთი რამ არც ეგულება სადმე. ამიტომ მსჯელობას ამთავრებს არაცნობიერის უარყოფით და მის ადგილზე ქვეფსიქიკურის ცნებას აყენებს. არა ქვეცნობიერი და არაცნობიერი უნდა დაედოს საფუძვლად და წამმართველად ფსიქიკურ პროცესს, არამედ ქვეფსიქიკური, არაფსიქიკური, რომელიც განსხვავდება როგორც ფიზიკურისგან, ისე ფსიქიკურისგან.

დ. უზნაძე ამ „უცნობ ქვეფსიქიკურ არეს“ ჯერ კიდევ არ ეძახის განწყობას. ეს ტერმინი ამ ახალი სინამდვილის აღსანიშნავად შედარებით გვიან იყო გამოყენებული.

„ქვეფსიქიკური“ პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რომ ამ ტერმინით აღნიშნული სინამდვილე ფსიქიკური არ არის, ფსიქიკაზე აღრე არსებობს და მას აღორძინებს და ობიექტურ სინამდვილესთან აერთებს, აკავშირებს. რახან სუბიექტურისა და ობიექტურის უშუალო კავშირი, დ. უზნაძის თქმით, „სასწაული იქნებოდა“, საჭირო გახდა ამ ორი ანტიპოდის დამაკავშირებელი ინსტანცია, შეაქაველი. ამ ფუნქციას ასრულებს დ. უზნაძის მიერ აღმოჩენილი ახალი, ჯერ კიდევ მეცნიერებისათვის უცნობი, სინამდვილე. „რომლისთვისაც სუბიექტურისა და ობიექტურის საწინააღმდეგო პოლუსები სრულიად უცხოა... იგი სუბიექტური ბუნების არ არის, იგი არც ობიექტური ბუნებისაა“. ამაშია მთელი უპირატესობა ამ სინამდვილისა: რადგან იგი ობიექტური ბუნებისა არ არის, „იგი ჩვენს ცნობიერებაში ფსიქიკურ პროცესთა სახით ითარგმნება“, ხოლო რადგან „იგი სუბიექტური ბუნების არ არის“, ობიექტის ზეგავლენით მასში მომხდარი „ცვლილება“ „ადეკვატურა გამოხატულებაა ობიექტურისა“².

დ. უზნაძის აზრი სრულიად ნათელია: მის მიერ აღმოჩენილი სინამდვილე იმიტომ ხასიათდება როგორც აღმოჩენილი და როგორც „სინამდვილის ჯერ უცნობი არე“, რომ ის არ არის არც ობიექტური და არც სუბიექტური, არც ფიზიკური და არც ფსიქიკური სინამდვილე. დ. უზნაძის პრობლემა ობიექტურისა და სუბიექტურის კავშირია. ეს კავშირი გასაგები უნდა გახდეს, უნდა მოიხაზოს ისეთი ინსტანცია, რომელიც ამ კავშირს დამყარებს მათ შორის. პრობლემა იმიტომ არის ეს კავშირი წარმოდგენილი, რომ ობიექტური და სუბიექტური „პრინციპულად ანტიპოდები“ არიან ერთმანეთისა და ამიტომ ისინი თავისით, უშუალოდ ვერ დაუკავშირდებიან ერთმანეთს. დ. უზნაძის აზრით, მათ დაკავშირებას შეძლებს მხოლოდ ისეთი სინამდვილე, რომელიც არ იქნება არც ობიექტური და არც სუბიექტური. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ეს მესამე ინსტანცია იქნებოდა ან ობიექტური ან სუბიექტური, საძიებელი კავშირი ვერ დამყარდებოდა, პრობლემა პრობლემად დარჩებოდა: პრობლემის

¹ დ. უზნაძე, *Impersonalia*, ჩვენი მეცნიერება, 19.8—1923, გვ. 6.

² *Impersonalia*, გვ. 7.

შინაარსი ხომ ის არის, რომ სუბიექტური და ობიექტური ერთმანეთს ვერ უკავშირდებიან, რამდენადაც ისინი არიან სუბიექტური და ობიექტური!

ეს მდგომარეობა დარჩება უცვლელი, თუ ვიგულისხმებთ, რომ შუამავალი სინამდვილე, ქვეფსიქიკური ობიექტურიც არის და სუბიექტურიც. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება არა ანტიპოდობის პრობლემის გადაჭრასთან, არამედ ამ პრობლემის გაუქმებასთან, მის მოჩვენებითობასთან, სერიოზული შედეგების გამოწვევებთან: თურმე სუბიექტური და ობიექტური არ ყოფილან პრინციპული ანტიპოდები, ურთიერთგამომრიცხველი ინსტანციები: ეს იქიდან შტკიცდება, რომ არის სინამდვილე, რომელიც ობიექტურიც არის და სუბიექტურიც, სადაც ერთ მთლიანში არიან გაერთიანებული ანტიპოდური პოლუსები. თუ ეს ასეა, აქედან მხოლოდ ერთი ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობს: დ. უზნაძის ეს ახალი თეორია სრულიად ზედმეტია, იგი უსავნაო, პასუხია ისეთ პრობლემაზე, რომელიც არ არსებობს, მხოლოდ მოჩვენებითი პრობლემაა. ამგვარი „პრობლემის“ გადაჭრაც მხოლოდ მოჩვენებაა და ენერგიის უქმი ხარჯვა: პრობლემის გაუქმება—თეორიის გაუქმებასაც ნიშნავს.

ამგვარად, არაცნობიერის დაშვება და ქვეფსიქიკურის თეორია შეუთავსებელი არიან ერთმანეთთან. ისინი არიან გამიზნული ერთი და იგივე პრობლემის გადასაჭრელად, ხოლო თავისი ბუნებით პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: პირველი მათგანი ფსიქიკურია, სუბიექტურია, მეორე არაა სუბიექტური. არაფსიქიკური. იგი ქვეფსიქიკურია. ამაშია მისი არსი, მისი სპეციფიკა. არაცნობიერში აქ ყოველთვის იგულისხმება ფსიქიკური სინამდვილე, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება ჩვენთვის კარგად ცნობილი განცდებიდან, რომ მას „ცნობადობა (сознаваемость)“ აკლია³.

რა მოხდებოდა, დ. უზნაძეს რომ განეცხადებინა პოზიტიურად ის აზრი, რომ არაცნობიერის შინაარსი არის არა ეს განცდები, რომელთაც ყველანი კარგად ვიცნობთ, შეგრძნებები, წარმოდგენები, გრძნობები, აზროვნება და ა. შ., არამედ სრულიად ამათგან განსხვავებული, მაგრამ მაინც ფსიქიკური პროცესები?

ამ შემთხვევაშიც არ დადგებოდა ქვეფსიქიკურის ცნების საჭიროება, არ იქნებოდა ლაპარაკი სრულიად უცნობი სინამდვილის აღმოჩენაზე (რადგან იგი მაინც ფსიქიკად ითვლება) და, რაც მთავარია, დ. უზნაძის პრობლემა მოიხსენებოდა: თუ ფსიქიკას შეუძლია ობიექტთან უშუალო კავშირი დაამყაროს და მისი „სურათი ცნობიერი პროცესების სახით გაშალოს ჩვენს წინაშე, რაღა პრობლემის შინაარსი, რა არის აქ სინდელ და დასაძლევე აპორია? ხომ ვერ ვიტყვოდით, რომ არაცნობიერ ფსიქიკას მეტი შეუძლია, ვიდრე ცნობიერს? ეს მართლა სასწაული იქნებოდა: არაცნობიერი ფსიქიკა ხომ ნაკლებია ცნობიერ ფსიქიკაზე და არა მასზე მეტი!? რაც არ შეუძლია ფსიქიკას თავის ცნობიერ მდგომარეობაში, იმას ის ვერ შეძლებს ვერც მაშინ, როცა იგი არაცნობიერად აქნება წარმოდგენილი, როცა მას ცნობიერებას ჩამოვაცილებთ.

მაგრამ, ეგების გვითხრან, რომ არაცნობიერის შინაარსი არსებითად განსხვავდება ცნობიერი ფსიქიკის შინაარსიდან და, ამიტომ, მას შეუძლია გააკეთოს ის. რისი გაკეთებაც ცნობიერ განცდას არ შეუძლია.

ჩაუვყვირდეთ ამ მსჯელობას. რომელ განსხვავებაზეა აქ ლაპარაკი?

³ Impersonalia, გვ. 6.

თუ არაცნობიერის შინაარსი ფსიქიკად რჩება, მდგომარეობა იგივე იქნება: პრობლემა აღმოცენებულია არა ფსიქიკის ან თუ იმ შინაარსის კავშირის გამო ობიექტურ სინამდვილესთან, იმაზე კი არ არის ლაპარაკი დ. უზნაძის პრობლემაში, თუ როგორ შეიძლება დაუკავშირდეს ფსიქიკურის რომელიმე კონკრეტული შინაარსი ობიექტურ მოვლენას, არამედ იმაზე, თუ როგორ არის საერთოდ, პრინციპულად შესაძლებელი კავშირი სუბიექტურსა და ობიექტურს შორის, ფსიქიკასა და ფიზიკურს შორის. თუ არაცნობიერი რჩება ფსიქიკად, მაშინ პრობლემა ძალაშია და დიად რჩება, სპირო ხდება ძიება იმ ინსტანციისა, რომელიც დაამყარებს კავშირს არაცნობიერ ფსიქიკასა და ობიექტურ სინამდვილეს შორის. ამ ცნების დამუშავებით, მაშ., ერთი ნაბიჯითაც არ წავსულვართ წინ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ახალ სიძნელეებზე, რომელნიც აუცილებლად ერთიან არაცნობიერი ფსიქიკის დამუშავას საერთოდ.

არის კიდევ ასეთი „გამოსავალი“. ვიგულისხმობ, რომ არაცნობიერის შინაარსი ფსიქიკურად არის და ფიზიკურად, იგი ფსიქოფიზიკური მთლიანობაა ამ შემთხვევაშიც საქმე გვექნება დ. უზნაძის პრობლემის გაუქმებასთან: თუ ასეთი „სინთეზი“ შესაძლებელია, პრობლემა ობიექტურისა და სუბიექტურის კავშირის შესახებ მოჩვენებითი ყოფილა. სუბიექტური და ობიექტური არ ყოფილან პრინციპული ანტიპოდები. პირიქით, თურმე ისინი საღდაც, სულ ერთია, სად, ერთ მთლიან წარმოდგენენ. თუ ასეა, რისთვის გვინდა ობიექტურისა და სუბიექტურის შუამავალი? რისთვის, რა ფუნქციის შესასრულებლად გვინდა ქვეფსიქიკური? რისთვის იბრძოდა დ. უზნაძე წლების მანძილზე?

ამგვარად, იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც დადგა დ. უზნაძის წინაშე, არ გამოდგებოდა არაცნობიერის არც უკვე ცნობილი ცნება და არც მისი ახალი შინაარსით წარმოდგენილი გაგება. ორივე შემთხვევაში დ. უზნაძის პრობლემა ან უქმდება სრულიად და მასთან ერთად უქმდება მისი ქვეფსიქიკურის თეორიაც, ანდა საკითხი საწყის მდგომარეობას არ შორდება და მის გადასაჭრელად წარმოებული ძიება, თუ უფრო გართულებული არა, გაადვილებული მაინც არ არის. არაცნობიერის ჰიპოთეზი ქვეფსიქიკურის ცნების მოწინააღმდეგე და კონკურენტი. ამ ცნებათა შეთავსება ურთიერთთან აბსოლუტურად გამორიცხებულია. ასეც გადაწყვიტა ეს საკითხი დ. უზნაძემ თავის „იმპერსონალიზმი“. იმ ნაშრომში, რომელშიაც არის პირველად ჩამოყალიბებული იდეა განწყობის შესახებ⁴, არაცნობიერი ფსიქიკის უარყოფა ქვეფსიქიკურის ცნების მოთხოვნა და წინა პირობაა.

„იმპერსონალიზმ“ მოჰყვა „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (1925). არაცნობიერის პრობლემას ამ ნაშრომში ცალკე თავი აქვს დათმობილი. ამ ადგილას ეს საკითხი გარჩეულია ტრადიციული წესით, ცნობიერების პრობლემისთან დაკავშირებით. ამ ცნების დამოკიდებულება ქვეფსიქიკურის ცნებასთან ამ თავში განხილული არ არის. შეიძლება თუ არა არსებობდეს არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენა?—ასე დგას აქ საკითხი. დ. უზნაძის პასუხი ამ კითხვაზე ნათელია და გარკვეული: „ამგვარად, ჩვენი ანალიზის შედეგი ასეთია: არაცნობიერი ფსიქიკური განცდა არ არსებობს“.

⁴ იხ. დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949, წინასიტყვაობა.

⁵ დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, მეორე გამოცემა, 1960, გვ. 160.

როგორია შინაარსი ამ ანალიზისა?

არაცნობიერის ცნების ანალიზს დ. უზნაძემ წარუმძღვარა ცნობიერების ანალიზი, რომლის შედეგად მან ასეთი დასკვნა გააკეთა: „ფსიქიურ ფენომენთა განსაკუთრებული თავისებურება მათ ცნობიერებაში უნდა ვიგულოთ. ამის მიხედვით, სრულიად უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი ცდა, რომელიც ფსიქიურ ფენომენთა შორის არაცნობიერის სფეროს დადასტურებას ლაშობს. ასეთია დასკვნა, რომელიც ცნობიერების ჩვენი ანალიზიდან გამომდინარეობს“⁶. მართალია, წერს დ. უზნაძე, ცნობიერებას მრავალი მნიშვნელობა მიეწერება, მაგრამ ერთი მისი მნიშვნელობა ძირითადი და გადაწყვეტილია. სხვა მნიშვნელობანი ამ ძირითადიდან გამომდინარეობენ, მას ემყარებიან. ეს მნიშვნელობა ცნობიერებისა არის ის, რომ იგი უშუალო ცოდნაა, განსხვავებით რეფლექსური ცოდნისაგან, რომელიც სრულიად შეუძლებელი, განუხორციელებელი იქნებოდა, ეს უშუალო ცნობიერება—ცოდნა რომ არ ყოფილიყო⁷. „ცნობიერების ძირითადი მნიშვნელობა ისაა, რომ ყოველი ფსიქიური ფენომენი განცდას წარმოადგენს, ე. ი. იგი უშუალო, ურეფლექსო ცოდნას შეიცავს, რომელიც თვითონ განცდასთან და განცდაშია მოცემული“⁸. ცნობიერება განცდაშია მოცემული, მის გარეთ იგი არ არსებობს. ყველაფერი, რაც უნდა გახდეს შემეცნების საგანი, დ. უზნაძის აზრით, განცდად უნდა მოგვეცეს, რადგან „...შემეცნების შესაძლებლობის ფარგლები განცდის შესაძლებლობის ფარგლებს არ სცილდება“⁹. „რამდენადაც ყოველი ფსიქიური ცნობიერება და ცნობიერი ურთიერთს ემთხვევიან და ამდენად სრულიად სამართლიანია, ცნობიერების სახელწოდების ქვეშ განსაზღვრული სუბიექტის ფსიქიურ მოვლენათა შთელი სამკვიდრო იყოს გაერთიანებული“¹⁰. ამგვარად, განცდა და (უშუალო) ცნობიერება ერთი და იგივეა. არაცნობიერ ფსიქიკაზე ლაპარაკი იგივეა, რაც ლაპარაკი არაცნობიერ ცნობიერებაზე. დ. უზნაძის აზრით, არაცნობიერი და ფსიქიკა შეუთავსებელი ცნებებია, ისინი ლოგიკურად გამორიცხავენ ერთმანეთს. ცნობიერება ის „ნიშანია“ ფსიქიკურისა, რომლითაც იგი განსხვავდება იმისგან, რაც არ არის ფსიქიკური. ცნობიერების ნიშნის დაკარგვით ფსიქიკა ჰკარგავს ფსიქიკურობის თვისებას. ამას გვაძლევს არაცნობიერების შესახებ ცნობიერებისა და ფსიქიკის რაობის ანალიზი.

შეიძლება გვეთქვა, რომ ამის შემდეგ ზედმეტია არაცნობიერის ცნების ანალიზი, რაც ლოგიკურად შეუძლებელია. შეუძლებელია ემპირიულადაც, რადგან უფლება რჩება იმისათვის, რომ აღნიშნული ლოგიკურ-არსობრივი ანალიზის შედეგ კიდევ მივიჩნიოთ საჭიროდ არაცნობიერის ანალიზი იმის დასადგენად, ნიშნდება თუ არა არსებობდა სინამდვილეში ამ ცნების შესატყვისი მოვლენა. ვინ ეძებს შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნების ემპირიულ ეკვივალენტს?!

⁶ დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 146.

⁷ იქვე, გვ. 137.

⁸ იქვე, გვ. 144.

⁹ იქვე, გვ. 139.

¹⁰ იგივესმგება განცდის უშუალო, თავისთავადი ცნობიერება, განსხვავებით „გარეგანი“, რეფლექსური ცნობიერებიდან, რომელიც არაფსიქიკურსაც შეიძლება შეინიჭოს.

¹¹ იქვე, გვ. 144 — 145.

მაგრამ აქ საქმე ეხება არა ამას, არა ამ ცნების კანონზომიერობის გარკვევას, არამედ იმის ახსნას, თუ რამ აიძულა ზოგიერთი ფსიქოლოგი, საჭიროდ მიეჩინა არაცნობიერი ფსიქიკის ცნების შემოტანა ფსიქოლოგიაში. რა მოსაზრებას აყენებენ ამ ჰიპოთეზის დამცველები მის გასამართლებლად?

დ. უზნაძე ამ მოსაზრებათა სამ ჯგუფს განიხილავს და დაასკვნის, რომ ამათგან მხოლოდ ერთი შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ არაცნობიერად. ორი დანარჩენი შეიცავს პირველადს ცნობიერებას, უშუალო ცოდნას და ამიტომ მათზე მითითებას არაცნობიერის დასაბუთების მიზნით არა აქვს არავითარი გამართლება. ნამდვილ არაცნობიერად, დ. უზნაძის აზრით, მხოლოდ ის თეორიული ცნება შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ახსნის ამოცანას „ემსახურება და თანდაყოლილსა და შეძენილ დისპოზიციებს შეიცავს თავის შინაარსად“¹². არაცნობიერის ცნების უაქტობრივ-ემპირიული გამართლება, მასშადადამე, დისპოზიციის რაობას უკავშირდება.

დისპოზიციები რომ ცნობიერების გარეთ უნდა არსებობდნენ, ეს სადავოს არაფერს შეიცავს. ეს ცნება თავისი გენეზისით იმაზე მიუთითებს, რამაც ცნობიერების ფუძემდებლობა უნდა იკისროს, ის გაგვაგებინოს, რაც ცნობიერებას ვერ უთქვამს ჩვენთვის, რისი ახსნაც ცნობიერებით არ შეიძლება. „საკითხი შეიძლება მხოლოდ იმის შესახებ დაისვას, ფსიქიურია იგი თუ არაფსიქიური“¹³. მეხსიერება-კვალი, ნიჭი და პიროვნული თვისებები უეჭველად არსებობენ, მაგრამ რა სახით, სინამდვილის როგორი ფორმით, გარკვეული არ არის. სადავო ესაა, დ. უზნაძის აზრით, არაცნობიერის დამცველთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

ვინც, დ. უზნაძის მსგავსად, უარყოფს ამ მოვლენების ფსიქიკურობას, ის ვალდებულია, მოგვეცეს პასუხი კითხვაზე: როგორია ბუნება დისპოზიციებისა (ფართო მნიშვნელობით), როგორი სინამდვილის სახით უნდა ვიაზროთ ისინი?

რომ ისინი ფსიქიური არ შეიძლება იყვნენ, ეს იქიდანაც ცხადია, რომ ფსიქიური, საერთოდ, არ შეიძლება იყოს ცნობიერებას როკლებული, არ შეიძლება არსებობდეს ცნობიერების გარეთ. დისპოზიციის რაობის ის განსაზღვრება, რომელიც მას ფსიქიურად წარმოიდგენს, დ. უზნაძემ უკვე უკუაღწერა ამას მოითხოვს როგორც ცნობიერების, ესე არაცნობიერის ცნების ანალიზი: ფსიქიური არ შეიძლება არ იყოს ცნობიერი, ზოლო არაცნობიერი არ შეიძლება იყოს ფსიქიური. ფსიქიკა იგივეა, რაც განცდა, განცდა იგივეა, რაც ცნობიერება¹⁴. რჩება უკვე ცნობილი თეორიებიდან ორი. ერთის მიხედვით, ის, რაც უნდა დაფუძვთ, რათა ცნობიერების მოვლენები ავხსნათ, ის, რაც დისპოზიციების (მეხსიერების, ნიჭის, თვისებების) ბუნებას გავგვაგებინებს, არის ფიზიოლოგიური სინამდვილე. ფსიქიკის, ცნობიერების მიღმა არსებული სინამდვილე, რომელიც მას ფორმას, შინაარსსა და მიმართულებას აძლევს, არის ამ თეორიის მიხედვით, ფიზიოლოგიური პროცესი. ფსიქოლოგია, ამის მიხედვით, შესაძლებელია იყოს მხოლოდ ფიზიოლოგიური. ფიზიოლოგიურის ცნება აუცილებელი და საკმარისია იმისთვის, რომ ფსიქოლოგია გახდეს თეორიული, ახსნითი მეცნიერება. ამ თეორიას, რასაკვირველია, არ ეწოდება არაცნობიერის თეორია, თუმცა ფიზიოლოგიური პროცესი არაცნობიერია. ისტორიულად

¹² დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 157.

¹³ იქვე, გვ. 151.

¹⁴ იქვე, გვ. 142. „...განცდა თვითონაა წყდომა, შეტყობა, ცოდნა იმისა, რაც განიცდება“.

განმტკიცდა და ტრადიციად იქცა—„არაცნობიერის“ ქვეშ იგულისხმონ ყოველთვის ფსიქიკური. პრობლემა არაცნობიერისა ყოველთვის იყო ფსიქიკის არაცნობიერად არსებობის პრობლემა. ფიზიოლოგიურა და საერთოდ, არაფსიქიკური რომ შეიძლება არსებობდეს არაცნობიერის სახით, ეს არასოდეს პრობლემა არ ყოფილა ფსიქოლოგიაში¹⁵. დ. უზნაძე მეტსაც ამბობს. არა თუ შეიძლება, არამედ აუცილებელია, რომ ყველაფერი, რაც არ არის ფსიქიკა, უნდა იყოს არაცნობიერი, რადგან „...ცნობიერი მხოლოდ ფსიქიკურია“¹⁶. ამ თეორიას, რომელიც არაცნობიერის ადგილას ფიზიოლოგიურ მოვლენას ათავსებს, ფსიქოლოგთა უმრავლესობა ემხრობა.

მეორე თეორია არ კმაყოფილდება მარტო ფიზიოლოგიურით და ცნობიერი ფენომენების საფუძვლად ფსიქოფიზიოლოგიურ სინამდვილეს ასახვლებს. ეს, ასე ვთქვათ, კომპრომისული თეორიაა არაცნობიერისა, რომელიც ცდილობს თავისი პიპოთეზით ფსიქიკური არაცნობიერისა და ფიზიოლოგიური არაცნობიერის დებულების იმგვარი სინთეზი მოგვეცეს, რომელიც ერთ ცნებაში მოუყრის თავს, რაც არის დადებითი თვითეულ მათგანში და ამით თავს აარიდებს ამ თეორიათა ცალმხრიობას.

რა პოზიციას იჭერს დ. უზნაძე ფიზიოლოგიური და ფსიქოფიზიოლოგიური თეორიების მიმართ?

თავისთავად იგულისხმება, რომ ის ვერ მიიღებს ვერც ერთსა და ვერც მეორე თეორიას. ასე რომ მოიქცეს, ერთ-ერთი ამ თეორიათაგანი რომ გაიზიაროს, საკუთარი თეორია უნდა დატოვოს, თეორია, რომელიც ამ ნაშრომში ჯერ კიდევ ქვეფსიქიკურის სახელწოდებას ატარებს. ამ ცნების პირველი გააზრებისთანავე დ. უზნაძემ უარყო როგორც ფსიქოლოგისტური თეორია, რომელიც არაცნობიერის ცნებით არის წარმოდგენილი, ისე ფიზიოლოგიური თეორიაც, რომელიც ობიექტურისა და სუბიექტურის უშუალო ურთიერთობას ემყარება და ამით სასწაულებრივ დებულებას აყენებს¹⁷. რაც ცალ-ცალკე შეუძლებელია, შეუძლებელი უნდა იყოს მაშინაც, როცა ეს შეუძლებელი ერთად არიან აღე-

¹⁵ საკითხის ახალ დაყენებას. ნ. გვაქვს საქმე ფ. ბასინის კონცეფციას. Ф. В. Басин, К проблеме „бессознательного“ (Вопросы философии, 1962, № 7). პრობლემას აქ წარმოადგენს არა ფსიქიკის, განცდის არსებობა არაცნობიერად, არამედ ისეთი ფიზიოლოგიური პროცესებისა, რომელთაც ჩვეულებრივ ცნობიერი პროცესები ახლავს თან. როგორც არ უნდა შევავსოთ არაცნობიერის პრობლემის ამგვარი დაყენება, უდავოა ის, რომ იგი ფსიქოლოგიაში (და ფილოსოფიაში) საყოველთაოდ ცნობილ პრობლემას არაცნობიერისას არ ენება. არ ენება იგი, რა თქმა უნდა, არც იმ საკითხს, რომელიც ღვას დ. უზნაძის წინაშე. არასოდეს დ. უზნაძის წინაშე არ მდგარა საკითხი ფიზიოლოგიური პროცესის არაცნობიერად არსებობის შესახებ. მისთვის არ საჭიროებს დამტკიცებას ის, რომ ყოველგვარი არაფსიქიკური და, მაშასადამე, ფიზიოლოგიურიც არაცნობიერია. ამიტომ დ. უზნაძის დამოწმება ბასინის მიერ თავისი კონცეფციის გასამაჯრებლად, გაუგებრობაზე არის აღმოცენებული.

¹⁶ „სიახლის“ შესახებ, რომელიც ახასიათებს საკითხის დაყენებას ბასინის მიერ: ამის მსგავსი დაყენება საკითხისა აქვს მ. პრინის (Новые идеи в философии, сборн. № 15, 1914). აქ პანფსიქისტური კონცეფციის საფუძველზეა საკითხი დასმული: რაზან ყველაფერი ფსიქიკაა, ხომ არ არის მისი ზოგი ფორმა არაცნობიერ მდგომარეობაში? სხვანაირად, ფსიქიკის არსებობის ცნობიერსა და ჩვეულებრივ ფორმას ხომ არ ახლავს გამონაკლისი, როცა იგი უცნობიეროდ არსებობს? ფ. ბასინი: იმ ფიზიოლოგიურ პროცესებს, რომელთაც ჩვეულებრივ ახლავს ფსიქიკა, ხომ არა აქვთ გამონაკლისი, როცა ეს პროცესები უცნობიეროდ მიმდინარეობენ?

¹⁶ იქვე, გვ. 144.

¹⁷ იხ. დ. უზნაძე, Impersonalia, გვ. 6.

ბული. ეს ითქმის ამ თეორიებზე ზოგადფილოსოფიური თვალსაზრისით, რომელიც წმინდა სახით იყო დ. უზნაძის მიერ გამოყენებული მის ნაშრომში „Impersonalia“.

ამჯერად, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებში შემდეგი კონკრეტული მოსაზრებებია წამოყენებული დამატებით: მართალია, „ფსიქოლოგთა დიდი უმრავლესობა“ დისპოზიციებს ფიზიოლოგიური პროცესის სახით წარმოადგენს, მაგრამ ამ შეხედულებას „...ერთი დიდი დაბრკოლება ელობება წინ, რომლის გადალახვაც სრულიად ვერ ხერხდება“¹⁸. დაბრკოლება ეხება ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის კავშირს. „მეხსიერებაში გამოწვეული წარმოდგენა ფსიქიური განცდაა და არა რაიმე ფიზიოლოგიური პროცესი. როგორ შეიძლება, რომ საცხებით ფიზიოლოგიური ბუნების ფენომენმა ფსიქიურის წარმოშობა ახსნას? ფიზიოლოგიური ცვლილება მხოლოდ ფიზიოლოგიურის არეში მიმდინარეობს და პრინციპულად განსხვავებული ფსიქიური სინამდვილის სფეროს იგი ვერასოდეს ვერ შეხვდება“¹⁹. აქ მეორდება „იმპერსონალიაში“ გამოყენებული საბუთი ფიზიოლოგიური თეორიის წინააღმდეგ ფსიქიური მოვლენების ასახსნელად. ფსიქიკის ასახსნელად გამოყენებული დისპოზიცია თუ წმინდა ფსიქიკური არა, მისი ნარევი მაინც უნდა იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში, წერს დ. უზნაძე, საქმე გვექნება არა არაცნობიერ ფსიქიკურთან, არამედ არაცნობიერ ფსიქოფიზიკურთან: „არაცნობიერი ფსიქიურისათვის ადგილი აღარსად რჩება და, მამასადამე, იგი უარყოფილი უნდა იქნეს“²⁰.

დ. უზნაძის მთავარი ამოცანა, როგორც ფსიქოლოგისა, ფსიქოლოგიის თეორიის შექმნაა. ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი ამ თეორიის შესაქმნელად არის დებულება, რომ ფსიქიკური მოვლენების, ცნობიერების შინაარსების საშუალებით (მარტო) ასეთი თეორიის აგება შეუძლებელია. ამისთვის „საჭიროა ფსიქიურის ფარგლებს გადავცდეთ: მაგრამ არც ფიზიოლოგიურ ფაქტებს აქვთ უნარი, ფსიქიკურ განცდათა თავისებური მიმდინარეობის საკმარისი ახსნა მოგვაწოდონ“²¹. მამასადამე, თუ ფსიქოლოგიური თეორიის ასაგებად არც ფიზიოლოგიური სინამდვილე გამოდგება (რადგან ის ფსიქიკას „ვერასოდეს ვერ შეხვდება“) და არც არაცნობიერი ფსიქიკა (რადგან ასეთი მოვლენა არ შეიძლება არსებობდეს.), მაშინ საჭიროა, სრულიად ახალი გზა იყოს ნაცადი. ასეთ გზაზე მიუთითებს ქვეფსიქიკურის ცნება.

არაცნობიერსაც სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. როცა ის მხოლოდ ზოგადად მიუთითებს რაღაც სინამდვილეზე, რომელსაც შესწევს ძალა, — აგვისხნას ფსიქიკური მოვლენების თავისებურება, მასზე უარს თითქოს არავინ ამბობს. თუ ცნობიერება ახსნას საჭიროებს პრინციპულად, იგი უნდა აიხსნას იმით, რაც არ არის ცნობიერება. ეს ლოგიკურად გამომდინარე დასკვნაა ცნობიერების, ფსიქიკის ახსნის საჭიროებიდან. აზრთა სხვაობა იწყება იმ მომენტიდან, როცა არაცნობიერის, ამ რაღაცას შინაარსის გარკვევა ხდება. ამიტომ გასაგებია დ. უზნაძის შემდეგი სიტყვები: „რა არის, არსებობდა, ის, რაც არაცნობიერად უნდა ჩაითვალოს?“ „არაცნობიერის“ ყველა არსებული თეორიის ძირითადი შეცდომა მისი ბუნების ფსიქიკურობის აღიარებაში მდგომარეობს. ჩვენ ამ შეხედულებებს ქვეფსიქიკურის ცნებას ვუპირდაპირებთ და ვფიქ-

18 დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 159.

19 იქვე, გვ. 159—160.

20 იქვე, გვ. 160.

21 იქვე.

რობთ, რომ სინამდვილის სწორედ ეს ქვეფსიქიური სფეროა, ფსიქოლოგთა გონებას ე. წ. „არაცნობიერის“ საძიებლად რომ მიმართავს“²².

აქამდე მოგვიყვანა ცნობიერებისა და არაცნობიერების უზნაძისეულმა ანალიზმა. რას გვეტყვის ქვეფსიქიკურის ცნება, მისი განვითარების ამ სტადიაზე, არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ? თუ ცნობიერების ანალიზი მოითხოვს არაცნობიერი ფსიქიკის უარყოფას, ეგების ეს ჭირდება ქვეფსიქიკურს, როგორც ახსნის ცნებას?

დ. უზნაძის პასუხი ამ კითხვაზე გადაჭრით უარყოფითია²³; არაცნობიერი ფსიქიკის ცნება ლოგიკურად გაუმართლებელიც რომ არ იყოს, მაშინაც იგი უარსაყოფი იქნებოდა, დ. უზნაძის აზრით. მოვიყვანოთ ამ აზრის რამდენიმე ილუსტრაცია:

დ. უზნაძე ეხება ფსიქო-ვიტალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენლის ე. ბეხერის შეხედულებას მიზანშეწონილი ქცევის შესახებ და დასძენს: „...არ არსებობს არავითარი საბუთი, იქაც ფსიქიკური ფაქტორები ვიგულისხმობთ, სადაც ცნობიერება მათ ვერასდროს ვერ აღასტურებს“. „...რა უფლება გვაქვს, ფსიქიკური ვუწოდოთ ისეთ რამეს, რაც ფსიქიკურის ძირითად თვისებას, ცნობიერობას სრულიად მოკლებულია?“²⁴.

რა ბედი ეწია ამ ნაშრომში დ. უზნაძის ძირითად პრობლემას, — სუბიექტურისა და ობიექტურის კონტაქტის საკითხს?

„იმპერსონალიაში“ ამ კონტაქტს ამყარებს სინამდვილის ის არე, რომელიც „დღემდე უცნობი“ იყო. ეს სინამდვილე თავისთავადი სინამდვილეა, რამდენადაც სუბიექტურისა და ობიექტურის ურთიერთობა მას ემყარება, რამდენადაც იგი „...ობიექტურსა და სუბიექტურს, შეგარძნებასა და ობიექტს შუამავლობს“²⁵...

„ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“ ქვეფსიქიკური გვევლინება არა როგორც სუბიექტისა და ობიექტის კონტაქტის პირობა, არამედ როგორც ამ კონტაქტის პროდუქტი. „სიტუაცია“²⁶ სწორედ ეს მთლიანი მდგომარეობაა, რომელშიც სუბიექტი და ობიექტი „ურთიერთში ილესება“. „ჩემი მდგომარეობა... ის თავისებური მდგომარეობაა, რომელშიც სუბიექტური (მე, ჩემი მდგომარეობა) და ობიექტური (გარე აგენტი) ურთიერთს ხვდება და ურთიერთში ილესება, რომელშიც სუბიექტურისა და ობიექტურის განსხვავებული ასპექტები ისპობა, გამოუსადეგარი ხდება და რაღაც თავისებური განუწევრებელი მთლიანობის სახით გვევლინება“²⁷, როგორც ფორმაში ან მოყვანილობაში (Gestalt) მისი ელემენტებისა აღარაფერი ჩანს, ისე სიტუაციაში სუბიექტისა და ობიექტის აღარაფერი ჩანს. ქვეფსიქიკურის გენეზისი და თვისება გეშტალტქვალიტეტს მოგვაგონებს.

²² დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 170—171.

²³ იქვე, გვ. 171.

²⁴ იქვე, გვ. 177—178.

²⁵ „იმპერსონალია“, გვ. 7.

²⁶ „სიტუაცია“ აქ იმარება „ქვეფსიქიკურისა“ და „ბიოსფეროს“ მნიშვნელობით. მერმანდელ ნაშრომებში ამ ტერმინს დაუბრუნდა მისი პირველი ბუნებრივი მნიშვნელობა და მოთხოვნილებასთან ერთად განწყობის აღმოცენების ერთ-ერთ პირობად გვევლინება.

²⁷ დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 184.

როგორც არ უნდა ვიფიქროთ ქვეფსიქიკურის ბუნების შესახებ მოცემულ ამ ორი განმარტების ურთიერთობაზე²⁸, ერთი რამ მაინც ცხადია: ქვეფსიქიკური არ შეიცავს თავის თავში ობიექტურსა და სუბიექტურს კომპონენტების სახით. „არც ხორცის ნაჭერი თავისთავად და არც შიმშილი თავისთავად სიტუაციის შემადგენლობაში არ შედის“. თუმცა „თვითონ სიტუაცია ის თავისებური მდგომარეობაა, რომელიც, ვთქვათ, მშვიდი ძაღლის მიერ ხორცის აღქმა მომენტში ჩნდება“. „ის, რასაც „სიტუაციის“ ან გაერთმთლიანებული განწყობილების ქვეშ ვგულისხმობთ, ყველაფერი ეს, უნდა ვიფიქროთ, ბიოსფეროში გამოწვეული მდგომარეობაა“²⁹. ფსიქიკის სფერო და ცნობიერი განცდის სფერო, დ. უზნაძის მიხედვით, იდენტური ცნებებია: „ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბიოსფერო არაა ფსიქიკური სინამდვილის სფერო, რომ მასში შექმნილი განწყობილება არაა სუბიექტის ცნობიერი განცდა“³⁰. ქვეფსიქიკურის, განწყობილების³¹, ბიოსფეროს ცნებები არა თუ არ მოითხოვენ არაცნობიერის ცნებას, არამედ, პირიქით, გამორიცხავენ და ზედმეტს ხდიან მას. „...მეხსიერების ფაქტის ასახსნელად სრულიად არაა საჭირო დისპოზიციის ცნება“, „რომელიც არაცნობიერის მთავარ არგუმენტად არის მიჩნეული“³². უკეთეს შემთხვევაში, დისპოზიცია საჭირო იქნებოდა, ცნობიერებიდან გასული განცდის დასაცავად, შესანახავად, მაგრამ, ქვეფსიქიკურის ცნების შემოტანის შემდეგ, ცნობიერების გარეთ განცდის „დაცვის შესახებ ლაპარაკს თავი უნდა დავანებოთ“³³. დ. უზნაძე, მაშასადამე, არა თუ არ თვლის დისპოზიციას ფსიქიკურ ფენომენად, არამედ სულაც უარყოფს ამ ცნებას. მეხსიერების დისპოზიციის ცნება, მისი აზრით, სრულიად ზედმეტია: სინამდვილეში ხდება არა განცდის შენახვა და შემდეგ მისი დამოუკიდებელი წარმოშობა— „თუნდ რეპროდუქციის გზითაც“, არამედ „განცდათა ხელახალი წარმოშობა“³⁴. უზნაძის აზრით, მეხსიერების ფაქტის ასახსნელად სრულიად არაა დისპოზიციის ცნება საჭირო, თუ ქვეფსიქიკურის ცნებას ვალია-რებთ³⁵.

„ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“ კიდევ ვხვდებით ერთ მომენტს, სადაც არაცნობიერის პრობლემას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. საბოლოოდ, აქაც საკითხი არაცნობიერი ფსიქიკის უარყოფით თავდება³⁶. მხედველობაში გვაქვს დ. უზნაძის პოზიცია ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრაში. „იმპერსონალიაში“ გამოთქმული დებულებების მიხედვით, მოსალოდნელი იყო, ამ პრობლემის გადაჭრა წარმოდგენილი იქნებოდა ქვეფსიქიკური ცნების შუამავლობის გზით. ამ ცნებას უნდა გაეხადა გასაგები ფიზიკურისა

²⁸ ამაზე და სხვა სახის აპორიებზე დაწვრილებით იქნება მსჯელობა მონოგრაფიაში: „დ. უზნაძის განწყობის თეორიის ფილოსოფიური პრობლემები“.

²⁹ დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 189.

³⁰ იქვე, გვ. 190.

³¹ აშკარაა, რომ აქ ავტორი განწყობას გულისხმობს. ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში ამის შესახებ გვექნება ვრცელი ტერმინოლოგიური მიმოხილვა.

³² იქვე, გვ. 194.

³³ იქვე, გვ. 195.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე, გვ. 194.

³⁶ იქვე, გვ. 222.

(ფიზიოლოგიურისა) და ფსიქიკურის კავშირი, ბიოსფეროს შუამავლის ფუნქცია უნდა ეკისრა და ამით თავისი ძირითადი მისია შეესრულებინა. ეს მოლოდინი გამართლდა: დ. უზნაძემ უარყო როგორც ფსიქოფიზიკური პარალელიზმი, ისე ფსიქოფიზიკური კაუზალობის თეორია და მათი ადგილი ბიოსფერულ განწყობილებას დაუთმო. კაუზალური კავშირი ფიზიოლოგიურსა და ფსიქიკურ სინამდვილეთა შორის შეუძლებელია. ამას მოითხოვს, დ. უზნაძის აზრით, მეცნიერების თანამედროვე დონე. მაგრამ პარალელიზმიც მიუღებელია, რადგან, საბოლოოდ, ეს თეორია ღვთის მოქმედებას ეყრდნობა. გამოსავალი ბიოსფეროს ცნებაშია მონახული: „...ბიოსფერულ არეში შექმნილი განწყობილება ორგანიზმის მომართვის ასეთი თუ ისეთი სახეობის ნიადაგს ქმნის“. „...ასეთსავე შუალობას წვეს ბიოსფერო იმ ურთიერთობაშიც, რომელიც ფიზიოლოგიურიდან ფსიქიკურისაკენ მიიმართება“³⁷. მაშასადამე, თუ რა უნდა პოხდეს ფიზიოლოგიურ არეში, როცა ესა თუ ის ფსიქიკური პროცესი მიმდინარეობს, ან ფსიქიკურში რა მოვლენებს უნდა მიეცეთ ადგილი, როცა ფიზიოლოგიურში ესა თუ ის ცვლილება ხდება, ეს დამოკიდებულია ბიოსფერულ სინამდვილეზე, რომელიც მუდამ შუამავლობს და ხელმძღვანელობს ორგანიზმის განსაზღვრულ მოქმედებისა და ფსიქიკური ცხოვრების ურთიერთობას. აქ არსად არაცნობიერი ფსიქიკისათვის ადგილი არ რჩება³⁸.

ეს აზრი, არაცნობიერი ფსიქიკის უარყოფელი შეხედულება დ. უზნაძეს არ შეუძვლია და არც დამდგარა მის წინაშე ეს საკითხი კვლავ გასარჩევად 1949 წლამდე. დაწყებული განწყობის იდეის ჩასახვიდან, რომელიც მოცემულია „Impersonalia“-ში (1923) „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლების“ გამოქვეყნებამდე (1949) დ. უზნაძე მტკიცედ იღვა იმ თვალსაზრისზე, რომ არაცნობიერი ფსიქიკა არ არსებობს, რომ ის, რის ასახსნელადაც არაცნობიერი ფსიქიკა იყო დაშვებული, ან თვითონ არსებობს, ანდა მისი ახსნა-გაგება ქვეფსიქიკურის, ბიოსფეროს ცნებას უნდა დაეკისროს და, ამგვარად, უარყოფა უნდა მოხდეს არა მარტო არაცნობიერის ცნებისა, როგორც ლოგიკურად გაუმართლებელისა. არამედ პოზიტიურადაც უნდა შეცვალოს იგი ქვეფსიქიკურის ცნებამ. ამით დ. უზნაძის კონცეფციაში არაცნობიერის შესახებ დაკმაყოფილებული იყო როგორც ლოგიკური, ისე ფსიქოლოგიური მოთხოვნა: დასაბუთებული იყო არაცნობიერის ცნების შინაგანი, ფორმალ-ლოგიკური წინააღმდეგობა და წამოყენებული იყო ახალი ფსიქოლოგიური ცნება, ქვეფსიქიკური, რომელმაც უნდა გაუყეთოს ჩვენს მეცნიერებას ის, რასაც მას პირდებოდა. მაგრამ ვერ ასრულებდა და ვერც შეასრულებდა არაცნობიერი ფსიქიკის ცნება.

რომ აქ ნათქვამში საექვო აღარაფერი დარჩეს, მოვიყვანო ადგილებს იმ გამოკვლევებიდან, რომელნიც გამოქვეყნდნენ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებიდან“ (1925) „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ საფუძვლებამდე“ (1949):

³⁷ დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 222.

³⁸ ზემოთ აღნიშნული საკითხი ქვეფსიქიკურის ადგილის შესახებ (სუბიექტურსა და ობიექტურს შორის, თუ მათ ზევით) აქ მთელი სიმძაფრით დგება, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი არაცნობიერის პრობლემას არ ეხება. პირველადი რამ იქნება ბიოსფერო თუ ნაწარმოები, სულ ერთია, იგი ყოველთვის არაფსიქიკურია. ამაზე „მონორგანიაში“ იქნება მსჯელობა.

„არ ვფიქრობ, რომ ასეთი საკითხების დამაკმაყოფილებელი გადაჭრა რო-
ვორმე შესძლოს „არაცნობიერის ფსიქოლოგიაში“, სანამ იგი თავის ძირითად
ცნებაზე უარს არ განაცხადებს. სამაგიეროდ ბიოსფერული ფსიქო-
ლოგიისათვის აქ არავითარი სიძნელე არ არსებობს“. „...ქვეფსიქიურ
არეში თავისებური მდგომარეობა უნდა ჩნდებოდეს, რომელიც
თავის ფსიქიურ გამოხატულებას ცნობიერების განსაზღვრულ შინაარ-
სის სახით პოულობს“. „განწყობა... ამ ქვეფსიქიურ არეში უნდა გადაეიტა-
ნოთ“³⁹.

„განწყობა პიროვნული კატეგორიის ცნებაა“. „ამიტომ იგი ფიზიოლოგიის
ფარგლებში ვერ თავსდება“ „...და მაშასადამე, ქვალიტატურად სრულიად განს-
ხვავებული მოვლენა“⁴⁰. „სრულიად უეჭველია, განწყობა ცნობიერების შინა-
არსს არ წარმოადგენს, იგი ისეთი კატეგორიის მოვლენაა, რომელიც განცდისე-
ულად (ე. ი. ფსიქიურად. ა. ბ.) არ გვეძლევა, განცდათა წრეში არ გვხვდება“⁴¹.
„განწყობა პიროვნების მდგომარეობაა“⁴², ე. ი. იგი არც ფსიქი-
კური მოვლენაა და არც ფიზიოლოგიური.

„...ფსიქოლოგიის საგანი ფსიქიკური ფენომენები, ან გან-
ცდებია, მაგრამ ყოველი ცალკე განცდის ფაქტი უკვე იმით, რომ, იგი გან-
ცდაა, სუბიექტისათვის იმ თავითვე ცნობადია: იგი არა მარტო ობიექტუ-
რად არსებობს, როგორც ფაქტი, არამედ სუბიექტმაც იცის, რომ ის არსებობს,
უფრო მარტივად რომ ვთქვათ: განცდა არა მარტო ფაქტია, არამედ იგი უთუოდ
ცნობიერების ფაქტიცაა“⁴³.

1941 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა დ.
უზნაძის წერილი—„განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები“, რომელ-
შიაც მოცემულია ერთ-ერთი საკმაოდ სრული და ახლებური გადმოცემა მიე-
ლი კონცეფციისა განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ. აქ წინა პლანზეა წამო-
ყენებული მოძღვრება უშუალოდ პოსტულატის მიუღებლობისა და მის ად-
გილზე განწყობის ცნების დამკვიდრების შესახებ.

უშუალოდ პოსტულატი ემყარება ვარესინამდვილისა და ფსიქიკური
ცხოვრების უშუალო კავშირის დებულებას. განწყობის თეორია უარყოფს
ასეთს კავშირს და ამ ორ სინამდვილის შუამავლად ადამიანს, სუბიექტს აცხა-
დებს. მართალია, ბურჟუაზიული ფსიქოლოგიაც ლაბარაკობს სუბიექტზე, მაგ-
რამ, დ. უზნაძის აზრით, ის სუბიექტი არსებითად იგივე ფსიქიკური პროცესე-
ბია. „...სუბიექტი მეორადი მოვლენაა, მეორადი და ნაწარმოები მოვლენა, რო-
მელიც მხოლოდ მას შემდეგ ჩნდება, რაც სტიმულმა უკვე გამოიწვია ის ფსიქი-
კური პროცესები, რომელთა ერთობლიობაც შემდეგ მის განსაკუთრებულობას
ჰქმნის. მაგრამ თუ ეს ასეა, ე. ი. თუ სტიმული სუბიექტის აღმოცენებამდე
იწვევს ფსიქიკაში ცვლილებებს, მაშინ ცხადია, რომ კავშირი სტიმულსა და

³⁹ დ. უზნაძე, აღმა და წარმოდგენა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926, გვ. 187.

⁴⁰ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VII, 1938, გვ. 29.

⁴¹ იქვე, გვ. 32.

⁴² იქვე, გვ. 29.

⁴³ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 12.

ფსიქიკას შორის იმთავითვე უშუალო ყოფილა და, მაშასადამე, სინამდვილის ფსიქიკაზე ზემოქმედების პროცესში სუბიექტს პრინციპულად ახალი არაფერი არ ჰქონია გასაკეთებელი“⁴⁴.

სუბიექტი, „აღამიანი, როგორც მთელი, ფსიქიკისა და სხეულის, ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ჯამს როდი წარმოადგენს, მათს შენაერთს, ასე ვთქვათ, ფსიქოფიზიკურ არსებას, არამედ დამოუკიდებელს თავისებურ რეალობას, რომელსაც თავისი სპეციფიკური რომელობა და თავისი სპეციფიკური კანონზომიერება აქვს, და აი, როდესაც სუბიექტზე სინამდვილე მოქმედებს, იგი, როგორც მთლიანი, უპასუხებს მას, როგორც ეს სპეციფიკური, ეს თავისებური რეალობა, რომელიც წინ უსწრებს კერძოულს ფსიქიკურსა და ფიზიოლოგიურს და მათზე არ დაიყვანება“⁴⁵. განწყობა პიროვნების პიროვნებისეული სინამდვილეა, პიროვნების მსგავსად დამოუკიდებელია ფსიქიკიდან და ფიზიოლოგიურიდან. „...ეს მთლიანობითი ცვლილება (სუბიექტის, პიროვნების ცვლილება. ა. ბ.) თავისებური სპეციფიკური პროცესია, რომელიც ფსიქიკურისა და მოტორულის თვისებებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ, პირიქით, თვითონ გახსნაზღვრავს მათ“⁴⁶. განწყობა სპეციფიკური სიტუაციის უშუალო ეფექტია, გამოწვეული პიროვნებაში. იგი „სიტუაციის აქტუალური მოთხოვნისგან ფონზე ასახვას წარმოადგენს... მაგრამ ეს ასახვა ისეთი ასახვა როდია, როგორსაც ცოცხალი არსებებს ფსიქიკა ან მისი მოტორიკა იძლევა“. „რასაკვირველია, ...იგი „არც ჰერეტიკით (ე. ი. ფსიქიკური, ა. ბ.) ასახვა შეიძლება იყოს და არც მოქმედებითი“. „იგი... განწყობითი ასახვაა“, რომელსაც „შეიძლება განწყობა ვუწოდოთ“⁴⁷.

ბურჟუაზიულ-ფსიქოლოგიაში ხმაზეული ცნება განწყობისა მიუღებელია დ. უზნაძისათვის უმთავრესად შემდეგის გამო: „განწყობა ძველი ფსიქოლოგისათვის სპეციფიკური, რომელობით განსხვავებული რეალობა კი არაა“. არამედ „ფსიქიკური ან სხეულებრივი ფაქტია. ცხადია, ასე გაგებული განწყობის ცნება ვერაფერს ახალს ვერ შეიტანდა მეცნიერებაში“⁴⁸. მეორე ძირითადი ხაკლი განწყობის ბურჟუაზიული ცნებისა ისაა, რომ, „თუ განწყობა ერთ-ერთი ჩვეულებრივი კერძობითი ხასიათის პროცესთაგანია— ფსიქიკური ან მოტორული—მაშინ ცხადია, რომ... შეუძლებელია იგი სინამდვილესა და ამ პროცესებს შუა მდებარე არედ ვიგულისხმოთ, არედ, რომელიც წინ უსწრებს და განსაზღვრავს მათ მიმდინარეობას“⁴⁹. განწყობა, მაშასადამე, არც ფსიქიკურია და არც ფიზიოლოგიური, მაგრამ განსაზღვრავს როგორც ერთის, ისე მეორის მიმდინარეობას.

როგორც დავინახეთ, განწყობის ცნების ჩასახვიდან დაწყებული მთელი 27 წლის მანძილზე დ. უზნაძე მტკიცედ და უცვლელად დგას იმ თვალსაზრისზე, რომ ფსიქიკა და ცნობიერება არის ერთი და იგივე და, ამიტომ, არაცნობიერი ფსიქიკის ცნება უკანონოა, შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. ამას ერთვის ის გარემოება, რომ ქვეფსიქიკურის, განწყობის ცნება აუცილებ-

44 დ. უზნაძე, განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, უნივერსიტეტის შრომები, 1941, ტ. 19, გვ. 22.

45 იქვე, გვ. 24—25.

46 იქვე, გვ. 25.

47 იქვე, გვ. 26.

48 იქვე, გვ. 27.

49 იქვე.

ლობით მოითხოვს იმას, რომ ფსიქიკური ცხოვრების საფუძველი და წამმართველი სინამდვილე წარმოდგენილი იქნეს არა როგორც ფსიქიკური, არა როგორც ფიზიოლოგიური, არამედ როგორც ისეთი სინამდვილე, რომელიც ამათგან სრულიად განსხვავებულია და ამის გამო უფლებამოსილი—შეასრულოს შუამავლის როლი ამ ორი სინამდვილის კონტაქტისათვის. ძველსა (ბურჟუაზიულ) და ახალ (ბიოსფერულ) ფსიქოლოგიას შორის ისაა ძირითადი განსხვავება, რომ ძველი ორწევრიანი კონცეფციაა, ფიზიკურისა და ფსიქიკურის უშუალო ურთიერთობას აღიარებს, ხოლო ახალი გულისხმობს მესამე წევრს, რომელმაც უნდა შესაძლებელი და გასაგები გახადოს კავშირი ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის.

1949 წელს გამოდის დ. უზნაძის „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, რომელშიაც არაცნობიერის პრობლემა წამოყენებულია ფსიქიკის განვითარების პრობლემასთან დაკავშირებით და გადაჭრილია იგი ამ მომენტამდე გაზიარებული შეხედულებისაგან განსხვავებულად. ეს ახალი აზრი არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ მდგომარეობს შემდეგში:

ფსიქიკის განვითარებაზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ იქ, სადაც ფსიქიკა და ცნობიერება არაა გაიკვივებული, სადაც ცნობიერება არ ითვლება ფსიქიკის არსებით ნიშნად. ტრადიციული ფსიქოლოგიის მიხედვით „ფსიქიკური ყველაფერი ცნობიერია და ის, რაც ცნობიერია, ფსიქიკურია“⁵⁰. ფსიქიკის ამგვარი გაგება, წერს დ. უზნაძე, გამორიცხავს ფსიქიკურისა და მატერიალურის ურთიერთობას. ამ კონცეფციის ნიადაგზე შესაძლებელია ვილაპარაკოთ მხოლოდ ფსიქოფიზიკურ პარალელიზმზე, რომელიც „ფსიქიკური განვითარების პრობლემას მთლიანად განზე ტოვებს“⁵¹. ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ფსიქიკის ისტორიას იწყებს ცნობიერების აღმოცენების მომენტიდან⁵², მის უკან, მანამდე მას ფსიქიკის არსებობა შეუძლებლად მიიჩნია.

მეორე ბურჟუაზიული მიმართულება, მართალია, აღიარებს არაცნობიერ ფსიქიკას, მაგრამ იმგვარად არის ეს არაცნობიერი გაგებული, რომ ფსიქიკის განვითარების პრობლემის გადასაჭრელად სრულიად უვარგისია. ეს იმიტომ, რომ არაცნობიერი ფსიქიკა არსებითად იმავე ბუნების, იმავე შინაარსის ცნებაა. როგორცაა ცნობიერი ფსიქიკა. განვითარებისათვის მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა ამ ცნებას, ის რომ ცნობიერების წინა საფეხურს წარმოადგენდეს. რამდენადაც ეს ასე არ არის, „არაცნობიერების ცნება განვითარების ფაქტის დასაბუთებლად ფსიქოლოგიაში არ გამოდგება“⁵³. გამოდის, რომ „დღემდე... იგი (ფსიქიკის განვითარების პრობლემა, ა. ბ.) მთლიანად მეცნიერული ყურადღების გარეშე იდგა... საკითხი ჩვენს წინაშე არსებითად პირველად ისმის...“⁵⁴.

ამგვარია საკითხის დაყენება. როგორია მისი გადაჭრის გზა?

დ. უზნაძეს ორი, ერთიმეორის გამომრიცხველი დებულება (პირველი შეხედვით მაინც) აქვს. ერთი დებულება ამტკიცებს, რომ, თუ არა არაცნობიერი, ფსიქიკის განვითარების ას.ნ.ა. დასაბუთება შეუძლებელია. მეორე დებულება

⁵⁰ დ. უზნაძე, ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1960, გვ. 17—171.

⁵¹ იქვე, გვ. 4.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე, გვ. 6.

⁵⁴ იქვე, გვ. 8.

ასეა გამოთქმული: „არაცნობიერის ცნება ზედმეტი ცნებაა“⁵⁵. ამ დებულებების მორიგება არის იმავე დროს გადმოცემა იმ ახალი შეხედულებისა, რომელიც ჩვენს ინტერესს ამოძრავებს. შერიგება ამ დებულებებისა ასე ხდება: უარყოფილია არაცნობიერის ის შინაარსი, რომელიც მაგ., ფროიდის კონცეფციაში ეგულისხმება⁵⁶. უარყოფილია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს შინაარსები—წარმოდგენები, ნებელობის აქტები, „როგორც წესი“ ცნობიერი არიან, და, გარდა ამისა, ისინი ფსიქიკის შესახებ ახალს არაფერს ამბობენ. ფროიდის კონცეფციით. ცნობიერებისა და არაცნობიერის შინაარსი ერთი და იგივეა; განსხვავება ეხება მხოლოდ იმას, რომ ერთ შემთხვევაში ეს შინაარსი განათებულია ცნობიერების სხვივით, მეორე შემთხვევაში არა. ცხადია, ამ შემთხვევაში არაცნობიერი ფსიქიკის განვითარებაზე და, საერთოდ, ფსიქიკურ ცხოვრებაზე ვერაფერს გვეტყვის ისეთს, რასაც არ გვეუბნებოდეს ამის შესახებ ცნობიერება. ცნობიერი ფსიქიკა. ცხადია, ასეთი არაცნობიერი ზედმეტია.

მაგრამ, თუ არაცნობიერების შინაარსად იმას ვიგულისხმებთ, რაც არის განწყობა, მაშინ მდგომარეობა, დ. უზნაძის აზრით, პრესბიტად იცვლება, ნეგატიური დებულების ადგილს პოზიტიური დებულება იჭერს: ფროიდის არაცნობიერისთვის მხოლოდ ცნობიერების არქონა, ნეგაციაა სპეციფიკური, ხოლო განწყობისებულ არაცნობიერს აქვს თავისი, განსხვავებული შინაარსი, რომელსაც არ იცნობს და ვერც გაიცნობს ცნობიერება. განწყობა თავისი ბუნებით არაცნობიერია, რაც მას არ უშლის ხელს გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს „ცნობიერი ფსიქიკური ცხოვრების მთელ შინაარსზე“⁵⁷.

დ. უზნაძის ეს დებულება, რომ განწყობა არაცნობიერია, რომ იგი აძლევს ცნობიერებას შინაარსსა და მიმართულებას, ის დებულებაა, რომელსაც იგი იცავს მთელი თავისი მეცნიერული ძიების მანძილზე. ეს არის განწყობის თეორიის არსებითი ნიშნები. საკმარისია, რომელიმე ამ ნიშანთაგანი მას ჩამოცილდეს, რომ თეორია გაუქმდეს, მოისპოს. მაგრამ ამ ნიშნებით ეს თეორია არ ამოიწურება. მან, ამ თეორიამ, უნდა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვაზე: რას წარმოადგენს განწყობა, როგორც რეალობა? როგორია იგი თავისი ბუნებით: ფსიქიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოფიზიკური თუ სულ სხვა რამ, ამათგან განსხვავებული? ფილოსოფიური შინაარსი განწყობის ცნებისა განისაზღვრება ამ კითხვაზე გაცემული პასუხით. როგორია ეს პასუხი?

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ დ. უზნაძის პასუხი ამ კითხვაზე უკანასკნელ მომენტამდე იყო ის, რომ ქვეფსიქიკური, ბიოსფერო, განწყობა არიან ერთი და იგივე ცნებები, ერთი და იგივე სინამდვილის აღსანიშნავი სხვადასხვა ტერმინები, იმ სინამდვილისა, რომელიც არ არის არც ფსიქიკური, არც ფიზიკური და არც ფსიქოფიზიკური, არამედ სრულიად თავისებური, დღემდე მიუკვლეველი არე სინამდვილისა. ხოლო პასუხი, რომელიც გაცეა ამავე კითხვას „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ საფუძვლებში“, არის სრულიად ამის საწინააღმდეგო: „...მოდერნმა არაცნობიერის შესახებ.., ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სწორ წარმოდგენას ემყარება რამდენადაც მართებულად უსვამს ხაზს, რომ ცნობიერების პროცესები სრულიად არ ამოსწურავენ

⁵⁵ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერ. საფუძვლები, 1949, გვ. 35.

⁵⁶ არაცნობიერის სხვა კონცეფციებს, სადაც სრულიად სხვა შინაარსია ნაგულისხმევი, ვიდრე შინაარსი ფროიდის არაცნობიერასა, დ. უზნაძე არ ეხება.

⁵⁷ იქვე, გვ. 36.

ფსიქიკის მთელ შინაარსს“. „ცნობიერ პროცესებს გარდა, ადამიანში კიდევ არსებობს რაღაც, რაც თვითონ ცნობიერების შინაარსი არაა, მაგრამ მასზე გარკვეულ გავლენას ახდენს—განსაზღვრავს, გარკვეული მიმართულებით წარმართავს მას. ჩვენ ვხედავთ, რომ ამას განწყობა შეიძლება ვუწოდოთ, განწყობა, რომელიც ყოველს ცოცხალ არსებაში, მის სინამდვილესთან ურთიერთდაპოვიდებულების პროცესში ვლინდება“⁵⁸. მაშასადამე, ფსიქიკა არის ცნობიერიცა და არაცნობიერიც. არაცნობიერ ფსიქიკას ეწოდება განწყობა. თავის ბუნებით, რეალობისეულად განწყობა ყოფილა ფსიქიკური სინამდვილე. მისი ნიშნები, რომლითაც იგი განსხვავდება ცნობიერი ფსიქიკიდან, არიან მთლიანობა და არაცნობიერობა, ცნობიერების გარეთ მდებარეობა. ის, რითაც იგი ცნობიერების შინაარსს ემსგავსება, რითაც იგი იდენტურია მასთან, არის ფსიქიკურობა.

ახლა ვიკითხოთ, რას ნიშნავს, რომ „არაცნობიერის ცნება უკუგდებულ უნდა იქნეს და მის ნაცვლად პოზიტიული შინაარსის მქონე ცნება, სახელდობრ, განწყობის ცნება იქნეს შემოდებულ“⁵⁹. ამაში გარკვევისათვის შევადაროთ ერთმანეთს განწყობა და არაცნობიერების ის ცნება, რომელსაც იცავს ფროიდი.

საერთო მათ შორის ისაა, რომ ერთი ფსიქიკურია და მეორეც, ერთი ცნობიერების გარეთ მდებარეობს და მეორეც. განსხვავებას ქმნის ის, რომ ფროიდის არაცნობიერი იგივეა შინაარსით, რაც ცნობიერი ფსიქიკა, ხოლო განწყობის შინაარსი სულ სხვა რამეა. ფროიდის არაცნობიერი ერთ დროს იყო ცნობიერი და კიდევ შეიძლება გახდეს ცნობიერი, ხოლო განწყობა არასოდეს ცნობიერების შინაარსი არ ყოფილა და არც იქნება, და ა. შ.

განწყობა აქ შეფასებულია როგორც ფსიქიკის განვითარების საფეხური, რომელიც წინ უსწრებს ცნობიერების პროცესებს და განსაზღვრავს მათ. ამით გამოირიცხებულია ის აზრი, რომლის მიხედვით ცნობიერების მოვლენების წინამორბედად წმინდა ფიზიოლოგიური პროცესები იგულისხმება. „პირველი, უმთავრესი დებულება ასეთია: ცნობიერი ფსიქიკური პროცესების აღმოცენებას უღაოდ წინ უსწრებს მდგომარეობა, რომელიც ვერაფრით შემთხვევაში არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად ვერ ჩაითვლება. ამ პროცესს ჩვენ განწყობას ვუწოდებთ...“⁶⁰ განწყობის საბოლოო განმარტება, მაშასადამე ასეთია. განწყობა ფიზიოლოგიურიც არის და ფსიქიკურიც.

როგორ ვიაზროთ ამ ვითარებაში განწყობის ცნება?

⁵⁸ იქვე, გვ. 26 (აქ განწყობის ფუნქცია იცვლება, მაგრამ ამგვარ საკითხებს ამჯერად არ ვეხებით. არაცნობიერების პრობლემისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა)

⁵⁹ იქვე, გვ. 37.

⁶⁰ იქვე, გვ. 88.

საქართველოს სსრ ელექტროგრაფიკისა და ხელსაწყოთმშენებელი მანქანათმშენებლის განვითარება

ბ. მაღაშია

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სანაწარმოს ინსტიტუტში)

ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებში მრეწველობის დარგობლივი სტრუქტურა პროგრესულ ძვრებს განიცდის. საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების, მრეწველობის განვითარების გიგანტურ მასშტაბებს თან სდევს დიდი ცვლილებები მრეწველობის გეოგრაფიულ გაადგილებაში; ქვეყნის ეკონომიკური რაიონების მრეწველობაში წარმოიშობა და ვითარდება სრულიად ახალი დარგები.

ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ რაიონში მრეწველობის ახალი დარგების აღმოცენება ხდება ქვეყნის მრეწველობის განვითარების მაღალი დონის, შრომის ტერიტორიული დანაწილების შემდგომი გაღრმავების, წარმოების სპეციალიზაციის განვითარების პირობებში.

სოციალიზმის დროს როგორც მრეწველობის დარგობლივი დიფერენციაციის გაღრმავება, ისე მისი ტერიტორიული ორგანიზაცია გეგმაზომიერი პროცესია; გეგმაზომიერად წარმოებს მრეწველობის ახალი დარგების ათვისება ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ რაიონში.

მრეწველობის ტერიტორიული დაგეგმვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დარგების სხვადასხვა რაიონებში გავრცელების ეკონომიკური ეფექტურობის დადგენას—იმ რაიონის განსაზღვრას, სადაც უფრო მიზანშეწონილია ახალ საწარმოთა მშენებლობა.

ეკონომიკურ რაიონში მრეწველობის ახალი დარგის წარმოშობა არ შეიძლება სტიქიურად მოხდეს გეგმიანი მეურნეობის პირობებში. იგი ემყარება წარმოების რაციონალური გაადგილების კანონზომიერებებს და მეცნიერულად დასაბუთებულ ტერიტორიულ დაგეგმვას.

ეკონომიკურ რაიონში მრეწველობის ახალი დარგის განვითარების ეფექტურობის გამორკვევა აუცილებელია, რის გარეშეც შეუძლებელია მრეწველობის პერსპექტიული განვითარების დასაბუთებული ოპტიმალური პროგრამის შემუშავება, ეკონომიკურ-ადმინისტრაციული რაიონების მრეწველობის სახალხო-მეურნეობრივი ეფექტურობის ამაღლების მიღწევა. ამიტომ ეკონომიკურ რაიონში ახალი დარგების განვითარების და გაადგილების ეფექტურობის დასაბუთების მეთოდოლოგიის საკითხი მოითხოვს ღრმა დამუშავებას. მას უნდა დაეთმოს სათანადოდ ადგილი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის თეორიაში. ჯერ-

ჭერობით კი ეს საკითხი ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში დაუმუშავებელია. ეკონომიკურ-ადმინისტრაციული რაიონის მრეწველობის ახალი დარგის განვითარების ეფექტურობის ანალიზი წარმოადგენს ამ რაიონში მოცემული დარგის არსებობის მიზანშეწონილობის გამორკვევას როგორც მთელი ქვეყნის სახალხო-მეურნეობის, ისე რაიონის ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. იგი უნდა განხორციელდეს შრომის რაიონთაშორისი დანაწილების, მრეწველობის რაციონალური გაადგილების კანონზომიერებათა და ახალი დარგის განვითარების ადგილობრივ პირობებზე დაყრდნობით.

ეკონომიკურ რაიონში მრეწველობის ახალი დარგის ეფექტურობის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი საკითხები:

დარგის სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის (დარგის პროგრესულობა); მოთხოვნილების ზრდა მის პროდუქციაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით; ახალი დარგის პროდუქციაზე მოთხოვნილება მოცემულ ეკონომიკურ რაიონსა და მის მეზობელ რაიონებში; ახალი დარგის წარმოშობით გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებების მნიშვნელობა ეკონომიკური რაიონის მრეწველობისათვის; ახალი დარგის მნიშვნელობა ეკონომიკური რაიონის მრეწველობისა და მთლიანად მწარმოებლური ძალების განვითარებისათვის, მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის; ახალი დარგის განვითარების პირობები მოცემულ ეკონომიკურ რაიონში; ამ უკანასკნელთა გავლენა ახალ საწარმოთა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე; ახალ საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების—შრომის მწარმოებლურობის, პროდუქციის თვითღირებულების, რენტაბელობის, დონე; პროდუქციის წარმოების (საწარმოთა მოცულობის) ოპტიმალური მასშტაბი, პროდუქციის ტრანსპორტირების პირობები; სპეციალიზაციის და კოოპერირების პირობები; კაპიტალური დაბანდებების ანაზღაურების მაჩვენებლები (ვადები, ეფექტურობა და სხვ.).

ახალი დარგის ეკონომიკური ათვისების მაჩვენებელი¹ შეიძლება გამოვიყენოთ ამ დარგის ეფექტურობის განსაზღვრისას.

ახალი დარგის ეკონომიკურ ათვისებად მოცემულ რაიონში უნდა მივიჩნიოთ მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა მთელი დარგის მასშტაბით. ათვისების შემდეგ ახალი დარგის მაჩვენებლების დონე მოცემულ რაიონში არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ამ დარგის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი რაიონების მაჩვენებლების დონეს.

ამრიგად, ახალი დარგის მაჩვენებლები, მისი ეკონომიკურად ათვისებისათვის საჭირო დროის ხანგრძლიობა (ათვისების ვადა) შეიძლება ჩავთვალოთ დარგის განვითარების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის უმნიშვნელოვანეს ელემენტად.

მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის ძვრებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროგრესული დარგების წარმოშობას და განვითარებას. კომუნისტური მშენებლობის პირობებში „განსაკუთრებით იზრდება როლი ახალი დარგებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველაზე დიდ ტექნიკურ პროგრესს“².

¹ ახალ საწარმოთა ეკონომიკური ათვისების მაჩვენებელი წამოყენებულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის ფილიალის მიერ გამოცემულ სტატიათა კრებულში: Экономические вопросы освоения новых предприятий, Новосибирск, 1963.

² სსკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962, გვ. 459.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ რაიონში ისეთი დარგების წარმოშობის მნიშვნელობა, რომლებიც წარმოების თანამედროვე პროგრესის ხელშეწყობით, განაპირობებენ მწარმოებლური ძალების უფრო მეტად ზრდას, ეკონომიკის აღმავლობის დაჩქარებას. თანამედროვე მრეწველობის ასეთ პროგრესულ დარგებად უნდა მივიჩინოთ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება ჩვენს ქვეყანაში. ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის განხორციელება, ელექტროენერჯის სულ უფრო მზარდი გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, როგორც ძალურ, ისე ტექნოლოგიურ პროცესებში, ყოფაცხოვრებაში ელექტროხელსაწყოებისა და აპარატების სულ უფრო მეტად დანერგვა განაპირობებს მოთხოვნილების ზრდას ელექტროტექნიკურ ნაწარმზე, მისი ნომენკლატურის გაფართოებას.

ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში სულ უფრო იზრდება მოთხოვნილება ელექტროტექნიკურ ნაწარმა და ხელსაწყოებზე. ამიტომ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა უკანასკნელ პერიოდში აღმოცენდა ქვეყნის ბევრ რაიონში, მაგალითად: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსიის, მოლდავეთის, შუა აზიის რესპუბლიკებსა და სხვ.

ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ახლად ათვისება რიგ რაიონებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ დარგების განვითარების და გაადგილების კანონზომიერი მოვლენაა.

ამრიგად, ამ დარგების გეოგრაფია ძირითადად იცვლება. სულ უფრო მეტად ემბებიან წარმოების ამ დარგებში სხვადასხვა რაიონები, ფართოდდება ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის გეოგრაფიული გაადგილების არეალი.

პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებასთან ერთად ცალკეული რაიონები სპეციალიზდებიან ნაკეთობათა გარკვეული სახეების წარმოებაზე, რის გამოც ფართოდდება რაიონებს შორის ნაკეთობათა ურთიერთ მიწოდება.

ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ახლად ათვისება ხდება ამ დარგების პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი რაიონების დახმარებით. ახლდათვისების რაიონებში ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა ამზადებს მარტივ ნაკეთობებს, ნომენკლატურა შედარებით ვიწროა, საწარმოთა მაჩვენებლების დონე შედარებით დაბალია. მაგრამ აღნიშნულ რაიონებში ეს დარგები თანდათანობით იზრდებიან, იწყებენ ახალ, სულ უფრო რთულ ნაკეთობათა წარმოებას, მწყობა მეცნიერულ-კვლევითი და კონსტრუქტორული მუშაობა ახალი პროდუქციის შესაქმნელად, მდლდება წარმოების ტექნიკური და ორგანიზაციული დონე.

ქვემოთ შევვხებით საქართველოში ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის განვითარების ზოგიერთ საკითხს.

რამდენადაც ამ დარგების საწარმონი ჩვენს რესპუბლიკაში უკვე რამდენიმე წელია მოქმედებენ, ამდენად მათი მუშაობის ფაქტობრივი მაჩვენებლების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ საკითხებზე.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის წარმატებით განვითარებას უზრუნველყოფს საერთოდ მრეწველობის განვითარების მაღალი დონე, განსაკუთრებით მანქანათმშენებელი მრეწ-

ველობის არსებობა და შემდეგი უმნიშვნელოვანესი წინამძღვრები: მუშაძალის დადებითი ბალანსი, განსაკუთრებით, კვალიფიციური კადრების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების საჭირო რაოდენობა, მათი მომზადების კერების არსებობა, მეცნიერულ-კვლევითი და კონსტრუქტორული მუშაობის გაშლის პირობები, რასაც ამ დარგისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა იქმნებოდა უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. ამჟამად მოქმედი 27 საწარმოდან 19 საწარმო, ანუ ქარხნების 70 პროცენტი, შექმნილია 1958 წლის შემდეგ.

ამ დარგების ათვისებაში რესპუბლიკას დიდი დახმარება გაუწია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მრავალმა საწარმომ და ორგანიზაციამ. მაგალითად, ქარხანა „თბილხელსაწომ“ კომპლექტურად მიიღო მთელი გაწობილობა, აღჭურვილობა და ტექნიკური დოკუმენტაცია ლენინგრადის ანალიტური ხელსაწყოების სახელმწიფო კონსტრუქტორული ბიუროს ქარხნისაგან სიჩქარისმზომ C. II—2-ის წარმოებისათვის. ასევე ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის სხვა ქარხნებსაც გაწობილობა, ტექნიკური დოკუმენტაცია, მასალები მოაწოდეს რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკების საწარმოებმა და დაწესებულებებმა. ამავე დროს ამ დარგების ორგანიზაციის პერიოდში საქართველოს სსრ 300-ზე მეტმა ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა და მუშამ მიიღო ახალი სპეციალობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების საწარმოებში. აგრეთვე, რესპუბლიკის ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი ქარხნები დააპროექტეს სსრკ საგეგმო კომისიისა და სხვა დამპროექტებელმა დაწესებულებებმა.

ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმშენებლობა ძირითადად უზრუნველყოფილი იქნა კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური და მუშათა კადრებით, დაკმაყოფილდა ამ დარგების მაღალი მოთხოვნილება კადრებზე. თუ ამჟამად ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ხვედრიწონა მრეწველურ-წარმოებრივ პერსონალში შეადგენს რესპუბლიკის მრეწველობაში მთლიანად 10 პროც., მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში—13,5 პროც. ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში იგი უდრის 20,5 პროც. საქართველოს სსრ მრეწველობაში დასაქმებული უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა ხვედრიწონა შეადგენდა 1963 წელს მრეწველურ-წარმოებრივ პერსონალში 4,5 პროც., ხოლო სპეციალური განათლების მქონეთა—4,4 პროც., ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში იგი უდრიდა შესაბამისად 9,3 და 6,6 პროც.³

რესპუბლიკის მრეწველობის აღნიშნულ დარგებში დიდი რაოდენობით ჩაებნენ ახალგაზრდა კადრები, რომელთა უპირატეს გამოყენებას ამ პროგრესულ დარგებში დადებითი მნიშვნელობა აქვს მათი შემოქმედებითი ინიციატივის გაშლისა და წარმოებრივი გამოცდილების დაგროვების თვალსაზრისით.

რესპუბლიკაში დიდი მეცნიერულ-კვლევითი და კონსტრუქტორული მუშაობა წარიმართა ახალ დარგებში. ახალი ნაკეთობების შექმნას, ტექნიკურ

³ სტატიაში მოტანილი მონაცემები გაანჯარიშებულია რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და შესაბამისი მეურნეობრივი უწყებებისაგან მიღებული სტატისტიკური მასალებიდან.

პროგრესს, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას ემსახურება ამ დარგში მომუშავე სამი მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი, საკავშირო ინსტიტუტების ორი ფილიალი, სამი დამოუკიდებელი სპეციალური კონსტრუქტორული ბიურო, სადაც 1963 წელს 541 კაცი მუშაობდა, აგრეთვე, კონსტრუქტორული ბიუროები მსხვილ ქარხნებთან.

მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, რაც გაშლილია რესპუბლიკაში ელექტროტექნიკის, ავტომატიკის, კიბერნეტიკისა და სხვა პრობლემების შესასწავლად, ხელს უწყობს ამ დარგების წარმატებით განვითარებას.

რესპუბლიკაში მოკლე პერიოდში კონსტრუირებულ იქნა მრავალი რთული ხელსაწყო, მანქანა, აპარატი და სხვა; ახალმა დარგებმა მოკლე დროში ათვისეს მრავალი ახალი ნაკეთობის წარმოება.

1959 წელს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ქარხნების მიერ გამოშვებულ იქნა 130-მდე დასახელების ნაკეთობა, მათგან 27 დასახელება ახლად იქნა ათვისებული; 1960 წელს ათვისებულ იქნა 30 დასახელების ნაკეთობის წარმოება, ხოლო სულ 140-ზე მეტი დასახელების ნაწარმი მზადდებოდა; 1961 წელს გამოდიოდა 150-ზე მეტი დასახელების პროდუქცია, 1962 წელს—240-ზე მეტი, ხოლო 1963 წელს 270-ზე მეტი დასახელების ნაკეთობა. მათგან ზოგიერთ დასახელებას გააჩნია მრავალი ვარიანტი, შესრულება და ტიპზომა.

ახალი ნაკეთობების ათვისებასთან ერთად ადგილი ქონდა მოძველებული ნაწარმის წარმოებიდან მოხსნას.

მრავალი ნაკეთობა გადაკეთდა და გაუმჯობესდა. მაგალითად, თბილისის ელმავალმშენებელმა ქარხანამ უკვე გამოუშვა რამდენიმე ახალი მაგისტრალური ელმავალი БЛ—10. მას მთელი რიგი უპირატესობა გააჩნია ელმავალ БЛ—მ-თან შედარებით, რომელიც ამჟამად გამოთის სერიულად. ახალი ელმავალი, რომელიც შექმნილია მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების და ქარხნის კონსტრუქტორული ბიუროს თანამშრომლობის შედეგად, 25 პროცენტით უფრო მძლავრია, გაცილებით ეკონომიურია ძველი კონსტრუქციის ელმავალთან შედარებით.

ამჟამად საქართველოს მეცნიერულ-კვლევითი ელექტროტექნიკური ინსტიტუტი, ელექტრომექანიკის საკავშირო მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტი, ლენინის სახელობის საკავშირო ელექტროტექნიკური ინსტიტუტი და ქარხნის სპეციალური კონსტრუქტორული ბიურო მუშაობენ ახალი სამგზავრო ელმავლის დაპროექტებაზე.

ახალი შემდუღებელი დანადგარები შექმნა ქარხანა „ელექტრომედულებასთან“ არსებულმა სრულიად საკავშირო ელექტრომედულებელი გაწყობილობის ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა. ასეთია, მაგალითად, უპრ-ბ ტიპის დანადგარი. ინსტიტუტმა შეიმუშავა ვენტილების ახალი სტატიკური დანადგარი, რომელსაც იყვებენ ლითონის გაზ-ელექტრული ჭრისათვის. იგი არსებულ აგრეგატზე 130 კგ მსუბუქია და უკეთესი საექსპლოატაციო თვისებებით ხასიათდება. მუშაობა წარმოებს დიდი სისქის ლითონის პლანშის საშუალებით საქრელი დანადგარის შესაქმნელად. ქარხანა „ელექტრომედულებაში“ ინსტიტუტის ფილიალის დახმარებით წარმოებს ელექტრომედულების დახადგარის მოდერნიზაცია, ითვისებენ დიფუზურ-ვაკუუმურ შესადუღებელ-მანქანებს და სხვ.

ახლად იქნა კონსტრუირებული და მრეწველობამ აითვისა ელექტროკარი ეკ-1000, ახალი სარეცხი მანქანა „ბათუმი-2“. აგრეთვე სხვა მრავალი ხელსაწყო, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმი, აპარატი.

მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული და დანერგულია წარმოებაში ტექნიკური პროგრესის, ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის მრავალი ღონისძიება, რომლებმაც ხელი შეუწყეს წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებას.

ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ რაიონში ახალი დარგების განვითარების ეფექტურობის გამოკვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდად შეიძლება ჩაეთვალოს დარგის ეკონომიკური მაჩვენებლების დონის ანალიზი. გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მაჩვენებელთა შედარებას მოცემული რაიონის მრეწველობის სხვადასხვა დარგების მაჩვენებლებთან, აგრეთვე, სხვა რაიონებში ამავე დარგის განვითარების მაჩვენებლებთან.

შედარების მეთოდი, რომელიც უმნიშვნელოვანესია წარმოების გაადგილების ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად, გამოყენებული უნდა იქნას კონკრეტული პირობების, დარგების და რაიონების სპეციფიკურობების გათვალისწინებით. მაჩვენებელთა შესადარობის პრინციპს დაკვირვით. ამავე დროს მსგავსებაში უნდა მივიღოთ, რომ ასეთი შედარება რიგ შემთხვევაში პირობით ხასიათს ატარებს, მხოლოდ ზოგადი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის საჩვენებელთა დონე, ამ მაჩვენებელთა დინამიკა წარმოდგენას იძლევა ამ დარგების განვითარების შესახებ. ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახვას პოულობს ამ დარგების განვითარების პირობების არსებობა და მათი გამოყენება. გარდა ობიექტურად არსებული ფაქტორებისა, წარმოების განვითარებაზე შეიძლება მოქმედებდნენ სუბიექტური ფაქტორებიც, მაგალითად, სათანადო ხელშეწყობის უზრუნველყოფა, კაპიტალურ მშენებლობათა დაგეგმვა. დარგის საწარმოებში ახალ სიმძლავრეთა ასამოქმედებლად და სხვა.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურმა და ხელსაწყოთმშენებელმა მრეწველობამ მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია. ადგილი ჰქონდა პროდუქციის გამოშვების, შრომის მწარმოებლურობის ზრდას, წარმოებაზე დანახარჯების შემცირებას, რაც ჩანს ქვემოთ მოტანილ მონაცემებში (ცხრილი 1).

ჩვენი რესპუბლიკის ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის მაჩვენებლების დინამიკა, რაც მოცემულია ცხრილში. ამ დარგების ეკონომიკური ათვისების გარკვეულ წარმატებებზე მიუთითებს.

რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის ზრდის ტემპების შედარება ამ დარგის განვითარების ტემპებთან ჩვენს ქვეყანაში მთლიანად და მის ზოგიერთ რაიონში შემდეგ სურათს იძლევა (ცხრილი 2).

საქართველოში ელექტროტექნიკური მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, სსრ კავშირსა და ამიერკავკასიასთან შედარებით, რაც ჩანს მე-2 ცხრილიდან. იგივე ითქმის ხელსაწყოთმშენებლობაზეც, იგი საქართველოში 1958—1962 წწ. გაიზარდა 7,6-ჯერ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა გამსწრები ტემპით ვითარდება ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით. სსრ კავშირში, მაგალითად, 1962 წელს ელექტროტექნიკური მრეწველობა 1958 წელთან შედარებით გაიზარდა 1,94-ჯერ,

ხელსაწყოთმშენებლობა—2,13-ჯერ, მაშინ, როცა მთელი მრეწველობის პროდუქცია იმავე პერიოდში გაიზარდა 1,45-ჯერ, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება—1,75-ჯერ, ხოლო მანქანათმშენებლობა—1,80-ჯერ.

ცხრილი 1

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა დინამიკა (პროცენტებით)

მაჩვენებლების დასახელება	1958	1959	1960	1961	1962	1963
მთლიანი პროდუქცია	100	175	278	355	463	537
მრეწველურ წარმოებრივი პერს. ძირითადი წარმოებრივი ფონდები	100	144	200	215	236	256
პროდუქციის გამომშვება 1 მომუშავეზე	100	119	143	167	192	206
დანახარჯები 1 მან. საჯონლურ პროდ.	100	103	100,4	100,4	98	94

ცხრილი 2

ელექტროტექნიკური მრეწველობის ზრდის ტემპები მთლიანი პროდუქციის მიხედვით (პროცენტებით)

რესპუბლიკების დასახელება	1958	1959	1960	1961	1962
სსრკ	100	119	114	168	194
ამიერკავკასია	100	126	182	233	265
საქართველოს სსრ	100	170	289	385	475
სომხეთის სსრ	100	112	162	197	195
აზერბაიჯანის სსრ	100	148	201	301	405

ჩვენს რესპუბლიკაში დანარჩენ დარგებთან შედარებით, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის გამსწრები ტემპებით განვითარებას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები (ცხრილი 3).

ცხრილი 3

საქართველოს სსრ მრეწველობის ყველაზე სწრაფად მზარდი ზოგიერთი დარგის განვითარების ტემპები მთლიანი პროდუქციის მიხედვით (პროცენტებით წინა წელთან შედარებით)

მრეწველობის დარგები	1958	1959	1960	1961	1962
მთელი მრეწველობა	111	108	106	106	110
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	115	121	126	116	121
მანქანათმშენებლობა	120	138	133	121	124
ელექტროტექნიკური მრეწველობა	—	170	168	133	127
ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა	—	266	152	135	139
ქიმიური მრეწველობა	118	114	128	115	107

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა აუცილებელია ამ დარგების ეფექტურობის ამაღლებისათვის. ქარხნების დაპროექტებული სიმძლავრისა და წარმოების სათანადო მასშტაბების გარეშე საწარმოები ვერ განახორციელებენ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმების ეფექტურობის უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას.

რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის საწარმოები. ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები:

ცხრილი 4

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს მაჩვენებლები 1962 წელს 1958 წ. შედარებით (1958=1)

ქარხნების დასახელება	მოლიანი პროდუქცია	მრეწველ-პერსონალი	ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა რიცხვი	პროდუქციის ღირებულება 1 მომუშავეზე
თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა	7,80	2,58	3,02	2,20
ქუთაისის ელექტროტექნიკური ქარხანა	2,09	1,34	1,56	1,27
ქარხანა „ელექტროავტომატი“	2,38	1,32	1,56	1,37
„ელექტროგამწვები“	2,07	1,75	1,14	1,98
„ელექტროძოვა“	2,20	1,45	1,57	1,26
„თბილელსაწყო“ ⁴	3,0	1,62	1,28	1,8

მრეწველობის ახალი დარგის ათვისების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შრომის მწარმოებლურობის დონე და მისი ამაღლების ტემპები. შრომის მწარმოებლურობა საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში გაიზარდა 1962 წელს 1958 წელთან შედარებით 2-ჯერ და მეტად მაშინ, როცა მთლიანად სსრკ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში იგი გაიზარდა 1,33-ჯერ, ხელსაწყოთმშენებლობაში—1,4-ჯერ.

ერთ მომუშავეზე პროდუქციის გამოშვების დონე ჩამორჩება მთლიანად ამიერკავკასიის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში მის დონეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში იგი უფრო სწრაფად იზრდება. მაგალითად, 1958-1962 წლებში მთლიანი პროდუქციის გამოშვება ერთ მომუშავეზე გაიზარდა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში 44 პროცენტით, სომხეთისაში—16 პროცენტით, აზერბაიჯანისაში—60 პროცენტით, საქართველოსაში კი—84 პროცენტით.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში ძირითადი ფონდების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ამაღლდა, 1958—1962 წლებში იგი გაიზარდა 93 პროცენტით. მთლიანად ამიერკავკასიაში კი მისი ზრდა უდრიდა 31 პროცენტს, სომხეთში—28 პროც., აზერბაიჯანში—38 პროცენტს.

მაგრამ 1000 მანეთის ძირითად ფონდებზე პროდუქციის გამოშვება საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში (2062 მანეთი) ჯერ კიდევ ნაკლებია, ვიდრე ამიერკავკასიაში (2310 მანეთი), სომხეთსა (2850 მანეთი) და აზერბაიჯანში (2387 მანეთი).

ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობის მხრივ საქართველოს სსრ ჯერჯერობით ჩამორჩება ამიერკავკასიას მთლიანად, აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანსაც.

ეფექტურ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა დანერგვა წარმოების ავტომატიზაციის და მექანიზაციის უფრო მეტად გამოყენება, პროგრესუ-

⁴ 1959 წელი=1

ლი ტექნოლოგიური მეთოდებით მუშაობა, შრომითი დანახარჯებისა და მასალების ეკონომია წარმოადგენს საწარმოთა რენტაბელობის მიღწევისა და მისი ამაღლების საშუალებებს.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ მრეწველობაში ვსვდებით საწარმოთა შემდეგ ჯგუფებს: საწარმონი, რომლებიც წარმოშობიდანვე რენტაბელურად მუშაობდნენ; საწარმონი, რომელთაც რამდენიმე წლის შემდეგ მიაღწიეს რენტაბელობას და ისეთები, რომლებიც დღემდე ითვლებიან გეგმით ზარალიან საწარმოებად.

პროდუქციის ერთეულზე მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირება წარმოების რენტაბელობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. წარმოებრივი დანახარჯების შემცირებაში გამოიხატება წარმოების ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობების გამოყენება.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურმა და ხელსაწყოთმშენებელმა მრეწველობამ საქონლური პროდუქციის ერთ მანეთზე დანახარჯების შემცირებაში გარკვეულ შედეგებს მიაღწია. 1962 წელს დანახარჯებმა 1 მან. საქონლურ პროდუქციაზე შეადგინა 92,9 კაპ. მაშინ, როცა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში 1 მან. საქონლურ პროდუქციაზე დაიხარჯა 93 კაპ.; ამ მხრივ საქართველოს სსრ მაჩვენებელი აღმეტებოდა აგრეთვე სომხეთისას (იგი შეადგინდა 93,6 კაპ.), მაგრამ ჩამოუვარდებოდა აზერბაიჯანის სსრ მაჩვენებელს (სადაც ის უდრიდა 90,2 კაპ.).

ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში 1962 წელს საქართველოს სსრ მაჩვენებელი სჭობნიდა ამიერკავკასიის საერთო მაჩვენებელს (78 კაპიკი დაიხარჯა 1 მან. საქონლურ პროდუქციაზე), აგრეთვე აზერბაიჯანის და სომხეთის სსრ მაჩვენებელს (80 კაპ.). ჩვენს რესპუბლიკაში 1 მანეთის საქონლურ პროდუქციაზე დანახარჯები უდრიდა 1962 წელს 70 კაპ.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში კვლავ შემცირდა 1 მანეთის საქონლურ პროდუქციაზე დანახარჯები 1963 წელს. ელექტროტექნიკურ მრეწველობაში მან შეადგინა 86,3 კაპ. და განსაკუთრებით დაბალი იყო ხელსაწყოთმშენებლობაში—53,1 კაპ.. მთლიანად საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის სამმართველოში ერთი მანეთის საქონლურ პროდუქციაზე 1963 წელს დაიხარჯა 88,3 კაპ.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა თავიდან რენტაბელურ დარგს წარმოადგენს. რენტაბელურ საწარმოთა რიცხვი ამ ახალი დარგების ათვისების შესაბამისად თანდათანობით იზრდებოდა, ხოლო გეგმით ზარალიან საწარმოთა რიცხვი შემცირდა, ამას გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები (ცხრილი 5).

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში მომეგებიან საწარმოთა რიცხვის ზრდასთან ერთად ადგილი ჰქონდა მოგების თანხის გადიდებასაც. მაგალითად, 1959 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 1960 წელს 1,53-ჯერ, 1961 წელს — 2,12-ჯერ, 1962 წელს—3,34-ჯერ, 1963 წელს—5,54-ჯერ.

ზარალიანი საწარმოების რიცხვის, აგრეთვე, ცალკეულ საწარმოთა ზარალის შემცირებამ გამოიწვია ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ

მრეწველობაში ზარალიანობის შემცირება. ზარალი 1963 წელს, 1959 წელთან შედარებით, 37 პროცენტით ნაკლები იყო.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დარგებში მიღებული მოგების გარდამეტობა ზარალის მიმართ მუდმივად იზრდებოდა. 1959 წელს მოგება სკარბობა და ზარალს 2,23 ჯერ, 1961 წელს—4,32-ჯერ, 1962 წელს—6,6-ჯერ, 1963 წელს—19,7-ჯერ.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის რენტაბელობა თანდათანობით მაღლდება. უახლოეს წლებში შესაძლებელია ზარალიანობის სრული ლიკვიდაცია ამ დარგის საწარმოებში.

რესპუბლიკის ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ეფექტურობის თვალსაზრისით, გარკვეულ ინტერესს იწვევს ამ დარგში ერთი მანეთის საქონლურ პროდუქციაზე დანახარჯების შედარება სახალხო მეურნეობის საბჭოს მთელი მრეწველობისა და მონათესავე დარგის—მანქანათმშენებლობის ამავე მაჩვენებელთან.

ცხრილი 5

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის რენტაბელურ და ზარალიან საწარმოთა რიცხვი წლების მიხედვით

საწარმოთა დასახელება	1959	1960	1961	1962	1963
საწარმოთა რიცხვი სულ	21	23	26	26	27
რენტაბელური საწარმოების რიცხვი	7	10	17	17	19
ზარალიან საწარმოთა რიცხვი	14	13	9	6	7

თუ საქართველოს სსრ სსს მრეწველობაში ერთი მანეთის საქონლურ პროდუქციაზე დანახარჯებს მივიღებთ 100 პროცენტად, იგი შეადგენდა მანქანათმშენებლობაში 1959 წელს 101, 1960 წელს—98, 1961 წელს—99,7, 1962 წელს—99,2, 1963 წელს—98,3 პროცენტს; ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში 1959 წელს—100, 1960 წელს—102, 1961 წელს—100, 1962 წელს—98, 1963 წელს—96 პროცენტს.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, მიუხედავად 1 მან. საქონლურ პროდუქციაზე დანახარჯების უფრო მაღალი დონისა ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში 1960 წელს, მან შემდგომ წლებში უფრო მეტად დაიკლო, ვიდრე მთლიანად სსს მრეწველობაში და მანქანათმშენებლობაში.

ცხრილი 6

დაგროვების ზრდის ტემპები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა საბჭოს მთელ მრეწველობაში. მანქანათმშენებელ და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში (პროცენტებით)

დარგების დასახელება	1960	1961	1962	1963
მთელი მრეწველობა	100	100	108	150
მანქანათმშენებლობა	100	97	103	171
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენ. მრეწველობა	100	207	322	650

ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ დაგროვების

სწრაფად ზრდა ამ დარგებში. დავროვების ზრდის ტემპებით ეს დარგები უსწრებენ რესპუბლიკის მრეწველობის სხვა დარგებს, რაც ჩანს მოტანილი მონაცემებიდან (ცხრილი 6).

ამ ახალი დარგების ათვისების დონის ამადლების, ორგანიზაციული და ტექნიკური პროგრესის განხორციელებას შედეგად ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა გახდა რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური დარგი, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის დარგებს შორის.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაში ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მრავალი რეზერვი არსებობს. ესაა: ქარხნების წარმოებრივი პროექტული სიმძლავრეების მთლიანად ამუშავება და საწარმოებში ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა, მექანიზაციის და ავტომატიზაციის დონის ამადლება, მოწინავე ტექნოლოგიის, განსაკუთრებით, ტიპური ტექნოლოგიის დანერგვა, სპეციალიზაციის და კოოპერირების ფორმების უფრო მეტად და ეფექტურად გამოყენება, დეტალების და კვანძების უნიფიკაციის და ნორმალიზაციის უფრო ფართოდ გატარება, ორგანიზაციული, მეცნიერულ-კვლევითი და კონსტრუქტორული მუშაობის უფრო მაღალ დონეზე დაყენება, წუნის შემცირება, კადრების კვალიფიკაციის ამადლება და სხვა.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის ორგანიზაციის პერიოდს მთელი რიგი ნაკლოვანებებიც ახასიათებს. ამათგან ყველაზე მთავარია კაპიტალურ მშენებლობაში შენელებული ტემპები, დამპროექტებელი ორგანიზაციების მიერ საწარმოთა მშენებლობის და ტექნოლოგიური პროექტების შედგენის ვადის გაჭინაობა, სახელმწიფოს მიერ წინასწარ დადგენილ ვადებთან შედარებით.

ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობა მანქანათმშენებელი მრეწველობის დარგთა ჯგუფში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი გახდა ამიერკავკასიის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამიერკავკასიის მრეწველობის მთლიან პროდუქციაში ელექტროტექნიკური მრეწველობის ხვედრიწონა შეადგენს 5,5 პროცენტს, ხოლო მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციაში—40 პროცენტზე მეტს. ამიერკავკასია ამჟამად იძლევა სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის პროდუქციის 7 პროცენტზე მეტს, ხოლო მომავალში მისი ხვედრიწონა კვლავ გაიზრდება.

1958 წელს რესპუბლიკების ხვედრიწონა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკური მრეწველობის მთლიან პროდუქციაში შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საქართველოს სსრ-ზე მოდიოდა 18,4 პროც., სომხეთზე—68,5 პროც., აზერბაიჯანზე—13,1 პროცენტი; 1962 წელს კი საქართველოს სსრ ხვედრიწონა შეადგენდა 30,2 პროც., სომხეთის სსრ—49,8 პროცენტს, აზერბაიჯანის სსრ—20,0 პროცენტს. მომავალში საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის ხვედრიწონა მნიშვნელოვნად გაიზრდება ამიერკავკასიის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

თანდათანობით მატულობს ელექტროტექნიკური მრეწველობის ხვედრი-წონა რესპუბლიკის მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციაში. 1957 წელს იგი იძლეოდა საქართველოს სსრ მანქანათმშენებელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 6,8 პროც., 1959 წელს—11,8 პროც., 1962 წელს—35,8 პროცენტს, 1965 წელს კი მისი ხვედრიწონა მიაღწევს 44 პროცენტს.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ წარმოიშვა, 1963 წელს აღემატებოდა რევოლუციამდელი რუსეთის ელექტროტექნიკურ მრეწველობას ქარხნების რიცხვის მიხედვით 1,4-ჯერ, მომუშავეთა რიცხვის მიხედვით—1,7-ჯერ, გამოშვებული პროდუქციის მიხედვით—11-ჯერ და მეტად.

ელექტროტექნიკური მრეწველობა ამჟამად არ გააჩნია საზღვარგარეთის ქვეყნების დიდ უმრავლესობას, მთელ რიგ ქვეყნებში კი იგი სუსტადაა განვითარებული. მრეწველობის ეს დარგი ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში ძირითადად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური მრეწველობა პროდუქციის წარმოების მოცულობით მნიშვნელოვნად აღემატება ფინეთის ელექტროტექნიკურ მრეწველობას.

საქართველოს სსრ მეზობელი კაპიტალისტური ქვეყნებიდან ირანს არ გააჩნია ელექტროტექნიკური მრეწველობა, ხოლო თურქეთში იგი მეტად უმნიშვნელო მოცულობითაა წარმოდგენილი (რამდენიმე ქარხანა აშენდა უცხოელი ფირმების მონაწილეობით). 1958 წელს თურქეთის ელექტროტექნიკურ მრეწველობაში 1230⁶ მუშა მუშაობდა, ანუ 5,5-ჯერ უფრო ნაკლები, ვიდრე საქართველოში იმავე წელს და 14-ჯერ ნაკლები, ვიდრე 1963 წელს.

საქართველო ელმავლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელია მსოფლიოში. 1960 წელს საქართველოს სსრ ელექტროტექნიკურმა მრეწველობამ გამოუშვა 1,5-ჯერ მეტი ელმავალი, ვიდრე შვეიცარიამ 10 წლის მანძილზე (1950—1959 წლებში შვეიცარიაში წარმოებული იყო 57 ელმავალი), 1959 წელს საქართველოში წარმოებული იქნა თითქმის იმდენი რაოდენობის ელმავლები, რამდენიც აშშ-ში 1950—1959 წლებში⁷.

1961 წელს საქართველომ გამოუშვა 120 მაგისტრალური ელმავალი, ინგლისმა—65, საფრანგეთმა—128, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ—145; 1962 წელს საქართველოს სსრ წარმოებულ იქნა 160 ელმავალი, საფრანგეთში—130, გფრ—181⁷. ელმავლების გამოშვება 1963 წელს გფრ და ინგლისში შემცირდა. საქართველოს სსრ-ში კი იგი კვლავ გაიზარდა 184 ცალმდე. ამრიგად, საქართველომ ელმავლების გამოშვებით გაუსწრო მის ყველაზე დიდ მწარმოებლებს საზღვარგარეთ—საფრანგეთს, გფრ-ს და ინგლისს.

⁶ Д. И. Вдовиченко, Национальная буржуазия Турции, М., 1962, гл. 23.

⁷ Развитие электротехнической промышленности США в послевоенный период. М., 1962, гл. 30.

⁷ კაპიტალისტური ქვეყნების ელმავალმშენებელი მრეწველობის მასალები აღებულია მიზნილიდან „Конъюнктура рынка оборудования капиталистических стран в 1962 году, Бюлетень иностранной коммерческой информации, приложение № 3, 1963, гл. 86.

ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამ დარგის წარმოების განვითარების ეფექტურობის მეტად მაღალი მაჩვენებლებისა, მისა განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში არა დამაკმაყოფილებელია. 1962 წელს საქართველოს სსრ-ზე მოდიოდა ამიერკავკასიის ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის პროდუქციის 13,3 პროცენტი, მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის 11 პროცენტი, ძირითადი წარმოებრივი ფონდების 5 პროცენტი.

სომხეთის სსრ ხელსაწყოთმშენებელ მრეწველობაზე მოდის ამიერკავკასიის ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 66,3 პროცენტი, აზერბაიჯანისაზე—20,4 პროცენტი.

საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობაში ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის პროდუქციის ხვედრიწონა შეადგენდა 1960 წელს 1,32 პროც., 1961 წელს—1,5 პროც., 1962 წელს 1,82 პროცენტს. ამასთან ჭერჯერობით არაა დასახული საცმარისი ღონისძიებები ამ დარგის განვითარებისათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მრეწველობის დარგებში ტექნიკური პროგრესისათვის.

რესპუბლიკის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებისათვის ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებების წარმოების უფრო მეტად გაფართოება საქართველოში სავსებით მიზანშეწონილია.

საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის წარმოშობას და განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მწარმოებლური ძალების განვითარებისათვის, მთელი რიგი ქალაქების ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლებისათვის, მრეწველობის გაადგილების გაუმჯობესებისათვის.

ამ დარგების წარმოშობა წარმოადგენს პროგრესულ ცვლილებას რესპუბლიკის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში, რაც ხელს უწყობს წარმოების საშუალებათა წარმოების, განსაკუთრებით შრომის იარაღების წარმოების ხვედრიწონის ამაღლებას. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან საქართველოს სსრ ჩამორჩება საბჭოთა კავშირს მთლიანად და ზოგიერთ რესპუბლიკას წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრიწონით მრეწველობის მთლიან პროდუქტიაში.

ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის საქართველოს სსრ ეკონომიკურ-ადმინისტრაციულ რაიონში გაადგილების პირობებისა და ამ დარგების მუშაობის დახასიათება ვვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მათი განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში ეფექტური და მიზანშეწონილია.

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ПУТИ ПОВЫШЕНИЯ ПРОИЗВОДИТЕЛЬНОСТИ ТРУДА В КОЛХОЗАХ

(На примере колхозов Болнисского, Марнеульского и Дманисского районов)

АЛИЗАДЕ ЕЛЧУ

(Представлено инст. экономики и права АН Груз. ССР)

Для создания материально-технической базы коммунизма необходимо добиться такой производительности труда, которая была бы выше, чем в развитых капиталистических странах. В этом заключается величайшее экономическое и политическое значение систематической борьбы за повышение производительности труда.

Известно, какое величайшее значение В. И. Ленин придавал повышению производительности труда для победы нового общественного строя.

Программой Коммунистической Партии Советского Союза предусматривается повышение производительности труда в сельском хозяйстве в течение десяти лет не менее чем в 2,5 раза, и за двадцать лет — в 5—6 раз.

Интересы дальнейшего развития колхозного производства требуют особого внимания к всестороннему изучению его экономики. При исследовании колхозного производства в центре внимания должна стоять проблема производительности труда.

Систематический и неуклонный рост производительности труда представляет главное условие роста колхозного производства. Рост производительности общественного труда в определенной мере зависит от характера производственных отношений. Новые производственные отношения являются главной движущей силой производительных сил и условием быстрого роста производительности общественного труда. Социалистические производственные отношения, общественная собственность на средства производства обеспечивают развитие производительных сил, обуславливают непрерывный технический прогресс и систематическое повышение производительности общественного труда.

В деле развития колхозного производства, рационального использования земли и обеспечения роста производительности труда большое значение имеет интенсификация сельского хозяйства.

Интенсификация сельского хозяйства осуществляется путем роста технической базы, дополнительного вложения средств производства на единицу площади земли и усовершенствования методов управления хозяйством. Все это обеспечивает получение максимального количества



продукции с гектара и снижение затрат труда и средств производства на единицу продукции.

В числе факторов повышения производительности труда главное место занимает внедрение в каждом колхозе и совхозе научно обоснованной системы земледелия и животноводства, обеспечивающей правильное использование земли, достижение высокого уровня производства продукции на единицу земельной площади при наименьших затратах труда и средств.

Важнейшими факторами роста производительности труда в сельском хозяйстве является непрерывный технический прогресс, обочвление и совершенствование техники, комплексная механизация и автоматизация производственных процессов на базе внедрения машин, отвечающих условиям производства отдельных зон страны.

Чем выше производительность труда в колхозе, тем ниже себестоимость продукции. В себестоимости продукции сельскохозяйственного производства колхозов и совхозов оплата труда занимает около 60%. Уменьшение ее на 10% за счет повышения производительности труда даст снижение себестоимости, примерно, на 5—6%.

Действие закона неуклонного роста производительности труда означает экономии рабочего времени. Эта экономия, как избыток производимой продукции над потребляемой, была и остается основой всякого общественного, политического и умственного прогресса. Она позволяет наиболее полно удовлетворить потребности всего общества, сократить занятое и увеличить свободное время работников.

«Повышение производительности труда, — писал К. Маркс, — заключается именно в том, что доля живого труда уменьшается, а доля прошлого труда увеличивается, но увеличивается таким образом, что общая сумма труда, заключающаяся в товаре, уменьшается»¹.

Закон неуклонного роста производительности труда действует не изолированно, а вместе с другими экономическими законами. Так, например, закон планомерного, пропорционального развития народного хозяйства открывает перспективу сбережения рабочего времени, он позволяет предвидеть рост производительности труда на ряд лет вперед.

Закон распределения по труду содействует техническому прогрессу, улучшению организации производства, подъему квалификации работников, а также использованию средств производства и труда работников в интересах повышения его производительности.

На закон неуклонного роста производительности труда оказывает воздействие также экономический закон преимущественного роста производства средств производства. Этот закон требует преимущественного развития тяжелой индустрии, без которой невозможны крупные научно-технические открытия и изобретения, всесторонний и непрерывный технический прогресс, дальнейший рост производительности труда.

«Единственной материальной основой социализма, — писал В. И. Ленин, — может быть крупная машинная промышленность, способная реорганизовать и земледелие»².

Познавая и используя экономические законы и опираясь на творческую инициативу трудящихся, Коммунистическая партия обеспечила бурное развитие индустрии, создала и укрепила колхозный строй, который является передовым общественным строем.

В сельском хозяйстве особенно высокие темпы повышения производительности труда наблюдались после 1953 года, когда Партия и

¹ К. Маркс, Капитал, III, 1955, стр. 271.

² В. И. Ленин, соч., т. 32, стр. 434.

Правительство разработали и осуществили важнейшие экономические мероприятия по крутому подъему земледелия и животноводства, приняли меры по улучшению структуры посевных площадей, освоению целинных и залежных земель.

На подъем экономики колхозов направлены огромные государственные средства, восстановлен и укреплен ленинский принцип материальной заинтересованности колхозов и колхозников в развитии общественного производства, введен новый порядок планирования, осуществлена реорганизация МТС, в колхозы посланы опытные руководители и специалисты сельского хозяйства.

Общая земельная площадь в указанных колхозах составляет 107814 га. Всего сельскохозяйственных угодий (без приусадебных участков индивидуального пользования) — 75577 га, в том числе пашни — 27693 га.

Колхозы Болнисского, Марнеульского и Дманисского районов, претворяя в жизнь решения XXII съезда КПСС, в 1963 году убрали 196946 центнеров зерновых культур с площади 18475 га, продали государству 43442 центнеров зерновых, а также:

Молока з/вес. 48916 цнт.

Мяса —>— 10224 цнт.

Шерсти —>— 1236 цнт.

По экономико-географическим условиям, зоны района резко отличаются друг от друга. Климат нижней зоны позволяет выращивать зерновые культуры, овощи, бахчевые, виноград, картофель, табак и другие; а верхняя зона в основном занимается животноводством.

Данные о структуре валовой продукции сельского хозяйства в колхозах Болнисского, Марнеульского и Дманисского районов за 1962 г. характеризуются: (см. таблица 1).

Таблица 1

Структура валовой продукции колхозов Болнисского, Марнеульского и Дманисского районов

Отрасли	Валовая продукция отдельных отраслей в % ко всей валовой продукции
Зерновое хозяйство	20,1
Технические культуры в том числе табак	16,7 12,6
Картофель, овощи и бахчевые про- дольственные	9,8
Кормовые культуры	8,6
Продукция садов, ягодников и вино- градников	16,2
Итого по растениеводству	71,4
Продукция крупного рогатого скота	18,0
свиноводства	1,9
овцеводства	7,9
птицеводства	0,3
шелководства	0,4
пчеловодства	0,1
Итого по животноводству	28,6
Всего по хозяйству	100,0

В колхозах Болнисского, Марнеульского и Дманисского районов развито несколько отраслей сельского хозяйства. Однако, надо отметить, что группировка колхозов по отраслям ясно отражает, что стоимость валовой продукции животноводства к общей стоимости валовой продукции (растениеводства и животноводства) по Дманисскому району составляет 43% (в 30 колхозах), а в Болнисском и Марнеульском районах — лишь 22%.

Производительность труда в растениеводстве, а также и в животноводстве в колхозах не находится на должном уровне, потому изучение источников резерва по повышению производительности труда является неотложной задачей.

Таблица 2
Уровень производительности труда в колхозах Болнисского, Марнеульского и Дманисского районов—1962 год

Группы колхозов по стоим. валовой продукции растениеводства и животноводства в расчете на 1 человекодень (руб)	Число хозяйств в группе	Стоимость валовой продукции растениеводства и животн. в руб. коп.		На 1 колхоз в среднем приходится			
		На один человеко день	На одного трудоспос. колхозника принимавш. участие в обществен.хоз-ве	Денежного дохода тыс. руб	Основных средств тыс. руб.	Неделимых фондов тыс. руб.	Зерно в цнт.
I. до 2	28	1,34	174	64,7	240,2	162,5	2136
II. от 2 до 3	20	2,52	360	55,8	187,7	142,8	2241
III. свыше 3	10	3,91	745	300,9	445,4	314,9	4822
По управлению	58	2,40	366	100,6	257,7	183,0	2674

В таблице показан уровень производительности труда колхозов за 1962 год. Анализируя данные таблицы, можно видеть имеющиеся резервы по повышению производительности труда. В первой группе колхозов производство валовой продукции в расчете на одного среднегодового трудоспособного, работающего в общественном труде, ниже среднего уровня на 44% и в 3 раза меньше, чем в группе передовых колхозов. В свою очередь в группе средних колхозов производительность труда на 36% ниже, чем в группе передовых колхозов.

Чтобы подтянуть отстающие колхозы до уровня средних, а средних — до уровня передовых, необходимо повысить производительность труда в этих хозяйствах на 35—45%.

Для того, чтобы вскрыть резервы роста производительности труда, необходимо выявить, какие условия складываются в тех колхозах, где уже сейчас производительность труда значительно выше, чем в соседних хозяйствах.

Для тщательного изучения данного вопроса мы взяли три типичных колхоза, экономически отличающихся друг от друга: колхоз «Победа» с. Фахрало, колхоз им. XIX Партсъезда и колхоз им. XVIII Партсъезда.

Производственные условия этих колхозов почти одинаковы, но данные за предыдущие годы показывают, что результаты по урожайности, по производительности труда и себестоимости продукции различны.

В этих хозяйствах количество полученной валовой продукции на каждого трудоспособного колхозника и на каждый человекодень в 1962 году показывает уровень производительности труда (таблица 3).

Таблица 3

Колхозы	Валовая продукция в рублях		В том числе винограда в рублях	
	На каждого трудоспособного колхозника	На каждый человекодень	На каждого трудоспособного колхозника	на каждый человеко-день
К-з „Победа“	674	3,94	316	1,59
К-з XIX Партсъезда	484	2,15	137	0,54
К-з XVIII Партсъезда	77	1,24	30	0,43
Всего в указанных районах	366	2,65	58	0,32

Как видно из таблицы, несмотря на то, что эти колхозы находятся в одинаковых климатических условиях и обеспечены механизмами почти в одинаковой степени, количество полученной продукции на одного трудоспособного колхозника и на один человекодень, резко отличается.

Производительность труда в колхозе «Победа» в 3 раза выше, чем в колхозе им. XVIII Партсъезда. О больших резервах свидетельствует также уровень производительности труда в колхозах, находящихся в одинаковых производственных условиях.

Рост производительности труда и снижение себестоимости зависят от целого ряда факторов: от правильной специализации производства в соответствии с природно-экономическими условиями, от комплексной механизации и внедрения прогрессивной технологии, позволяющей рационально использовать корма, постройки, средства механизации и т. д.

Для того, чтобы установить влияние основных факторов на рост производительности труда и снижение затрат на единицу продукции, рассмотрим себестоимость продукции нескольких культур: винограда, табака и зерновых колосовых, от производства которых эти колхозы получают основные денежные доходы.

Таблица 4
Себестоимость и затраты ч/дней на производстве винограда

Колхозы	1960 г.		1961 г.		1962 г.	
	Себестоимость 1 цнт. продукции	Затрачено ч/дней на 1 цнт. продукции	Себестоимость 1 цнт. продукции	Затрачено ч/дней на 1 цнт. продукции	Себестоимость 1 цнт. продукции	Затрачено ч/дней на 1 цнт. продукции
К-з „Победа“	18,70	6	15,50	3,9	10,5	2,3
К-з XIX П/съезда	27,60	9,2	19,8	4,6	12,8	4,5
К-з XVIII П/съезда	62	16	36	9,9	60	19,4

Из приведенных данных таблиц 4 и 5 видно, что урожайность винограда с 1 га в колхозе «Победа» значительно выше, чем в колхозе XVIII Партсъезда и одновременно себестоимость в колхозе «Победа» ниже, чем в других колхозах, также значительно экономно затрачено человекодней.

В колхозе «Победа» в 1962 году на каждый гектар виноградника внесено 40 тонн навоза и 3 центнера селитры. Соблюдались все агро-

Таблица 5

Средняя урожайность винограда в 1960—1961—1962 гг.
(в центнерах с 1 га)

1	2	3	4
Колхозы	1960 г.	1961 г.	1962 г.
К-з „Победа“	26,7	47,8	92,5
К-з XIX П/съезда	21,4	32,7	42,8
К-з XVIII П/съезда	11,0	15,0	13,2

правила по борьбе с болезнями и вредителями виноградников. Проведено 7 раз опыливание и 7 раз опрыскивание виноградников.

Как выше сказано, имеется много факторов, влияющих на повышение производительности труда. Важное значение имеет применение техники на производстве отдельных культур. В колхозе «Победа» опыливание виноградников производится авиацией, что уменьшает затраты труда и освобождает рабочую силу, этим самым повышается производительность труда и снижается себестоимость продукции. Опыливание 150 га плодоносящих виноградников авиацией сокращает за сезон 2030 рабочих рук и экономит колхозу 3000 рублей.

В отдельных бригадах в 1962 году получен урожай винограда — с 1 гектара по 110 центнеров на площади 17 га.

Для дальнейшего резкого подъема производительности труда и значительного снижения себестоимости продукции сельского хозяйства надо широко внедрять в колхозах методы передовиков виноградарства.

Однако, все резервы роста производительности труда могут быть использованы в полной мере лишь при условии строгого соблюдения ленинского принципа материальной заинтересованности работников. В связи с этим, важнейшее значение имеет широкое применение в колхозе дополнительной оплаты труда.

За последние годы Партией и Правительством проведен ряд мероприятий, направленных на дальнейшее развитие колхозного производства, на создание всех необходимых материально-технических и организационно-хозяйственных условий для резкого увеличения валового выхода продукции сельского хозяйства. Введен новый порядок планирования, который развязал творческую инициативу колхозников. Колхозам рекомендовано самим дополнять и изменять отдельные положения принятого Устава сельскохозяйственной артели, устанавливать порядок и размер дополнительной оплаты натурой и деньгами за перевыполнение планов урожайности сельскохозяйственных культур и продуктивности животноводства.

Таблица 6

Рациональное использование земли

Колхозы	Валовая продукция		Оплата одного человека в руб.
	на 100 га с/х угодий руб.	На 1 человек в день руб.	
К-з „Победа“	19188	3,94	2,05
„ XX П/съезда	13668	2,15	1,07
„ XVIII П/съезда	1609	1,24	0,52
По району	9909	2,40	1,0

В последнее время в колхозах стали выдавать часть дополнительной оплаты и при выполнении отдельных процессов работы, что создает заинтересованность колхозников в своевременном проведении агромероприятий.



В колхозе «Победа» в 1962 году колхозники отдельных бригад, работавшие на винограднике, дополнительно получили в среднем 500 600 рублей. В этом особенно отличились бригада 5 и бригада 21, которыми руководят коммунисты т.г. Будагов И. и Микаилов М. Если бы колхозники всех бригад работали бы так, как работали колхозники бригад 5 и 21, то колхоз дополнительно продал бы государству 400 тонн винограда, что составило бы 120 тысяч рублей.

Рациональное использование земли и рост производительности труда являются основным условием повышения оплаты труда, что видно из данных годовых отчетов за 1962 год (таблица 6).

Как видно из таблицы 6, оплата труда в колхозе «Победа» в 2 раза выше, чем по всем колхозам изученных нами трех районов и в 4 раза выше, чем в колхозе им. XVIII Партсъезда.

Это достигнуто совершенствованием методов нормирования и оплаты труда, ежемесячным авансированием колхозников, применением дополнительной оплаты труда и других форм, способствовавших стимулированию материальной заинтересованности колхозников, повышению производительности труда и укреплению трудовой дисциплины.

За последние годы все больше число колхозов учитывают затраты труда на производство отдельных видов продукции в часах, а оплату труда колхозников производят в деньгах. Опыт этих колхозов показывает, что переход к нормированию труда в сочетании с денежной оплатой намного повышает заинтересованность колхозников в общественном труде, поднимает их творческую активность и заинтересованность в достижении высоких показателей.

Вместе с тем, в организации нормирования труда в колхозах имеются еще существенные недостатки. Во многих случаях нормы выработки на отдельные виды работ устанавливаются без достаточного обоснования, не дифференцируются по бригадам и звеньям, работающим в различных условиях, не учитывается должным образом передовой опыт.

По мере дальнейшего развития колхозного строя, нормирование, организация и оплата труда в колхозах по своему уровню и формам все более будут приближаться к нормированию, организации и оплате труда на государственных предприятиях. В колхозах будет постепенно осуществлен переход к гарантированной ежемесячной оплате труда.

Все эти мероприятия будут способствовать постепенному выравниванию уровней производительности труда в колхозах и совхозах. На основе более высоких темпов роста производительности труда колхозников, — говорится в Программе КПСС, — их реальные доходы в среднем будут расти быстрее доходов рабочих и увеличатся в расчете на одного работающего в ближайшее десятилетие более, чем в 2 раза, а в течение 20 лет — более чем в 4 раза.

Значительно влияет на уровень производительности труда и степень использования тракторов и сельскохозяйственных машин. Там, где высоко производительно используется техника, ниже и затраты на тракторные работы.

Приведем пример использования тракторов и себестоимости мягкой пахоты (таблица 7).

В колхозах имеются передовые трактористы, выполняющие дневные нормы на тракторе ДТ-54 на 150—200%.

В двадцати четырех колхозах имеются виноградники на площади 740 га в плодоносящем возрасте. В 1962 году денежный доход от винограда к общему денежному доходу составил 25%.

Приведем таблицу, по которой ясно виден средний урожай винограда (таблица 8).

Если бы довести уровень производительности труда в колхозах, отстающих до уровня средних и средних — до уровня передовых колхозов, то по всем колхозам этих районов, по сравнению с 1962 годом, получилось бы дополнительно 14 619 центнеров винограда и 2130 центнеров табака, что по государственным закупочным ценам составляет 549 870 рублей.

Таблица 7
Использования тракторов и себестоимость мягкой пахоты

Колхозы	1960 год		1961 год		1962 год	
	Выработ. на 1 трактор в переводе на 15 сильный	Всего затрат на 1 га мягкой пахоты (в руб.)	Выработ. на 1 трактор в переводе на 15 сильный	Всего затрат на 1 га мягкой пахоты	Выработ на 1 трактор в переводе на 15 сильный	Всего затрат на 1 га мягкой пахоты (в руб.)
К-з „Победа“	404	5,05	336	3,20	442	3,40
К-з XIX П/съезда	344	6,92	280	3,35	316	2,76
К-з XVIII П/съезда	336	6,15	292	3,20	352	4,30

Таблица 8
Урожай винограда с 1-га (центнеров)

Колхозы, получающие урожай винограда с 1 га центнеров	Кол-во колхозов	Площадь в га	Валовой урожай в цнт.
1. Свыше 70 цнт	5	260	24421
2. От 40 до 70 цнт	4	83	3627
3. До 40 центнеров	15	397	6507

В Программе КПСС указано: «Основным звеном дальнейшего развития всего сельского хозяйства, базой быстрого роста животноводства является ускоренный подъем производства зерна».

Ускоренный подъем производства зерна, предусмотренный Пленумами ЦК КПСС, обеспечивается дальнейшим его развитием преимущественно вглубь, путем повышения культуры земледелия на основе последовательной интенсификации.

В колхозах Болнисского, Марнеульского и Дманисского районов удельный вес продукции зерновых по всей валовой продукции сельского хозяйства доходит до 20%.

На производство зерна затрачивается 19% всего труда в сельскохозяйственном производстве, а денежные поступления от реализации зерна составляют 14% получаемых от сельского хозяйства.

Таким образом, здесь особенно важно, наряду с другими отраслями, наращивание темпов роста производительности труда в производстве зерна и зерновых культур, включая кукурузу.

Площади под всеми зерновыми культурами ежегодно расширяются, как видно из приведенной таблицы 9. С 1961 г. площади под зерновыми культурами, включая кукурузу, увеличились на 3565 га. Одновременно повышается урожайность с 1 га (таблица 9).

Для создания необходимых ресурсов зерна и снижения издержек на его производство, решающее значение имеет повышение производительности труда.

В семилетнем плане предусмотрено повышение производительности труда в колхозах в 2 раза, а в совхозах — на 60—65%. Такие темпы подъема производительности труда вполне реальны и для колхозов Болнинского, Марнеульского и Дманисского районов, резервы роста производительности труда которых очень велики.

Таблица 9

Показатели урожайности		
Годы	Площадь всех зерновых культур	Урожай с 1 га в центнерах
1961	14910	10,1
1962	15213	10,2
1963	18475	10,7

Об этом свидетельствуют данные 1962 года о производстве зерна на полного годового работника в колхозах этих районов (таблица 10).

Таблица 10

Группировка колхозов по выходу зерна

Группы колхозов по выходу зерна на полного годового работника	Колхозников в группе	Тоже в % к итогу	Произведено зерна на полного годового работника
1. До 10 цент.	40	69	5,5
2. от 10,1 до 15 цн	12	20,9	11,7
3. Свыше 15 цн.	6	10,1	22,6
4. В среднем по всем колхозам	58	100	7,5

Производительность труда в колхозах третьей группы в 4 раза выше, чем в первой группе. О больших резервах свидетельствует также уровень производительности труда в колхозах, находящихся в одинаковых условиях.

В 1963 году средняя урожайность зерновых в колхозах указанных районов составила 10,7 центнера. Самый высокий урожай пшеницы получен в колхозе «Победа» с. Фахрало. Здесь на площади 1260 га в среднем получено по 20 центнеров с одного гектара. В бригаде 9 на площади 120 га получено по 25 центнеров с гектара.

Известно, что одним из главных резервов повышения урожайности является местные и минеральные удобрения. Широкое применение минеральных удобрений открывает путь для интенсивного ведения сельского хозяйства, а интенсификация в современных условиях является генеральным направлением в развитии сельскохозяйственного производства.

Применение органических и минеральных удобрений обеспечивает прибавку урожая на 2—5 центнеров, снижение себестоимости зерна на 10—15% и более. В колхозе «Победа» на каждый гектар посева пшеницы в 1963 году внесено 120 кг селитры и 20 кг суперфосфата в виде подкормки.

Колхозы «Победа», им. XIX Партсъезда КПСС и им. XVIII Партсъезда КПСС находятся в одинаковых условиях. Однако, как показано в таблице 11 средняя урожайность пшеницы в колхозе «Победа» значительно выше, чем в этих колхозах и в остальных колхозах изученных нами районов (таблица 11).



Как видно из таблицы 11, производительность в колхозе «Победа» почти в 3,5 раза больше, чем в соседних колхозах.

Важнейшим источником роста урожайности, производительности труда, снижения себестоимости продукции является производство районированных перспективных сортов сельскохозяйственных семян.

В колхозах стали культивировать сорт-семена пшеницы «безостая-1», которая в местных условиях дает обильный урожай.

Решающим средством снижения затрат и повышения производительности труда в производстве зерна является его всесторонняя механизация. Необходимо в каждом колхозе механизировать процессы погрузки, разгрузки, очистки и сушки зерна с тем, чтобы не допускать потери в процессе его уборочной обработки и в токах.

Как известно, климатические условия 1963 года не позволили провести краткосрочную уборку озимых зерновых: в июле и августе месяцах прошли проливные дожди. Однако, труженники колхоза «Победа» сумели организовать уборку и собрали обильный урожай колосовых культур.

Таблица 11

Показатели производства зерна (1963 г.)

Колхозы	Получено с 1 га центнер	Себестоим. 1 центнер в рублях	Прямые затраты ч/дней на цент.	Получено на 1 работ. колхозника в центи.
1. «Победа»	20	3,40	0,92	19,8
2. им. XIX П/съезда	13,4	3,60	1	16,1
3. им. XVIII „	12,1	3,80	1	7
По управлению	9,75	8,16	1,59	6

В колхозе «Победа» в 1963 г. по-новому была организована уборка урожая: комбайны работали групповым методом, по три-четыре на одном массиве. Это облегчало контроль за качеством работ и обеспечивало более оперативное устранение поломок машин. Поломки случались значительно реже, чем в предыдущие годы, их своевременно предотвращали. Комбайны и тракторы заправляли горючим и смазочным материалами в борозде. На новые массивы переводили их согласно составленному маршруту. Результаты оказались хорошими.

В Болнисском, Марнеульском и Дманисском районах колхозы не специализированы, за полеводческой бригадой закрепляется несколько культур, потому во время уборочной компании на всех участках работа в полном разгаре, в эти дни сокращение рабочих рук на уборке колосовых культур создает возможность провести обработку других культур. Поэтому положительный результат получается, когда на одном массиве работает несколько комбайнов, открываются токи на средние участки, где возможна перегрузка и разгрузка зерна без потерь.

Ведь в конечном итоге повышение производительности труда в сельском хозяйстве складывается из повышения его на отдельных участках, а на отдельных участках в свою очередь повышение складывается из сокращения затрат человеко-часов на отдельные процессы, операции и виды работ.

Важным резервом повышения производительности машино-тракторных агрегатов является сокращение затрат времени на подготовительно-заключительные и вспомогательные операции и увеличение за счет этого основных операций. Как выше сказано, в передовых колхозах

механизаторы пользовались механической заправкой тракторов, огромные резервы повышения сменной производительности имеются за счет увеличения рабочих скоростей движения агрегатов.

Говоря о возможностях получения высоких устойчивых урожаев, следует особо подчеркнуть важность развития орошаемого земледелия. В 1964 году закончено проведение строительства Имир-Асанского оросительного канала на площади 750 га. По нашему расчету будет целесообразно, если провести строительство водохранилища на реке Поладаури, около местечка под названием «Собачьего моста».

Колхозы и совхозы, находящиеся под этим каналом, могут быть полностью обеспечены водой. За неимением поливных вод в колхозах XVIII Партсъезда и Парижская Коммуна последние годы часть виноградника вышла из строя, и получен самый низкий урожай.

Экономические расчеты показывают, что осуществление данного предложения на практике, даст ежегодно, примерно, 2—2,5 миллиона рублей дополнительного дохода.

Конечно, выявить экономически слабые хозяйства не так сложно, труднее установить причины их отставания, найти резервы увеличения производства продукции и снижения себестоимости ее. Никаких объективных причин, которые оправдывали бы низкий уровень экономики отдельных колхозов и совхозов, не имеется. Они находятся в тех же условиях, что и передовые хозяйства.

Имеется не мало совхозов и колхозов, где по-хозяйски используют земли, получают большие доходы и в то же время рядом с ними есть еще такие, которые из года в год работают убыточно, не используют резервы роста сельскохозяйственного производства.

Именно поэтому актуальным вопросом в сельском хозяйстве является подтягивание экономики отстающих хозяйств до уровня средних и передовых. Для этого нужно изучить их опыт, глубоко анализировать и внедрять его в отстающих хозяйствах.

საკომუნისტო სოფლის მეზიკიადუკ-გეჟნიკუკი გუჟის განმგჟიყბისუ დუ სუბსიუდისუტუ კუდუკუბიუ უზუკუნუკიუდუჟის სუკიუბსისუტუჟის კუჟნიჟის გუჟიდი გუჟნიგუბის ინუ კუკიუდუჟი

(წიუთილუჟუბარუს რუიონის კოლმეჟნიკუბუტუ მუბუალიუბუ)

1. ჟუბუბუჟი

(წარმუადგინუ სუჟ. სსრ მეცნ. აკუდ. ივ. ჟუჟიბიჟილის სუბ. ისტორიის, არქეოლოგიის დუ ეთნოგრაფიის ინსტიტუტუბუ)

სოფლის მეჟურნეობის სოციულისტური გარდუკჟნუ დუ სუკოლმეჟურნეო წყობილების გუბარჟუბუ უდიდესი მოვლენუ იუო ჩვენი ჟვეყნის ცუბურბუბუში. დუკსუკსული, ინდივიდუალური, კერძომესუკუთრული გლუბური მეჟურნეობის ნუცვლად შეჟჟმნილმუ კოლექტიურმუ მეჟურნეობებუბუ სოფლად გუბუ გუჟსუნუ სუწარმოო ძულების გუნუბრელ გუნუვიარბუბუბუ. სუკოლმეჟურნეო წყობილებამ ძირეულად გარდუკჟნუ სოფლის მშრომელთუ წარმოებისუ დუ ყოფუცუბურბების სუფუძელები ახალ სოციულისტურ სუწყისებუზე, მტკიცე პირობუ შეჟჟმნუ კოლმეჟურნე გლუბობის შეძლებული დუ კულტურული ცუბურბებისუთვის. კოლმეჟურნენი, გუნუთავისუფლებულნი ყოველგვარი ექსპლუუტუაციისუგუნ, წარმუადგენდუნენ გლუბობის ახალ ტიბს, რომელთუც არ იცნობდუ კუცობრიობის ისტორიუ¹.

სუბჟოთუ სუხელმწიფოსუ დუ კომუნისტური პარტიის მიერ გუნსორციელებულ ღონისძიებუთუ შედეგად შესაძლებელი შეიჟჟმნუ სოფლის მეჟურნეობის აღჟუბურვუ პირველსარისსოვანი ინდუსტრიული ტეჟნიკიუთ. 1950 წელს სუჟართველოს კოლმეჟურნეობებუში სუბუშოთუ მეჟუნიზუკიუბუ შედგინუ მზრალად ზენის 70 პროცენტი, ანეულის ზენისუ—72 პროცენტი. გუზადუხულის კულტურების თესვისუ—17 პროცენტი, შემოდგომის კულტურების თესვისუ—54 პროცენტი, კომბუინებუთ მარცვლულის აღებუ—18 პროცენტი, შუჟრის ჟარსლენს აღებუ—76 პროცენტი, მუგენუშორის აღებუ—82 პროცენტი².

მეჟუნიზუკიუბის ფართო დანერგვამ გუნუპირობუ ჩვენი ჟვეყნის სოფლის მეჟურნეობის გუდუყვანუ მეკინერულ-აგრონომიულ სუფუძელებუზე. კოლმეჟურნეობუთუ სუამეჟურნეო-ორგუნიზუკიული გუნმტკიცეების ღონისძიებუთუ შედეგად, რომელსუც კომუნისტური პარტიუ ანორციელებდუ, თუნდათუნობიუ იზრდებოდუ სუსოფლო-სამეჟურნეო პროდუქტების წარმოებუ. მუგრამ ჩვენი ჟვეყნის მზარდ მოთხოვნილებებს მუინც აშუკარად ჩამორჩებოდუ სოფლის მეჟურნეობის პროდუქტების წარმოების ღონე. ისე როგორც სუბჟოთუ კუჟშირში, სუჟართველოშიც სოციულისტის მუგენებლობის მთელ პერიოდში სწრუაფი ტემპიუთ ვიუთარდებოდუ მრეჟუ-

¹ თ. ელენტი, აფხუბეთის ასსრ, სოფ. ოჟუბის ლენინის სუბ. კოლმეჟურნეობის ისტორიუ, 1955, გუ. 8.

² სუჟართველოს სსრ სუხალხო მეჟურნეობუ 1921—1961, პროფ. პ. გუგუშვილის რე-დუკციუთ, 1961, გუ. 52ბ.

ველობა. მიმე ინდუსტრიისა და საერთოდ მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარებამ, ბუნებრივია არსებითი ხასიათის ცვლილებები მოახდინა მშრომელთა საწარმოო ძალების განლაგებაში. ყოველწლიურად იზრდებოდა მუშათა რიცხვი და ქალაქის მოსახლეობა, ძირითადად, სოფლის მოსახლეობის ხარჯზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში 1921 წელთან შედარებით ქალაქის მოსახლეობა 1959 წლისათვის გაიზარდა 2-ჯერ მეტად, ხოლო 1939 წელთან შედარებით 12,3 პროცენტით³.

1950 წელს მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 623 ათას კაცს, იგი 1929 წელთან შედარებით გაიზარდა 327 პროცენტით, ხოლო 1940 წელთან—137 პროცენტით⁴.

მიმე მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარების ინტერესები მოითხოვდნენ სათანადო მუშათა კადრებს, რომელსაც მრეწველობა მუშათა გეგმიური ორგანიზებული შეგროვების საშუალებით ძირითადად იღებდა სოფლის ახალგაზრდობის ხარჯზე. იმ კომეურნეობაში, სადაც შრომის ანაზღაურება დაბალი იყო, ახალგაზრდა კომეურნეთა დიდი ნაწილი მიდიოდა წარმოებაში სამუშაოდ, რადგან იქ შრომის ანაზღაურება გაცილებით მეტი იყო. საერთოდ, ქალაქის მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების მაღალი პირობები სოფლის მოსახლეობასთან შედარებით განაპირობებდა სოფლის მცხოვრებთა ლტოლვას ქალაქისაკენ. რა თქმა უნდა სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვის ტემპის ზრდა შესაძლებლობას იძლევა თანდათანობით გამოვითავისუფლოთ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელი და გამოვიყენოთ სხვაგან სამუშაოდ. მაგრამ სტატისტიკური მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის გამოყენების ზრდის ტემპი საგრძობლად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში მუშა-მოსამსახურეთა ზრდის ტემპს. თუ 1950 წელს 1940 წელთან შედარებით საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 137 პროცენტით გაიზარდა, საკომეურნეო წარმოებაში მექანიზაციის დონის ზრდა შემდეგ სურათს გვიჩვენებს: მზრალად ხენაში მექანიზაციის დონე გაიზარდა 20 პროცენტით, მარცვლეული კულტურების თესვაში—17 პროცენტით, მარცვლეული კულტურების აღებაში—3 პროცენტით, თიბვაში—2 პროცენტით, დასილოსებაში—7 პროცენტით⁵. რაც შეეხება მეურნეობის სხვა დარგებში, როგორცაა ჩაი და სხვა სუბტროპიკული კულტურები, მევენახეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა—მექანიზაციის გამოყენების დონე თითქმის არ გაზარდილა. ეს ფაქტები გვიჩვენებს იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმეტეს დარგებში გადამწყვეტ როლს კვლავ ხელით შრომა ასრულებდა.

ქალაქის მოსახლეობის ზრდას და მათ მზარდ მოთხოვნილებას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე. საკმარისია აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა 1940 წელთან შედარებით 1952 წლისათვის საბჭოთა კავშირში მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 2,3-ჯერ, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია (შესაღარ ფასებში) მხოლოდ 10 პროცენტით გადიდა. ზოგიერთ დარგში კი პირიქით შემცირდა. საქართველოში 1940 წელთან შედარებით 1950 წლისათვის ხორცი წარმოებულ იქნა

³ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 12.

⁴ იქვე, გვ. 31.

⁵ იქვე, გვ. 102.

ყველა კატეგორიის მეურნეობაში 24 ათასი ტონით ნაკლები, რძე—65 ათასი ტონით ნაკლები, ხოლო კვერცხი 90 მილიონი ცალით ნაკლები⁶.

ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას, ერთი მხრივ, განაპირობებდა ობიექტური მიზეზები, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ადრე არ იყო შესაძლებლობა მძიმე ინდუსტრიის—სოციალისტური ეკონომიკის ამ საფუძველთა საფუძვლის განვითარებასთან ერთად სწრაფი ტემპით ვაგვევითარებინა სოფლის მეურნეობა. აგრეთვე თავი იჩინა სამამულე ომის მიერ სოფლის მეურნეობისადმი მიყენებულმა ზინანაც. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას განაპირობებდა სუბიექტური მიზეზებიც, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სრულყოფილად არ იყო გამოყენებული ტექნიკა, ბევრ კოლმეურნეობას არ ჰყავდა სათანადო სპეციალისტთა კადრები, მეურნეობის დაგეგმვის ცენტრალიზაცია ბოჭყავდა კოლმეურნეობათა ინიციატივასა და თვითმოქმედებას, სისტემატურად ირღვეოდა კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების პრინციპები, ბევრი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დამზადებისა და შესყიდვის ფასები ყოველთვის არ შეესაბამებოდა დახარჯულ შრომას, ამიტომ ნაკლებ სტიმულს იძლეოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის⁷.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის შედეგად სოციალისტურ ეკონომიკაში წარმოიშვა დისპროპორცია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, რასაც შეიძლება სერიოზული დაბრკოლება შეექმნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ სერიოზული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის სექტემბერში ყოველმხრივ განიხილა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის საკითხი. პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის ზნაოდ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისას ნედლეულზე. იგი არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის იმ დონეს და შესაძლებლობას, რომელსაც საკოლმეურნეო წყობილება შეიცავს. აგრეთვე, მიუთითა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგების სერიოზულ ჩამორჩენაზე, ტექნიკის გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, მატერიალური დაინტერესების პრინციპების დარღვევებზე, მემინდვრობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გამოანგარიშების ხორმების დამახინჯებებზე, რომელმაც გამოიწვია კოლმეურნეობათა დაინტერესების მოღუტება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში.

სექტემბრის პლენუმმა დასახა სერიოზული ამოცანები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის და მკაფიოდ მიუთითა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და გამტკიცებას, აგრეთვე მათ უზრუნველყოფას სათანადო სპეციალისტთა კადრებით, რომლებსაც შესწევთ უნარი გონივრულად, მეცნიერულ საფუძველებზე წარმართონ კოლმეურნეობათა საქმიანობა. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეც-

⁶ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 94.

⁷ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1961, გვ. 823.

დებით სათანადოდ განვიხილოთ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა მაგალითზე, საკოლმეურნეო სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განმტკიცების, აგრეთვე სპეციალურად კადრებით უზრუნველყოფის საკითხები კომუნისმის გაშლილი მშენებლობის წინა პერიოდში.

1. საკოლმეურნეო სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ინტენსიფიკაცია წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში მექანიზაციისა და ტექნიკის ფართო გამოყენების გარეშე შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მკვეთრი ზრდა, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება და შრომის ნაყოფიერების გადიდება. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე აქტიურად შეუდგნენ შემკვიდრებით მიღებული ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის აღდგენას. ისე როგორც მეფის რუსეთის მთელ იმპერიაში, ასევე საქართველოშიც სოფლის მეურნეობაში ძირითად საწარმოო იარაღს მამაპაპური კავი, სახნისი, გუთანი და ფარცხი წარმოადგენდა. რევოლუციამდელ და მენშევიკურ საქართველოს გლეხურ მეურნეობაში იყო ხის გუთანა—7.4 ათასი, კავი—163 ათასი, რკინის გუთანა—17.8 ათასი, ხის ფარცხი—54.8 ათასი და რკინის ფარცხი—3 ათასი. გლეხურ მეურნეობაში არ გააჩნდა სახნავი იარაღები, ხოლო 60 პროცენტს სატრანსპორტო ინვენტარი⁸. სოფლის მეურნეობაში ენერგეტიკის ერთადერთ სახეს ცოცხალი გამწვევი ძალა—ხარი, კამეჩი და ცხენი წარმოადგენდა. ყოველ 100 დნსეტიან ნათესზე საშუალოდ მოდიოდა 34 უღელი ხარი და 8,8 უღელი კამეჩი⁹. ცხადია, სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების ასეთი დაბალი დონე მნიშვნელოვნად აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ჯეროვანი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. სახალხო მეურნეობის აღდგენის პეიოოდში თანდათანობით იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შემოტანა, მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას იგი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა. ამ პერიოდში შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძირითადად თავმოყრილი იყო სახალხო მამულების განკარგულებაში, რომელთა ხვედრითი წონა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში უმნიშვნელო იყო. 1925 წლისათვის საქართველოში მხოლოდ 40 ტრაქტორი იყო. გლეხურ მეურნეობათა 91 პროცენტს არ ჰქონდათ ფარცხი, 72 პროცენტს სათიბი ინვენტარი, 94 პროცენტს სამკალი, 91 პროცენტს სალენი, 90 პროცენტს ტრიერი, 85 პროცენტს კულტივატორი, სულ საქართველოში იყო 80-მდე სალენი მანქანა, 100-მდე სამკალი მანქანა, 200 ტრიერი და 7000 რკინის გუთანა¹⁰. გლეხურ მეურნეობაში კვლავ ჩამორჩენილი, ძველი მამაპაპური სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი ბატონობდა.

⁸ ა. ნ. ცუბიძე, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხები, 1954, გვ. 10.

⁹ პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკ., 1956, ტ. II, გვ. 919.

¹⁰ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 14, საქ. 1866, ფ. 127.

1925 წლიდან საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოტანა. 1925 წლიდან 1930 წლამდე უმეტესად რუსეთიდან და უკრაინიდან შემოიზიდა 462 ტრაქტორი, 36 874 გუთანი, 8 529 კულტივატორი, 968 სათიბი მანქანა, 816 ტრიერი და სოფლის მეურნეობის სხვა მრავალი მანქანა-იარაღი¹¹. 1925 წლიდან საქართველოში დაიწყო სახელმწიფო მანქანა-იარაღების გამჭირავებელი პუნქტების შექმნა. 1925—1926 წლებში მანქანა-იარაღების გამჭირავებელი პუნქტების რიცხვი შეადგენდა 59. ხოლო 1927—1928 წლებისათვის გაიზარდა 90-მდე¹².

1926—27 წლებისათვის სიღნაღის მაზრაში არსებობდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამჭირავებელი 6 პუნქტი და 8 სამანქანო ამხანაგობა¹³. როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამჭირავებელი პუნქტების 10 პროცენტზე მეტი სიღნაღის მაზრაში იყო, ამას თუ დავუმატებთ იქ არსებულ 8 სამანქანო ამხანაგობას, მაშინ ნათელი გახდება, რომ იმ პერიოდში საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი სიღნაღის მაზრაზე მოდიოდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სიღნაღის მაზრა, რომელშიაც შედიოდა შირაქის ველი, მარცვლეულის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენდა. 1930 წლისათვის საქართველოში არსებული სახნავე მიწის ფართობის 8 პროცენტი სიღნაღის მაზრაზე მოდიოდა¹⁴.

მანქანა-იარაღების გამჭირავებელი პუნქტები, სადაც თავმოყრილი იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ძირითადი ნაწილი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ ღარიბ და უინვენტარო გლეხობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში. ჯერ კიდევ პარტიის VIII ყრილობაზე 1919 წ. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს მიცვეთ სოფელს 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მაშინ საშუალო გლეხი იტყვოდა: «მე კომუნის მომხრე ვარო», ე. ი. კომუნიზმის მომხრე ვარო»¹⁵. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მიუთითებდა ლენინი—მძიმე მრეწველობის უპირატესი გახვითარებით შესაძლებელს გახდის, სოფელი აღვეჭურვოთ მანქანური ტექნიკით.

წარმატებით სორციელდებოდა რა ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამა, ჩვენი მრეწველობა ყოველწლიურად ადიდებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვებას. 1930 წ. ივნისში მწყობრში ჩაღვა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა და როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა. ზაპოროჟიეს სამკალი მანქანების ქარხანა გადაკეთდა და კომბაინების წარმოებას შეუდგა. აგრეთვე სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა მანქანათმშენებლობის ბევრი ქარხნის მშენებლობა და რეკონსტრუქცია. სოფლის მეურნეობა სულ უფრო მეტად იღებდა ახალ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

სისტემატურად იზრდებოდა სოფლად მოქმედი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამჭირავებელი პუნქტების ტექნიკური შეიარაღება. მაგრამ აქ თავმოყრილი ტრაქტორებისა და მექანიზმების წარმადობის მაქსიმალური გამო-

¹¹ საქართველოს სსრ მოკლე ისტორიული ეკონომიკური ნარკვევი, 3. გუ გუ შე ი ლ ი ს რედაქციით, 1958, გვ. 130.

¹² საბჭოთა საქართველო ლივრებში, 1929, გვ. 178.

¹³ სიღნაღის მაზრაში შედიოდა წითელწყაროს რაიონის ყველა სოფელი.

¹⁴ საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1931, გვ. 164.

¹⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 243.

ყენება წვრილი დაქსაქსული გლეხური მეურნეობის პირობებში შეუძლებელი იყო. მხოლოდ წვრილი გლეხური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანების პირობებში იყო შესაძლებელი ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართო გამოყენება, მისი წარმადობის ამაღლება.

1930 წლიდან ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მასობრივი საკომმუნისტო მოძრაობა. ამ პერიოდში კოლმეურნეობისაკენ პირი იბრუნა საშუალო გლეხობამაც, კოლმეურნეობათა შექმნა სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის უდიდეს შესაძლებლობას იძლეოდა. 1930 წლისათვის საქართველოში იყო 524 ტრაქტორი, აქედან 343 კოლმეურნეობებში. მარტო სიდნალის მაზრაში არსებულ 32 კოლმეურნეობაში მუშაობდა 26 ტრაქტორი¹⁶.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ თანდათანობით მოაშალა პირობები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ისეთი ფორმის შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო და კოლმეურნეობათა ინტერესებსა შეთანწეობას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებას. ამ პერიოდში კოლმეურნეობები მეურნეობრივად სუსტი იყვნენ. მათ არ ჰქონოდათ შესაძლებლობა შეეძინათ საკუთარ რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. აგრეთვე კოლმეურნეობებს არ ჰყავდათ მექანიზატორთა კადრები. ასეთ პირობებში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ მიზანშეწონილად ცნეს სოფლად მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნა, როგორც კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფოებრივი დახმარებისა და მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება. საქართველოში 1929 წლისათვის იყო 3 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 1930 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 26-მდე¹⁷. პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ძირითადად იქმნებოდა მარცვლეულის რაიონებში, სადაც უფრო მეტად იყო ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა. 1933 წლისათვის საქართველოში მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მომსახურებას უწევდნენ კოლმეურნეობათა 40 პროცენტს¹⁸. ისინი მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების საქმეში. ისე როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოშიც ყოველწლიურად იზრდებოდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რიცხვი. მან 1940 წლისათვის 58-ს მიადწია, რომელთა ტექნიკურ შეიარაღებაში შედიოდა 2 448 ტრაქტორი. 512 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

წითელწყაროს რაიონი წარმოადგენს რა საქართველოში მარცვლეულის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზას, სერიოზული მუშაობა წარიმართა ამ რაიონის კოლმეურნეობათა ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. 1940 წლისათვის წითელწყაროს რაიონში შექმნილი იყო 31 კოლმეურნეობა, რომელთა საზოგადოებრივი მიწის ფართობი შეადგენდა 113 887 ჰა, აქედან სახნავი იყო 32 219 ჰექტარი. სახნავი მიწების დიდი მასიური ფართობების ათვისება და მარცვლეულის წარმოების გადიდება შესაძლებელი იყო მხოლოდ ახალი, დიდ წარმადობის ტექნიკის გამოყენების პირობებში, ამიტომაც წითელწყაროს კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევდა ორი მანქანა-ტრაქტორთა

¹⁶ საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1931, გვ. 275.

¹⁷ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სტატისტიკური კრებული, 1956, გვ. 140.

¹⁸ ა. ნუცუბიძე, რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას, 1957, გვ. 99.

სადგური—შირაქის (შეიქმნა 1933 წ.) და წითელწყაროსი (შეიქმნა 1936 წ.).

1940 წლისთვის შირაქისა და წითელწყაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მომსახურებას უწევდნენ წითელწყაროს რაიონის ყველა კოლმეურნეობას. ე. ი. 31 სასოფლო-სამეურნეო არტელს. 1941 წლისთვის მათ მიერ შესრულებული სამუშაო რბილ-ხვნაზე გადაყვანით შეადგენდა 32713 ჰექტარს¹⁹.

თუ 1940 წელს საქართველოში საშუალოდ მექანიზებული იყო ანეულისა და მზრალად ხენის 53,5 პროცენტი და მარცვლეული კულტურების თესვისა და აღების 15,2 პროცენტი, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში მექანიზებული იყო ანეულისა და მზრალად ხენის 80 პროცენტი და მარცვლეული კულტურების თესვისა და აღების 75 პროცენტი²⁰.

1940 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში მარცვლეული კულტურების წარმოებაში მექანიზაციის დონე, ხოლო საქართველოსთან შედარებით კიდევ უფრო მაღალი იყო მისი დონე წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებში წამყვან როლს მაინც ხელით შრომა ასრულებდა. მექანიზაცია დანერგული არ იყო მეცხოველეობის, მევენახეობის, ბალჩეული, ბოსტნეული და სხვა კულტურების წარმოებაში. 1941 წლისათვის წითელწყაროს რაიონის არც ერთი კოლმეურნეობა არ იყო ელექტროფიცირებული.

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად იზრდებოდა რა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების წარმოება. ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა კოლმეურნეობებში, ასევე წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეო სოფელშიც სოფლის მეურნეობის ძველი ინვენტარის ნაცვლად თანდათანობით წამყვან ადგილს იჭერდა ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. 1941 წლისათვის რაიონის კოლმეურნეობათა საკუთრებაში იყო 57 ავტომანქანა, 6 ტრაქტორი, 14 ძრავი, 50 მარცვლის სათესი, 196 სათიბი მანქანა, 19 სამკალი მანქანა, 7 სათიბ-სამკალი მანქანა, 483 გუთანი, 178 კულტივატორი, 125 ფარცხი ზიგზაგი, 135 ფოცხი ცხენის, 57 ტრიერი, 14 მარცვლის დამზარისხებელი მანქანა, 103 სანიავებელი მანქანა, 22 საოში მანქანა, 238 სასწორი, 48 სასხურებელი აპარატი, 34 თესლის შესაწამლი აპარატი, 11 სილოსის საჭრელი მანქანა, 16 სეპარატორი, 56 ურემი ხის თვლებით, 982 ურემი რკინა შემოვლებული თვლებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი²¹.

საქართველოში 1940 წელს იყო 4256 სასოფლო-სამეურნეო არტელი და მთელ სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 2737 საბარგო ავტომობილი. დაახლოებით ორ კოლმეურნეობაზე მოდიოდა ერთი საბარგო ავტომობილი. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში კი ერთ კოლმეურნეობაზე დაახლოებით მოდიოდა 2 საბარგო ავტომობილი²². 1941 წლისათვის კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდი 13191681 მანეთს შეადგენდა. თითოეულ კოლმეურნეობაზე

¹⁹ წითელწყაროს რაიონული არქივი, ფონდი 46, საქ. 48, ფ. 18.

²⁰ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 102 და წითელწყაროს კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მიხედვით.

²¹ წითელწყაროს რაიონული არქივი, ფონდი 46, საქ. 48, ფ. 18.

²² საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, გვ. 75, 101. წითელწყაროს რაიონული არქივი, ფონდი 46, საქ. 48, ფ. 18.

მოდიოდა 42553 მანეთი (ძვ. კურსი). მაშინ, როცა საქართველოში ამ პერიოდისათვის ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ განუყოფელი ფონდი დაახლოებით 16 000 მანეთს შეადგენდა²³.

ამ რაიონის კოლმეურნეობათა საწარმოო საშუალებათა სიმძლავრე, მატერიალური ბაზა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის გამოყენების დონე გაცილებით მეტი იყო საქართველოს საშუალო მონაცემებთან შედარებით, მაგრამ იგი კვლავ დიდად ჩამორჩებოდა იმ შესაძლებლობებს, რომელიც მათ გააჩნდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ვალიდებისათვის.

დიდმა სამამულო ომმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის გამოყენების დონე. საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისა და ფაშისტური გერმანიის განადგურების ინტერესები მოითხოვდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების საომარ ყაიდაზე გარდაქმნას. ისე როგორც ბუნებრივი მრეწველობის სხვა დარგები, ასევე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მწარმოებელი მრეწველობა ომის დაწყების პირველ წლებიდანვე გადაყვანილ იქნა სამხედრო ყაიდაზე. აგრეთვე ფრონტის საჭიროებისათვის გამოყენებული იქნა ტრაქტორების, ცხენების და სხვა გამწევი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდი ნაწილი ფრონტზე წავიდა. ასეთ პირობებში ბუნებრივია საბჭოთა სახელმწიფოს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეზარდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკური შეიარაღება და იმ ოდენობით მიეწოდებინა სოფლის მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რამდენიც ომის წინ, მშვიდობიანობის პერიოდში იყო შესაძლებელი.

სამამულო ომის წლებში თითქმის არ გაზრდილა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო პარკები. აგრეთვე, კოლმეურნეობები ვერ იღებდნენ სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სამამულო ომის პერიოდში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში. სათანადოდ უზრუნველყვეს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეულსა და პროდუქტებზე.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა სამამულო ომის წლებში, არა თუ შეინარჩუნეს, არამედ კიდევაც გააძლიერეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დონე. ჯეროვნად გაზარდეს მარცვლეულის სათესი ფართობები. მართალია, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა შირაქისა და წითელწყაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საწარმოო სიმძლავრე, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ რაიონის კოლმეურნეობებს, აგრეთვე კოლმეურნეობები ვეღარ იღებდნენ სახელმწიფოდან ახალ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, მაგრამ მათ არსებულ სიძნელეთა დაძლევისათვის ხელი მოკიდეს შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების საქმეს. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ცოცხალი გამწევი ძალის და კოლმეურნეთა ფიზიკური შრომის ხვედრითი წონა. არსებული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გამოყენების ვადის გახანგრძლივებისათვის კოლმეურნეობებში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაკეთებელი სახელოსნოები და სამკვეთლო-

²³ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, გვ. 75, 101; წითელწყაროს რაიონული არქივი, ფონდი 46, საქ. 48, ფ. 218.

ები, აგრეთვე საკოლმეურნეო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აშენდა სხვადასხვა დამხმარე საწარმოები. 1946 წლის 1 იანვრისათვის წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში იყო 5 ავურ.ა.სა და კრამიტის ქარხანა, 11 ზეთის სახდელი და ბურღულის საღერძო ქარხანა. 36 სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შემკეთებელი სახელოსნო და სამჭედლო²⁴.

სამამულო ომის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ფიზიკური რაოდენობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძექანიზაციის გამოყენების დონე. 1940 წელთან შედარებით 1945 წელს ტრაქტორების რაოდენობა შემცირდა 554 ცალით, კომბაინების 41—ცალით, მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოები პირობით ხენაზე გადაყვანით 327 ათასი ჰექტარით, კომბინებზე მიერ მარცვლეულის აღება—13 ათასი ჰექტარით²⁵. ბუნებრივია, შემცირდა შირაქისა და წითელწყაროს მტს-ებში ტრაქტორების ფიზიკური რაოდენობა და საწარმოო სიმძლავრე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ 1940 წელთან შედარებით 1945 წელს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში საკმაოდ შემცირდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საბარგო ავტომობილების რაოდენობა. საბარგო ავტომობილი შემცირდა 7-ით, ძრავები—3-ით, გუთანის ცხენის—80-ით, კულტივატორი—102-ით²⁶.

დიდი სამამულო ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა ძლევამოსილად შეუდგა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენასა და ომით მიყენებული ჰრილობების მოშუშებას. სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშვიდობიანი მშენებლობის რეგლებზე გადაყვანა. დროულად ჩადგენ მწყობრში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მწარმოებელი ქარხნები და ჯეროვნად გაიზარდა მათი საწარმოო სიმძლავრე. სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების შედეგად სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ოდენობით იღებდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. მარტო 1945 წ. კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ორნახევარჯერ—ოთხჯერ მეტი ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა მიიღეს. ვიდრე 1940 წელს. ტრაქტორები სოფლის მეურნეობაში მეტი გახდა ვიდრე ომამდე იყო. გაჩაღდა მუშაობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ელექტროფიკაციისათვის²⁷.

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში სწრაფი ტემპით იზრდებოდა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. 1950—1951 წლებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რიცხვი გაიზარდა ოთხამდე—გაიხსნა ქედისა და გამარჯვების მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მნიშვნელოვნად გაიზარდა სატრაქტორო პარკები. კოლმეურნეობათა გამსხვილების შემდეგ თითოეული მტს-ი მომსახურებას უწყევდა საშუალოდ 3 კოლმეურნეობას. 1953 წლისათვის რაიონის კოლმეურნეობათა მომსახურების მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში იყო 248 ტრაქტორი, რაც შეადგენდა საქართველოს მტს-ებში არსებული ტრაქტორების 5,6 პროცენტს²⁸.

24 წითელწყაროს რაიონული არქივი, ფ. 46, საქმე 48, ფ. 52.

25 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 77.

26 წითელწყაროს რაიონული არქივი, ფ. 46, საქ. 48, ფ. 52.

27 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1961, გვ. 777.

28 წითელწყაროს რაიონული არქივი, ფ. 37, საქ. 8.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო პარკის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობათა საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რაოდენობა. 1953 წლის 1 იანვრისათვის წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების და ძრავების ღირებულება 2 148 521 მანეთს შეადგენდა²⁹ (ძველი კურსით). ამავე პერიოდისათვის საკოლმეურნეო ტრანსპორტში წამყვანი ადგილი დაიკავა საავტომობილო ტრანსპორტმა და მნიშვნელოვნად შემცირდა საკოლმეურნეო დოვლათის ტრანსპორტირების საქმეში ცოცხალი გამწვევი ძალის ხვედრითი წონა. 1953 წლისათვის ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 16 სატვირთო ავტომანქანა მოდიოდა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო დამხმარე საწარმოთა რიცხვი, 1953 წლისათვის კოლმეურნეობებში იყო 15 მექანიზებული წისქვილი, რომელიც წლიურად საშუალოდ ამუშავებდა 43021 ცენტნერ მარცვალს, 7 ზეთსახდელი ქარხანა, სადაც 1952 წელს გადაამუშავდა 4355 ცენტნერი მცენარეული ზეთი. 13 კარაჩისა და ყველის წარმოება, 13 ავურის ქარხანა, 6 კრამიტის ქარხანა. 12 საღებავლო-სახურთა სახელოსნო და სხვა. 1952 წ. კოლმეურნეობების ავურისა და კრამიტის ქარხნების მიერ გამოშვებულ იქნა 784 400 ცალი ავური და 209 300 კრამიტი.

კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები 1953 წ. 1 იანვრისათვის 1940 წელთან შედარებით 4-ჯერ მეტად გაიზარდა და შეადგინა 58 267 227 მანეთი (ძვ. კურსით), რაც წარმოადგენდა მთელი საქართველოს კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების 17,19 პროცენტს.

მართალია, 1940 წელთან შედარებით 1953 წლისათვის წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში 3-ჯერ მეტად გაიზარდა კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აგრეთვე მარცვლეულის წარმოებაში ვარდა სიმინდისა მთლიანად დაინერგა მექანიზაცია, მაგრამ მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის—მცხოველეობის განვითარების მატერიალური ტექნიკური ბაზის გაფართოებისათვის 1940 წელთან შედარებით თითქმის არსებითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. საკოლმეურნეო პირუტყვის დიდი ნაწილი მოთავსებული იყო პრიმიტიულ ბინებში. 1950 წელს პარტიის წითელწყაროს რაიონულ კონფერენციაზე სოფელ საბათლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. დავითიანი აღნიშნავდა, რომ „სადაც ჩვენი პირუტყვია მოთავსებული, მოგვაგონებს პრიმიტიულ მიწურებს, რაც სრულიად შეუჯერებელია სოციალისტური ჰეცხოველეობისათვის“³⁰.

1953 წლისათვის რაიონის კოლმეურნეობებში არც ერთი ფერმა არ იყო ელექტროფიცირებული და მექანიზებული. მცხოველეობაში ყველა სამუშაო ოთქმის ხელით წარმოებდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცხვრის პარსვისა და საცვების დამზადების მექანიზაციას, რომლის ხვედრითი წონა მეტად დაბალი იყო. კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ კეთილმოწყობილი საცმარო რაოდენობით სასილოსე და პირუტყვის საცვების შესანახი ნაგებობანი, აგრეთვე, ჰეცხოველეობაში მომუშავე კოლმეურნეთა საცხოვრებელი ბინები. მევენახე-

²⁹ წითელწყაროს რაიონული არქივი, ფ. 46, საქ. 46, ფ. 58.

³⁰ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 85, საქ. 224, ფ. 3.

ობაში, მებოსტნეობასა და მებალეობაში წამყვან როლს კვლავ ხელით შრომა ასრულებდა.

საბჭოთა კავშირის ეკონომისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმმა ხაზგასმით მიუთითა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდება შესაძლებელი იყო მხოლოდ სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების სწრაფი ტემპით განხორციელების, ელექტროფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციის, ქიმიზაციის, ირიგაციის, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემის შესაბამისად განვითარების პირობებში.

პლენუმის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. 1954—1957 წლებში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მიიღო 903 ათასი ტრაქტორი (15 ძალიანზე გაანგარიშებით), 293 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 143 ათასი სილოსის ასალები და სიმინდის ასალები კომბაინი, 467 ათასი სატვირთო ავტომანქანა³¹. მნიშვნელოვნად გადიდა კაპიტალურ დაბანდებათა თანხები სოფლის მეურნეობაში.

სექტემბრის პლენუმის შემდგომ პერიოდში კოლმეურნეობათა მატერიალური ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი წარიმართა ჯერ ერთი იმ მხრივ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გადიდა კოლმეურნეობებში მოკლე და გრძელვადიანი სახელმწიფო კრედიტები, შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარების ნორმები. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო ფასები, შემოღებულ იქნა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესი. კოლმეურნეობებს მიენიჭათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში ცვლილებების შეტანა; უფლება, აგრეთვე გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საამქნეებლო მასალის მიწოდება კოლმეურნეობებისადმი, ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა კოლმეურნეობებს შესაძლებლობა შეუქმნა საკოლმეურნეო წარმოებაში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების გზით ჯეროვნად განმტკიცებინათ 1953—1958 წლებში საკოლმეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ისე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობაში, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებშიც 1935—1958 წლებში სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა. საკოლმეურნეო სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის შორაქის, წითელწყაროს, ქედის და გამარჯვების მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სატრაქტორო პარკები შეიქმნა ახალი, გაუმჯობესებული, მაღალი წარმადობის მანქანა-იარაღებით. თუ წინათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ძირითადად მარტო ანეულის და მზრალად ხვნის, თესვისა, ღორბლის და ქერის მოსავლის აღების სამუშაოებს ასრულებდნენ, 1954 წლის შემდგომ პერიოდში მექანიზაცია ფართოდ დაინერგა სათოხნ კულტურებსა და მეცხოველეობაში. 1958 წლისათვის მემინდვრობაში მექანიზაციის ღონემ თითქმის 100 პროცენტს მიაღწია.

³¹ სკვპ ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. IV, 1962, გვ. 409.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა თვით სატრაქტორო პარკების სტრუქტურულ შემადგენლობაში. 1960 წლისათვის საქართველოში მუშაობდა 200-მდე სხვადასხვა ნომენკლატურის მანქანა, აქედან 50-ზე მეტი შეიქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში საქართველოში შეიქმნა ჩაის, ციტრუსებისა და მთის მიწათმოქმედებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების ორი ქარხანა, რომლებმაც 1957 წლიდან გამოუშვეს თავიანთი პროდუქცია³².

მნიშვნელოვნად გაიზარდა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა ავტო-პარკები. 1957 წლის პირველი იანვრისათვის კოლმეურნეობათა სარგებლობაში იყო 305 სატვირთო და 44 მსუბუქი ავტომანქანა. ერთ კოლმეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 25-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა და 4 მსუბუქი ავტომანქანა. 1957 წელს კოლმეურნეობათა ავტოტრანსპორტის მიერ გადაზიდულ იქნა 504677 ტონა ტვირთი და გავლილი იქნა 9714097 ტონა კილომეტრი³³.

სექტემბრის პლენუმის შემდეგ რაიონის კოლმეურნეობებმა სერიოზულა ყურადღება მიაქციეს მეცხოველეობის განვითარებისათვის. მატერიალური ბაზის შექმნისა და განმტკიცების საქმეს. 1954 წელს ყველა კოლმეურნეობაში შეიქმნა საამშენებლო ბრიგადები. მნიშვნელოვნად გაიზარდა საამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფო დახმარება. აგრეთვე, საკოლმეურნეო საკუთრებაში მყოფი საამშენებლო მასალების მწარმოებელ საწარმოთა წარმადობა. კოლმეურნეობები სწრაფი ტემპით შეუდგნენ პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი, ტიპური სადგომი ბინების მშენებლობას. 1955 წლისათვის კოლმეურნეობებში აშენდა პირუტყვისათვის 30 ტიპური კეთილმოწყობილი სადგომი ბინა. აგრეთვე 9 ტიპური კეთილმოწყობილი სალონო, კოლმეურნეობის გამგეობის 2 შენობა; 15 ბინა მწყემსებისთვის, 3 მარანი, 11000 გრძივი მეტრის წყალსადენი ფერმებისათვის, 10-ზე მეტი არტეზიული ჭა³⁴. აგრეთვე, 1954—57 წლებში კოლმეურნეობებში ექსპლოატაციაში შევიდა 2362 სულის ტევადობის სახბორე, 45000 სულის ტევადობის ფარები, 32 ათასი ფრთის ტევადობის საფრინველე და 22 100 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. 1958 წლისათვის წითელწყაროს რაიონის ყველა კოლმეურნეობას ჰქონდა ყველა სახის პირუტყვისათვის საკმარე ტევადობის კეთილმოწყობილი ტიპური ბინები³⁵. აღსანიშნავია, რომ მეცხოველეობათა ფერმებში სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. თანდათანობით ინერგებოდა ძროხების წველის, წყლის მომარაგების, საკვების მიწოდების და ნაკელის გატანის მექანიზაცია. დიდად გაიზარდა პირუტყვის საკვების წარმოებაში მექანიზაციის დონე.

1953 წლამდე წითელწყაროს რაიონის არც ერთი კოლმეურნეობა არ იყო ელექტროფიცირებული. 1953 წლის შემდეგ კოლმეურნეობებმა ფართოდ გა-

³² საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერება 40 წლისთავზე, 1961, გვ. 308.

³³ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მიხედვით.

³⁴ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 85, საქმე 2, ფ. 97.

³⁵ იქვე, საქმე 15, ფ. 6.

შალეს მუშაობა საკოლმეურნეო ელექტროსადგურების მშენებლობისათვის. 1958 წლისათვის კოლმეურნეობებში იყო 21 მოძრავი ელექტროსადგური, სადაც მუშაობდა 90 ელექტრომობტორი, მათი სიმძლავრე შეადგენდა 988 ათას კილოვატ საათს. 1958 წელს საკოლმეურნეო ელექტროსადგურების მიერ გამო-
 შუშავებული იქნა 835 ათასი კილოვატსაათი. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საწარმოო საჭიროებისათვის ელექტროენერჯის გამოყენების ხვედ-
 რითი წონა. საკოლმეურნეო ელექტრო-აგრეგატებით და ელექტრო-მანქანე-
 ბით 1958 წელს გაპარსულ იქნა 101 801 სული ცხვარი. ელექტროფიცირე-
 ბულ იქნა საკოლმეურნეო ფერმების დიდი ნაწილი, აგრეთვე საკოლმეურნეო
 ელექტროსადგურების მეშვეობით ელექტროენერჯია მიიღო 4194-მა საკოლ-
 მეურნეო კომლმა³⁶.

1958 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენ-
 ტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება მანქანა-ტრაქტორთა
 სადგურების რეორგანიზაციის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის დადგენი-
 ლება ითვალისწინებდა, რომ „მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სხვადასხვა ვა-
 დებში რაიონებისა და კოლმეურნეობების თავისებურებათა გათვალისწინე-
 ბით რეორგანიზებული უნდა იქნან სარემონტო ტექნიკურ სადგურებად, რომ-
 ლეშიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ ტრაქტორებისა და სხვა მანქანე-
 ზის შეკეთება, კოლმეურნეობათა ტექნიკური მომსახურება, კოლმეურნეობე-
 ზისა და საბჭოთა მეურნეობის მომარაგება (მიყიდვის ვზით) ახალი ტექნიკით.
 სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, სასუქით, შხამქიმიკატებით და სხვა მასა-
 ლით. იმ რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობას არ აქვს შესაძ-
 ლებლობა შეიძინოს ტრაქტორები და სხვა მანქანები, ხოლო რაც მთავარია, არ
 შეუძლია სწორად გამოიყენოს ეს ტექნიკა, დროებით შენარჩუნებული უნდა
 იქნას მტს-ების მეშვეობით ასეთ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური
 მომსახურების არსებული წესი³⁷.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიულ და საბჭოთა ორ-
 განოებს ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების ეკონომიკის ღრმად
 შესწავლის საფუძველზე განესაზღვრათ, თუ რომელ კოლმეურნეობებს შეეძ-
 ლოთ 1958 წელსვე ეყიდათ ტრაქტორები და სხვა მანქანა-იარაღები, რომელ
 კოლმეურნეობებს დასჭირდებოდათ მეტი ვადა ტექნიკის შესაძენად და რომე-
 ლი კოლმეურნეობებისათვის იყო მიზანშეწონილი დროებით დატოვებული
 ყოფილიყო მტს-ის მეშვეობით საწარმოო-ტექნიკური მომსახურების არსებუ-
 ლი წესი.

1958 წელსვე განხორციელდა წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა
 მომსახურე—შირაქის, წითელწყაროს და ქედის მანქანა-ტრაქტორთა სადგურე-
 ბის რეორგანიზაცია. კოლმეურნეობებმა მაშინვე შეიძინეს მანქანა-ტრაქტორ-
 თა სადგურების სატრაქტორო პარკებში არსებული ტრაქტორები და სხვა სა-
 სოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. 1958 წელს მანქანა-ტრაქტორთა სად-
 გურების რეორგანიზაციის შედეგად მათ მიერ შეძენილ იქნა 212 სხვადასხვა

³⁶ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მასალების მიხედ-
 ვით.

³⁷ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზო-
 ლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი IV, 1962, გვ. 412.

ტრაქტორი; 145 კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, რომლის ღირებულება შეადგენდა 7456000 მანეთს (ძველი კურსით)³⁸.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ ჭეოვანად აამაღლა საკოლმეურნეო სოფელში საწარმოო ძალების განვითარების დონე, გააძლიერა უშუალო ეკონომიური კავშირი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. კოლმეურნეობათა ხელში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადასვლამ განამტკიცა კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბევრ კოლმეურნეობაში გაიზარდა ტრაქტორების წარმადობა. თუ 1957 წელში საშუალოდ ერთი ტრაქტორის გამომუშავება 15 ძალიანზე გადაყვანით შეადგენდა 497 ჰექტარს, 1958 წელს კოლმეურნეობათა ხელში ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავებამ 15 ძალიანზე გადაყვანით საბათლოს კოლმეურნეობაში შეადგინა 598 ჰექტარი, ზემო მაჩხაანში—581 ჰექტარი, წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში—565 ჰექტარი და ჭავჭავიძეში—555 ჰექტარი³⁹.

1959 წლის 1 იანვრისათვის წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა საკუთრებას შეადგენდა ყველა სახის 264 ტრაქტორი, 147 კომბაინი, 21 მოძრავი ელექტროსადგური, 301 სატვირთო ავტომანქანა, 51 მსუბუქი ავტომანქანა, 4 სპეც. დანიშნულების ავტომანქანა, 15 ავტოგარაჯი, 9 მანქანა-იარაღების სარემონტო სახელოსნო, 3 მოძრავი ავტოსახელოსნო, 14 მექანიკური წისქვილი, 10 კარაქისა და ყველის ქარხანა, 6 მცენარეული ზეთის სახდელი ქარხანა, 8 აგურის ქარხანა, 5 კრამიტის ქარხანა, 16 ხე-ტყის ქარხანა და სხვა⁴⁰.

1958 წელს კოლმეურნეობათა სარემონტო სახელოსნოების მიერ შეკეთებული იქნა 101 ტრაქტორი, 20 კომბაინი, 81 ავტომანქანა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. ამ პერიოდისათვის რაიონის კოლმეურნეობათა საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებისა და ძრავების ღირებულება შეადგენდა 7459 000 მან., სატრანსპორტო საშუალებების—45 996 000 მან., საწარმოო საშუალებებისა და ნაგებობის 45 896 000 მან. (ძველი კურსით). 1953 წელთან შედარებით განუყოფელი ფონდები გაიზარდა 2,5-ჯერ მეტად და მიაღწია 152 461 000 მან⁴¹. მარტო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის გახუყოფელი ფონდი 1959 წ. 1 იანვრისათვის შეადგენდა 30 378 534 მან. (ძე. კურსით), რაც 2,5-ჯერ აღემატება 1940 წლის მთელი წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდებს. 1959 წლისათვის წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდი 2-ჯერ მეტი იყო 1940 წლის მთელი საქართველოს 4256 კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდზე⁴².

ზემოთ აღნიშნული მონაცემები ნათლად მიგვითითებენ იმაზე, რომ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობები ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის გაშლი-

³⁸ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 85, საქ. 15.

³⁹ იქვე, ფ. 18.

⁴⁰ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მიხედვით.

⁴¹ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა 1958 წლის წლიური ანგარიშების მასალების მიხედვით.

⁴² საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 75.

ლი მშენებლობის წინა პერიოდში მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ ეკონომიურად და ორგანიზაციულად, გადაიქცნენ მსჯილ მრავალდარგოვან კოლექტიურ მეურნეობებად. საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებისა და კოლმეურნეობათა შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების შედეგად ჯეროვნად განამტკიცეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკოლმეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის.

კოლმეურნეობათა სპეციალისტთა კადრებით განმტკიცების ლონიძიზიანი

ისე, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აკისრია სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელ კადრებს. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა და მისი მეცნიერულ საფუძველზე განვითარება დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფაზე.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის, ელექტროფიკაციის და მეცნიერების მიღწევათა დანერგვა, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის განმტკიცება, საკოლმეურნეო წარმოების სწორი დაგეგმვა: შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანზე იქნებიან საკმარის რაოდენობის სპეციალისტთა კადრები. ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღედანვე სათანადო ყურადღებას აქცევდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, პატივით სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრებით განმტკიცების საქმეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე, როგორც მეურნეობის სხვა დარგებში, ასევე სოფლის მეურნეობაშიც არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეს, სოფლის მეურნეობას სახელმწიფოს მხრივ სრულიად არ ეწეოდა აგრონომიული დახმარება. 1913 წ. შეფის ნაცვლის კანცელარიასთან შექმნილი აგრონომიული ორგანიზაცია 14 აგრონომსა და სხვა სპეციალისტს აერთიანებდა, მაგრამ ისიც, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დაიშალა⁴³. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე შეტად უმნიშვნელო იყო საქართველოში აგრონომების, ვეტეკიიმების, ზოოტექნიკოსების და სოფლის მეურნეობის სხვა დარგის სპეციალისტების რაოდენობა. საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში არ არსებობდა სასოფლო-სამეურნეო განათლების უმაღლესი სასწავლებელი, თუ მსხვედველობაში არ შივიდებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს. სადაც მცირე იყო სტუდენტთა რიცხვი. მაშინ, როცა საქართველო ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა იყო, 1920—1921 წლისათვის აქ არსებობდა მხოლოდ ერთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი 350 მოსწავლეთ.

ბუნებრივია, სოფლის მეურნეობაში სპეციალისტთა კადრების მეტისმეტი სიმცირე შესაძლებლობას არ იძლეოდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, არსებითად გაუქმობე-

⁴³ მაქსიმ-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 14, საქ. 1866, ფ. 127.

სებულოცო სოფლის მეურნეობისადმი აგრონომიული მომსახურება. 1923—1924 წლებში საქართველოში ერთ აგრონომზე მოდიოდა 6892 გლეხური მეურნეობა. ამავ წლებში აგროდახმარებაზე გაწეული ხარჯები კულტურული მიწის ერთ დესეტინაზე შეადგენდა 7,5 კაპ., ხოლო გლეხურ მეურნეობაზე—3.3 კაპ⁴⁴. 1924 წლამდე საქართველოში იყო 25 აგროჰუნქტი და 10 აგროკაბინეტი. აგროჰუნქტებში მუშაობდა 33 აგროპერსონალი. აგრომომსახურებაზე გაწეული ხარჯები შეადგენდა 19 ათას მანეთს⁴⁵.

საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ამოცანები უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში აგრონომიულ და ზოოვეტერინალურ მომსახურებათა გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ სერიოზული ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების მომზადებას. 1921 წლიდან ყოველ წელს იზრდებოდა თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტში აგრონომიულ ფაკულტეტზე სტუდენტთა რიცხვი. აგრეთვე, 1924 წლიდან ფართოვდებოდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკუმებისა და სასწავლებლის ქსელი.

სასოფლო-სამეურნეო განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელის გაფართოებასთან ერთად კომუნისტური პარტია და საბჭოთა სასელმწიფო მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდნენ სოფლის მშრომელთა კულტურული ღონის ამალგებისათვის. 1922 წელს კომუნისტური პარტიის XI ყრილობამ წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ ყველა სოფელს კომუნისტს გაეგვლო სოფლის მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო კონპერაციის მოკლევადიანი კურსები⁴⁶.

ასეთი მოკლევადიანი კურსები სისტემატურად ეწყობოდა საქართველოში, სადაც სოფლის კომუნისტები სწავლობდნენ სოფლის მეურნეობის ცალკეულ საკითხებს. 1923 წ. პარტიის XII ყრილობამ მიუთითა, რომ „საბჭოთა პარტიულმა სკოლებმა სოფელს უნდა მისცენ რამდენიმე ათასი მუშაკი იმ ვარაუდით, რომ სკოლის ყოველი გამოშვება სოფელს აძლევდეს თავისი კურსანტების ნაწილს. საგუბერნიო და სამაზრო სკოლა გლეხურ გუბერნიებში სანახევროდ—სამი მეოთხედი მანაც სოფლის სამსახურს უნდა მოუხდეს. გადაისინჯოს ამ საბჭოთა-პარტიული სკოლების პროგრამა, შეიკვეცოს მისი თეორიული ნაწილი, დაუკავშირდეს თეორიული ნაწილი პრაქტიკულს, გამოიყოს პროგრამაში სოფლის სამეურნეო-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები,—ასეთია ამოცანა“⁴⁷.

საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების წინა პერიოდში საგრძნობლად გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო განათლების ქსელი. 1928—1929 სასწავლო

⁴⁴ საქართველოს კომპარტიის IV ყრილობისათვის, საკონტროლო კომისიისა და მუშ. გლეხინის ინსპექციის მასალები, 1925, გვ. 48.

⁴⁵ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 14, საქმე 1866, ფ. 127.

⁴⁶ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. I, 1954, გვ. 797.

⁴⁷ იქვე, გვ. 973.

წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. სადაც 1929—1930 სასწავლო წელს სწავლობდა 2459 მსმენელი⁴⁸. ამავე სასწავლო წლისათვის საქართველოში იყო 15 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი 1630 მოსწავლით. 1932 წ. დაარსდა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტიც.

საქართველოში მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების დროისათვის მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების საქმეში. პირველ ხუთწლეულში საქართველოს ტექნიკულების, უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების მიერ გამოშვებულ იქნა 924 აგრონომი, მეტყევე, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ინჟინერი, 25 ვეტქიმი და ზოოტექნიკოსი, 2087 აგროტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი, ვეტტექნიკოსი და ვეტფერმალი, 1082 ბუქალატერი, სტატისტიკოსი და მგეგმაივი⁴⁹. აგრეთვე პარტიულ სკოლებში, სხვადასხვა კურსებსა და წრეებში გადამზადებულ იქნა ბევრი მუშაკი სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ.

ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო მოძრაობის ფართოდ გაშლის პერიოდში პარტიის მოწოდებით სამრეწველო ცენტრებიდან სოფლად სამუშაოდ ბევრი მუშა წავიდა. 1930 წელს პროფკავშირებმა სოფლად გაგზავნეს 180 ათასი ბრიგადა კოლმეურნეობების შესაქმნელად და მანქანა-იარაღების შესაკეთებლად. საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ოცდახუთათასელებმა—მოწინავე მუშებმა, რომლებიც 1930 წლის დამდეგს პარტიის მოწოდებით სამუშაოდ კოლმეურნეობებში წავიდნენ. ოცდახუთათასელები 70 პროცენტამდე კომუნისტები იყვნენ⁵⁰. 1933 წ. კოლმეურნეობათა დასახმარებლად გაიგზავნა 17 ათასი პარტიული მუშაკი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პოლიტგანყოფილებებში სამუშაოდ.

აღსანიშნავია ის, რომ 1930 წლიდან თვით სოფლის მშრომელებმა, ძირითადად კოლმეურნეებმა აქტიურად მოჰკიდეს ხელი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სპეციალობის შესწავლის საქმეს. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეშვეობით, ბევრი კოლმეურნე დაეუფლა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მართვას. 1931 წ. გაზაფხულისათვის ჩვენი ქვეყნის 200 ათასზე მეტი კოლმეურნე ტრაქტორისტი და მექანიზატორი გახდა, ისინი მუშაობდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მანქანებზე კოლმეურნეობებში⁵¹.

ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში, ასევე საქართველოშიც ყოველწლიურად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიცხვი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში II და III ხუთწლეულებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტთა კონტინგენტი. ამავე პერიოდში ჯეროვნად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და სასწავლებლების რიცხვი და მათში მოსწავლეთა რაოდენობა.

1928 წლიდან 1940 წლამდე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლების მიერ გამოშვებულ იქნა 3768 აგრონომი, მეტყევე, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ინჟინ-

⁴⁸ საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1931, გვ. 56, 59.

⁴⁹ საბჭოთა საქართველოს 40 წ., სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 160.

⁵⁰ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1961, გვ. 548.

⁵¹ იქვე, გვ. 574.

ნერი, 901 ვეტქიმი და ზოტექნიკოსი, 10529 აგროტექნიკოსი, ზოტექნიკოსი, ტექნიკოსი სოფლისა და სატყეო მეურნეობისათვის, ვეტტექნიკოსი და ვეტფერშალი, 3790 ბულვალტერი, სტატისტიკოსი და მკვებავი⁵². აგრეთვე ხუთწლედებში სისტემატურად ეწყობოდა სხვადასხვა კურსები, სადაც კოლმეურნეები ეუფლებოდნენ პროფესიებს. 1931—1934 წლებში სპეციალურ კურსებზე საქართველოში მომზადებულ იქნა 3463 ტრაქტორისტი⁵³.

სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში 1941 წლის 1 იანვრისათვის სპეციალობის მიხედვით სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული იყო უმაღლესი განათლების 3 ათასი აგრონომი, ზოტექნიკოსი, ვეტერინარი ექიმი და მეტყევე, აგრეთვე საშუალო სპეციალური განათლების 2100 აგროტექნიკოსი, ზოტექნიკოსი, ვეტერინარი მუშაკი და მეტყევე⁵⁴. მართალია, სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეში საქართველოში დიდი სამამულო ომის წინა პერიოდისათვის მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული, მაგრამ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით კი კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს არ ჰყავდა სპეციალისტთა საკმაო რაოდენობის კადრები.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა საქართველოში სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი ეჭირა, კადრების მომზადების ტემპი ამ დარგში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში კადრების მომზადების ტემპს. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კადრების მომზადების საქმეში სამამულო ომის წინა ხუთწლედებში სათანადოდ არ იყო დაცული პროპორციულობა. მეცხოველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, მაგრამ პირველ ხუთწლედში მომზადებულა იქნა მხოლოდ 25 ვეტქიმი და ზოტექნიკოსი, მაშინ როცა, ამავე პერიოდში მომზადდა უმაღლესი განათლების ხელოვნების 207 მუშაკი⁵⁵.

1941 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო 67100 უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი, აქედან სოფლის მეურნეობაში კი სპეციალობის მიხედვით მუშაობდა 5100 უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, რაც შეადგენდა საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დასაქმებულ უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების მხოლოდ 7,6 პროცენტს⁵⁶.

სამამულო ომის წინ სოფლის მეურნეობის დარგში მომზადებული უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები ძირითადად დასაქმებული იყვნენ საბჭოთა მეურნეობებში, რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში, ხოლო უშუალოდ საკოლმეურნეო წარმოებაში მათი რიცხვი მეტად უმნიშვნელო იყო.

ისე როგორც საქართველოს სხვა კოლმეურნეობები, ასევე წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებიც, სამამულო ომის წინა პერიოდში დიდად განიც-

⁵² საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 160.

⁵³ ა. ნუცუბიძე, რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას, 1957, გვ. 98.

⁵⁴ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 152.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ იქვე, გვ. 137—138.

დიდნენ სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტთა კადრების ნაკლებობას. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ძირითადად მცირე მცოდნე და დაბალი განათლებისა იყვნენ. საანგარიშო დარგის მუშაკთა დიდ ნაწილს არ ჰქონდა საშუალო განათლებაც, უფრო მეტად პრაქტიკოსები იყვნენ, რომლებსაც შეეძლოთ აღრიცხვისა და დაგეგმვის მხოლოდ მარტივი ფორმებით წარმოება.

კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობით საშუალო განათლების სპეციალისტებიც კი. 1934 წელს წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხანის კოლმეურნეობას, სადაც მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია, ვეტფერშალიც კი არ უწყევდა მომსახურებას.⁵⁷

სპეციალისტთა კადრების ნაკლებობით უნდა აიხსნას ის, რომ რაიონის კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში სამამულო ომის წინა პერიოდში, მოუწესრიგებელი იყო შრომის ორგანიზაცია, აღრიცხვა, საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვა და სხვა. ზემო ქედის კოლმეურნეობაში „კომუნიზმის გზისაკენ“ 1936 წლამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ფულადი თანხების განაწილება ხდებოდა არა კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომის მიხედვით, არამედ მოთხოვნილების მიხედვით, კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვაში სრული ეათანაბრება იყო.⁵⁸

1941 წლის 1 იანვრისათვის წითელწყაროს კოლმეურნეობებში ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა განათლების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ცხრილი 1

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა კადრების შემადგენლობა განათლების მიხედვით 1941 წლისათვის⁵⁹

კოლმეურნეობათა რაოდენობა	დაკავებული თანამდებობის დასახელება	საერთო რიცხვი	უმაღლესი განათლებით	საშუალო და არასრული საშუალო განათლებით	მცირე მცოდნე
31	კოლმეურნეობის თავ-რე	31	—	5	26
	თავ-რის მოადგ.	14	—	2	12
	სარევიზიო კომისიის თავ-რე	31	—	5	26
	ბუქალტერი და მონაგარი შე	64	—	29	35
	აგრონომი	1	1	—	—
	აგროტექნიკოსი	9	—	5	4
	ზოოტექნიკოსი	15	—	11	4
	ვეტფერშალი	17	—	6	11
	მეცხოველეობის ფერმის გამგე	93	—	3	90
	ბრიგადირი	109	—	3	106

აღნიშნული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სამამულო ომის წინა პერიოდში წითელწყაროს კოლმეურნეობებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზევდრითი

⁵⁷ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 76, საქ. 67.

⁵⁸ იქვე, საქმე 154.

⁵⁹ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა 1940 წლის წლიური ანგარიშების მასალების მიხედვით.

წონა ჰქონდათ რესპუბლიკაში, მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმეში, არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობით სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრები. 31 კოლმეურნეობაში მხოლოდ ერთი უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი მუშაობდა. საკოლმეურნეო ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების მარტო 24 პროცენტს ჰქონდა საშუალო და არასრული საშუალო განათლება, ხოლო 76 პროცენტი მცირე მცოდნე იყო. ასეთი მდგომარეობა ბუნებრივია დიდ უარყოფით ვავლენას ახდენდა: იმაზე, რომ მემინდვრობასა და მეცხოველეობაში ჯეროვნად განხორციელებულიყო აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ღონისძიებანი, საკოლმეურნეო წარმოებაში ფართოდ დანერგილიყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მიღწევები.

დიდი სამამულო ომის დროს სოფლის მეურნეობის ბევრი სპეციალისტა საბჭოთა არმიის რიგებში იქნა გაწვეული. აგრეთვე, სამშობლოს დასაცავად ფრონტზე წავიდა შრომისუნარიან კოლმეურნე მამაკაცთა დიდი ნაწილი. რა თქმა უნდა, ამით მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობაში სპეციალისტთა კადრების რიცხვი. კოლმეურნეობებიდან ფრონტზე წასული ბრიგადირები, რგოლის ხელმძღვანელები, ფერმის გამგეები და სხვა ძირითადად შეცვალეს ქალეგმა და მოხუცმა მამაკაცებმა. სამამულო ომის წლებში საკოლმეურნეო წარმოებაში გაიზარდა ქალთა ხვედრითი წონა, ბევრმა მათგანმა შეისწავლა ტრაქტორის მართვა და აქტიურად მუშაობდა საკოლმეურნეო მინდვრებზე. აგრეთვე, მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლასთან ერთად ჩაება საკოლმეურნეო შრომაში. რაიონის 318 მოსწავლემ შეისწავლა სატრაქტორო მუშაობის საქმე და არდადეგების პერიოდში მუშაობდნენ კოლმეურნეობებში. ნარტო წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის 99 მოსწავლემ 1942 წ. წარჩინებით დაამთავრა სატრაქტორო და აგრონომიული კურსები⁶⁰.

სამამულო ომის წლებში საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო განათლების უმაღლესი სასწავლებლებში და ტექნიკუმებში მნიშვნელოვნად შემცირდა სტუდენტთა კონტინგენტი. 1941—45 წლებში გამოშვებულ იქნა მხოლოდ 805 აგრონომი, მეტყევე, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ინჟინერი, მაშინ როცა, მეორე ხუთწლიდში 1933—1937 წლებში მომზადებულ იქნა 1673 აგრონომი, მეტყევე, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის ინჟინერი. სამამულო ომის წლებში მომზადებულ იქნა აგრეთვე 481 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, 3336 აგროტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი, ტექნიკოსი სოფლისა და სატყეო მეურნეობისათვის, ვეტტექნიკოსი და ვეტფერმალო⁶¹. ცხადა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ეს რიცხვი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას.

1946 წლისათვის რაიონის კოლმეურნეობებში არ მუშაობდა უმაღლესი განათლების არც ერთი სპეციალისტი, ხოლო მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებაში და ზოოვეტუბნებში მუშაობდნენ: 8 აგრონომი, 5 ზოოტექნიკოსი, 6 ვეტექიმი, 2 მიწათმოქმეობი ინჟინერი, 1 ინჟინერ-მშენებელი, 1 ეკონომისტი,

⁶⁰ გაზეთი „ახალი შირაქი“ 1942 წ. 28 მარტი.

⁶¹ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 160.

5 ბუქალტერი და 5 ვეტფერშალი⁶². ამ პერიოდისათვის რაიონის კოლმეურნეთა საკუთრებაში მყოფი მთელი პირუტყვის სულადობა შეადგენდა 171770 სულს, ხოლო კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში იყო 20405 სული ყველა სახის პირუტყვი. აგრეთვე მარცვლეულ, ტექნიკურ, ბოსტნეულ კულტურებს. ვენახს, ხეხილს ეჭირა 40 000 ჰექტარზე მეტი ფართობი. დაახლოებით ერთ ვეტექიმზე მოდიოდა 32022 სული ყველა სახის პირუტყვი, ხოლო ერთ აგრონომზე 5000 ჰექტარი ყველა სახის ნათესი⁶³. ეს მონაცემები ნათლად მიგვიჩვენებენ იმაზე, რომ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობები სამამულო ომის დამთავრების დროისათვის განიცდიდნენ სპეციალისტთა კადრების დიდ ნაკლებობას.

სამამულო ომის დამთავრებას შემდეგ საკოლმეურნეო შრომას დაუბრუნდა ბევრი ფრონტელი ჯარისკაცი და დემობილიზებული ოფიცერი. ბევრმა მათგანი დაწინაურებულ იქნა კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე.

IV ხუთწლედში სამამულო ომის წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სტუდენტთა კონტინგენტი. 1946—1950 წლებში სამამულო ომის წლებთან შედარებით გამოშვებული იქნა 414-ით მეტი აგრონომი, მეტყევე, სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის ინჟინერი, 86-ით მეტი ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, 4045-ით მეტი აგროტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი, ტექნიკოსი სოფლისა და სატყეო მეურნეობებისათვის, ვეტტექნიკოსი და ვეტფერშალი⁶⁴.

სამამულო ომის წლებთან შედარებით ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების მომზადების გადიდება, აგრეთვე წვრილ კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, რომელიც კოლმეურნეობათა ინიციატივით 1950—1952 წლებში განხორციელდა, შედარებით გააუმჯობესა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრებისა და კოლმეურნეობებში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ხარისხობრივი შემადგენლობა.

1950—1952 წლებში კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად წითელწყაროს რაიონში 28 კოლმეურნეობის ნაცვლად შეიქმნა 13 კოლმეურნეობა. რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა 1940 წელთან შედარებით, საკოლმეურნეო კადრების შემადგენლობა. 13 კოლმეურნეობის თავმჯდომარეიდან 1 ჰქონდა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სპეციალური განათლება, 5-ს საშუალო სპეციალური განათლება, 7-ს გავლილი ჰქონდა გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. თუ 1941 წლისათვის კოლმეურნეობებში უმაღლესი განათლებით მხოლოდ ერთი აგრონომი მუშაობდა, 1953 წლისათვის კოლმეურნეობებში მუშაობდა 10 აგრონომი, 25 ვეტექიმი და ზოოტექნიკოსი, 15 აგროტექნიკოსი, 31 ზოოტექნიკოსი და ვეტტექნიკოსი და 29 სხვა სპეციალური საშუალო განათლების სპეციალისტი⁶⁵.

მაგრამ ომის შემდგომ პერიოდშიც საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალისტთა კადრების მომზადების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებ-

⁶² წითელწყაროს რაიონული არქივი, ფ. 46, საქ. 125.

⁶³ იქვე, ფონდი 86, საქ. 39.

⁶⁴ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 160.

⁶⁵ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა 1952 წლის წლიური ანგარიშების მასალების მიხედვით.

ში სპეციალისტთა კადრების მომზადების ტემპს. IV ხუთწლეულში მომზადებულ იქნა 360 კაცით ნაკლები სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი განათლების სპეციალისტი, ვიდრე II ხუთწლეულში. 1946—1950 წლებში საქართველოში გამოშვებულ იქნა 21576 უმაღლესი განათლების სპეციალისტი, აქედან სოფლის მეურნეობის დარგში 2146 სპეციალისტი. თუ IV ხუთწლეულში სახალხო განათლების დარგში სპეციალისტთა კადრების მომზადება II ხუთწლეულთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 1,4-ჯერ, მედიცინის დარგში 2,5-ჯერ მეტად, ხელოვნების დარგში 2-ჯერ მეტად, სოფლის მეურნეობის დარგში კი პირიქით შემცირდა 16,7 პროცენტით⁶⁶. ეს მონაცემები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ განსაკუთრებით სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში სერიოზულ ნაკლოვანებას ჰქონდა ადგილი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად უმაღლესი განათლების სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეში, რამაც თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო. V ხუთწლეულში თავი იჩინა სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში სპეციალისტთა კადრების ერთგვარმა სიჭარბემ, მაშინ როცა, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მცირე იყო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობით აგრონომები, ვეტექნიკები, ზოოტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები.

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში სერიოზული ნაკლოვანებები არსებობდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების გამოყენების საქმეშიც. 1953 წლისათვის საბჭოთა კავშირში მარტო სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სისტემაში იყო 350 ათასზე მეტი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი. აქედან უშუალოდ კოლმეურნეობებში მუშაობდა 18,5 ათასი სპეციალისტი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 5 პროცენტი, ე. ი. საშუალოდ 5 კოლმეურნეობაზე ერთი სპეციალისტი. 50 ათასი ანუ 14 პროცენტი მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ხოლო 75 ათასი ანუ 21 პროცენტი მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების აპარატში და საკმაოდ როდი იყვნენ დაკავშირებულნი საკოლმეურნეო წარმოებასთან.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამამულო ომის შემდგომ პერიოდში სწრაფად მიმდინარეობდა სოფლის ახალგაზრდობის ქალაქად სამუშაოდ წასვლისა და იქ დამკვიდრების პროცესი. ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც ნაკლები იყო შრომის ანაზღაურება, შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ტოვებდა კოლმეურნეობას და სამუშაოდ მიდიოდა ფაბრიკა-ქარხანაში. მარტო წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში 1946 წელთან შედარებით 1953 წლისათვის შრომისუნარიან კოლმეურნეთა რიცხვი შემცირდა 613 კაცით⁶⁷. მაშინ როცა, ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ორგანიზებული დასახლების წესით, მწირმიწიანი რაიონებიდან წითელწყაროს რაიონში ჩასახლდა 200-ზე მეტი ოჯახი.

ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს შორის სპეციალისტთა კადრების მომზადებაში არსებული დისპროპორცია, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში დამკვიდრებისადმი სოფლის ახალგაზრდობის ლტოლვა სერიოზულ სიძნელებებს ქმნიდა

⁶⁶ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 158.

⁶⁷ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მასალების მიხედვით

ში სპეციალისტთა კადრების მომზადების ტემპს. IV ხუთწლედში მომზადებულ იქნა 360 კაცით ნაკლები სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი განათლების სპეციალისტი, ვიდრე II ხუთწლედში. 1946—1950 წლებში საქართველოში გამოშვებულ იქნა 21576 უმაღლესი განათლების სპეციალისტი, აქედან სოფლის მეურნეობის დარგში 2146 სპეციალისტი. თუ IV ხუთწლედში სახალხო განათლების დარგში სპეციალისტთა კადრების მომზადება II ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 1,4-ჯერ, მედიცინის დარგში 2,5-ჯერ მეტად, ხელოვნების დარგში 2-ჯერ მეტად, სოფლის მეურნეობის დარგში კი პირიქით შემცირდა 16,7 პროცენტით⁶⁶. ეს მონაცემები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ განსაკუთრებით სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში სერიოზულ ნაკლოვანებას ჰქონდა ადგილი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად უმაღლესი განათლების სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეში, რამაც თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო. V ხუთწლედში თავი იჩინა სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში სპეციალისტთა კადრების ერთგვარმა სიჭარბემ, მაშინ როცა, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მცირე იყო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობით აგრონომები, ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები.

სამამულო ომის შემდგომ პერიოდში სერიოზული ნაკლოვანებები არსებობდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების გამოყენების საქმეშიც. 1953 წლისათვის საბჭოთა კავშირში მარტო სასოფლო-სამეურნეო ორგანოების სისტემაში იყო 350 ათასზე მეტი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი. აქედან უშუალოდ კოლმეურნეობებში მუშაობდა 18,5 ათასი სპეციალისტი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 5 პროცენტი, ე. ი. საშუალოდ 5 კოლმეურნეობაზე ერთი სპეციალისტი. 50 ათასი ანუ 14 პროცენტი მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ხოლო 75 ათასი ანუ 21 პროცენტი მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების აპარატში და საკმაოდ როდი იყვნენ დაკავშირებულნი საკოლმეურნეო წარმოებასთან.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სამამულო ომის შემდგომ პერიოდში სწრაფად მიმდინარეობდა სოფლის ახალგაზრდობის ქალაქად სამუშაოდ წასვლისა და იქ დამკვიდრების პროცესი. ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც ნაკლები იყო შრომის ანაზღაურება, შრომისუნარიანი კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ტოვებდა კოლმეურნეობას და სამუშაოდ მიდიოდა ფაბრიკა-ქარხანაში. მარტო წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში 1946 წელთან შედარებით 1953 წლისათვის შრომისუნარიანი კოლმეურნეთა რიცხვი შემცირდა 613 კაცით⁶⁷. მაშინ როცა, ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფო ორგანიზებული დასახლების წესით, მწირმიწიანი რაიონებიდან წითელწყაროს რაიონში ჩასახლდა 200-ზე მეტი ოჯახი.

ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს შორის სპეციალისტთა კადრების მომზადებაში არსებული დისპროპორცია, ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში დამკვიდრებისადმი სოფლის ახალგაზრდობის ლტოლვა სერიოზულ სიძნელეებს ქმნიდა:

⁶⁶ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 158.

⁶⁷ წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მასალების მიხედვით.

კოლმეურნეობების სპეციალისტთა და სხვა ახალგაზრდა კადრებით განმტკიცებისათვის.

სოფლის მეურნეობის მკვებრი აღმავლობის პროგრამა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ სექტემბრის პლენუმზე ყოველმხრივ შეიმუშავა, უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტთა და გამოცდილი კადრებით უზრუნველყოფის ამოცანის განხორციელებას, სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. ამიტომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სოფლის მეურნეობისა და მათ შორის კოლმეურნეობების სპეციალისტთა კადრებით განმტკიცების ღონისძიებანი ძირითადად წარმართა, ერთი მხრივ, სასოფლო-სამეურნეო განათლების უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მსმენელთა კონტინგენტის მკვეთრად გადღებისა და, მეორე მხრივ, სამრეწველო საწარმოებიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან გამოცდილი კადრების სოფლად სამუშაოდ გაგზავნის პირობებში.

კომუნისტური პარტიის მოწოდებით 1954—1955 წლებში ქალაქიდან სოფლად სამუშაოდ გაიგზავნა 20 ათასზე მეტი კომუნისტი, რომლებიც რეკომენდებული იქნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად. აგრეთვე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით სექტემბრის პლენუმის შემდგომ პერიოდში ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან უშუალოდ კოლმეურნეობებში სამუშაოდ წავიდნენ სოფლის მეურნეობის 120 ათასზე მეტი სპეციალისტი⁶⁸.

ისე როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოშიაც V ხუთწლეულში და შემდგომ წლებში სახალხო განათლების სისტემაში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო განათლების უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების ხვედრითი წონა. 1952 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო განათლების ორ უმაღლეს სასწავლებელს შეემატა კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი—სუბტროპიკული კულტურების ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ამჟამად ეს ინსტიტუტი სოხუმშია გადატანილი), აგრეთვე მნიშვნელოვნად გადიდა სოფლის მეურნეობის ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში სტუდენტთა რიცხვი. V ხუთწლეულში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებულ იქნა 2-ჯერ მეტი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ვიდრე IV ხუთწლეულში. აგრეთვე 1951—1958 წლებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და სპეციალური სასწავლებლების მიერ მომზადებული იქნა 13 370 აგროტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი, ტექნიკოსი სოფლისა და სატყეო მეურნეობისათვის, ვეტტექნიკოსი და ვეტფერმალი, 4898 ბუპლალტერი, სტატისტიკოსი და მგეგმავი. მართლ: 1956—1958 წლებში მომზადდა 8481 აგროტექნიკოსი, ზოოტექნიკოსი, ტექნიკოსი სოფლისა და სატყეო მეურნეობისათვის, ვეტტექნიკოსი და ვეტფერმალი⁶⁹.

სოფლის მეურნეობის დარგში სპეციალისტთა კადრების მომზადების გადიდება, ამასთან საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების დანიშნულების მიხედვით გამოყენებისათვის მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საერთოდ სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით საკოლმეურნეო კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა. პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამე-

⁶⁸ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1961 გვ. 825.

⁶⁹ საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული, 1961, გვ. 259, 261.

ურნეო ხელმძღვანელი ორგანოებიდან სისტემატურად იგზავნებოდნენ კოლმეურნეობათა კადრებით განმტკიცების მიზნით გამოცდილი, უნარიანი მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა კადრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „სახელმწიფოს მართვის ამოცანა, რომელიც ახლა პირველ პლანზე დადგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე—წარმოადგენს კიდევ იმ თავისებურებებს, რომ ახლა საქმე ენება—და, შეიძლება ითქვას, პირველად ცივილიზირებულ ხალხთა უახლოეს ისტორიაში—ისეთ მართვას, როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას“⁷⁰.

უკანასკნელ პერიოდში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, ასევე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კადრებმა და სპეციალისტებმა უფრო ღრმად მოკიდეს ხელი ეკონომიკისა და ტექნიკის შესწავლის საქმეს. საკომმუნისტო წარმოების თითოეული დარგისადმი ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული და საქმიანი გახდა. საკომმუნისტო კადრებს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაში დიდად შეუწყო ხელი პარტიული განათლების ქსელში პოლიტიკური სწავლების მიხსოვებამ ცხოვრებასთან, სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებთან.

უკანასკნელ წლებში წითელწყაროს რაიონის საკომმუნისტო პარტიულ ორგანიზაციებში ყოველწლიურად იზრდება სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების რიცხვი, სადაც ჩაბმულია საკომმუნისტო კადრებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების უდიდესი ნაწილი.

კომმუნისტობათა კადრებით განმტკიცების საქმეს ჯეროვნად შეუწყო ხელი უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებელი სწავლების ქსელის გაფართოებამ, რომელიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა; უმაღლესი განათლების მიღების ამ ფორმის გადიდება სოფლის ახალგაზრდობას შესაძლებლობა ჰქონდა საკომმუნისტო წარმოებაში შრომასთან ერთად მიიღოს უმაღლესი განათლება და დაეუფლოს არჩეულ სპეციალობას. ამ ღონისძიებებით კომმუნისტობებს შეექმნათ სარეზერვო კადრების მნიშვნელოვანი ბაზა. ისინი დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ ახალგაზრდობას სწავლების დამთავრების შემდეგ იყენებენ საკომმუნისტო წარმოების ცალკეულ უბნებზე სამუშაოდ. აგრეთვე სოფლის ახალგაზრდობის საკომმუნისტო შრომაში ჩაბმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის საწარმოო სტაჟის დაწესება, რის შედეგადაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სოფლის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მუშაობს საკომმუნისტო სოფელში და კომმუნისტობებს შესაძლებლობა ეძლევათ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეულ დარგებში სამუშაოდ.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომელმაც დამთავრა საშუალო სკოლა, აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. მართო წითელწყაროს

რაიონის კოლმეურნეობებში 1959 წელს, 1953 წელთან შედარებით შრომისუნარიან კოლმეურნეთა რიცხვი გაიზარდა 3890 კაცით. მათ შორის დიდი ნაწილი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია, რომლებიც აქტიურად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. ბევრი მათგანი კოლმეურნეობის მიერ გამოყენებულა ბრიგადირებად, ფერმის გამგეებად, რგოლის ხელმძღვანელებად და სხვა ხელმძღვანელ სამუშაოებზე. 1959 წლისათვის 524 ახალგაზრდა კოლმეურნე საკოლმეურნეო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობდა უმაღლესსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში⁷¹.

კოლმეურნეობების სპეციალისტთა კადრებით განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციას, რომელიც განხორციელდა 1958 წელს. რეორგანიზაციით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მყოფი სოფლის მეურნეობის სპეციალისტების—აგრონომების, ვეტეჩიმების, ზოოტექნიკოსების, მექანიზატორების მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა კოლმეურნეობებში სამუშაოდ და უშუალოდ დაუახლოვდა საკოლმეურნეო წარმოებას. 1959 წლის პირველი დეკემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში, სარემონტო ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მუშაობდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 11200 სპეციალისტი⁷².

1959 წლისათვის 1953 წელთან შედარებით წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებში მომუშავე უმაღლესი განათლების სპეციალისტთა რიცხვი გაიზარდა 5-ჯერ. ხოლო საშუალო განათლებისა 2,5-ჯერ. 1959 წლისათვის საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 9 უმაღლესი და 20 საშუალო განათლების სპეციალისტი⁷³. ამჟამად კოლმეურნეობის ყველა თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, ბრიგადირს და ფერმის გამგეს აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. კოლმეურნეობებს მეურნეობის ყველა დარგში ჰყავთ საკმარისი რაოდენობის სპეციალისტთა კადრები.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრებით განმტკიცების შედეგად შესაძლებლობა მიეცათ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში ფართოდ დანერგონ მეცნიერების, ტექნიკის და მოწინავეთა გამოცდილების მიღწევები, აამაღლონ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში აგროტექნიკისა და ზოოტექნიკის დონე, მაქსიმალურად გამოიყენონ საკოლმეურნეო წარმოების გადიდებისათვის არსებული რეზერვები და შესაძლებლობები. მიწის სავარგულზე მკვეთრად გააძლიერონ სოფლის მეურნეობის პროდუქტივის წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა სერიოზული ღონისძიებანი დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და მკაფიოდ მიუთითა საკოლმეურნეო სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამტკიცებისა და სპეციალისტთა კადრების გამოყენების გაუმჯობესების საკითხებზე.

71 წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მასალების მიხედვით.

72 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატისტიკური კრებული 1961, გვ. 106.

73 წითელწყაროს რაიონული არქივი, ფონდი 43, საქმე 125.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები 6. ბერძენიზმის შრომაში

დ. მუსხლივილი

(წარმოდგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში არა ერთი წერილის დასახელებაა „შესაძლებელი, რომელიც მიძღვნილია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ამა თუ იმ საკითხისადმი. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის გამოუკლებელი ყველა მათგანი ეხება ამა თუ იმ პუნქტის დადგენას ან ძველი პოლიტიკური ცენტრების გადაანაცვლებას, ანდა, ბოლოს და ბოლოს საქართველოს პოლიტიკურ ან შინაგან საზღვრებს და მათ ცვალებადობას დროთა ვითარებაში. ერთი სიტყვით, თითქმის ყველა ამგვარი ნაშრომი ეხება საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხებს ისტორიულ ხანაში.

ფაქტიურად ამით ამოიწურებოდა ისტორიული გეოგრაფიის მიზნები, საკითხთა მხოლოდ ამ წრეს მოიცავდა ცნება—ისტორიული გეოგრაფია.

ასეთი ვითარება იყო ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისაგან ინერციით მიღებული მემკვიდრეობა.

დღეს საბჭოურ ისტორიოგრაფიაში სავსებით ცხადად არის დადგენილი საკითხთა ის წრე, რომელიც ისტორიული გეოგრაფიის კომპეტენციას განეკუთვნება. ისტორიული გეოგრაფია, როგორც ზოგადი ისტორიის ცალკე დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, აღდგენილია თავის უფლებებში.

რამდენადაც (როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს) ისტორიული გეოგრაფია შეისწავლის ისტორიული პროცესის გეოგრაფიულ მხარეს, ამდენად მისი განხილვის საგანია საზოგადოდ ისტორიის ძირითადი საკითხები გააზრებული სწორედ ამ თვალსაზრისით და, რამდენადაც ისტორიის ძირითადი საკითხებია საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ანუ ადამიანის საზოგადოების, ხალხის და მისი სამეურნეო განვითარების შესწავლა (რაზედაცაა დამყარებული პოლიტიკური ისტორიის საკითხები), ამდენადვე ისტორიული გეოგრაფია ისტორიული თვალსაზრისით განიხილავს ადამიანის საზოგადოების, ხალხის და მისი მეურნეობის გეოგრაფიას, აგრეთვე, პოლიტიკურ გეოგრაფიას. ხოლო, რადგან ყველა ეს პროცესი გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარეობს, ამიტომ ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტიც ამა თუ იმ ეპოქისა რამდენადმე ისტორიული გეოგრაფიის საკვლევ საკითხთა წრეში შემოდის.

ასე დგას დღეს საკითხი საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

აღსანიშნავია, რომ უკვე ოცდაათიან წლებში ჩვენს ქართულ ისტორიოგრაფიაში იქმნება რიგი ნაშრომებისა, რომლებიც სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავენ საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხს ან საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ისტორიას. მაგრამ იმ დროს არავინ უწოდებდა ასეთ ნაშრომს ისტორიულ-გეოგრაფიულ გამოკვლევას და ეს არა იმიტომ, რომ ეს ნაშრომები არ იყო ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათისა, არამედ იმიტომ, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მაშინ ისტორიული გეოგრაფიის ცნება, მისი სარბიელი მეტად დავიწროებული იყო.

ამისავე მოწმობაა აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ ოცდაათიან წლებში ჩატარებული ექსპედიციების „დღიურები“ თუ „საანგარიშო მოხსენებები“, რომლებიც გამოქვეყნებულია 1964 წელს გამოსული მისი შრომების პირველ წიგნში: „საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია“.

წიგნში შეტანილია სხვადასხვა დროს (1932—1958 წწ.) და სხვადასხვა მიზნით ჩატარებული ექსპედიციების საანგარიშო მოხსენებები და სპეციალური გამოკვლევები საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული ნაშრომები არ არის ერთნაირი ხასიათისა, მათი ასეთი შერჩევა გამართლებულია ერთი პრინციპით, იმით, რომ ყოველი მათგანი და ყველა ერთად ემორჩილება ერთ იდეას—საქართველოს შესწავლას ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით იმ ასპექტში, რომელიც ზემოთ იყო მოკლედ წარმოდგენილი და რომელიც დღეს აღიარებულია საბჭოთარ ისტორიოგრაფიაში.

ჩვენ ამას სავანგებოდ ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოცდაათიან წლებში საკითხის ამგვარი დაყენება ერთგვარი ნოვატორობაეკი იყო, რადგანაც მაშინ ისტორიულ გეოგრაფიაზე, როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე, ბუნებრივია, მთლიანი, გარკვეული წარმოდგენა არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულიყო.

მხოლოდ მოვლენათა ყოველმხრივმა შესწავლამ და ღრმა ანალიზმა მისცა საშუალება ნ. ბერძენიშვილს ესა თუ ის საკითხი დაესვა და გაეშუქებინა იმ თვალსაზრისით, რასაც ახლა მოითხოვს ისტორიული გეოგრაფია. ასეთმა თვალთახედვამ თანდათანობით, ბოლოს და ბოლოს, გამოკვეთა და ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა.

წიგნის სტრუქტურაც ნაწილობრივ ამითაა გაპირობებული, რაზედაც ავტორი მიგვითითებს წინასიტყვაობაში: „წინამდებარე წიგნი, ამრიგად, მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, თუ მეტოდოლოგიურად და ქრონოლოგიურად როგორ თანდათანობით შეუმუშავდა ავტორს მეცნიერული წარმოდგენა ისტორიულ გეოგრაფიაზე, როგორც ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დისციპლინაზე“ (გვ. V, ხაზგასმა ავტორისა). სწორედ ამის გამო, ჯერჯერობით ქრონოლოგიურადაც უკანასკნელი წერილი „ისტორიული გეოგრაფიისათვის“,—რომელიც შეიცავს თეორიული ხასიათის მსჯელობას ისტორიული გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, შესახებ, წიგნის ბოლოსაა მოთავსებული.

ჩვენი წერილის მიზანი არ არის ამ წიგნის რეცენზირება იმიტომ, რომ აქ წამოჭრილი ძირითადი საკითხები თეორიული ხასიათისაა და თუმცა მეთოდო-

ლოგიურ საყრდენს წარმოადგენენ შემდგომი დეტალური ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებისათვის, მაინც მათი საბოლოო შეფასება სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე იქნება შესაძლებელი.

ჩვენი წერილის მიზანია, ფაქტიურად, იმის ჩვენება, თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ ძიებას, ძირითადად საველე ძიებას, რა რიგის საკითხების დაყენება შეუძლია. ამიტომ ჩვენ არ შევეხებით ყველა იმ საკითხს, რომელიც ნ. ბერძენიშვილის ამ წიგნშია წამოჭრილი, არამედ—მხოლოდ ძირითად ისტორიულ-გეოგრაფიულ პრობლემებს საქართველოს ისტორიულ-ეკონომიური („წარმოებითი“), ისტორიულ-ეთნიკური თუ სოციალური გეოგრაფიიდან.

*
*
*

გზების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის აუცილებლობის პრობლემა ავტორის წინაშე მაშინ წამოჭრილა, როდესაც იგი შიდაქართლის ტერიტორიის, ე. წ. „სათარხნოს“ ისტორიულ-არქეოლოგიური მოხილვისას (1931 წ.) ბუნებრივად მიადგა კლდეკარის საკითხს (გვ. 1). 1932 წ-ის საველე სამუშაოებიც (ზემო იმერეთი, თრიალეთი) მან ამ მიზანს დაუქვემდებარა. გზების ამგვარ შესწავლას ნ. ბერძენიშვილი შემდეგშიაც, სულ უკანასკნელ ხანებამდე, არა ერთხელ დაბრუნებია (კახეთი, ჭავჭავეთი, თორი, ქვემო ქართლი).

განსხვავებით წინა თაობისაგან, იგი გზების უბრალო კონსტატაციით კი არ კმაყოფილდება, არამედ იმათივე იკვლევს მათ ისტორიულ გეოგრაფიის („წარმოებითი გეოგრაფიის“) თვალსაზრისით.

ასეთი თვალთახედვით ბუნებრივად გასაგები ხდება არა მარტო ცნობილი უძველესი ქალაქების, მაგალითად შორაპნის, ადგილმდებარეობა და მნიშვნელობა, რამდენადაც იგი სტრატეგიულად ისეთ ადგილზეა გაშენებული, „სადაც 5—6 მიმართულებით გზა იყრიდა თავს“ (გვ. 3), არამედ უფრო გვიანდელი ისეთი პუნქტებისა, როგორიცაა, მაგალითად, ბაღვაშთა სამარხავი კაცხი, რომლის „გეოგრაფიული მდებარეობა (გზაჯვარედინი ქუთაისიდან—თბილისში და შორაპანი—ზრეითი—რუჰა) ისტორიკოსისათვის გასაგებს ხდის მის მრავალმნიშვნელოვნობას საქართველოს ისტორიის საშუალო საუკუნეებში“ (გვ. 19); ჩიხა, აფხაზთ მეფეთა ერისთავის რეზიდენცია (გვ. 20); სვერის ციხე (გვ. 22), წალუღი და წალღისთავი, საიდანაც დავით აღმაშენებელმა ცნობილი შეტევა განაწეითარა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჩამოსახლებული სელჯუკების წინააღმდეგ (გვ. 23—24)... ან მანგლისი (გვ. 26) და სხვ.

განსაკუთრებით ხაზგასასმელი ის გარემოებაა, რომ ძველი წყაროებიდან ცნობილი პუნქტების მნიშვნელობის ეს ინტერპრეტაცია ძირითადად საველე-პრაქტიკული ძიების შედეგია და არა მხოლოდ კაბინეტში რუკაზე მუშაობისა, რასაც შეუძლია მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ამ უკანასკნელ გარემოებაზე მიუთითებს ნ. ბერძენიშვილი რომაული იტინერარიუმის „ზალისას“ იდენტიფიკაციის დროს: „რამდენს არ აწვალებენ ამ ძალისას, სად არ ათავსებენ მას, ოდონდ ადგილზე კი არ აყენებენ. და ასე ხდება იმიტომ, რომ ჩვენი სპეციალისტები ძველი გზების კვლევისას ისტორიულ გეოგრაფიას ყოველად უგულვებელყოფენ, წყაროებში მოხსენებულ ადგილებს არ ნახულობენ და უპირატესად რუკების ჩვენებებზე ფილოლოგიურად ვარჯიშობენ. მართლაც და რა უნდა იყოს იმის საწინააღმდეგო, რომ ძალისა თავის ადგილზე დარჩეს. იბერიის ბარისა და ზეგნის საზღვარზე მდებარე ეს პუნქტი, ჩანს, მნიშვნელოვანი საგ-

ზაო სადგური იყო. შიდა ქართლის უმთავრესი გზა რომ სწორედ მუხრან-ძალისა-წილკანზე გამოივლიდა, ამის საბუთია სოფელი მისაქციელი, რომელიც ამ თავის მეტყველი სახელით ნიშანდობლივ უჩვენებს, თუ საიდან მოდიოდა შთავარი გზა. „მისაქციელი“ (მისაბრუნე, მოხოულა—მოხვეულა გურული კილოთი)—ეს პუნქტი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ძალისა-წილკანზე გამავალი გზისათვის. იგულისხმება, რომ ძალისა-წილკანზე წამოსული გზა აქ (მისაქციელში) მიუხვევდა, „მიუქცევდა“ არავის პირისაკენ (ბულაჩაურისაკენ?), ან ნატახტარ-მცხეთისაკენ“ (გვ. 397—8).

გზების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა ხსნის არა მარტო ამა თუ იმ პუნქტის (ციხის, ქალაქის, სოფლის) მნიშვნელობას, არამედ გასაგებას ხდის ამა თუ იმ ტერიტორიის, თემის, კუთხის მნიშვნელობასაც ისტორიული განვითარების სხვადასხვა მონაკვეთზე. მაგალითად, ნ. ბერძენიშვილის აზრით, თრიალეთი მისი მეურნეობით (მსხვილი და წვრილფეხა საქონელი და ხორბლუდი) კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ იმით, თუ „როგორ გეოგრაფიულ არეში“ იყო მოქცეული: „თრიალეთი სწორედ ამით იყო განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში. მანგლისის მხარესთან ერთად თრიალეთი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზასაყარი იყო“ (გვ. 32). „ამ გზათა მიმართულეების გათვალისწინებით გასაგები ხდება თრიალეთის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოს სხვა რაიონებისათვის. ხოლო თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ მანგლის—თრიალეთი ზეგანია და სტრატეგიულად ბატონობს შიდა და ქვემო ქართლსა—ყველა ამ ხელსაყრელ გარემოებათა გათვალისწინებით გასაგები ხდება ის ძლიერება და პრეტენზიები, რომელსაც თრიალეთის მფლობელი ფეოდალები (კლდეკარის პატრონები) იჩენენ X—XI საუკუნეთა სივრცეზე“ (გვ. 32—33).

მსგავსი ვითარებაა ჯავახეთის მიმართ: „ის ჰყოფდა და იგივე აერთებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსთან. ჯავახეთის მფლობელ აფხაზთ მეფეს ხელი ადვილად მიუწვდებოდა სამხრეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს ყოველ მხარეს. მის ხელში იყო მთავარი გზები სამხრეთიდან (სომხეთი) თუ სამხრეთ-დასავლეთიდან (ბიზანტიიდან). ჯავახეთზე გამოვლით შედიოდნენ ეს გზები „აფხაზეთში“ (სამცხით), შიდა ქართლში (სამცხით, თრიალეთით), მცხეთა-თბილისში (თრიალეთ-მანგლისით) და კახეთში.

გამტარი გზების სიმრავლით და ცენტრალური მდებარეობით მხოლოდ თრიალეთი თუ შეედრებოდა ჯავახეთს... თუ ჯავახეთი სამცხე-ტაო-კლარჯეთის მხრით ჰკეტავდა თრიალეთს, თრიალეთი ქართლ-კახეთის მხრით ჰკეტავდა მას“ (გვ. 52—3).

აქედან უკვე სავსებით ნათელია ის ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ ასეთი სტრატეგიული მდებარეობა ჯავახეთისა, ერთი მხრივ, და თრიალეთის, მეორე მხრივ, იყო ის ძირითადი მიზეზი, რაც განსაზღვრავდა აფხაზეთის მეფეებისა (რომლებიც X ს-დან მაინც უკვე ფლობენ ჯავახეთს) და ბაღვაშთა (რომლებიც IX ს-ის ბოლოდან ფლობენ თრიალეთს) განუწყვეტელ ბრძოლას: „ამ ორი ქვეყნის ასე თუ ისე გაერთიანების გარეშე, მათ მფლობელთა ურთიერთ შორის ქიშპის პირობებში საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანება ფრიად ფერხდებოდა. აუცილებელი ჩანდა ქვეყნის ეკონომიური განვითარება ამას მოითხოვდა): ან ჯავახეთის პატრონს (—აფხაზთა მეფეს) უნდა აეღო თრიალეთი, უნდა დაემორჩილებინა ის; ან კიდევ აფხაზთ

მეფეს უნდა დაეთმო ჯავახეთი თრიალეთის პატრონისათვის და მამასადამე აღმოსავლეთ საქართველოსაც გასცლოდა, ხოლო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე სხვას ეთავა, მაგრამ იმას კი, ვინც უპირველეს ყოვლისა მ ორი ქვეყნის ხელში აღებას შესძლებდა“ (გვ. 53). ჯავახეთისათვის მასზე გამავალი მაგისტრალური გზები, ნ. ბერძენიშვილის აზრით, იმდენად დიდი მნიშვნელობისა იყო, რომ უფრო გვიან მათი ფუნქციონირების მოსპობამ გამოიწვია ჯავახეთის ეკონომიური დაქვეითება. მთავარი მათგანი იყო „ქველი ქართლის გზა“, რომლის მოშლა ჯავახეთის კეთილდღეობის მოშლის მომასწავებელიც იყო“ (გვ. 81).

ამ ვრცელი ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ცოცხლად უკავშირებს ავტორი გზებს არა მხოლოდ ცალკეულ პუნქტებს, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეების (შდ. აგრეთვე, გვ. გვ. 224-5—ქვაბისხევი; გვ. 254—თორი) ისტორიულ თავგადასავალს ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნათლად ჩანს ავტორის თვალსაზრისი გზების, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორების შესახებ. ეს უკანასკნელი კარგად აქვს მას გამოთქმული ჯერ კიდევ 1932 წ-ის ექსპედიციის ანგარიშში: „გზები, მართალია, ძლიერ არის დამოკიდებული გეოგრაფიულ პირობებზე, მაგრამ მათი საბოლოო მიმართულება მაინც წარმოებითი გეოგრაფიით აიხსნება და ეს მით უფრო, რაც უფრო რონაწილეობს ესა თუ ის მხარე ქვეყანათა შორის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში. აქედან გზების მიმართულების ცვლა... გზებისა (და მათი ეკონომიური ურთიერთობის) გათვალისწინებით გასაგები ხდება ამა თუ იმ პუნქტისა თუ რაიონის დაწინაურება-აყვავება, ისე როგორც მეორესი დაცემა-დაქვეითება, მივიწყება...“ (გვ. 24).

გზებთან ორგანულად და დაკავშირებული ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით დღემდე თითქმის არ არის შესწავლილი. ამ ნაკვს ნ. ბერძენიშვილი ჯერ კიდევ 1933 წ. ანგარიშში აღნიშნავდა: „ციხეები აქამდის ჩვენი ისტორიული კვლევა-ძიების გარეთ რჩებიან. არა თუ ისტორიული შესწავლის, ისინი უბრალო აღრიცხვის ღირსიც კი ვერ გამხდარიან... შეუსწავლეია ჩვენი ციხეების არქიტექტურა, შეუსწავლეია ისინი სოციალურადაც. ორივე თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ერთიმეორეს შეავსებს: ციხის სოციოლოგია განსაზღვრავს უმთავრესად მის არქიტექტურას, ციხის არქიტექტურა დიდად გვიშველის მის სოციოლოგიურ შესწავლაში“ (გვ. 88). ამგვარად, როგორც ვხედავთ, მაშინვე ნ. ბერძენიშვილს დაუსვამს ციხის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის, შესწავლის საკითხი, რაც მან გააღრმავა უფრო გვიან 1947 წ. ბორჯომის ხეობაში მოგზაურობისას, რომლის დღიურშიც წერს: „ციხე ჩვენი ხომ ჯერ კიდევ შეუსწავლეია, როგორც სამხედრო, ისე სოციალური თვალსაზრისით. ამავე დროს ციხე ამა თუ იმ სახით თან ახლავს საზოგადოებას მისი არსებობის მთელს მანძილზე.“

ციხეში წარმოდგენილია საზოგადოების არა მარტო ტექნიკური განვითარების მომენტები... არამედ ადამიანის ამ ნამოქმედებში, არანაკლებ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი განვითარების სოციალური მომენტები“ (გვ. 257). აქვეა მოცემული ციხის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის განვითარების საფეხურები „ქვაბიდან სალეკო ვალანამდე“.

ნ. ბერძენიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართულ ციხეებს, როგორც მრავლისმეტყველ მატერიალურ დოკუმენტებს საზოგადოების სოციალური განვითარების ეტაპების საილუსტრაციოდ, რადგან „გადაჭრით შეიძლება ითქვას, მატერიალური კულტურის არცერთ ნაშთს არ შემოუნახავს აგრე მდიდრად და აგრე ცოცხლად საზოგადოების თავგადასავალი, როგორც ის შემოგვინახა ციხე“... (გვ. 258).

მთელი ეს თეორიული მსჯელობა შესაძლებელი გახდა, რა თქმა უნდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სავლემ მუშაობისას მონილული იქნა საკმაო რაოდენობა სათანადო ძეგლებისა და შესაძლებელი გახდა მათი სახელდახელო ფორმალური კლასიფიკაცია (გვ. გვ. 89, 257, 303).

ჯერ კიდევ 1933 წ. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „გათვალისწინებული უნდა გეჰქონდეს, რომ ამა თუ იმ პუნქტის დაწინაურება-აყვავება თვით იწვევს გზის მიმართულების შეცვლას, თუ ასეთი გზა აქამდის უქცევდა მას“... (გვ. 25).

უფრო გვიან (1947 წ.) ციხე-სიმაგრეებზე დაკვირვების შედეგად ეს აზრი ამგვარად გამოიკვეთა: „როგორც ირკვევა (მე ერთხელ უკვე გამოვთქვი ეს მოსაზრება), მხოლოდ ციხე კი არ მიიწვევდა გზისკენ, არამედ გზასაც ეწეოდნენ ციხისაკენ, ე. ი. გზა იქ გაჰქონდათ, სადაც ციხე შენდებოდა... ეს გზა ერთ-ერთი მთავარი სტიმული იყო ამ ციხის აგებისა.—მას ამიერიდან ამ ციხის ქვეშ უნდა გაველო („ციხის ქვეშ“ ვაგლა ყოველთვის ფიზიკურად „ქვეშ“-ს არ ნიშნავდა, მაგრამ ყოველთვის ნიშნავდა კონტროლს)... ამიერიდან გზა ციხის ძირას იმიტომ კი არ გაივლიდა, რომ სხვა უფრო მარჯვე მიმართულება არ მოიპოვებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამ გზის მიმართულება ასე იყო დადგენილი და სხვა მიმართულებით სვლა ამ ქვეყანაში არ შეიძლებოდა: ციხე პოლიტიკური ხელისუფლების განსაზღვრება იყო და მისი ნება ამ ქვეყანაში კანონი იყო“... (გვ. 255).

მაგრამ ციხე-სიმაგრე მხოლოდ გზასთან დაკავშირებული კი არ იყო და მხოლოდ ესა თუ ის გზა (ზოგჯერ—„ცხვრის გზა“, იხ. გვ. 365) კი არ განსაზღვრავდა მის მნიშვნელობას, არამედ ხშირად ამა თუ იმ ტომთა საზღვრებზე მდებარეობაც (გვ. 358, შენ. 12). მაგრამ, რაც მთავარია, ციხე (ციხე-კოშკი) ყოველთვის დაკავშირებული იყო მის გარშემო მდებარე მიწა-წყალთან. „ციხე-კოშკი ახლობელი ოქის ადმინისტრაციული ცენტრი იყო“ (გვ. 41).

საბოლოოდ, ციხე-სიმაგრის, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული კატეგორიის, შესახებ აზრი უფრო გვიან ამგვარადაა ფორმულირებული: „ციხე, ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისკენ ეწეოდა: ამა თუ იმ ციხის „შემავალ“ ქვეყანაში გამველი, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუქცევდა ამ ციხეს, ხოლო მთელი საქართველო ხომ გარკვეულ დროს ასეთ საციხისთაო ტერიტორიული ერთეულებისაგან შედგებოდა“... (გვ. 307).

ციხე-სიმაგრეების, როგორც სოციალური მოვლენის, შესანიშნავი ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზია მოცემული „ცხუმის ციხისა“ („ბაგრატის ციხისა“) და „სოხუმის ციხისა“ („სოხუმ-კალე“) ურთიერთმიმართების განხილვის დროს (გვ. გვ. 295—298). ამავე დროს და ამასთან კავშირში გაანალიზებულია ზღვისპირა ზოლის ისტორიული გეოგრაფიის ერთი საკითხი, კერძოდ, ძველი ანტიკური ზღვისპირა ქალაქების მოშლისა და ეკონომიური ცენტრის ქვეყნის შიგნით გადატანის საკითხი. ამ პროცესის „ნიადაგზე წარმოიშვებოდა ქალაქები ქვეყნის შიგნით... ასე რომ ამ საზღვისპირო ციხე-ქალაქების

მოშლა ნიშანია არა ქვეყნის დაცემის, არამედ მისი ეკონომიური და პოლიტიკური შემდგომი დაწინაურებისა“ (გვ. 295). ნორმალური განვითარების პირობებში ამ საზღვისპირო ქალაქებს, რომელთა დაცემა-დაქვეითება საზღვო ვაჭრობის მნიშვნელობის დაცემით იყო გაპირობებული (გვ. 296), უნდა აღედგინათ ეკონომიური მნიშვნელობა ბურჟუაზიული ურთიერთობის შემოსვლის შემდეგ და ეს ასეც მოხდა (გვ. გვ. 297—298), მაგრამ თუკი ასეთ მოვლენას ნაწილობრივ ადგილი ჰქონდა გვიან ფეოდალურ ხანაშიც, ეს იმიტომ, რომ „საზღვისპირო ძველი ქალაქები აღდგა, როგორც ციხე-სიმაგრეები, ოსმალთა ბატონობის დასაყრდენი: ბათომი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, გოლუვინკა (რა ერქვა?), სუჯუკი და სხვ.“ (გვ. 296).

საზღვისპირო ქალაქებს გარდა, ნ. ბერძენიშვილი სვამს საკითხს ტომთა საზღვრებზე თუ თემის კიდურებზე წარმოქმნილი ქალაქების რაობის შესახებ (გვ. 18), აგრეთვე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქთა განვითარების განსხვავების შესახებ საშუალო საუკუნეებში (გვ. 20), მთისა და ბარის დამაკავშირებელი ქალაქების შესახებ (გვ. 561) და საერთოდ შუასაუკუნეთა ქალაქების კლასიფიკაციის შესახებ: ციხე-ქალაქი, დაბა-ქალაქი, დედა-ქალაქი, სამეფო ქალაქი, საბატონო ქალაქი და სხვ. (გვ. 144).

ჯავახეთში 1933 წ-ის ექსპედიციის დღიურში იგი ყურადღებას ამახვილებს დაბა-ქალაქებზე (ბარალეთი, გოკია), რომლებიც „უმთავრესად წარმოსობილი იყვნენ გარშემო ოლქის მომსახურების საჭიროებისათვის ვაჭრობისა და ხელოსნობის მხრით. ასეთი ქალაქების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ისინი არ წარმოადგენენ ოლქის პოლიტიკურ ან ადმინისტრაციულ ცენტრს. ჩვეულებრივ ისინი უციხო, უგალავნო არიან. ეს დაბა-ქალაქები, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ გზებით სხვა ქალაქებს და ქვეყნებს უკავშირდებიან. მაგრამ ამ ქალაქების როგორც წარმოშობა, ისე არსებობა-კეთილდღეობა აგრერიგად ამ გზებზე არ არის დამოკიდებული, როგორც ზოგიერთ სხვა ქალაქების ამავე ეპოქაში“ (გვ. 144).

განსაკუთრებით საინტერესოა ქალაქების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით ნ. ბერძენიშვილის „ძველი ტფილისის ტოპონიმიკიდან (ავარანი)“, საცა დაყენებულია საკითხი ქალაქების ისტორიის, მათი წარმოშობის, ზრდის თუ დაცემის შესწავლისა მათი „ავარაბების“, „ქალაქის პირის სოფლების“ ისტორიასთან კავშირში. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფეოდალურ ქალაქზე კი არ ვრცელდება, არამედ აუცილებელია ანტიკური ხანის ქალაქების ისტორიის შესწავლისათვისაც, კერძოდ კი, ძველი მცხეთის ისტორიის კვლევისათვისაც (გვ. 317—8, შენ. 37).

ამგვარი საკითხების ძიებისას სხვასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმიკურ მონაცემებსაც. ეს უკანასკნელი საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ, მოსახლეობის მიგრაციის შესახებ, კერძოდ, იგი მნიშვნელოვანია მთისა და ბარის ურთიერთობის გარკვევისათვის.

„მთისა და ბარის ურთიერთობა საქართველოს ისტორიის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია“ (გვ. 241). ამ საკითხისათვის ნ. ბერძენიშვილს ყურადღება მიუქცევია ჯერ კიდევ ივრის ხეობაში მივლანების დროს (1935 წ.), როდესაც აღნიშნავდა, რომ კახეთის წარმოქმნის რთულ ისტორიულ პროცესში „მთისა და ბარის, ველისა და ზეგანის სამეურნეო და სოციალურ სისტემათა კიდილი (და ამ ნიადაგზე თემობრივი ბრძოლის კლასობრივ ბრძოლად გადაზრდა)“ დიდი მნიშვნელობის პრობლემაა (გვ. 175). იგი მიუთითებდა თია-

ხეთის განსაკუთრებულ ადგილს კახეთის ისტორიაში (გვ. 179) მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სწორედ იმ ასპექტით, როგორცაც უკვე ვახუშტი ბატონიშვილი ახასიათებდა მას, მაგრამ რამდენადაც „გეოგრაფიული მდებარეობა ისტორიული კატეგორიაა“, ამდენად საწარმოო ძალთა და საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად იცვლება გეოგრაფიული გარემოს შინაარსიც: „მეურნეობის განვითარების გარკვეულს პირობებში მთა ბატონობს ბარზე, ხოლო იცვლება ეს პირობები და პირუტყუ მოვლენას აქვს ადგილი“ (გვ. 183).

ამ აზრს კიდევ უფრო აღრმავებს ნ. ბერძენიშვილი ბორჯომის ხეობაში შოგვაურობის დროს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას კვლავ ზეგნებს აქცევს (შდრ. ზემოთ, თიანეთი), როგორც მთისა და ბარის მეურნეობის დაახლოების სარბიელს: „ზეგანით ახერხებს ბარი მთიანეთზე გავლენას. ზეგანიოვე ეზიარება მთა ბარის ურთიერთობას“ (გვ. 241). სწორედ ამის გამოა, რომ ამ ცხოველი ურთიერთობის გეოგრაფიულ ზონაში წარმოიქმნება ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრები, როგორცაა შუა საუკუნეებში „კაკი და ბელაქანი, ლავოდესი და შილდა, თიანეთი და ქინვანი, ახალგორი, მეჯვრისხევი, ცხინვალი, ონი და ლაილაში“ (გვ. 242).

ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებზე დაკვირვებამ ნ. ბერძენიშვილი, ამ მხრივ, უაღრესად მნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა. მისი აზრით, კავკასიის მთისა და ბარის ურთიერთდამოკიდებულება ორ დიდ ეპოქად იყოფა: პირველი, როდესაც ძლიერი მთა უტევს სუსტ ბარს და ეს გაპირობებულია ორივე მხარის საზოგადოებრივი წყობის სიმტკიცის ხარისხით. მეორე, როდესაც სახელმწიფოდ ორგანიზებული ბარი ახერხებს მთის დამორჩილებას. „გახტანგ გორგასალი“ კონდენსირებული „ბარია“ და ეპოქალური ჩვენებაა მთის შემოტევის დასასრულისა“ (გვ. 241). მთის შემოტევა ამიერიდანაც ვრცელდებოდა, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა; მთის მოსასლეობის ბარად ჩამოსვლა ამიერიდანაც ხდებოდა, მაგრამ შეიცვალა ამ პროცესის სახე: მთიელები ჩამოდან არა როგორც დამპყრობლები, არამედ—როგორც „მებეგრეები“ და თანდათან ბარის სოციალური ურთიერთობის კანონებისა ევალად „ეს მთიელები მთიელობასთან ერთად კარგვენ თავიანთ ეთნიკურ სახეს, ქართველგლებიან“ (გვ. 242).

ამგვარადაა დასმული ნ. ბერძენიშვილის მიერ საქართველოს ისტორიის ეს ერთ-ერთი კარდინალური საკითხი და ეს არა მარტო ისტორიული წყაროების, ტოპონომიკური მასალის, თუ ეთნოგრაფიული მონაცემების ღრმა ანალიზის საფუძველზე, არამედ სწორედ ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებების საფუძველზე; ამის აშკარა მოწმობაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ამგვარი საკითხები წამოჭრილია ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციებისა თუ მოგზაურობების დროს.

მთიელთა ბარში ჩამოსახლების პროცესი შედარებით კარგადაა ცნობილი და იგი ახლაც ვრცელდება. საინტერესოა პირუტყუ პროცესი, რომლის შესახებ ტოპონომიკური და სხვა მონაცემების საფუძველზე ფრიად მნიშვნელოვანი სავაულოდ მოსაზრება გამოთქვა ნ. ბერძენიშვილმა იმავე, 1947 წელს.

ქციის სათავეების ე. წ. „ნარიანის“ (მდლმთიანი სიძვრების ტერიტორია თრიალეთსა, ჭავჭავთსა და თორს შორის). მოხილვისას აქა-იქ შეიმჩნეოდა ნასოფლარები, რომელთაგან ზოგი მაინც, ავტორის ვარაუდით, „ზაფხულის-

საჯდომია“, მაგრამ არა მხოლოდ დღევანდელი აგარაკის მნიშვნელობით (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, „აგარა—სადგომი საზაფხულო“), არამედ თურქულ-თათრული ძაილალის მნიშვნელობითაც მისი აზრით, „ზაფხულის საჯდომი“—ძველი საქართველოს მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის დაკავშირებულია მეურნეობის განვითარების გარკვეულ მომენტებთან და მთისა და ბარის ურთიერთობის მატერიალური გამოსახულებაა“ (გვ. 219).

სავარაუდებელია, რომ ბარის მიერ მთის ათვისების პროცესში, გარკვეული პერიოდიდან ბარის სოფელი ზაფხულის სეზონში მთაში სამეურნეო საქმიანობისათვის იჩენს ამგვარ „ზაფხულის საჯდომს“, საცა მისი მოსახლეობის ნაწილი მაინც აღიარდა საცხოვრებლად. მოსახლეობას, ბუნებრივია, თავისი სოფლის სახელიც აჰქონდა მთაში, და რადგან ზოგიერთი ასეთი „ზაფხულის საჯდომი“ მუდმივ სამოსახლოდ იქცეოდა, ამდენად მთაში იქმნებოდა ახალი სოფელი, დასახლებული ბარელებით, რომელთაც სახელთან ერთად ბარიდან თავისივე ტრადიციები ამოჰქონდათ. „ჩვენი ნათქვამის ცოცხალი მოწმობანია დღევანდელი ორი ორჯა. ორი ხანდო, ორი კოთელია. ორი ხარენია, ორი კულიყამი, ორი ხულგუმო და სხვ.“ (გვ. 219, აღნიშნული სოფლები ჯავახეთის ტერიტორიაზეა).

როგორც იქვე აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, ტოპონიმთა ასეთი განმეორება, რა თქმა უნდა, ყოველთვის ამ მოვლენით, მთისა და ბარის ურთიერთობით, არ აიხსნება. კერძოდ, ასეთივე მოვლენა შეიძლება გამოწვეული იქნეს საერთოდ მოსახლეობის მიგრაციის შედეგად, რომლის ერთ-ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი და სპეციფიკური მხარეა მთიელთა ზემოხსენებული ჩამოსახლება ბარში.

მეორე მხრივ, ისეთი ეთნოგრაფიული მოვლენა, როგორცაა ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობის ან ამა თუ იმ გვარის სიარული სალოცავად რომელიმე ნიშნულსალოცავთან, აგრეთვე, ფრიალ დიდი მნიშვნელობისაა ამ რიგის მოვლენების დასადასტურებლად: „მოსახლეობის მოძრაობის სურათის ძებნა ძირი-ხატით ყველაზე საიმედო ხერხია და ეს ხერხი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, სანამ გვიან არ არის“ (გვ. 295).

ამ მოვლენის, მოსახლეობის მიგრაციის, მეცნიერული შესწავლა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი, კარდინალური საკითხთაგანია, კერძოდ, ქართველი ხალხის ეთნოგენეზის გარკვევისათვის: „მოსახლეობის მოძრაობა, მოსახლეობის ტერიტორიული ადგილმონაცვლეობა ყოველი საზოგადოების ეთნიკური სახის დადგენის, მისი ეთნიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მომენტია“ (გვ. 236).

საშუალო საუკუნეებში ქართველი გლეხი, ქართველი მიწის მუშა ხშირად იცვლის ადგილს, იხიზნება უკეთესი მიწის, უკეთესი პატრონის (ფეოდალის) ან მტრისაგან მშვიდობის მოპოვების მიზნით. ამ მოძრაობის ფაქტების ბუნებაზე დაკვირვება და მათი ღრმა შესწავლა ცხადყოფს, რომ „ამ მოვლენის მთავარ შემოქმედად კლასთა ბრძოლა“ უნდა ვიღიაროთ (გვ. 237).

ამ თვალსაზრისის შედეგად სრულიად ნათელი და გასაგები ხდება ქართული ისტორიული წყაროებისა თუ დოკუმენტების სათანადო მოწმობათა მთელი რიგი, რომლებიც საშუალო საუკუნეების მანძილზე საკმაო რაოდენობის ცნობებს შეიცავენ საქართველოს ამა თუ იმ მხარის ახლად დასახლებაზე.

მოახალშენებოზე, რაც ხან სტიქიურად ხდებდა, ხან სახელმწიფოს შეგნებული ჩარევით. მაგრამ ფეოდალური საქართველოს ქვარმთებელი მოსახლეობის გადმობირება-გადმოსახლება ფეოდალების მიერ ხდებოდა არა მხოლოდ ქართველი მოსახლეობის ხარჯზე, არამედ ეთნიკურად უცხო ან მონათესავე მოსახლეობის ხარჯზეც. გვიანფეოდალური საქართველოსათვის ასეთი მოწმობანი საკმაოა: მოჰყავდათ ლეკები, ქისტები, ოსები, ჩერქეზები, სომხები, ბერძნები, ელის თათრები (გვ. 238). უფრო აღრეული ხანისათვის საამისო მაგალითად დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ყოჩაყებისა და სომხების გადმოსახლებაც საკმარისია.

საამისო საბუთები მრავლად მოიპოვება არა მარტო წერილობით დოკუმენტებში ან ტოპონიმიკურ მასალებში, არამედ მათი მოძიება შეიძლება ეთნონიმიკაშიც: „საკმაოა ჩაუკვირდეს ადამიანი სატომო სახელებით ან სადაურობის მაჩვენებელი სუფიქსით ნაწარმოებ ქართველ გლეხთა გვარებს (ქართველი, იმერელი, მეგრელი, ჯიქი, ჩერქეზი, ჩაჩი, ჩაჩანი, სანიკი, სანი, ჭანი, ალანი, ოსი, დვალი, თუში, კახი, სოჯი, ჰერი, მესხი, ჯავახი, სომეხი, არაბი, ხაზარი, ყოჩაყი, თათარი, ბერძენი და სხვ.) და თვალწინ ცოცხლად წარმოდგება ეს დიდი მწაშენელობის ისტორიული მოვლენა და მისი მარადმოქმედი მთავარი ფაქტორი— პერმანენტული კლასთა ბრძოლა“ (გვ. 238).

მთელი ეს რთული, ხანგრძლივი და მრავალმხრივი პროცესი მიმდინარეობდა ერთი ნიშნით, რომელსაც ავტორი უწოდებს „დიდი მწიშენელობის ფაქტს: იმისდა მიუხედავად, რომ საუკუნეთა მანძილზე ამა თუ იმ მხარის ეთნიკური შედგენილობა თანდათან იცვლება, მოსული ელემენტი დამხვდურის კულტურას ეზიარება, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებლად იქცევა, ე. ი. აბორიგენი ხდება“ (გვ. 239).

სხვადასხვა რიგის ისტორიული წყაროების ჩვენებები, ისტორიულ-გეოგრაფიული დაკვირვებანი და ტოპონიმიკურ-ეთნონიმიკურა მასალის ანალიზი საშუალებას აძლევს ავტორს, დაადგინოს, რომ მოსახლეობის ზემოაღნიშნული მავრაცია წინაკლასობრივი საზოგადოების წიაღშიაც ხდებოდა და კლასობრივ საზოგადოებასთან შედარებით ადგილმონაცვლეობის ეს პროცესი არსებითად განსხვავდებოდა (გვ. 240). ასე რომ თავისთავად ამ მოვლენის წყარო კლასთა ბრძოლა არ ყოფილა, მაგრამ ეს უკანასკნელი კლასობრივ საზოგადოებაში წარმოადგენდა მიგრაციული პროცესების მთავარ წყაროს.

ამგვარად ნათელი უნდა იყოს დასკვნა, რომ „ყოველ ხანაში ამა თუ იმ საზოგადოების ეთნიკური განვითარების სახე მისი საზოგადოებრივი განვითარების შესაფერი ისია. როგორც ყოველი ისტორიული კატეგორია, კლასობრივი ურთიერთობის ხანის საქართველოს ეთნიკური განვითარების სახე მუდმივ ცვლილებას განიცდის და ამ ცვლილების უმთავრესი საფუძველი არის კლასთა ბრძოლა“ (გვ. 245, ხაზგასმა ავტორისა).

ამის შემდეგ სრულიად ცხადი უნდა იყოს ის ცრუმეცნიერული და აბსურდული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ქართველი ხალხის ეთნიკური სახე (და არა მხოლოდ ქართველი, არამედ, რომელიც გნებავთ, ხალხის ეთნიკური სახე) შეუტრეველი „წმინდა“, იმთავითვე მოცემული არსებობდა და ასეთად დარჩა საუკუნეთა მანძილზე. „ზოგი ვინმე,—წერს ნ. ბერძენიშვილი,—კეთილშობილი

პატრიოტული მოსახრებით“ იმთავითვე ერთიან „წმინდა ქართულ“ მოსახლეობას ვარაუდობს აწინდელი კახეთის ბარსა თუ მთიანეთში. ამავე დროს კახეთის ტოპონიმის შესწავლა სარწმუნო მასალას უხვად მოგვცემდა ასეთი საკითხების გასათვალისწინებლად“ (გვ. 356). ეს, რა თქმა უნდა, ითქმის საქართველოს სხვა კუთხეებზედაც (გვ. 239); ეს გარემოება აღნიშნული ჰქონდა აკად. ივ. ჯავახიშვილს (იხ. მისი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, 1950, გვ. გვ. 49—55; 227—252).

საქართველოს მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა კიდევ ერთ საკითხს აყენებს. ეს არის მოსახლეობის რაოდენობის საკითხი ამა თუ იმ ხანაში. მაგალითად, ჯავახეთში 1933 წ. სავლელ სამუშაოების დროს აღნუსხული მიტოვებული სოფლების რიცხვმა ნ. ბერძენიშვილი ასეთ დასკვნამდე ჰიყვანა: „ჩვენ მიერ ნაწარმოები სახელდახელო დაკვირვება ვერანაებზე და აწინდელ ცოცხალ სოფელთა რიცხვის გათვალისწინება უფლებას გვაძლევს ძველი ჯავახეთის მოსახლეობა უფრო მცირერიცხოვანი არ ვივარაუდოთ, ვიდრე ის არის დღეს“ (გვ. 165—6).

ეს მნიშვნელოვანი დასკვნა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხასიათის საკითხებს აყენებს—კერძოდ, როდის იყო მოსახლეობის ასეთი სიმრავლე და მეურნეობის რა პირობები იყო ამისათვის საჭირო?

წინააღმდეგ საქართველოს სხვა მხარეებისა, ჯავახეთში მეხორბლეობა, რომელსაც ახლა მისდევენ, ნაადრევი ხშირი ყინვების გამო არარენტაბელურია. სამაგიეროდ მეტად უხვ მოსავალს იძლევა სამესაქონლეო ბალახი და. ამდენად აქ მესაქონლეობა ფრიალ ხელსაყრელია. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „მოსახლეობის ის სიმრავლე, რომელიც აწ არსებული, თუ ვერანა სოფლების გათვალისწინებით ივარაუდება, შეუძლებელია ასეთ არარენტაბელურ მეურნეობის (მეხორბლეობის, დ. მ.) პირობებში შექმნილიყო და არსებულიყო. ამასვე გულისხმობდა საქართველოს სამეურნეო და ეკონომიური მთლიანობა მისი ფეოდალური განვითარების უძლიერეს ხანაში. მსხვილი და წვრილფეხა საქონელი (მუშასაქონელი, ხორცი, მატყლი, ტყავი, რძის ნაწარმი), სელი (—ზეთი, თაფლი (—თაფლი, სანთელი), შინაური ფრინველი და თევზი, ქერი იყო ჯავახეთის მოსახლეობის დოვლათი, რაის გარდანამატსაც ის სააღებშიცემო საგნად აქცევდა საქართველოს სხვა კუთხეებთან, რომელნიც მას საჭირო სახმარით (პურ-რი, ღვინო, მარილი, ფარჩეული, ხილი) ამარაგებდნენ“ (გვ. 104). ასეთი იყო ვითარება ფეოდალური საქართველოს აღმავლობის ხანაში (XIII ს-მდე). ეს არის საწარმოო ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპის, ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვების ხანა. ამ ნიადაგზე აღმოცენებული ფეოდალურ-პარტიკულარისტული ტენდენციები, რომლებიც განავითარა ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ (მონღოლთა ბატონობა, ბიზანტია-სპარსეთზე მიმავალი სავაჭრო გზების მნიშვნელობის შესუსტება), გახდა მიზეზი საქართველოს სუსტი სამეურნეო მთლიანობის მოშლისა და ფეოდალური კარჩაეცილი ნატურალური მეურნეობის განვითარებისა. სავაჭრო გაცვლა-გამოცვლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის შესუსტდა ან, საბოლოოდ თითქმის შეწყდა. ამისდაკვალად ჯავახეთის მეურნეობა უნდა შეცვლილიყო, „არახელსაყრელად შექმნილ მესაქონლეობისა და სელის წარმოების ხარჯზე პურეულის თესვა გაეძლიერებინა, რაც ჯავახეთის პირობებში სამეურნეო რვერესს მოასწავებდა და

საბოლოო ანგარიშით ძველი მოსახლეობის საგრძნობ შემცირებას გულისხმობდა“ (გვ. 104). გამრავლდა ნაოხარი, უკაცრიელი, პარტახი, ვერანა, ხარაბა და ეს მოვლენა სრულიადაც არ იყო მხოლოდ გარეშე მტრის შემოსევების შედეგი (გვ. 168). ეს ზემოაღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, მთელი საქართველოს მეურნეობისათვის მეტად საზიანო იყო, რადგან „ამიერიდან ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეობა, რომლის საზაფხულო საძოვრებს სწორედ ეს მხარეები წარმოადგენენ“ (გვ. 169).

ეს ნათელი სურათი მხარის ისტორიული წარსულისა (ეთნიკური და ეკონომიური გეოგრაფიისა), შექმნილი საველე დაკვირვებების შედეგად, რატომ უნდა, მხოლოდ ჭავჭავთის სპეციფიკას არ წარმოადგენს და მისი წარმოჩენა საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც სავესებით შესაძლებელია (შდრ. მაგ. თორი, გვ. გვ. 217, 253—4).

საქართველოს მოსახლეობის მიახლოებითი რაოდენობისა, უფრო სწორად, სიხშირის შესახებ მსჯელობა ამჟამად შესაძლებელია არამარტო ფეოდალური ხანისათვის, არამედ წინაქალაქობრივი პერიოდისათვისაც კი. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა დაისვა და მისი მეტ-ნაკლებად სისრულით და ნათლად წარმოდგენა შესაძლებელი გახდა კვლავ ისტორიულ-გეოგრაფიული საველე ძიების შედეგად.

1953 წ. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვითი ექსპედიცია გარეკახეთში. ისეთი რიგის არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენამ, როგორცაა კულტურული ფენების ანუ ადამიანის მიერ თავის ძველ ნასადგომეზე ცხოვრების შედეგად დატოვებული ნაშთების (ქვის იარაღები, კერამიკული ნატეხები, ლითონის იარაღ-სამკაული, ორგანული ნაშთები, ნაცარ-ნაცეცხლურები და სხვ.) შემცველი მიწის შრეების მქონე ბორცვების, „გორების“ მრავლად დადასტურებამ სალუძველი მისცა ნ. ბერძენიშვილს აეღო სწორი გუშმანი მათი ბუნების შესახებ. აი, რას წერს იგი თავის დღიურში ამის შესახებ: ექსპედიციის წევრებმა სოფ. პატარძულში კიდევ ერთ ასეთ ბორცვს, რომელსაც ადგილობრივი „მხარაკიანთ გორას“ უწოდებენ, მიაკვლიეს და „სწორედ აქ, პატარძულში, მხარაკიანთ გორაზე მოხდა აქამდე მოპოვებულ ამ რიგის ფაქტთა პირველი განზოგადება... იშვა თეორიული ხასიათის მოსაზრება, რომ ეს ნატეხტარ-გორაები საზოგადოების პირველი საცხოვრისებია (რა თქმა უნდა, „პირველსაცხოვრისი“ აქ პირობითი, შედარებითი გამოთქმაა)“ (გვ. 383).

რომ სწორად შევაფასოთ ამ ფაქტის მნიშვნელობა, უნდა აღვნიშნოთ: ამგვარი არქეოლოგიური ძეგლები („გორები“, „ნაცარგორები“) მანამდეც არქეოლოგებს არა ერთი შეუნიშნავთ, მაგრამ ისინი ძირითადად მიჩნეული იყო „საკულტო ბორცვებად“ ანდა კიდევაც ყორღანებად (სამარტაბედი). ნ. ბერძენიშვილის აზრით, როგორც ვნახეთ, ეს ძეგლები ძირითადად ადამიანის „პირველსაცხოვრისებია“ და თუკი ისინი დროთა ვითარებაში საკულტო ან სხვა რაიმე შინაარსს იძენენ, ეს საზოგადოების თანდათანობითი განვითარების შედეგია და შედარებით გვიანდელი მოვლენაა. მაგრამ ამა თუ იმ „გორის“ ასეთი მეტამორფოზი თავისთავად სწორედ იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ იგი ამ საზოგადოების „პირველსაცხოვრისია“ (გვ. 385). გარკვეული დროიდან ადამიანი ტოვებს ამ თავის „პირველსაცხოვრისს“ — საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ეს დიდი ტეხილია. „ამიერიდან საცხოვრისად ადამიანმა გორის ძირი, ან მისი შორიახლო ადგილი შეარჩია, გორა კი სპეციალური დანიშნულების საზოგადო ადგილად დარჩა: სალოცველ ადგილად. უკეთ. საკურთ-

ხეველ-სამსხვერპლოდ და ამ ცერემონიასთან დაკავშირებულ რიტუალის აღ-
 გილად (როკვა). სხვაგან კიდევ, საამისო საზოგადოებრივსა და ბუნებრივ ხელ-
 საყრელ პირობებში, ასეთი გორაები ციხე-ქალაქებად (ციხე-გალავენებად) იქცე-
 ნენ და დაბლა, გორისძირას, ან მისგან შორიახლო განსახლებულ მცხოვრებთა
 თავდასაცვა ადგილებად—დედაციხედ“ (გვ. 386—387)

ამგვარად, ნ. ბერძენიშვილის მთავარი დამსახურება
 აქ ის არის, რომ მან ამ არქეოლოგიურ მოვლენაში
 („გორები“, „ნატახტრები“, „ნაცარგორები“) სოციალური შინაარსი
 ჩასდო, ამ არქეოლოგიური ძეგლების, როგორც სო-
 ციალური მოვლენის, საკითხი დასვა. ეს კი, გაუზვიადებლად
 შეიძლება ითქვას, ჩვენს სინამდვილეში, ნამდვილი აღმოჩენა!

1953 წ-ის შემდეგ წარმოებულმა ისტორიულ-გეოგრაფიულმა დაზვერ-
 ვითმა ექსპედიციებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (შიდა ქართლში,
 ქვემო ქართლში, დას. საქართველოში, სვანეთში) და არქეოლოგიურმა გათხ-
 რებმა სავსებით დაადასტურა სავლელ ისტორიულ-გეოგრაფიული ძიების შედე-
 გადვე წამოჭრილი ეს თეორიული მოსაზრება (რა თქმა უნდა, მისი დაზუსტება
 დეტალურად და გაღრმავება—დასაბუთება მომავალი ინტენსიური კვლევის საქ-
 მება). საქართველოს მთელი ტერიტორია მოფენილი აღმოჩნდა ამგვარი „გორე-
 ბით“ და დღეს ეს თვალსაზრისი, როგორც თეორიულ-კონკრეტული ჰიპოთეზი
 საყოველთაოდ აღიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში: ნ. ბერძენიშვილისავე
 თქმით, ტერმინ „გორას“ სტუდენტთა სავარჯიშოშიც შეხვდებით, არქეოლოგთ.
 თუ ისტორიკოსთა სამეცნიერო სტატია-წერილებში, ისტორიის თუ არქეო-
 ლოგიის სახელმძღვანელოებშიც“ (გვ. 409, შენ. 25).

თვით ეს ტერმინიც—„გორა“—ზემოხსენებული სოციალური მოვლენის
 აღსანიშნავად ნ. ბერძენიშვილისავე შემოღებულია და ამასაც თავისი საფუძვე-
 ლი აქვს.

აქ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას, რომელიც დღემდე
 იწვევს, ჩვენი აზრით, უსაფუძვლო გაუგებრობას სპეციალისტ არქეოლოგთა
 თუ ისტორიკოსთა შორის: არა ერთგან საქართველოში დადასტურდა უძველესი
 სამოსახლო ადამიანისა, რომელიც არ არის ბორცზე ე. ი. გეომორფოლო-
 გიურ გორაზე მოთავსებული. ამას გარდა არა ერთი ასეთივე სამოსახლო იქნა
 დადასტურებული, მაგალითად, ანტიკურ ხანაში, რომელიც ბორცზეა, ე. ი. გე-
 ომორფოლოგიურ გორაზეა განლაგებული. კიდევ მეტი: არა ერთი ფეოდალურ
 ხანის ნასოფლარი და არა ერთი დღევანდელი სოფელი შეიძლება
 დავასახლოთ, რომლებიც აგრეთვე, ბორცზე მდებარეობენ. ეს იძლევა თით-
 ქოს იმის საფუძველს, რომ ჩვენ ტერმინი „გორა“ არ მივიჩნით უძველეს სა-
 მოსახლოთა (ბრინჯაოს ხანის სამოსახლოთა) აღსანიშნავ შესაფერის ტერმინად.
 ეს ეჭვი, კვიკრობთ, უსაფუძვლოა და დამყარებულია იმ წარმოდგენაზე, რო-
 მელიც ტერმინ „გორას“ მხოლოდ გეომორფოლოგიურ გორას—ბორცვს უკავ-
 შირებს. მაგრამ სხვაგვარად წარმოვიდგება საქმე თუ ტერმინში „გორა“ ჩვენ
 სოციალურ შინაარსს ჩავდებთ.

როგორც ცნობილია, ადამიანის საზოგადოების სოციალური ორგანიზაცია,
 გვარი, პალეოლითში ჩამოყალიბდა და ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის
 პირველსაცხოვრისი ბევრგან და მათ შორის საქართველოშიც უპირატესად გა-
 მოქვამული იყო. ბუნებრივია, თუ წარმოვიდგენთ, რომ ეს ორგანიზაცია (გვა-
 რი) გამოქვამულიდან გამოსვლის შემდეგ ასევე გვარად (სახლად) დასახლდა

ღია ცის ქვეშ. სწორედ ამ დროიდან სახლდება, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ადამიანის საზოგადოება „გვარებად“, „სახლებად“ ბუნებრივ ბორცვებზე, გორებზე (და აგრეთვე სხვა შესაფერის ადგილებშიც) „ასე რომ „გორა“ სოციალურად იგივე „სახლია“. ბუნებრივად ისმის საკითხი თვით ტერმინი „გორას“ ურთიერთობის შესახებ სოციალურ ტერმინ „გვართან“ და ჩვენ არ გვეჩვენება მიუღებლად ამ ტერმინების ურთიერთისაგან წარმომავლობა“ (გვ. 409, ნახვასმა ავტორისა).

ამ დროიდან ადამიანის მიერ სამოსახლოდ ამორჩეული ადგილი გაპირობებული უნდა ყოფილიყო ძირითადად ორი ფაქტორით: მეურნეობისათვის ხელსაყრელი პირობებით (მიწა, წყალი, გზა) და თავდაცვისათვის მარჯვე მდებარეობით ე. ი. გასამაგრებლად ადვილ ტოპოპუნქტში. ბუნებრივი ბორცვი, გორაკი, გორა საამისოდ ხელსაყრელი იყო ისევე, როგორც ორი ხევის შეერთების ადგილზე წარმოქმნილი კონცხი, მდინარის ტერასი და ჭხვ.

ნ. ბერძენიშვილი წერს: „არაა საფიქრებელი (და სადღეისოდ ჩატარებული სამისოდ დაკვირვებანიც ამასვე მოწმობენ), რომ ნეოლით-ენეოლითის ხანის გვარები სულ ერთიანად გორა-ბორცვებზე ყოფილიყვნენ დაბინავებული.

სარწმუნოდ მხოლოდ ისაა, რომ ყველა ესენი, სადაც კი ბინადრობდნენ: ბორცვებზე, მთა-გორებზე, კუნძულებზე კარკანალ-ლოდოვანებში, დაუნებზე თუ დარან-გამოქვაბულებში რჩებოდნენ, ყოველგან და ყოველთვის „გორებად“ (სახლებად, გვარებად) იყვნენ მოწყობილი.

და თუ დღეს ამ პირველსაცხოვრისების ნაკვალევს ჩვენ გორა-ბორცვებზე ეპოულობთ, ეს მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ის პირველყოფილი საზოგადოება უპირატესად (და არა მხოლოდ) ასეთ ადგილებს ირჩევდა სამოსახლოდ“ (გვ. 410, შენ. 25).

ახლა ვფიქრობთ, საესებოთ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ შეიძლება ჩვენ „გორები“ ვუწოდოთ იმ უძველეს (ნეოლით-ბრინჯაოს ხანის) სამოსახლოებს მაშინაც კი, როდესაც ეს სამოსახლოები, ფაქტიურად, გორაზე, ბორცვზე არ მდებარეობენ და არ შეიძლება „გორები“ ვუწოდოთ ანტიკური ხანისა და უფრო გვიანდელ სამოსახლოებს, რომლებიც შესაძლებელია გორა-ბორცვებზე მდებარეობენ და შესაძლებელია ერთ გვარადაც კი სახლობენ (შდრ. დღევანდელი საქართველოს მთის სოფლები!): მას შემდეგ, რაც „გვარი“, როგორც სოციალური ორგანიზაცია დაირღვა და გადაშენდა, ძველი ნამოსახლარების—თუნდაც ბორცვებზე მდებარე—„გორაებად“ წოდება მიზანშეუწონელია.

ხოლო რაც შეეხება მაინცდამაინც ტერმინ „გორის“ ხმარებას და არა, მაგალითად, ბორცვისა ან სერისა და ა. შ. ეს გამართლებულია, სხვა არა იყოს, იმით, რომ თვით ხალხი ისეთ ბორცვებს, რომლებიც შეიცავენ კულტურულ ძეგლებს, „გორებს“ უწოდებს (შდრ. ნაცარგორა, ხოვლეგორა, ამირანის გორა, ავნევის „გორა“, „გორა“—ქუთაისში, „გორი“—ქალაქი და სხვა მრავალი)...

ამგვარად, „გორებად“ დასახლებას ნ. ბერძენიშვილი პირველყოფილ-თემურ ფორმაციას უკავშირებს უშუალოდ და მის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს: „ამრიგად, ჩვენ იმ კითხვის დასმით, თუ რა არის გორა სოციალურად, უუპასუხეთ მეორე კითხვაზე, თუ როდის ავიდა პირველყოფილი საზოგადოება გორა-ბორცვებზე საცხოვრებლად (ე. ი. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა გვარი, როგორც სოციალური ერთეული.—დ. მ.).

იგივე სოციოლოგიური თვალსაზრისი ჩვენ იმის საშუალებასაც გვაძლევს, რომ ზოგადად ვუპასუხოთ კითხვას, თუ როდის დატოვა საზოგადოებამ გორა,

როგორც საცხოვრისი. ეს მოვლენა დაკავშირებულია უღრმეს საზოგადოებრივ ძვრებთან, გვაროვნული წყობილებების რღვევისა და კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნის პროცესთან. ასეთი დასკვნის უფლებას გვაძლევს ზოგადი დაკვირვებანი აქამდე მოპოვებულ ფაქტებზე.

ამ მოვლენის კონკრეტული შესწავლა და მისი მეცნიერული გადაწყვეტა კი ჩვენი არქეოლოგიის მორიგი სადღეისო ამოცანაა“ (გვ. 410, შენ. 25).

მართლაც, დღევანდელი არქეოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ ზოგიერთი მხარე ამ თეორიული თვალსაზრისისა კონკრეტულად იქნეს წარმოჩენილი. ასე მაგალითად, ხოვლეგორის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადგინა, რომ აქ უძველესი სამოსახლო (ხოვლე VIII—VI) მხოლოდ გალავნით გამაგრებულ ბორცვზეა წარმოდგენილი, რომელზედაც იმ დროს, შესაძლებელია ერთი გარი ბინადრობდა. შემდეგ (ხოვლე V) ბორცვს ნასახლარი უჩნდება, ხოლო თვით ბორცვი საგანგებო თხრილით და დიდრონი ქვებით ნაგები გალავნით გამოყოფილია ნასოფლარისაგან და საკულტო-თავდაცვით ნაგებობად ქცეულა. ეს უკვე აშკარა მოწმობა უნდა იყოს აქ მობინადრე გვარის გარკვეული დიფერენციაციისა, რომელიც შემდგომ (ხოვლე IV—II) ყველა ნიშნით ღრმავდება.

შესაძლებელია, ჩვენ აქ გვეჩინდეს კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როდის და რატომ დატოვა მოსახლეობამ „გორები“, როგორც საცხოვრისი, მაშინ შეგვეძლებოდა კონკრეტულ-ქრონოლოგიურად გველაპარაკა ჩვენში პირველყოფილი-თემური წყობილების რღვევის დასაწყისისა და დასასრულზე.!

მეორე მხრივ სხვა გარემოებაცაა აღსანიშნავი: შიდა ქართლის 1955 წ. ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვითი ექსპედიციის (რომელსაც ნ. ბერძენიშვილისაგან მიზნად ჰქონდა დასახული, სწორედ უძველესი „გორები“ აღერიცხა) მიერ მოპოვებული მასალის დამუშავების შედეგად ჩვენში პირველად იქნა დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ „შიდა ქართლის უძველესი სამოსახლოების კულტურულ ფენებში ნაკლებ ინტენსიურობად, ზოგან კი სულ არ არის გამოვლენილი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის შესატყვისი ჰორიზონტები“ (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 192). შემდგომი ექსპედიციების მუშაობით ეს მოვლენა დადასტურდა სხვაგანაც. მაშინვე იყო აღნიშნული, რომ ეს ფაქტი დასტურდება არქეოლოგიურად ძიებ-ნაკლებად შესწავლილი სამოსახლო ბორცვების („გორების“) მონაცემებითაც („ნაცარგორა, ხიზანანთ გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა) და ახსნილი იყო იმ საკარაულო გარემოებით, რომ გარკვეული დროიდან აქ, ამ გორებზე ცხოვრება ნაკლებ ინტენსიური უნდა ყოფილიყო, რაც გულისხმობდა მოსახლეობისაგან მათ მთლიან ან ნაწილობრივ დაცლას (იქვე, გვ. 191). მიუხედავად იმისა, თუ რა ფაქტორებით იყო ეს გამოწვეული და რომელი იყო ძირითადი ამ ფაქტორებში.

შემდგომ, „გვიანი ბრინჯაოს ხანაში ხდება თითქოს სამოსახლო გორების „ხელახალი“ ინტენსიური ათვისება. ეს მოვლენაც, როგორც აღვნიშნეთ, ადგილობრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების ნიშანდობელი უნდა აიხსნას და, კერძოდ, მიწათმოქმედების მძლავრი განვითარებით“ (იქვე, გვ. 192).

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ შიდა ქართლში არქეოლოგიური თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუ ჩვენ ამ ათი წლის წინ მხოლოდ ამ ტერიტორიის დაზვერვების შედეგად და მხოლოდ სტალინის ნაცარგორის გათხრების მიხედვით შეგვეძლო გვემსჯელა, დღეს ამაზე მიგვითითებს სხვა ტერიტორიებზე წარმოებული დაზვერვები (ქვემო ქართლი) და კიდევ ოთხი „გორის“ („ხიზანანთ გორა“ და ქვატხელები ურბნისთან. გუდაბერტყა—გორთან, ხოვლეგორა—სოფ. გრაკალთან) გათხრების შედეგები. ამდენად, დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა—ქართოლოგიური ლაქუნა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე, „გორებზე“, დაწყებული ადრეული ბრინჯაოს რომელიღაც ეტაპიდან, ვიდრე გვიანი ბრინჯაოს ხანის უშუალო დასაწყისამდე—ფაქტია. განსაკუთრებით საინტერესოა ამ კონტექსტში განათხარი „გორების“ დოკუმენტაცია, რომელიც მოწმობს, რომ ისინი დროის ამ მონაკვეთზე მოსახლეობის აგან მთლიანად დაკლილნი და სავსებით აუთვისებელი უოფილან. ამ მოვლენის ყოველგვარი ასხნა მეტ-ნაკლებად გონივრული ჰიპოთეზის ფარგლებში დარჩება იქამდე, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე (მთაში, ბარში თუ ზეგანზე) დანამდვილებით არ იქნება დადგენილი ბარში ამ ქრონოლოგიური ლაქუნის შესატყვისი სამოსახლობი (ან თუნდაც სამაროვნები). რომელითა არქეოლოგიური კულტურა ამავე დროს დააკავშირებდა ზემოხსენებულ „გორების“ უძველეს („ენეოლითურ“ თუ „ადრეული ბრინჯაოს“) კულტურას იმავე „გორების“ გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი ჩვენ აქ, ამ ორი ეტაპის მტკიცედ შემაკავშირებელ რგოლს თუ რგოლებს დამაჯერებლად ვერ შევიცნობდით, მაშინ ზემოხსენებული მოვლენის გავრცელების ტერიტორიაზე მოსახლეობის მთლიანი შეცვლა უნდა გვევარაუდა და, რა თქმა უნდა, ერთიან სამეურნეო და სოციალურ განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა.

აი, ამის გადაწყვეტა არის უძველესი ხანის ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი მორიგი პირველხარისხოვანი ამოცანა, „გორების“, როგორც სოციალური მოვლენის. ნ. ბერძენიშვილისეული თეორიული თვალსაზრისის ფონზე. თვით ამ თეორიულ თვალსაზრისს კი მაშინვე ხელშესახები პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვა: გამომდინარე „გორების“ შესახებ თავისი სოციოლოგიური კონცეფციიდან, კერძოდ კი, ამ კონცეფციის თვალსაზრისიდან, რომ გვიანდელი დაბა-სოფლები, საღუთავები თუ ციხე-ქალაქები წარმოადგენენ ძველი „გორების“ ტრანსფორმაციას, გააირობებულს ზოგადად მეურნეობრივი, სოციალური და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკურ-ლოკალური ფაქტორებით. ნ. ბერძენიშვილმა იმავე 1953 წელს აღმოაჩინა მცხეთის უძველესი სამოსახლო, მცხეთა გორა (გვ. 400—404). აგრეთვე, იმავე ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით გამახვილებულ ინტუიციას უნდა ვუმაძღლოდეთ, რომ უფრო გვიან (1961 წ.) ნ. ბერძენიშვილმავე მიაგნო მცხეთის მიდამოებში „მთა ქართლს“, რომელიც ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით, წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრიობის უძველეს ცენტრს. აქ წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ადრეფეოდალური ხანის შენანიშნავი ციხე-სიმაგრე და სხვა სამეურნეო ნაგებობები და აგრეთვე, მიაკვლია გლინისტური ხანის კულტურულ ფენას. ასეთივე მოსაზრებებით იქნა დაწყებული არქეოლოგიური გათხრები სოფ. გურიანთაში, საცა ნ. ბერძენიშვილს

გურიის თავდაპირველი ცენტრი ეგულებოდა (გვ. 340, შენ. 17), და ქალეთში, რომელიც ისტორიული წყაროების ანალიზისა და სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით მის მიერვე თავდაპირველი კახეთის ცენტრად წარმოდგინებოდა. პირველგან, დაზვერვების შედეგად, მიგნებული იქნა ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანების დასახლების, ხოლო მეორეგან—„ენეოლითური“ ხანის სამოსახლოს ნაშთები. ამგვარად, ნ. ბერძენიშვილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დღეს, ჩვენთვის ნათელია, მაგალითად, რომ მცხეთა და თბილისი, კასპი და უფლისციხე, ვანი და რუსთავი, სურამი და გორი, ურბნისი და აღჯაყალა, ხუნანი, სამშვილდე და ყველა ძველი ქალაქი თავდაპირველად „გორა“ იყო“ (გვ. 363). საკითხის მნიშვნელობა თავისთავად ცხადი უნდა იყოს.

უქანასქნელად ჩვენ შევეხებით კიდევ ერთ პრობლემას, კიდევ ერთ კარდინალურ საკითხს საქართველოს ისტორიისას, რომელიც მთელი თავისი მნიშვნელობით დადგა ნ. ბერძენიშვილის წინაშე სწორედ ისტორიულ-გეოგრაფიული სავიწკარვევ-ძიების შედეგად.

ეს არის საკითხი ირიგაციისა და კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოქმნისა აღმოსავლეთ საქართველოში.

1953 წ-ის ზემოხსენებული ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია, რომლის ერთ-ერთი შედეგი „გორების“ აღმოჩენა იყო, ფაქტურად გამოიხსნა იყო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი სარწყავი არხების შესწავლა-გამოვლენისათვის, რადგან ნ. ბერძენიშვილის აპირირებული მოსაზრებით, სამეცნიერო მიმოქცევაში ამ რიგის მატერიალური ძეგლების შემოტანის წყალობით შესაძლებელი გახდებოდა კონკრეტული მსჯელობა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების და, კერძოდ, ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა-დამკვიდრების შესახებ (გვ. 368—9).

ექსპედიციის შედეგებმა, რომლებმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ისეთი რიგის საკითხები წამოჭრა, რაც აქამდე წარმოებულ კაბინეტურ ძიებას არ დაუსვამს და ვერც დასვადა. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, მათგან აღვნიშნავთ მხოლოდ ძირითადს.

ჯერ ერთი, დაისვა მცირე და დიდი არხების ქრონოლოგიის საკითხი. მცირე არხი რწყავს ამა თუ იმ ხეგში, ხეობაში განლაგებული სოფლების მიწებს და თვითონაც იმავე ხევიდანაა გამოტანილი. ასეთი, ხეობებში განლაგებული სოფლების „მეურნეობა ძირითადად ამ ხევიდან გამოტანილ სარწყავ წყალს ემყარება და ეს ასევე იყო (და კიდევ უფრო) ძველადვე და უამწყლებოდ მათი ამ სახით არსებობაც კი წარმოუდგენელია, ე. ი. მას შემდეგ, რაც მებორბლეობა და, უფრო გვიან, მევენახეობა ამ სოფლების მკვიდრთათვის მეურნეობის ძირითადი დარგი გახდა, მორწყვაც, იგულისხმება, უკვე თან ახლდა მათ ასეთ მეურნეობას“ (გვ. 405—6).

რაც შეეხება დიდ არხებს, რომლებიც ემსახურებიან დიდი ველების მორწყვას, ისინი უფრო გვიან წარმოშობისაა. „მათი მშენებლობა გულისხმობს შედარებით დიდი ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ გაერთიანებას, გულისხმობს საამისო ხელისუფლებას (უფალს, ხელმწიფეს, ფეოდალს) და წარმოადგენს სოციალური ურთიერთობის ძლიერ მშენებელს“ (გვ. 406).

განსაკუთრებულ ყურადღებას ნ. ბერძენიშვილი სწორედ ამ დიდი ველის მომრწყველ არხებს აქცევს, რადგან მათ, მისი აზრით, გადაწყვეტი როლი ითამაშეს აღმოსავლეთ საქართველოს მეურნეობრივსა და სოციალურ განვითარებაში.

ამ დიდი არხების არსებობის პირობებშია გასაგები ზოგიერთი ქალაქის, მაგალითად, რუსთავის ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ისტორიული წყაროების მიხედვით ივარაუდება; ხოლო ქალაქ რუსთავის სიძველე, ნავარაუდევო ისტორიული ტრადიციით და ამყამად კი გამაგრებული არქეოლოგიური გათხრების მონაცემებით, თავის მხრივ, თვით არხის მეტ სიძველესე მიუთითებს. ვიდრე ეს იმავე ტრადიციით იგულისხმება (გვ. 373—375).

მცხეთის გაქალაქება ანტიკურ ხანაში და მისი გადგაქალაქებაც დიდად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მუხრანის ველის, როგორც მცხეთის სასოფლო-სამეურნეო უბნის, სარწყავ სისტემაზე: „მართლაც და იმისათვის, რომ მცხეთას სხვა თავისი უპირატესობანი გაენაღდებინა და იბერიის სახელმწიფოებრივად გამაერთიანებლის როლში გამოსულიყო, აუცილებელი იყო, რომ მას გადგაქალაქების ბუნებრივი პირობებიც კჭონოდა, კერძოდ, აუცილებელი იყო, რომ მას შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო უბნები ხლსოდა. ერთ-ერთი ასეთი უბანი სწორედ მუხრანის ველი უნდა ყოფილიყო. ამის მატერიალურ მოწმობად მიგვაჩინა ჩვენ „საგლახაო რუ“ (გვ. 418, ხაზგასმა ავტორისაა).

ყველა დიდი არხის ანტიკური ხანისად მიჩნევის საკმაო საფუძველი ჯერ არა გვაქვს და, რა თქმა უნდა, სწორია მოსაზრება, რომ, ჯერჯერობით, ნაადრევნი ეგნებოდა საწინააღმდეგო მტკიცება „იმ გადმოცემათა ხელაღებით უარყოფისთვის, რომელნიც საქართველოში დიდ არხთა მშენებლობას თამარ მეფის სახელს უკავშირებენ. ზოგი არხი, სავარაუდებელია, გაცილებით უფრო ძველია, ზოგი მართლაც თამარის მოღვაწეობის შედეგი შესაძლებელია იყოს“ (გვ. 420). მაგრამ ერთი რამ კი ცხადია—ყველა ამ დიდი არხის სპეციალური „ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა სხვა ისტორიულ მონაცემებთან გათვალისწინების გვერდით მყარ დასაყრდენს შეგვიქმნიდა ნივთიანი მსჯელობისათვის საქართველოს ეკონომიური წარმატებისა და მისი პოლიტიკური ძლიერების შესახებ. ასეთი შესწავლა მიგვაგნებინებდა იმ ტეხილებს სამეურნეო განვითარებაში, რასაც ქართველი ხალხის შესაბამისი სოციალური ტეხილები ემყარებოდა“ (გვ. 420).

ნ. ბერძენიშვილი მორწყვას უკავშირებს უძველესი ქართული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის „ქევის“ წარმოქმნას. „იგულისხმება, რომ ეს ხეები, რომელთა გაღმა-გამოღმა სოფლები ჩარიგებულან, ამ სოფლების მრწყველია“ (გვ. 428). მას ეს დასკვნა, გარდა ისტორიულ-გეოგრაფიული საველე დაკვირვებისა, ვახუშტის „გეოგრაფიის“ ტექსტის ანალიზიდან, უკეთ, თვით ვახუშტის მიერ ქვეყნის აღწერის მეთოდოლოგიური თავისებურებიდანაც გამოაქვს. ამგვარად, ქართული სოფლების განლაგება ხეებში (ხეობებში) და ქართული მოსახლეობისა—ხეებად (ხეობებად) დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მორწყვით მიწათმოქმედებაზე. მას შემდეგ, რაც მორწყვა მოსახლეობის მეურნეობის უმთავრესი პირობა შეიქნა, „ამიერიდან ქართული სოფელი ხევს მიეკრა და ხევი მოსახლეობის ბუნებრივი ტერიტორიულ ერთეული შეიქმნა. აქედან ადვილი გასაგებია, თუ საიდან მოდის ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელი ტერიტორია, მთელი მოსახლეობა ხეებად და მოხევეებად დაიყო. ამრიგად, გამოდის, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ხეებად შედეგია მისი სამეურნეო განვითარების სახეობისა“ (გვ. 423, ხაზგასმა ავტორისა). რომ ეს დასკვნა სავსებით სწორია და

რომ „კევი“, „კევ-ობა“—„კეობა“ უპირველეს ყოვლისა მეურნეობრივ მთლიანობას ემყარებოდა და მისი შედეგი იყო, კერძოდ კი მორწყვაზე დამყარებული მეურნეობის შედეგი, ეს ჩანს იქიდანაც, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა, რა შინაარსს სდებდა გვიან შესასაუკუნენებში ქართული ტერმინ „კეობაში“. რომელიც ამ დროს, უეჭველია, შეესატყვისებოდა წყაროებში დამოწმებულ „კევს“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „კეობა“ ნიშნავს „ერთს წყალზედ მრავალ მოსახლეს“ (ქართული ლექსიკონი, 1928). ცხადია, აქ „ერთს წყალზედ მრავალ მოსახლეს“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელიც გავრთიანებულია ერთ სარწყავ სისტემაზე დამოკიდებული მეურნეობით და ამ ეკონომიურ ერთიანობას ეწოდება „კეობა“ < „კევ-ობა“ (ძვ. „კევი“). რამდენადაც „კეობა“ ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია „კევთან“ და თითქოს ამ უკანასკნელთა ერთობლიობას („კევ-ობა“) ნიშნავს, შესაძლებელია, ეს ორი ტერმინი განვითარების ორ სოციალურ საფეხურს დავეუკავშიროთ. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც ვიცი, ძველ ქართულ წყაროებში ზემოხსენებული მნიშვნელობით მხოლოდ „კევი“ იხმარება. მაგრამ, ეგების, მნიშვნელობას არ იყოს მოკლებული ის გარემოება, რომ ბორჯომის ხეობის დღევანდელი მოსახლენიც კი თავისთავს „ხეობელებს“ უწოდებენ, ხოლო თავისი დასახლების ტერიტორიას „ხეობას“. ეგების, ამ ტერმინში გადმონათვის სახით სწორედ ის ზემოაღნიშნული სოციალური შინაარსი ედოს და არა მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (შდრ. სოფ. „ხეობა“ წირდლის ხეზე და სხვ.).

ამგვარად, „ხევი“ რომ უძველესი ქართული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული იყო, ეს უეჭველია; და რომ იგი მორწყვის საფუძველზე წარმოქმნილ ეკონომიურ მთლიანობას გულისხმობდა—ეს მყარ ნიადაგზე დასაშვლი მეცნიერული ჰიპოთეზია. სწორედ ამ ჰიპოთეზის კვშმარტების შემოწმება არის ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთი მორიგი ამოცანა. მისივე ამოცანაა, დაადგინოს, თუ რა დროიდან შეიძლება ვივარაუდოთ საქართველოს ტერიტორიაზე „ხეების“ წარმოქმნა. ამის შესახებ ამჟამად ნაადრევია ლაპარაკი, მაგრამ შესაძლებელია ვარაუდის სახით გამოეთქვათ მოსაზრება (და საამისო საბუთები მცირეოდნად მოიპოვება), რომ „ხევის“ წარმოქმნა პირველყოფილ-თემური წყობილების წიაღში, მისი რღვევის პარალელური მოვლენა უნდა ყოფილიყო, რომ, ფაქტიურად, გვაროვნული სამოსახლოს—„გორის“—თანდათანობითი მიტოვება და მისი თავდაპირველი ფუნქციის შეცვლა, ამავე დროს და ამასთან კავშირში, გულისხმობდა აგრეთვე „ხევის“ თანდათანობით წარმოქმნას.

ასეა თუ ისე, „ხეების“ შემდგომი განვითარება ბარში იმ მიმართულებით ხასიათდება, რომ „ჩნდება კერძო საკუთრება სავენახე, საბაღე თუ სხვა „ნაღვას“ მიწებზე. ეკონომიურად დაწინაურდებიან სახლები (გვარები,—დ. მ.) და იქმნება სოციალური უთანასწორობის წარმოქმნის ტენდენცია“ (გვ. 423). მეურნეობის შემდგომი განვითარება კიდევ უფრო აღრმავებს „ხევის“ შიგნით დაწყებული ამ პროცესს „და ეკონომიურად დაწინაურებული სახლები და პირველ თავში მეუფე-მამასახლისის სახლი გადადგამს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაბიჯს. ის ინდივიდუალურად აწესრიგებს დიდი ველის მორწყვის საქმეს და eo ipso ამ მორწყულ ველსაც, როგორც მესაკუთრე, ეუფლება“ (გვ. 424).

ამრიგად, სავლელ ისტორიულ-გეოგრაფიული ძიების შედეგად, სათანადო მატერიალური ხასიათის ძეგლებზე დაკვირვებამ ნ. ბერძენიშვილს მისცა უფ-

ლება ჩვენში პირველად კონკრეტულად დაეცვა ისტორიის კარდიხალური საკითხი მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნისა და პირობების შესახებ; ხოლო თურა მნიშვნელობისა ეს ფაქტი, სამისოდ საქარისია იმის გახსენებაც, რომ მიწის გადაქცევა კერძო საკუთრებად „ეს იყო ვარდატეხა, რომლის შედეგადაც საბოლოოდ გაფორმდა ჩვენში საზოგადოებრივი კლასები, წარმოიქმნა სახელმწიფო“ (გვ. 425).

ბუნებრივია, რომ ირიგაცია, მორწყვითი მიწათმოქმედება ამიერიდან წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს, კერძოდ, ფეოდალური საქართველოს (აღმოსავლეთ საქართველოს) ეკონომიური განვითარების საფუძველს, ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ევოლუციის არსებით ნიშანს: „დიდი არხების მოშენებლობა ფეოდალური საქართველოს დიდად აღმავლობის მაჩვენებელია, ფეოდალების (მეფის, ეკლესიის, დიდაზნაურების) სოციალურ-ეკონომიური განვითარების მოწმობაა. ბატოხყმური ურთიერთობის შემოსვლის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა“ (გვ. 420, ხაზგასმა ავტორისა). თვით ქართული ფეოდალიზმის ბუნების თავისებურებაა მათე იყო დამყარებული: „საქართველოს ფეოდალური წყობილების ხასიათის მეცნიერული შეცნობა შესაძლებელია მისი მიწათმფლობელობის ხასიათის გათვალისწინების ნიადაგზე, ხოლო მიწათმფლობელობის ხასიათი საქართველოში დიდად იყო დამოკიდებული მიწის მეურნეობის ხასიათისაგან. ამ უკანასკნელის საფუძველი კი იყო ინტენსიური სოფლის მეურნეობა (მევენახეობა-მეხილეობა, მებაბრეშუმეობა, მეხორბლეობა), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანწილად მორწყვის მომენტს ემყარებოდა“ (გვ. 395).

ასეთია ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია ქართული ფეოდალიზმის ბუნებისა და განვითარების შესახებ.

ამ თვალსაზრისმა ნ. ბერძენიშვილს შეაძლებინა მეცნიერული პასუხი გაცეცა იმ ფრიად მნიშვნელოვან კითხვაზე, რომელიც პირველად ჯერ კიდევ ვასილ საუკუნეში დასვა ილია ჭავჭავაძემ; კერძოდ, თუ რა იყო ის ძირითადი ძალა, რამაც შეაძლებინა საქართველოს, ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე, ველურ ხალხთა მიერ სასტიკი ნგრევა-თარეშის პირობებში, გადაერჩინა თავისი ფიზიკური სახე, სულიერი ძალა და დიდი კულტურა. რა იყო ის წყარო, საიდანაც ქართველები იძენდნენ აღდგომა-განახლების დაუშრეტელ უნარს. მისი აზრით, ეს ძალა და უნარი სხვა პირობათა შორის „ქვეყნის მეურნეობის ხასიათში, ქართულ მევენახეობა-მებაღეობაში და, კერძოდ, მორწყვაზე აგებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში“ ჰპოვებდა თავის მაცოცხლებელ წყაროს: „სარწყავი არხების გატანის თუ განახლების სიადვილე და ამდენადვე მათი მოუშლელიობა (სადაც ეს ნაგებობანი ძნელი და რთული იყო, იქ მოიშალა კიდევაც და ქვეყანაც გაველურდა: ყარაია, იორ-სამგორი, ბორჩალო), ამ მორწყვაზე აგებული სოფლის მეურნეობა“. აი, ეს არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ჰკვებავდა ქართველი ხალხის სულიერ სიძლიერესა და ფიზიკურ გამძლეობას. „ადვილი ასახსნელია საქართველოს გაუტეხელობა. ეს გაუტეხელობა ქართული მეურნეობის მოუშლელიობაშია, მის ადვილად აღსადგენლობაშია“ (გვ. 395).

* * *

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომელთაც ეხება ნ. ბერძენიშვილი თავისი შრომების ბირველ წიგნში. ეს არის ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხები. მართალია, ყველა ისინი ერთნაირი სისრულით არ არის განხილული, მაგრამ ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია თითოეული ექსპედიციის კონკრეტული მიზანდასახულებით და, მეორე მხრივ, მოძიებული მასალის უქმარობით. მიუხედავად ამისა, თვით დასძულ საკითხთა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების მეცნიერული გააზრებისათვის მოწმობს თვით იმ პრაქტიკული მეთოდის სისწორეს და სიცოცხლისუნარიანობას, რის საფუძველზედაც გახდა შესაძლებელი საქართველოს ისტორიის არაერთი კარდინალური პრობლემის წამოჭრა, მოწმობს ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულად შესწავლის სისწორეს.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ექსპედიცია სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდა და ე. ი. სხვადასხვა საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას (თუმცა ჩნობდა უბრუნდებოდა ძველ საკითხებს), ყველა ესენი ურთიერთ მჭიდრო კავშირშია და ურთიერთგაპირობებულია. მართლაც, როგორც ზემოთ უნდა დავრწმუნებულყავით, გზების მნიშვნელობა უშუალოდ ქალაქებსა და ციხეებთან, აგრეთვე, მთელ იმ ტერიტორიასთან არის გააზრებული, რომელთაც ეს გზები ეკუთვნის. ზოლო თვით ამ ტერიტორიის მეურნეობა ხალხის მოძრაობასთან, რომლის ერთი კონკრეტული სახეა მთისა და ზარის ურთიერთობა. ეს კავშირი, რა თქმა უნდა, არ არის ხელოვნური. ის მთავარი, რაც მათ ორგანულად აკავშირებს, ერთ მთლიანად ქმნის და საზოგადოების ისტორიული განვითარების მეცნიერული გააზრებისაკენ მიმართავს, ეს არის ისტორიული გეოგრაფია. ისტორიულ-გეოგრაფიული გააზრება მოვლენებისა ნ. ბერძენიშვილს, მიუხედავად მისი განცხადებისა წიგნის წინასიტყვაობაში, რომ მას ისტორიულ გეოგრაფიაზე, როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე იმთავითვე რაიმე გარკვეული წარმოდგენა არ ჰქონია, თავიდანვე ახასიათებდა. კერძოდ, მას თავის ადრეულ „დღიურებშივე“ განხილული აქვს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები: ეკონომიური გეოგრაფიის საკითხები (გზები, ამა თუ იმ კუთხის მეურნეობა, სავაჭრო ურთიერთობა სხვა კუთხეებთან, ქალაქების წარმოქმნა ზეგანებზე და სხვა); ეთნიკური გეოგრაფიის საკითხები (საერთოდ მოსახლეობის მიგრაცია, კერძოდ მთიდან ბარში ან ბარიდან მთაში); უფრო გვიან კი სოციალური გეოგრაფიის საკითხებიც (ქალაქები და მათი „ავარაები“ დასახლებული „მერუყეებით“, „გლახებით“; უძველესი საგვარეულო სამოსახლოები — „გორები“) და სხვ.

თუ ეს საკითხები ნ. ბერძენიშვილს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სისრულით და სხვადასხვა მხარისთვის აქვს აღნიშნული, ეს სწორედ იმის გამო, რომ მას ისტორიულ გეოგრაფიაზე, როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე, იმთავითვე არ ჰქონია გარკვეული მთლიანი წარმოდგენა, და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან იმ დროს ასეთი მეცნიერება ჩვენში არც არსებობდა და უკეთეს შემთხვევაში ისტორიული გეოგრაფიის საგნად ამა თუ იმ პუნქტის დადგენასა თუ პოლიტიკური საზღვრების დაზუსტებას თვლიდნენ.

ისტორიული გეოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, პრინციპულ სიმაღლეზე აყვანა თანდათან ხდებოდა და ეს ნ. ბერძენიშ-

ვილის სახელთანაა დაკავშირებული. ცხადია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თითოეული მივლინება-მოგზაურობა ახალი მოვლენებით (და ამის შესაფერისი ფაქტებით) თანდათან ავსებდა და სრულყოფდა ავტორის წარმოდგენას ამა თუ იმ მხარის (ქვეყნის) ისტორიულ გეოგრაფიაზე, ვიდრე, ბოლოს, ყველაფერი ეს გარკვეულ მეცნიერულ ცოდნად (სისტემად) არ შეუმუშავდა მას“ (გვ. V).

ისტორიული გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ძირითად საგანს შეადგენს ტერიტორია, განხილული როგორც ისტორიული კატეგორია. რამდენადაც ტერიტორია იმთავითვე ადამიანის საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი ატრიბუტია და რამდენადაც იგი საზოგადოების საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების შედეგად განუხრელად იცვლება. ამდენად იგი ცოცხალი ისტორიული ორგანიზმია, რომელიც ყოველ გარკვეულ მომენტში მასზე განსახლებული საზოგადოების მეურნეობრივი და სოციალური განვითარებულობის შესაფერისია. ერთი და იგივე ტერიტორია საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თვით ამ საზოგადოების მასზე უშუალო ზემოქმედების შედეგად იცვლის თავის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სახეს, იცვლის თავის მეურნეობრივ პოტენციალს, იცვლის თავის სივრცეს, ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს იმავე ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებაზე და ამის შედეგად საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე. ერთი სიტყვით, ესა თუ ის ტერიტორია მთელი ისტორიული პროცესის მანძილზე იცვლის თავის მოცულობასა და შინაარსსაც. ისტორიული გეოგრაფიის საგანი სწორედ ადამიანის ამა თუ იმ საზოგადოებრივი განვითარებისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ტერიტორიული ერთეულია, მისი ცვალებადობის თვალსაზრისით. ტენდენცია ამგვარი ტერიტორიული ერთეულების ევოლუციისა საზოგადოების ნორმალური განვითარების პროცესში, როგორც წესი, გარეგნულად მკლავდება მათ სივრცობრივ ზრდაში: ან ურთიერთშემრწყმამი ან ურთიერთშთანთქმამი. ახლავე შეიძლება მაგალითების მოტანა ქართული ან სხვა წყაროებიდან იმის საჩვენებლად, თუ როგორ თანდათან ხდებოდა ძველი ადრე-ფეოდალური (ადრექრისტიანული) ხანის ტერიტორიული ერთეულების გარდაქმნა უფრო მსხვილ ერთეულებად, ხოლო განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ამ უკანასკნელთა შესვლა კიდევ უფრო დიდ ტერიტორიულ ერთობებში. ამის შესახებ არა მხოლოდ ისტორიული წყაროების საფუძველზე, არამედ მატერიალურ ძეგლებზე დაკვირვებითაც სპეციალურ ლიტერატურაში ნაწილობრივ გამოთქმულია კიდევაც ზოგიერთი მოსაზრება (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, II, 1964).

სათანადო ტერიტორიული ერთეულების ასეთი სივრცობრივი და შინაარსობრივი ცვლა, რა თქმა უნდა, თვით საზოგადოების შინაგანი განვითარების გარეგნული გამოხატულებაა და, როგორც ჩანს, საკმაოდ ადექვატური გამოხატულება. თუკი კანონზომიერი ჩანს X III ს-მდე, საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესატყვისი განვითარების პირობებში, საქართველოში ტერიტორიულ ერთეულთა ზემოხსენებული ზრდაც, ამის შემდეგ, ბუნებრივია, თუ ვეგარაუდებთ, რომ პოლიტიკური ავბედობისა და ეკონომიური დაჩიხულობის პერიოდში ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარებაც სათანადო ყოფილიყო და, რამდენადაც ტერიტორიული ერთეულის ზრდა, საბოლოო ჯამში, სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა ზრდითაა გაპირობებული, ამ უკანასკნელის სტაგნაციას და კიდევაც რეგრესს, გამოეწვია

შესატყვისი მოვლენები საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში. ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ გვიანი საუკუნეების ქვემო ქართლის ტერიტორიული ერთეულები (სათავადოები), განსხვავებით განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდისაგან, დაახლოებით ისეთივე მოცულობისაა, როგორც ამავე ტერიტორიაზე არსებული ადრეფეოდალური ხანის ერთეულები (იხ. იგივე კრებული, I, 38—39, 42—44; II, 48—49. რუკა 2 და 4).

ყველა ამაზე ახლა ჩვენი საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია, რადგან ისტორიული გეოგრაფია, რომელიც მოწოდებულაა სწორად დადგინოს, ისტორიულად გაიზაროს და დასაბუთოს ტერიტორიულ ერთეულთა ასეთი მეტამორფოზი, ფაქტურად, ახლა იდგამს ფეხს. ასეთ პირობებში, ცხადია, ფრიად სამუხარო ფაქტია, რომ ნ. ბერძენიშვილმა თავისი შრომების პირველ წიგნში ვერ „მოახერხა ისტორიულ გეოგრაფიაზე თავისი დასრულებული საბოლოო სიტყვა ეთქვა და ძირითადი შრომა მეცნიერების ამ დარგში (—„ქვეყანა“) მას ახლაც ცალკე გამოსაქვეყნებელი რჩება“ (გვ. VI).

„ქვეყანა“—ეს არის ნ. ბერძენიშვილის მიერ შემოთავაზებული ძველი ქართული ტერმინი სწორედ იმ ტერიტორიული ერთეულის აღსანიშნავად, რომლის ისტორია-განვითარების კვლევაც შეადგენს ისტორიული გეოგრაფიის საგანს.

ყოველი დიდი და მცირე სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, წარმოიქმნა ამაგვარი მცირე ერთეულების; მცირე „ქვეყნების“ ურთიერთშერწყმის საფუძველზე, რაც გაპირობებული იყო საერთო ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და სხვა ინტერესებით.

ისტორიული გეოგრაფიის მიზანია, თვლნაოლივე წარმოაჩინოს ეს რთული პროცესი და გამოიკვლიოს მისი მამოძრავებელი ძალები, ხოლო საბოლოო მიზანი კი—ნათელი მოპვინოს „ქვეყანათა“ განვითარებას უძველესი ტერიტორიული ერთეულიდან „ხევის“ წარმოქმნამდე. „ხევიდან“—სახელმწიფომდე და მონათმფლობელური სახელმწიფოდან ჩვენ დრომდე.

მართალია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ნ. ბერძენიშვილს „დასრულებული საბოლოო სიტყვა“ ისტორიული გეოგრაფიის საგნის შესახებ ჯერ არ გამოუთქვამს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკვე 1935 წლის ექსპედიციის ანგარიშში მას სრულიად ნათლად აქვს ხაზგასმული საქართველოს ცალკეულ მხარეთა განვითარების თავისებურება და ამ უკანასკნელის შესწავლის აუცილებლობა:

„საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია“ აქვს. ზოგადის და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენთაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებანიც გააჩნია.

მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილებელია... ქართული საისტორიო მეცნიერება ახლა თავისი ზრდა-მომწიფების იმ ასაკშია, როცა მისი შემდგომი განვითარებისათვის ცალკეულ მხარეთა ამ თავისებურებების ისტორიული შესწავლა აუცილებელია. და ეს აუცილებელია სწორედ საქართველოს მთლიანად ისტორიული განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის“ (გვ. 175).

კიდევ უფრო ადრე მას ჩამოყალიბებული აქვს ფეოდალური წავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების ძირითადი ეტაპები იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნოს, თუ როგორ შეიძლება ერთსა და იმავე „გეოგრაფიულ პირობებში“ იცვლებოდეს ქვეყნის შინაარსი ისტორიული გეოგრაფიის

თვალსაზრისით (ეს არის ისტორიული გეოგრაფიის ერთერთი ძირითადი საკითხი): „ჯავახეთი—ეთნიკური ქართლის განაპირა ქვეყანაა, საზაფხულო სადგომ-საძოვრებით მდიდარი (მცხეთა-არმაზის ძლიერებისა ხანა), ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ცენტრალური ოლქი („საშუალო საუკუნეები“—IX—VII სს.), დაცემის გზაზე დამდგარი პროვინცია (XIV—XVI სს.), ჩამორჩენილი პროვინცია (XVII—XVIII სს.—ოსმალთა მფლობელობა) და მიყრუებული ბუნავი (XIX ს.)“ (გვ. 167). სულ უკანასკნელ ხანშიც თავის წერილში „ისტორიული გეოგრაფიისათვის“, სადაც ნ. ბერძენიშვილი ამ დისციპლინის საგანსა და მეთოდზე საუბრობს, ხაზგასმით აღნიშნავს საქართველოს ტერიტორიის ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, დანაწევრებული შესწავლის აუცილებლობის შესახებ: „ჩვენი წერილობითი წყაროები ხშირად იხსენიებენ ხეობებს. მთელი საქართველო ასეთ ხეობათა ცოცხალ კრებულად წარმოგვიდგება. კიდევ მეტი: ის ორგანული გაერთიანებაა ამ ხეობებისა. და ჩვენ დღემდე არაფერი ვაგვიკეთებია იმის მეცნიერული შესწავლისათვის, თუ როდის და რას წარმოადგენდა ესა თუ ის ხევი („ქვეყანა“), როდის იყო ის გვარის თუ გვართა საცხოვრისი. ან ამა თუ იმ ტომის ტერიტორია, როდის გარდაიქმნა და როგორ ეს ხეობები სახევისფლოდ, საფრისთოდ, როდის როგორ კავშირში იმყოფებოდა ესა თუ ის ხევი მეზობელ ხევებთან და მთელ ქვეყანასთან“ (გვ. 361).

ამგვარად, ყველაფერი ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია და ეს ვალი სხვასთან ერთად და პირველ რიგში სწორედ ისტორიულ გეოგრაფიას აწევს. ხოლო თუ რამდენად ეფექტურია ამ თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის კვლევა, ამის დადასტურებაა ის არაერთი კარდინალური საკითხი ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარებისა, რომელიც წამოჭრილია ნ. ბერძენიშვილის ზემოგანხილულ შრომებში. ისტორიული გეოგრაფიის განვითარება აუცილებელი პირობაა ჩვენი ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებისა. „ამა თუ იმ ხალხის მეცნიერული ისტორიის დაწერა, ჩვენს ხანას რომ შეეფერება, შეუძლებელია, თუ ეს ქვეყანა ისტორიულ-გეოგრაფიულად წინასწარ სათანადოდ შესწავლილი არ იქნა. ახალ ეტაპზე ქართული ისტორიული მეცნიერების ღირსეულად დამკვიდრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არა მარტო წერილობითი ძეგლები, არამედ ყოველგვარი წყარო და თვით საქართველოს ტერიტორია მარქსისტული თვალსაზრისით ისტორიულად შესწავლილი გვექნება“ (გვ. 256).

რამდენადაც, ნ. ბერძენიშვილი იმთავითვე პრინციპული მომხრე იყო საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისა იმ ასპექტით, როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი, ბუნებრივია, თუ მანვე ჩაუყარა საფუძველი იჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მუშაობას ამ პრობლემაზე.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ КОЛХИДЫ II—I вв. ДО Н. Э.

Г. А. ЛОРДКИПАНИДЗЕ

(Представлено Инст. истории, археологии и этнографии им. акад. И. Джавахишвили АН Груз. ССР)

Бурная эпоха Митридатовых войн и сама овеянная легендами личность Митридата VI Евпатора (111—63 гг. до н. э.), начиная еще с древних авторов, привлекает внимание исследователей. Поэтому неудивительно, что событиям, связанным с деятельностью Митридата, посвящена обширная литература, которая все продолжает пополняться¹. Несмотря на то, что Колхида этнически и политически стояла близко к Понту (и в одно время входила в его состав) и играла немалую роль в событиях того времени, история ее недостаточно изучена. Это отразилось и во II томе «Всемирной истории» (М., 1956, стр. 414), где история Колхиды II—I вв. до н. э. излагается в виде различных гипотез. Правда, выходом в свет монографии Г. Меликишвили² в известной мере заполнен пробел и по данной теме, но некоторые вопросы истории Колхиды во II—I веков до н. э. требуют дальнейшего исследования и уточнения.

Одним из таких нерешенных вопросов является время и условия завоевания Колхиды Митридатом VI Евпатором³. Ряд ученых относят это событие к рубежу II—I⁴ или началу I в. до н.э.⁵, другие же указывают на 89 г. до н. э.⁶ Нам представляется возможным уточнить дату

¹ Л. Саникидзе, Понтийское царство, Тбилиси, 1956 (на груз. яз.); Г. Гоцалишвили, Митридат Понтийский, Тбилиси, 1962 (на груз. яз.), A. Dugan, He died Old—Mithridates Eupator, King of Pontus.

² Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, стр. 303—307.

³ Английские историки С. Кук и др. подчеркивают, что «неизвестно, как и при каких условиях было завоевано Колхидское царство» — SAN, IX, Cambridge, 1951, стр. 113. Еще раньше отмечал это обстоятельство Т. Рейнак. Th. Reinach, Mithridate Eupator roi de Pont, 1890, стр. 71, London, 1958.

⁴ Ал. Церетели, Древний Рим, Тбилиси, 1961, стр. 99; «Всемирная история», II, стр. 414. Г. Меликишвили, КИДГ, стр. 306.

⁵ Д. Хахутаишвили, Картвельские племена Причерноморья на данных греко-латинских писателей, (Авторефер. канд. диссертации), Тбилиси, 1955, стр. 13, 14.

⁶ Л. Саникидзе, ук. соч., стр. 28; М. Бердзенишвили, К вопросу об истории города Фасиса, Канд. диссертация, Тбилиси, 1941 (на груз. яз.), стр. 129 и др. Это мнение основано на том, что Пелопид, посол Митридата, в 89 г. до н. э. обращаясь к римским стратегам, говорит, что «Митридат владеет отцовским царством, он покорил многие соседние народы и среди них воинственных колхов» (App., XII, 101). Но из этого сообщения можно сделать лишь тот вывод, что Колхида была завоевана до начала войн Митридата с Римом, точнее — до 89 г. до н. э.



захвата Колхиды. По Страбону, Колхида была завоевана тогда, когда Митридат «особенно усилился» (Strabo, XI, II, 18). Понтийское царство усилилось и приобрело международный авторитет еще до крымского похода Диофанта. Херсонес и Боспор обратились к Митридату за помощью против скифов потому, что Понт уже тогда располагался той реальной силой, которая могла защитить греческий мир от все больше и больше активизировавшихся варваров. Рост авторитета Митридата был связан с тем, что он быстро расширил свои владения за счет захвата соседних стран. Вероятно, одной из первых жертв стало Колхидское царство, захваченное Митридатов до похода Диофанта в Северное Причерноморье, т. е. между 111 и 110 гг. до н. э.⁷

Косвенным доказательством того, что Колхида была завоевана в первые годы правления Митридата, может служить следующий факт, которому исследователи не уделяли должного внимания. При Митридате VI Евпаторе в городе Диоскуриаде чеканилась автономная медная монета следующего типа:⁸

Л. с. Две шапки Диоскуров, над ними по звезде в шести или восьми лучах.

О. с. Тирс, по бокам которого надпись в три строки ΔΙΟΣΚΟΥΡ-ΙΑΔΟΣ

Диаметр 17 мм, вес от 1,37 до 5,47 г.

Эти монеты имеют весьма разнообразие весовые показатели, но можно выделить лишь два номинала (халк и дихалк?). Монеты такого типа и с аналогичным сюжетом чеканили и некоторые другие города-государства в бассейне Понта (Амис, Пантикапей) в первые годы правления Митридата⁹, что позволяет уточнить и дату появления данного чекана в Диоскуриаде. Известно, что с начала правления Митридата VI в городах Понта и Пафлагонии начался массовый, регулярный выпуск медной автономной монеты, которая была объединена общими типами¹⁰. Митридат в начале своего царствования, чтобы заручиться

⁷ Такого мнения придерживался и немецкий историк В. Вегнер, который без всякой аргументации отмечал, что Митридат: «Проник через Кавказ и завоевал на северном побережье моря громадное царство» — В. Вегнер. Рим, II, СПб., 1901; стр. 52. Вероятно, здесь сказалось влияние Е. Мейера, который еще раньше писал, что «сразу, после прихода к власти Митридат приступил к войне с Востоком, сначала он захватил Малую Армению, а затем и Колхиду» — Ed Meyer, Geschichte des Königreichs Pontes, 1879, стр. 87. Впоследствии это справедливое мнение было совершенно забыто, и в трудах Моммзена и др. перечисленных нами исследователей дана другая точка зрения, см. Т. Моммзен, История Рима, II, М., 1941, стр. 45; М. Инадзе считает, что захват Колхиды и Босфора произошел одновременно т. е. 110—108 гг. до н. э. см. М. Инадзе. Города Колхиды античного времени. «Моамбе», № 4, 1963, стр. 135, на груз. языке).

⁸ В специальной литературе точная датировка выпуска этой монеты отсутствует, ее принято относить «ко времени Митридата VI Понтийского»; см. Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, стр. 40; Археология Грузии, под ред. А. Апкидзе, Тбилиси, 1959, стр. 245 (на груз. яз.).

⁹ А. Н. Зограф, Античные монеты, 1951 (МИА, 16), стр. 186; В Пантикапее такие монеты, вероятно, появились после его подчинения Митридату. В специальной литературе они датированы II—I веками до н. э., см. Д. Б. Шелов, Монетное дело Боспора VI—II вв. до н. э., М., 1956, стр. 169, табл. VIII, 100—101; Г. Лордкипанидзе. О мотивах изображения на монетах города Диоскурии. ж. «Сабхота хеловнеба» № 12, 1962, стр. 46—47, рис. 2—3.

¹⁰ F. Imhoff-Blumer, Die Kupferprägung des Mithradatischen Reiches. und andere Münzen des Pontus und Paphlagoniens. NZ. 1912, стр. 169 сл.



помощью некоторых полисов, предоставлял им права автономии¹¹, что лучше всего проявлялось в выпуске этими городами собственной монеты.

Возможно, и Диоскуриада попала в число таких городов, тем более что и она получала право чеканки автономной монеты. Можно предположить, что Диоскуриада поддерживала Митридата во время экспансии против Колхиды и за это ей была предоставлена автономия. Фасис же, как и Трапезунд, в это время монету не чеканил.

В источниках почти не отразились подробности захвата Колхиды, но вряд ли это было лишь «детской игрой», как считал Т. Рейнак (Th. Reinach, ук. соч., стр. 77 сл.).

Против такого представления говорят хотя бы слова Мемнона, что Митридату пришлось «войной подчинить» Колхиду (Мемно.15, 30). Другое дело, что раздробленная на отдельные скептухий¹² Колхида не смогла оказать долгого сопротивления. Судя по приведенным данным, захват Колхиды произошел скорее всего в период между 111—110 гг. до н. э.

В связи с этой акцией возникает вопрос — как отнеслась Иберия к захвату Колхиды понтийцами. Помимо того, что Колхида была также государством картвелов, Иберия имела здесь и другие интересы.

Воспользовавшись ослаблением Колхиды, Иберия в III в. до н. э. присоединила восточную ее часть (Меликишвили, КИДГ, стр. 119, 126, 303 и 304). Это хорошо отразилось в древнегрузинской хронике «Картлис Цховреба», согласно которой при первом грузинском царе Картли, Фарнавазе I (284—219 гг. до н. э.), Эгриси (Колхида) входит в состав Иберии и составляет восьмое эриставство. Летопись дает определение границ этого эриставства: «эта земля между рекой Эгрис-Цкали (Галидзга) и Риони (Фасис), от моря до гор, где находится страна Эгриси и Сванетия»¹³.

К началу II в. до н. э. Иберия теряет ряд своих южных провинций — Гогарене, Хорадзене и др., которые захватила усилившаяся к этому времени Армения. Мы не знаем, произошли ли к этому времени изменения на западной границе страны, но независимо от того, вошла ли часть Колхиды в ее состав или нет, Иберия должна была как-то реагировать на агрессию Митридата очень ущемлявшую ее интересы. У древних авторов мы не находим никаких сведений о разногласиях между Понтом и Иберией; наоборот, Иберия везде фигурирует как союзник Митридата (Арр., XII, 13, 15) и не случайно Тиграну помогали иберские копьеносцы при защите Тигранокерта в 69 г. до н. э. (Plut. Lucul., XXXI). Исходя из этих данных, Т. Рейнак (ук. соч., стр. 224) считал, что Митридат наладил дружеские связи и заключил торговые договоры с Иберией. Эти обстоятельства наводят на мысль, не произошел

¹¹ К. В. Голенко, Из истории монетного дела на Боспоре в I в. до н. э. II, 1960, стр. 33.

¹² О сущности этого института см. М. Инадзе, К вопросу о скептухиях колхидского царства. Сообщ. АН СССР. XXVII, № 6, 1961, стр. 784 сл. По Рейнаку (ук. соч., стр. 77), в Колхиде в это время центральной власти не существовало, страна была раздроблена на маленькие княжества, управлявшиеся династиями, которых греки называли скептухами, т. е. скитроносцами.

¹³ «Картлис Цховреба», т. I, изд. С. Каухчишвили, Тбилиси, 1955, стр. 24. Этот источник знает границы и более древней Эгриси (Колхиды): «а на востоке малые горы, которые ныне называются Лихи (Сурамский хребет), а на западе море, на севере река Малой Хазарии (Кубань), куда доходит конец Кавказских гор» (там же, стр. 16).



ли здесь раздел Колхиды между Митридатом и царем Иберии Артоком. Возможно, что Митридат захватил приморскую часть Колхиды с т. н. греческими колониями (города с сельскохозяйственной территорией), а Арток — внутреннюю Колхиду¹⁴. Страбон отмечает, что значительная часть Колхиды лежала у моря (Strabo, XI, II, 17). Как показывают грузинские источники, в этой части Колхиды было очень сильно влияние греков — до такой степени, что Фарнаваз не смог подчинить их, так как «население ниже Эгрис-Цкали не захотело выступать против греков» (Картлис Цховреба, стр. 23). Митридату, вероятно, при разделе досталась приморская часть Колхиды, а не вся страна. В противном случае были бы сильно ущемлены интересы Иберии и вряд ли после этого она стала бы поддерживать союзнические отношения с Понтийским царством. А эти связи были настолько значительны, что Помпей вел войну и против Иберии, в результате захвата которой лишил Митридата верного союзника. Вспомним слова Плутарха о том, что иберы «сильно желали угодить Митридату и отразить Помпея», когда последний пошел войной против Иберии (Plut. Rompr., XXXIV).

В литературе существуют две точки зрения по поводу формы зависимости, в которую попала Колхида после завоевания ее Понтом. Первая заключается в том, что Колхида стала сатрапией Понта¹⁵, а вторая — что Колхида стала вассальной страной¹⁶. На наш взгляд, и те и другие исследователи отчасти правы, так как речь идет о двух этапах истории Колхиды: 1) Колхида — сатрапия Понта, управляемая представителями царского дома, приближенными царя (Strabo, XII, II, 18); этот период длится от захвата Колхиды до 85—83 гг. до н. э., т. е. до восстания; 2) Колхида — вассальное государство, царем которого является один из сыновей Митридата — Митридат Филопатор Филадельф.

По Аппиану в 83 г. до н. э. в Колхиде вспыхнуло восстание. Из его сообщения мы узнаем, что восставшие колхи требовали, чтобы Митридат назначил царем Колхиды одного из своих сыновей. Митридат выполнил их желание, и колхи успокоились (App., XII, 64). Нетрудно догадаться, что за этим скудным сообщением скрываются другие, более сложные обстоятельства. Не исключено, что колхи, воспользовавшись неудачами Митридата, постарались освободиться от его ига. Примечательно, что в это время, выбрав удобный момент, и Боспор отделился от Митридата¹⁷. Как видно, неудачами понтийского царя воспользовались и другие покоренные народы; в это же время происходит восстание и в некоторых местах Малой Азии¹⁸. Эти события происходили в конце первой войны Митридата с Римом. Вполне вероятно, что именно они ускорили заключение в 85 г. до н. э. Дарданского мира и повлияли на ход второй войны Митридата с Римом.

По нашему мнению, сообщение Аппиана следует уточнить следующим образом: 83 г. до н. э. «это не время восстания», а время его усмирения. После того как Митридат путем крупных уступок (восстановле-

¹⁴ Совершенно обоснованное мнение акад. Я. А. Мананджян, что будто бы «этот короткий срок этот могущественный царь [Митридат VI, Г. А.] завоевал древнюю Колхиду до Диоскуриады и до нынешнего Сурама» (Я. А. Мананджян, Тигран II и Рим, Ереван, 1943, стр. 16).

¹⁵ Н. А. Машкин. История древнего Рима, М., 1956, стр. 224.

¹⁶ С. Джанашиа. Грузия на пути ранней феодализации. Труды, т. I, Тбилиси, 1949, стр. 175—176.

¹⁷ В. Ф. Гайдукевич. Боспорское царство, М.-Л., 1949, стр. 305.

¹⁸ Т. Моммзен, История Рима, т. II, М., 1887, стр. 300.

ние царства в Колхиде) добился усмирения страны, он получает свободу действия в борьбе за подчинение Боспора. Действительно, Митридат строит флот, готовит войска для карательных походов на Север и лишь ценою больших усилий ему удалось в 80 г. до н. э. снова подчинить Боспор¹⁹.

Основываясь на соображении древних авторов, А. Кук и другие ученые считают, что «с заключением мира Митридат был занят реорганизацией своего расстроенного царства и подавлением восстания в Колхиде и на Киммерийском Боспоре. Недовольство в Колхиде было усмирено благодаря вторичному назначению сына царя Митридата (Митридата Филопатора Филадельфа) регентом, хотя молодой регент был вскоре отозван и казнен»²⁰.

Неизвестно, ознаменовалось ли убийство царя Колхиды Митридата Филопатора Филадельфа превращением страны снова в сатрапию Понта. Аммиан Марцеллин, говоря о событиях 66 г. до н. э., упоминает «царстве колхов» (*Ann. Marc.*, XVI, 7, 9). Возможно, эти сведения более позднего автора действительно отражают то, что в Колхиде было сохранено царство.

Археологический, особенно нумизматический, материал показывает, что Западная Грузия (Колхида) была тесно связана с Понтийским царством. В Западной Грузии полностью отсутствуют монеты, чеканившиеся по II—I вв. до н. э. на Боспоре²¹. Но отсюда еще не следует, что в то время не было торговых связей между этими странами — видимо, для внешних операций пользовались золотыми монетами Александра или Лисимаха. В то же время, как выясняется, в Колхиде были широко распространены понтийские монеты; особенно много их обнаружено в Вани (раскопки Н. В. Хоштария). Любопытно, что большинство монет принадлежит к чекану города Амиса. Самым распространенным типом (свыше 16 экз.) оказываются тетрахапки Амиса, которые Ф. Имхофф-Блумер (ук. соч., табл. II, 3) относит к сравнительно раннему времени — 105—90 гг. до н. э.:

Л. с. Эгида.

О. с. Ника с лавровой ветвью, вправо, надпись ΔΜΙΣΟΥ²².

В Вани также найдены тетрадрахма Митридата Евлатора и медный обол Амиса следующего типа:

Л. с. Голова Афины, вправо, в коринфском шлеме.

О. с. Персей, стоящий впрямь, с гарпой в правой приподнятой ру-

¹⁹ Гайдукевич, ук. соч., стр. 305.

²⁰ САН, IX, стр. 353. Нам неизвестно, на какие источники опирались авторы, говоря, что Митридат Филопатор вторично был назначен регентом Колхиды. И по Т. Рейнаку, «колхи требовали царем королевского сына Митридата, правление которого оставили прекрасные воспоминания» (*Reinach*, ук. соч., стр. 301).

²¹ На это обстоятельство не обратил внимания В. Ф. Гайдукевич, который писал, что «в Закавказье боспорские монеты встречаются довольно часто» (В. Ф. Гайдукевич, Еще о восстании Савмака, ВДИ, 1962, № 1, стр. 17). Например, в Колхиде во II—I вв. до н. э. их совсем нет, что само по себе является интересным фактом. Более подробно о денежном обращении Колхиды см. К. В. Голенико. Денежное обращение Колхиды в римское время. М., 1964, стр. 9—22.

²² S. W. G r o s e, *Greek Coins*, т. III, Cambridge, 1929, стр. 6, табл. 250, 13—14.



ке и головой горгоны в опущенной левой; тело горгоны лежит у ног Персея²³.

Вероятно эта медь предназначалась для оплаты местного гарнизона и вовсе не говорит о каких-либо оживленных тесных торговых связях г. Амиса с центральной Колхидой. Такие связи, конечно, существовали раньше, но непрерывные сражения, возросшие подати и налоги, должны были резко сократить ее масштабы (В Западной Грузии, в частности в Вани, все же встречается клейменная синопская тара II—I веков до н. э., малоазийская краснолаковая керамика т. н. пергамского круга и пр.).

Как бы ни называлась Колхида — царством или сатрапией, фактически она была подчинена военным и прочим целям Митридата II, вероятно, колхские войска участвовали во всех перипетиях митридатовых войн. Аппиан прямо указывает, что Митридат собирал новое войско из всех народов, которые были ему подвластны (App., XII 46). По Плутарху основное ядро понтийского войска состояло из колхов, тибаренов и каппадокийцев, которых как говорит Лукул «Много раз бывали» в сражениях (Plut. Luc. XIV). Страбон сообщает, что Колхида богата «всем нужным для кораблестроения» и что «отсюда шла царю главнейшая помощь для организации его морских сил» (Strabo XII, II, 13; XI, II, 17). Сулла, обвиняя Митридата в том, что он давно готовил войну против Рима, напоминал, что задолго до конфликта Митридат стал создавать флот и приглашать из соседних стран рулевых и моряков (App., XII, 57). Надо думать, что среди завербованных из «соседних стран» были и колхские моряки²⁴. И в число тех четырехсот кораблей, из которых состоял флот Митридата, наверняка входили судна, построенные в Колхиде. Все это вместе взятое, несомненно, говорит о том, что большая часть свободных общинников была оторвана от мирного труда, и это естественно, подрывало экономику Колхиды.

Завоевав Колхиду, Митридат, вероятно, поставил в захваченные укрепления свои гарнизоны. С этим предположением хорошо перекликается одно место из Страбоновой «Географии»: «Митридат Евпатор, усилившись, стал владыкой и Колхиды и всех этих местностей, которые уступил ему Антипатор, сын Сисида. Он так заботился об этих местностях, что соорудил в них 75 крепостей» (Strabo, XII, III, 28). Ясно, что здесь — преувеличенные данные и среди 75 крепостей были и старые укрепления, которые Митридат просто восстановил. Правда, Страбон говорит, что самые значительные из этих укреплений были сооружены в Парнадрской горной области, но не исключено наличие таковых и в Колхиде. К числу таких крепостей можно отнести и открытое в центральной Колхиде античное городище, о котором речь пойдет ниже.

Как мы уже видели, колхи были подчинены силой и ждали удобного момента для освобождения от иноземного гнета. Это хорошо доказали события 85—83 годов до н. э. Когда сам Митридат хорошо сознавал, что его неудачами могли воспользоваться союзники (App., XII, 46). Но какими конкретно стали колхопонтийские отношения к концу III войны Митридата с Римом, трудно судить. Вероятно, колхи были настроены не в пользу Митридата, так как приют он нашел не в каком-

²³ Там же, стр. 5, табл. 250, 1, 2; I s h o o f - B l u s e r, ук. соч., табл. II.

²⁴ Небезынтересно отметить, что жители приморской области — западногрузинские народности — лазы и пр. традиционно считаются хорошими моряками — см. «Народы Передней Азии» (этнографические очерки), М., 1937, стр. 375; L. L e o n h a r d, P a p h l a g o n i a, Reisen und Forschungen im nördlichen Kleinasien, Berlin, 1915, стр. 310-прим. 3; цитировано по Н. Г о з а л и ш в и л и, ук. соч., стр. 9.

либо городе Центральной Колхиды, а в греческом полисе Диоскуриаде, городе, которому он предоставил автономию и на поддержку которого мог рассчитывать. Его не остановило и то обстоятельство, что морской берег Колхиды был блокирован римским флотом (Plut., Rom., XXXI—XXXIV).

Митридат с остатками своей армии, с трехтысячным отрядом (судя по темпам бегства, это были всадники) направляется в Колхиду, другого выбора у него не было. В крепости Синория, где хранилась часть сокровищ Митридата, он пополнил и вооружил свой отряд (App., XII, 101). По пути следования в Колхиду он прошел через армянскую провинцию Хотене. Здесь ему дорогу преградили хотены и иберы. Митридату пришлось продолжить путь в Колхиду с боями (App., XII, 101). Многих исследователей волновал вопрос, каким образом здесь оказались иберские (восточногрузинские) отряды: ведь известно, что они были союзниками Митридата (App., XII, 13, 15). Г. А. Меликишвили (КИДГ, стр. 327, прим. 13) по этому поводу пишет, что «трудно решить, выступали ли иберы, с которыми пришлось здесь столкнуться Митридату, в качестве войск иберийского царя или ополчения местных жителей». С. Джанашиа справедливо отрицал, что этот отряд мог бы прийти в Хотене из Иберии. Он склонялся к тому, что это был отряд составленный из местного грузинского населения²⁵. Как мы увидим ниже, это было действительно так.

Захваченная Арменией иберская провинция Хотене — это, как известно, страбоновское Хорадзене (Reinach, ук. соч., стр. 389). Страбон (XI, XIV, 5) сообщает, что первый царь Армении Арташес отнял у иберов среди других земель и Хорадзене. Хотенские иберы несомненно выполняли приказ Тиграна II, который по известным причинам отказал в помощи Митридату, запретив ему появляться в своих провинциях и объявил награду за его голову (Strabo, XI, XIV, 5; Dio Cass., XXXVI, 50, 1); после этого неудивительно, что хотены и иберы пращами и стрелами досаждали Митридату. Это было местное провинциальное ополчение, сопротивление которого Митридат легко преодолел. Бежавшего Митридата по пятам преследовал Помпей. Митридат перешел реку Апсар и вступил в Колхиду. Зимой 66—65 гг. до н. э. он провел там, в городе Диоскуриаде (App., XII, 101).

У исследователей нет единого мнения о том, какими путями попал Митридат в Диоскуриаду. В свое время этот путь, путь отступления в Колхиду к Диоскуриаде, хорошо был прослежен акад. Я. И. Манандяном. Он считал, что Митридат, форсировав Апсар, направился в сторону современного Батуми и дальше — в Диоскуриаду²⁶. К. В. Тревер без аргументации намечает другой маршрут из Армении в Иберию, «где дружелюбно настроенные иберы дают Митридату возможность бежать в Колхиду»²⁷. В этой концепции чувствуется влияние сообщения Иосифа Флавия, что «Митридат бежал в Иберию» (Flav. Ios., Antiquit.,

²⁵ С. Джанашиа, Древнейшее национальное сведение о первоначальной родине грузин в свете истории Ближнего Востока, ИГАИМК Груз. ФАН СССР, т. V—VI, 1940, стр. 686 (на груз. яз.).

²⁶ Я. А. Манандян, Маршруты понтийского похода Помпея и путь отступления Митридата в Колхиду, ВДИ, 1940, № 3—4, стр. 100, рис. 2; его же, Тигран Второй и Рим, Ереван, 1943, стр. 186.

²⁷ К. В. Тревер, Очерки по истории культуры Кавказской Албании, М., 1959, стр. 32.



XIII, 16, 4); но под Иберией, возможно, Иосиф Флавий подразумевает бывшие иберские провинции, где Митридату с боем пришлось проложить дорогу. Может быть нам и не стоило бы здесь уделять столько внимания маршруту отступления Митридата, если бы не новая оригинальная точка зрения Н. В. Хоштариа. Опираясь на сообщение Плутарха, что морской берег в это время блокирован римским флотом, она считает, что Митридат вовсе не выходил к морю, а из ущелья р. Чорохи (Апсар) через ущелье р. Сулори попадает в город Сурий (совр. с. Ваши), где шли боевые приготовления²⁸. Эту точку зрения надо принять во внимание, так как через ущелье р. Сулори действительно проходит кратчайшая дорога из Ахалцихе к Орпирской пристани на Риони, которая до последнего времени имела стратегическое значение²⁹. Мы уже говорили, что зиме 66—65 гг. до н. э. Митридат провел в Диоскуриаде, куда ему гораздо проще и легче было попасть по предполагаемому Манандянскому пути. Из-за того, что море блокировалось, он был вынужден отказаться от морского пути и направился в Диоскуриаду сухопутной дорогой. По этой же причине он и из Диоскуриады был вынужден направляться в Босфор опасными сухопутными дорогами. Помпей, дойдя до границы Колхиды, приостановил преследование Митридата (Dio Cass. XXXVI, 50; App., XII, 103).

Точки зрения ученых на причины, в силу которых Помпей прекратил в Колхиде преследование Митридата, различны³⁰. Тут во внимание принимается все, кроме того, что Колхида являлась горной, незнакомой страной, где для римлян наступательные действия были бы весьма затруднительны. Это обстоятельство хорошо учитывал еще Лукулл, который, в 71 г. до н. э., обращаясь к солдатам, говорил: «А вблизи высятся Кавказ и множество глубоко изрезанных гор, которые могут скрыть и защитить десяток тысяч избегающих сражения царей» (Plut., Lucull., XIV). В источниках не отразилось, происходили ли здесь стычки местного населения с римлянами. Лишь Страбон (XII, 3, 18) сообщает, как гептакометы уничтожили три спейры Помпея, когда они переходили через эту горную страну. Можно предположить, что Помпею не удалось сразу, вслед за Митридатом, вторгнуться в Колхиду и захватить его там из-за сопротивления местного населения. Военные спе-

²⁸ Н. В. Хоштариа, Археологические раскопки в Ваши в 1959 г., Научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований в 1959 г., краткое содержание докладов, Тбилиси, 1960, стр. 50.

²⁹ Краевич, Военный обзор Рионского края, СПб., 1870, стр. 53. По поручению Н. В. Хоштариа, руководителя Ванской археологической экспедиции, в 1962 г. была разведана часть этой дороги. Этими путями поныне пользуются жители окрестных деревень. Осенью эта дорога закрыта, так как дожди делают ее непроходимой. Митридату приходилось спасаться примерно в это время года, так что этой дорогой он воспользоваться не мог.

³⁰ Составители Кембриджской древней истории считают, что Помпей не вступил в Колхиду из-за того, что его армия, в которой было много раненых и больных, нуждалась в отдыхе (САН, IX, стр. 379). По Вегьеру (ук. соч., стр. 80) Помпей начал преследовать Митридата в Колхиде, но был вынужден пойти на помощь Тиграну Младшему. Вероятно, это мнение основано на сообщении Плутарха (Plut., Pomp. XXXIII). А. Церетели (ук. соч., стр. 166) считает, что «Помпей счел войну законченной, так как Митридат бежал, и в 66 г. до н. э. пошел войной против Армении». Примерно такого же мнения придерживался Н. П. Новосадский предполагая, что после битвы при Никополе Помпей больше не преследовал Митридата, считая его не опасным врагом (Н. П. Новосадский, Последние годы борьбы Митридата с Римом, ТСА РАНИОН, IV, 1920, стр. 351). Этот перечень можно было бы продолжить.

циалисты всегда считали этот край не пригодным для военных действий больших масс войск. Вот как характеризуется в этом отношении так называемый Чорохский край: «труднодоступная горная страна, изрезанная лабиринтами узких лесистых ущелий. Прелегающие тропы доступны лишь для вьюков и то в летнее время. Здесь возможны действия лишь незначительных отрядов, а к востоку от Арсианского хребта характер местности допускает действия войск в больших массах. Эта последняя часть послужит главным районом для столкновений нашей и гурецкой армии в том случае, если турки вторгнутся в пределы Закавказья»³¹. Весьма примечателен, что Помпей вторгся в Иберию именно на этом участке.

После того как Помпею не удалось сразу покончить с Митридатом, действительно, было опасно оставлять не сломленного окончательно Тиграна³² и к тому же помощь просил восставший против отца Тигран Младший. Впрочем, Помпей вовсе не отказался от похода в Колхиду для захвата Митридата. Он знал, что Митридат мог снова восстановить свои силы (умение этого он не раз доказал) и начать новую войну с римлянами. Захват Митридата была его главная задача, но для достижения этой цели он избрал другой путь. Мы уже говорили, что он был вынужден воздержаться от прямого вторжения в Колхиду. И он отнюдь не считал войну уже оконченной, как предполагают некоторые исследователи (см. сноску 30). Несостоятельность такого предположения видна из речей Цицерона (106—43 гг. до н. э.). Во второй речи об аграрном законе против народного трибуна П. Сервилия Рулла он говорит: «Митридат, потерявший свои войска и изгнанный из царства, все-таки еще и ныне что-то замышляет в отдаленнейших землях... полководец еще находится на войне, и военное положение еще донныне остается в тех местах»³³. В другой речи Цицерон прямо указывает, что римские войска не имели доступа в северные владения Митридата: «Изгнанный, наконец, из царства Митридат все-таки был еще так силен, что соединившись с царем Армении, снова восстановил свои средства и войска. Когда Митридат вырвался из этой битвы и бежал на Боспор, куда не было доступа нашему войску, то даже в бегстве и на краю гибели он все-таки сохранил царский титул. Вот почему Помпей, овладев самим его царством и изгнав неприятеля со всех побережий и известных пристанищ, все-таки придавал такое значение жизни одного человека, что «победоносно овладев всем тем, что тот обладал, что занимал и на что надеялся, тем не менее счел войну оконченной только тогда, когда лишил его жизни»³⁴.

Как видно из речей Цицерона, Помпей придавал огромное значение жизни одного человека, но вынужден был прекратить его пресле-

³¹ М. Карнаухов, Кавказ, Турция, Персия, Военно-статистические очерки, Тифлис, 1911, стр. 44; В. Я. Лисовский, Чорохский край, Отдел Ген. Штаба, штаб Кавказского военного округа, Тифлис, 1877.

³² М. А. Манандян, Круговой путь Помпея в Закавказье, ВДИ, 1939, № 4, стр. 79; С. Макалатиа, История и этнография Самегрело, Тб., 1941, стр. 19 (на груз. языке).

³³ М. Tullius Cicero, De imperio Gn. Pompei ad quirites oratio, III, 8 De lege agraria oratio secunda contra P. Servilium Rullum, ad populum, XIX, 52

³⁴ Pro L. Murena oratio (XV, 33, XVI, 34); Возможно, Цицерон по известным причинам сгущает краски, чтобы оправдать назначение Помпея полководцем. Ведь Лукулл неоднократно заявлял, что Помпей идет сражаться с призраком и с тенью войны (Plut. Pomp 31). Но остается фактом, что война далеко еще не была окончена. Не случайно ведь, получив весть о смерти Митридата, римляне ликовали так, будто с Митридатом погибли десятки тысяч их врагов (Plut. Pomp., 41; App. XII, 113).



дование. А это дало возможность Митридату снова собраться с силами. Надо думать, что в Колхиде, в Диоскуриаде, Митридат не сидел сложа руки³⁵. Он имел достаточные средства (вспомним те богатства, которые он прихватил при бегстве из Синории) для продолжения войны. А неисчерпаемые ресурсы для этого имелись как в Колхиде, так и на Боспоре³⁶.

Несмотря на то, что порты Черного моря блокируются римским флотом (Plut. Pomp., XXXIV, XXXIX), Митридат спокойно проводит зиму 66/65 гг. в этом городе. Отчасти это надо объяснить и тем, что в зимнее время навигация была затруднена. Не исключено, что Диоскуриада защищал флот как самого города, так и поддерживающих Митридата генихов³⁷. Но их сила была не очень велика, так как Митридат все-таки не решился воспользоваться морским путем. Диоскуриада, которая получила автономию от Митридата, вероятно, до последнего момента поддерживала его. Римский наварх Сервилий и не пробовал двинуть свой флот дальше Фасиса. Возможно, что Помпей наказал ему лишь ждать у Фасиса. Ведь он, как мы увидим ниже, в Колхиде прошел путь по р. Фасису, дойдя до моря. Возможно, это и было предусмотрено по плану, разработанному во время первой неудачной попытки захвата Колхиды.

Вернемся к тому времени, когда Помпей легко подчинил Великую Армению.

После подчинения Армении настал черед и остальных союзников Митридата—Албании и Иберии. Помпей захватом Армении обеспечил себе тыл, но не двинулся прямо на Колхиду. Он был вынужден считаться и с иберами, и с албанами. Потеряв таким образом драгоценное время, он позволил Митридату собраться с силами³⁸. Весной 65 г. до н. э.,

³⁵ Н. Р. Collins, *Decline and Fall of Pompey the Great. Greece and Rome*, XII, № 66, Oct. 1939, стр. 103.

³⁶ История Грузии, I, Макет на правах рукописи, Тбилиси, 1956, стр. 58 (на груз. яз.).

³⁷ О гениховском флоте см. Н. Хостариа, Цихисдазри в первые века н. э., Тбилиси, 1962, стр. 39 (на груз. яз.); Ш. Д. Инал-Ипа, О мореплавании в Абхазии в античный период и феодальную эпоху, Труды АбхИЯЛИ, XXX, 1959.

³⁸ Многие историки недоумевают, зачем понадобился Помпею этот рискованный поход. Некоторые же называют этот поход даже авантюрным (См. D. Magie, *Roman Rule in Asia Minor*, Princeton 1950, стр. 374), так как он после Армении прямо не вторгся в Колхиду. О причинах этого вынужденного похода мы уже говорили, но нельзя пренебрегать и другими предположениями. Те же авторы Кембриджской древней истории не исключают и того обстоятельства, что кажущуюся ненужной кампанию можно объяснить желанием Помпея освоить закаспийскую торговую дорогу на Дальний Восток (САН, IX, стр. 380). В связи с этим весьма симптоматично, что Плиний, используя данные Веррона, пишет, что этот путь действительно был исследован во время похода Помпея на Кавказ (Plin NH, VI, § 50), хотя к этому моменту колхидская торговля утратила значение греко-индийского транзита и приобрела более локальный характер (Л. А. Ельницкий, Знания древних о северных странах, М., 1962, стр. 147; Reisch, ук. соч., стр. 77). Авторы Кембриджской древней истории не исключают и того, что причиной кавказского похода могло быть тщеславие Помпея, который будто бы хотел, чтобы в триумфе принял участие пленные и из тех народов, о которых римляне ничего раньше не слышали (САН, IX, стр. 380). Трудно судить, какие еще мелкие факторы влияли на те события, но главной причиной было то, что Колхида и другие государства Закавказья интересовали Помпея как союзники Митридата, откуда римлянам грозила реальная опасность и поэтому надо было обеспечить безопасность северо-восточных границ республики. (Интерес к делам в Закавказье особенно хорошо проявился при императорах).

намереваясь предпринять поход через Альпы, Митридат отправляется на Боспор. Помпей же в это время через Сурамский перевал из Иберии переходит в Колхиду. Это было действительно «запоздалым преследованием Митридата» (САН, IX, стр. 389).

Помпей действовал по строгому плану, он заранее хорошо знал маршрут своего похода и поэтому приказал Сервилию дожидаться его и с эскадрой у Фасиса. Преодолев Сурамский хребет³⁹, он прошел по Рионской долине и встретился со своим навархом в назначенном месте. Древние авторы (Аппиан, Плутарх, Дион Кассий и др.) не говорят конкретно, какое сопротивление оказали колхи. На границе Иберии и Колхиды были два крупных стратегических пункта — крепости: Шорапани (Сарапанис) и Сканда (Димна). По Страбону, Сарапанис выглядел очень внушительно: «Это укрепление может вместить население целого города» (Strabo, XI, II, 17). Эти крепости надежно закрывали путь из Иберии в Колхиду и, если они оказали бы сопротивление, то Помпею пришлось бы нелегко и, что главное, эти события отразились бы в сочинениях древних авторов. По «Картлис Цховреба», эти крепости построил первый грузинский царь Фарнаваз (III в. до н. э.), на границе с Эгриси, в провинции, или эриставстве, Маргви. К рубежу нашей эры эти крепости находятся в Колхиде. По крайней мере, так указывает Страбон: «колхидская крепость Сарапанис» (Strabo XI, III, 4). Это показатель того, что граница между Иберией и Колхидой не была стабильной и пограничные эриставства часто переходили из рук в руки. Можно предположить, что во времена похода Помпея эта область с крепостью Сарапанис еще принадлежала Иберии. С поражением Артока пали и эти крепости, что и позволило Помпею быстро вторгнуться в Колхиду. Но это вовсе не должно обозначать, как считают некоторые исследователи, что Помпей без всякого сопротивления захватил Колхиду⁴⁰. Против этого говорят как письменные источники, так и археологические данные. Дион Кассий сообщает, что в Колхиде Помпей действовал со страхом, то убеждением (Dio Cass. XXXVII, 3). Это сообщение как нельзя лучше отражает действительную картину. Колхида была разделена на отдельные скептухи: и те, которые поддерживали Митридата, выступили против римлян. Вот почему среди именитых пленных участников триумфа в честь Помпея, среди царей и вельмож, фигурирует лишь один пленный скептух, некий Олтак (App., XII, 117)⁴¹ тогда, как в Колхиде их было несколько. Возможно, Олтак был ставленником Митридата.

³⁹ Помпей вторгся в Колхиду из Иберии, где он захватил столицу страны (Plut. Pomp., XXXVI, 1; Dio Cass., XXXVI, 54). Хотя Аппиан—единственный дошедший до нас автор, который подробно описывает эти события, можно заметить, у него серьезное искажение действительности в том месте, где он определяет маршрут Помпея. По его мнению, Помпей прямо вступил в Колхиду и, не считая уже Митридата, опасным, стал обходить страну козлов интересуясь рассказами о пребывании здесь аргонавтов, Диоскурии и Геракла и особенно желая увидеть место страданий Прометей (App., II, 103).

Но «когда Помпей ходил по этим историческим местам», некоторые народы — иберы и албаны — начали с ним войну. Подчинив их, Митридат двинул свои войска против Тигрина (App., XII, 103, 104). Вероятно, заблуждение Аппиана вызвано тем, что он никак не мог поверить тому, что Помпей вслед за Митридатом сразу же не вторгся в Колхиду.

⁴⁰ С. Джанашиа, ук. соч., стр. 180; Очерки истории СССР. М., 1956, стр. 464; САН, IX, стр. 380.

⁴¹ У Плутарха, среди приближенных Митридата фигурирует некий Олтак «из дидарийских правителей». Человек большого мужества и государственного ума (Plut. Luc., XVI). Возможно этот тот же Олтак, что и Аппиана.



Ничего не слышно о Моаферне, который, по словам Страбона, был последним правителем Колхиды. Помпей, как мы уже знаем, двигался по долине Фасиса к морю, вероятно, здесь и находилась скентухия Олтака. Г. А. Меликишвили также предполагал, что в центральной части Колхиды Помпею пришлось силой оружия проложить себе путь. Это хорошо доказано археологическими исследованиями Н. В. Хоштариа в с. Вани. Раскопками были выявлены развалины античного города (по-видимому, Суриум Плиния), акрополь которого находился на крутом холме и был обнесен мощной оборонительной стеной (сложенной из сырцовых блоков на каменном цоколе). На вершине акрополя были обнаружены развалины храмов и каменных строений. У одного из них выявлено скопление каменных ядер разного калибра и веса, что походило на арсенал. Защитники не успели воспользоваться запасами ядер для каменных машин, так как город был взят и основательно разрушен⁴². Н. В. Хоштариа связывает эти разрушения с событиями заключительного этапа третьей войны Митридата с Римом⁴³. Римляне, которым преградил дорогу Суриум, штурмовали этот город. Борьба была упорной; об этом красноречиво говорят обнаруженные в развалинах сырцовых стен наконечники копий стрел и прочего оружия. Еще в прошлом веке раскопками Е. Такайшвили было обнаружено бронзовое изображение орла, которое тогда же было связано с римским миром⁴⁴. Орел высотой около 8 см с чуть раскрытыми крыльями, клюв и когти отломаны. У ног была втулка для закрепления на древке, которая также отломана. Очевидно, это часть римского *vexillum*, находка которого говорит о том, что здесь действительно произошла битва. Как след пребывания римлян может быть объяснена и обнаруженная здесь, в развалинах сырцовой стены, серебряная монета Ариобарзана I Романофила (95—62 гг. до н. э.)⁴⁵, который был заклятым врагом Митридата. Кстати, это первый случай обнаружения такой монеты на территории Грузии. Ясно, что в Колхиде такая монета при жизни Митридата VI не могла обращаться. Скорее всего, ее завезли из Каппадокии римляне.

Поход Помпея кончился тем, что он не смог захватить Митридата, а пойти дальше на Север не решился. Правителем или династом Колхиды он назначил некоего Аристарха (Арр., XII, II, 4). Симптоматично, что Страбон или не знает, или не упоминает такого правителя в Колхиде, но отмечает, что власть в Колхиде действительно была дана какому-то династу.

По Страбону, победив понтийцев, Помпей разделил страну Митридата. «Местности подле Армении и Колхидскую область он разделил династам, воевавшим на его стороне» (Strabo, XII, III, I). Надо думать, что Аристарх был представителем местной колхидской знати, поддерживавшим Помпея во время его похода в Колхиде (Т. Рейнак считал ди-

⁴² Н. Хоштариа, Археологические раскопки в с. Вани в 1947 г., Мимомхивели, т. I, Тбилиси, 1949, стр. 307, 308; она же, Археологические исследования в Вани и в Ванском районе в 1952 г., МАКГ, II, Тбилиси, стр. 151, 152; Археология Грузии, Тбилиси, 1959, стр. 234.

⁴³ Н. Хоштариа, Археологические раскопки в Вани в 1959 г., стр. 49.

⁴⁴ Е. Такайшвили, Археологические путешествия и заметки, кн. I, Тифлис, 1907, стр. 7; коллекции Кавказского музея, т. V (археология), Тифлис, 1902, стр. 108, № 1513.

⁴⁵ Р. Путуридзе, Отчет о работах, проведенных Ванской археологической экспедицией в 1962 (руководитель Н. В. Хоштариа) на VI участке, Научная сессия, посвященная итогам полевых археологических исследований в 1962 г. Краткое содержание докладов. Тбилиси, 1963, стр. 95.

настов местным институтом, который греки называли скептухами, т. е. скиптроносцами (Reinach, ук. соч., стр. 77).

Несомненно, Аристарх был одним из тех колхских скептухов, которые были противниками Митридата и поэтому охотно поддержали Помпея. Помпей же за оказанную помощь назначил Аристарха династом этой страны. Назначая Аристарха, своего ставленника, правителем Колхиды, Помпей мог быть спокойным. Новый династ, получив власть от римлян, был бы защитником римских интересов на северо-востоке республики. Английский исследователь справедливо отмечает, что «мир на северо-востоке был обеспечен, так как правителем Колхиды был назначен местный династ Аристарх»⁴⁶. Без постоянной военной поддержки со стороны Рима Аристарх не мог бы продержаться у власти в течение 17 лет. Весьма возможно, что он правил бы дольше, если бы не внезапное нападение на Колхиду в 48 г. до н. э. боспорского царя Фарнака.

Древние авторы не сообщают ничего о том, что Помпей оставил в Колхиде какую-то часть своего войска. Римские гарнизоны даже в приморских городах появляются гораздо позднее. Известно, что первоначально римляне опирались на существующее на местах управление, считались с местными законами и государственным устройством⁴⁷. Возможно, что аналогичное положение было и в Колхиде, тем более что Помпей не задержался в Колхиде и для реорганизации управления у него не было бы никаких возможностей⁴⁸, к тому же известно и то, что римляне по-разному решали участь покоренных народов, исходя из географического или экономического фактора. По Аппиану хорошо видно, что Помпей предоставил некоторым странам автономию, объявив их друзьями римского народа, некоторые же прямо присоединил к Риму, а часть подчинил назначенным им самим царям-марионеткам (App., XII, 114).

Небезынтересно отметить, что в Закавказье особенно хорошо проявилось все разнообразие римской политики:

1) Иберия, Албания, Армения стали «друзьями» римского народа, и их подчинение выражалось в обязанности выставлять вспомогательные войска.

2) Понт был превращен в провинцию и непосредственно присоединен к Римской республике.

3) Колхида была передана местному династу-ставленнику, который должен был заботиться об интересах Рима и поддерживать римскую политику на Востоке. По Страбону, такие страны жили своими древними законами (Strabo, XVIII, III, 3). Это значило уже, что римляне во внутренние дела Колхиды не вмешивались. По Аппиану, такими странами, кроме Колхиды, были Боспор, Каппадокия, Галатия и др. (App., XII, 114).

⁴⁶ Магге, ук. соч., стр. 374.

⁴⁷ А. Ранович, Восточные провинции Римской империи I—III вв., М.-Л., 1949, стр. 11.

⁴⁸ Н. А. Машкин предполагает, что Помпей из-за сопротивления местного населения был вынужден уйти из Колхиды и вообще с Кавказа, не подчинив эти народы (Машкин, ук. соч., стр. 278). Авторы Кембриджской древней истории почему-то считают, что Помпей подчинил лишь приморскую часть Колхиды, предоставив ее династу по имени Аристарх (САН, IX, стр. 393). Однако древние авторы ничего не говорят о том, в какой части Колхиды правил он. Ничего не известно и о резиденции Аристарха.



О том, что Аристарх — реальное историческое лицо, говорят и серебряные монеты, которые чеканились его именем⁴⁹. На лицевой стороне этих монет — мужская голова, вправо, в лучевой короне. На обратной — сидящая на троне богиня Тихе⁵⁰, вправо, с вазой в левой руке, рядом руль. Надпись гласит: **ΑΡΙΕΤΑΡΧΟΥ ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΩ ΒΙ.** Вес 3,06 г.

Помпей ушел из Колхиды в 65 г. до н. э. Вероятно, с этого времени начинается и правление Аристарха как династа. На монете надпись ΒΙ обозначает 12-ый год правления. Таким образом, 53 г. до н. э. — это и есть время выпуска монеты. Интересно, что все известные монеты Аристарха относятся к 12 году его правления. Возможно, к этому времени он достигает известной независимости и его усиление проявляется и в том, что он чеканит собственную монету. Из-за малочисленности этих монет трудно судить об их экономической роли в денежном обращении Колхиды. Известно, что в это время в Западной Грузии широко обращаются так называемые колхидские статеры⁵¹. По технике чекана эти подражания лисимаховским и александровским статерам резко отличаются и от драхм Аристарха, и от медных монет города Диоскуриады. Напршивается вывод, что они чеканились в разных монетных дворах, и, возможно, в разное время. Трудно согласиться с С. И. Макалатиа, который считает, что эти подражания чеканились не государством, не имели назначения денег и выпускались лишь в культовых целях⁵². То обстоятельство, что подражания александровским и лисимаховским статерам чрезвычайно грубы, вес неустойчив и изображения часто абстрактны, объясняется следующим образом. Эти монеты чеканились, вероятно, в одной из скептухий Колхиды. Они удовлетворяли потребностям внешних торговых операций. Эти выводы сделал Д. Г. Капанадзе, который хорошо проследил эволюцию данных подражаний. Сначала их трудно отличить от природы, а потом они постепенно изменяются. Природой служит уже не подлинник, а предыдущие подражания. Когда-то александровский статер имел такую силу, что соперничать с ним

⁴⁹ Всего известно пять драхм Аристарха: 1) Гос. Эрмитаж, 2) Парижский кабинет медалей; 3) Берлин, собрание Фокса, 4) Местонахождение неизвестно, описана Б. В. Кене, принадлежала Кабули-паше, 5) Британский музей. К. В. Голенко считает, что судя по весу и описанию, это не та монета, которая недавно была приобретена Британским музеем. С. К. Jenkins. Recent acquisitions of greek coins by the British Museum, Nchr, 1959, серия VI, том XIX, стр. 32, табл. VI, 13). К. В. Голенко. Денежное обращение... стр. 21. Г. Лордкипанидзе. Монеты Аристарха колхского, «Ахалгарзда коммуниста», 24 октября 1964 г. № 128.

⁵⁰ Таково мнение Дженкинса, но вполне может быть, что на этой монете изображена представительница колхского пантеона. Прокеш-Остен, который первый издал монету Аристарха, считал, что здесь изображена Фасид-Река, олицетворенная в виде женщины в длинной одежде (О. Ретовский, Драхма, Аристарха Колхидского, ТМНО, т. III, 1905, стр. 3). По Б. Кене, на монете изображена «Колхида в образе сидящей женщины» (Б. В. Кене, Описание музея В. В. Кочубая, ч. I, Спб., 1857, стр. 430). Недавно Д. Г. Капанадзе сделал предположение, что на монете изображена та богиня, статуя которой видел Арриан в Фасисе. Окончательное решение этого вопроса имеет важное значение для истории Колхиды. От себя мы лишь отметим, что судя не является атрибутом Тихе, а руль и весло здесь вовсе отсутствуют.

⁵¹ Д. Г. Капанадзе, О древнейших золотых монетах Грузии, ВДИ, 1949, № 3, стр. 162.

⁵² С. И. Макалатиа, Археологические находки в селении Алхиси (Картли), ВДИ, 1951, № 3, стр. 184, 185.

даже по политическим мотивам было невозможно. Но постепенно он забывался, и поэтому золотые подражания I—III вв. н. э. так непохожи на своих собратьев предыдущих веков. Вероятно, политически раздробленная Колхида больше нуждалась в торговых операциях золотой монетой. Вполне возможно, что даже эти подражания чеканились в различных скептухиях Колхиды, как это предполагает Д. Г. Капанадзе (ук. соч., стр. 166).

По-видимому, в Колхиде в это время было довольно разнообразное и развитое денежное обращение. Эту картину дополняют обнаруженные при раскопках в Вани и в Кобулети позднеантические разновески, что указывает, несомненно, и на широкое развитие торговли. Несмотря на опустошительные войны, Колхида наладила торговлю и, вероятно, этим надо объяснить возникновение аристарховского чеканка. По мнению Д. Г. Капанадзе (Ук. соч., стр. 42), на лицевой стороне этой монеты Аристарх изобразил себя. Но существуют и другие мнения. Д. М. Ланг предполагает, что на монете изображен Гелиос⁵³. Совсем недавно Г. Дженкинс отметил, что «у изображенного на монете — черты Помпея» (D. K. Jenkins, ук. соч., стр. 32); с этим наблюдением нельзя не согласиться. А это еще раз подчеркивает вассальное положение страны. Мы знаем лишь один титул Аристарха-династа, но он носил это звание и до того, как стал во главе страны (см. Strabo, XII, III, 1). На монете Аристарх в образе Помпея изображен в традиционной для Колхиды лучевой короне, что является символом царской власти. Но на монете Аристарх не именует себя ни басилевсом, ни династом, а просто — «Аристарх, который над Колхидой». Вопрос о том, в качестве кого он был «над Колхидой», еще требует выяснения. Многие исследователи отождествляют название «династ» с понятием «басилевс»⁵⁴. Однако слово «династ» имеет различные оттенки⁵⁵, и прямо называть Аристарха царем рискованно, тем более что на монете он дает свою титулатуру в завуалированной форме. А Фарнак почти в то же время на золотых монетах прямо называет себя царем (и не просто царем, а Великим!). Справедливо предполагает М. П. Инадзе, что если бы Аристарх был царем, то он поступил бы так же⁵⁶. Но надо принять во внимание то обстоятельство, что Колхида не-

⁵³ D. M. Lang, *Studies in the Numismatic History Georgia in Transcaucasia*, N. Y., 1955, стр. 11.

⁵⁴ Например, М. И. Ростовцев пишет: «местными династами, то есть боспорскими царями» (М. И. Ростовцев, Военная оккупация Ольвии римлянами, ИАК, 58, 1915, стр. 3). А по Манандяну, династами в Армении являлись представители высших слоев земледельческой аристократии. См. Я. И. Манандян. О торговле и городах Армении. Ереван, 1930, стр. 66. Как выясняется из новейших открытий понятие «династ» в римское время не обозначал «царя». Так, например, Тиберию лиши царского звания Рископурида II Фракийского, который после этого продолжал управлять страной, но назывался уже не царем, а династом фракинцев. См. Th. Iwanov, *Die thrakisch-römischen politishen...* в „*Studii clasice*, III, Bucur., 1961, стр. 93—98.

⁵⁵ Об этом более подробно писала Т. С. Каухчишвили, см.: Аппан, Митридатовы войны, Перевод и комментарии Т. Каухчишвили, Тбилиси, 1960, стр. 35 (на груз. яз., с параллельным греческим текстом).

⁵⁶ М. Инадзе, К истории античной Грузии (Флавиус Арриан и его сведения о Грузии). Кандидатская диссертация, Тбилиси, 1953, стр. 96 (на груз. яз.).

посредственно примыкала к римским провинциям и Аристарх был вынужден держаться в тени, хотя он и являлся в это время несомненно единоличным правителем страны. Но как видно, он действительно не провозгласил себя открыто царем Колхиды⁵⁷. Правление Аристарха ознаменовалось относительным спокойствием; по крайней мере, с 65 по 48 гг. до н. э., здесь не происходит военных столкновений. Мир был нарушен походом Фарнака, который решил вернуть отцовские владения. Вероятно, в битве с Фарнаком и погиб Аристарх, а вскоре после поражения Фарнака Колхида окончательно потеряла независимость и была включена в состав римской провинции — Понт.

⁵⁷ М. Манандян считал, что Колхида была передана Аристарху в качестве «Особого княжества». См. Манандян, Тигран II и Рим, стр. 210. К сожалению автор не поясняет, что надо понимать под особым княжеством.

ქართული კულტურის კერა პეტიტურები

(მე-18 საუკ. პირველი ნახევარი)

6. მახათაძე

(წარმოადგინა აკად. ა. ბარამიძემ)

პეტიტურების ქართული კულტურის კერის ისტორია ერთი ფურცელია იმ დიდი პოლიტიკურ-ისტორიული და კულტურული მატრიანისა, რომელმაც ქართველ ერს მოუთხრო საქართველოდან შორეულ რუსეთს გადახვეწილ ქართველთა ყოფა და დიდი შთაგონებით გამთბარი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა.

ამიტომ განუზომლად დიდია ყველა იმ კოლონიების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, რომელთაც თავისი ყოფა რუსეთის ცალკეულ ქალაქებს დაუკავშირეს.

უნდა ითქვას, რომ რამდენადაც მოსკოვის ქართული კოლონიის შესწავლას გარკვეული ისტორია აქვს (ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ი. ცინცაძე, ვ. ტატიშვილი, გ. ლეონიძე, ი. ანთელავა, ალ. ფირცხალაიშვილი, გ. პაიჭაძე, ლ. მენაბდე, ტრ. რუხაძე და სხვ.), იმდენად პეტერბურგის ქართული კოლონიის ისტორია შედარებით შეუსწავლელია. განსაკუთრებით დაუმუშავებელია ამ კოლონიის ჩასახვის პერიოდი. ამ საკითხისადმი მიძღვნილ ერთადერთ ხაშრომს წარმოადგენს პროფ. ე. დონდუას მრავალმხრივ საინტერესო და პრობლემატური ნარკვევი „ვახტანგ VI დროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან“¹. მასში მკვლევარი მკითხველის თვალწინ აცოცხლებს ვახტანგ VI ძმის—სვიმონ ბატონიშვილის და მისი ოჯახის წევრთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას პეტერბურგში. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ეხება იმ ხანად პეტერბურგში მცხოვრებ ქართველთა მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხს.

რაც შეეხება პეტერბურგის ქართველთა კულტურის კერის მოგვიანო პერიოდს, ე. ი. მე-19 საუკუნის დასაწყის ხანას, ეს პერიოდი შედარებით შესწავლილია, რადგანაც ამ პერიოდის პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრებად გვევლინებიან ისეთი ცნობილი მწერლები და მოღვაწენი, როგორიც არიან იოანე, დავით და თეიმურაზ ბაგრატიონები, გ. ავალიშვილი, იონა ხელაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი, რომელთა შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურას არა ერთი და ორი შესანიშნავი ნაშრომი მოუპოვება.

ერთი მხრივ, იმ გარემოებამ, რომ დიდია მნიშვნელობა და დანიშნულება პეტერბურგის ქართული კოლონიისა ჩვენი კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევის საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, იმან, რომ იგი ნაკლებად შესწავლილია, გაგვაბედვინა, ხელი მოგვეკიდა ამ დიდი თემისათვის.

¹ მიომბილევლი, 1953, III, გვ. 29—64.

მთლიანობაში ეს თემა ჩვენ ამგვარად წარმოგვიდგება: „ქართული კულტურის კერა პეტერბურგში და მისი კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა მე-18—19 საუკუნეებში“.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ნაშრომის I ნაწილი მიზნად ისახავს გააშუქოს პეტერბურგის ქართული კერის ჩასახვის პერიოდი, ანუ იგი უფრო ისტორიულ საკითხებს მოიცავს, ვიდრე კულტურულ-ლიტერატურულს, მაგრამ ამ კოლონიის თანმიმდევრულად მთლიანობაში შესწავლისათვის საჭიროა ერთნაირად შესწავლა, როგორც კულტურულ-ლიტერატურული, ისე ისტორიული საკითხებისა.

პეტერბურგის ქართული კერის I პერიოდი ძირითადად პეტერბურგში ქართველთა ჩასვლისა და მოწყობა-დაბინავების საკითხებს მოიცავს. რუსეთის სხვადასხვა არქივებში დაცული მდიდარი მასალები ამ პერიოდისა, ძირითადად, კოლონისტების ჩასვლისა და მოწყობის საკითხებს ეხება: პეტერბურგში ახლადჩასულ ქართველებს ჯერ არ სცალიათ სხვა საკითხებისათვის. აქ ვხვდებით უამრავ განკარგულებებს და სხვა ხასიათის საბუთებს, გაცემულს სხვადასხვა ქართველთა მიმართ, რომლებიც გვამცნობენ, თუ სად ეძლევათ ბინა, რა ეძლევათ საზრდოდ, რა უფლებები ეძლევათ ახალჩასულებს და სხვა.

პეტერბურგის ქართული კერის ლიტერატურული და კულტურული მიღგაწეობა აყვავდა და გაიფურჩქნა შემდეგ ხანებში, როდესაც პეტერბურგის ქართულ კოლონიას თავისი ფიზიკური არსებობის მტკიცე ბაზისი უკვე შექმნილი და უზრუნველყოფილი ჰქონდა.

პატივგაზრდის დაპარსების ისტორიიდან

ჩრდილოეთის ორი ძლიერი სახელმწიფოს (რუსეთის და შვეციის) ბრძოლა, როგორც ცნობილია, რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. პეტრე I კარგად ესმოდა ბალტიის ზღვის სანაპიროს მნიშვნელობა რუსეთისათვის. გამარჯვებამ პეტრე პირველისათვის შესაძლო გახადა, ზრუნვა დაეწყო სამხედრო პორტის მოსაწყობად ზღვის სანაპიროზე, რომელსაც ახლო მომავალში ქალაქის მშენებლობაც უნდა მოჰყოლოდა. პეტრე I-ის ვარაუდით, მალე ამ ქალაქში თავს მოიყრიდა მთელი სამხედრო და სავაჭრო საქმიანობა.

1703 წ. 16 მაისს პეტრე პირველმა ნევის ერთ-ერთ კუნძულზე თავისი საკუთარი ხელით მიიტანა პირველი ქვა ციხე-სიმაგრის ბასტიონისთვის და სიზავრეს პეტრე მოციქულის პატივსაცემად სანკტ-პეტერბურგი უწოდა. ამავე ხანაში ჩაეყარა საფუძველი ქალაქის მშენებლობას.

ერთი მხრივ, ცუდი ბუნებრივი პირობები, ჭაობიანი ნიადაგი, ნესტიანი ჰავა და, მეორე მხრივ, სიძნელე ქალაქის აგებისა, აუტანელს ხდიდა ქალაქის მშენებელთა ყოფას. პეტრე პირველის განკარგულებით, რუსეთის ყველა ქალაქიდან იზზავნებოდა გარკვეული პროცენტი მუშა-ხელისა. სამეფო კარის თითოეულ წევრს ევალებოდა, თავისი ყმების დიდი ნაწილი გაეგზავნა ახალი ქალაქის მშენებლობაზე. მკაცრი განკარგულებით პეტრემ იძულებული გახადა ქალაქის მაცხოვრებელთა ე. წ. „недорожан“, რომ საცხოვრებლად პეტერბურგში გადასულიყო და უსარგებლოდ ყოფნის ნაცვლად მონაწილეობა მიეღო ქალაქის მშენებლობაში. ვარდა ადგილობრივი მოსახლეობისა ქალაქის მშენებელთა რიცხვში შედიოდნენ გადასახლებული პირები, ტყვეობაში მყოფი შვედები, გაქცეული ჯარისკაცები და გაქცეული ყმა-გლეხები.

მიუხედავად აუტანელი სიძნელისა, არაფერი არ სცვლიდა პეტრე I-ის განზრახვას, რომ პეტერბურგი ახალ ამსტერდამად ექცია. წარმოებდა დაუცხრომელი შრომა ჭაობების ამოსაშრობად, ტყეების გასაჩეხად, არხების გასაყვანად, ქალაქის დაუქავშირებელი ადგილების ერთმანეთთან დასაკავშირებლად და სხვა.

პეტერბურგის მოსახლეობა თავიდანვე ხასიათდებოდა სიჭრელით. აქ განსაკუთრებით იგრძნობოდა სიჭარბე უცხოელთა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, პეტრე პირველმა მიზნად დაისახა რუსეთისათვის მისაწვდომად ექცია ევროპის ტექნიკა, სამხედრო და საზღვაო საქმე, სამრეწველო და სამეურნეო საქმიანობა. ბევრი უცხოელი მიიზიდა რუსეთის მანუფაქტურულმა წარმოებამ, ფლოტმა და განსაკუთრებით, მეცნიერებისა და ხელოვნების ცალკეულმა უბნებმა, რაშიც პეტრე პირველმა განსაკუთრებული სარბიელი აპოვნინა უცხოელ სპეციალისტებს. როგორც წერს პეტერბურგის მოსახლეობის ცნობილი მკვლევარი ა. ვ. პრედტჩენსკი:

„Значительная часть иностранцев привлекалась Петром для выполнения самых разнообразных поручений: архитекторы, живописцы, врачи, ученые и представители многих других специальностей находили в России широкое поле своей деятельности. Иностранцы в Петербурге чувствовали себя как дома. Ни о какой обособленности их здесь не могло быть и речи. Они сливались с массой Петербургского населения в единое целое, своим присутствием внося в него тот особенный колорит, какой свѣтлени только Петербургу петровского времени“².

პეტერბურგის მოსახლეობის ამ სიჭრელეს 1725 წლიდან შეემატა ქართველთა კოლონიაც, რომელიც ამ ხანიდან პეტერბურგის მოსახლეობის ორგანულ ნაწილად იქცა.

მასხანების ამაღლის ჩასვლამდე პეტერბურგში მყოფი ქართველები

როგორც ზემოთ ვთქვით, პეტერბურგში ქართველთა კოლონია უშუალოდ ვახტანგის ამაღლისაგან ჩამოყალიბდა. მათგან შეიქმნა ის ქართველთა წრე, რომლის წარმომადგენლებმა მალე პეტერბურგის ცხოვრებაში „თავ-თავისი ადგილი იპოვეს“.

მაგრამ გასაკვირი იქნებოდა, რომ პეტერბურგს, რომელსაც ვახტანგის ჩასვლის დროისათვის უკვე თითქმის ოცი წლის ისტორია ჰქონდა, ვახტანგის ჩასვლამდე არც ერთი ქართველი არ სტუმრებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოსკოვში ამ დროისათვის ქართველთა მძლავრი კოლონია არსებობს, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს პეტრე პირველის სამეფო კართან. ამ დროს მოსკოვის კოლონიის წარმომადგენელია გიორგი დადიანი, რომელიც რუსეთში ჩასულა არჩილის დროიდან—რუსეთის წრეებში გაუკათავს ვაზა და მალე დაუწყია მთარგმნელის თანამდებობაზე მუშაობა ქართველებისა და რუსეთის სამეფო კარს შორის. აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ გ. დადიანის სამოღვაწეო ასპარეზი ხშირად მოითხოვდა მის ყოფნას პეტერბურგშიც.

² კრებული—Петербург Петровского времени, Л., 1948, А. В. Предтеченский, население Петербурга, гл. 138.

მოსკოვის კოლონიის გვიან გადანაშთს წარმოადგენს პეტერბურგში დასახლებული სასულიერო პირი ზებედე ზებედეს ძე, რომლის ცხოვრება მეტად თავისებურად წარმართულა.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ბატონიშვილის ტყვეობასთან დაკავშირებით სტოკჰოლმს გაემგზავრა ქართველი თავადიშვილი, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება ტყვედ მყოფ შვედ ოფიცრებზე ალექსანდრე ბატონიშვილის ვაცკლის შესახებ. როგორც ცნობილია, შვედები ამ წინადადებაზე არ დათანხმდნენ და ალექსანდრე ბატონიშვილში რუსეთის ხაზინიდან დიდძალი ოქრო მოითხოვეს, პეტრე პირველმა წერილით ამცნო ალექსანდრე ბატონიშვილს შვედების პირობა, რაზედაც ალექსანდრემ შესანიშნავი, ღრმად პატრიოტული, თავგამწირავი პასუხი გასცა.

როგორც პეტერბურგის სინოდის საქმეებიდან ჩანს, თავის მხრივ ალექსანდრე ბატონიშვილსაც გამოუგზავნია მისი თანმხლები თავადი, რომელსაც რუსეთის მეფისთვის უნდა ეცნობებინა ალექსანდრეს მდგომარეობა და საერთო ენა მოეძებნა რუსეთსა და შვედებს შორის. ამ ცნობაში ნათქვამია: «Во время Шведской войны взят был в плен и отвезен в Стокгольм Имеретинский царевич Александр Арчилович и при нем его „боярин.“ По некоторых годах боярин был послан князем в Петербург к Русскому государю просить ходатайство об освобождении его от Шведской неволи. Просьба боярина не имела успеха и он остался жить в Петербурге».³

ამავე ცნობიდან ვტყობილობთ, რომ ავადმყოფობის გამო ეს პირი პეტერბურგიდან გამგზავრებულა საქართველოში, სადაც მომაკვდავი აღკვეცილა ბერად და ზებედე შეპრქმევია. მაგრამ იგი სიკვდილს გადარჩენია და გამოჯანსაღებულა. შემდეგ ნათქვამია, რომ: «В 1724 г. на Карталинское царство напало турецкое войско. Заведей не желая отрешиться от православной веры и впасть руки татар, бежал и прибежал в Москву с племянником своим Христофором и с тремя челядниками».

როგორც ჩანს, ზებედეს ამ წამოსვლით რუსეთში უსარგებლია კახეთის მეფე კონსტანტინეს და მისთვის გამოუტანებია თავისი ცნობილი თხოვნა რუსეთისადმი კახეთის დახმარების შესახებ.

მოსკოვში ზებედე ლიტერატურულ მოღვაწეობას კიდებს ხელს. 1730-იან წლებში მას მოსკოვში გადაუწერია საბას „სამოთხის კარი“. როგორც ჩანს, მისი საცხოვრებელი უნდა იყოს მოსკოვის ბოლოიაველენსკის მონასტერი, რადგანაც ამ მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწე—კირილე არქიმანდრიტი მის მიერ გადაწერილ „კონდაკს“ უძღვნის ზებედეს.

საინტერესოა ჩვენში დაცული ზებედეს მიერ 1730 წ. ეფთვიმე არქიმანდრიტის თხოვნით მოსკოვში გადაწერილი „კონდაკი“. ხელნაწერს აწავს ასეთი მინაწერი ქართული ასოებით „ახ ბოყე მოი, ეალ უნოსთ სვოეი, ანინე ტაკოი სტაროსტ. ღმერთო ღირს მყავ ჩემი ქვეყნის ნახვას“⁴.

მართლაც, ზებედეს ამის შემდეგ ისევ საქართველოში ვხედავთ. 1737 წ. მას მარტვილში გადაუწერია „გულანი“, რომელიც შეუწირავს ზოტევის მონას-

³ ЦГИАЛ ф. 796, Опись документов и дел Синода, т. VI, 1726 №

5
232

⁴ საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნ. აღწერილობა ფ. H. ტ. VI, გვ. 279.

ტრისთავის. ხოლო მისი მოღვაწეობის შემდეგ წლებს შუქს ფენს ლენინგრადის ისტორიულ არქივში დაცული ანტონ კათალიკოსის წერილი სენატის სახელზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ანტონ კათალიკოსი ზებედეს რუსეთს გზავნის დავით-გარეჯის და იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია-მონასტერთა აღდგენისათვის.

მეორე საინტერესო პიროვნება, რომელიც რუსეთში წასულა ვახტანგისა და მისი ამალოს გამგზავრებამდე, არის კარგად ცნობილი რომანოზ არაგვის ერისთავი. იგი ჩვენს წინ წარმოდგება როგორც მოძრავი, დაუდგრომელი სულის ადამიანი, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და სასულიერო მოღვაწე.

მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივსა და ლენინგრადის ისტორიულ არქივში შემონახავთ მთელი საქმეები ამ პიროვნების შესახებ. პირველი, რაც თვალში ხვდება ადამიანს, ეს არის მისი განუწყვეტელი მიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის. რომანოზის თითოეულ წასვლა-წამოსვლას თავისი დიდი შინაგანი მიზეზი აქვს. სხვაგვარად, მართლაც და შეუძლებელი იქნებოდა აკვეხსნა, იმ დროის სამგზავრო პირობებში, რუსეთსა და საქართველოს შორის რომანოზ ერისთავის ამდენი მიმოსვლა.

მის საქმეში დაცული ცნობები ხაზს უსვამს რომანოზის ბედუქუდმართობას, რომ მას „ამ ქვეყანას (სამშობლოში) ერთს ალაგს დგომა და ყოფნა უნდოდა“, მაგრამ „ამ ქვეყნის (საქართველოს) განსაცდელმა ვერ აღუსრულა თავისი წადილი“.

მატერიალურად და ფიზიკურად რუსეთში უზრუნველყოფილ ერისთავს სამშობლოს ნახვის სურვილი რამდენჯერმე ატოვებინებს რუსეთის საზღვრებს. მაგრამ სამშობლო ქვეყანაში არსებული მფთოთი, რბევა-წყვეტა და სისხლისღვრა, გამოწვეული ხან ქვეყნის შიგნით არსებული აშლილობით და ხან ყიზილბაშთა თარეშით, საშუალებას არ აძლევს დარჩეს თავის ქვეყანაში და კვლავ რუსეთს მიმართავს. რომანოზი ყიზილარიდან მოსკოვში, ხოლო შემდეგ პეტერბურგში მიემგზავრება, სადაც რუსეთის ქვეშევრდომობას იღებს. პეტერბურგში რომანოზს სასულიერო წრეებში დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს. იგი ქართველ იერომონახ ეფთვიმესთან და იოსებ სამებელთან ერთად საეკლესიო ღვთისმსახურებას ასრულებს ეკატერინე იოანეს ასულთან. რომანოზი მიტროპოლიტის შუამდგომლობით პეტერბურგში ჩამოსულ ქართველ სასულიერო პირებს ნება ეძლევათ ჩაატარონ ღვთისმსახურება პეტერბურგის ცალკეულ ეკლესიებში.

1848 წელს კი, როგორც ერთი დოკუმენტი გვაცნობებს, „Митрополит Роман после веренесенной им тяжкой болезни просил увольнения в Грузию в Давид-Гареджский монастырь, чтобы там посхимиться и положить свое тело“⁵.

აქ არ შეიძლება არ გავგახსენდეს ზემოხსენებული ზებედე ზებედეს ძე, რომელიც სამშობლოში დამარხვავთ ოცნებობს, მაგრამ როცა გადაურჩა ავადმყოფობას, კვლავ რუსეთსაკენ იწევს. რომანოზ ერისთავიც, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, შორეული სამშობლოსაკენ ისწრაფვის, რომ უკანასკნელი

⁵ ЦГИАЛ ф. 796, оп. XX, 1740, № 519/514

დღეები იქ გაატაროს. ამჯერად რუსეთი უარს ეუბნება რომანოზ ერისთავს საქართველოში წასვლაზე, რადგანაც უკანასკნელად ჩამოსვლისას მან რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. როგორც ჩანს, მის განმეორებით თხოვნებს გაუჭირა და 1749 წ. მიუღია ნებართვა საქართველოში დაბრუნებისა, ე. ი. ფაქტურად საქართველოში დაკრძალვისა.

რომანოზ ერისთავი სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწე პირია. მას გადაუწერია ზოგი ხელნაწერი, მაგ. „ფსალმუნის კითხვის წესი“, იგი ითვლება მომგებლად ცალკეული ხელნაწერებისა, განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ გადაწერილი კრებული S 287.

როგორც დავინახეთ, არც ზებედე და არც რომანოზ ერისთავი არ არიან ვახტანგთან ერთად წასული პირნი. ზებედე არჩილის კოლონიის წევრია პეტერბურგში, ხოლო რომანოზ ერისთავი პირადი ინიციატივით რუსეთს გადასახლებული პირი, ვახტანგის ჩასვლამდე ჯერ კიდევ ორი წლით ადრე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ვახტანგის და მისი ამაღლის ჩასვლას პეტერბურგში განუზომელი სიხარული უნდა მოეგვარა, როგორც ერთი, ისე მეორე ემიგრანტისათვის. ისინი სიხარულით უერთდებიან ვახტანგის ამაღლას პეტერბურგში და სასულიერო პირებს შეიძლებისდაგვარად გზას უკაფავენ საეკლესიო ასპარეზზე. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანოზ ერისთავის ავტორიტეტი.

ახლად დაარსებული პეტერბურგის მოსახლეობის რიგებში მოხვედრილა სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოს გარეთ მყოფი ქართველობაც. სინოდის საკანცელარიო საქმეებში განხილულია მოსკოვში და შემდეგ პეტერბურგში მცხოვრები ერთი ქართველის საქმე, რომელიც პავლე პეტროვის სახელს ატარებს. ე. წ. პავლე პეტროვს, როგორც მონაზონს, უცხოვრია მოსკოვში, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად გადასულა პეტერბურგში ექიმ მინიატთან. აქ მას ანაფორა გაუხდია და თარჯიმნის როლს ასრულებდა. სინოდის მიერ წარმოებულ დაკითხვაზე პეტროვი პასუხობს, რომ არის ქართველი, დაბადებულია სტამბოლში, სადაც ჯერ კიდევ ბავშვობისას დაუტყვევებიათ თურქებს. თურქების ტყვეობიდან იგი გამოუსყიდა ბერძენ არქიმანდრიტ გაბრიელს. გაბრიელსავე ჩამოუყვანია იგი რუსეთში, აღკვეცის გარეშე ჩაუტყვევია მისთვის ბერის სამოსი და სახელად უწოდებია ბერძნული სახელი—პაისი. პეტერბურგში მისი გადმოსვლაც მომხდარა გაბრიელის დახმარებით, რომელსაც იგი გამოუგზავნია თარჯიმნად თავის მეგობარ ექიმ მინიატთან, რადგანაც ამ ექიმს არ სცოდნია რუსული ენა.

სინოდის ძიებაზე გამოძახებული გაბრიელი, მართლაც, აცხადებს, რომ პეტროვი ნაყიდა თურქეთის ფაშისაგან, რის დამამოწმებელი საბუთი მას კიდევ ჰქონია, მაგრამ დაუხევია. მონაზვნის კაბით შემოსვა კი მას მოუხდენია სტამბოლის არქიერის ანანიას ნებართვით, ხოლო პეტერბურგში უნებართვოდ პეტროვი მას ჩაუყვანია იმის გამო, რომ როგორც ბერძენი, არ იცნობს ადგილობრივ კანონებს.

საქმე შემდეგში განსახილველად გადასცემია სინოდალურ კანტორას, რომელიც ადგენს: «Петрову объявлено, чтобы он впредь никогда монашеского платья на себя не налагал и в нем ходить и монашеским именем

называться отнюдь не дерзал, нонеже он носил то платье без правиль-ного пострижения и отверг оное от себя самопроизвольно»⁶.

ასე თავისდაუნებურად ბრალდებებში გაეხეცა სტამბოლში გაყიდულა ქართველი კაცის შვილი, რომელმაც ბავშვობაშივე მშობლის ბედი გაიზიარა.

ის არც თურქია, არც ბერძენი პაისი და არც რუსი პეტროვი, მაგრამ ცხოვრების პირობებმა მას საკუთარი გვარი და სახელიც გადაავიწყა, თავის ქართველობაც მხოლოდ იქიდან იცის, რომ ფაშას მიუცია ამის საბუთი ბერძენი ვაზრიელისათვის.

რა თქმა უნდა, ამ ქართველს, რომელმაც თვითონაც ძლივს იცის თავისი ქართველობა, იმ დროს პეტერბურგში მყოფი ქართული კოლონიის წევრები ვერც იცნობენ და მასთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

ვახტანგის სამეფოს პირველი წარმომადგენელი პეტერბურგის სამეფო კარზე

სპარსეთში ლაშქრობის თაობაზე მოლაპარაკებისას პეტრე I და ვახტანგ VI შორის შუამავალ პირად რუსეთში გვევლინება ბაადურ თურქესტანიშვილი, რომლის სახელს სწორად ვხვდებით ისტორიულ საბუთებში და იმ მიმოწერაში, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის წარმოებდა 1722 წ. მოწყობილ სპარსეთის ლაშქრობის საკითხებზე.

როგორც ცნობილია, სპარსეთში ლაშქრობის გეგმის ჩაშლამ ცუდ დღეში ჩააგდო საომრად მომზადებული ვახტანგ VI. ამ დროს ბაადურ თურქესტანიშვილი ვახტანგისაგან პეტრე პირველთან არის წარგზავნილი და ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი ვახტანგ VI პირადად მასაც სდებს დანაშაულს დადებული შეთანხმების დარღვევაში. „შენც ხომ კარგად იცი, ქართველი კაცი ამდენის ხნის ლაშქრობას ვერ გასძლებს, ნუშლი შემოაკლდების და შეწყუხდებიან, რაც გვატყუე ის გეყოფის, მართალი ამბავი მოგვწერეთ“⁷, სწერს ვახტანგი ბაადურ თურქესტანიშვილს.

მეორე წერილში ვახტანგ VI საქრისტიანოს უბედურებას და ზარალს ბაადურის ელჩობას აბრალებს: „Господин Баадур, сколько христианам и монастырям через твое слово раззорение пришло, о чем богу отповедь надобно тебе отдать“⁸.

რა თქმა უნდა, არც ბაადურს და არც რომელიმე სხვა ელჩს არ ძალეღვა იმ სტრატეგიული გეგმების შეცვლა, რომელიც იმხანად რუსეთს დასჭირდა. ასეა თუ ისე, ბაადურ თურქესტანიშვილი ვახტანგის კოლონიის პირველი წარმომადგენელია პეტერბურგის სამეფო კარზე.

რუსეთში მყოფ ელჩს, როგორც ჩანს, ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია არა თუ მაღალ წრეებთან, თვით სამეფო სახლის წარმომადგენლებთანაც კი. ამ მხრივ საინტერესოა ეკატერინე იოანეს ასულის წერილი ბაადურ თურქესტანიშვილისადმი, რომელიც 1873 წ. გამოქვეყნდა ჟურნალ

⁶ ЦГИАЛ, ф. 796, оп. XVI, 1736, № $\frac{92}{352}$.

⁷ Броссе, Переписка грузинских царей с Российскими государями, Спб., 1861, 88. 115.

⁸ АВРП, 110, 1723 г., д. № 3.

„Русская старина“-ში.

„Господин князь Борис, не радуйся, что ты в Москве, и ежели бог изволит и я буду скоро в Москве и приеду в Всесвятское. Я стану у царевны а у тебя станет человек добрый, про кого ты знаешь. Царевна Екатерина» Из Петербурга, 21 декабря 1722 г.

Благодарю, что у меня гуляли на дворе и веселились“.⁹

როგორც წერილის შინაარსი და ხასიათი გვამცნობს, ბ. თურქესტანიშვილს ამჯერად რუსეთში საკმაოდ მოეგობებოდა მეგობრები. პირველი რიგში ეს ვსესეი-ატსკოეს წრეა—დარეჯან არჩილის ასულის ნაცნობ-მეგობართა გარემო, სადაც, როგორც ჩანს, ხშირად სტუმრობს ეკატერინე იოანეს ასულიც და ბორის თურქესტანიშვილიც. წერილიდანვე ვტყობილობთ, რომ ბ. თურქესტანიშვილი პეტერბურგის სასახლის წვეულებათა საპატიო სტუმრად ითვლება.

ამრიგად, ბ. თურქესტანიშვილი პირველი ქართველია, რომელიც საქართველოდან პეტერბურგს საგანგებო დავალებით ესტუმრა, ხოლო შემდეგში მისი მუდმივი მკვიდრი და პეტერბურგის ქართული კოლონიის წევრი გახდა.

ვახტანგის და მისი ამაღლის პირველი ჩასვლა პეტერბურგს

1724 წელს ვახტანგ VI 1200 კაციანი ამალით რუსეთის გზას დაადგა. მიემგზავრებოდა ვახტანგი რუსეთს და თან მიჰყვებოდა ქართველთა გოდება რუსეთის ხელმწიფესთან. „ასე მაგათს ურჩს გაუჭიროს საქმე, როგორც ყოველს საქართველოსა და საქართველოს კაცთ რჯულით და ქვეყნით ურჯულოთაგან ჩვენ საქმე გავეკვირდა. ერთი ქვეყნის მომღელი რამ იყო, ეს მეფე ვახტანგი იყო, ესეც დაგებარებინა და მანდ წამოვიდა და ასე დაერჩით. ჩვენი საიმედო ამის მეტი არა არის რა, რომე ეგება მაგათგან ერთი ზურგი მოებას და ამ ქვეყანას მოეშველოს, თვარამ ეს ქვეყნები გაუთათრებელი არ დარჩება. ახლა ჩვენი სახვეწარი ეს არის მაგათი საფარველი დაგვდვან...“¹⁰—წერდა შოშიტა რაჰის ერისთავი რუსეთის იმპერატორს.

ვახტანგის რჩეულ ამაღას მიჰყვებოდნენ სამეფოს საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთაგან ზოგი შვილს ტოვებდა, ზოგი კი მშობელს. მიმავალთ წერილს ატანდნენ მართოდ დარჩენილი მშობლები და რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდნენ: „თქვენ იცით და თქვენმა ხელმწიფობამ... უფროსი შვილი თქვენს საფარველს ქვეშ მოდის, თქვენი ანგელოზებრივი თვალ-ყური უგდეთ, გებრალეობდეთ ასე დარჩენისათვის, ბატონო“¹¹.

1724 წ. 5 სექტემბერს ვახტანგმა ასტრახანიდან პეტერბურგს გაგზავნა ვახტანგ ამილახვარი და ფრანგისტან თურქესტანიშვილი, ვახტანგი პეტერბურგში ჩასვლის ნებას ითხოვდა... მალე ვახტანგმა პეტრე პირველისაგან მიიღო წერილი, რითაც მას ნება ეძლეოდა მცირე ამალით პეტერბურგში გამგზავრებულიყო.

⁹ „Русская старина“, 1873, т. VIII, гл. 51.

¹⁰ Переписка груз. царей с российскими государями, гл. 173.

¹¹ იქვე, გვ. 161.

ამრიგად, ვახტანგ მეფე გაემგზავრა პეტერბურგს და თან იახლა 82 კაცი. მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული სია გვაცნობს, ვინ შევიდა იმ ამაღლში, რომელიც ვახტანგს გაჰყვა პეტერბურგში. ესენი იყვნენ: Царь грузинский, Бакар Вахтангович, Симен Леонович, Туркистан Туркестанов, Князь Эдишер, Князь Даднани, Борис Туркестанов, Протопоп Георгий, Князь Палавандов, кн. Ростом, Секретарь Мельхиседек, Франгистан Туркестанов და სხვა თავადები, რომლებიც იხსენებიან მხოლოდ სახელებით¹².

როგორც ვიცით, ვახტანგი პეტერბურგისაკენ ისწრაფვოდა პეტრე პირველთან შეხვედრის მიზნით. მაგრამ ცარიცინს მიახლოებულ ვახტანგს და მის ამაღლას ეუწყათ საზარი ცნობა, რომ პეტრე პირველი პეტერბურგში გარდაცვლილიყო.

ჩვენი ისტორიკოსებიც და პოეტებიც, რომელთა თხზულებებშიც მოთხრობილია ვახტანგის რუსეთს გამგზავრების ამბავი, საგანგებოდ ჩერდებიან ამ მძიმე მომენტზე. „ხელმწიფე თურმე ოცდა-რვას იანვარს ამიერ სოფლით მიფარულიყო, შეექმნათ მწუხარება და გლოვა, მაგრამ ბრძანებასა ღუთისასა არა გაეწყობოდა რა“—მოგვითხრობს სეხნია ჩხეიძე. მისივე ცნობით, ვახტანგი თავის ამალითურთ იძულებული გახდა მოსკოვში გამგზავრებულიყო.

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი გულწრფელად მოგვითხრობს, რომ გარდაცვალების წინ პეტრე პირველს ანდერძი დაუტოვებია: „საქართველოს უპირსო და რჯულის გულისათვის მოეხმარნითო, ჩემის ხაზინით ჯარი ათხოვეთო“¹³. ხოლო „ვახტანგიანის“ ავტორი პოემაში პეტრე პირველის ანდერძს ასე გადმოგვცემს:

„გარდავლე ესე სოფელი მტრისა მამსვრელმა ხმლიანმა,
 ნურვინ გყოთ შეწუხებული ჩემი სიკვდილის ზიანმა!“¹⁴.

სეხნია ჩხეიძის ცნობით, ამ ამბის გაგების შემდეგ ვახტანგი გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ორ თვეს გაჩერდა. შემდეგ ეცნობა ეკატერინე დედოფალს ვახტანგის ჩასვლა, „ეზოძა სამასი თუმანი და დაებარებინა მასს“—პეტერბურგში. ვახუშტის ცნობით, მოსკოვში მას „დახვდა დარეჯან ასული არჩილ მეფისა და შეიტკბნენ ფრიად. შემდგომად მივიდა პეტერბურგს იმპერატრიცის ეკატერინეს წინაშე და მან პატივსცა მეფებრ დიდებით და მიანიჭნა ურიცხვნი“. ვახტანგის ამაღლის პეტერბურგში პირველ ჩასვლას ეხება გაბრიელ გელოვანის გადაწერილი „გეოგრაფიის“ ანდერძი. იგი იხსენიებს მას, თუ „დედოფალმა ეკატერინემ ვითარ ნუგეშნი სცა ანუ რაგვარად უზომოებით წყალობა მიანიჭა“ პეტერბურგში პირველად ჩასულ ვახტანგს. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ: „თუმცაღა თვით არა ეხილვა, ვისმე უხილავთა კაცთაგან უსაზღვრო პატივი არა ირწმუნებოდა, რომელი პანკრატიონთა შარავანდედთა შორის გვონებ არცაღა ვისმე მიეთვალოს“¹⁵.

¹² АВПР ф. 110, 1726, № 1.

¹³ ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 459.

¹⁴ ლიტ. ძიებანი, ტ. 4, გვ. 201.

¹⁵ ს. S. 1131.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეებში დაცულია ბრძანებულება, რომელიც ეხება ვახტანგის პირველ ჩასვლას პეტერბურგში და ეკატერინეს მიერ ბოძებულ წყალობას:

„Во знак своей к нему царю Вахтангу милости, Кавалерию святого Андрея ему дать указала,

1. Жалованную грамоту на царство грузинское по желанию и прошению его дать только, чтоб он оную содержал в Москве.

2. Гвоздь Господень отдать ему, только б он содержал его в Москве в дому своем, а из России никуда не вывозил.

3. Деревни сестри его царевны Дарьи Арчиловны по наследству отданы будут изъявляя те, которые она кому при жизни своей определит.

4. Сыну его царевичу Георгию при дворе быти ее величества соизволяет и предать на его волю, когда он похочет его присаать“.¹⁶

შემდგომში, როგორც ცნობილია, ამ ბრძანების შესაბამისად დარეჯან არჩილის ასულის მამულები ებოძა ბაქარს, ხოლო პეტერბურგში აღზრდილი გიორგი ვახტანგის ძე ერთხანს პეტერბურგშივე დარჩა საცხოვრებლად.

ვახტანგის პეტერბურგში პირველად ჩასვლასთან დაკავშირებით საინტერესოა იმავე საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტი „святишему Правит. Синоду из канцелярии Александровенского монастыря“.

ზემოაღნიშნული განცხადებიდან ვხვდებით, რომ პეტერბურგში ახლადჩასულ ვახტანგისა და მისი წრისთვის გამოუყვიათ ერთ-ერთი მოზრდილი კარტა, თან უახლებიათ პოლკოვნიკი ლუტკოვსკი, მეეტლედ ჰყოლია გამოცდილი მეეტლე მარკ ნიკიტინი, სტუმრებს დაუთვალეირებიათ კრონშტატი, პეტერპოფი, ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები და სტუმრად ყოფილან მიწვეული ცალკეულ ოჯახებში. ასტრახანში დარჩენილი ვახტანგის ამაღის ნაწილი გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, ვახტანგს თავისი ამაღის წევრები არ დავიწყებია, მაგრამ სამეფო კარზე გამგზავრებულ ვახტანგს იმხანად თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის რეალური შესაძლებლობა არ მისცემია. ამიტომ იგი და მისი მცირე ამაღა, რომელთანაც ერთად იგი პეტერბურგსა და მოსკოვში იმყოფებოდა, მატერიალურად და ფიზიკურად თუმც თავს უზრუნველყოფილად გრძნობდა, მაგრამ პოლიტიკური მიზნების შესრულების საქმეში სრულ გაურკვეველობას განიცდიდა. ამიტომაც იმავე წელს პეტერბურგიდან მოსკოვს მიმავალი ვახტანგი ადგენს თხოვნას, რომლის პასუხი დაცულია საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში: „Когда де кто из грузинцев с ним царем прибывших пожелает ехать в свою землю по жен или других нужд своих, дабы оные могли в том свободу иметь.“

Начто ему царю дано позволение и предано в волю его“.¹⁷

თხოვნის ამ პასუხიდან ჩანს, რომ ვახტანგს შესაძლოდ მიაჩნია—რუსეთში გამყოლ პირთა გარკვეულმა ნაწილმა უკან დაბრუნება ამჯობინოს.

¹⁶ АВПР, ф. 110, 1725, № 1. (საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან.)

¹⁷ АВПР ф. 110, 1727 г. № 2.

დანაბარების ლოდინში

ამრიგად, რუსეთში ჩასული ვახტანგისათვის ცხადი შეიქნა, რომ ამჯერად რუსეთი საქართველოსათვის ვერ მოიცლიდა, მაგრამ სულ მალე, როცა რუსეთი საამისო დროს იპოვნდა, რუსეთში მყოფი ქართლის სამეფოს წარმომადგენლები რუსეთთან ერთად რისხვად მოველინებოდნენ სპარსეთ-ოსმალეთის ქვეყნებს.

ვახტანგის ოჯახის წევრთა შორის თავისი აქტიურობით და მოქმედებით გამოირჩევა ბაქარ ვახტანგის ძე. იგი მამასთან ერთად უშუალო მონაწილეა ქართლის პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და ქართლის უკეთესი მერმისის დაუცხრომელ ძიებაშია.

ჯერ კიდევ პეტერბურგში ახლად ჩასული ბაქარი სამეფო კარის სახელზე აღგენს თხოვნას, რომელიც ოთხი პუნქტისაგან შედგება. ამ თხოვნიდან ჩანს, რომ ბაქარს იმედი აქვს, — საქართველო-რუსეთის კავშირი რამდენიმე ხანში საკირო შედეგს გამოიღებს, ოღონდ მანამდე საჭიროა გზების გამოხსნა იმ ხალხის განსამხნეველად, რომლებიც სპარსეთ-ოსმალეთის მუქარას მთლად არ გაუტეხია.

ამაშია სწორედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა რუსეთში არსებული ქართული კოლონიებისა. მათი რუსეთში არსებობა და სამეფო კართან კავშირი იმედგრებს და ასულდგმულებს საქართველოში მყოფთ, ამიტომაც წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი: „Грузинская колония в Москве была настоящим центром политических эмигрантов-патриотов, неустанно борющихся за дело освобождения родины от насилия кизилбашей и турок“¹⁸

1728 წ. ვახტანგ VI კასპისპირეთის საკითხთა მოსაგვარებლად გაიგზავნა გილანს. 1729 წ. 17 დეკემბერს სენატს ეცნობა, რომ ბაქარ ვახტანგის ძეს მიეცა გენერლის ჩინი და ბრძანება არტილერიაში დარჩენისა.

1730 წ. ვახტანგისა და ქართლის სამეფოს სხვა წარმომადგენლებს სიტყვიერად ეცნობათ, რომ: „Как при настоящем времени с Российской стороны в Грузию на помощь войска послать, когда с турками содержится мир, который через такой безвременный яоступок легко нарушен будет“¹⁹.

ამ წელს ვახტანგი კვლავ პეტერბურგშია და თანდათან რწმუნდება თავისი მოქმედების განუხორციელებლობაში. ვახტანგ VI ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „კეშანი“, 1730 წ., ჩვენი აზრითაც, სწორედ პეტერბურგშია დაწერილი, როგორც აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს.

„დავემონე კეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად.
ლხინის ბადის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად,
ველი, სამე გამომიჩნდეს გამომყვანი დასალამად.

¹⁸ Н. А. Бердзенишви ли, Путеводитель к выставке—Грузинская колония в Москве, Мимომზილევი, III, გვ. 283.

¹⁹ АВР (ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან).

1731 წ. ანა იოანეს ასულის სახელზე ვახტანგ VI წერს წერილს, რაშიც ახსენებს რუსეთს ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობას. წერილი საესეა ისეთივე კაეშნით, როგორც ზემომოყვანილი „კაეშანი“. „Всепросветлейшая и великая государыня. . . Анна Иоановна. . . Российского государства обычаи есть человекаубийица разбойника без покаяния не умертвят и единого челобитья без резолюции не оставляют, а я уже седьмой год о сем прошу, но токмо и по се времени резолюции не получу и тако боже, столько разорения [изменнику] государства российского, сколько я на сем свете разорился. А ежели моими причинами вторично Грузия разорится и обусурманится то конечно я здуюшо пропаду“²⁰.

1732 წ. ვახტანგი ისევ პეტერბურგს ეწვია.

ეს ის პერიოდი, როდესაც თამაზ შაჰის სარდალმა ნადირმა ოსმალთა ჯარი დაამარცხა და მას აზერბაიჯანი გამოაცალა. ამ ამბავმა ქართველები ოსმალთა წინააღმდეგ უფრო მედგრად ამოქმედა. საქართველოდან ვახტანგი ზედიზედ ლეზღულობს წერილებს, რაშიაც ქართველი თავადები აცნობენ ქართლის მდგომარეობას, ხელსაყრელი დროის დადგომას და სთხოვენ დააჩქაროს დახმარების მიღება და თვითონაც დაბრუნდეს: „ახლა რომ თქვენ დრო და საქმე გაქვსთ, თუ მოინდომებთ მართო ქართლს არა და ძველიდგან საზღვრებს სრულ შემოიკრებთ. წინააღმდეგი არავინ ჰსჩანს ასეთი, რომ შეეძლოს რამე. ღმერთმა იცის, ამათ ვისაც ეს ქვეყანა დაუგდევით, თავი ხელთ აღარა. აქვსთ. შენი იგზობელი რომ არის არაფერი შეუძლიან, თუმცა შეეძლოს რამე, რადგან თქვენ ამ ქვეყანას ასე უინადეთ და აღარა ინაღვლეთ რა, ის დაიჭერდა.

...თუ ქართველთას ბრძანებ, ღმერთმან იცის, ყოველს კაცს უნდა მანდელამ შეწევსა. ერთმანეთი აღარაფერი სამღურავი არის, ყოველმან კაცმან თქვენს ერთგულებაზედ პირი შეკრეს კიდევ... ს.მი ოთხი პოლკონი გამოითხოვეთ, სხვა არც კი გინდათ... თუ გინდათ ეს არის, თუ არა, გინდათ მან სხლომა და ბატონი ბრძანდებოდეთ. ბოლო რაც მოხდეს ნურავის დააბრალებთ. არც ღმერთთან გექნებათ პასუხი, არც კაცთან. ამ ქვეყნის სისხლსა და წახდენას თქვენგან იძევს“²¹—წერს ვახტანგს ბესარიონ კათალიკოსი.

„ღმერთი მამეცეს თავდებად, დაიჯერეთ, ესე ქვეყანა დაკარგული არის თქვენგან, თუ თავს არ შეიდებთ. დამიჯერეთ, ახსენე ღმართი და ეცადნეთ რასმე. ღმერთმან მოგაყენათ დრო, ნულარ გვიანობთ, თუ ეს ქვეყანა გინდათ, ეს არს, თუ არა და ნება თქვენია“²²—წერს შოშიტა ერისთავი ვახტანგს იმავე ხანებში.

„ურუმი ისე დასუსტდა. რომ ბაღდადი წაართვეს, ორასი კაცი არ არის ქართლში, მანამდე მე ეს გზა მიჭირავს, მობრძანდით, ხონთქარი, ყვენი თქვენ შემოგვიწვევებთ, ეს ქვეყანაც მუქთად თქვენ დაგრჩებათ... თუ ეხლა არ ეცადეთ, დაიკარგა ეს ქვეყანა თქვენიდამ“²³—იწერება ბარძიმ არაგვის ერისთავი.

ვახტანგმა საქართველოდან მიღებული წერილები რუსულად ათარგმნინა და იმპერატრიცას წარუდგინა, სთხოვდა საჭირო დახმარებას და ან მის, ან ბაქარის საქართველოში წარგზავნას. იმპერატრიცამ ვახტანგს აღუთქვა მატერიალური დახმარება, მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავების გამო ჯარებით დახმარებაზე უარი განუცხადა.

²⁰ АВПР ф. 110, 1731 г. (ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან)

²¹ ბ რ ო ს ე. переписка груз. царей. . . . გვ. 199.

²² იქვე, 207.

²³ იქვე, გვ. 192.

1733 წ. ვახტანგმა ანა იოანეს ასულის მოთხოვნის საფუძველზე წარგზავნა „Известия о состоянии наших краев“, რაშიც 16 საკითხი იყო განხილული. ვახტანგი კვლავ ითხოვს, რომ ან ის და ან ბაქარი გაიგზავნოს საქართველოში. ამვე დროს იგი ასვენებს იმპერატორს თავის დამსახურებას რუსეთის წინაშე, კერძოდ გილანში წარგზავნის ამბავს: „Прежде сего послан был в Гилян и дана мне инструкция, и сверх той инструкции к пользе Российской Империи многие услуги оказал“. ვახტანგი გულმოკლულია იმით, რომ მისი ღვაწლი რუსეთის სამსახურში ჯეროვნად არ დადასდა: „Только от зависти все уничтожено, якобы виноватого зделали.“²⁴ აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ვეროიდიდან დაბრუნებული სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები იმავე ვახტანგის მიმართ:

„მეფისთვის მოვკვდი, ვერა სცნა, არც ვინ აუწყა შორითა, ჩემნი ერთგულნი სარჯელნი ბოროტად უთხრეს ჳორითა“.

ვახტანგის თხოვნის საფუძველზე ანა იოანეს ასულმა გასცა განკარგულება, რათა ვახტანგი და ბაქარი კასპიისპირეთისაკენ გამგზავრებულიყვნენ (დერბენდი—ბაქო), აქ ისინი უნდა შეხვედროდნენ რუსეთის სარდლობას. როგორც დ. გურამიშვილი გვაუწყებს; მათ გზაშივე გაიგეს, რომ შემასია თამაზ ხანს დაეპყროა, ე. ი. სპარსეთს დაეკავებინა.

1737 წ. პოლიტიკურ მიზნებსა და იმედებში დამარცხებული ვახტანგ VI გარდაიცვალა.

ვახტანგის ამაღლის წმინდა პეტერბურგში

უნდა აღინიშნოს, რომ პეტერბურგში დასახლებული ქართველობა ბევრად ნაკლებია რუსეთის სხვა ქალაქებში მყოფ ქართველთა რაოდენობაზე. ამის მიზეზი ძირითადად ორი რამით უნდა აიხსნას: ერთი ის, რომ პეტერბურგი წარმოადგენდა სატახტო ქალაქს, რომლის დასახლებასაც რუსეთის სახელმწიფო გარკვეული გეგმით აწარმოებდა, მეორე ის, რომ პეტერბურგის მკაცრ პავს ადვილად ვერ ეგუებოდნენ ქართველი ემიგრანტები. ამან განაპირობა, ალბათ, ის გარემოება, რომ ვახტანგის მრავალრიცხოვანი ამალიდან პეტერბურგში საცხოვრებლად შედარებით მცირერიცხოვანი ქართველობა დარჩა. მათგან დიდი ნაწილი სასულიერო პირებს ეკუთვნოდა, გარკვეულ ნაწილს სამეფო ოჯახის წევრები და ნათესავები ქმნიდნენ, დანარჩენები კი მათი პირადი ამაღლის წარმომადგენლები იყვნენ.

სანამ ცალ-ცალკე შეეცებოდნენ ამ კოლონიის ზოგიერთ წარმომადგენელს, ზოგადად გაეცნოთ მათ საქმიანობას.

როგორც მოსალოდნელი იყო, პეტერბურგში ჩასვლისთანავე სასულიერო წოდებამ იწყო საქმიანობის ძიება. დაიწყეს ზრუნვა საეკლესიო ღვთისმსახურების ჩატარების უფლების მოსაპოვებლად. ასეთი საჭიროება ქართული კოლონიის წინაშე იდგა, რადგანაც ჩასულთა უმეტესობამ არ იცოდა რუსული

²⁴ Грузинские дела, 1733, № I (ისტორიის ინსტიტ. არქივიდან).

ენა და ქართულად ღვთისმსახურების წარმოება მათთვის აუცილებელი იყო, მაგ. სინოდის საქმეებში ნათქვამია: „Царь Вахтанг чрез посланных своих служителей, объявляя что церкви в его доме не имеется, требовал, чтоб игумену Христофору и священнику Евстафию позволено было отправлять священнослужение временно в церкви при кадетском корпусе“.²⁵

შემდეგ პეტერბურგის საეკლესიო წრეებს ეცნობიან და ავტორიტეტს იხევევენ ისებ საშემელი, ფეოდალსი გუჯარელი და სხვანი, რომლებიც მალე რუსულ საეკლესიო ღვთისმსახურებასაც ეუფლებიან და რუსული ეკლესიის სხვადასხვა საცერემონიალო შემთხვევებში მონაწილეობას იღებენ. მაგ: სამე-ბელი და რომან მიტროპოლიტი ესწრებიან „на освящении церкви св. Симеона Богопримима“. იგივე რომანოზი და იოსებ სამეგელი ღვთისმსახურებას უტარებენ ეკატერინე იოანეს ასულს ალექსანდრე ნეველის მონასტერში.

საეკლესიო ღვთისმსახურების უფლება ყველას როდი ეძლევა. მაგ. მღვდელ მოსე გიორგის ძეს დაუკარგავს ეს უფლება, მღვდლად დადგინების სიგელის დაკარგვის გამო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ანა იოანეს ასულის ტახტზე ასვლის ცერემონია-ალში უკვე იხსენიება პეტერბურგის ქართული სასულიერო წოდება.

შემდეგ წლებში პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სასულიერო პირებს დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ ტყვეთა გამოსყიდვის საქმეში, რაც ამ კოლონიის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მატყვენებელია.

პეტერბურგში დასახლებულ ვახტანგის ოჯახის წევრთაგან, როგორც ეს უკვე ცნობილი ვახდა პროფ. ვ. დონდუას გამოკვლევებიდან, ყურადღებას იპყრობს სვიმონ ბატონიშვილი.

პროფ. ვ. დონდუას მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში „ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან“ მოცემულია სვიმონ ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის მთავარი პერიოდები. ავტორი აღწერს სვიმონ ბატონიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას ჯერ კიდევ ქართლში ყოფნისას, ხოლო შემდეგ ეხება მის და მისი ოჯახის ცხოვრებას პეტერბურგში. ნაშრომმა დაგვანახა, რომ „სვიმონ ბატონიშვილი გვევლინება როგორც თავისი დროის მოწინავე ადამიანი, ევროპა-რუსეთის პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის სასარგებლოდ უარმყოფელი ქვეყნის აზიური, დრომოქმული ტრადიციებისა. ხოლო მისი და მისი ოჯახის თავგადასავალი საეულისხმო ილუსტრაციაა იმდროინდელ პროგრესულ ქართველთა ცხოველი რწმენისა, რომ ზნეობრივი და გონებრივი ზრდის პირობები მათთვის სწორედ რუსეთში უნდა მოპოვებულიყო“.²⁶

პეტერბურგის ალ. ნეველის ლავრის ეზოში მოთავსებულ საფლავთა წარწერების მეცნიერულმა ანალიზმა მეცნიერს შესაძლებლობა მისცა, დაედგინა სვიმონ ბატონიშვილის ვაჟების საინტერესო ბიოგრაფია, რომელთაგან ერთერთი პოლანდიაში „дел отечеству полезных учился“. როგორც მეცნიერი წერს: „ეს გარემოება რამდენადმე მოგვაგონებს მისი ახლო წინაპრის ალექსან-

²⁵ ЦГИАЛ—ф. 796, 1734г., № I, 3
306

²⁶ ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 64. მიმოხილველი III.

დრე არჩილის ძის ბედს, რომელსაც წილად ხვდა ამავე მიზნით პოლანდიაში ყოფნა, ვით პეტრე პირველის „დიდი ელჩობის „მონაწილეს“.

1738 წ. ალექსანდრე მეფის წარმომადგენლად რუსეთში მიემგზავრება ტიმოთე გაბაშვილი, რომლის პეტერბურგში ყოფნა შესწავლილი და გამოკვლეული აქვს ელენე მეტრეველს თავის მნიშვნელოვან ნაშრომში²⁷.

ტიმოთე გაბაშვილის პეტერბურგში ყოფნას შეეხო სოლ. ყუბანეიშვილიც თავის წერილში „ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში“²⁸.

ტიმოთე გაბაშვილის პეტერბურგში ჩასვლას, ორგვარი მიზანი ჰქონდა— დიპლომატიურ-პოლიტიკური და უფრო კერძო ხასიათისა. ეს უკანასკნელი გამოიხატა იმ გაუფებრობის გამორკვევაში, რაც მოხდა ვახტანგის ამაღლის წვერთა და ალექსანდრე V შორის. ტიმოთეს დავალებული ჰქონდა გამოეძია იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიერ პეტრე პირველისადმი გაგზავნილი ნივთების ბედი.

როგორც ელ. მეტრეველი წერს: „ამ საქმეს მეტად უსიამოვნო ხასიათი მიუღია და გაუფუჭებია ვახუშტის ოჯახის წევრებსა და ტიმოთეს შორის დამოკიდებულება, რის გამოც ტიმოთემ ვერ დაამყარა კონტაქტი მოსკოვში მცხოვრებ ქართველებთან, ვახტანგის კოლონიის წევრებთან“²⁹.

ქართველი ჰუსარები პეტერბურგში

გავიდა 15 წელი, რაც ვახტანგის ამაღა რუსეთის კარზე იმყოფებოდა. საერთაშორისო მდგომარეობა ისე წარმოართა, რომ რუსეთის მთავრობა ვერ ჩაერია ქართლის სამეფოს საქმეში. ამას თან დაერთო, როგორც დ. გურამიშვილი წერს, ისეთი ბოძის წაქცევა, როგორც ვახტანგი იყო სხვის კარზე მყოფთათვის. და 1738 წ. 87 ქართველი თხოვნას წერს ანა დედოფლის სახელზე, რომ მიიღონ ისინი რუსეთის სამსახურში და ჩამოაყალიბონ ქართული ჰუსართა პოლკი.

ჩვენ საბუროდ აღარ მიგვაჩნია ქართულ ჰუსართა პოლკზე დაწვრილებით შეჩერება, რადგანაც ამ საკითხზე არსებობს სპეციალური ნაშრომი—ს. ყუბანეიშვილის წიგნი. ჩვენ შევეხებით ჰუსართა პოლკს იმდენად, რამდენადაც ქართველ ჰუსართა პოლკში პეტერბურგში მცხოვრებნიც შევიდნენ.

მოსკოვში დაცულია: „Реестр грузинским князьям и дворянам, которые вступают в службу ее импер. величества“. მასში ცალკეა გამოყოფილი ის სია, რომელიც პეტერბურგში მყოფ ქართული ჰუსართა პოლკის ოფიცრებს გულისხმობს.

«Обретаются в С. Петербурге

кн. Евг. Амилахоров — 24

Георги Амилахоров — 17

Папуна Цициев — 40

Дмитрий Цициев (По кабинетской резолюции
определен в Кадецкий корпус)

Гиви Баратов (у него сын Иван трех лет)

сын его кн. Сергей Баратов — 17

кн. Франгистан Туркестанов (у него сын Петр

трех и сын Давид двух лет)

²⁷ ტ ი მ თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა, 1956 წ.

²⁸ ტიმოთე გაბაშვილი რუსეთში, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული

²⁹ მიმოსლვა, 1956, გვ. 097.

კნ. Ростом Саакаძვე — 25

კნ. Адам Цициев

კნ. Иотам Эристов (უ него Эристава сын с трех лет) — 31

Дворяне

Герасты Тулаев — 35

Иосиф Хмеладзе — 35

Гиви Шаневы — 36

Дмитрий Кафтарев — 38»³⁰.

ჩვენს მიერ შემომოყვანილ იმ პირთა სიიდან, რომლებიც პეტერბურგის სამხედრო ნაწილში დარჩნენ, ყურადღებას იპყრობს ორი პიროვნება, პაპუნა ციციშვილი და ევგენი ამილახვარი, რომელიც აგრეთვე ელისეს სახელით უნდა იხსენიებოდეს.

1741 წ., როგორც ცნობილია, სამხედრო კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომ ჰუსართა პოლკები ერთნაირი ფორმით ყოლოდათ.

ქართულ ჰუსართა პოლკში ამ გადაწყვეტილებას დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ს. ყუბანეიშვილს მოყვანილი აქვს ცნობა, რომ 1741 წ. 30 დეკემბერს ქართველი პოლკის მაიორმა ელისე ამილახვარმა და კაპიტანმა პაპუნა ციციშვილმა სახელმწიფო სამხედრო კოლეგიას მიმართეს თხოვნით, რაშიც გაკვირვებლად გამოხატავდნენ ძველ ფორმასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე და ცდილობდნენ სამხედრო კოლეგია დაერწმუნებინათ ქართული ფორმის უპირატესობის შესახებ.

ამ საქმეს მსვლელობა არ მისცემია, ამგვარი საკითხებისათვის იმ დროს სამხედრო კოლეგიას აღარ ეცალა, რადგანაც ამ ხანას დაემთხვა რუსეთ-შვეციის ომი. რუსეთ-შვეციის ომში კი გმირულად დაეცა ამ წამოწყების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ჰუსართა პოლკის კაპიტანი პაპუნა ციციშვილი³¹.

ქართული ჰუსართა პოლკის წარმომადგენელთა მატერიალური მდგომარეობა, როგორც ჩანს, კარგი ყოფილა. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის ცენტრ. არქივში დაცული ერთი საბუთი. ეს იმ ნივთების სიაა, რომელიც ევგენი ამილახვარს საქართველოში გამოუგზავნია რუსეთს მყოფი ზაქარია ციციშვილის ზღლით. ზაქარია ციციშვილს ეს ნივთები ჩამოუტანია და თვითონვე დაუწყია მისი ფლანგვა. ევგენის სრული ნუსხა, როგორც ჩანს, ებარა ვიღაც გიორგი მღვდელს, რომელიც შეწუხებულია ამ გარემოებით და ნუსხის ბოლოს ევგენი ამილახვარის მისამართით წერს: „შე დალოცვილო, ზაქარიას შექმას შენი მამამანი შიშველნი და მშვიერნი არიან, ამათ ერგოს ის არა სჯობდა? რათ ჰქენ ასრე“³².

ეს წერილი, ერთი მხრით, გვაცნობს რუსეთში მყოფი ქართული ჰუსართა რაზმის წარმომადგენლის მატერიალურ უზრუნველყოფას, მეორე მხრივ, საქართველოში დარჩენილი მისი მშობლებისა და ძმების სრულ მატერიალურ უსახსრობას. ის გარემოება, რომ ევგენი ამილახვარს ეს სიმდიდრე თავისიანებისათვის კი არ გამოუგზავნია, არამედ ზაქარია ციციშვილისათვის მიუბარებია დროებით, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ევგენი ამილახვარი საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდა და ფიქრობდა—მოკლე ხანში თვი-

³⁰ ЦГАДА ф. Правит. Сенат, д. 1663, 1739 — 43 гг. (ისტორიის ინსტიტუტის არქივიდან).

³¹ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურაშიშვილი ჰუსართა პოლკში, გვ.75.

³² საქ. ც. არქივის ხელნაწერი, ფ. 1449, № 759.

თონვე ექნებოდა საშუალება გამოგზავნილი ამანათი თვითონაც მოეხმარებინა და სხვებისთვისაც გაენაწილებინა.

მე-17 საუკუნის ბოლოდან, პეტრე პირველის მეფობის ხანიდან, ხშირი ომების შედეგად რუსეთში განსაკუთრებით მომრავლდა ინვალიდების რიცხვი. ომის ინვალიდებისა და გადამღვარი ოფიცრების შენახვა სახელმწიფოს დაწვეა ზურგზე, რასაც არცთუ ისე პატარა ხარჯი უნდა გამოეწვია სახელმწიფოში. ამიტომ პეტრე I-მა ასეთ სამხედრო პირთა თავშესაფრებად მონასტრები დაასახელა. ეს ტრადიცია გრძელდება პეტრე პირველის გარდაცვალების შემდეგაც. ამიტომ სინოდის საქმეებში ხშირად გვხვდება — „Определение распоряжением святейшего Синода отставных офицерских и нижних чинов на подлежащее пропитание к разным монастырям за несостоятельностью и не способностью ни к какой службе, вследствие полученных на войнах и походах ран, увечий и всяких болезней“

და ერთ-ერთ ასეთ განცხადებას „Из военных коллегии в святейший синод об определении отставных военных в монастыри“³³ ხელს აწერს გიორგი ბატონიშვილი ანუ გიორგი ვახტანგის ძე. მოსალოდნელია, რომ ამ განცხადებით გიორგი ბატონიშვილი მონასტრებს აფარებდა ქართველ ჰუსართა იმ წარმომადგენლებსაც, რომლებმაც რუსეთის ომებში დაკარგეს ფიზიკური არსებობისათვის საჭირო ყველა პირობა.

სრულიად შესაძლებელია დავით გურამიშვილიც ვერ ასცდენოდა ყოფილ მეომართა ამ თავშესაფრებს, მას საკუთარი სახსრები რომ არ ქონოდა ცხოვრებისა. რავორც ს. ყუბანეიშვილმა გამოიკვლია, დაავადმყოფებული დ. გურამიშვილი ითხოვს ნებართვას პეტერბურგში გასაშვებად, „რათა გამოცხადებულიყო სახელმწიფო სამხედრო კოლეგიაში ქართული ჰუსართა პოლკიდან განსათავისუფლებლად“³⁴. 1760 წ. დ. გურამიშვილი პეტერბურგის ჰოსპიტალში მოუთავსებიათ, ამის შემდეგ სამხედრო კოლეგიას გენერალიტეტის საერთო სხდომაზე განუხილავს მისი საკითხი, გაუთვალისწინებია ის გარემოებაც, რომ მას სამხედრო სამსახურში შესვლისას მფლობელობაში მიუღია 30 კომლი (მალოროსიაში). და დაუდგენია: „პრუსიაში ყოფილი ტყვე, ქართული ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკი თავადი დავით გურამიშვილი, ავადმყოფობისა, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში უვარგისობის გამო, დაარჩეს თავის კმაყოფაზე. დაჯილდოებული იქნეს სახელობითი სიის მიხედვით პორუჩიკის ჩინით და ამოირიცხოს პოლკის სიიდან“³⁵.

მაშასადამე, ამ დროის პეტერბურგის ქართველ ჰუსართა რიცხვში ასე თუ ისე დ. გურამიშვილიც შედის, პეტერბურგის ქართული კოლონიის შემდგომმა შესწავლამ იქნებ მეტი რამ გვაცნობოს სახელოვანი პოეტის შესახებ, რომელ-

³³ ЦГИАЛ, оп XXXIX, 1759, $\frac{4}{54}$.

³⁴ ს. ყუბანეიშვილი, დ. გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, გვ. 98.

³⁵ იქვე.

საც, თუმცა ავადმყოფს და ძალ-ღონე მოშლილს, ფეხი დაუდგამს პეტერბურგის მიწაზე.

კულტურულ-ლიტერატურული მუშაობის ჩანასახები პეტერბურგის ქართულ კოლონიაში

ვახტანგის რუსეთში ჩასვლა იმ დროს დაემთხვა, როდესაც პეტრე პირველის რეფორმატორული პოლიტიკის შედეგად კულტურული ცხოვრება უდიდეს ძვრებს განიცდიდა. პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ: „Самодержавною рукою он смело сеял просвещение.“

პეტრე პირველის საშინაო პოლიტიკა მაქსიმალურად იყენებდა რუს ხალხში არსებულ პოტენციას რუსეთის უკეთესი კულტურული მერმისისათვის, ოვალურს ადევნებდა ევროპაში მიმდინარე ცივილიზაციას და ყოველ საჭირო და სასარგებლო წამოწყებას რუსეთის ნიადაგზე რგავდა.

პეტრე პირველის მრავალმხრივი მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფოს დიდი მიზნებს უსახავდა.

პეტრე პირველის უშუალო ინიციატივით რუსეთში აყვავდა საგამომცემლო საქმიანობაც. პირადად მისი მონაწილეობით ხდება წიგნებისა და მთარგმნელების შერჩევა, წიგნის გაფორმების ორგანიზაცია და სხვ. პეტრე პირველის ხელმძღვანელობით იცემა ანბანი რუსული და ევროპული ენებისა, იცემა სახელმძღვანელოები არითმეტიკის, გეომეტრიის, ისტორიის, გეოგრაფიის და სხვა საგნებისა, იბეჭდება წიგნები სამხედრო-საზღვაო საქმეთა და ლექსიკონები და ცნობარები ცალკეული დარგებისა.

პეტრე პირველის მიერ შემოღებულმა ახალმა შრიფტმა გამოიყენება პოვა საერო-სამოქალაქო დანიშნულების წიგნებისათვის, ხოლო ძველი შრიფტი მხოლოდ საეკლესიო ლიტერატურას დაეთმო:

«Введение нового шрифта с оставлением старого только для церковных книг резко выделяло светскую гражданскую книгу, обособляло светскую мысль, освобождало науку от внешней символической подчиненности безусловному и принудительному авторитету религиозно-философской догмы... Борьба церковной и гражданской печати стало своего рода символическим выражением борьбы слепой веры и разума»³⁶.

ამ დროს საფუძველი ეყრება ცალკეულ პიროვნებათა ბიბლიოთეკებს, რომლებიც თანდათან იგებიან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი ლიტერატურით. მოწინავე აზრის გადმოტანა და შესისხლსორცება—ამას ქადაგებს პეტრე პირველის საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ამ იდეის სრული გამოხატველია თეოფანე პროკოპოვიჩის შემდეგი სიტყვები: „Разумный есть и человек и народ, который не стыдится перенимать доброе от других и чуждых. Безумный же и смеха достойный, который своего и худого оставить, чуждого же доброго принять не хочет“.

³⁶ История русск. литературы, т. I, გვ. 35.

ასეთია ეპოქის სულისკვეთება იმ დროის რუსეთში, როდესაც ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამაღა ჩადის იქ.

პროფ. ვ. დონდუას სიტყვებით: „ვახტანგი თითქო ჰბაძავს თვითონ პეტრეს მავალითს, რომელიც „დიდი ელჩობის“ სათავეში მდგომი 50-ზე მეტი კაციტ ეწვია დასავლეთ ევროპას. როგორც იმ დიდ ელჩობას, ისე ვახტანგის ელჩობასაც უთუოდ ჰქონდა დასახული სამხედრო-პოლიტიკურს გარდა აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მოღვაწეთა ადგილზე გაცნობა და შეთვისება“²⁷.

როგორც დასაწყისში აღენიშნეთ, რუსეთში ახლად ჩასული ქართველები და განსაკუთრებით პეტერბურგში ჩასულები, სადაც ვახტანგის ამალის ჩასვლამდე ქართველთა კოლონია, როგორც ასეთი, არ არსებულა, ჩავსლისთანავე ვერ დაიწყებდნენ კულტურის საკითხების შესახებ ზრუნვას.

რუსეთში მყოფი ვახტანგი, რომელიც დიდი მოთმინებით ელის იმ ხელსაყრელ მომენტს, როდესაც საშუალება მიეცემა რუსეთის დახმარებით სპარსეთ-ოსმალეთზე გასალაშქრებლად, ნელ-ნელა იწყებს ზრუნვას კულტურული-ლიტერატურული საკითხების მოსაგვარებლადაც.

პირველ რიგში იგი იწყებს ოცნებას იმ ბეჭდურ საგამომცემლო ტრადიციების გასაგრძელებლად, რომელსაც რუსეთში საფუძველი ჩაუყარა არჩილ მეფემ. და 1730 წ. ვახტანგი წერს ვრცელ თხოვნას, რომელშიც მადლიერების გრძნობით იხსენიებს იმ ამბავს, რომ გასულ წლებში პეტრე პირველის შემწვობით მრავალი ძველი ქართული წიგნი დაიბეჭდა რუსეთში და ივერიაში გადაეგზავნა სასულიერო და სხვა საზოგადოების გამოსაყენებლად: «А у меня тоже имеются в Грузинской земле многие духовные и прочие чины, у которых за разорением от неприятелей турок многие церковные и прочие книги отобраны и сожжены, а другие обветчали, о чем многократно из Грузии у меня таких книг требуют, и хотя государство мое и разорено, однако: оставшие тамо духовные чины в монастырях, а прочие в селах еще обретаются, хотя малое число. Чтоб и тех в конец не разорить и не разогнать того ради. вашего графского сиеательства, всепокорно прошу, дабы Вашего графства представительством доложить ея Имп. Величеству, чтоб указом ея императорского величества... повелено было вышепоказанные на грузинском языке книги печатать в России, как прежде сего печатаны были и послать во оную грузинскую землю для Церковной службы, за что оные духовные и прочие чины за их императорского величество многолетнее здравие будут вечные богомольцы». თხოვნას ხელს აწერს ვახტანგ მეფე.

ვახტანგის ამ თხოვნის საფუძველზე დგება საქმე, რომელიც ეგზავნება მოსკოვის სტამბას.

ამ საინტერესო საქმის მიხედვით²⁸ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1730 წლიდან ვახტანგის კოლონიაში კულტურული-ლიტერატურული საქმიანობა იწყება. ვახტანგი შეუდგა ქართული წიგნების სასტამბოდ გამზადებას. ამ საქმეში მას გვერდში უდგას ბაქარ ბატონიშვილი, ხოლო შემდეგში იოსებ სამეხელი და ქრისტეფორე გურამიშვილი.

²⁷ ვ. დონდუა. ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მიმოხილველი, III, 1953, გვ. 47.

²⁸ АВПР. ф. 110, 1730 г. 5.

როგორც ცნობილია, 1737 წ. ვახტანგი გარდაიცვალა და ამ საქმის გაგრძელება და განხორციელება ბაქარს ხვდა წილად. დანარჩენზე ჩვენ აღარ შევჩერდებით, რადგანაც ეს საკითხი საჭირო სიღრმით და სისრულით განხილულია ს. ყუბანეიშვილის ნაშრომში³⁹. მოსალოდნელი იყო პეტერბურგში დაწყებული საქმე პეტერბურგშივე განხორციელებულიყო, მით უფრო, რომ ქართველები მოითხოვდნენ, წიგნები დაბეჭდილიყო პეტერბურგში მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, მაგრამ 1727 წ. 4 ოქტომბრის ბრძანებით საეკლესიო წიგნების დაბეჭდვა შეიძლებოდა მხოლოდ მოსკოვში, სინოდის მეთვალყურეობით, ამიტომ ქართველთა დიდი ცდითა და მეცადინეობით მოსკოვში, არჩილის სასახლეში აღდგა ადრე არსებული ქართული სტამბა და განხორციელდა ის დიდი საქმე, რაზედაც ოცნებობდა ვახტანგ VI. ამ სტამბის პირველი პროდუქტია იყო 1740 წ. აგვისტოში დაბეჭდილი „ფსალმუნი“.

ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეში 1736 წ. პეტერბურგში სამეცნიერო აკადემიასთან მოეწყო სტამბა. ამ საქმის დიდი მონაწილე იმხანად პეტერბურგს მყოფი ქრისტეფორე გურამიშვილი. (ამავე ქრისტეფორეს საშუალებით პეტერბურგში დამზალდა ქართული შრიფტი მოსკოვის სტამბისათვის).

პეტერბურგის ქართულ სტამბაში 1736—37 წლებში გამოდის რუსულ-ქართული ანბანი. ანბანს დართული ჰქონდა ლოცვები ლათინური ტექსტითა და გერმანული შენიშვნებით.

რუსულ-ქართული ანბანის დაბეჭდვას დიდი პრაქტიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა რუსეთში საცხოვრებლად ვადასული ქართველი საზოგადოებისათვის.

ვახტანგმა, რომელიც რუსეთში ყოფნის რამდენიმე წელს ითვლიდა, იწყო ზრუნვა იმაზე, რომ ჩასულ ქართველობას შესაძლებლობა მისცემოდა რუსული ენის შესწავლისა.

ამრიგად, რუსულ-ქართული ანბანის გამოცვლას პეტერბურგში დიდი პრაქტიკული ღირებულება უნდა ჰქონოდა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საერთოდ რუსეთში პეტრე პირველის დროიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად იცემა ანბანი რუსული და ევროპული ენებისა. ის, რაც ეთდება რუსეთის სინამდვილისათვის, მას ქართველები უფარდებენ ქართველთა საჭიროებას. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ვახტანგთან, დ. გურამიშვილთან და საერთოდ იმ დროის ემიგრანტულ პოეზიაში სწავლა-განათლების საჭიროების ქადაგება. აქ უკვე იგონება ის ნაბიჯები, რომელსაც ადგამენ ქართველები ეპოქის მიმდინარეობის მიმართულებით.

პეტერბურგში გამოცემული რუსულ-ქართული ანბანის სახით ჩვენ საქმე გვაქვს პირველ დიდ კულტურულ-ისტორიულ ღონისძიებასთან, რომელიც მოახდინა რუსეთში წასულმა ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ და კერძოდ, პეტერბურგის ქართულმა კოლონიამ.

რუსულ წერა-კითხვას დაუფლებული ქართველებისათვის, ბუნებრივია, შეუძლებელი აღარ იქნებოდა ადგილობრივ სასწავლებლებში განათლების მიღებაც.

³⁹ ს. ყუბანეიშვილი რუსული ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში (ლიტერატ. ძიებანი, X).

ქართულ-რუსული ანბანის დაბეჭდვას უნდა გადაეღაზა ის წინააღმდეგობანი, რაც ენის უცოდინარობის გამო გზაზე ხედებოდა რუსეთში ჩასულ ქართველობას.

პეტერბურგში ქართულ ხელნაწერთა ფონდებში შემორჩენილ ვახტანგის შრომათა ცალკეული ფრაგმენტები და ასტრონომიული ჩანაწერები მიუთითებენ იმაზე, რომ დროდადრო პეტერბურგში მცირე ხნით მყოფი ვახტანგი არ წყვეტდა ლიტერატურულ საქმიანობას.

პეტერბურგშივე გადაიწერა ვახტანგ VI ლექსთა კრებული, რომლის გადაწერა მელქისედეკ კავკასიძე, პროფ. ა. ბარამიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ხელნაწერი „წარმოადგენს ვახტანგის პოეტური თხზულებების თავისებურ ხელნაწერ გამოცემას“⁴⁰. უნდა აღინიშნოს, რომ იგი დაედო საფუძვლად ვახტანგ VI პოეტური მემკვიდრეობის გამოცემასაც.

როგორც ესლახან გამოირკვა, ლენინგრადელი მეცნიერი ქალის რ. ორბელიანის შრომიდან⁴¹, მე-18 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში უნდა იყოს თარგმნილი სუმაროკოვის პიესა—„Синяя и Трувор.“ მის თარგმნას ჩვენი მეცნიერები მე-19 ს-ის პირველ ათეულს უკავშირებდნენ (კ. კეკელიძე, ტრ. რუხაძე).

პეტერბურგში შეიქმნა ვახტანგ ვახუშტის ძე ორბელიანის საინტერესო მუარული თხზულება „პეტერგოვის აღწერა“.

ეს ნაწარმოები ვერ ჩაითვლება პეტერბურგის ქართული კოლონიის ლიტერატურულ პროდუქციად, იმიტომ რომ მისი ავტორი არ არის კოლონიის მკვიდრი, მაგრამ ნაწარმოები ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გამოხატულია ქართველთა ყოფაცხოვრება პეტერბურგში. აქედან ჩანს, რომ ქართველ ბატონიშვილებს სწორად ეძლევათ შემთხვევა დრო გაატარონ პეტერბურგის გარეუბნებში და კერძოდ პეტერპოლში. პეტერბურგის ქება სწორად ესმის ვახტანგ ორბელიანს „მეფეთა შეიღებისა და მეცნიერ კაცთაგან“, რომელთაც აიძულეს მწერალი დაეთვალაიერებინა იგი. პეტერბურგის ნახვით აღტაცებულ ვახტანგ ორბელიანს განუზრახავს აღწერა თვალთ ნახული დიდებული სანახაობა და ღმერთს შეჰვედრებია: „მათქმიე, რაცა ვიხილო აქა საკვირველებანი და უცხონი“.

ჩრდილოეთის მწვეანსა და ბაღნარს იმდენად მოუხიბლავს ავტორი, რომ გაოცებული აღნიშნავს: „ქვეყნის ხისა მხრის კაცი ვიყავ და საქართველოს შინა აღზრდილი და მუნ უცხო მდგართა ვაშლთა გამაკვირნეს“-ო.

ვახტან ორბელიანს ბევრი რამ სამშობლოს აგონებს. მისთვის ნაცნობ სახეებს, გმირებს, მისთვის ნაცნობ სინამდვილეს იგი თავისი შესანიშნავი მეტაფორების წყაროდ იყენებს: „მშვენიერად ნახებულთა ნაძვებთა სიწლო-სიმოკლენი მაჯუნისა ესესხებინა და ყარაფლისა მეწამულობა ლეილისა ბაგეთაგან ევასხებინა. ფერმიხდილსა ნარგისობასა ტარიელის ხელობისა ფეროვნება დაესწავლა და ვარდებთა მადღვარობასა ნესტან-დარეჯანისა დაწვისა შევიდრობა მიეთვალა. არღავანსა სისხლთა მღვრელობა ხოსროვისა მიეტაცა და კუპურსა

⁴⁰ ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქტორობით და შენიშვნებით, გვ. 172.

⁴¹ Р. Р. Орбели, Грузинские рукописи института народов Азии АН СССР (Автореферат), 1963, Л.

ზამბახსა შირინის ცხვირთა სოთობა მოეშვა, ალვისა ასულობა ავთანდილისა მოეყიდა და ყაყაჩოსა ძოწეულობა არაბელისა თინათინისა მოევაჭრა⁴².

აქ არ შეიძლება არ გავგახსენდეს საბას „მოგზაურობა ევროპაში“, რომელსაც სიცილიურმა ღვინომ ატენური ღვინო გაახსენა, ალიკორნის საზღვრებში ოდიშის ტყიანი ადგილები, ზღვაში შეჭრილმა ერთმა კლდემ თბილისის მეტეხი და სხვ.

პეტერბურგის საარქივო მასალებში რატომღაც არ ვხვდებით ვახტანგის კოლონიის საამაყო წარმომადგენლის ვახუშტის სახელს.

როგორც ცნობილია, პირველი მეცნიერი, რომელმაც ვახუშტის რუკები ნახა და აღტაცებული დარჩა, იყო ცნობილი ფრანგი ასტრონომი ჟოზეფ-ნიკოლა დელილი. იგი 1726 წელს მიწვეულ იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ობსერვატორიის დირექტორად და, ამრიგად, პეტერბურგში გაატარა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი

როგორც მარი ბროსემ აღნიშნა თავის შრომებში, დელილი დიდი ინტერესით შეუდგა ვახუშტის შედგენილ რუკებზე მუშაობას და 1738 წ. სიხარულით აცნობა თავის ფრანგ მეგობარს ქართველი პრინცის მიერ შესანიშნავი რუკების მოტანა.

ქრისტინე შარაშიძე თავის მნიშვნელოვან ნაშრომში—„ვახუშტი ნათარგმნ შრომებში“, ეხება ვახუშტის მიერ თარგმნილ ვილაგლმ სტრათემანის თხზულებას „თეატრო ანუ ასპარეზი მატიანული“. ავტორი იძლევა ჯერ თვით თხზულების, შემდეგ თარგმანის შესანიშნავ მეცნიერულ ანალიზს. ჩვენთვის საინტერესოა ვახუშტის მიერ თარგმნილი ეს თხზულება იმ მხრივ, რომ მთარგმნელის ადგილსამყოფლად მითითებულია პეტერბურგი, თარგმნის შესრულების თარიღად 1740 წ. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, მიუთითებს ვახუშტის ყოფნაზე პეტერბურგში, ხოლო, მეორე მხრივ გვაფრქვბინებს, რომ ვახუშტის ამ ხანში ყოფნა პეტერბურგში შესაძლოა უშუალოდ დელილიანაც იყოს დაკავშირებული.

ასეთია ზოგადად პეტერბურგის ქართული კოლონიის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა მე-18 საუკუნის I ნახევარში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დროს პეტერბურგის ქართულ კოლონიას ჯერ კიდევ მოკლე ხნის ისტორია აქვს. ამიტომ ამ ხანში კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის მხოლოდ ჩანასახებზე გვიხედება ლაპარაკი.

ბუნებრივია, რომ რჩეული სწავლული ქართველი საზოგადოებებს ჩასვლას პეტრე პირველის რუსეთში, ქართველთათვის უკვალოდ არ უნდა ჩაეგლო, პეტერბურგის ქართული კოლონიის ახლადადგმული ნაბიჯები ამ გზაზე იმის მომასწავებელი იყო, რომ შემდეგ პერიოდში პეტერბურგის ქართული კოლონია და მისი კულტურულ-ლიტერატურული მისწრაფებანი ხორცს შეისხამდა და მძლავრ კულტურულ-ლიტერატურულ კერად იქცეოდა.

⁴² პეტერგოფის აღწერა, დ. ბ რ გ ა ძ ი ს განოცემული ტექსტი, 1958 წ.

ქველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან¹

ლ. მენაბლა

(წარმოადგინა აკად. ალ. ბარამიძემ)

ძველი ქართული მწერლობის კერებში ხშირად მოღვაწეობდნენ ერთი და იმავე სახელისა და ზეწოდების, ან ერთი და იმავე სახელისა და გვარის მატარებელი მწიგნობრები; მაგალითად, იოზ წინამძღვარი—ფიტარელი და იოზ წინამძღვარი—გარეჯელი, ელისე საგინაშვილი—თბილელი და ელისე საგინაშვილი—გარეჯელი, ექვთიმე გარეჯელი—მიქაძე და ექვთიმე გარეჯელი—მჭედელაშვილი, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი და ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონი, ლევან ბაქარის ძე ბაგრატიონი და ლევან ერეკლეს ძე ბაგრატიონი, ზაქარია გაბაშვილი და არქ. ზაქარია გელათელი და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთი შემთხვევაა მათი აღრევისა. ჩვენ ვცადეთ, შეძლებისდაგვარად, გაგვემიჯნა დასახელებულ პირთა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.

იოზ წინამძღვარი

ძველ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება ხსენება ორი მწიგნობრისა. ერთთა ფიტარეთის წინამძღვარი იოზი, მეორე—წინამძღვარი იოზი, მოღვაწე გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის სავანისა. ზოგჯერ მათ ერთ პირად მიიჩნევენ,² რაც, რასაკვირველია, შეცდომაა.

ფიტარეთის მონასტრის წინამძღვარი იოზი საკმაოდ ცნობილი პირია. ის იხსენიება 1696—1730 წლებში. კერძოდ, 1696 წელს მას აღუწინებია ფიტარეთის მონასტრის მარანი,³ 1698 წელს დაუწერია ყმის ნასყიდობის წიგნი (Ad № 1075), რომელიც ზურაბ ყორჩიხაშვილმა მისცა ელისე დმანელს,⁴ ხოლო

¹ წაკითხულია მოხსენებად თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე 1959 წლის 20 მაისს (იხ. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1959, გვ. 37—38). შეესებულა ახალი მასალებით. ზოგიერთი დებულება დასკვნის სახით შევიდა ჩვენს წიგნში (ძველი ქართული მწერლობის კერები, I თბ., 1962, გვ. 164, 243—245, 303—309, 313—314, 544).

² Описание рукописей Тифлисского церк. музея, составленное Ф. Жордания II, Т., 1902, გვ. 123; ს. ბარნაველი, სულხან-საბა და წინამძღვარი იოზი, „ლიტერატურული გაზეთი“, 28. VIII. 59, № 35 (1153).

³ გ. ჩიტაია, პიტარეთისა და გუდარების საფლავის ქვები, საქართველოს მუზეუმის, მოამბე, III, 1927, გვ. 118.

⁴ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ბატონყმური ურთიერთობა), 6. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1940, გვ. 106.

1707, 1717, 1728 — 1730 წწ. საბუთებში ის დასახელებულია როგორც ორბელიანთა ფეოდალურ სახლთან ახლო მდგომი პირი.⁵

იომ ფიტარელი სულხან-საბა ორბელიანის თანამედროვე და მისთან დაახლოებული მწიგნობარი ყოფილა. მის შესახებ პირველ ცნობებს სწორედ დიდი ლექსიკოლოგი გვაწვდის. საბა იხსენიებდა იომის დადებით მხარეებს, მაგრამ არც მის ნაკლსა და სიყალბის ჩადენის მცდელობას ჩქმალავდა. იომის შესახებ ცნობა პირველად გვხვდება საბას ლექსიკონის იმ ავტოგრაფულ ნუსხაში (A № 1473), რომელიც 1719 — 1720 წლებში უნდა იყოს დამზადებული⁶. უკანასკნელ ავტოგრაფულ ნუსხაში (H № 1429) ჩვენთვის საინტერესო ცნობა ასე იკითხება: „იყო ტფილისის ქალაქთაგანი წინამძღუარი, სახელით იომ, ჩუენის ჟამისა, კეთილად სწავლული, შუენიერი მზრახული, მეყამნე, მეფსალმუნე, კაფიგამომეტყველი, მგალობლად ქებული, მწერლად გამოჩენილი, ლოცვა-დაუცადებელი, შვიდიულით მმარხველი, შესაყრელად საყუარელი. ამა სიტყვის კონასა რა ჯელი მიეყავ, მგმობდა და მეციცხოდა. ოდეს გავასრულე, ნახა, მოეწონა და გარდასაწერად ვათხოე და გარდაწერა. სადაც ჩემი სახელი ეწერა, აღმოკოცა თჳს ნაწერთა შინა და თჳსი სახელი და გარჯილობა დაწერა. ეს დიდად გამიკვირდა: ვით იკადრა მან, სახელოვანმან კაცმან?! „ნუ მიაგებ ბოროტისა წილ ბოროტსაო“. ვინაიღვან ჩემს ჰირნახულში მან ჩემი სახელი არ ჩაურთო და თავისი დაწერა, მე ჩემს ჰირნახულში მისი ქება ამისთჳს დაეწერე, ესე ამისთვის ვიჩიველ.“⁷

როგორც ჩანს, იომ ფიტარელს ბოროტად გამოუყენებია საბას ნდობა და მისი ნაშრომის მითვისება უცდია.⁸ ეს გარემოება მას, როგორც მწიგნობარ მოღვაწეს, რასაკვირველია, ჩრდილს აყენებს. საგულისხმოა, რომ, მიუხედავად აღნიშნულისა, საბა იომს საკმაოდ აქებდა და ერთობ დადებით პიროვნებად წარმოაჩენდა. ასევე აქებდა მას ანტონ პირველიც (1720—1788). მისი სიტყვით, „იომ ფიტარეთის წინამძღუარი ტფილისელი, სიტყუათა შინა და სამღუდლოთა წერილთა ზედმიწევნილი და მუსიკობითა ქართულითაც გამოცდილ იყო“.⁹ იოანე ბაგრატიონის (1768 — 1830) ცნობითაც, იომ ფიტარელი იყო „საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელ სხენი მწიგნობართაგანნი ძვილ ესწორებოდნენ. იყო უცხო მქადაგებელი და მესათნოე მსმენელთა მწერლობასა შინა პირველი და მუსიკობითა ქებული.“¹⁰

⁵ საქართველოს სიძველენი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, II, თბ., 1909, გვ. 274, 300, 346, 351, 356. დამოუწმებულ წარწერასა და საბუთებში იომი, მართალია, სხვადასხვაგვარად იწოდება (წინამძღვარი იომი, ცოდვილი წინამძღვარი იომი, ფიტარეთის წინამძღვარი იომი), მაგრამ, უცილობელია, აქ ერთ პირთან გვაქვს საქმე.

⁶ ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 31 — 34, 43 — 46.

⁷ H № 1429, 3v—4r; სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. ი თ რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949, გვ. 11 — 12.

⁸ ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ საბას ლექსიკონის როგორც მხედრულით, ისე ნუსხურით (A №№ 1113, 1157; S № 247; Q №№ 18, 765; M 2) შესრულებული ბევრი ხელნაწერი, მაგრამ იომის ნაშუქვერის კვალი ჯერჯერობით ვერსად შევნიშნეთ.

⁹ ანტონ I, წყობილისიტყვაობა, პ. ი თ ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოცემა, თბ., 1850, გვ. 278.

¹⁰ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა და აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1948, გვ. 182.

როგორც ვხედავთ, საბა, ანტონ კათოლიკოსი და იოანე ბაგრატიონი იობ ფიტარელს ჩინებულ მწერლად წარმოგვიდგენენ. სამწუხაროდ, სათანადო მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია და იობის ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე საუბარი ჯერჯერობით შეუძლებელია.

ზემოდასახელებულ მოღვაწეთა ცნობით, იობ წინამძღვარი თბილისიდან ყოფილა. პ. იოსელიანი დამატებით გვაუწყებს, რომ იობი ფიტარეტიდან თბილისში ჩამოსულა და აქ განუგრძია მოღვაწეობა კათოლიკოსის კარზე. გარდაიცვალა ის 1731 წლის ახლოს.¹¹

იობ ფიტარელს მიიჩნევენ კარგ მქადაგებლად (საბა, ანტონ I, ი. ბაგრატიონი) და სავალობელთა ავტორად.¹² ჩვენ მხოლოდ მის მიერ დამზადებულ ხელნაწერებზე შეგვიძლია საუბარი. მან 1706 წელს ვახტანგ ლევანის ძის (1675 — 1737) დავალებით გადაწერა პარაკლიტონი (არქ. ხელნ. № 242, 151 r — 276 r)¹³. უფრო ადრე საბას მამის—ვახტანგ ორბელიანის დავალებით მონაწილეობა მიიღო ძველი აღთქმის წიგნების გადაწერაში (H № 885, 3r — 82 v)¹⁴. მისი გადაწერილი უნდა იყოს, აგრეთვე, ერთი ოთხთავი (Q № 326).¹⁵ აი, თითქმის ყველაფერი, რაც კი ცნობილია იობ ფიტარელის შესახებ.

დაახლოებით ამავე ხანის მოღვაწეა გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის სავანის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის წარმომადგენელი, ცნობილი მწერლის—ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის ახლო თანამშრომელი წინამძღვარი იობი.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ცნობილია ის ხელნაწერები, რომლებიც ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს დაუმზადებია (A №№ 105, 121, 198; S № 3269). აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი ბესარიონს დაუმზადებია იობ წინამძღვართან ერთად.¹⁶ ზოგიერთ ანდერძში იობი საგანგებოდ გვაუწყებდა, რომ ის მუშაობდა „ბრძანებითა და მორჩილებითა მამისა ბესარიონისაითა“ (A 121, გვ. 470).¹⁷ ზოგჯერ ის დამოუკიდებლადაც ამრავლებდა ნუსხებს. მაგალითად, 1715 წელს მან გადაწერა და დოდოს მონასტერს შეს-

¹¹ П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, СПб., 1843, გვ. 131.

¹² П. Иоселиани, Краткая история груз. церкви, გვ. 131; მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, თბ., 1886, გვ. 135; პ. კარბელაშვილი, ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბ., 1898, გვ. 76.

¹³ Опис. рукописей (A), II, გვ. 119; საქ. სსრ ცსს არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილი პროფ. ს. კაკაბაძისა და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 212 — 213.

¹⁴ საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (II კოლექცია), II, შედგენილია და დასაბუთებელი ლ. ქუთათელაძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1951, გვ. 256 — 258; შდრ. ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 173, შენ. 2.

¹⁵ საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 342.

¹⁶ მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 85 — 87.

¹⁷ ამ ხელნაწერში იობის ხელითაა გადაწერილი 120—470 გვერდები. იხ. Описание, рукописей Тифлисского церк. музея, составленное Ф. Жордания, I, Т., 1903, გვ. 130.

წირა საბას ლავრის ტიბიკონი (A № 1348);¹⁸ მანვე გადაწერა მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და თხზულებანი (A № 636), რომელიც, მისი გარდაცვალების შემდეგ, 1728 წელს, ცნობილმა მწიგნობარმა მარიამ-მაკრინე ბაგრატიონმა ნათლისმცემლის მონასტერს შესწირა.¹⁹ იოზ წინამძღვარს გარკვეული დეაწლი უნდა მიუძღვოდეს ქართული აგიოგრაფიული კრებულის ფორმირების საქმეში.²⁰

როგორც წარმოდგენილი ცნობებიდან ჩანს, უკანასკნელი იოზი გარეჯელი მოღვაწეა, ნათლისმცემლის საფანის ბინადარი, მაგრამ, უნდა შევნიშნოთ, რომ ის არსად არ იხსენიება ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად. ანდერძ-მინაწერებში იოზი ჩვეულებრივ წინამძღვრად იხსენიება, მაგრამ არსად არაა მითითებული, თუ რომელი მონასტრის კრებულს ხელმძღვანელობდა ის.

ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს ორ მოღვაწესთან: ერთია ფიტარეთის მონასტრის წინამძღვარი იოზი, რომელიც ფიტარეთში ჩანს 1696 — 1730 წლებში და 1731 წლის ახლოს გარდაიცვალა, მეორეა ნათლისმცემლის საფანის მოწესე, წინამძღვარი იოზი, რომელიც გვხვდება 1696 (A № 198), 1697 (A № 105), 1715 (A № 121, 1348) და მომდევნო წლების ნუსხებში და 1728 წელს უკვე გარდაცვლილად იხსენიება (A 636, 4 v — 5v). უნდა დავსძინოთ, რომ იოზ ფიტარელის ხელი (არქ. ხელნ. № 242; H № 885; Q № 326) საგრძნობლად განსხვავდება იოზ გარეჯელის ხელიდან (A № 105, 121, 198, 636, 1348; S № 3269)²¹.

ელისა საბინაშვილი

ძველ ხელნაწერებსა და საბუთებში საქმაოდ ხშირად იხსენიება ორი ელისე საგინაშვილი. ერთი მათგანი არის თბილელი მღვდელმთავარი, ხოლო მეორე — გარეჯელი მწიგნობარი. სამწუხაროდ, ზოგჯერ ამ ორ პირს აიგივებენ,²² რაც სწორი არაა.

ელისე საგინაშვილი, — ბიძა ცნობილი მწიგნობრის გაბრიელ გარეჯელისა²³, — ძველ წყაროებში ხშირად იხსენიება. მას თბილისის მიტროპოლიტობა

¹⁸ საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შეადგინა ქ. შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 432 — 433.

¹⁹ თ. ჟორდანიას ცნობები (Описание рукописей (A), II, გვ. 123) სულ სწორი არაა: მარიამ-მაკრინე არის ხელნაწერის შემწირველი და არა გადაამწერი. ხელნაწერის დამზადების თარიღად შევადგინეთ შეწირვის თარიღია გამოცხადებული და სწვ. დასახელებული ხელნაწერი იოზის სიბერეში დაუმზადებია. „ნაკულუვენად და უნდო წერისათჳს შენდობას ვითხოვ... ფრიადსა სიბერესა და უძლურებასა ვიყავ მიწვეწულ“, — მორიდებით წერდა ხანდაზმული წინამძღვარი (A № 636, 4v).

²⁰ ე. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 418 — 419 (შდრ. A № 170, 160r; Описание рукописей (A), I, გვ. 180).

²¹ ცნობილია კიდევ „უდაბნოს მამა იოზი“, რომელსაც იხსენიებს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე აბაშიძე 1777 წელს (Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гурин и Адчаре, СПб., 1878, გვ. 338 — 339; პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, თბ., 1900, გვ. 211). ერთი იოზ წინამძღვარი იხსენიება კაბენის წარწერაშიც (პ. იოსელიანი, კაბენის მონასტერი, „ცისკარი“, 1873, № 1, გვ. 12).

²² Описание рукописей (A), I, გვ. 65.

²³ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, თბ., 1914,

1628 წლის 15 მარტს უბოძა სიმონ მეორემ (1619 — 1631).²⁴ აქედან მოკიდებული ის თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე აქტიურად იღვწოდა აღნიშნულ ჰოსტზე და შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაშიც. მან განაახლა და აღადგინა თბილისის სიონი,²⁵ შემოუმტკიცა მას მამულები,²⁶ შესწირა მას საეკლესიო ნივთები და ხელნაწერი წიგნები,²⁷ აღადგინა და შესაწირავით აღავსო პირღებულის მონასტერი²⁸ და ა. შ. 1640 წელს ის ათონის ქართულ მონასტერსაც ეწვია.²⁹

ელისე თბილელი, გამოჩენილი რუსი მოღვაწის არსენ სუხანოვის ცნობით, რუსული ორიენტაციის მატარებელი ყოფილა.³⁰

ელისე თბილელი უკანასკნელად იხსენიება 1658 წლის 10 აპრილის საბუთში.³¹ ცოცხალი ყოფილა ის ამ წლის ნოემბერშიც.³² საფიქრებელია, ის მალე გარდაიცვალა, 1659 თუ 1660 წელს, როგორც ამას მართებულად აღ-

²⁴ П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, Т., 1866, გვ. 216. ამავე წიგნში მოცემულია სხვა ცნობები ე. საგინაშვილზე (გვ. 51, 99, 168, 179 — 180, 202 — 203, 206, 216, 219).

²⁵ ეს გარემოება საგანგებოდაა აღნიშნული როგორც სიონის წარწერაში (П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 51, 99—100; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, თბ., 1897, გვ. 454), ისე როგორც მეფისა (1632 — 1658) და თემურაზ პირველის (1589 — 1663) საბუთებშიც (იხ. П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 202 — 203, 205 — 206; ქრონიკები, II, გვ. 465; ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ფოთი, 1933, გვ. 211 — 212; ისტორიული საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, IV, თბ., 1913, გვ. 28; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ე. ფუთურიძემ, თბ., 1955, გვ. 214 — 215).

²⁶ ისტ. საბუთები, IV, გვ. 29.

²⁷ იქვე, გვ. 19. იხ. აგრეთვე А № 514, 151r-v; Описание рукописей (А), II, გვ. 65.

²⁸ Е. Такайшвили, Арх. экскурсии, разыскания и заметки, II, Т., 1905, გვ. 22 — 23.

²⁹ იხსენიება ათონის ქართულ ხელნაწერებში (აღ. ცაგარლით №№ 18, 55, 56, 64; რ. ბლეიკით №№ 40, 72, 84). იხ. აგრეთვე Н. Марр, Агиографические материалы по груз. рукописям Ивера, ЗВОРАО, XIII, 1900, გვ. 46; ათონის ივერიის მონასტრის 1074 წელს ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 275. შდრ. П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 51, 179—180; ტ. გაბაშვილი, მოხილვა წმინდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1852, გვ. 45, შუნ. 22.

³⁰ Проскинтарий А. Суханова, ППС, вып. 21, 1889, გვ. 105—107; М. Полиевктов, К вопросу о сношениях Ростова Карталинского с Москвою, еნიქის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 525; ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 264—269.

³¹ ქრონიკები, II, გვ. 473.

³² ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1926, გვ. 60.

ნიშნავდა პ. იოსელიანი.³³ 1661 წლიდან თბილელად უკვე იოსებ სააკაძე ჩანს.³⁴

ელისე თბილელს³⁵ მიიჩნევენ დახელოვნებულ კალიგრაფად.³⁶ რას გეყარება ეს ვარაუდი, ჩვენთვის უცნობია. მისი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობიდან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი მხარე—ზრუნვა ქართულ ხელნაწერთა გამრავლებაზე. მისი დაკვეთით 1639 წელს გაბრიელ მწერალს გადაუწახვას ერთი მშვენიერი ოთხთავი (A № 514)³⁷, ხოლო მარკოზ აქარელს—ვრცელი კრებულის (A № 972) მოზრდილი ნაწილი.³⁸

მეორე ელისე საგინაშვილი მე-18 საუკუნის მოღვაწეა. ის დაიბადა 1706 წელს. 6 წლის „ყრმა მცირე“ მიიყვანეს გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში,³⁹ სადაც იზრდებოდა ბიძის, გაბრიელ საგინაშვილის, ხელმძღვანელობით. აღნიშნულ საგანეში ეზიარა ის ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებს და გაიწაფა ხელნაწერთა დამზადებაში. შემდეგში ის დომენტი კათოლიკოსს (1705—1741) დაუახლოვდა და ექსპორიაშიც ახლდა კონსტანტინოპოლსა⁴⁰ და კ. ტენედოსზე. 1742 წელს ის კვლავ სამშობლოშია.⁴¹

ელისე საგინაშვილი კარგი მწიგნობარი ყოფილა. მას დომენტი კათოლიკოსის დავალებით ექსპორიაში გადაუწერია სასულიერო-საეკლესიო ხასიათის მოზრდილი კრებული (A № 56) და ერთი ნაწილი სხვა კრებულისა (A № 69, 152r—380v)⁴². ცნობილი არიან აგრეთვე ამ ხანის მოღვაწენი: გამოჩენილი მღვდელმთავარი ელისე დმანელი, რომელიც წყაროებში 1698—1747 წლებში

³³ П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, гв. 168, 180. იხ. მისივე, Гора св. Давида в Тифлисе, Т., 1858, გვ. 8.

³⁴ ელისე თბილელის გარდაცვალებისა და თბილელ მღვდელმთავრად იოსებ სააკაძის დადგენის საკითხზე იხ. გ. ლეონიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 32—33 (== მისივე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1949, გვ. 319—320; მისივე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 204—205). შუბრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 526, შენ. 3.

³⁵ მისი პორტრეტი დახატული იყო იერუსალიმის ჯვრის მონასტერში (ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოასაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო გ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 82, 113, 123, 054).

³⁶ П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, გვ. 179; ხ. გულისაშვილი, გარდაბანისა და გაჩაიანის საერისთავნი და მათნი ნაშენი, „ივერია“ 1900, № 155 (== მისივე, მოთხრობები, ნარკვევები, თბ., 1953, გვ. 192).

³⁷ Описание рукописей (A), II, გვ. 65.

³⁸ ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 334—340.

³⁹ H № 1557, 11v; საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შედგენილია და დასაბუქდა დამზადებული ე. მეტრეველის მიერ, თბ., 1950, გვ. 46.

⁴⁰ იქაურ საბუთებში იხსენიება 1737—1738 წლებში (E. Такайшвили, Материалы для истории Грузии, Т., 1895, გვ. 69, 71. იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოთეკარული წერილები, წერილი ოდ, „ივერია“, 1900, № 191).

⁴¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 306.

⁴² Описание рукописей (A), I, გვ. 46—48, 65—66; მ. ჯანაშვილი, საისტორიო და საბიბლიოთეკარული წერილები, წერილი ოდ, „ივერია“, 1900, № 190, 191, 195, 198, მარტივი ქართული (VI—VII სს.) და მისი შრომა „სინანულისათუ და სიმდაბლია“, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 265, 283.

გვხვდება,⁴³ და საბუთების დამწერი ელისე მღვდელ-მონაზონი,⁴⁴ მაგრამ ისინი, რასაკვირველია, სულ სხვა პირები არიან.

მეოთხე ბაკმჯალი

ზოგჯერ ერთმანეთში ურევნენ ორ გარეჯელ მოღვაწეს: ექვთიმე (ზაზა) მიქაძეს⁴⁵ და ექვთიმე მკედელაშვილს—ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს. ზოგჯერ პირველ ექვთიმეს გარეჯელ წინამძღვრადაც კი მიიჩნევენ,⁴⁶ თუმცა ის მხოლოდ უბრალო ბერი იყო. რამდენიმე სიტყვა ამ საკითხზე.

ექვთიმე მიქაძე დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელი ოჯახიდან იყო. მამამისი სიონის დეკანოზი იესე საბუთებს წერდა,⁴⁷ ხოლო მისი ძმა—„სატიფილეოს სახლთუხუცესი“ ოსე მიქაძე (1698—1758) და მისი შვილები—მემუარისტი იესე ბარათაშვილი (1728—1786) და თბილისის სემინარიის რექტორი იოანე მიქაძე ან იოანე ოსეშვილი (1750—1801) ქართული კულტურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირები არიან.

ექვთიმე, ერისკაცობაში ზაზა, დაიბადა 1684 წელს.⁴⁸ ადრე თბილისის სიონში მოღვაწეობდა, ხოლო ოჯახური უბედურების შემდეგ (A № 515, 463v) ბერად შედგა და გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერში დასადგურდა. აქ ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში და კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობდა (სხვათა შორის, მას დიდი სიყვარულით იხსენიებდა გარეჯელი მწიგნობარი, არაგვის ერისთავის შვილი, იოსებ ხუცეს-მონაზონი).⁴⁹ აღნიშნულ საგანში ის ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილის მწიგნობრულ-ლიტერატურულ წრეში ტრიალებდა.

⁴³ საქ. სიძველენი, II, გვ. 300, 330, 351, 356, 367, 384, 386; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 106 (იხ. აგრეთვე II, თბ., 1953, გვ. 64); A № 1380, 22r-v; ხელნაწერთა აღწერილობა (A), IV, გვ. 478; ლ. მუსხელიშვილი. დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, აკად. ი. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 333. ელისე ზოგჯერ მტბერა-დმანელად იხსენიება (საქ. სიძველენი, II, გვ. 367; ქრონიკები, II, გვ. 424; ქართულ-საბრძოლო ისტორიული საბუთები, I, გვ. 26—27), ერთ ზანს ის იერუსალიმის ჯვრის მონასტერშიც მოღვაწეობდა, როგორც ეს იქაურ ხელნაწერთა მინაწერებიდან ირკვევა (აღ. ცაგარლით № 651; რ. ბლევით № 26, 136. იხ. აგრეთვე ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დასაბუქდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 79).

⁴⁴ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, I, თბ., 1899, გვ. 426—428; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 67.

⁴⁵ აღნიშნულ პირს ჩვენ ადგილ ბარათაშვილად მივიჩნევდით (იხ. თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1959, გვ. 38; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კვების, I, გვ. 105, 263, 296, 303, 308). სინამდვილეში ბარათაშვილობა მიიღო ექვთიმეს ძმისწულმა იესემ, ხოლო ექვთიმე უცილობლად მიქაძე იყო ისევე, როგორც მისი ძმა ოსე. ბარათაშვილად მიიჩნევა ექვთიმეს „ლოლაშვილიც (იხ. მისი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1698—1713 წწ.), თბ., 1959, გვ. 44; მისივე, გაბრიელ მცირის მემუარული თხრობანი, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, თბ., 1962, გვ. 7).

⁴⁶ Описание рукописей (A), II, გვ. 65.

⁴⁷ საქ. სიძველენი, II, გვ. 143—144.

⁴⁸ A № 637, 38v. ქ. შარაშიც, იესე ოსეს ძის „ქორანიკონი“, ენიშნის მოამბე, XIII, 1943, გვ. 135.

⁴⁹ „... ვიტყვი... წმიდასა ეფთვიმეს, კაცსა გულსათქმელსა, სიონის დეკანოზის იესე შვილსა, [რომელი] მრავალ გარჯილ იყო ჩემზედა“ (A № 100, გვ. 30).

მე-18 საუკუნის პირველ წლებში იქ გადაწერა მან გულანი (A № 111).⁵⁰ როგორც ანდერძ-მინაწერებში გვაუწყებდა, ის მუშაობდა „რააც ოდენ ძალედვა“ (A № 111, წიგნი III, 86r), „განსაძღველ მრავალ შემთხვეული“ (წიგნი V, 36v). საყურადღებოა, რომ მას მტრის თავდასხმის მოლოდინშიც კი არ შეუწყვეტია მუშაობა. „უამსა მას, ოდეს რაედენიმე ძმანი განგუეშორნეს მონასტრისა ამისგან შიშითა ლეკისათა და წარვიდეს ხიზნად ქართველი, მე დავრჩი მონასტერსა ამას შინა“ და ამ წიგნის წერა განავარძეო,— გვაუწყებდა ის გულანის ანდერძში.⁵¹

შემდეგში ის ქსნის საერისთავოში გადავიდა, ახალგორში დასახლდა და შანშე ერისთავისა და მისი ძმის იესე ყულარაღასის დახმარებითა და შემწევობით განავარძო ლიტერატურული საქმიანობა,⁵² კერძოდ, 1733 წელს გადაწერა სადღესასწაულო (A № 515).⁵³

მომდევნო წლებში ექვთიმემ თბილელობა მიიღო. ამ პოსტზე ჩანს ის 1736—1740 წლებში.⁵⁴ გარდაიცვალა 1740 წლის 22 მაისს.⁵⁵

ამრიგად, ექვთიმე (ზაზა) მიქაძის (1684—1740) სახელით მოღწეულია ორი ხელნაწერი: გულანი (A № 111) და სადღესასწაულო (A № 515).

მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრად ჩანს „კაცი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, სათნოებათა ზედა უცხო მოქალაქე“⁵⁶ ექვთიმე მჭედელაშვილი. 1776—1798 წლების საბუთებში ის ასე იხსენიება: „ნათლისმცემლის მონასტრის მეურნე, წინამძღვარი, უღირსი არქიმანდრიტი ევთიმე II ფეთიმი“.⁵⁷ მის შესახებ საინტერესო ცნობები შემოუნახავს პ. იოსელიანს. ამ უკანასკნელის სიტყვით, ექვთიმე მჭედელაშვილი, ქაგვაგაძეთა ყმა, „მდაბალთა გვართაგანი, გარნა მღვდლად მღვდლთა ზედა გვაროვანთა მდგომარე მონაზონების სიწმინდითა და ღირსებითა“ გიორგი მეთორმეტის (1798—1800) მოძღვარი ყოფილა და მის გარდაცვალებასაც შესწრებია.⁵⁸

პ. კარბელაშვილის ცნობით, ექვთიმე წინამძღვარი 1804 წელს გარდაცვილია.⁵⁹

⁵⁰ Описание рукописей (A), I, გვ. 124—126.

⁵¹ A № 111, წიგნი II, 36r; Описание рукописей (A), I, გვ. 125.

⁵² A № 515, 463v. 487v.

⁵³ Описание рукописей (A), II, გვ. 65—66.

⁵⁴ საქ. სიმეფლენი, I, გვ. 95; II, გვ. 384, 391; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 253, 274; II, გვ. 35; ისტ. საბუთები, V, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 51, 54.

⁵⁵ ისტ. საბუთები, V, გვ. 55.

⁵⁶ კალმასობა, II, გვ. 197.

⁵⁷ ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 129—132, 135, 148, 154, 160—161, 170; ისტ. საბუთები, V, გვ. 86, 89—97, 99—103, 116, 179. იხ. აგრეთვე გუჯრები, ა. ხანანაშვილი ს გამოცემა, ქუთაისი, 1891, გვ. 92—93; Груз. церк. гуджари, составил Д. Пурпеладзе, Т., 1881, გვ. 84.

⁵⁸ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეთორმეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 120, 132, 155—156, 181—182, 208—209, 213, 245, 258.

⁵⁹ პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 189.

როგორც ირკვევა, მონასტრის კეთილდღეობაზე დიდად დამაშვრალ წინამძღვარს თავისი ძალა კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზეც უცდია. კერძოდ, ცნობილი მწიგნობრის საბა ნინოწმიდლის დავალებით დაუწერია ნინოს საგალობლები (H № 1283, 216r—223r).⁶⁰ მას, როგორც აღვნიშნეთ, იოანე ბაგრატიონი „უცხო მოქადაგედ“ მიიჩნევდა. სამწუხაროდ, მისი წყარო ჩვენთვის უცნობია და ვადაპრით რაიმეს თქმა გვიძინელებმა, მაგრამ, ფიქრობთ, ი. ბაგრატიონის ჩვენება სწორი უნდა იყოს. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს საბა ნინოწმიდლის საბუთი, დაწერილი „სიტყვათა მკვერთხზველობითა ნათლისმცემლის უდაბნოს ყოვლად ღირისისა მამისა და არხიმანდრიტისა ევთიმისათა“.⁶¹

ზოგ ხელნაწერში⁶² იოანე დამასკელის მოკლე წინამძღვარი მიეწერება ექვთიმე გრძელს. სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში კარგი ხანია ვარკვეულია, რომ აღნიშნული თხზულების მთარგმნელი არის ექვთიმე ათონელი (955—1028), ხოლო ექვთიმე გრძელი, აკად. კ. კეკელიძის ვარაუდით, უნდა იყოს გადამწერი. განსვენებული მეცნიერი ექვთიმე გრძელად ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარს მიიჩნევდა.⁶³ ამ საინტერესო მოსაზრების შეწყნარება შეუძლებელი არ ჩანს, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილია ექვთიმე წინამძღვრის მონაწილეობა ხელნაწერთა გამრავლებაში (S № 1350),⁶⁴ მაგრამ პ. იოსელიანის სიტყვით, აღნიშნული პირი ძალზე პატარა ტანისა ყოფილა და ეპითეტი „გრძელი“ გაუგებარი რჩება.⁶⁵

უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ექვთიმე წინამძღვარს თავის მონასტერში წიგნები შეუკრებია და მათ ზოგჯერ საერო პირებსაც კი ათხოვებდა.⁶⁶

ამრიგად, ე. მკედელაშვილი ყოფილა პიზნოგრაფი, მქადაგებელი, კალიგრაფი და ბიბლიოფილი.

ალექსანდრე ბატონიშვილი

ძველ ხელნაწერებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ხსენება ალექსანდრე ბატონიშვილისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არაა მითითებული, თუ რომელ ალექსანდრეზეა საუბარი. ეს გარემოება კი არცთუ იშვიათად იწვევს გაუგებრობას, რის შედეგად ალექსანდრე არჩილის ძის დამსახურებას ზოგჯერ ალექსანდრე ბაქარის ძეს მიაწერენ.

⁶⁰ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუხუშუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, III, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული ქ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 228—229.

⁶¹ ა. გულისაშვილი, საქართველოს ისტორიის მოყვარულთა საყურადღებოდ, „ივერია“, 1901, № 159.

⁶² S № 1147, 2397; A № 1119—ა; H № 5; K № 91 და სხვ.

⁶³ კ. კეკელიძე, ვტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 102—104.

⁶⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფ. კმწკ საზოგადოების (S) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული: ა. ბაქარაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მ. შანიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1961, გვ. 159—161.

⁶⁵ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 120, შენ. 32.

⁶⁶ კ. ტრიგოლია, ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1944, გვ. 171.

ალექსანდრე არჩილის ძე (1674 — 1711) ფრიად ცნობილი პირია.⁶⁷ ჩვენ უკვე ორჯერ გვქონდა შემთხვევა გვესაუბრა მის კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაზე.⁶⁸ ამჯერად სიტყვის აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ დავასახელებთ მის მიერ რუსული ენიდან თარგმნილ თხზულებებს:

- ა) საარტილერიო წიგნი;⁶⁹
- ბ) „სადიდებელნი გალობანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესნი“;
- გ) სვიმეონ პოლოცკელის „სიტყუაჲ მიცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა“⁷⁰;
- დ) „სიტყუაჲ დღესა ყოვლად წმიდისა ტაარად მიყვანებისასა“;
- ე) მეფის კურთხევის წესი;⁷¹
- ვ) ტესტამენტი;⁷²

⁶⁷ М. Хмыров, Главные начальники русской артиллерии. I-ый генерал-фельдцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский, „Арт. журнал“, 1866. № 1; Б. Садзе, Первый генерал-фельдцейхмейстер русской артиллерии при Петре Великом царевич Имеретинский Александр Арчилович, СПб., 1913; მისივე, Летопись Грузии, I, Т., 1913, გვ. 338 — 343; ვ. ტატიშვილი, ქართულები მოსკოვში, თბ., 1959, გვ. 177—179, 184, 189, 191—193, 196, 231—215, 220—226.

⁶⁸ ლ. მენაბდე, ნიკოლოზ ორბელიანი, თსუ საიუბილეო კრებული: „სულბან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959, გვ. 176—177; მისივე, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კვრების ისტორიიდან (არჩილის კოლონია მოსკოვში), თსუ შრომები, ტ. 96, 1963, გვ. 213 — 215.

⁶⁹ მართალია, ხელნაწერთა მინაწერებში მთარგმნელად ალექსანდრე ბატონიშვილი იხსენიება მაშის სახელის გარეშე (H № 1069, 76r; H № 2165, 82v), მაგრამ, უცილობელია, აქ საქმე ეხება არჩილის ვაჟს, არტილერიის გენერალს. საგულისხმოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის ერთი ხელნაწერი (H № 1069) 1722 წლამდეა გადაწერილი (ხელნაწერთა აღწერილობა (H), III, გვ. 63), ალექსანდრე ბაქარის ძე კი ამ დროს დაბადებული არ იყო.

⁷⁰ ამ ორი ნაწარმოების (ბ, გ) მთარგმნელად ხელნაწერებში ალექსანდრე არჩილის ძე დასახელებული (H № 2112, 8r; A № 347, ფ. 29; K № 150, 37r; A № 112, გვ. 721).

⁷¹ ამ ორი თხზულების (დ, ე) მთარგმნელად დასახელებული ალექსანდრე ბატონიშვილი (H № 417, 9r, 55v), უთუოდ, არჩილის ვაჟი უნდა იყოს, რადგან აღნიშნული ხელნაწერი 1707 წლამდეა დამზადებული (იხ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, I, დასაბუჯდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946, გვ. 311—313).

⁷² ამ თხზულების თარგმნას შეცდომით მიაწერდნენ ალექსანდრე ბაქარის ძეს (A. II აგარელი, Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაკვ. III, СПб. 1894, გვ. 199; დ. კარიჭაშვილი, კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავისა, თბ., 1905, გვ. 262. იხ. აგრეთვე A. II აგარელი, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 175, 199; თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი, დამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთოს ს. იორდანიშვილმა, თბ., 1948, გვ. 31) ან ლევან ბაქარის ძეს (A. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, III, СПб., 1901, გვ. 429). სინამდვილეში მთარგმნელი უცილობლად ალექსანდრე არჩილის ძეა (Опис. рукописей (A), გვ. 114; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 476—479; ქართული წიგნი, I, თბ., 1941, გვ. 37. იხ. აგრეთვე A № 617, 72v). ა. აბრამიშვილის მსჯელობა ამ საკითხზე (A. Абрамшвили, Из истории грузинского книгопечатания за пределами Грузии. Книга (Исследования и материалы) III, М., 1960, გვ. 280) სულ ზუსტი არაა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962, გვ. 353—354).

გ) „ლოცვა ახლად თარგმნილი რუსულისაგან“, რომელიც 1737 — 1744 წლებში დაიბეჭდა.⁷³

ალექსანდრე ბაქარის ძე, შედარებით, გვიანი ხანის მოღვაწეა. 1724 წელს ის დაბადებული არ ყოფილა, ვახტანგის ამალის სიაში არ იხსენიება. საფიქრებელია, დაიბადა 1729 — 1737 წლებში. მისი უფროსი ძმა ლევანი დაბადებულია 1728 წელს (იხ. ქვემოთ), ალექსანდრე მისი მომდევნო იყო და ჩვეულებრივ მის შემდეგ იხსენიებოდა. ასე, მაგალითად, ლევანის შემდეგ იხსენიება ის „როსტომიანის“ ხელნაწერში,⁷⁴ 1737 წლის საბუთში⁷⁵ და ა. შ.

1741 წელს ალექსანდრე ჩაირიცხა იზმაილოვის პოლკში სერჟანტად, 1749 წ. დაინიშნა პრაპორშჩიკად. 1750 წ. პოდპორუჩიკია, ხოლო 1758 წელს — კაპიტან-პორუჩიკი.

1757 — 1758 წწ. ანტონ კათოლიკოსს ეხმარება ვლადიმირის ეპარქიის მიღებაში.⁷⁶

1761 წელს კაპიტანად ჩანს.⁷⁷ იმავე წელს შეირთო ა. მენშიკოვის ქალი.⁷⁸ ალექსანდრე ახლოს ყოფილა პეტრე მესამესთან. ვითარების შეცვლის შემდეგ, 1776 წელს, ახალმა მთავრობამ დასაჯა, ჩინები ჩამოართვა და ყიზლარს წარგზავნა. განაწყენებული ბატონიშვილი სპარსეთში წავიდა და ქერიმხანის დახმარებით ცდილობდა ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებას.⁷⁹ 1776 — 1778 წლები სპარსეთში დაყო, ხოლო 1779 წელს ბესიკს ჩამოჰყვია იმე-

⁷³ ამ ნაწარმოებზეც ალექსანდრე ბაქარის ძეს მიაწერდნენ (ქართული წიგნი, I, გვ. XXX. იხ. აგრეთვე А. Чагарели, Сведения, т. I, ნაკვ. III, გვ. 168; თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგი, გვ. 24). ჩვენს ერთ შრომაში გარკვეულია, რომ დასახელებული თხზულების მთარგმნელი არჩილის ვაჟი უნდა იყოს (ლ. მენაბდე, ნიკოლოზ ორბელიანი, თსუ საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 176—177). სამწუხაროდ, ეს „ლოცვა“ ჩვენ ვერ ვნახეთ (ერთადერთი ცალი ამ გამოცემისა ინახება მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში. ჩვენი იქ ყოფნისას წიგნი ადგილზე არ აღმოჩნდა) და ვერც მისი რაობა გავარკვეეთ. არაა გამორიცხული, რომ ის იყოს რომელიმე ხუმოდასახელებული თარგმანის პუბლიკაცია. სხვათა შორის, ხ. ჭიჭინაძე ამ „ლოცვა“ გადმოკეთებას ყოველგვარი საბუთის გარეშე მიაწერდა ალექსანდრე ერეკლეს ძეს (1770—1844). იხ. მისი საქართველოს ერის მიმართვა საფრანგეთს და ინგლისთან, თბ., 1916, გვ. 55.

⁷⁴ Е. Такайшвили, Описание рукописей „ОРГСГН“, I, Т., 1902—1904, გვ. 349; შაბანაძე ქართული ვერსიები, II, თბ., 1934, გვ. 367.

⁷⁵ R. o. s. № 355, გვ. 63; ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 148. შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 478—479; ლ. მენაბდე, ნიკოლოზ ორბელიანი, თსუ საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, გვ. 176.

⁷⁶ ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხოვნა, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 50.

⁷⁷ ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), მასალები საქ. და ეკვასიის ისტორიისათვის, 1940, ნაკვ. II, გვ. 37 — 38.

⁷⁸ П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., I, СПб., 1869, გვ. 500. ამაზე დაუწერიათ ოდა: Г. Хмельницкий, Принцу Александру Бакаровичу Грузинскому и княжне Д. А. Меньшиковой в день их бракосочетания, ноября 11 дня 1761 года, СПб., 1761. იხ. В. Сопиков, Опыт российской библиографии, IV, П., 1915, № 13, № 7145.

⁷⁹ П. Бутков, Материалы, II, СПб., 1869, გვ. 114. შდრ. ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხოვნა, გვ. 53.

რიოში.⁸⁰ 1781 წლის მისიში ის კიდევ იმერეთშია და „ერთგული აზნაურის“ ბესარიონ გაბაშვილის ხელით სააგენსო წყალობის საბუთებს არიგებს.⁸¹ 1782 წელს წავიდა ფათალიხანთან (დარუბანდს) და განაგრძო ერეკლეს საწინააღმდეგო საქმიანობა. ერეკლემ ყოველივე ამცნო რუსეთის ხელისუფალთ. რუსთა მოთხოვნით ფათალიხანმა ალექსანდრე ბატონიშვილი შეიპყრო და გ. პოტიომკინს გაუგზავნა.⁸²

1784 წლის იანვარში ალექსანდრე ბაქარის ძე გადაიყვანეს სმოლენსკში⁸³, სადაც მალე გარდაიცვალა.⁸⁴

ალექსანდრე ბაქარის ძის კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა ნაკლებადაა ცნობილი. როგორც აღვნიშნეთ, მას არ უთარგმნია არც ერთი ის წიგნი (ტესტამენტი, ლოცვა), რომელსაც კი მას მიაწერდნენ. მაგრამ არც იმისი უარყოფა შეიძლება, რომ მას ლიტერატურული ინტერესები ჰქონდა. ასეთი განცხადების საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოება:

ა) ალექსანდრესა და მისი უფროსი ძმის ლევანის მონაწილეობითაა დამზადებული „როსტომიანის“ ძვირფასი ხელნაწერი (S № 1580). მათი მეთვალყურეობით გიორგი ლუკაძისშვილს⁸⁵ დაუმზადებია დიდებული ნუსხა და მდიდრული ილუსტრაციებითაც შეუქმნია (31v, 34v, 44v, 58v, 63v და სხვ.). კალიგრაფის ლექსში ვკითხულობთ:

ქართველთა მეფის ბრძანება გვესმა ძეთა და მონათა, —
 ლევანს და ალექსანდრესა, — მათთა ძვირისა წონათა,
 სურვილი „როსტომიანთა“ დაწერა, თანა ქონათა,
 დახატვა გმირთა სახეთა, ყოვლთათვის გასაგონათა.⁸⁶

როგორც ჩანს, ლევანი და ალექსანდრე ყოფილან მეთვალყურენი აღნიშნული ხელნაწერის დამზადებისა.

ბ) ალექსანდრეს ლიტერატურულ ინტერესებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას ჰქონია ვახტანგ მეექვსის ლექსთა კრებული, როგორც ამას მოწმობს ამ კრებულიდან მომდინარე პირის მინაწერი (S № 526, გვ. 3).⁸⁷

⁸⁰ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 16; H № 2782, 19r; П. Бутков, Материалы, II, გვ. 115; III, СПб., 1869, გვ. 150; ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

⁸¹ ბესიკი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფჩუჩიას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 204 — 206.

⁸² П. Бутков, Материалы, I, გვ. 116—117, 133.

⁸³ იქვე, გვ. 133.

⁸⁴ არ ვიცით, რას ემყარებოდა დოც. თ. ლომოური, როდესაც ალექსანდრეს გარდაცვალებას 1800 წ. სდებდა (დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 163). ცდებოდა აკად. მ. ბროსეტ, როდესაც ალექსანდრეს გარდაცვალების თარიღად 1779 წელს აცხადებდა (M. Brosset, Hist. de la Géorgie, II, I livr., SP., 1856, გვ. 628. შდრ. ლ. მენაბდე, ვინ არის ე. ა. გრუზინსკი, „ახალგაზრდა სტალინელი“, 12. II, 60, № 5(280).

⁸⁵ გ. ლუკაძისშვილი, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, თავად გიორგი მზეიდის მხლებელი ყოფილა, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრი. ის იხსენიება 1737 წლის საბუთში (Ros. N 355, გვ. 39—40; ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართველ ჭუსართა პოლკში, გვ. 165). მას 1729 წელს მოსკოვში გადაუწერია ვახტანგ VI-ის კვინკლასი (S № 1400), ხოლო 1753 წელს—სასულიერო-საეკლესიო შინაარსის კრებული (H № 19).

⁸⁶ Описание рукописей (S), I, გვ. 349; შაჰ-ნაშე ქართული ვერსიები, II, გვ. 367.

⁸⁷ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფ. ქმწ-კვ საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბუქდა დაზაადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელიაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 593.

ზოგიერთი ცნობით (H № 618, 84v), ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელსაც ბაქარის ძედ მიიჩნევენ,⁸⁸ რუსულიდან უთარგმნია „აპოთეგმატა“. დღეს საესებით გარკვეულია, რომ აღნიშნული თხზულების მთარგმნელი არის ვახტანგ მეექვსის თანამოღვაწე ერასტი თურქისტანიშვილი⁸⁹.

ლევან ბატონიშვილი

ზოგიერთი ცნობით, ლექსი „როს განვიცადე ბედკრულმან“ დაუწერია ლევან ბატონიშვილს. გარკვევით არაა მითითებული, თუ რომელ ლევანზეა საუბარი. ეს გარემოება კი იწვევს მკვლევართა დაქვევებასა და ყოყმანს.

ცნობილია მწიგნობრობით დაინტერესებული ორი ლევან ბატონიშვილი: ბაქარის ძე და ერეკლეს ძე.

ლევან ბაქარის ძე დაიბადა 1728 წელს მოსკოვში (S. № 385, გვ. 1020)⁹⁰. იქვე მიიღო კარგი განათლება. წარჩინებით სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის გიმნაზიაში.⁹¹

1741 წელს ჩაირიცხა იზმაილოვის პოლკში სერჟანტად, 1749 წელს პრაპორშჩიკა, 1750 წელს—პოდპორუჩიკი, 1758 წელს—კაპიტან-პორუჩიკი, ხოლო 1761 წელს—კაპიტანი. მიაღწია სეკუნდ-მაიორობამდე⁹².

⁸⁸ ხელნაწერთა აღწერილობა (H), II, გვ. 94.

⁸⁹ ლ. ძოწენიძე, რუსული „აპოთეგმატას“ ქართული რედაქციები, თბ., 1959, გვ. 26, 41—48.

ალექსანდრე არჩილის ძის მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხს შეეხო თავის წიგნში დოც. ტ. რუხაძე (რუსულ-ქართული ლიტერატურული უროიერთობანი XVI—XVIII სს., თბ., 1960), მაგრამ მან, სანაწერად, არა ერთი შეცდომა დაუშვა. ასე. მაგალითად, ალექსანდრეს დაბადების თარიღად ის ასახელებს ხან 1672 (გვ. 346), ხან 1673 (გვ. 44, 47, 48, 184, 194, 259, 282, 335, 343), ხან 1675 (გვ. 98) წელს, ხოლო მის გარდაცვალებას სდებს 1710 წელს (გვ. 44, 47, 48, 98, 184, 194, 259, 282, 335, 343, 346. შდრ. გვ. 133). სინამდვილეში ალექსანდრე დაიბადა 1674 წელს, ხოლო გარდაიცვალა 1711 წლის თებერვალში (Н. Устрялов, История царствования Петра Великого, т. IV, 5я в. I, СПб., 1863, გვ. 63—64; И. Забелин, Историческое описание Московского ставропигиального Донского монастыря, М., 1893, გვ. 156; Московский некрополь, I, СПб., 1907, გვ. 19; Б. Эсадзе, Первый генерал-фельдцейхмейстер русской артиллерии..., გვ. 5, 8; მისივე, Летопись Грузии, I, გვ. 340, 341, 358; ვ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 224, 246; Письма и бумаги имп. Петра Великого, X, М., 1956, გვ. 687; XI, 5я в. I, 1962, გვ. 496, 498). დოც. ტ. რუხაძის ცნობით, ალექსანდრე არჩილის ძე პეტრე პარველთან ერთად ევროპიდან დაბრუნდა 1699 წლის ბოლოს (გვ. 204), სინამდვილეში კი პეტრე და მისი შალებლები დაბრუნდნენ 1698 წლის 25 აგვისტოს (М. Богословский, Петр I, III, М., 1946, გვ. 5); მისი სიტყვით, ალექსანდრე არტილერიის გენერალად დანიშნეს 1699 წლის 19 მაისს (გვ. 41), სინამდვილეში კი ამ ფაქტს 1703 წლის 19 მაისს ჰქონდა ადგილი (М. Хмыров, Главные начальники..., „Арт. журнал“, 1866, № 1, გვ. 31; Б. Эсадзе, Первый генерал-фельдцейхмейстер русской артиллерии, გვ. 4, 6; მისივე, Летопись Грузии, I, გვ. 339, 341; ვ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 208).

⁹⁰ Б. Эсадзе, Летопись Грузии, I, გვ. 360. აკად. მ. ბროსე (Hist., II, livr. I, გვ. 628) და აკად. ე. თაყაიშვილი (Описание рукописей (S), I, გვ. 349) ლევანის დაბადების თარიღად შეცდომით 1739 წელს ასახელებდნენ.

⁹¹ С. Швырев, История имп. Московского университета. М., 1855, გვ. 48—49; ი. ტატიშვილი, თ. დეკანოზიძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა, თბ., 1960, გვ. 44—45.

⁹² ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის (მე-18 საუკ.), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1940, ნაკვ. II, გვ. 37.

1752 წელს დაქორწინდა ალექსანდრა იაკობის ასულ სიბირსკაიაზე (1728—1793).⁹³ გარდაიცვალა 1763 წელს (S № 385, გვ. 1020). დაქრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.⁹⁴

ლევან ბაქარის ძის კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობიდან ერთი ფაქტი ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ („როსტომიანის“ ძვირფასი ნუსხის დამზადების მეთვალყურეობა). ამჯერად გვსურს დავუმატოთ „მსოფლიო ისტორია“-„ანბანები გინა ისტორიანი“, რომელიც მას შეუდგენია 1754—1763 წლებში სხვადასხვა წყაროს საფუძველზე და მასში მოუცია მრავალი ქვეყნის გეოგრაფია და ისტორია 1745 წლამდე (S № 385). ამ ვეებერთელა კრებულის გადამწერი—ცნობილი კალიგრაფი მეღქისედვე კავკასიე წერს: „ამა სიბრძნისა ტრფიალმან, რაოდენისაჲ ენისა წიგნისა და წერის ზედმიწევნით მცოდნე მან, მიმოვლნა გონებისა თვალითა ფრანგთა სწავლისა წიგნში სიბრძნითა აღსაგენი, კრონოლოგია, რომელ არს მეფეთ ცხოვრება, ისტორიანი და სხვანიცა მრავალნი წიგნი დასაბამითგანნი, ვიდრე მოდღეინდელად დღემდე აღწერილნი დიდის გამოძიებითა დიდთა ფილასოფოსთაგან დიდის სასჯლით შეკრებულნი ესე ძვირფასნი საუნჯენი რა განიმსტრნო და განიხილნა, მათთვის იშურენა და ქართველთათვის ისურენა. არა სცა ცხრა წელ თვალითა თუისთა რული და თავთა თუისთა განსვენება, ვიდრემდის ლათინურისა, ფრანცუტულია და ნემწურისა დიალექტისაგან ქართულად გარდამოაგინითნა...“⁹⁵ მართლაც, ლევან ბაქარის ძეს „არა უცია თვალთა თუისთა რული და თავთა თუისთა განსვენება“ და ერთობ დიდი სამუშაო შეუსრულებია. მისი სახელით მოღწეული შრომა, უთუოდ, ყურადღებას იმსახურებს და სპეციალური შესწავლის ღირსია. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჯერჯერობით თითქმის არაფერია გაკეთებული.

საქართველოს ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პირია ერეკლე მეორის სახელგანთქმული ვაჟი ლევანი (1756—1781), ბესიკისა და დავით რექტორის ახლო მეგობარი. როგორც ჩანს, ის არა მარტო მეგობარი იყო მისი თანამედროვე ქართველი პოეტებისა, არამედ თანამოდგაწეც. მას თავისი კალამი უცდია პოეზიაში. უცილობლად მისია ლექსი „როს განვიცადე ბედკრულმან“⁹⁶.

დასახელებული ლექსი თავისი შინაგანი წყობით, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, საერთო განწყობილებითა და სულისკვეთებით საფიქრებელს ხდის, რომ ის, უთუოდ, მაშინაა დაწერილი, როდესაც კიაფობდა ბესიკის პოეტური გენია. ლევან ერეკლეს ძე ბესიკის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბესიკის პოეზიით შთაგონებული შემოქმედია.

⁹³ Б. Эсадзе, Летопись Грузии, I, გვ. 360.

⁹⁴ იქვე; ვ. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, გვ. 249.

⁹⁵ S № 385, გვ. 1019—1020; ხელნაწერთა აღწერილობა (S), I, გვ. 470—471.

⁹⁶ დატულია მრავალ ხელნაწერში (S №№ 1512, 1516, 1540, 1543, 3686, 3723; Q № 3.8; H № 610; A № 1164; სსკ მცენ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერები; M 15, E 49 და E 96). იხ. აგრეთვე ბ. გაბაშვილი, თხულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფჩიას რედაქციით, თბ., 1932, გვ. 92, 180—181. მართალია, ამ ლექსს ზოგიერთი ხელნაწერი ბესიკს მიაწერს (იხ. მაგალითად, S № 1512), რის გამოც პროფ. დ. ჩუბინაშვილი და ხ. ჭიჭინაძე მას ბესიკისეულად მიიჩნევენ, მაგრამ იონან ბატონიშვილის ცნობითა (კალმასობა, I, აღ. ბარამიძისა და კ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 299) და ზოგიერთი ხელნაწერის (S №№ 1516, 1540, 1543; A № 1164; H № 610; M 15; E 49) ჩვენებით, უცილობლად, ლევან ბატონიშვილს ეკუთვნის.

მისი ლექსი ისე ახლსა ბესიკის პოეტურ მარგალიტებთან, რომ მას, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ ბესიკისეულადაც კი მიიჩნევენ.

ზაქარია ბელათელი

ცნობილ ქართველ მოღვაწეს ზაქარია გაბაშვილს (1707—1783) ზოგჯერ აიგივებენ ზაქარია არქიმანდრიტთან — გელათელ მწიგნობართან.⁹⁷ ეს, რასაკვირველია, შეცდომაა.

ზ. გაბაშვილი სიცოცხლის მიწურულში მართლაც ცხოვრობდა გელათის მონასტერში და იქვე ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, კერძოდ, წერდა თხზულებებს, ამზადებდა ახალ ნუსხებს, ქართულ თარგმანებს უდარებდა ბერძნულსა და რუსულს, ასწორებდა და აზუსტებდა მათ⁹⁸ და ა.შ.

საფიქრებელია, გელათში დაწერა მან ლოცვა სინანულისა — „თხოვნა ლეთის მიმართ“ („გოდება ლეთის მიმართ ანუ განზოხაზვანი“).⁹⁹ ის იქვე გარდაიცვალა (6. II. 1783), რაზეც მის ძმისწულს დაუწერია საპეციალური თხრობა: „მიცვალება ხუცისა და მოძღვრისა ზაქარია იობიან გაბაონისა წმიდასა განათს მონასტერსა შინა“ (K № 517).¹⁰⁰

მართალია, ზ. გაბაშვილი გელათის მონასტერში მოღვაწეობდა, მაგრამ არქიმანდრიტად არასოდეს არ ყოფილა. გვიანდელ ხელნაწერებში ის ჩვეულებრივ ასე იხსენიება: მოძღვარი (Q №№ 62, 112, 233; H №№ 155, 1019, 1425, 1689) ან ხუცეს-მოძღვარი (Q № 331; K № 517).

არქ. ზაქარია სულ სხვა პირია. ხელნაწერებში ის ასეა მოხსენიებული: „გაენათის არხიმანდრიტი ზაქარია“ (Q № 895, 140v) ან „გაენათისა დიდებულისა ეკლესიისა არხიმანდრიტი ზაქარია“.¹⁰¹ ეს უკანასკნელი ყოფილა ნაყოფიერი მწიგნობარი, ზაქარია გაბაშვილის ვაჟის — ოსეს ახლობელი თანამშრომელი. ის ამზადებდა ახალ ნუსხებს,¹⁰² ქართულად მართავდა რუსულიდან თარგმნილ ძეგლებს (A № 301),¹⁰³ აქტიურად მუშაობდა ქუთაისისა და საჩხერის სტამბებში¹⁰⁴ და სხვ. მისი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა მეტწილად მიმდინარეობდა ბელგოროდში, სადაც ის ოსე გაბაშვილთან ერთად გადასახლეს. გარდაიცვალა ზაქარია 1823 წლის 9 ნოემბერს.¹⁰⁵

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „გელათის მონასტრის წმიდის გიორგის ეკლესიის არხიმანდრიტის ზაქარია კუტისშვილისაგან აღწერილი“ ლოცვები, პარაკლისი და დაუჯდომელი.¹⁰⁶ ზ. კუტისშვილის საფლავი აკად. კ. კეკელიძეს უნახავს გელათის მონასტერში. მაშასადამე, ეს კიდევ სხვა — შესაძლოა ზაქარია ყოფილა გელათის მწიგნობართა წრიდან.

⁹⁷ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, XI, თბ., 1960, გვ. 535.

⁹⁸ Q № 331; ხელნაწერთა აღწერილობა (Q), I, გვ. 349—350. ამავე ხელნაწერში მოთავსებულია ზ. გაბაშვილის ხელით დაწერილი სოლომონ პირველის „დამტკიცების წიგნი“ იოსებ კათოლიკოსის შეწირულებისა გელათის დიდი ეკლესიისადმი (Q № 331, 1r).

⁹⁹ H №№ 409, 437, 1228, 1283, 1364, 2977; A № 1076; S №№ 517, 5156; Q №№ 422, 724.

¹⁰⁰ ნ. მ. ა. ს. უ. რ. ა. ძე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, ა. უფლესკისის სახელობის ქუთაისისა სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955, გვ. 89—101.

¹⁰¹ ლ. მ. ფ. რ. ი. შვილი, ლენინგრადის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, „მნათობი“, 1958, № 3, გვ. 162.

¹⁰² Q № 895; S №№ 1:87, 1391; ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები ინტერეთის ყოფილი დედოფლის ანას მიწართ (1812—1824 წწ.). ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 11—12, 37. იხ. აგრეთვე S № 1273, გვ. 429 (ხელნაწერთა აღწერილობა (S), II, გვ. 133).

¹⁰³ Описание рукописей (A), I, გვ. 302.

¹⁰⁴ ქართული წიგნი, I, გვ. 66—68.

¹⁰⁵ H № 115, 119r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), I, გვ. 109.

¹⁰⁶ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, გვ. 25; A. Цагарели, Сведения, ტ. I, ნაკვ. III, გვ. 167.

ქართულურ ენათა დილაქტების ვინაჟეთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის¹

3. თოჟახია

ქართველურ ენათა დილაქტების ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, თვით ამ ენათა განვითარების ისტორიის უფრო ღრმად კვლევისათვის და, მეორე მხრივ, ზოგადი ენათმეცნიერების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების დასმისა და ნაწილობრივ გადაწყვეტისათვის, როგორცაა: დილაქტთა წარმოქმნა, დილაქტებისა თუ დილაქტთა და მეზობელ ენათა ურთიერთმოქმედება, კონვერგენცია, მოვლენათა უნიფიკაცია, ინოვაცია და სხვ.

1. ქართველურ ენათა და მათ ნაირგვარ დილაქტთა ისტორია ვადახლართულია ქართველი ერის ისტორიასთან. საქართველოს სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი წყობისა და პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის ცვალებადობა, გამოწვეული შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორებით, განსაზღვრავდა ქართველი მოსახლეობის ბედს. უცხოელ დამპყრობთა გამანადგურებელ შემოსევებსა და ვერაგულ პოლიტიკას მოსდევდა ქართველთა ვადასახლება მტრის ქვეყანაში, ან მთელი მხარეების ჩამოგლეჯა და მოსახლეობის უცხო ენისა და ყოფაცხოვრების გარემოცვაში მოქცევა, ხოლო ქვეყნის შიგნით გამწვავებული ბრძოლა სოციალური უთანასწორობისაგან და შინა-აშლილობის გამო თუ მოძალადეთა შიშვე უღლისაგან თავის დასაღწევად იწვევდა ქართველ ტომთა განსახლებასა და ერთმანეთში შერევას, რასაც თან სდევდა დილაქტთა ინტეგრაცია ან ზოგან დიფერენციაცია, არსებულ კილოთა სახეცვლილება ან ახალ დილაქტთა წარმოშობა.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ინტერესი აღიძრას ქართველურ ენათა და დილაქტთა და მათ მომიჯნავე უცხოურ ენათა ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთმოქმედების საკვანძო პრობლემების დასმისა. ჩვენ აქ ამ მასალის საფუძველზე რამდენიმე საკითხის განხილვით დავკმაყოფილდებით.

2. განარჩევენ ენათა და დილაქტთა ურთიერთმოქმედების სხვადასხვა ტიპს. ერთ-ერთი მთავარ ტიპათგანია სუბსტრატის თეორია, რომელიც საერთოდ დიდ დავას იწვევს, დღესაც აქტუალურია და იგი თავის ასახვას პოულობს ქართველურ ენებშიც.

სუბსტრატის თეორიის აქტუალობაზე ლაპარაკობს ის გარემოება, რომ 1955 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამართა დისკუსია ლენინგრადში სუბსტრატის თეორიის გარშემო. დისკუსიის შედეგები გამოქვეყნდა 1955 წელს Доклады и сообщения-ს IX ტომში.

ეთნიკურ ერთეულთა შერევისას ენათა ურთიერთმოქმედების პროცესს წარმოადგენენ სუბსტრატის, სუპერსტრატის და ადსტრატის. ეს სახელწოდებე-

¹ ამ წერილის შემოკლებული ნაწილი დაიბეჭდა ნოსკოვში მოწვეული ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონფერენციისათვის სათაურით Диалекты картвельских языков и вопросы общего языкознания, Москва, август 1964 г. აქ იბეჭდება უფრო ვრცლად.

ბი სხვადასხვა ავტორის მიერაა მოწოდებული, ცხადია, სხვადასხვა დროს. ცნობილია, რომ სუბსტრატის სახელიცა და გაგებაც პირველად მოგვცა ბრედსდორფმა XIX საუკუნის ოციან წლებში, შემდეგ მას ფართო გავრცელება მოუპოვა იტალიელმა ენათმეცნიერმა ასკოლიმ ოთხმოციან წლებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცლად არის ნაჩვენები სუბსტრატის მიღების მიზეზები, მისი ადგილი და მნიშვნელობა ენათა ცვლილების ნათესაყოფად. ზოგი სახელმძღვანელო ენათმეცნიერი მას ფასეულად თვლის და მისი მეშვეობით ხსნის რთულ ენობრივ მოვლენებს, ზოგი მას ნაკლები ღირებულებისად მიიჩნევს ან სრულიად უარყოფს, ზოგი კიდევ სხვაგვარ შეხედულებას ავითარებს. ჩვენი მიზანი არ არის ამეამად მათ განხილვაში შევიდეთ.

სუბსტრატი (ლათ. *substratum* სავები, საფენი, საფუძველი), როგორც აღნიშნულია, ეთნოგენეტიკური პროცესია. იგი ენათა ხანგრძლივი ურთიერთმოქმედების შედეგია და წარმოადგენს დამარცხებული ენის ელემენტების არსებობას გამარჯვებულ ენაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ამორიგენები (ავტოქთონები) ითვისებენ მოსულთა ენას და მისი მატარებელი ხდებიან, მაგრამ თავისი საკუთარი (მშობლიური) ენიდან შეაქვთ ელემენტები. მაშასადამე, აუცილებელია ამორიგენი გახდეს ორენოვანი, თანდათან დაიფიქვოს დედაენა და შეიძინოს სხვათა ენა. მაგალითად ასახელებენ ლათინური ენის გაბატონებას ვალიასა და ესპანეთში, სლავურისას — ბალკანეთში და სხვებს. ამიტომაც, რომ საჭიროდ თვლიან ენათმეცნიერებს მხარში ამოუდგეს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია და სხვ.

სუბსტრატის ცნებასთან დაკავშირებით სვამენ ძირითად საკითხებს:

1. აუცილებელია თუ არა ორენიანობა სუბსტრატისათვის? თუ აუცილებელია, მიელ მოსახლეობაში უნდა გავრცელდეს მეორე ენა აუ ნაწილში?
2. როგორია ხანგრძლივობა ორენიანობისა?
3. განაგრძობს თუ არა სუბსტრატი მოქმედებას მეორე ენის შთანთქმის შემდეგ?
4. ენის რომელი სფერო ექვემდებარება სუბსტრატს?
5. რა მნიშვნელობა აქვს სუბსტრატისათვის ტოპონიმიკას, ონომასტიკას, ეთნონიმიკას?

6. როგორია როლი შედარებითი მეთოდისა სუბსტრატის დროს და ბევრი სხვა მსგავსი საკითხი.

8. ამ აქტუალური პრობლემის კვლევისათვის ქართველური ენები და მათი დიალექტები დიდარ მასალას იძლევიან. ბევრი რამ ამ მასალიდან გამოვლენილია და მეცნიერულად გაშუქებული. ჩვენ ვეცდებით ესა და სხვა ახალი მონაცემები სუბსტრატის თვალსაზრისით განვიხილოთ. **იხაზვას** მით აღნიშნავენ, რომ სუბსტრატი განირჩევა სესხებისაგან, იგი უფრო ღრმაა, ისტორიული პროცესის შედეგია და ამდენად მოითხოვს ყოველმხრივ გარკვევას.

სუბსტრატის კვალი ხელშესახებად ჩანს გურულსა, ქვემოიმერულსა და ლეჩხუმურში. ამ დიალექტთა გავრცელების ტერიტორია წარსულში კოლხეთს განეკუთვნებოდა და ქართველი ტომით — კოლხებით (მეგრელებით) — იყო დასახლებული. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ეს ადგილები დაიკავეს ქართული მეტყველების ტომებმა და მათ შეერივნენ ამორიგენები, რასაც მოჰყვა მეგრული (კოლხური) მეტყველების თანდათანობითი შეცვლა ქართული მეტყველებით. ამით აიხსნება ზანური ენის მეგრული და ქანური კილოების ტერიტორიული დაშორება, ახალი დიალექტური ერთეულების (გურუ-

ლის, ქვემოიმერულ-ლენხუმურის) წარმოშობა და მეგრული სუბსტრატის არსებობა.

სუწინარეს ყოვლისა სუბსტრატის გავლენა ნათლად ვლინდება ტოპონიმიკასა და ონომასტიკაში. სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ გურიასა, ქვემო იმერეთსა და სხვაგანაც დატულია გეოგრაფიული სახელები მეგრული ძირისა და აფიქსების (-**შ** სუფიქსის, **ო-** პრეფიქსის) შემცველი; მაგ., გურიაში: *ჭყონაგორა* (=მუხაგორა), *ჩოჩხათი* (ცაცხეთი, თუმცა სავარაუდებელი *ჩოჩხატი* [ცაცხვი] ძირი მეგრულში არაა შემონახული), *ტომახა* (=ტობა ხნე 'ტობა თეთრი'), *ორაგვე* (=სარაგვე), *ჯუშათი* (=ჯუშა 'ძმა', ან შდრ. *ჯუშაშა* ჯუშას დღე)... იმერეთში: *წყალტუბო* (=წყალ+ტუბო 'თბილი'), *ჯიხაში* (=ცხისა), *ოკრიბა* (=საკრავო), *ჩხენიში* (=ცხენისა), *ნამახვანი* (← ნაოხვამუ 'ნასალოცავი')... ლენხუმში: *ხოჯი* (=ხარი), -**იშ/-შ** სუფიქსიანი სახელები: *ო-ყურ-ე-ში*, *ღვირ-იშ-ი* და სხვ.

ამგვარივე წარმოშობისაა გვარებიც -**შ**, -**ი-ა**, -**უ-ა** (← **ო-ა**), -**ვა** დაბოლოებით: *ჯაში*, *ტულუში*... *ჭყონია* (=მუხადე), *კუკულავა* (შდრ. *კუკულადე*) და სხვ.

შემონახულია დიდი რაოდენობით ნათესაური ურთიერთობის, ნაგებობათა, სამეურნეო იარაღებისა, მცენარეთა და სხვა დარგების საგანთა სახელწოდებები და ტერმინები, წარმოქმნილი მეგრული ძირებისაგან: *ჯუშადი* (=ჯუშა დიდი 'ძმა დიდი, ბიძა'), *ჯარგვალი* (=ჯა+რგვალი 'ძელმრგვალი'), *ოჩხუში*, იმერ. *ორჩხობი* (=ქართ. სარცხი), *ჯიჯილაყა* (=ჯიჯი 'ძირი'+ლაყა 'ლაყე' [მცენარე]), *დოჩხაური* (დიდი ცეცხლი, შდრ. მეგრ. *დაჩხირი* 'ცეცხლი') და სხვ. ასახელებენ აგრეთვე ზმნებსაც გურულში: *მარგვა* (მეგრ. *მარგუა* =მარგვლა), *გაჩხოტვა* (ჭან. *ოჩხოტალუ*, მეგრ. *ჩხოტვა* 'ფოთლების გაცლა'), *მოჭიჭავება* (←ჭიჭე 'ცოტა, პატარა'=ეკონომია, მოცოტავება) და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგი სიტყვა მეგრულში არც კია დაცული.]

მაგრამ ეს ლექსიკა და შეიძლება ნასესხებად ჩათვალოს. არსებითია ფონეტიკისა და გრამატიკული აღნაგობის ჩვენებები. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც სიღარიბე არ იგრძნობა.

ქვემოიმერულსა, გურულსა და აგრეთვე აჭარულში ხმოვანთა საერთო პროცესი გვაქვს ზანურთან ერთად. ესაა სრული რეგრესული ასიმილაცია პრევერბის ხმოვნისა ზმნის ხმოვანარეფიქსთან: *გუუგზავანა*, *გოიკეთა*... (ნაცვლად: *გაუგზავანა*, *გოიკეთა*) და სხვ.

მორფოლოგიიდან საყურადღებოა ქვემოიმერულსა და გურულში კვეცად ფუძეთა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთმოქმედების შესუსტება და ფუძის უცვლელად შენახვა ნათესაობითსა და მოქმედებითში: *და-ის*, *და-ით* და სხვ. ასევე საყურადღებოა სინტაქსური დამოკიდებულების — შეთანხმების — მოშლა ბოლოთანხმოვანი მსაზღვრელისა საზღვრულთან და მატერიალურადაც და მოდელითაც სრული დამთხვევა მეგრულთან (დიდი *სახლმა*, დიდი *სახლს*) და სხვ.

უფრო ძლიერია სუბსტრატის გავლენა მთის კილოებში — ხეცურულსა და განსაკუთრებით თუშურში. აქ ვეინახურ ენათა (წოვეურისა და სხვათა) ფენა ნათლად ჩანს ტოპონიმიკასა, ონომასტიკასა და ეთნონიმიკაში (წარო=თანა ოანდებულს და მისი შემცველი გეოგრაფიული სახელები, როგორცაა: *ტბათანა*, *კართანა* და სხვა ბაცბურის კალკს წარმოადგენენ), მაგრამ უფრო მეტია ფონეტიკისა და გრამატიკულ სტრუქტურაში. სამეცნიერო ლიტერა-

ტურაში აღნიშნულია, რომ ბაცბურის სპეციფიკური ყელისმიერი ყ თანხმობანი გავრცელებულია თუშურ კილოში ხმოვანგამყოფად და ხმოვნის ძლიერი შემართვისა და დამართვის დამახასიათებლად. ამავე ენის „შემონატანი“ ჩანს გრძელი ხმოვნები და დიფთონგი. გრძელი ხმოვანი აქ პოზიციურია (გწყზღებ = გა-ეზღება, ცმცგ = აი ეგ). მახვილისა და ინტონაციის ბაცბურისებური მოქმედების შედეგია, რომ სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი, ფუნქციურია იგი თუ ფორმანტიკული, მოკლდება და იკარგვის ხოლმე. ხმოვნის ამ ტრანსფორმაციას განიცდიან ხვესურულსა, თუშურსა და სხვა დიალექტში კავშირის, ნაწილაკების, მოთხრობითი ბრუნვის, ზმნის III პირის, წყვეტილისა და კავშირებითის ბოლოკიდური -ა და -ე ხმოვნები და სახელობითის -ი ნიშანი, ხოლო -ო → ო → ოჰ → ოჰ (მაგ.: ავიღე, ამბობდა, კაცმა, კაცი, აიღო...).

ზოგი გრამატიკული მოვლენაც ბაცბურის გავლენის კვალს ამგვანებს. ქართველურ ენებში მხოლოდ სამი დიალექტია (ხვესურული, მოხეური და თუშური), სადაც თხოვნითი ბრძანებითი მოიპოვება. იგი თავისი თხოვნითი ელფერით ემთხვევა ბაცბურისას და სხვ.

წოვეური, ქისტური (ვეინახურ ენათა) სუბსტრატი მთის კილოებში გამართლებულია ამ ენათა მატარებლების ისტორიით. საუკუნეთა განმავლობაში თანაარსებობა და მჭიდრო კონტაქტი გახდა მიზეზი მათი ეთნიკური შერევისა და წოვერიდან ქართულ ენაზე გადასვლისა.

სუბსტრატის აქ მოყვანილი ნიმუშები ცოცხალი მოწმეებია თითქოს ჩვენ თვალწინ მომხდარი ფაქტისა — ეთნიკურ ერთეულთა შერევა-შერწყმისა და შთანთქმული ენის დანალექის შემონახვისა მეორე ენაში.

[**ამავე** პროცესი მიმდინარეობდა შორეულ წარსულშიც. ამის უძველეს ბუთს წარმოადგენს ჩერქეზული ენის სუბსტრატი გურულსა და ჩირთადად სვანურ ენაში, თუმცა ჩერქეზთა დასახლებას ამ ტერიტორიაზე ისტორიული წყაროები არ უჩვენებენ. ს. ჯანაშიას დამაჯერებელი ანალიზით დადასტურებულად ითვლება, რომ გურიის მდინარეები სუფსა, აჭყყვა, მალთაყვა და სხვები შეიცავენ ჩერქეზულ სიტყვებს -ფხ (წყაყ) და -ყვა (ღელე, ხევი). ასევე გურიასა, სამეგრელოსა და სვანეთში გავრცელებული სახელებისა და გვარების (როგორცაა: ბათაყვა, ჯარაშდუყვა... ინგოროყვა, ჭანუყვა ძე = ჭანიშვილი...) -ყვა ელემენტი ჩერქეზულია და ნიშნავს 'იეს, შვილს'. სვანურ ენაში ჩერქეზული ლექსიკის მთელი ფენაა გამოვლენილი. უფრო მეტიც: ბრუნებას და უღვლილებაში მატერიალური ნაწილის დამთხვევასთან ერთად გვაქვს ბრუნების სისტემის ერთგვარობა, მოდელის მსგავსება. ამას ერთვის ფონეტიკური პროცესის დეზაფერიატიზაციის ერთნაირი გენეზისი. ეს ვითარება აძლევდა საბუთს ს. ჯანაშიას გამოვლენას დასკვნა ჩერქეზული (აღიღეურო) ფენის არსებობის შესახებ სვანურში და ენობრივი ფაქტები აეხსნა როგორც მემკვიდრეობა ჩერქეზთა (აღიღეულთა) ისტორიამდელი მოსახლეობისა საქართველოში.]

[**ხედმატი** არ იქნება აქვე მოვიგონოთ ქართულისა და ქანურის სუბსტრატი თურქულ წარმოთქმაში. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის მოგზაური ევლია ჩელები შენიშნავენ ლაზთა მიერ თურქული ენის შეგუებას ლაზურ მეტყველებასთან და თურქული მუღერების გადმოცემას ყრუ თანხმოვნებით. სამხრეთ საქართველოში (თურქეთშია მოქცეული მე-16 საუკუნიდან) ქართველთა თურქულ ენაში შენახულია ქართული ტოპონიმიკისა და ონომასტიკონის ნიმუშთა

გარდა საყოფაცხოვრებო ლექსიკიდან გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა და, რაც მთავარია, ტემბი წარმოთქმისა, ნ. ბარის ცნობით, ოპიზაში „Грузинская речь... забыта. В турецком разговоре опизцев поражает быстрота произношения...“, რაც ქართული ენის კლარჯული (იმერხელი) დიალექტის სუბსტრატს წარმოადგენს.

ამგვარად, ქართველურ ენათა და კილოთა და მათ მომიჯნავე ენათა ურთიერთმოქმედების შესწავლას მივყავართ შემდეგ დასკვნამდე:

1. სუბსტრატის გავლენას ეჭვმდებარება ენის ყველა სფერო: ფონეტიკა, აქცენტუაცია-მელოდიკა, გრამატიკული წყობა (მორფოლოგია და სინტაქსი), ლექსიკა (სემანტიკა იდიომატიკითურთ). ამდენად უკუსაგდებია ზოგი მკვლევარის დებულება იმის შესახებ, თითქოს მორფოლოგია შეულწიველი იყოს.

2. სუბსტრატი შედეგია ერთი ენის შეცვლისა მეორე ენით. ეს შეცვლა მეტად ხანგრძლივი და რთული პროცესია, იგი შეიძლება მოხდეს ორი მონათესავე თუ არამონათესავე ენის საუკუნეთა განმავლობაში თანაარსებობისა და კონტაქტისა, მათი მატარებელი ხალხებისა თუ ტომების მჭიდრო ცხოვრებისა და შერევის პირობებში.

3. ერთი ენიდან მეორე ენაზე თანდათანობით გადასვლა წარმოებს გამარჯვებული (შთანთქმელი) ენის გავრცელებისას მთელ ტერიტორიაზე ან მის გარკვეულ სექტორში. შერწყმული ენა შეიძლება სულ გაქრეს ან განაგრძოს თანაარსებობა როგორც მომიჯნავე, ისე დაშორებულ ტერიტორიაზე (ასე, მაგ., მომიჯნავეა ქართული და ბაქტური, დაშორებულია სვანური და ჩერქეზული).

4. ენათა შერწყმის შედეგია სუბსტრატი. სუბსტრატი იწვევს შემთავსებელი ენის სახეცვლილებას, შეიძლება წარმოიშვას ახალი დიალექტი, მაგრამ არ წარმოქმნის ახალ ენას.

მიღებული დასკვნები განამტკიცებენ სუბსტრატის თეორიასთან დაკავშირებით წამოყენებულ მყარ დებულებებს.

4. ენათა ურთიერთმოქმედების სხვა ტიპებიდან უნდა გაირჩეს ტერიტორიულად მომიჯნავე ენათა თუ კილოთა კონტაქტით გამოწვეული ურთიერთგავლენა ა) შერევის გარეშე და ბ) შერევის პირობებში.

შერეული ენის კლასიკურ ნიმუშად ითვლება სვანური, სადაც თავს იყრის საკუთრივ სვანურთან ერთად ჩერქეზული სუბსტრატი და ქართულისა და მეგრულის ძლიერი ღვნა. მაგრამ ამაზე ბევრი რამ ითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში და აქ არ შევჩერდებით.

შერევის გარეშე ურთიერთგავლენის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს სვანური ენის ბალსზემოური კილოა ლატალური და ბალსქვემოურის ბეჩოური კილოკავი, რომელნიც ერთმანეთის გავლენას განიცდიან როგორც ლექსიკაში, ისე ფონეტიკასა და გრამატიკაში. საქმარისია მოვიგონოთ ბეჩოურში ბოლოკიდური -ჰ დიფთონგის დაცვა, ნათესაობითში ბრუნვის სუფიქსის -შ ელემენტის მოკვეცა გენეტაციის მსაზღვრელად ხმარებისას, უწყვეტელში -ჰს, -ღს სუფიქსთა გავრცელება და სხვა, რომ ლატალურთან კავშირი დავინახოთ. პირიქითი გავლენის მაგალითებიც ბევრია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბალსქვემოური დიალექტის ცხუ-მარული კილოკავი, რომლის საფუძველი ეცერულია და იგი დაცული აქვს პირველ თაობას (მოხუცებს), მაგრამ ბეჩოურთან მჭიდრო კონტაქტისა და

შინაგანი ცვლის წყალობით მას საკმაოდ შეცვლილი სახე აქვს. ბერძნობის გავლენა ატყვია უმთავრესად ფონეტიკაში უმლაუტის შესუსტებასა და მორფოლოგიაში ზმნის დროთა წარმოებას. გავლენით გამოწვეული სახეცვლილება იმდენად დიდია, რომ იგი ნარევი კილოკავის შთაბეჭდილებას ქმნის. ასეთი მეტყველება დამახასიათებელია ახალი თაობისა, რომელიც ბერძნულ საშუალო სკოლაში სწავლობს.

ამ მხრივ საინტერესოა ქვემოთხსენებულ ჩოლურული კილოკავიც, რომელიც თავისი ლექსიკით, გრძელი ხმოვნებით, რედუქციითა და გრამატიკული აღნაგობით ლაშხურის კილოკავია, მაგრამ უმლაუტის გამოყენებით ლენტეხურს უკავშირდება. აქაც გავლენა უნდა იყოს, ვიდრე შერევა.

ქართული ენიდან დავსახელებთ არანარევი ზემომიგრულ კილოკავისა და მესხურ კილოს. პირველს, თუმცა მას სურამის ქედზე გამოყოფის ქართლურისაგან, უკანასკნელის გავლენა ატყვია ყველა რგოლში. სახელდობრ: მ- და შე-პრეფერებები იხმარება, როგორც ქართლურში, უცვლელადაც და მ- და შა-ს სახითაც პარალელურად (მოვიტანე || მვეიტანე, შდრ. მამიტანე), ემფატიკური -ა დაცულია ბრუნვებში, წყვეტილის -ე სუფიქსიან ფორმებს დაერთვის -გი ან -ი მარცვლი, თურმეობით I და II-ში ჩართულია -ს-სუფიქსი და სხვ.

მეორეს, მესხურს, ახასიათებს აქარულისა და იმერხელის ფონეტიკური თავისებურებები. ესაა -ა ხმოვნის სრული ასიმილაცია ე სთან და შემდეგ დისიმილაცია სახელთა მრავლობით რიცხვში და ზმნის პრეფერბიან ფორმებში (დიეები ← დე-ები ← და-ები... დიეცა ← დეეცა ← დაეცა) და სხვ. აქ გავლენა უფროა, ვიდრე კილოთა შერევით მიღებული გადმონაშთები. ამაზე ჩვენს ყურადღებას წარმართავს ისტორიული ვითარება: ზემო იმერეთი გარკვეულ ხანაში ქართლის სამეფოში შედიოდა, ხოლო აქარა მესხეთთან ერთად საუკუნეთა განმავლობაში იბერიისა და შემდეგ ტაო-კლარჯეთის ნაწილს შეადგენდა.

მაგრამ კილოთა შერევის ნიმუშებიც საკმაოადა. ყველაზე უფრო საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს თიანეთის რაიონის მოსახლეობა, რომლის ძირითადი ნაწილი წარმოქმნილია კახელებში გათქვეფილი მთებიდან ჩამოსახლებული ფშავლებისა და ხევსურებისაგან. მათი მეტყველებაც, რომელსაც ქართლურ-კახურის საკუთრივ თიანური კილოკავი შეიძლება ეწოდოს, შეიცავს ფშაურისა და ხევსურულის ფონეტიკურსა და გრამატიკულ-ლექსიკურ თავისებურებებს. იგი, ამჟამად, პირვანდელი კილოს სახესხვაობაა.

ასევე ნარევია არაგვის ხეობის ქართლური კილო. მან გავლენა განიცადა, ერთი მხრივ, მთიულურ-გუდამაყრული დიალექტისა მთიულეთის არაგვის ზონაში, სადაც ქართლელებს შეერვივნენ ჩამოსახლებული მთიულეები და გუდამაყრელები და, მეორე მხრივ, ფშაურისა — ფშავის არაგვის ხეობაში, სადაც ფშავიდან ჩამოსახლდნენ ფშავლები. ქართლურის ამ ზონაში შემონახულია ჳ, ვა → ფ, ფვი → ფი, მოქმედი მახვილი, ხოლმეობითის წარმოება, მოიპოვება მთის კილოთა ლექსიკური ფენა და სხვ.

ნარევია იგივე ქართლური კილო ბორჯომის ხეობაში და ხაშურის ახლო-მახლო სოფლებში, ოდონდ აქ შერეულია იმერული კილო. ეს შერევა აიხსნება იმერელთა საკმაო რაოდენობით ამ ადგილებში XIX საუკუნეში დასახლებით და ადგილობრივ ქართლელთან შერევით. იმერულის გავლენის შედეგი იმდენად ხელშესახებია ფონეტიკურ პროცესებსა, გრამატიკულ მოვლენებსა და ლექსიკაში, რომ იგი ქართლურის სახესხვაობას ქმნის. იმერიზმებად ითვლება: პრეფერბისეული -ა- ხმოვნის ნაწილობრივი ასიმილაცია ზმნის ი- და უ-

პრეფიქსებთან, ზმნის ნამყო დროში მრავლობითი რიცხვის -ენ სუფიქსი, კავშირებითი II-ში -ო სუფიქსი -ე-ს ნაცვლად და სხვ. (გეიკეთა, გოდოლდგა, დაიზარდენ, შეხვდონ... ნაცვლად: გაიკეთა, გადაუდგა, დაიზარდენ, შეხვდენ). ზოგი ამ მოვლენათაგანი სპეციფიკური იმერულია.

იმერხელი (კლარჯული) კილო ძალიან ახლოს დგას აჭარულთან, მაგრამ ისტორიული და ენობრივი მონაცემებით დასტურდება, რომ მასში გათქვევლია ქართლური კილო. ქართლურის გავლენა ფონეტიკასა და ლექსიკაში შეინიშნება, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ ჩანს, რომ ეს გავლენა ძლიერი ყოფილიყო.

მომიჯნავე ორი კილოს შერევისას თუ ორივემ თავისი ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებები იმდენად დაიცვა, რომ ამოსავალ კილოებს სახე არ დაეკარგა, მაშინ წარმოიქმნება გ ა რ და მ ა ვ ა ლ ი კ ი ლო. ასეთად უნდა ჩაითვალოს ქვემოთხსენებულ ლენტეხურ და ჩოლურულ-ლაშხურ კილოთა მიჯნაზე მდებარე სოფ. საყდრის მოსახლეობის მეტყველება. აქ შერეულია ლენტეხელებთან ჩოლურიდან ვადმოსახლებულები და შერევის შედეგად გვაქვს თავისებური, სინკრეტული კილოკავი, რომელიც შეიცავს, ერთი მხრივ, ლენტეხურის უმაღლეს (შ რ უ), ურედუქციო სიტყვებსა და ფორმებს, ბგერათა კომპლექსებს (სკ, შტ-ს, ნაცვლად სვ, შდ-სი), ბრუნებისა და უღვლილების სისტემას და, მეორე მხრივ, ლაშხურის გრძელ ხმოვნებს, რედუქციის ძლიერ ტენდენციას, პრევერბისეულ ა-ს დამსგავსებას ზმნის ი-პრეფიქსთან და ე დ ქცევას, უღვლილებაში დროთა წარმოებას ლაშხურის მსგავსად. როგორც ვხედავთ, აქ თავს იყრის ორი კილოს მკვეთრად განსხვავებული თავისებურება როგორც პარალელურად ნახმარ, ისე ცალკეულ ფორმაში (მაგ.: ამეტეხელ ხვი 'დაებრუნებულვარ': ამეტეხელ ფორმაში ლენტეხურია ურედუქციობა, ლაშხურია უუშლაუტობა, -ლ-ს გადმოყოლა I და II პირში და ხმოვნის დაგრძელება; შდრ. ერთმანეთს: ლენტეხური ამეტეხ'ე' და ლაშხური ემტეხელ).

[შერევის თუ სხვა ფაქტორებიც დაერთო, მაშინ შეიძლება ახალი კილო წარმოიშვას. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფერეიდნული კილო. იგი მეტყველება ამოწვეტასა და გასპარსელებას გადარჩენილი ქართველებისა, რომლებიც შაჰ-აბას პირველმა მე-17 საუკუნის დასაწყისში კახეთიდან და საინგილოდან გადაასახლა 130.000 სულის რაოდენობით და საშინელ პირობებში დაასახლა ირანის პროვინციებში და მათ შორის ფერეიდანშიც. აქ კახურისა და ინგილოურის შერევამ, უცხო გარემოში მოქცევამ, სპარსული ენის ზეგავლენამ, შინაგანვიტარების მოქმედებით გამოწვეულმა ევოლუციამ შეაპირობა ახალი, დამოუკიდებელი, ინდივიდუალური სახის მქონე კილოს წარმოქმნა. მასში კარგად არის დაცული კახურ-ქიზიყურისა და ინგილოურის ის თავისებურებები, რომლებიც მათ მე-17 საუკუნეში უფრო მკვეთრად ახასიათებდა. ესაა: შემონახული ჳ ბგერა, ფვი → ფი, ნამყო მრავლობით რიცხვში -ეს სუფიქსი, პერმანსივი, -ყე ნაწილაკი და სხვა. ამას ერთვის თავისებური ევოლუცია იმ ფონეტიკური მოვლენებისა, რომელთაც დასაბამი უდავოდ ჰქონდათ ინგილოურში. საქმე ეხება უმარცვლო უ-სთან დაკავშირებულ პროცესებს (ჭა → ო, ჭე → ე და ჭი → ი, შდრ. ინგილოურში ჭა → ო, ჭე → ო და ჭი → უ) და პრევერბთა სრულ ასიმილაციას ზმნის პრეფიქსებთან: მუგუკლა ← მოგუ-იკლა, დოგოცა ← დაგუტცა და სხვ.). როგორც მოსალოდნელი იყო, შემოჭრილია სპარსული ლექსიკა დიდი რაოდენობით და ფეხს იკიდებს ფრაზეოლო-

გიური კალკიც (თილიფანი ვენათ=ტელეფონით დაფუძახთ, ჯავაბი ქნეს=უპასუხეს) და სხვ.

თითქოს ეგვე ფაქტორები მოქმედებენ ინგილოური კილოს ჩამოყალიბებაში. იგი კახურ-ქიზიყურთან ახლო მდგომი დიალექტი იყო და თავიდანვე უნდა ჰქონოდა თავისი დამახასიათებელი თავისებურებები, მაგრამ მისი პირვანდელი სახისგან დაშორება და სხვა იერის მიცემა უდავოდ შეაპირობა XIII — XIV ს-დან მონგოლების შემოსევებმა, თემურლენგის, შაჰ-აბასის მიერ მრავალგზის დაპყრობამ, ჩამოსახლებული თურქმან-ყიზილბაშებისა და დაღესტნის ტომთა გარემოცვაში მოქცევამ, მათი ძალდატანებით ცხოვრების წესების შეცვლამ და ქართული გარემოსგან მოწყვეტამ. ინგილოურის ფონეტიკური შემადგენლობა და გრამატიკული სისტემა საკმაოდ არის შეცვლილი ხუნძური და აზერბაიჯანული ენების ძლიერი გავლენით. დაღესტნურის (ქარულის) ადრინდელი გავლენის შედეგი უნდა იყოს მეღერ აფრიკატთა სამეული სისტემის მოშლა და ძ ჯ-ს დენაფრიკატიზაცია ზ და ჟ-დ, ზ-ს გადასვლა ვ-დ, ხოლო აზერბაიჯანულის გავლენაა, რომ გვაქვს ზ და უ (უმლაუტი) იქ, სადაც ადრე უ უმარტკლო ე და ი ხმოვნებთან თავისებურებას იჩენდა და ფერეიდნულში იგი ვ-ს დაკარგვაში გამოვლინდა. ფუძისა და ფორმანტის ბოლოკიდური -ა და -ე ხმოვნების, სახელობითის -ი ნიშნის დაკარგვა და ა → ე აქ უფრო შორს არის წასული, ვიდრე ხევსურულსა და თუშურში და იგი დამოწვეული ჩანს მახვილის მოქმედებით, ოღონდ გამოსარკვევია, ეს მახვილი საკუთრივ ქართულია, ხუნძურისაა თუ აზერბაიჯანულის გავლენის შედეგია. ლექსიკაში შემოსული აზერბაიჯანული სიტყვების გარდა აზერბაიჯანულთან დამოკიდებულებითა და მისი ზეგავლენით ხსნიან მყოფადის III ტიპის, თურმეობითი I-ის აღწერითს წარმოებას, რთული წინადადების ქი (=რომ) კავშირიან სახეობას და მიმღობურ კონსტრუქციას. უკანასკნელის წარმოშობაში ქარულის (ხუნძურის) როლსაც ვარაუდობენ. უმლაუტები (ზ, უ) თურქული ენის გავლენით გაჩენილია ქართლურ კილოშიც წალკის რაიონის ერთი სოფლის (რეხა) მეტყველებაში.

სავანებოდ აღსანიშნავია ის გარემოება და ეს სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის ნაჩვენები, რომ არც ჭანურსა და არც კლარჯულ კილოებში ბგერითი სისტემა არ შეცვლილა, თუმცა ჭანები და კლარჯელები თურქული ენის მატარებლებიც არიან, თურქულ ენაში კი უმლაუტები ზ და უ და გრძელი ა ი უ ხმოვნები ძირითადი ბგერებია და ამასთან ერთად ამ კილოებზე თურქული ენის გავლენა ლექსიკაში დიდზე დიდია.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების მიხედვით ირკვევა, რომ მომიჯნავე კილოები თუ კილო და ენა (თუნდაც უცხო იყოს იგი) ერთმანეთზე გავლენას ახდენენ მეტ-ნაკლებად ან მეზობლური კონტაქტის ან განსახლების, გადასახლების თუ შინაკოლონიზაციის ნიადაგზე შერევის პირობებში და შედეგად მიიღება კილო სსახეცვლილება ან გარდამავალი, ან ახალი კილო. ისიც ირკვევა, რომ თავისი შედეგებით ენა-სუბსტრატის გავლენა არ განსხვავდება სხვა ტიპის გავლენისაგან. ამდენად ქართველურ ენათა მონაცემები ადასტურებენ სამეცნიერო ლიტერატურაში ამის თაობაზე წამოყენებულ დებულებას.

ბ. ქართველური ენები და მათი კილოები უხვ მასალას წარმოგიდგენენ აგრეთვე უადრესად მნიშვნელოვანი პრობლემის კონვერგენციის გასაშუქებლად. მრავალი ფაქტი მოგვეპოვები იმისა, რომ ერთი და იგივე ფონეტი-

კური და გრამატიკული მოვლენა, ასევე სემანტიკური, წარმოიშევა ტრი-ტორიულად დაშორებულ სხვადასხვა ენასა თუ კილოში სინქრონიულად, ერთდროულად ან სხვადასხვა დროს. დავისახელებთ რამდენიმე მოვლენას.

ა) სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია არტიკულაციის გადაწყვეის გამო ხორხისმიერ ბგერათა სამეული სისტემის დარღვევა ბარის ენასა და კილოებში. ხორხისმიერი მკლერი გ (გ) ადრეულ ეპოქებში გამჭრალა, ფშვინვიერი ჳ შემორჩა მთის კილოებსა და სვანურს, სხვაგან მას შეენაცვლა ხ და ზოგან (მოხეურში, აგრეთვე ქიზიურში) ახლა ენაცვლება, მკვეთრი ყ მეგრულში იქცა ც დ და ქანურში იძლევა რეფლექსებს ც, კ, ა, ნულს (ათინურში). ხორხისმიერი სპირანტი ჰ ან უკვალოდ ქრება ან რეფლექსებს (ხ, ა) გვაძლევს ზოგ დასავლურ კილოსა, მეგრულსა და ქვემოკავანურში.

ბ) დადგენილია ხმოვანთა ერთგვაროვანი სრული ასიმილაცია სვანურში, ზანურში, იმერულსა, გურულსა და აჭარულში და ტერიტორიულად ძალზე დაშორებულ თუშურსა, ინგილოურსა და ფერეიდნულში (ივარაუდება: ა + უ → ო + უ → უ + უ → უ, ა + ი → ო + ი → ი და სხვ.).

გ) გარკვეულია ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა და ო → ე სვანურში; ხევსურულსა, თუშურსა და ინგილოურში და სხვაგანაც, ხმოვნის ამოვარდნა სამმარცვლიან სიტყვებში, რთულ პრეფერებებში, სათავისო ქცევის ი-პრეფიქსის დაკარგვა სვანურში, ინგილოურში, აჭარულსა და იმერხეულში და სხვ. (კაც-მ ← კაც-მა, სვან. უწვიდ ← *ან-ი-კიდ 'აილო', აჭარ. წვედა)...

დ) ფუძის ბოლოკიდური ა ხმოვნის ნაწილობრივი ასიმილაცია სახელობითის -ი ნიშანთან და ე-დ ქცევა სვანურში, მეგრულში, ლეჩხუმურ-ქვემო-იმერულსა და გურულში (ძამიე ← ძამია + ი...).

ე) ბოლოხმოვნიანი ფუძე უკვეცლად რჩება სახელთა ბრუნებისას სვანურში, ზანურში, ქვემოიმერულსა და გურულში (ძმა-ის, ძმა-ით...).

ვ) მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება დარღვეულია და ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი პრეპოზიციულ წყობაში წარმოდგენილია უცვლელად სახელობითი ბრუნვის ფორმით ზანურში, სვანურსა და ქვემოიმერულში, ეგვე მოვლენა ჩნდება ქართლურის ზოგიერთ ზონაში, ინგილოურსა და ფერეიდნულში, ხოლო მსაზღვრელი ფუძით გვევლინება თუშურში (დიდი კაცს, თელი სოფელმა... თუშ. სამ ბიჭ...).

ზ) ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელ -ყ ნაწილას თანდათანობით შეენაცვლა პირის მრავლობითის -თ ნიშანი გარეკახურში, იმერულში, რაჭულში და ჩვენ თვალწინ ენაცვლება ზემორაპულ-ღებურ კილოკავში და იშვიათად ინგილოურში.

თ) მიცემით ბრუნვაში დასმული გრამატიკული ობიექტი დიდი ხანია გაგვეულია რეალურ სუბიექტად (ქვემდებარედ) და ამის კვალობაზე მისმა სინტაქსურმა ძალამ ევალუცია განიცადა: იგი ითანხმებს ზმნას რიცხვში სვანურში, ზანურსა და ქართლში და უკანასკნელის მრავალ კილოში, ხოლო თუშურში ახლა იკიდებს ფეხს. მიცემითის (დატივის) კონსტრუქციის გაძლიერებას მოჰყვა სახელობითის (ნომინატივის) კონსტრუქციის სინტაქსური დამოკიდებულების — შევასწავლის შეთანხმების — დასუსტება (მათ უყვართ = ევას-ვრს ხალატს)...

ი) გარდაუვალ დინამიკურ ზმნასთან დროთა მეორე სერიაში ქვემდებარის ხმარება მოთხრობით ბრუნვაში კანონზომიერად იქცა ზანურში, თითქმის ეგვე ითქმის გურულისა და ქვემოიმერულის შესახებ, იგი ფეხს იკიდებს და თანდათან

ვრცელდება ქართულურში, კახურში, მთიულურში, ინგილოურში და სხვაგან და, რაც მეტად საყურადღებოა, ფერეიდნულშიც. აქვე დავსძენთ, რომ ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში ჭანურში დროთა I სერიაშიც იხმარება და მიჰგან სრულიად დამოუკიდებელი აჭარულის კირნათ-მარადიდის მეტყველებაშიც ჩნდება. შეინიშნება ამ კონსტრუქციის გაჩენა ქვემოქართულურის წერაქვ-სიონურ მეტყველებაში. ამის ცვლას თან სდევს ობიექტის გადაყვანა მიცემითიდან სახელობითში (კაცვა აღვა... საქათმე ვერ გააკეთებს კაცვა...).

კ) დამოუკიდებელი წინადადების უკანასკნელი წევრის ბოლო მარცვალი გრძელდება გურულსა და აჭარულში და იგი თავისი აგებულებით ემთხვევა ინგილოურსა და მეგრულს (კარვა რუმ აღულდაა, აღვა...).

ესა და სხვა მსგავსი მოვლენები აიხსნება სხვადასხვა მიზეზით, რომელთა გაშუქება აქ მიზნად არა გვაქვს დასახული.

მ. ქართულურ ენათა მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაშუქდეს უნიფორმაციის, გრამატიკულ მოვლენათა უნიფიკაციის პრობლემა. უნიფიკაციის ტენდენცია ერთია და შედეგი კი კილოთა მიხედვით შეიძლება სხვადასხვა იყოს; მაგ.: ა) თურმეობითი I-ის -ავ, -ამ და -ია სუფიქსთა ნაცვლად უნიფიკაციის წყალობით ერთ-ერთი მათგანი რჩება, სახელდობრ: მთის კილოებში (ხეგსურულში, ფშაურში, თუშურში) -ავ ბატონდება, ხოლო ინგილოურსა და ბარის კილოებში -ია (აუშენება, ნაცვლად ფორმისა აუშენება, მაგრამ უთქვია, ნაცვლად ფორმისა უთქვამს).

ბ) გაერთიანების ტენდენციის გამოა, რომ კავშირებით II-ში -ა, -ია და -ე სუფიქსთა ნაცვლად ა ვრცელდება იმავე ზანურში, ხეგსურულსა და მახელოში, ნაწილობრივ ინგილოურში, ხოლო -თ სუფიქსი — ზემოიშვრულში (დაჯდას, დაწერას... მისცოს...).

გ) ეგვიფი ფაქტორი უნდა მოქმედებდეს ბოლოხმოვნიანი ფუძის უკვეცლად დაცვაში ბრუნების დროს ზანურში, გურულსა და ქვემოიშვრულში, ხშირად ხეგსურულსა და ფერეიდნულში, განსაკუთრებით კი სვანურში, სადაც დღეს ახალგაზრდები -ე ბოლოხმოვნიან ფუძესაც არა ცვლიან ირბ ბრუნებში (ნაცვლად ლზრა, ლზრად ფორმისა ხმარობენ ლზრეს, ლზრედ სათიბს, სათიბად).

დ) ერთგვარობის დამყარების ტენდენცია უნდა გვეწინდეს მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში, როცა ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი ისე უცვლელად ეწყობა საზღვრულს, როგორც ბოლოხმოვნიანი. ეგვიფი უნიფიკაცია უნდა იყოს მიზეზი სხვა ფაქტორთან ერთად ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში ხმარებისა გარდაუვალ ზმნასთან, როგორც ესა გვაქვს გარდასახულთან (იხ. ზემოთ).

ე) ინგილოურის კილოკავებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენაა ნაცვო წყვეტილის ფორმათა წარმოებისას, მაგრამ ორივე შემთხვევაში უნიფიკაციაა გატარებული: კაქურში -ე სუფიქსი ეკვეცება და უტოლდება უნიშნო ზმნებს (შენ დააწყ, მაატან, შდრ. დედექ), ხოლო ალიბადურში -ე სუფიქსი ერთგვარად უნიშნო ზმნებს და უთანაბრდება -ე სუფიქსიანებს (მამეკე, შდრ. მაიტანე). უნიფიკაციას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა: იგი იწვევს სუბლექტივისის მოშლას და ფუძეთა გათანაბრებას (მაგ.: იყო ზის — სხედ-ან, ვრცელდება ზი-ს--ზი-ან; ლაშხურში ხუგ, ხუგ, ლუგ ფომთა პარალელურად იხმარება: ლუგბე, ლუგბი, ლუგ 'ედგავარ, დგახარ, დგას'...).

შეიძლება დაგვემჩივროვლებინა მსგავსი ნაკალითები და დავვემატებინა სხვა საკითხებიც (არქაიზმების ხსიათი და ევოლუცია, ასალწარმოქმნათა გა-

ჩენა, არქაული და ახალი ფორმანტების ერთ ფორმაში შერწყმა და სხვ.) და გვეცადა მათი გაშუქება, მაგრამ ამით დავეჯერდეთ.

ერთი რამ უდავოა: ქართველურ ენათა მასალის მიხედვით იგივე ზოგად-ენათმეცნიერული პრობლემები ისმის, რაც სხვა ოჯახის ენათა დაკავშირებით გვაქვს, და ქართველურ ენათა განვითარების ტენდენციები და ფაქტორებიც ანალოგიურია სხვა სისტემის ენათა განვითარებისა. ამასთან ერთად აქ ბევრი მოვლენა უფრო გამჭვირვალეა და ადვილად და დამაჯერებლად აიხსნება ამ ენების მატარებელთა ისტორიით.

მოხსენებაში გათვალისწინებულია ქართველურ ენათა შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ა. ჩიქობავას, ს. ჯიქიას, ქ. ლომთათიძის, გ. როგავას, ი. ღემრიაშვილის, თ. შარაძენიძის, მ. ქალდანის, შ. მიძინაძის, თ. უთურგაიძის, ს. ჟღენტის, ი. მეგრელიძის, გრ. იმნაიშვილის, ქ. ძიწენიძის, მიხ. ალავიძის, კ. კუმლაშვილისა და სხვათა გამოკვლევები და ვ. იარცევას, ბ. სერბერნიკოვის, ვ. აბაგვის მოხსენებები და დისკუსიის დროს ენათმეცნიერთა გამოსვლები და სხვა. ვერ გამოვიყენეთ უმოვრობის გამო ჰ. ფოტისა და სხვათა მნიშვნელოვანი შრომები.

ДААННЫЕ ДИАЛЕКТОВ КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКОВ И ИХ ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ИСТОРИИ ЯЗЫКА И ОБЩЕГО ЯЗЫКОЗНАНИЯ

В. Т. ТОПУРИА

Резюме

Исследование диалектов картвельских языков имеет большое значение как для изучения вопросов истории развития этих языков, так и для постановки и разрешения актуальных проблем общего языкознания (какими являются: образование диалектов, взаимоотношение и взаимодействие диалектов и соседних языков, конвергенция, униформация, инновация и т. д.).

Различают несколько типов взаимодействия языков и диалектов.

I. Одним из основных типов считается влияние субстрата.

Следы занского субстрата обнаруживаются в гурийском, аджарском, нижнеимерском и лечхумском диалектах грузинского языка. Наличие субстрата в них объясняется смешением грузинских племен — картлийцев и имеров с мегрелами (колхами), населявшими в прошлом территорию распространения названных диалектов, — и сменой мегрельской (колхской) речи грузинскою, в результате чего образовались гурийское наречие и нижнеимерский говор с лечхумским и видоизменилось аджарское наречие.

Прежде всего, влияние субстрата прослеживается в топонимике и ономастике. Сохранились географические названия, содержащие мегрельские корни и аффиксы (суффикс род. падежа -შ -š и префикс ო- o-). Такого же происхождения и фамилии на -ში -š, -ია -ia, -ვა -va: ჯაში ჯაში, ჭყონია ცჟონია (Дубов) и др.

Сохранились в большом количестве термины родства, название строений, сельскохозяйственных орудий, домашней утвари, растений и других предметов, производных от мегрельских корней.

Более существенны данные из областей фонетики и грамматического строя. В гурийском, аджарском и отчасти нижнеимерском отмеча-



ется общий с занским языком процесс гласных. Это — полная репрессивная ассимиляция гласного элемента преверба с гласным префиксом в глагольных формах. Наблюдается нарушение согласования между определяющим словом с согласной основой и определяемым и тем самым полное сходство как материально, так и модели с мегрельским.

Сильно также влияние субстрата в горских наречиях — хевсурском, мохевском и особенно тушском. В них ярко выделяется слой субстрата нахских языков (чеченского, бацбийского) как в топонимике, ономастике, этнонимике, так и в лексике, фонетике и грамматике.

Следы нахского субстрата в горских диалектах оправдано историей носителей этих языков. Вековое тесное общение нахских племен, в частности бацбийцев, с грузинским населением явилось причиной их этнического смещения и перехода части нахцев на грузинский язык.

Субстрат черкесского языка в гурийском наречии и, в особенности, в сванском языке, является результатом процесса, протекавшего в далеком прошлом, хотя исторические источники не подтверждают существования черкесского населения на этой территории. С. Н. Джанашиа показал, что названия рек в Гурии სუფსა Supsa, მალთაყვა Maltaqva и другие содержат черкесские слова -ფსჲ -psa (вода) и -ყვა -qva (оврат, ущелье). Точно так же черк.-ყვა -qva (сын) наличествует в собственных именах и фамилиях, распространенных в Гурии, Самегрело и Сванети (ბათაყვა Bataqva, ინგოროყვა Ingoroqva...).

В сванском языке, помимо грузинского и занского субстратных слов, выявлен целый слой черкесской лексики. Более того, установлены совпадения в склонении и спряжении, а также сходство формообразовательных моделей. Наряду с этим отмечен один и тот же фонетический процесс — деаффрикатизация согласных в обоих языках.

Таким образом, изучение взаимодействия картвельских языков и наречий и граничащих с ними других языков приводит к следующим заключениям:

- 1) Влиянию субстрата подвержены все сферы языка: фонетика, акцентуация, грамматический строй, лексика. Следовательно, не приемлемо мнение некоторых исследователей о том, будто морфология является «непроницаемой для субстратных явлений».
- 2) Субстрат — результат смены одного языка другим. Такая смена — весьма сложный и продолжительный процесс. Она может иметь место в условиях векового существования и тесного общения двух родственных или неродственных языков и смещения племен, носителей этих языков.
- 3) Постепенный переход от одного языка на другой происходит на всей территории распространения победившего (поглотившего) языка или в ее определенном секторе. Слившийся язык может или совершенно исчезнуть, или продолжить существование как на смежной, так и на отдаленной территории (так, напр., смежными являются грузинский и бацбийский языки, отдаленными друг от друга — сванский и черкесский).
- 4) Субстрат, как результат взаимовлияния двух языков, может видоизменить победивший язык, породить новый диалект, но не может создать нового языка.

Эти выводы подтверждают положения, выдвинутые в связи с теорией субстрата.

II. От других типов взаимодействия языков следует отличить взаимовлияние, вызванное контактом территориально смежных языков и наречий а) без их смещения и б) в условиях смещения.

Наглядным примером взаимного влияния могут служить смежные говоры — латальский и бечойский (верхне- и нижнебальского наречий).

Среди говоров нижнебальского наречия выделяется цхумарский, в основе которого явно прослеживается эцерский говор, сохранившийся в речи старшего поколения. Однако в результате контакта с бечойским и внутренних изменений цхумарский говор значительно отклонился от первоначального вида. С этой точки зрения вызывает большой интерес и чолурский говор нижнесванской речи, который своей лексикой, долгими гласными, редукцией, и грамматической структурой близок к лашхскому, а наличием умлаута — к лентехскому. Несмотря на это и здесь имеем дело скорее с влиянием, чем со смешением.

В грузинском языке можно обратиться к нескольким диалектам. В верхнеимерском говоре во всех звеньях отмечается влияние картлийского наречия.

В результате внутрирегионального контактирования образуется смешанный диалект. Такими смешанными считаются говоры картлийского наречия, распространенные в отделенных друг от друга ущельях — Арагвском и Боржомском. Картлийское наречие Арагвского ущелья испытало влияние, одной стороны, мтиульско-гудамарского наречия в зоне Мтиульской Арагви и, с другой стороны, пшавского наречия в ущелье Пшавской Арагви, куда переселились пшавцы.

Что касается картлийского наречия Боржомского ущелья, то с ним смешалось имерское наречье, носители которого поселились в XIX веке в окрестностях гг. Боржоми и Хашури. Влияние имерского диалекта здесь настолько ощутимо, что можно говорить об особой разновидности картлийского.

Образцом видоизменения диалекта является тшанетский говор кахского наречия. В нем смешаны хевсурское, пшавское, а местами мтиульское наречия с основным кахским наречием, причем скрились резко отличающие их особенности и сохранились более или менее общие явления.

Если при скрещении наречий каждое из них удерживает свои фонетические и грамматические особенности в такой степени, что не теряет своей диалектной индивидуальности, то образуется переходное наречье. Таким следует считать речь немногочисленного населения деревни Сақдари, расположенной на границе Лентехи и Чолури (в Нижней Сванети). Здесь смешались лентехцы и переселившиеся из Чолури жители, вследствие чего образовалось своеобразное, синкретическое поднаречие, вобравшее в себя, с одной стороны, характерные для лентехского особенности — умлаут, слабое действие редукции, комплексы согласных $bj\ sk$, $\partial\partial\partial t$, систему склонения и спряжения и т. п., и, с другой стороны, лашхские явления: долгие гласные, переход превербного \dot{y} - в ∂ -e- в результате уподобления глагольным префиксам oi - и ∂ -e- и т. д.

Если наряду со смешением действуют и другие факторы, то возможно образование нового наречия. Таким считается ферейданское наречие, носителей которого сейчас немного (около 12.000 человек). Они были угнаны из Кахети и Саингило в Иран шахом Аббасом в начале XVII века в количестве 130.000 человек.

Проанализированные факты приводят к следующим выводам:

1) При маргинальном контактировании территориально смежные языки или диалекты влияют друг на друга и могут более или менее видоизменяться.

2) При внутрирегиональном контактировании происходит смешение языков или диалектов и может образоваться смешанный тип языка или

დიალექტა, причём смешанный диалект бывает трех видов: видоизмененный, переходный или новый диалект.

3) По своим результатам влияние языка субстрата имеет большое сходство с другим типом влияния, но отличается от последнего исторической давностью, фактором смены одного языка другим.

III. Картвельские языки и диалекты дают обильный материал и для освещения такой важнейшей проблемы, как конвергенция. Многочисленные факты подтверждают, что одно и то же фонетическое и грамматическое, а также семантическое явление возникает в различных, территориально соседних или значительно отдаленных друг от друга языках и наречиях синхронно или же в разное время.

IV. На материале картвельских языков и их диалектов можно изучить, и проблему унификации грамматических явлений. Следует отметить, что при унификации происходит выравнивание основы, сокращение числа разных формантов с одинаковой функцией, но результаты в диалектах могут быть различными.

Унификация имеет значение и с другой точки зрения: она вызывает распад супплетивных форм и тем самым выравнивание основ, например: вместо литературной формы ზის *zis* (сидит), мн. სხედან *sxedan* (сидят), в диалектах употребляется ზის — ზიან *zis — zian* и др.

В работе использованы исследования по картвельским языкам и диалектам И. Джавахишвили, С. Джанашиа, Н. Марра, И. Кипшидзе, А. Шанидзе, Г. Ахвледиани, А. Чикобава, К. Ломтатидзе, Г. Рогава, Ю. Дешериева, С. Джикиа, Т. Шарадзенидзе, М. Калдани, Ш. Дзидзигури, С. Жгенти, Ф. Утургандзе, К. Дзоценидзе, И. Мегрелидзе, Г. Имнаишвили, М. Алавидзе, К. Кублашвили и др., доклады о теории субстрата В. Н. Ярцевой, Б. А. Серебренникова, В. И. Абаева (напечатанные в сборнике «Доклады и сообщения», IX, Москва, 1956, со вступительным словом В. И. Борковского) и выступления лингвистов.

ღეხასიურ-ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისგორიისათვის ქართულურ ენაზეში

ბ. როგავა

(წარმოადგინა აკად. არნ. ჩიქობავამ)

როგორც ცნობილია, ქართველური ენებისათვის, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან განსხვავებით, დამახასიათებელია თანხმოვნების დეცესიურ-ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემები. სპეციალურ ლიტერატურაში გამოვლენილია ქართულში ხშულების დეცესიურ-ჰარმონიულ კომპლექსთა ორი სისტემა ამ კომპლექსთა მეორე კომპონენტის მიხედვით.

პირველი — A სისტემის კომპლექსების შედგენილობაში შედის წინა რიგის ხშულები + სათანადო უკანაენისმიერი გ ქ კ ხშულები, ხოლო მეორე — B სისტემის შემადგენლობაში იგივე წინაენისმიერი ხშულები + სათანადო უკანაენისმიერი ლ და ხ სპირანტები და ფარინგალური ხშული ყ.

A			B		
ბგ	ფქ	ჰკ	ბღ	ფხ	ჰყ
ღგ	თქ	ტკ	ღღ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძღ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჩკ	ჯღ	ჩხ	ჩყ ¹

დეცესიურ-ჰარმონიულ კომპლექსთა დაჯგუფებას მეორე წევრის მიხედვით უდავოდ აქვს თავისი გამართლება ამ კომპლექსთა როგორც სინქრონისა, ისე დიაქრონისათვის. მაგრამ შესაძლებელია ამ კომპლექსთა დიაქრონისათვის უფრო მიზანშეწონილი იყოს მათი დაჯგუფება პირველი კომპონენტების მიხედვით.

სახელდობრ, ამ შემთხვევაში ხაზი ესმის იმ ფაქტს, რომ A სისტემის კომპლექსთა პირველ კომპონენტს წარმოადგენს ძ ც წ, ჯ ჩ ჰ აფრიკატები, ხოლო B სისტემის კომპლექსთა პირველ კომპონენტს — მარტივი ხშულები ბ ფ პ, დ თ ტ. მეორე კომპონენტებად ორსავე სისტემაში გამოდის უკანარიგის ხშულები და სპირანტები — გ ქ კ, ლ ხ ყ.

ამრიგად, დეცესიურ-ჰარმონიულ ხშულ კომპლექსთა დაჯგუფება პირველი კომპონენტის მიხედვით წარმოგვიდგება ასე:

¹ გ. ანგლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 306; მისივე, Две системы гармонических смычных в грузинском языке, Памяти академика Л. В. Шербы, 1951, გვ. 113 — 116; მისივე, О некоторых основных вопросах фонетики грузинского языка, Фонетический сборник, 1960, გვ. 62 — 64.

A			B		
ძგ	ცქ	წკ	ბგ	ფქ	პკ
ძლ	ცხ	წხ	ბლ	ფხ	პხ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ღგ	თქ	ტკ
ჯლ	ჩხ	ჭხ	ღლ	თხ	ტხ

რამდენიმედ განსხვავებული ჩანს ქართულის ხშულთა დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსებისაგან ზანურისა და სვანურის ამავე რიგის კომპლექსები.

ერთიანი ჩანს ზანურისა და სვანურისათვის ამოსავალი A სისტემის კომპლექსები ქართულის ამავე სისტემის კომპლექსებთან. A სისტემის კომპლექსებში ცვლილებას აქვს ადგილი ჰანურსა და სვანურში — ჰანურში წყ და ჰჟ კომპლექსების წყ და ჰკ-ში გადასვლის გამო, ხოლო სვანურში აფრიკატების სპირანტიზაციის შედეგად. B სისტემის კომპლექსებშიც სხვაობა შეიმჩნევა ქართველურ ენებში: ჰანურისათვის უცხობა ტჟ კომპლექსი, მისი ტა-ში გადასვლის გამო².

ზანურისა და სვანურისათვის საერთოდ უცხობა ჰჟ და ჰკ კომპლექსები და სხვ...

თით ქართულში ჰკ და ჰჟ კომპლექსების თითო მაგალითია დადასტურებული: ჰყ არ (დაიპყრო), ჰკურ (ბკურება)³.

ამგვარად, ქართველურ ენებში დეცესიურ-ჰარმონიულ ხშულ კომპლექსთა ორივე ხისტემა სრული სახით არის წარმოდგენილი მხოლოდ ქართულში.

ჩვენი აზრით, აქ წარმოდგენილი A და B სისტემის კომპლექსები გენეტიური თვალსაზრისით განსხვავებული არიან ერთიმეორისაგან: A სისტემის კომპლექსები შეიძლება იყვნენ მიღებული როგორც კომბინატორული გზით,⁴ ისე რიგ შემთხვევაში სპონტანური გზითაც, ე. ი. აფრიკატ-სპირანტებთან გქკ-სა და (ღ)ხჟ უკანაენისმიერ ხშულთა და სპირანტთა განვითარებით,⁵ ხოლო B სისტემის კომპლექსები კი, ვფიქრობთ, როგორც წესი, მხოლოდ კომბინატორული გზით უნდა იყვნენ ჩამოყალიბებული.

არსებითად A სისტემისაა ხ და შ სპირანტებით დაწყებული კომპლექსები — ხხ, ხქ, შხ, შქ. ასეთი კომპლექსებიც, როგორც ცნობილია, რიგ შემთხვევებში წარმოქმნილია სპონტანური გზით, ე. ი. ხ-სა და ქ-ს განვითარებით.

A სისტემის დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსები შეიძლება დავეყოთ ორ ჯგუფად: a ჯგუფში შევა იგივე აფრიკატები + ლ ხ სპირანტები და ყ ხშული, ხოლო b ჯგუფში — იგივე აფრიკატები + გ ქ კ უკანაენისმიერი ხშულები:

² არნ. ჩიქობავა. ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1956, § 6.

³ ჰ. ფოხტი, ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა (ქართული თარგმანი), 1961, გვ. 34.

⁴ ხან. ჩხვარ (ჩხვარუნს „ცეხვავს“) — *ჩხვ-არ. შდრ. ქართ. ცეხ „ცეხვავს“ (K. H. Schmidt, Sibilanten und Affrikatenkorrespondenzen in den Kartwelischen, Bedi Karthlisa, Revue de Karthvologie (études géographiques et caucasiennes), ტ. XI—XII, № 36 — 37, გვ. 152); ქართ. ჩხარ-ი (სოფელი) — *ჩხ-არ-ი, (შდრ. ჩხ-ორ-ი სოფელია იმავე ჩხარის რაიონში, სახანოს სოფლის საბჭოში შემავალი), ზანური ვარიანტი ქართ. ჩხარისა; ქართ. ჩურჩხელი — *ჩურ-ჯუხ-ელი, შდრ., ჯა(ნ)-ჯუხა და სხვ.

⁵ არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, § 6; მისივე, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, გვ. 9...

	a			B		
ძლ	ცხ	წყ	ძგ	ცქ	წყ	
ჯლ	ჩხ	ქყ	ჯგ	ჩქ	ქკ	

a ჯგუფის კომპლექსები, სპონტანურად წარმოქმნილი, საერთო-ქართულური კუთვნილება შეიძლება იყოს და ამდენადვე უფრო ძველად ჩამოყალიბებული, რაც შეეხება ხ ჯგუფის კომპლექსებს, ისინი ძირითადად (როგორც სპონტანურად წარმოქმნილები) ზანურისა და სვანურის კუთვნილება ჩანს როგორც ცნობილია, ზანურ-(სვანური) ჯგ ← ჯ, ჩქ ← ჩ, ქკ ← ქ. ამდენადვე, ამ ჯგუფის კომპლექსები, სპონტანურად გაჩენილი, შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია უფრო გვიანდელია ზანურში სპონტანურად მიღებული სისინა სიბილანტიებიანი ძგ (ცქ) სქ კომპლექსები, მიღებული სათანადო ჯგ (ჩქ) შქ კომპლექსებისაგან.⁶

სვანურში კი ამავე შიშინა რიგის დეცესიურ-პარამონიული კომპლექსებისაგან არის მიღებული ხგ და სკ უკვე არაპარამონიული კომპლექსები.

თვით ქართულშიც დადასტურებულია რიგი შემთხვევა ჰ და წ მკვეთრ აფრიკატებთან მკვეთრი უკანანისმიერი კ-ს განვითარებისა; ქართ. დაჭკნა ← დაჭნა, შდრ. ძვ. ქართ. დაჭნა, ქართ. წკნელი ← წნელი, შდრ. ძვ. ქართ. წნელი, ქართ. ძე წკვი ←* ძეწვი, შდრ. მეგრ. ჯაჭვი...

რაც შეეხება B სისტემის დეცესიურ-პარამონიულ კომპლექსებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი მხოლოდ კომბინატორული გზით უნდა იყვნენ მიღებული. რიგ შემთხვევაში გარკვეული ჩანს ამ სისტემის კომპლექსთა წარმომავლობა, შეეხება ეს პირველ რიგში თხ კომპლექსს:

1. თხუთმეტი, როგორც ცნობილია, მიღებულია ათ-ხუთ-მეტ-ისაგან: თხ მიღებულია თ + ხ-საგან კომპოზიტური წარმოების საფუძველზე.
2. ქართ. თხილ-ი, ზან. ახირი ←*თიხ-ილი-ი || *თიხ-ირ-ი, შდრ. სვან. შღიხ. „თხილი“. ამ შემთხვევაში თხ ← თიხ ხმოვნის რედუქციის შედეგად.⁷
3. ქართ. თხა ←*დაჯ-ალ, შდრ. სვან. დაჯ-ჯლ „თხა“. აქ თხ კომპლექსი მიღებულია ფუძისეული ა ხმოვნის რედუქციის გამო დ მჟღერისა და ჯ ფუნქციური ფარინგალური ხშულის შეხვედრით: *დაჯ → დჯ → თჯ ← თხ. ჯ-ს შენაცვლება ხ-თი აქ კომპლექსური ხასიათის ცვლილებაა.⁸
4. ქართული დიალექტური თხორ-ი „ქსელი“ (მთის დიალექტებში) დაკავშირებულია მეგრ. თუხ (თუხუნს „ძაფს რთავს“ და სვანურ ლა-თხ-ა („ქსელი“) ფუძეებთან, სადაც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების მიხედვით ძირისეულ მასალად გამოიყოფა ხ, ხოლო თ ← ლ გაქვავებულ ნივთთა კლასის ნიშნად: *ღხ-ორ → *ღხ-ორ → თხორ.⁹
5. ასევე კომბინატორული გზით უნდა იყოს მიღებული თხ კომპლექსი ქართ. თხარ და ზან. თხორ (თხრის) ფუძეში.

⁶ თ. გაწყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და პართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, 1959. გვ. 28.

⁷ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, მიმოხილველი, 1926, გვ. 207.

⁸ ვ. თოფურია, იქვე, 211—213; არნ. ჩიქობავა, ქანურ-ნეგარულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 81.

⁹ ნ. ანდლუაძე, თხორ — („ქსელი“) ტერმინის ეტიმოლოგიისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, 1950, გვ. 220 — 231.

ამ ზმნური ფუძის აგებულების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეული მოსაზრებები არის გამოთქმული. როგორც ცნობილია, თხარ ზმნური ფუძე გვაქვს ძველ ქართულ ძეგლებში და მას მოეპოება კანონზომიერი შესატყვისობა ზანურსა და სვანურში: ქართ. თხარ : ზან. თხორ : სვან. შთხარ.¹⁰

ვ. თოფურიას დასახელებულ ნაშრომში ქართულ-ზანურ თხარ || თხორ ფუძესთან დაკავშირებული აქვს სვანური ზმნური ფუძე შდუღ(ვ) || შდუხ(ვ), „დასაფლავება“¹¹. ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სადაო.

სვან. შდუღ || შდუხ უდეტერმინანტო მარტივი ფუძეა, დახურულმარცვლიანი ძირი. სვან. შდუღ-ის მიხედვით თხ-არ || თხორ || შთხ-არ შედგენილი ფუძეა, ძირია თხ || შთხ, სვანური შდუღ-ის შესატყვისი, ხოლო-არ || -ორ დეტერმინანტი სუფიქსია. ამავე დროს ირკვევა, რომ ძირისეული თხ || შთხ ისტორიულად დახურულმარცვლიანი ყოფილა: თხ←*თუხ ან *თოხ (იხილეთ როგორც სვან. შთხ←შდუხ). ასეთი ძირისეული ნაწილი მართლაც უნდა უკავშირდებოდეს ქართ. თოხ, ძვ. ქართ. თოჯ სახელურ ფუძეს¹², ე. ი. ქართ. თხ-არ←*თოჯ-არ, ზან. თხ-ორ←*თოჯ-ორ, სვან. შთხ-არ←*შდუღ-არ.

ქ. შმიდტს თხარ ზმნურ ფუძესთან თოხ სახელური ფუძის დაკავშირება არ მიაჩნია სარწმუნოდ, იმის გამო, რომ ძველ ქართულში წარმოდგენილია თოჯ-ის სახით. ეს დაბარკოლება მოხსნილია, რამდენადაც, როგორც ცნობილია, თვ კომპლექსი ქართულში იძლევა თხ კომპლექსს¹³.

როგორც ჩანს, თხ-არ || თხ-ორ || შთხ-არ ფუძის თხ || შთხ კომპლექსი მიღებულია კომბინატორული გზით, დახურულმარცვლიანი ფუძის ხმოვნის რედუქციის საფუძველზე. გარკვევას მოითხოვს, თუ რა მიმართებაა ქართ. თოჯ-ის ბოლოკიდურ ჯ ფარინგალურ ხშულსა და სვან. შდუღ-ის ლ უკანაენისმიერ მკლერ სპირანტს შორის. ცხადია, აქ ჯ-საგან ლ-ს ვერ მივიღებდით, და, პირიქითადაც, ლ-საგან ვერც ჯ-ს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე სხვა ამოსავალი ბგერის მონაცვლე იყოს. ასეთი ამოსავალი ბგერა შეიძლება ყოფილიყო მკლერი ფარინგალური ხშული ზ, რომლის ისტორიული არსებობა ქართულში ხშულთა სისტემის მიხედვით ივარაუდეს ნ. მარმა¹⁴ და გ. ახვლედიანმა, ხოლო ამ ბგერის აქუსტიკური სახე ლოგოპედიური გზით აღადგინა გ. ახვლედიანმა¹⁵. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოცემულ

¹⁰ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართვ. ენებში, მოთმხილველი, 1926, გვ. 207; არნ. ჩიქობავა, ტანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, 286, K. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstadiums der Südkaukasischen Grundsprache, 1962, გვ. 116; Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, 1964, გვ. 176.

¹¹ ამდენადვე, უზუსტობაა, როცა გ. კლიმოვი წერს ამ ფუძის შესახებ: „Груз. и занск. основы сопоставил Топуриа“ (Этим. слов. картвельских языков, გვ. 178). ვ. თოფურიას, როგორც ჩანს, სვანური შესატყვისი ფუძეც აქვს წარმოდგენილი.

¹² H. Vogt, Alternances vocaliques en Géorgien, Norsk Tidsskrift for Sprogvidenskab, XI, ოსლო, გვ. 128. შდრ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართ. ენებში, I, გვ. 207; K. H. Schmidt, დასახ. ნაშრ., გვ. 116.

¹³ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, გვ. 213.

¹⁴ H. Marp, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 30.

¹⁵ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, 1936, გვ. 133, მისივე, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, 1949, გვ. 308—322.

შემთხვევაში φ ფარინგალურ მჟღერ ხშულს ქართულში შეენაცვლა ყრუ ფარინგალური ხშული ζ : *თო ζ \rightarrow თო ζ , ხოლო სვანურში უკანაენისმიერი მჟღერი სპირანტი λ : შდ φ \rightarrow შდ φ (ქვემო სვანური შდ φ მიღებულია შდ φ -ისაგან პოზიციურად).

ამგვარად, თხ-არ || თხ-ორ || შთხ-არ ფუძეში თხ || შთხ კომპლექსი ამოსავალში შეიძლება მიმდინარეობდეს თ || შდ + მჟღერი ფარინგალური ხშულის მონაცვლე ζ და λ -საგან:

- ქართ. თხ-არ \leftarrow *თ ζ -არ \leftarrow *თო ζ -არ \leftarrow *თო φ -არ
- ზან. თხ-ორ \leftarrow *თ ζ -ორ \leftarrow *თო ζ -ორ \leftarrow *თო φ -ორ
- სვან. შთხ-არ \leftarrow *შდ φ -არ \leftarrow *შდ φ -არ \leftarrow *შდ φ -არ.

როგორც დავინახეთ, დღ თხ ტ ζ რიგის დესეციურ-პარამონიული კომპლექსებიდან კერძოდ თხ კომპლექსის მიღების რამდენიმე შესაძლებლობა არის.

1. თხ \leftarrow თ + ხ, თხილ \leftarrow *თიხ-ილ
2. თხ \leftarrow თ + ζ , ერთ-ხელ \leftarrow *ერთ- ζ ელ¹⁶.
3. თხ \leftarrow ღ + ხ, თხოორ \leftarrow *ღ-ხოორ
4. თხ \leftarrow ღ + ζ , თხა \leftarrow *ღა ζ -აღ
5. თხ \leftarrow თ + ζ , სადაც ζ უნდა იყოს φ ფარინგალური ხშულის მონაცვ-

ლე: თხ-არ \leftarrow თ ζ -არ \leftarrow *თო ζ -არ \leftarrow *თო φ -არ.

ზოგ ფუძეში თხ კომპლექსი, არაა გამორიცხული, იყოს მიღებული თ-სა და ζ ყრუ ლარინგალური სპირანტისაგან, რომელიც ქართველურ ენებს, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენებს, φ მჟღერ წყვილთან ერთად ისტორიულად უნდა ჰქონოდათ.¹⁷

შედარებით ნაკლები შესაძლებლობაა დღ დესეციურ-პარამონიული კომპლექსის წარმოქმნისა ქართველურ ენებში.

1. დღ \leftarrow დ + ღ, ყურადღება \leftarrow ყურად-ღება (კომპოზიციური წარმოება); დღ-ე \leftarrow *ღელ-ე, ზან. დღ-ა \leftarrow *ღელ-აღ, შდრ. სვან. ლა-დღელ.
2. დღ \leftarrow დ + φ ფარინგალური ხშულის მონაცვლე ღ (გ. ახვლედიანი).
3. დღ \leftarrow დ + φ ლარინგალური მჟღერი სპირანტის მონაცვლე ღ¹⁸.

რაც შეეხება დღ, თხ კომპლექსთა რიგის მესამე ტ ζ კომპლექსს, როგორც ცნობილია, ისიც მრავალ შემთხვევაში კომბინატორული გზით არის წარმოქმნილი:

1. ტ ζ \leftarrow დ + ζ , ქართ. ტყემალ-ი \leftarrow *ღ-ყემალ-ი, შდრ. ზან. ყომურ-ი \leftarrow ყომურ-ი, სვან. ბარყვენ „ტყემალი“;¹⁹ ლალატყო \leftarrow ლალად-ყო, დიალ. ავან-ტყოფი²⁰.
2. ტ ζ \leftarrow ტ + ხ, ქართ. ტყდება \leftarrow *ტხდება \leftarrow *ტ ζ ე ხ-დ-ებ-ა, შდრ. ტეხ-ს²¹ და სხვ...

რამდენადაც B სისტემის კომპლექსები (თხ, ფხ...) ოდენ კომბინატორულ-

¹⁶ გ. თ თ ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართ. ენებში, III, გვ. 184.
¹⁷ ζ ასოთი გამოხატული ბგერა ქართულში გვიანდელი ჩანს, მიღებული სხვა წინა წარმოების ბგერისაგან.

¹⁸ სავარაუდო φ ლარინგალური სპირანტი ქართველურ ენებში აფხაზურის მსგავსად შეიძლება და გაუჩინარებულიყო, რასაც შეეძლო მოსაზღვრე ხმოვნის გაგრძელება.

¹⁹ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექს., გვ. 126.

²⁰ არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, გვ. 71.

²¹ გ. თ თ ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართვ. ენებში, I, გვ. 209.

ლი გზით არის მიღებული²² და ამდენადვე ისინი უფრო ნაკლებად ბუნებრივი კომპლექსები არიან, ასეთი კომპლექსები შედარებით ნაკლებად გამძლეც უნდა იყვნენ, ვინემ A სისტემის კომპლექსები (წყ, ცხ, ჩხ...). ამითაც შეიძლება იყოს შეპირობებული ქართველურ ენებში შემდეგი სახის ცვლილება: როცა სიტყვაში B სისტემის კომპლექსთან ერთად (მაგალითად, თხ კომპლექსთან ერთად) გვაქვს რომელიმე აფრიკატი წ, ჭ (ე. ი. კომპონენტი A სისტემის კომპლექსისა), ზოგჯერ თხ კომპლექსის ხ კომპონენტი ადვილს გადაინაცვლებს აფრიკატთან და ქმნის A სისტემის კომპლექსს, წყ, ჭყ-ს, უფრო ბუნებრივ კომპლექსს:

1. ქართ. წირთხლი „ქარის აწყობი“ (საბა) და წყერთლი (საბა):
წყერთლი ← წირთხლი-ი.

2. ქართ. მწუთხე ზანურში გვხვდება (უთუოდ ნახესხები ქართულიდან) ორი სახით: ჭან. მწუთხე და მეგრ. წყითე || წყუთე.

მეგრ. წყითე || წყუთე ← (მ)წუთხე, ასევე, ქართული ამავე ფუძის ვარიანტი წათხი „მლაშე ბალაში“ (საბა) ზანურში ორი სახითაა წარმოდგენილი: ჭან. წათხ (ოწათხუ „დამარილება“) და მეგრ. წყათ წყათუნს „დამარილებს“: წყათ ← წათხ.

ამის საფუძველზე შეიძლება დაისვას საკითხი ქართ. წყრთა, ზან. ჭყითა „წყრთა“ ფუძის მიმართაც: ხომ არ არის ქართ. წყრთა მიღებული წრთხა-საგან, ასევე ზან. ჭყითა მიღებული ჭრთხა-საგან და ამდენადვე ხომ არა აქვს სვანურს ამოსავალი ვითარება დაცული: სვან. ჭრთხ „წყრთა“ (შეიძლება ერთი და იგივე ფუძე წყრთა ← წრთხა და წრთხი-ი).

თხ კომპლექსზე უფრო ნაკლებად გამძლე ჩანს მისი მყდერი ვარიანტი დღ. ხშირად ეს კომპლექსი სიტყვის მნიშვნელობის დაჩრდილების შედეგად (კომპოზიტი, სიტყვაწარმოებაში) კარგავს ერთ-ერთ კომპონენტს. ასე, მაგ., ქართ. დღე ფუძეში მეორე კომპონენტი ღ დაკარგულა თანდებულის ფუნქციით: კვირა-მღე ← *კვირა-ღ-მი-ღღე.²³

შეიძლება სხვა შემთხვევაც დავასახელოთ ამავე ფუძეში ღ ბგერის დაკარგვისა სწორედ კომპოზიტი: ასეთია მეგრული დამორჩილი („შემოდგომა“), რომელიც მიღებულია ორი სახელისაგან — და-მორჩილი-ი ← დღა-მორჩილი, სიტყვა-სიტყვით: „ღღე-მოკლე“.

სხვა შემთხვევაში იმავე დღე ფუძის დ ელემენტი ჩანს დაკარგული, ასეთია:

მეგრ. გეღანი-ი ← გეღანი-ი „ზეგ“. გეღანი შემონახულია ჭანურში. შესაძლებელია, მეგრ. გოღა „გუშინ“ იყოს მიღებული *გოღა-ღღა-საგან.

ქართ. მღვრიე ← მღვრიე,²⁴ შედრ. მეგრ. ლაღღვე „მღვრიე“ და ქართ. დღვებს და სხვ...

უფრო ნაკლებად გამძლე ჩანს B სისტემის ბგ ფქ ბკ ბღ ფხ ჰყ კომპლექსები. ასეთი კომპლექსები თავკიდურ პოზიციაში მეტ შემთხვევაში განი-

²² სვანურში ზოგ ნასესხებ სიტყვაში თითქოს თ, ფ ხშულებთან ვითარდება ხ სპირანტი. ერთი ასეთი შემთხვევა უნდა გვპოვდეს სვანურ სიტყვაში თხრე „მგელი“, რომელიც ბერძნულიდან შეთვისებული *მირე, მირეიდ* „მხეცი“ უნდა იყოს. აქ ბერძნული *მ* სვანურში გადასული ჩანს კომპლექსით.

²³ ა. შანიძე, მღვ თანდებულის გენეზისისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 4, 1952, გვ. 370.

²⁴ შედრ. ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, 1960, გვ. 89.

ცდიან სხვადასხვა სახის სუპერაციის (ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვა, პირველი კომპონენტის სონორიზაცია, მეტათეზისი...), განსაკუთრებით ამ რიგის კომპლექსი ვერ ძლებს მეგრულში.

ამ რიგის კომპლექსებთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას რიგ ფუძეთა ურთიერთ მიმართების საკითხი:

1. ქართ. ზგერ (ბგერა) ფუძის ზანური შესატყვისია ჭან. ზგარ (ო-ზგარ-უ „ტირილი“)²⁵. მეგრული გარ || ნგარ („ტირილი“) მიღებულია ბგარ-ისაგან ბგ კომპლექსის სუპერაციის გზით: ბგარ → მგარ → ნგარ || გარ²⁶.

ქართ. ბგერ ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტი უნდა იყოს მღერ (მღერა), ვფიქრობთ, მიღებული სუპერაციით ბღერ ისაგან (სონორიზაციის გზით). ზან. ბირ-ა („სიმღერა“) უნდა იყოს მიღებული ქართულიდან შეთვისებული ბღერ-ისაგან ბღ კომპლექსში ღ-ს გაუჩინარების საფუძველზე (ე → ი?). ქართ. ბგ-ერ, ზან. ბგ-არ ზნნური ფუძის ძირისეული ნაწილი ბგ შეიძლება უკავშირდებოდეს სახელურ ფუძეს ბა-გ-ე: ბგ-ერ ← *ბაგ-ერ.

2. ქართ. ღვ-არ (დაღვარა) ზნნური ფუძის ზანური შესატყვისია ჭან. ბღ — ქაღობღუ, მეგრ. ღვ (რღვ) — ქაღაარღუ „დაყარა“²⁷. ამ ფუძის ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო ბღვ, რომელმაც ჭანურში დაკარგა ვ (უ) ელემენტი თავკიდური ბ-ს გავლენით — ჭან. ბღ ← ბღვ, ხოლო ქართულსა და მეგრულში დაკარგა ბ ელემენტი: ქართ. ღვ-არ ← ბღვ-არ, მეგრ. ღვ ← ბღვ.

მეგრე ფუძე უნდა გეჰონდეს ზანურში ბ-ს სახით: ო-ბ-უნ-ს („ასხამს“) ← *ო-ბღვ-უნ-ს. ამ ფუძეში ჯერ მომხდარა ღ-ს დაკარგვა და შემდეგ ვ-ს გაუჩინარება ბ-სთან. განხილული ზანური ბ (ობუნს) ძირის ჭან. ბღ-სთან კავშირის საკითხი დასმულია სპეციალურ ლიტერატურაში²⁸.

3. ქართ. ბუ (ცვ. ქართ. ბუეი), მეგრ. ღუ, ჭან. ბლუ || მლუ „ბუ“ ფუძისათვის ამოსავალია ბღუ, რომელიც შემონახული ჩანს ჭანურში. ქართ. ბუ ← ბლუ ბღ კომპლექსის მეორე კომპონენტის (ღ-ს) დაკარგვით, ხოლო მეგრ. ღუ ← ბლუ იმავე კომპლექსის პირველი კომპონენტის (ბ-ს) დაკარგვით. ჭან. მლუ ← ბლუ — სონორიზაციის გზით²⁹.

4. ქართ. ფქვილი ← *ფქ-ვილი-ი, შდრ. სვან. ფქჷ „ფქვილი“. ჭანურის კილოკავებში მომხდარა ფქ კომპლექსის სუპერაცია სონორიზაციით: მქ-ვი-რი-ი || მქ-ვი-რი-ი ← ფქ-ვი-რი-ი, ხოლო მეგრულში ფ ელემენტის სრული გაუჩინარებით — ქ-ვი-რი-ი ← ფქ-ვი-რი-ი³⁰.

5. ქართ. ფხეკ (ღხეკს), ზან. ხაქ (გოხაკარუ „გაღხიკა“). ზან. ხაქ ← ფხაქ ასევე მეგრ. ხეკ (გოხეკუ „გაღხიკა“) ქართულიდან შეთვისებული კარგავს ფ კომპონენტს...³¹

В სისტემის კომპლექსები ბღ || ბგ კომპლექსები საერთოდ ქართველურ ენებში უფრო იშვიათია, ვინემ მაგალითად თხ ან ტყ კომპლექსები. ამიტომ

²⁵ Климов Г. А., Этимологический словарь картв. яз., გვ. 49.

²⁶ გ. კლიმოვი მეგრულ ვარიანტში ბ-ს დაკარგვას ხსნის მორფოლოგიურ ფაქტორით: „В мегр. б выпал вследствие переразложения основы (ср. i-b-gar-k „я плачу“, где -b — префикс сущ. I. ა.“, იქვე).

²⁷ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, გვ. 256.

²⁸ არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 251.

²⁹ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, 1962, გვ. 92.

³⁰ არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, გვ. 171.

³¹ იქვე, გვ. 419.

გადასინჯვას მოითხოვს სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი დიალექტური ბლარტ, ბლერტა ფუძეების საკითხი. ბლარტ და ბლერტ სახელური და ზმნური ფუძეები მიჩნეულია ბარტყ და ბლერტ ამოსავალი ვარიანტებისაგან მეტათეზისითა და ასინილაციით მიღებულად²².

შეიძლება დაისვას საკითხი, ხომ არა გვაქვს აქ საპირისპირო პროცესი: ე. ი. დიალექტური ბლარტი ხომ არ არის ამოსავალი ბარტყ-ისათვის²³.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართველური ენების თანხმოვანთა კომპლექსების შესწავლას, როგორც თვით ქართველურ ენათა ისტორიისათვის, ასევე მათ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის დასადგენად.

აქცესიური რიგის კომპლექსები მკვიდრ ქართველურ სიტყვებში მხოლოდ პოზიციურად ჩანს მიღებული, მაგ., ძვ. ქართ. გბ-შე-ა-გბ-ო (გმოხარ-შა) ← გაბ, შდრ. ჭან. გუბ (გუბუმს „ხარშავს“), სენან. ჯჰბ. ლი-ჯჰბ „ხარშეა“²⁴...

რაც შეეხება დეცესიური რიგის კომპლექსებს, ისინი შეიძლება იყოს მიღებული როგორც კომბინატორული გზით, ისე (A სისტემის დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსები) სპონტანური გზითაც შეიძლება იყოს გაჩენილი. B სისტემის დეცესიურ-ჰარმონიული კომპლექსები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ კომბინატორული გზით უნდა იყოს მიღებული. ამ კომპლექსების მქონე ზოგი ფუძე, როგორც კვლევა-ძიებამ დაადასტურა, ისტორიულად წარმოადგენს დახურულმარცვლიანი ძირების შეკუმშულ სახეს, ქართ. თბ-ილ-ი ← *თბა-ილ-ი (ვ. თოფურია). სწორედ ამ რიგის კომპლექსების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გამოვლინდეს თიხტიბის დახურულმარცვლიანი ძირები. ქართველურ ენათა კომპლექსების შესწავლის აუცილებლობის საკითხი დიდი ხანია დაისვა ქართულ ენათმეცნიერებაში. მხედველობაში გვაქვს ე. თოფურიას ნაშრომები „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“, III, გვ. 186... მას შემდეგ ბევრი რამ გაირკვა ქართველური ენების თანხმოვანთა კომპლექსების საკითხებში, როგორცაა დებულზეა დეცესიური და აქცესიური კომპლექსების შესახებ, სპონტანურად მიღებული ჰარმონიული წყვილების შესახებ და სხვა. გამოვიდა საინტერესო მონოგრაფია სწორედ თანხმოვანთა კომპლექსების შესახებ ცნობილი ნორვეგიელი ქართველოლოგის შ. ფოხტისა („ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა“) და სხვ...

მაგრამ საგანგებო ყურადღებას მოითხოვს კომპლექსების შესწავლა სწორედ დიაქრონიულ ასპექტში.

²² არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, „არლი“, 1925. გვ. 71.

²³ ბლარტ-ში ტ შეიძლება ენინობისათვის სფუიქსი იყოს.

²⁴ არნ. ჩიქობავა, ტანტრ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 265.

იონან დამასკელის „ღიალექტიკის“ ქართულ-სომხური ვერსიები*

3. რაჟაპე

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ზენაწურთა ინსტიტუტმა)

§ 5. ქართულ-სომხური თარგმანები

როგორია თარგმნის წესი, რომლითაც შესრულებულია ქართული და სომხური თარგმანები?

არსენ იყალთოელის ქართული თარგმანი შესრულებულია იმ მთარგმნელობითი ტრადიციების გათვალისწინებითა და ზედმიწევნითი ერთგულებით იმ პრინციპებისადმი, რომლებსაც ემყარებოდა ე. წ. ელინოფილური სკოლა.

იონან დამასკელი უდავოდ ისეთი დიდი ავტორიტეტი იყო ქრისტიანულ მწერლობაში, რომ მისი თხზულებები, ამ სკოლის მთარგმნელობითი პრინციპებიდან გამომდინარე, ზედმიწევნითი უნაკლულობით უნდა თარგმნილიყო.

ამ მხრივ ნიშანდობლივია არსენისეული „ღიალექტიკა“. ზერეულ შედარებითაც კი ეფრემ მცირის თარგმანთან აშკარად ჩანს ამ ორი მწერლის მთარგმნელობით მეთოდს შორის არსებული სხვაობა. არსენ იყალთოელი ტიპიურა წარმომადგენელია პეტრიწონული სალიტერატურო სკოლისა, ხოლო ეფრემი, როგორც ცნობილია, არ წერდა პეტრიწონული სტილით¹.

არსენის თარგმანი ეფრემის თარგმანთან შედარებით დამძიმებულია ბერძნობებით და სიტყვასიტყვითი ზედმიწევნითობით გამოირჩევა, ენა ხელოვნურია. მრავალ შემთხვევაში წინადადებაში სიტყვათა განლაგებაც კი ბერძნულ წყობას მისდევს. მაგრამ ეს ფაქტი სრულიადაც არ მეტყველებს არსენის ქართულ ენაში ღრმა განსწავლულობის საზიანოდ. ის გარემოება, რომ მის თარგმანში გვხვდება გარკვეული სახის ბერძნობები, აიხსნება ქართული ტექსტის ბერძნულ ორიგინალთან მეტად დაახლოების სურვილით. თავის მთარგმნელობით მეთოდს თვითონ არსენ იყალთოელი ასე ახასიათებს „დოგმატიკონის“ ანდერქანავაში²: „...და არცა რაა ბერძნულსაგან დამიგდია და არცა რაა ზეპირითა დამირთავს, და თუ სიბნელე რაიმე სადმე ანუ სიღუბსიერე შესდგამს, იგი ბერძნულსა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა და შუქნებასა ვერ მეცნიერობისაგან“.

ის განსხვავება, რითაც განირჩევა არსენის სიტყვასიტყვითი თარგმანი ეფრემის თარგმანისაგან, შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ვახსა იმისა, რომ არსენ

* ღიალექტიკის იხ. ჟურნ. „მაცნე“, 1965, № 1.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 297.

² S — 1463, 39 ვ.

იყალთოელმა ხელმეორედ თარგმნა „დიალექტიკა“. ეფრემის შედარებით თავისუფალი თარგმანი არ შეესაბამებოდა პეტრიწონული სკოლის ლიტერატურულ-მთარგმნელობით მოთხოვნილებებს და ამიტომ არსენმა მოგვცა „დიალექტიკის“ უფრო ზუსტი თარგმანი. ამ ლიტერატურულ ტენდენციას მხარს უმაგრებდა თეოლოგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში იდეოლოგიურ მიმართულებებს შორის მომხდარი ცვლილებები, რომელთაც დააყენეს საკითხი „დიალექტიკის“ — დოგმატიკის ამ კლასიკური სახელმძღვანელოს — სიტყვათა-სიტყვი-თი ზედმიწევნითი თარგმნისა.

თარგმნის წესთან დაკავშირებით ჩვენთვის ძირითადად საინტერესოს წარმოადგენს ის, თუ როგორ თარგმნის სომეხი მთარგმნელი ქართულ ორიგინალს, როგორ გადმოსცემს იმ ადგილებს, სადაც ქართული ბერძნულზე დამოკიდებულების გამო ხელოვნურ ფორმებს მიმართავს. შეიმჩნევა თუ არა სომხურ თარგმანში დამოუკიდებლობის ტენდენციები, თუ სიტყვისიტყვი თარგმანია?

სომხური თარგმანის ქართულ და ბერძნულ ტექსტებთან შეჯერებით აშკარავდება შემდეგი სურათი: სომხური თარგმანის მიმართება ბერძნულ ორიგინალთან უშუალო არ არის. სომხური მხოლოდ ქართულ თარგმანზეა დამოკიდებული. ქართულში შედარებით თავისუფალი თარგმანი იქნება თუ სიტყვა-სიტყვით, სომხური ყოველთვის ქართულ ტექსტს მიჰყვება ბერძნულთან მიმართებაში. შემდეგ, თუ ქართულში აზრობრივი შეცდომა გვაქვს, რომელიც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ბერძნულის გარკვეული ენობრივი მოვლენა სათანადოდ არ არის გააზრებული, სომხური ასევე ბრძანდ იმეორებს ამ შეცდომას.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს, რომლითაც აშკარა ხდება სომხური თარგმანის ზედმიწევნითი დამოკიდებულება ქართულ ტექსტზე:

1) ქართული თარგმანი ბრძანდ არ მისდევს ბერძნულ ორიგინალს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ბერძნულისათვის დამახასიათებელი მიმღებური წყობა წინადადებისა ქართულში გადმოტანილია ან ზმნის პირიანი ფორმით, ან აბსოლუტიკის სახით, ან „რამ“ ნაწილაკით. ძველი სომხურის სინტაქსური წყობისთვის ბუნებრივია წინადადება ზმნის გარეშე, როცა ზმნის ფუნქციებს მიმღებობა ასრულებს. სომხურს ამ შემთხვევაში შეეძლო მიმღებობიანი კონსტრუქცია ეხმარა, მაგრამ ქართულ თარგმანზე დამოკიდებულების გამო იგი ქართულ კონსტრუქციას იმეორებს. მაგ.:

„ბრᲗმᲑნი ფაჲ!“ — „განასახლვრებდენ რამ, იტყვან“, 41 v — „ძიხუჲ საჲმასაიჲსი“.

„ი გიღაჲთჲ ეზიჲ ოსთჲ“ — „უძლებება, რომელი სახე არს“, 50 v — „ანასაიჲსიჲსი სიხაჲსი ლ“.

ქართულში თავისუფალი თარგმანი გვაქვს, როცა ბერძნულის ინფინიტივიანი წყობის წინადადებები (ზმნად ინფინიტივია გამოყენებული) სისტემატურად თარგმნილია პირიანი ფორმით. სომხურში ქართულის ვითარებას იმეორებს. მაგ.:

„თჲჲ აბჲჲჲ ელია: ნიჲფორჲჲ“ — „იგინივე იყენენ განყოფილებანი“, 46 v — „ნიიჲჲჲ სიჲჲჲსი საჲჲჲსიჲსი“.

„ნეჲღონ ჳეჲჲჲ ელია: თჲნ იჲსიჲჲჲ აბჲჲჲ თჲნ ონიჲჲჲჲ — „რამათა ცხად

იყოს, ვითარმედ სხუა არს საზღვარი მის სახელისა“, 45 v — „*კა-
ყო არაიყვტ, ხქტ აკლ საამან ჳ ანოანუნ*“.

2) ქართულში სიტყვასიტყვითი თარგმანი გვაქვს. ასეთივე თარგმანი გვაქვს სომხურში. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა წინადადების წყობაში. მაგ.:

„*Ἐριπόμενοι γὰρ πῶς ἔστιν ἡ θεία*“ — „არამეთუ კითხულნი, თუ სადა არს იგი ვინმე“, 51 r — „*ჟასნ ეჩ რარგხალ ქტ არ ჳ კა იან*“.
„*ἔπειθε δὲ ὁ πῶς ἡ τῶν ἀλλοτρῶν εἶναι τὸν ἕχθρον*“ — „არამედ უცხოთა ჰგავს ქონებისაგან აწინდელი ესე სახე“, 53 r — „*სკლ ქოქ კონხ-
ლქ კა ანსაოქ*“.

3) ქართულში აზრობრივი შეცდომა გვაქვს. სომხური იმეორებს ამ შეცდომას. მაგ.:

„*ταῖς δὲ λήθεις τῶν τῶν θειομαθεσθαι*“ — „ქვათა შორის განხურვებადობა“, 44 r — „*ქოქ ქ გარჩსან ეგრამაქანოქჩინ*“.

ქართულმა ვერ გაიგო *τῶν* არტიკლის ფუნქცია. რომელიც აქ წინა წინადადებაში ნახმარ საზღვრულს ენაცვლება. ბერძნულში ხშირი მოვლენაა, როცა გამეორების თავიდან ასაცილებლად საზღვრული ჩავარდება, მაგრამ დარჩენილი არტიკლის მიხედვით იგი იგულისხმება. ამ შემთხვევაში ჩავარდნილია „ძალი“. ამდენად, ქართულში უნდა ყოფილიყო 'ქვათა შორის ძალი განხურვებადობისა'.

4) სომხურ თარგმანში ქართულ ტექსტთან ზედმიწევნითი სიახლოვის გამო ზოგჯერ ქართულის კალკი შეიმჩნევა. ესა თუ ის სიტყვა იმ ფორმით არის გადასული სომხურში, რა ფორმითაც ის არის ქართულში. ეს მოვლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა ბრუნვათა სისტემაში.

აღნიშნული ფაქტი არასაკმაო წვდომის შედეგია ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში. ასე მაგალითად:

ა) მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა საშუალებით ქართულ ტექსტში მაქსიმალურად არის გაზრდილი სიტყვათწარმოების არე. სომეხი მთარგმნელი. სომხური ენის ბრუნვათა მორფოლოგიური რაობიდან გამომდინარე, ძირითადად სწორ კორელატებს იძლევა. მაგრამ იგი ზოგჯერ თავს ვერ ართმევს ქართულ ბრუნვათა მრავალფუნქციანობას და სომხურისთვის შეუსაბამო წარმოებას მიმართავს. მაგ.:

„გუამოვნებითი შეერთება“, 53 v — „*ათანანოქჩსამქ ექჩაოიოქჩინ*“.
„წარწერთი საზღვარი“, 45 v — „*ქჩრაყიოქჩსამქ საამან*“.

სომეხ მთარგმნელს მოქმედებითიდან ნაწარმოები სახელი ზედსართავ სახელად არა აქვს გააზრებული, არამედ მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელად, და ასევე თარგმნის. ცხადია, სომხურში ვერ მივიღეთ იმ სახის გრამატიკული მსაზღვრულ-საზღვრული. როგორც გვაქვს ქართულში. ეს ფაქტი ქართულის სიტყვასიტყვითი თარგმნის შედეგია.

ბ) სომეხ მთარგმნელს ზოგან ერევა ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება და ვითარების გარემოება. მსგავსი შეცდომებიც გამოწვეულია იმით, რომ ვითარებითი ბრუნვის მრავალფუნქციანობა არ არის გააზრებული

მაგ.: „შეიცვალეების...“

ანუ რაოდენობითად და ჰყოფს ალორძინებასა“, 52 v — „*კამ განჩინ-
ოქჩამარ ანჩე ყანაოან*“,

„ანუ ნართაულად ნაქსოვთა სამოსელთა შინა [აროინ]“, 50 v — „*კამ
კარანოან, ჩრეს ყანაოან ჩ კოანა ვილიქ*“.

პირველ მაგალითში ქართულში უბრალო დამატება გვაქვს (კითხვა რად?),
სომხურში—ვითარების გარემოება (კითხვა როგორ?), ხოლო მეორე მაგალით-
ში საწინააღმდეგო სურათია.

გ) სომხურში ზოგჯერ სათანადოდ არ არის გაცნობიერებული ქართულის
სპეციფიკური მოვლენა—სუბიექტის გამოხატვა სამ ბრუნვაში: სახელობითში,
მოთხრობითსა და მიცემითში და ამდენად ირევა წინადადების რეალური სუბი-
ექტი და ობიექტი. მაგ.:

„არამედ გარემოას უც მოძრავთა და გარემოას არს მოძრავისა“,
52 v — „*აჲ კარათანოან ანჩე ვეარძოქჩანს ს ჩუნგს არათადი
ქ ვარძიქან*“.

ქართულის მიხედვით სუბიექტია „მოძრავთა“—მიცემით ბრუნვაში, სომ-
ხურს იგი პირდაპირ დამატებდალ აქვს გაგებული. სუბიექტის და ობიექტის გა-
გება ზოგჯერ ირევა იმის გამო, რომ ქართული ინვერსიული ზმნის ბუნება შეე-
დომით არის გაგებული. მაგ.:

„არა მოუვიეს ქონება ნათესავსა“, 52 r — „*იღ სათახალ ჯე ოსხ
ვაყენ*“.

ქართულის სუბიექტი „ნათესავსა“ პირდაპირ დამატებდალ არის ვადატანილი
სომხურში, ხოლო პირდაპირი დამატება, „ქონება“—სუბიექტად.

დ) ქართულში მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი გვაქვს, სომეხი მთარ-
გმნელი ზოგ შემთხვევაში არასწორად გებულობს მათ შორის არსებულ სინ-
ტაგმურ კავშირს, ამორებს მათ ერთმანეთს და ამით იცვლება წინადადების
წვევრთა შორის არსებული სინტაქსური კავშირი. მაგ.:

„ვეითნიმე მათვე განყოფილებათა იტყვან ქონებისათა“,
53 r — „*თმანდ ვაქნ ვაძანაოანს ოსხს ვანსქან*“.

„განყოფილებათა“ არის „ქონებათა“-ს საზღვრული და პირდაპირი დამა-
ტება. სომხურის მიხედვით კი არ ჩანს მსაზღვრელ-საზღვრული და ორი საზ-
ღვრული მივიღეთ პირდაპირი დამატების როლში: „*ვაძანაოან*“ და „*ვანსქან*“.

დასკვნა: საკმაოდ ხშირ შემთხვევებში სომხურში ქართული დედნის
სიტყვისიტყვითი თარგმანი გვაქვს, ხოლო ზოგჯერ არასწორად არის გააზრებუ-
ლი ქართულ ენაში მოქმედი ესა თუ ის მორფოლოგიური თუ სინტაქსური კა-
ნონზომიერება და ამის ნიადაგზე სომხურ თარგმანში შეცდომები იჩენს თავს.
სომხური თარგმანი ყველა ამ შემთხვევაში ქართულ ტექსტს მისდევს.

ქართულ ორიგინალთან ასეთ ზედმიწევნით სიახლოვესთან ერთად სომხურ
თარგმანში აშკარად შეიმჩნევა მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივა. სომ-
ხური ტექსტი ყრველთვის ბრძალ როდი მისდევს სათარგმნ ქართულ ორიგი-
ნალს. სომეხ მთარგმნელს ემჩნევა ქართულ ენაში კარგი განსწავლულობა. მა-

გალითად, უმრავლეს შემთხვევაში მას სათანადოდ აქვს გააზრებული ბერძნული ტექსტის თარგმნით მიღებული ხელოვნური ფორმები ქართულში. კარგად ესმის ქართულ დედანში სიტყვათწარმოებით საშუალებათა მაქსიმალურად გაზრდის შემთხვევები და შესაბამის კონტექსტებში მიმართავს სომხური ენისათვის სპეციფიკურ გრამატიკულ წარმოებას, უხამებს მათ სომხური ენის ბუნებას.

აღნიშნავთ რამდენიმე მოვლენას, რომლებშიც ყველაზე ნათლად ჩანს, რომ სომეხი მთარგმნელის სტილი გაპირობებულია სომხურ ენაში მოქმედი ენობრივ-სტილისტური კანონებით.

1) ქართულში მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები, ასევე თანდებულები, სიტყვათწარმოებით საშუალებებდად არის გამოყენებული. ბერძნულის ანალოგიით იქმნება ხელოვნური ფორმები. სომეხი მთარგმნელი მრავალ შემთხვევაში არ ექცევა ქართულის ხელოვნური ფორმების გავლენის ქვეშ. მისი თარგმნის სტილი გაპირობებულია სომხურ ენაში მოქმედი ენობრივ-სტილისტური კანონებით.

2) სომეხი მთარგმნელი გარკვეული სახით ცვლის ქართული წინადადების წყობას, უხამებს მას სომხურში მოქმედ სინტაქსურ კანონებს. თარგმანს ახასიათებს ქართული რთული წინადადებების მარტივად ქცევა და პირიქით, ქართულში ხშირად ბერძნულის გავლენით არ ჩანს ზმნა, სომხური წინადადების გამართვისათვის ზმნას უმატებს. მაგ.:

„რომელი ზიარ იყოს მჭურვალებისა“, 49 v — „*იო ინქ ღერძოქჩან*“.

„ბუნებისა წარმომადგინებელი“, 42 v — „*რწასკან გიციქ*“.

„ვითარ-იგი ქვისა ზედა“, 52 v — „*იოაქა ხ ასხსალ ხეხ ქ ქერაქ*“.

„არამედ ცნობაჲ სულსა შინა“, 41 r — „*აჲ ქხოოქჩან კანბჩინ ათიოიქ*“.

3) სომხურს გარკვეული თავისუფლება ახასიათებს ტექსტის მიმართ. ქართულთან შედარებით მეტია ცალკეული სიტყვები ან ფრაზები. შეინიშნება, რომ მთარგმნელს ისინი ნახშირად აქვს ტექსტის უკეთ გაგების მიზნით. იგი განმარტავს სიტყვას ან ცალკეულ ფრაზას, უფრო მეტ სიცხადეს ანიჭებს აზრს. მთარგმნელის მსგავსი შემოქმედებითი ინიციატივა განსაკუთრებით შეინიშნება, როცა იგი სინონიმებს ხმარობს ან იძლევა რომელიმე ადგილის ინტერპრეტაციას. მაგ.:

„ხოლო კაცი რაჲ მოისპოს“, 45 r — „*ჩისქ მარე მჩხე ჯარარაინჩ-ენჯჩ*“.

„სხუა ხატოვნება ყოფაჲ“, 47 r — „*აჲ თხასქ ხ აჲ ათასქერ სეჩეჩ*“.

„გუჲამოვნებისათჳს“, 39 v — „*ქათან ჭასჩან, იო ჭ ანბან*“.

„პიროისათჳს“ 47 v — „*ქათან ქჩამე: მქ ემქ ზრჩხ ასი ხ. თხასქ ხ. ანბან მქ ხნ*“.

სომხურ თარგმანს ზოგან აკლია ცალკეული სიტყვები ან ფრაზები, მაგრამ ასეთი შემთხვევები ტექსტში შედარებით იშვიათია. გამოტოვებულ სიტყვებსა და ფრაზებს არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა ტექსტის სწორი გაგებისათვის. სომხური არ თარგმნის სხვადასხვა სახის ჩართულებს, უდებტრებს, რომელთაც წინადადებაში მეორეხარისხოვანი როლი აკისრიათ. ამრიგად, სომხური თარგმანი შედარებით თავისუფალი თარგმანია.

ის გარემოება, რომ სომეხი მთარგმნელი უშუალო პირველ წყაროდ არსე-
 ნისეულ თარგმანს იღებს, ცნობილი ფაქტია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სომხუ-
 რი და ქართული ტექსტის შედარებითი ანალიზი სრულიად აშკარას ხდის იმ
 ვითარებასაც, რომ სომეხი მთარგმნელის მიერ წარმოებული შრომა, მიუხედა-
 ვად არსენის ტექსტის პირწმინდად თარგმნისა, ზოგ შემთხვევაში შორდება მას.
 ეს გადახვევა, ცხადია, არაა თვითნებური და გაპირობებულია დამატებით არსე-
 ბული წყაროს სარკველობით. რადგანაც ფაქტია, რომ სომეხი მთარგმნელი-
 სათვის ხელმისაწვდომი არ იყო იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თვით ბერ-
 ძნული ორიგინალი და უშუალოდ ეყრდნობა არსენის ქართულ თარგმანს, ამ-
 დენად, საჭიროა იმ დამატებითი წყაროს გარკვევა, რომელსაც იგი მიმართავს.
 ამ მიმართებით სხვადასხვა ვარიანტების ძებნის შემდეგ ჩვენ აღმოჩნდით უაღ-
 რესად საყურადღებო ფაქტის წინაშე, რომ სომხური თარგმანის არსენისეულ
 თარგმანისაგან ის გამონაკლისი გადახვევებიც გაპირობებულია ისევ ქართული,
 ამ შემთხვევაში ეფრემისეული თარგმანის გამოყენებით. შევამოწმოთ ეს სათა-
 ნალო ფაქტებით:

„*τὰ μύρια... ἔχουσι καινὸν ἕρον συνάπτοντά αὐτά — τῆν μετὰξί γράμμην*“
 „კერძოთა მისთა ჰქონან ზოგადნი რაამე საზღვარნი, შემარწყუ-
 მელნი საშუალისა მის ღრამმისანი“, 48 v — „*საიქმანჲ*
ნიორა ოხნჳნ ზაპროსიყჳ ხნჳ ჯაროუნასიკაჳნი ოარმანჲ, ირჲ კანჳ-
ხსჳნ ჰ მქსსანჳ, ვორ ჰ მქჲ ზორა ჳ ვიხჳ“.

„*τῆν μετὰξί γράμμην*“ უღრის „*ვიხჳ*“-ს. ეს სახელი ბერძნულშიცა და
 სომხურშიც აკუზატივში დასმული პირდაპირი დამატებაა. ისინი მართებულად
 გადმოსცემენ კონტექსტისთვის შესაფერ აზრს, ქართულში კი შეცდომა გვაქვს.
 უნდა იყოს: 'ჰქონან ზოგადნი საზღვარნი — საშუალი ღრამმი', ე. ი. „საშუალი
 ღრამმი“ პირდაპირი დამატება უნდა იყოს, არის კი უბრალო დამატება. სომხუ-
 რის ჩვენებას იმეორებს ეფრემისეული თარგმანი. მით უფრო საინტერესოა
 სომხურისა და ეფრემის ტექსტის ეს დამთხვევა, რომ ორივეგან ეს სიტყვა ერთ-
 ნაირი წყობის კონტექსტში გვხვდება. ეფრემთან იკითხება: „აქუს ზოგადად
 საზღვრად და შემაერთებლად მათ შორის მყოფი იგი სახე წამისაჲ“ (A—24,
 20 r). „მათ შორის მყოფი“ უღრის „*ორ ჰ მქჲ ზორა ჳ*“.

ბ) ერთი წინადადება არ არის არსენისეულ ტექსტში და არის სომხურ
 თარგმანში (თავი „ანაგებისათვის და მოკლებისა“).

„*Ὅνδε τὸν ἀρτιγέννητον κίνα λέγομεν εἶναι τσφλῆν*“ (გვ. 648).

„*ს იჯ ვარყი ძნსაჲ ჯონ ოსხჲჲ კორ*“.

ეს წინადადება გვხვდება ეფრემის თარგმანში: „არც აწლა შობილსა
 ძალსა უწოდთ ბრმად“ (A—24, 27 r).

გ) „*ὃν γὰρ πατήρ ἀΐτιος τὸν υἱόν. Ἐκ γὰρ τῶν πατέρων ὁ υἱὸς γεννᾶται*“,
 „რამეთუ მამისაგან იშვების ძე“, 52 r;

„*ვი ჰ ნორ ჳ ირკიჲჲ აჳთონაჲ, ვი ჰ ნორჳ ირყი ძნანიჲ*“.

არსენისეულ თარგმანს აკლია რთული წინადადების პირველი ნაწილი. სომ-
 ხურში, როგორც ვხედავთ, იგი არის. არის ის აგრეთვე ეფრემის თარგმანშიც:
 „და იგი არს მიზეზ ძისა, რამეთუ მამისაგან იშვების ძე“. (A—24, 27 v),

დ) „აღ ჟ მერმარჯ დე' ბღს თს პარჯ“ — „ვითარცა მჭურვალემა სრულად ყოვლისა სხეულისაჲ“, 50 r — *„ჩქრს ეჯრამაქჩინ ჩ რიორ ზორ კამხნაჯ მარამჩინ“*.

ეფრემთან ვკითხულობთ: „ვითარ-იგი მჭურვალემა ყოვლისა ცეცხლისაჲ“ (A—24, 22 v). ეს მაგალითი იმით არის საინტერესო, რომ სომხურში ბერძნულისა და ეფრემის ტექსტის თარგმნაც გვხვდება და არსენისეული ტექსტისაც. ასე: *„ჩ რიორ ზორ“* უდრის ბერძნულის „ბღს თს პარჯ“-ს და ეფრემის „ყოვლისა ცეცხლისაჲ“-ს, ხოლო *„კამხნაჯ მარამჩინ“* უდრის არსენის ტექსტის „ყოვლისა სხეულისაჲ“-ს. როგორც ჩანს, არსენისეული ტექსტის თარგმნისას სიმეონ პლინძაჰანქელი მეორე ქართულ დედანშიც იხედებოდა. ეს დედანი უნდა იყოს ეფრემისეული თარგმანი.

ე) სომხურში არის სამი წინადადებისაგან შემდგარი ფრაზა (თავი „მოძრავობისათვის“), რომელიც არაა არსენისეულ თარგმანში, არის ბერძნულში და ეფრემისეულ თარგმანშიც.

ვ) ასევე, სომხურის AB ვარიანტში არის ფრაზა *„ჩსკ ანაქჩინ ჩ ზოაჲ ყაქჩინ“*, რაც არ არის არსენთან, მაგრამ არის ბერძნულში და ეფრემთან *„ხოლო აღორძინებაჲ და ვრწინილებაჲ“*, 28 v.

ზ) მოვიყვანთ ნიმუშებს, როცა სომხური თარგმანი მხოლოდ ეფრემისეულ თარგმანს ემხრობა და განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან.

არსენი — „თქუმაღ სახისათვის, ვითარმედ უმეტეს თეთრ არს ანუ უღარეს გრილ არს.“ 50 v — *„ქაან ასასიქჩინ, ხქტ ათასქ აყჩითასქტ ჯამ ქაანქარ ხ ასას ქ ხ ჯამ ჯრამ ხ ეორა“*.

ეფრემთან გვაქვს: „სპეტაკი უფროას არს და შავი უმცროას: ტვილი უკროას და გრილი უმცროას“, 24 r.

სომხურ თარგმანში ბუნდოვანემაა. ეს მხოლოდ რაღაც გასწორების შედეგია. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში გასწორება ეფრემისეული თარგმანის მიხედვით სრულდებოდა, რადგან ამ კონტექსტში შედარებისთვის აღებულ კომპონენტებს *„ასას“*, *„ჯრამ“* შესაბამი სემანტიკური კორელატი მხოლოდ ეფრემისეულ თარგმანებში ეძებნათ. ესენია: „შავი“, „ტვილი“.

არსენი — „რომლისათვის არს სიტყუაჲ ფილოსოფოსთაჲ“, 41 r — *„ქაან აყორიქ რ აყილამ ხნ რანჲ ქამასაჲჩრანჲ“*.

სომხურის *„რაყამ“*-ს შესატყვისი ეფრემის თარგმანში აქვს: „რომელთათვის მრავალ არს სიტყუა“.

არსენი — „არამედ ტრენდინცა და ეგევითარნი“, 43 r — *„აყ ხ აყანჩ ხ ამხნაჯ ქიჯიუნ“*.

სომხურში ზედმეტია *„ქიჯიუნ“*. შდრ. ეფრემი: „სხუანი მფრინველი“

არსენი — „ერთი ძელი ორწყობილი, სამწყობილი“, 48 r — *„ყრან ხ რქიანყიან, სიასიანყიან, რასიასიანყიან“*.

სომხურში ზედმეტად დასახელებულია *„რასიასიანყიან“*. მხოლოდ ეფრემისეული თარგმანი უჭერს მას მხარს: სამწყობთა გინა ოთხწყობთაჲ (A—24, 19 v).

არსენი: „ითქუმინა“, 41r — „ანთაანქნ“. შდრ. ეფრემი: „სახელ-იდებინა“.

არსენი — „განწვალვება მყოფისა და არსებისა“, 39v — „ქაან რა-
 ძანმან ღნს ს გიქნს“ — AB, „რადანთაან ღაქსანს ს გყრილქსანს“ — C.

ქართულის „არსებისა“ -ს შესატყვისია „გიქნს“ - - AB, ხოლო C ვარი-
 ანტის „გყრილქსანს“ ცალკე დგას. საყურადღებოა, რომ მისი ექვივალენტი
 ეფრემისეულ თარგმანში გვხვდება: „თსებისათს არსებისა და მოძღვრებისა“.

არსენი — „მყის-თანად სიპქურვალეცა“, 51v — „ქანკაძაკ ქ
 ძქილძ ძამილ ზხამ გიქ“.

არსენის „მყის-თანად“-ს ორმაგი შესაბამისი აქვს სომხურში: „ქანსკარ-
 კაქ“ და „ქ ძქილ ძამილ“. კონტექსტში მართებულია არის გასწორებული
 „ქ ძქილ ძამილ“-თი. შდრ.: ეფრ. „მასვე და ერთსა ეამსა შინა“.

სომხური თარგმანის ეფრემისეულ თარგმანთან მიმართებით ყველაზე სა-
 ყურადღებოსა და მნიშვნელოვანს შემდეგი გარემოება წარმოადგენს: სომხურის
 A და B ვარიანტებში „დიალექტიკის“ თავთა ზანდუკებში 49 თავის ნაცვლად,
 როგორც ეს არის არსენისეულ თარგმანში, დასახელებულია 51 თავი. 50 —
 „შარმანჲ ქანთაათქილქსანს“ — 'საზღვარნი ფილოსოფოსობისანი' და 51 —
 „ჭანჲ ქაანს ანძქნ ძაქქსანსიქ“ - 'სიტყუანი კაცისა გუამისთავის'. ტექსტში
 კი, სათანადო ადგილას ეს თავები აღარ გვაქვს. სომხურის C ვარიანტს არც ზან-
 დუკში და არც ტექსტში ეს თავები არ მოეპოვება. საიდან გაჩნდა A და B ვა-
 რიანტებში ამ თავთა დასახელება? მთარგმნელი სიმეონი, ან გვიანი დროის გა-
 დამწერი, არსენისეული თარგმანის გარდა ეფრემის თარგმანშიც იხედებოდა,
 სადაც ზანდუკში უნომერატიოდ, 50 თავის შემდეგ გვაქვს იმავე სახელწოდების
 თავები, რაც არის სომხურში: „განსაზღვრებისათს ფილოსოფოსობისა ერთი“
 და „კაცად არსებისათს და შემთხვევისა ერთი“ (A—24, 1 r). სომხურის A და
 B ვარიანტების საძიებლებში დასახელებული თავები ეფრემისეული ზანდუკის
 გავლენით უნდა იყოს თარგმნილი. სიმეონ პლინძაპანქელმა, რომელიც არსენისე-
 ულ „დიალექტიკას“ თარგმნიდა, შეიძლება ეს თავები ეფრემის თარგმანის გავ-
 ლენით დასახელა, მაგრამ შემდეგ ტექსტში არ მოიყვანა, ვინაიდან არჩია მხო-
 ლოდ არსენის თარგმანს დაყრდნობოდა. ასე რომ, A და B ვარიანტებში დადას-
 ტურებული სურათი ამავე სახით უნდა ყოფილიყო მთარგმნელის ხელიდან გა-
 ძოსული. A და B ვარიანტებს გადაწერის პროცესში გაეპარათ იგი, ხოლო გვი-
 ანდელმა C ვარიანტმა, რომელიც მკვეთრად ჩამოყალიბებულ შესწორებულ სა-
 ხეს ატარებს, ეს ლაპსუსი გაასწორა და საძიებელშიც არ დაასახელა აღნიშნუ-
 ლი თავები.

ამ ტექსტობრივი მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

სიმეონ პლინძაპანქელს არსენის თარგმანის გარდა კიდევ სხვა წყარო ჰქონ-
 და ხელთ. ბერძნული ორიგინალი გამოირიცხება, რადგან, ჯერ-ერთი. ბერძნუ-
 ლთან შეხვედრის მავალითები სულ რამდენიმეა და შეიძლება ეს „შეავედრა
 შემთხვევითი იყოს. შემდეგ, მთარგმნელმა რომ ბერძნული იცოდეს, ე. ი.
 ბერძნულ ორიგინალს იყენებდეს, სომხურში ასე ფართოდ ადგილი არ ექნებო-
 და ქართულ დედანთან ზედმიწევნითი სიახლოვით გამოწვეულ შეცდომებს,
 აზრობრივსა თუ ენობრივ-სტილისტურს; ამ ადგილებს მთარგმნელი ბერძნუ-
 ლი ორიგინალის მიხედვით გაასწორებდა. რჩება ორი შესაძლებლობა: სიმეონი

ან ბაგრატ მამიკონიანის სომხურ თარგმანს, იშველიებს ან ეფრემ მცირისეულ ქართულ თარგმანს იყენებს. პირველი მათგანი გამორიცხულია, რადგან ზერელე შედარებითაც კი ნათელი ხდება ის სხვაობა, რაც ამ ორ სომხურ თარგმანს ერთმანეთისაგან აშორებს. სიმეონის თარგმანი უმრავლეს შემთხვევაში ეწინააღმდეგება მამიკონიანის სომხურ თარგმანს.

რაც შეეხება ეფრემისეული თარგმანის გამოყენებას, ეს ვარაუდი დასაშვებად მიგვაჩნია. ჩვენ აღვნიშნეთ მაგალითები, როცა სომხური ტექსტი მხოლოდ ეფრემისეულ თარგმანს ემხრობა. ლოგიკურადაც დასაშვებია ჩანს, რომ როცა სიმეონი თარგმნიდა „დიალექტიკის“ არსენისეულ ტექსტს, შესაძლებელია მას ხელთ ჰქონოდა ამ ნაწარმოების მეორე ქართული თარგმანიც, ე. ი. ეფრემისეული თარგმანი².

მთარგმნელობით წესთან დაკავშირებით შეგვიძლია დავასკვნათ:

არსენისეული ქართული თარგმანი, რომელიც ელინოფილური სკოლის ტრადიციების გავლენას განიცდის, გარკვეულ გარდატეხას პოულობს სომხურში: სომხური ზედმიწევნით მიჰყვება ქართულს.

ქართულში თავს იჩენს ბერძნული ფილოსოფიური ტექსტის თარგმნით გამოწვეული ხელოვნური ფორმები და ქართულისთვის არაბუნებრივი კონსტრუქციები.

სომეხი მთარგმნელი, სომხურის ენობრივ კანონზომიერებიდან გამომდინარე, ძირითადად სწორად და მართებულად თარგმნის ქართულის ამ ფორმებს, მაგრამ ზოგჯერ შეცდომები იჩენს თავს.

შეცდომები უფრო ხშირად გამოწვეულია იმით, რომ სომეხ მთარგმნელს ყოველთვის სათანადოდ არ აქვს გააზრებული ქართული ენის ის სპეციფიკური მოვლენები, რითაც იგი სხვაობს სომხური ენისაგან, როგორც ინდოევროპული ენისაგან (სუბიექტ-ობიექტის ბრუნვები, ბრუნვათა საკითხი ზმნის ინვერსიის დროს, ბრუნვათა გამოყენება სიტყვათწარმოებით საშუალებად და სხვ.).

სომეხ მთარგმნელს თავისი შემოქმედებითი წვლილიც შეაქვს თავის თარგმანში. მრავალ ადგილას ჩვენ ვხვდებით თავისუფალი თარგმნის ნიმუშებს (იძლევა ცალკეული სიტყვებისა თუ წინადადებების ინტერპრეტაციას, მიმართავს სინონიმურ წყვილებს, უმატებს ან აკლებს სიტყვებსა თუ წინადადებებს და სხვ.). ყველა ამ შემთხვევაში სომეხი მთარგმნელი გამოდის სომხური ენის მორფოლოგიური და სინტაქსური სპეციფიკისაგან, იგი სათანადოდ ასომხურებს ტექსტს.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართულ-სომხური თარგმანების სახით ჩვენ ხელთ გვაქვს გასაგებად უადრესად რთული ბერძნული ფილოსოფიური ტექსტის მაღალ ლიტერატურულ-მთარგმნელობით დონეზე შესრულებული თარგმნის ნიმუში.

² მით უმეტეს, ცნობილია, რომ ასეთი მთარგმნელობითი მეთოდი დამახასიათებელი ყოფილა ს. პდინძაძანქელისათვის, იბილეთ, ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიშაიკის მოამბე, III, გვ. 133.

§ 6. ტერმინოლოგია

თარგმნის წესის ზემოაღნიშნული თავისებურებანი, ცხადია, ასახავენ მის ზოგად მხარეს. არსებითი კი არის იმ კარდინალური მომენტების აღნიშვნა, რომლებიც „დიალექტიკის“ თვისობრივ სახეს განსაზღვრავს და ზუსტად ჩამოყალიბებულ ცნებებსა და ტერმინებში ისახება. ეს მომენტი ნათელს ფენს როგორც დამასკელის შრომისადმი ინტერესის ხასიათს, ისე საერთო ფილოსოფიური დონის ხარისხს.

„დიალექტიკაში“ დოგმატიკური მოძღვრების კარდინალური საკითხები და ცნებები (ტერმინოლოგია) სისტემის სახით არის ჩამოყალიბებული. „დიალექტიკაში“ მოცემულია ყველა იმ ფილოსოფიური ტერმინის განმარტება, რაც კატეგორიებთან არის დაკავშირებული, კერძოდ არისტოტელეს ათ კატეგორიასთან. ტერმინები დამასკელს დამუშავებული აქვს იმ სახით, რაც სჭირდებოდა ორთოდოქსალური ეკლესიის დოგმების დასაბუთებას. ამდენად, იგი ძალზე ოსტატურად გადააკეთებს ტერმინთა არისტოტელისეულ განმარტებებს.

როგორია არსენ იყალთოელის მიერ „დიალექტიკის“ ტერმინოლოგიის გადმოთარგმნა-გადმოქართულების ხასიათი?

არსენ იყალთოელი ყველა ბერძნულ ტერმინს თარგმნის, უძებნის შესაფერის ქართულ შესატყვისს, ხოლო თუ ასეთი შესატყვისი ქართულში არ არის, ტერმინი არასდროს არ გადმოაქვს უთარგმნელად, რასაც ხშირად ვხვდებით, მაგალითად, ი. პეტრიწის თარგმანებში. ასეთ შემთხვევებში არსენ იყალთოელი შემდეგ საშუალებას მიმართავს: იღებს ქართულ სიტყვას, ქართულ ძირს და სხვადასხვა მწრამოებლების საშუალებით (იქნება იგი პრეფიქს-სუფიქსი, ბრუნვის ნიშანთა გამოყენება სიტყვათწარმოებისთვის, თანდებულების დართვა თუ სხვა), ბერძნულის ანალოგიით ქმნის ახალ კომპოზიტებს, ახალ სიტყვებს, ამრიგად, ეს ქართული ტერმინები ბერძნულის კალკს წარმოადგენს, მაგრამ ისე ოსტატურად, ქართული ენის ბუნების ღრმა ცოდნით არის შედგენილი, რომ არასდროს არ ტოვებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. მაგალითად:

1. „რ ა ა - ა რ ს ო ბ ი თ ი შ ე ს მ ე ნ ა ა“ არის ზუსტი ადეკვატი ბერძნული „*ἡ ἐν τῷ τῆς ἐστῆς ἁπλῆς*“-სი. „რ ა ა - ა რ ს ო ბ ი თ ი“ ნაწარმოები ზედსართავი სახელია და ამ ერთი სიტყვით გადმოიცემა ის შინაარსი, რაც რუსულში თარგმნილია რთული წინადადებით: *сказуемое, отвечающее на вопрос: что есть предмет?* ასეთივე აზრობრივი თარგმანი გვაქვს „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში: „რასა შინა არს შესმენაა“?

2. „რ ო მ ე ლ ი რ ა ა - ა რ ს ო ბ ი თ ი შ ე ს მ ე ნ ა ა“ უდრის „*ἡ ἐν τῷ ἰσθμῶν τῆς ἐστῆς*“-ს. *сказуемое, отвечающее на вопрос: каков предмет?* ეფრემის ქართული თარგმანით ამის ბადალია „რ ა ა ა რ ს ო ბ ი თ ი“?

მთლიანად ეს ადგილი ასე იკითხება არსენთან: „სხუაა არს, რ ა ა - ა რ ს ო ბ ი თ ი შ ე ს მ ე ნ ა ა და სხუაა არს, რ ო მ ე ლ ი რ ა ა - ა რ ს ო ბ ი თ ი“. ეფრემთან: „სხუაა არს თუ რ ა ს ა შ ი ნ ა ა რ ს შ ე ს მ ე ნ ა ა და სხუაა არს ანუ რ ა ა თ ა ა რ ს რ ო მ ე ლ ი, ანუ თუ რ ა ს ა შ ი ნ ა ა რ ს“. განსხვავება ტერმინთა გადმოცემაში აშკარაა. არსენს ზუსტად გადმოაქვს ბერძნული ფორმა, ეფრემი კი შინაარსობრივ თარგმანს იძლევა.

3. „შეგულის-სიტყუვაჲ“ და „გარეწარშეგულის-სიტყუვაჲ“. „შეგულის-სიტყუვაჲ“ არის ბერძნული „*საგლიაჲ*“, ე. ი. ლოგიკური ტერმინის „სილოგიზმის“ ბადალი, ხოლო „გარეწარშეგულის-სიტყუვაჲ“ — „*პარაგლიაჲ*“-ის თარგმანი. ამ ტერმინთა გადმოქართულებას ასეთი გზით ახდენს არსენი: ფუძე ორივე ტერმინისათვის არის „*გლიაჲ*“, რაც ნიშნავს „ფიქრს“, „აზრს“. ქართულში ამ მნიშვნელობით იხმარება „გულის-სიტყუვაჲ“. არსენი იღებს ამ ფუძეს და უმატებს „შეგულის-სიტყუა“-ში შე- და „გარეწარშეგულის-სიტყუა“-ში გარე-წარ- პრეფიქსებს ბერძნული *σ*- < *σ*ყ- და *π*არა- წინდებულების ანალოგიით. ეფრენი „შეგულის-სიტყუა“-ს ნაცვლად ხმარობს „შემოკრება“-ს, ხოლო „გარეწარშეგულის-სიტყუა“-სთვის — „მიერთგან გარემოხის გულის სიტყუვაჲ“.

4. „ქუმედბარე“ — „*პროპაგანდა*“. გენეზისის თვალსაზრისით ბერძნულის კალკთან გვაქვს საქმე: ქუმ-მედბარე — *π*ρο-*μ*ε-*δ*α-*β*α-*ρ*η. ეფრემი ამ ტერმინს თარგმნის სხვადასხვანაირად: „წინამდებარე“, „მდებარე“, „ნართაული“, „თანამოკიდული“, „მოკიდებითი“, ე. ი. ეფრემთან ჭერ კიდევ არ არის სტაბილურობა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი მათ ტერმინის გაგებით არ ხმარობს. მაგრამ მნიშვნელობით თითოეული მათგანი გამოხატავს იმას, რასაც გულისხმობს არსენი „ქუმედბარე“ ე. ი. გვარ-სახეობრივ მიმართებაში ის არის ქუმე-მდე-ბარე ანუ უფრო კონკრეტული. ამ ვითარებაში სრულიად გაუმატლებელია კერძოებისეული „თანამოკიდულის“ განმარტება „ჩამოკიდებული“-ს აზრით, როგორც ეს გვაქვს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომებისთვის დართულ ლექსიკონში¹.

როცა ვამბობთ, რომ იყალთოელი ბერძნული ფილოსოფიური ტერმინის ანალოგიით ადგენს ქართულ ტერმინს. ცხადია, არ ვგულისხმობთ იმას, რომ იგი უველა ამ ტერმინის შემქმნელია. ბევრი მათგანი უკვე აღრე იხმარებოდა ქართულ თარგმნულ მწერლობაში, მაგალითად, ისინი გვხვდება იმავე „დილაექტიკის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში. მაგრამ, საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ზოგიერთი ტერმინის ავტორი უდავოდ ა: იყალთოელია. ასეთებია: „რაა-არსობითი შესმენა“, „რომელი რაა-არსობითი შესმენა“, „რომელი რაა-არს-შინაობითი“, „სახედადებული“, „გარეწარშეგულის-სიტყუაჲ“, „ქუმედბარე“. აქ იგი გვევლინება ნამდვილ ნოვატორად, რომელსაც ახალ საფეხურზე აყავს ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის დონე. სხვა საკითხია, თუ რამდენად დაიმკვიდრა ამ ტერმინებმა მოქალაქეობის უფლება ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში. ბევრი მათგანის ხელოვნური ფორმა ნაკლებ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, მაგრამ მისგან დანერგული ისეთი ტერმინი, როგორიცაა „ქუმედბარე“ და სხვებიც დღემდე ასრულებენ თავის ფუნქციას.

ტერმინთა გადმოცემისას არსენ იყალთოელი ეფრემ მცირესთან შედარებით მეტ სტაბილურობას იჩენს. იყალთოელის თარგმანში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ერთიანი სურათია. ტერმინები არ არის არეული ჩვეულებრივი ხმარების სიტყვებთან, არც სინონიმური წყვილების ხმარების შედეგად ხდება რაიმე აღრევა. „დილაექტიკის“ იყალთოელისეულ თარგმანში ბერძნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გამოყენებას მტკიცედ ჩამოყალიბებული ხასიათი აქვს. ვნახოთ ეს რამდენიმე ტერმინის მაგალითზე:

¹ პეტრე იბეგიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბილისი, 1961.

1. *ს ბ ზ, ზ ი ს ძ ა, ზ ნ ა რ ს ძ ა*.

ს ბ ზ — ‘არსებული’ — *сущее* და მისგან ნაწარმოები სახელებისათვის არსენთან მუდმივად იხმარება ყოფ- ფუნისაგან ნაწარმოები სახელები: „მყოფი“, „ყოფა“, „მყოფობა“. ეფერმის თარგმანში სხვა სურათია. „მყოფის“ ბაღდადი იქ იხმარება: მყოფი, არსი, არსობაჲ, გუამი, ხოლო „ყოფა“, „მყოფობას“—თვის—ყოფა, მყოფობა, არსება. აგებულე ბა, არსობა, გუამოვნება.

როგორც ვხედავთ, ეფერმთან რამდენიმე ტერმინი იხმარება. თანაც სხვადასხვა ცნების გამოხატველი. „მყოფი“ სხვა ცნებაა და „გუამი“—სხვა. „მყოფი“ „დიალექტიკის“ მიხედვით არის უზოგადესი ცნება: „მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთაჲ. ესე უკუე მყოფი განიკუთუების არსებისა მიმართ და შემთხვევითისა“, 41 გ. „გუამი“ და „გუამოვნება“ იხმარება ‘ჰიპოტაზისის’, ‘ინდივიდუალურის’ გადმოსაცემად. გამოდის თითქოს ეფერმთან შეცდომა გვაქვს ტერმინთა გაგებაში და ამდენად აღრევასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, სინამდვილეში აქ არავითარ მცდარ გაგებას არა აქვს ადგილი. ეფერმს კარგად ესმის, რომ „მყოფი“ ნიშნავს ზოგადს და „გუამი“—კონკრეტულს, ინდივიდუალურს. მაგრამ, „დიალექტიკის“ მიხედვით ‘ჰიპოტაზისი’, ‘გუამი’ ორმაგი მნიშვნელობითაც იხმარება: 1. კონკრეტულის, ინდივიდუალურისა და 2. საერთოდ მყოფის გაგებით. „გუამის“ ასეთი ორმაგი განსაზღვრებებიდან გამომდინარე ხმარობს ამ ტერმინს ეფერმი ორი ცნების გადმოსაცემად. ამ შემთხვევაში არსენის მიერ ამ ტერმინის გადმოცემა უნიფიცირებულია და ზუსტი. „მყოფი“ ყოველთვის ‘მყოფს’, ‘არსებულს’ გამოხატავს; „გუამი“ კი—მხოლოდ ‘გუამს’, ‘ინდივიდს’.

შემდეგ, ეფერმი „მყოფის“, „მყოფობის“ სინონიმად ხმარობს „არსობას“.

არსენის თარგმანს აქაც ემჩნევა ერთი პრივილეგია: იგი მკვეთრად მიჯნავს „მყოფს“, „მყოფობას“, ერთი მხრით და „არსს“, „არსებას“ მეორე მხრით. ამ მხრეგ მყარი სტაბილურობაა. „მყოფი“, „მყოფობა“ არის ზოგადი ცნება: *существование*, ხოლო არსი, არსება—კონკრეტული, *сущность*. ეფერმი ისევ პარალელურად ხმარობს სხვადასხვა ტერმინს. მართალია, „არსება“ ეფერმთანაც ყოველთვის „არსებაა“, მაგრამ „მყოფობა“, „მყოფი“—სთვის ხმარობს „მყოფობასა“ და „არსობას“. ე. ი. პარალელურად იყენებს ყოფ- ფუძისაგან და არს- ფუძისაგან ნაწარმოებ სახელებს.

ამ ერთი ტერმინის მაგალითზე ნათელი ხდება, თუ როგორ ხასიათს ატარებს ა. იყალთოელის მიერ ბერძნული ტერმინების გადმოქართულება: თითოეული ტერმინისათვის შერჩეულია შესაბამისი ქართული ტერმინი. თუ ქართულში საერთოდ ერთი ტერმინის რამდენიმე სინონიმური ცალი არსებობს, „დიალექტიკის“ იყალთოელისეულ თარგმანში მხოლოდ ერთი მათგანი იხმარება და მთელი ტექსტის მანძილზე გვხვდება ეს უნიფიცირებული ფორმა. გამონაკლისს წარმოადგენს „სახე“, „ხატოვნება“, „ნაკუთის“ ხმარება ‘ფორმის’ მნიშვნელობით და „სახის“ ომონიმური გამოყენება. ერთი-ორი ტერმინის გადმოცემისას კიდევ გვაქვს ეს გამონაკლისი. სხვა შემთხვევებში იყალთოელის თარგმანი ძალზე სტაბილურ სურათს იძლევა, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ ეფერმ მცირისეულ თარგმანში.

ტერმინთა გადმოცემისას გვაქვს ისეთი სურათიც, რომელიც ქართული თარგმანის მაღალ მეცნიერულ ღირებულებაზე მიუთითებს.

„დიალექტიკის“ მიხედვით ერთმანეთისაგან გარჩეულია ტერმინები „რაოდენი“ და „რაოდენობა“. „რაოდენი“ და „რაოდენობა“ სხვადასხვა ცნებებს გამოხატავენ. „რაოდენობა უკუე არს საზომი და რიცხვ და მრიცხუევი, რომელი რიცხუევიდეს და ზომედეს; ხოლო რაოდენ არიან რიცხვსა და საზომისა ქუემდებარენი, ესე იგი არს, განზომილნი და აღრიცხულნი“, 48 V. ამრიგად: „*ή πῶσθε*“ უდრის „რაოდენობა“-ს, ხოლო „*τὸ πῶσθ*“ „რაოდენი“-ა. მაგრამ თანმიმდევრობა ბოლომდე არაა დაცული. ბერძნულში „რაოდენობისა“ და „რაოდენი“-ს სმარება ზოგჯერ ერთმანეთში ირევა (გვ. 625). ხოლო ქართული თარგმანი მკაცრად მიმართავს გარკვეული კონტექსტისათვის საჭირო და შესაფერისი ტერმინის გამოყენებას (46 I, 48 V, 49 I). თუ გამოვალთ „რაოდენისა“ და „რაოდენობის“ იმ განმარტებებიდან, რაც მოცემულია ტექსტში, მაშინ იყალიბდის თარგმანის მიერ ამ ტერმინთა გამოყენება უფრო მართებული ჩანს.

ამრიგად, ქართული თარგმანი პრინციპულად იცავს ერთიანობას ტერმინის გაგებაში, მაშინაც კი, როცა ბერძნულ ვარიანტებში ეს ასე არ არის.

როგორ არის გაგებული და თარგმნილი ეს ტერმინები სომეხი მთარგმნელის მიერ? სომეხი მთარგმნელი ზედმიწევნით ერთგულებას იჩენს ქართული ორიგინალისადმი, მრავალი სომხური ტერმინი ქართულის კალკს წარმოადგენს. სიტყვის აგებულების თვალსაზრისით არის ქართულიდან ნათარგმნი, და ამიტომ, ზოგჯერ ტერმინის ნაცვლად ჩვეულებრივი სმარების სიტყვასთან გვაქვს საქმე. ამის ნიმუშები მრავლად შეინიშნება ჩვენს ტექსტში. რამდენიმე მაგალითი:

ა) *ή ἀσφύριξ* თითქმის ყველაზე ხშირად სმარებული ტერმინია ტექსტში. ქართულში მის შესატყვისად გვაქვს „შესმენა“. სომეხი მთარგმნელის მიერ ეს ტერმინი თარგმნილია „*սուք*“ სიტყვით, რაც ფიზიოლოგიურ პროცესს—სმენას, უფრო სმენას უკავშირდება. აქედან შემდეგ გვაქვს ნაწარმოები სიტყვები: *սի* — შეისმინების, *სისი* — შესმენილი და ა. შ. ეს მაშინ, როცა „შესმენის“ შესაბამისი ტერმინი უკვე რამდენიმე საუკუნის წინ დამკვიდრებული იყო სომხურ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში. ეს არის „*ստորիդսիქს*“.

ბ) *ή ἀσάφασα* ლოგიკური ტერმინი—*υτβεργλденне*—იყალიბდის მიერ თარგმნილია „წათქუმა“ ტერმინით, ხოლო *ή ἀπρῶτα*—*отрипание*—„უკუთქუმა“ ტერმინით. თავისთავად ეს ქართული ტერმინები ბერძნულის კალკია. როგორ გადმოსცემს მათ სომეხი მთარგმნელი? „წათქუმა“ არის „*լատասայուսიქს*“, ხოლო „უკუთქუმა“ — „*ქსასայუქს*“. ორივეგან საერთოა „*ասայուქს*“ 'თქუმა'-ს ბაღდად, ხოლო *լատ* = 'წა'-ს, *ქს* კი = 'უკუ'-ს, ცხადია, აქ აშკარა კალკთან გვაქვს საქმე. მაშინ როცა ფილოსოფიურ ძეგლებში ამათ შესატყვისად არის ტერმინები: „*ստორასიქს*“ და „*რავასიქს*“. თვით ჩვენს სომხურ ტექსტში (თავი „წინააღმდეგომთათუს“) ადგილი აქვს ამ ტერმინთა გასწორებას. გვ. 123₁₇ წითელი მელნით სწორდება *լատასայუսიქს* (*სտორასայუქს*) და *ქსასայუქს* (*რავასայუქს*).

გ) *ბ* *νηύηρις* 'ორატორი', არსენთან თარგმნილია როგორც „ერის მზრახველი“. სონხურს სიტყვისიტყვით გადააქვს: „*ընդ ძიւղիլყსանს խոսիլ*“. *ძიւղიլყ* = 'ერი', *խოსი* = 'მზრახველი'. იმავე სიტყვას ბაგრატ მამიკონი-

ანი, „დიალექტიკის“ ბერძნულიდან მთარგმნელი, გადმოსცემს „*ნარკოთასნსკ*“, რაც სომხურში საერთოდ იხმარება ‘ორატორ’-ისათვის.

დ) *ἡ ἐξέλιξις* — ‘владение’, ‘устойчивое состояние’ არსენთან თარგმნილია როგორც „ანაგები“ ანუ თვისება, რამეს მტკიცედ ქონა. ეფრემთან გვაქვს „წესი“, „ჩუეულება“. იყალთოელისეული ტერმინი „ანაგები“ სომხურში ზოგჯერ მართებულად არის თარგმნილი „*თანაკაქჩან*“ ან „*ანსი*“ სიტყვებით, რაც „ქონებას“ ნიშნავს, მაგრამ ზოგან შეცდომასთან გვაქვს საქმეს კერძოდ, „ანაგები“ ვაზარებულა „გება“ — ფუძისაგან და თარგმნილია, როგორც „*ქრნაობ*“ (*ქრნს* ‘აგებას’, ‘შენებას’ ნიშნავს).

ე) *ἐπινοήματα* — ს უღრის ქართულად „სახედადებულს“ ანუ ‘სმეციფიკურს’. სომხურ თარგმანში გვაქვს „სახედადებულის“ კალკი: *თსასი სესილი*. სიტყვისიტყვით ერთი და იგივეა. ზოგჯერ გვაქვს „*თსასილირი ქსი*“, ზოგჯერ კი „*თსასილირიქსი*“. სომხურში კი არსებობს ამ ცნების გამომხატველი ტერმინი „*ქასილიქი*“.

ამრიგად, როგორც ვხედავთ სომხურ თარგმანში ტერმინი ზოგჯერ გაიგივებულია ჩვეულებრივი ხმარების სიტყვასთან, რაც ქართულის ბრმა თარგმნით არის გამოწვეული.

შეიმჩნევა სხვანაირი სურათიც: სომეხი მთარგმნელი ერთსა და იმავე ქართულ ტერმინს სხვადასხვა სინონიმებით გადმოსცემს. ამ სინონიმურ ცალთაგან ყველა ტერმინი როდია. სინონიმად ან ჩვეულებრივი ხმარების სიტყვა გვხვდება, ან ზოგჯერ შინაარსობლივად ახლოს მდგომი სხვა ტერმინი გამოიყენება. მაგალითად:

ბ *ἡ ἐξέλιξις* — არსენის „განთავსებული“, რაც ნიშნავს ‘თავება’ ‘свойство’-შემდეგი სინონიმებით არის სომხურში გამოხატული: „*ქასილი*“, „*ქასილიქი*“, „*ენთანსიქ*“, „*ათანაზასიანი*“, „*ათანაზანი*“, „*ქრნოქჩან*“, „*რატანსი*“, „*რატანასიანი*“, „*თარქროქჩან*“ (მსგავსი შემთხვევები არც თუ იშვიათია). ყველა ეს სიტყვა შინაარსობლივად ახლოს არის ერთმანეთთან, ოღონდ „*ენთანსიქ*“, „*ათანაზასიანი*“, „*ათანაზანი*“, „*ქრნოქჩან*“ ჩვეულებრივი ხმარების სიტყვებია, ხოლო „*რატანსი*“, „*რატანასიანი*“, „*თარქროქჩან*“ სხვა ცნების გამომხატველი ტერმინებია. ეს არის ბერძნული *ἡ ἐξέλιξις*, ქართული „განყოფილება“-ს შესატყვისი. რატომ ხმარობს სომეხი მთარგმნელი „*რატანასიანი*“, „*თარქროქჩან*“-ს ერთი მხრით „განთავსებულის“-თვის ხოლო მეორე მხრით „განყოფილების“-თვის? აქვს თუ არა ამ ფაქტს რაიმე გამართლება? „დიალექტიკის“ მიხედვით ირკვევა, რომ „განთავსებული“ და „განყოფილება“ შინაარსობლივად მომიჯნავე ცნებებს გამოხატავენ. ალბათ ამან განაპირობა სომეხი მთარგმნელის მიერ მათი არევა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ორიგინალში მათი ხმარება მკვეთრად გამოიხსნა ერთმანეთისაგან.

შემდეგ, იმავე „განყოფილება“-ს შესატყვისად სომხურში გვაქვს: „*რატანასიანი*“, „*თარქროქჩან*“, „*ყანაყანოქჩან*“, „*ქასილიქი*“, „*ქრნოქჩან*“, „*ორიქი ვილი*“, „*ქიქიქისილიქი*“. „*რატანასიანი*“ და „*თარქროქჩან*“-ის გარდა სხვა სიტყვები ჩვეულებრივი ხმარების სიტყვებია. „*რატანასიანი*“ ქართულის კალკია, „*თარქროქჩან*“ არის საერთოდ აღიარებული ტერმინი. სწორედ ამ ტერმინს ხმარობენ არისტოტელის „კატეგორიების“ სხვადასხვა

სომეხი კომენტატორები: დავით უძღვეელი, ანონიმი ავტორი და იოვანე ვოროტნელი⁵.

ამრიგად, სომეხი მთარგმნელი ტერმინთა თარგმნისას ვერ იცავს ერთიან სურათს. იგი ტერმინის უფლებით იყენებს ჩვეულებრივი ხმარების სიტყვას, ან ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ტერმინს, კერძოდ, შინაარსობლივად ახლო მდგომი ცნებების გამომხატველ ტერმინებს.

ამრიგად, ტერმინთა თარგმანში შეიმჩნევა ორნაირი ხაზი: 1. ესა თუ ის სომხური ტერმინი ქართულის კალკს წარმოადგენს, შექმნილია ქართული ტერმინის მიბაძვითა და სიტყვასიტყვითი თარგმნის შედეგად. 2. გარკვეულ ტერმინთა თარგმნისას სომეხი მთარგმნელი ქართულის კალკს კი არ ქმნის, არამედ მიმართავს შინაარსობლივად ახლო მდგომ სომხურ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაგან ზოგი ჩვეულებრივი ხმარების სიტყვაა, ზოგი კი შინაარსობლივად ახლო მდგომი ცნებების გამომხატველი ტერმინი. ამდენად, სომხური თარგმანი ყოველთვის სათანადოდ ვერ ასახავს ფილოსოფიურ დონეს.

სომხურ თარგმანში რომელიმე ტერმინისათვის ზოგან არ არის დაცული გარკვეული გრამატიკული ფორმა. სომხურში არათანმიმდევრულად ხან არსებითი სახელი იხმარება, ხან ზედსართავი, ხან მიმღობა, სხვადასხვა წარმოებითა და დროისა. მაგ.:

ა) სპიռეჟი — „ქუემდებარე“ სხვადასხვა ფორმით არის თარგმნილი. ასე: „ხნქსაკ“, „ხნქსაკესაკ“, „ხნქსაკა სეხაკ“, „ხნქსაკაქსაკ“. მართებულია არსებითი სახელი „ხნქსაკ“-ს გამოყენება, რადგან მხოლოდ მას აქვს ტერმინის უფლება.

ბ) „უბ ჰივიჯა“ — „მოდრაობა“ სომხურში წარმოდგენილია ხან „ჯაქთაქსინ“, „ჯაქთიქსინ“, „ჯაქთამან“ (არსებითი სახელებით), ხან „ჯაქთიყასან“ (ზედსართავით), ხან „ჯაქთიყი“ (მეშველშენიანი მიმღობით). ამიტომ გარკვეულ კონტექსტებში აზრი ტერმინის ვაგების მხრივ სხვაგვარია. ასე: 44 რ-ზე ქართულში წერია: „ნალი, შემოქმედისა მიერ დადებული თითოეულსა სახესა შინა მოძრაობისა მიმართ“. სომხური თარგმანია: „ჟივიქსინი მინს არარქინ ვეხს ქიკრანსჯიქი სისას ჯაქთიყასანაჲ“. სომხურის მიხედვით გამოდის „თითოეულმა მოძრაობი სახესა შინა“, რაც აშკარა გადახვევაა აზრის ორიგინალისეული ვაგებიდან.

როგორც ვხედავთ, ერთიანი სურათი დაცული არ არის გრამატიკული ფორმების გამოყენების თვალსაზრისითაც. ვეაქვს შემთხვევა, როცა სრული გაუგებრობა იჩენს თავს. ასე მაგალითად: უბ პიჯთა — „სივრცე“ თარგმნილია სომხურში „ქანოქსინ“ სიტყვით და იგივე „ქანოქსინ“ იხმარება საწინააღმდეგო ცნების „უსივრცოს“ შესატყვისად.

სიკრელე სომხურ ტერმინოლოგიაში გამოწვეულია აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ მთელი ტექსტის მანძილზე ხდება შესწორებები. სწორდება სომხური ფილოსოფიური ტერმინოლოგიისათვის შეუფერებელი ტერმინები, კერძოდ ის სიტყვებიც, რომლებიც ქართულის კალკს წარმოადგენს ან ჩვეულებ-

⁵ მ. ნ ა ნ ი ა ნ მ ხ ს ნ ი ი ძ ი ს ნ „მოთრევიანსანეა მქათოთიქი, ხეხიან, 1961; შიქნანნილ მქათონხეღე მქეიძიძიქინ მოთრევიანსან მქათოთიქი, ხეხიან, 1956; ლ ი რ ი ა ნ მ ა რ კ ა თ ჯ ი მ ა მ რ ე ჯ ი მ ხ რ ბ ა ნ ი ი ჯ ხ ე ზ ა ლ ჯ ი მ ნ ა თ ჯ ი მ ა თ ნ ა ვ ი დ ი ს ი ს, ქ ს ს ნ ს ი ს, 1833.



რივი ხმარების სიტყვაა. გასწორება ხდება სომხურში დაკანონებული ტერმინოლოგიის მიხედვით. ეს აშკარა ტენდენცია გასწორებისა შეიმჩნევა ტექსტის მთლიანი ტერმინოლოგიის მიმართ. ასე მაგალითად:

1) *ἡ διαφορά* — „განყოფილება“ — „*բաժանում*“. ეს ტერმინი გვხვდება A ხელნაწერში, იგი გასწორებულია მართებული „*տարբերութիւն*“ ტერმინით BC-ში. თვითონ A ხელნაწერშიც ხან „*բաժանում*“ იხმარება, ხან „*տարբերութիւն*“, ზოგჯერ კი — ორივე ერთად: „*անყოფილება*“ — „*տարբերութիւն*“ და „*բաժանում*“.

2) *ἡ ἰσότης* 'ფორმა' — „შესახედავი“ — „*տեսանքն* (*կերպարն*)“ — A, *կերպարան* — C. „*տեսանքն*“ ქართული „შესახედავი“-ს ბრმა თარგმანია.

3) *ὁ ὕψος* — „ნათესავი“ — „*սոց* (*սის*)“ — A, *սის* — BC. „*სოც*“ მართლაც გამოხატავს ქართულ „ნათესავს“, კერძოდ ეთნიკური გაგებით, მაგრამ ლოგიკური ტერმინისათვის მისი ხმარება აშკარად გაუმართლებელია. ამიტომაც იგი სწორდება სომხური ფილოსოფიური ტერმინით, როგორცაა „*սის*“.

ზოგან შეიმჩნევა ერთი და იმავე ადგილის ტავტოლოგიური წაკითხვა, მაგ.:

ა) „გუამოვნისა და უგუამოვსათს“ ასეა განმარტებული სომხურში „*վասն էականի և անէականի, սեականի և անսեականի*“. აშკარა ტავტოლოგიაა.

ბ) 47 რ-ზე „ხატოვნებისათს“ თარგმნილია „*վասն պատկերի, սպի և կերպարանի*“. აქაც ეს სინონიმები შემდეგი დროის გასწორების შედეგად არის დარჩენილი და იგი არ ტოვებს ენაში სინონიმური პარალელების შთაბეჭდილებას.

დასკვნა: სომხურ თარგმანს არ აქვს დაცული ერთიანი სურათი ტერმინების გამოყენების თვალსაზრისით. ტერმინები არეულია ჩვეულებრივი ხმარების სიტყვასთან. ზოგჯერ იხმარება რომელიმე ტერმინის სინონიმური პარალელები, ზოგჯერ კი სხვადასხვა ცნების გამოხატველი ტერმინები იხმარება ერთმანეთის მონაცვლედ. ამრიგად, სახეზეა არასტაბილური სურათი. ტერმინთა ხმარებას მერყეობა ემჩნევა, ამდენად იგი სათანადოდ ვერ ასახავს ფილოსოფიურ დონეს. ტექსტში თვალნათლივ შეიმჩნევა გასწორების ტენდენცია. გასწორებანი ხდება სომხური ფილოსოფიური აზროვნების პრაქტიკაში მიღებული ტერმინოლოგიის მიხედვით, მაგრამ ამასაც სისტემატური ხასიათი არა აქვს და ეს გარემოება კიდევ უფრო აღრმავებს სიჭრელეს ტერმინთა გამოყენებაში.

ასეთია იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“ ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიის გადმოცემის ხასიათი არსენ იყალთოელის ქართულ თარგმანში, ხოლო აქედან სომხურში.

არსენ იყალთოელის თარგმანს ემჩნევა ენობრივი პურიზმი, ყველა ტერმინის აუცილებელი გადმოქართულება და ჩამოყალიბებული ტერმინოლოგია. ხოლო სომხურ თარგმანში არასტაბილურა სურათია.

„დიალექტიკის“ თარგმანთა მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ ისინი ასახავენ ფილოსოფიური ტერმინოლოგიის განვითარების დონეს. შესაბამისად ამისა, „დიალექტიკის“ ქართულად და სომხურად თარგმანს ორმხრივია საყურადღებო: 1. როგორც ბერძნულ ფილოსოფიურ აზროვნებასთან მიმართების საკვანძო მომენტების ასახვა და 2. როგორც ეროვნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავების გამოხატულება. მათი ამ თვალსაზრისით შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული და სომხური ფილოსოფიის ისტორიისათვის.

ერლო-ს მნიშვნელოვანისათვის „ვეფხისტყაოსანში“

თ. შოთაბიძე

(წარმოდგინა საქ. სსრ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ტარიელი ავთანდილს მოუთხრობს თავისი და ნესტანის პირველი შეხვედრის შესახებ: უთქმელად უმზირეს მიჯნურთ ერთიმეორეს, შემდეგ ნესტანმა უხმო ასმათს და ქალებმა „მოიუბნეს“. ასმათი ყურში ეუბნება ტარიელს: „აწ წადიო, ვერას გითხრობს...“¹, რინდი გაყრის ძლიერმა წუხილმა შეიპყრო: „...გულმან გაყრისა სიძნელე კვლა უფრო დამიტია-რე!“²

ასმათი ასერიგად ამხნევეს ტრფობამორეულ მიჯნურს:

„მოთხრა: „ეგრე წასვლისათვის ნუ გაჩნია გულსა დალი, სიმძიმითა ერდო დახაშ, სხხარულის კარი აღი...“³.

როგორ გავიგოთ ეს ალეგორია: „სიმძიმითა ერდო დახაშ“? კერძოდ, რას ნიშნავს ერდო ამ გამოთქმაში?

პროფ. იუსტინე აბულაძე ლექსიკონში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემას ეროვის, ერდოს ასე განმარტავს: „ერდო ბანი“. ერდოს ასეთ განმარტებას მხარს უჭერს, ჯერ ერთი, სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც „სიტყვის კონაში“ წერს: „ერდო სახლის ზედა კერძო ბანი“⁴. გამოდის, რომ ერდო, სახლის ზედა ბანი ყოფილა (ქვედა ბანად, ალბათ, იატაკი ივარაუდება. მთაში, მაგალითად, ძველად ბანი და იატაკი, ერთნაირად კეთდებოდა); მეორეც, ქართულ ოთხთავში (როგორც აღიშის—IX ს., ისე ჯრუჟ-პარხლისაში—X ს.) ერდო სწორედ ბანის ვაგებთ არის ნახვარი; მაგალითად: „ქადაგებდით მას ერდოებსა ზედა“ (მ. 10,27)⁵.

როგორც ჩანს, პროფ. იუსტინე აბულაძე „ვეფხისტყაოსნის“ ერდოს განმარტების დროს ითვალისწინებდა ამ ვითარებას. მაგრამ, მეორე მხრივ, ისმის საკითხი, რამდენად შეესაბამება ეს განმარტება თვით პოემის აღნიშნულ ადგილს, სახელდობრ, ასმათი მოუწოდებს ტარიელს: „სიმძიმითა ერდო დახაშ, სხხარულის კარი აღი“, მათასადამე, პროფ. იუსტინე აბულაძის განმარტების საფუძველზე გამოდის: სიმძიმის (მწუხარების) ბანი დაკეტე და სხხარულის კარი გააღე. ასეთი წაკითხვა ვერ იძლევა

¹ „ვეფხისტყაოსანი“, 1957, 395; სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე.

² იქვე, 396.

³ იქვე, 397.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1949.

⁵ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია; გამოსცა ა. შანიძე, 1945.

ტექსტის ნათელ გაგებას, რადგანაც ბანის დაკეტვა-გაღება შეუძლებელია. ბანი თვითონ არის გადაფარებული სარქველივით ზემოდან, იგი მთლიანია, მამასა-დამე, მას ვერ დაკეტავთ (და ვერც გავალბებთ)⁶.

ამრიგად ირკვევა: ერდო „ვეფხისტყაოსანის“ განხილულ ადგილას არ უნდა იყოს ბანის მნიშვნელობით ნახმარი.

პროფ. ა. შანიძის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რომელიც „ვეფხისტყაოსანის“ 1957 წლის გამოცემას ეროვის, ზემოხსენებული ტაეპის ერდო ასეა განმარტებული: „ერდო საკომური ბანში“.

პროფ. ა. შანიძე მართებულად ვარაუდობს, რომ ერდო, ამ ტექსტის მიხედვით უნდა იხსურებოდეს, იკეტებოდეს კიდეც. პროფ. ა. შანიძე ამ განმარტების დროს, ალბათ, ეყრდნობოდა ქართული ენის კილოთა მასალას. მართლაც, ერდო გვხვდება მთიულურში. პროფ. ს. მაკალათია მთიულური სახლის აღწერის დროს ერდოს შესახებ წერს: „ამ ერდოდან სახლში შუქი შემოდის და ბოლი გარეთ გადის“ (ხაზი ჩვენია)⁷.

პროფ. ს. მაკალათიასავე აღწერით, ფშავსა და ხევსურეთში სინათლისა და კვამლის ხერელს უწოდებენ საკომს: „სახლი ბნელია (ფშავში—თ. უ.) და შუქისათვის დატანებულია „საკომი“ (სარკმელი). ზოგიერთ სახლს კედელში ასეთი ორი ან სამი საკომი აქვს დატანებული, ზომით 40×29 სმ, საიდანაც სინათლე სახლში შემოდის და კერის ბოლი გარეთ გადის (ხაზი ჩვენია)“⁸.

იგივე ფუნქცია ჰქონდა ერდო ხერელებს ქართლში (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, ერდო, 2).

უნდა ვიფიქროთ, „საკომის“ მნიშვნელობა შემდგომ გაფართოებულა: ამ სიტყვით იწოდებოდა ერთი სართულიდან მეორე სართულში ასაძვრომი შიდა ხერელებიც; პროფ. ს. მაკალათია წერს: „ბოსლის ქერში გამოჭრილია ზემო სართულში ამოსასვლელი „საკომი“. ზომით 1×0,70 მ, საკომთან ხის მოძრავი კიბეა მიდგმული და ამ კიბით ბოსელში ჩადიან და სახლის ზემო სართულში ამოდიან“⁹.

„საკომები“ ჰქონდა მთის ძველებურ ციხეებსაც¹⁰.

ზემოთ მოტანილი მასალის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ მთიულურსა და ფშაურში ერდო და საკომი თითქმის ერთი მნიშვნელობით იხმარება—ეს არის შუქის შემოსასვლელი და კომლის (კვამლის) ანუ ბოლის გარეთ გასასვლელი ხერელი, ოღონდ ფშაურში საკომის მნიშვნელობა გაფართოებულა—აქ იგი ერთი სართულიდან მეორეში ასაძვრომ ხერელსაც ნიშნავს.

ერდოს გზვდებით თუშურ და რაჭულ კილოებშიც. თუშურში ერდო ერთი სართულიდან მეორეში ჩასასვლელ (ან ასასვლელ) ხერელს ეწოდება. იგი

⁶ თვით დახაშ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ნათელია: საბა ორბელიანი წერს: „დაკშევა—კარის დაჭარვა“. დახაშ ფორმის ძველი სახეა დაკაშ. საბახ განმარტებას შევადაროთ ადგილი ოთხთავიდან: „დაკაშ კარი შენი“ (მ. 6), ე. ი. დახურე, დაკეტე შენი კარი.

⁷ ს. მაკალათია, მთიულეთი, 1930, გვ. 100.

⁸ ს. მაკალათია, ფშავი, 1934, გვ. 107.

⁹ იქვე.

¹⁰ ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, 1945, გვ. 31, 33.



მხოლოდ ამ ფუნქციას ასრულებდა. შეიძლება სამყოფი ოთახიდან გომურში ჩავიდეს კაცი (მაშინ ერდო იატაკშია ამოჭრილი) ან სამყოფი ოთახიდან ზედა სართულში ავიდეს ანდა სხვენში (მაშინ ერდო ჰერშია ამოჭრილი). ერდოს ჩვეულებრივ სახურავი აქვს და, როცა არ იყენებენ მას, არც ეტყობა ჰერსა და იატაკს, თუ იქ ასასვლელია გაკეთებული. ერდოები აკავშირებდა ძველებური ციხეებისა და სახლების სართულებს. სართულებს შორის მოძრაობა მტრიანობის დროს მხოლოდ ერდოების საშუალებით ხდებოდა.

პროფ. ს. მაკალათია თუშური ციხეების დახასიათებისას წერს: „...ასეთი კომპოზიციები მთა—თუშეთში გავრცელებულია სოფ. დართლოდან ნასოფლარ ჭონთიომდე... პირველი სართული წარმოადგენს ბნელ და დახურულ ოთახს, სადაც ჩასვლა შეიძლება მეორე სართულის იატაკში გამოჭრილი გასაძრომ ერდოდან (ხაზი ჩვენია)“¹¹. მეორე სართული კარიანია. „ეს სართული თალიანია და მის ერთ კუთხეში მესამე სართულში ასასვლელი ერდო არის გამოჭრილი. მესამე სართულის კედლებში დატანებულია სათოფურები და ერთი სარკმელი. კუთხეში აქვს გამოჭრილი ზემო სართულში ასასვლელი ერდო“¹² და ა. შ. ექვსივე სართული აქ აღწერილი ციხისა ერთიმეორეს ერდოებით უკავშირდება.

ანალოგიური ვითარებაა კომკოვან სახლებშიც: პირველ სართულზე არის ბაშტე (გომური), მეორე სართულზე, სადაც ცეცხლსაც ანთებენ, ბაშტედან აღიან ერდოს საშუალებით.

მამასადამე, თუშური ციხეებსა და კომკოვან სახლებში ერდო არც საკვამლეა და არც სინათლის ხერელი, იგი ეწეოდა კარის მაგივრობას. სართულებს შორის. ერდოები იღებოდა და იხურებოდა კიდევ; მაგალითად, პირველი სართული, რომელიც მიწაში იყო ამოთხრილი, ტყვეებისათვის იყო განკუთვნილი: „ამ სარდაფში ტყვეებს ამწყვდევენ“¹³, ბუნებრივია, რომ ამ სართულის ერდო იხურებოდა (ტყვეები ერდოდან ჩაჰყავდათ სარდაფში).

ერდოს ასეთივე მნიშვნელობა დასტურდება რაჭულ კილოშიც: გოგიჩეთ ჯღედის ტყეში თავს დაესხნენ ყაჩაღები, „იმათა (გოგიჩეთ, თ. უ.) ჰქონდა ერთი თვალი სახლი, ძირს სახლქვეშ იყო ბოსელი, სადაც საქონელს აბეშდეს... იმ სახლს ჰქონდა ერდო ბოსელში ჩასავალი“¹⁴. ყაჩაღებს რომ ვერ შეეტყუათ, სახლის პატრონის ვაჟი „ბოსლიდან გამოიპარა სოფელში“ და¹⁵... ე. ი. ოთახიდან ერდოთი ჯერ ბოსელში ჩასულა და შემდგავა სოფელში მისულა.

რაჭული კილოს მიხედვითაც, ერდო კარის მაგივრობას სწევს სართულებს შორის.

საბოლოოდ: ერდოს კილოებში აქვს ორი მნიშვნელობა: 1) სინათლისა და ბოლის ხერელი, ამას უკავშირდება საკომური და საკვამი; 2) ერდო სართულთა შემაერთებელი ხერელია, გვიანდელი მნიშვნელობით მას უკავშირდება ფშაური საკომი.

¹¹ ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, 1945, გვ. 32.

¹² იქვე.

¹³ ს. მაკალათია, თუშეთი, გვ. 120.

¹⁴ ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 547 („გოგიჩეთ ამბავი“).

¹⁵ იქვე.

დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ მოტანილ ადგილს: „სიმძიმითა-
თა ერდო დახაშ, სიხარულის კარი აღი...“.

ჩვენი აზრით, უხერხული ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ ერდო მივიჩნიოთ
ს ა კ მ უ რ ა დ. ე. ი. ოთახში შუქის შემოსასვლელ და ოთახიდან კვამლის
გასასვლელ ხვრელად, რადგანაც მეტაფორულ სახედ ისეთი რამ იქნება გამო-
ყენებული, რასაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადგილი არა აქვს—საკვამლე მი-
ლის დახშვა, დაკეტვა. თუ დავუშვებთ, რომ მწუხარება კვამლია, რომელიც სა-
კომპურით უნდა წავიდეს, მით უფრო არ შეიძლება მისი (საკომპურის) დახშვა.
საერთოდ, საკომპურის დაკეტვა, რამდენადაც ის საკომპურია (კვამლის გასასვ-
ლელი ხვრელი), არ შეიძლება.

ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანში“ ერდო ნახმარია სართულთა შემაერ-
თებელი ხვრელის მნიშვნელობით. ერდოს ეს გაგება, როგორც ვნახეთ, დღემდე
შემოუნახავს თუშურსა და რაჭულს. „ვეფხისტყაოსნის“ ერდო შეიძლება ასე
განვმარტოთ:

ერდო ციხეთა და კოშკოვან სახლთა სართულების შემაერთებელი
ხვრელია. იგი კარის მაგივრობას სწევდა სართულებს შორის.

„სიმძიმითა ერდო დახაშ, სიხარულის კარი აღი...“

სიხარული კარიდან უნდა შემოვიდეს. კარი დიდია (ერდოსთან შედარე-
ბით), საზეიმოა; სიმძიმითი (მწუხარება, შეჭირვება) კაცს მოულოდნელად ება-
რება, იგი ერდოს, მძიმე ქამს სახმარი კარის, ხვრელებით შედის სამყოფში. ერ-
დო უნდა დაიხშოს.

ვფიქრობთ, ერდოს ასეთი გაგება „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულ ადგილს
უფრო ნათელს გახდის.

**ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მემკვირვებათა
VII საერთაშორისო კონგრესის კონკრესი**

გ. ჩიჭავაძე

1964 წლის 3-10 აგვისტომდე ჩატვლილ მოსკოვში ლომონოსოვის სახე-
ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის დარბაზებსა და აუდი-
ტორიებში მიმდინარეობდა ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერება-
თა VII საერთაშორისო კონგრესის მუშაობა. ეს იყო მსოფლიო სამეცნიერო
აზრის წარმომადგენელთა დიდი შეკრება, რომლის მნიშვნელობა მეტად შორს-
მწვდომია.

კონგრესის მომზადების პროცესში დიდი მუშაობა ჩატარეს ანთროპო-
ლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა კონგრესების მუდმივმა საერთაშო-
რისო საბჭომ, VII კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტმა და ერთვულმა
საორგანიზაციო კომიტეტებმა. პირველ რიგში დასადგენი იყო კონგრესის
სტრუქტურა, რაც ერთგვარი დაბრკოლების გადალახვას მოითხოვდა. გასარკვე-
ვი იყო სექციებისა და სიმპოზიუმების პრობლემატიკა, საჭირო იყო ოფიცია-
ლური დოკუმენტაციების მომზადება და მთელი რიგი საორგანიზაციო ღონის-
ძიებების ჩატარება.

ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა ამ დიდი შეკრების მთავარი ამოცანა იყო
ადამიანის—ანთროპოსის და ხალხის—ეთნოსის შესწავლის შედეგების წარ-
მოჩენა. ადამიანის წარმოშობის, მისი განვითარების, ხალხთა ყოფისა და კულ-
ტურის ისტორიის ცოდნის საფუძველზე ირკვევა, რომ ყველა ხალხი ეროვნე-
ლის, რელიგიის და კანის ფერის სხვადასხვაობის მიუხედავად—ერთიანია. ეს
აზრი კარგად გამოხატა თავის გამოსვლაში კონგრესის უხუცესმა წევრმა, VI
კონგრესის პრეზიდენტმა, ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა, პროფესორმა ანრი
ვალუამ. მან თქვა: თუ გარეგანი ნიშნის მიხედვით რასები განსხვავდებიან, მა-
თი არსი ყოველთვის ერთი და იგივეა, იდენტურია. პროფ. ანრი ვალუა ინი-
ციატორია, სხვებთან ერთად, იმ მიმართვისა, რომელიც გადაეცა გაერთიანე-
ბული ერების ორგანიზაციას რასიული დისკრიმინაციის შესახებ. ეს ტექსტი,
როგორც ცნობილია, დაედო საფუძვლად გაერთიანებული ერების ორგანიზა-
ციის სათანადო გადაწყვეტილებას.

კონგრესის მუშაობა ამ ძირითადი ნიშნების მიხედვით ჩატარდა. არ ყო-
ფილა არც ერთი მოხსენება და არც ერთი ცალკე გამოსვლა, რომლებშიც „მა-
ღალი“ და „დაბალი“ რასებისა, „ისტორიული“ და „არაისტორიული“ ტომები-
სა და ხალხების შესახებ ყოფილიყოს ლაპარაკი. ამჟამა შეიქნა, რომ სხვა კა-
ნის ფერის ხალხი ისეთივე ადამიანია, როგორც ჩვენ, რომ იმათ ისეთივე

ღრმა გრძნობები და მახვილი გონება გააჩნით, როგორც ჩვენ და რომ მათაც შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ მსოფლიო კულტურის საგანძურში. კიდევ მეტი, უცხო ქვეყნელი ხალხის კულტურის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის ისტორიის უკეთ შეცნობისათვის.

კონგრესის მუშაობაში, გარდა ეთნოგრაფებისა და ანთროპოლოგებისა, მონაწილეობას იღებდნენ ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მომიჯნავე დისციპლინების სპეციალისტები, რაც ხელს უწყობდა პრობლემების კომპლექსურად განხილვასა და დამუშავებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონგრესი თავისი შინაარსით ახალი საფესურია ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის განვითარებაში. იგი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფორუმი ადრე ჩატარებულ ამგვარ კონგრესებს შორის, როგორც თავისი შედეგებით, ასევე თავისი მეცნიერული შედეგებით. ცხადი გახდა, რომ ეს სამეცნიერო დისციპლინები მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოვრების სინამდვილესთან, იმ ცვლილებებთან—აღამიანთა საზოგადოებაში რომ ხდებოდა. სამართლიანად აღნიშნა კონგრესის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ს. პ. ტოლსტოვა, რომ იმ ხალხებში, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის და იმ სახელმწიფოებში, რომლებმაც მოაპოვეს დამოუკიდებლობა,—ეთნოგრაფია და ფოლკლორისტიკა, ყველა სხვა სამეცნიერო დისციპლინებთან შედარებით, ადრე ვითარდება.

კონგრესში მონაწილეობა მიიღო 1940-ზე მეტმა დელეგატმა, ხოლო სტუმართა რიცხვი 900 კაცს აჭარბებდა. კონგრესზე იყო წარმოდგენილი 58 სახელმწიფოს დელეგაცია. მათ შორის ისეთი ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების წარმომადგენლები, როგორცაა: სომალი, სპილოს ძვლის სანაპიროს სახელმწიფო, მალი, სენეგალი, ტოლო და სხვ. აქ მუშაობდა 27 სექცია, 17 სიმპოზიუმი, ჩატარდა ოთხი პლენარული სხდომა. სექციების სხდომებზე მოსმენილი იყო 814 მოხსენება, ამათგან უცნოეთიდან 564, ხოლო საბჭოთა კავშირისგან 240, და 100-მდე ზედმეტად დაბეჭდილი და კონგრესის მონაწილეთა შორის გავრცელებული. აშშ—112, საფრანგეთიდან—48, ინგლისიდან—13, პოლონეთიდან—37, რუმინეთიდან—46, იუგოსლავიიდან—34, იტალიიდან—30, ჩეხოსლოვაკიიდან—29, კანადიდან—14, ესპანეთიდან—8, ღერმკრ. გერმანიიდან—39, იზრაილიდან—13, უნგრეთიდან—22, ბულგარეთიდან—14, ფედ. გერმანიიდან—22 და ასე შემდ. ვარდა ამისა, იყო მრავალი გამოსვლა სიმპოზიუმებსა და სექციების სხდომებზე. გავრცელდა მრავალი მოხსენება და მოხსენებათა თეზისები რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე, სტამბურად და როტოპრინტით დაბეჭდილი. აქვე აღვნიშნავ, რომ რეგლამენტით თითოეული მოხსენებისათვის იყო განკუთვნილი 30 წუთი, ამათგან მომხსენებელს ეძლეოდა 15—20 წუთი, ხოლო კამათისათვის 10—15 წუთი.

კონგრესის პირველი პლენარული სხდომა გახსნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ აკად. ე. მ. ყუჯოვამ. საბჭოთა მთავრობის სახელით კონგრესს მიესალმა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ნ. რუდნევი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში, მოსკოვის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი, მოსკოვის ლორონოოვის სახ. უნივერსიტეტის პრორექტორი—გ. დ. ვოვჩენკო, კონგრესის პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-

ტი ს. პ. ტოლსტოვი და VI კონგრესის ყოფილი პრეზიდენტი ფრანგი მეცნიერი ანრი ვალუა. კონგრესის პირველი პლენარული სხდომა დამთავრდა ქართული მუსიკის კონცერტით, რომელიც მოაწყვეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის არტისტებმა.

კონგრესის დასკვნით პლენარულ სხდომაზე ჩრდილო-ამერიკის შერტე-ზული შტატების მრავალრიცხოვანი დელეგაციის წარმომადგენელმა პროფ. ლესლი უაიტმა დელეგაციის სახელით მადლობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და საბჭოთა ეთნოგრაფებსა და ანთროპოლოგებს კონგრესის ჩინებულად მოწყობისა და წარმატებით ჩატარებისათვის. მანვე მადალი შეფასება მისცა საბჭოთა ეთნოგრაფებისა და ანთროპოლოგების მოხსენებებს. ასევე მადლობის სატყვებითი გამოვიდნენ: ინდოეთის, იტალიის, სომალის, პერუს, ავსტრიის, პოლონეთის და იაპონიის დელეგაციების წარმომადგენლები. ამათ შემდეგ ამავე სხდომაზე საქართველოს ნორჩ ეთნოგრაფთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა მოსწავლე მიხეილ გვათუამ, რომელმაც აღუთქვა კონგრესს, რომ საქართველოს ნორჩი ეთნოგრაფები შეეცდებიან ღარსეულად განაგრძონ უფროსი თაობის საქმიანობა.

ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა მერვე საერთაშორისო კონგრესი მოეწყოს ტოკიოში 1968 წელს. აქ ინაცვლებს კონგრესის შეკრების ადგილი წლების მანძილზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. V კონგრესი იყო—ფილადელფიაში, VI—პარიზში, VII—მოსკოვში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მრავალმხრივი და ფართო იყო კონგრესის მიერ მოსმენილი მოხსენებების პრობლემატიკა, საკმარისი იქნება დავასახელოთ მათგან რამდენიმე: დედაშიწის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა; ადამიანის, მისი ყოფისა და კულტურის განვითარების კანონზომიერების რასიული და კასტური სხვაობანი, ოკეანის მოსახლეობის წარმომავლობა, მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობის ურთიერთობა; უდაბური და ნახევრად უდაბური ზოლის მოსახლეობა; ურბანიზაცია და სოფლის მოსახლეობის კულტურა; აფრიკის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა; ზღვარი ცხოველსა და ადამიანს შორის და სხვ.

კონგრესზე, საბჭოთა მეცნიერების წინადადების თანახმად, პირველად იყო დასმული და ფართოდ განხილული სათანადო სექციებში სიტყვიერი ფოლკლორის, ხალხური მუსიკის, თეატრის, ქორეოგრაფიის, ეთნიკური გეოგრაფიის და გამოყენებითი ეთნოგრაფიის პრობლემები.

ამას გარდა, კომპლექსური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული ხალხების წარმოშობასა, მათ ისტორიულ განვითარებასა, კულტურასა და ენასთან, განხილული იყო სპეციალურ რეგიონალურ სექციებში. სახელობრი: აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანის, აღმოსავლეთისა და დასავლეთი აზიის, ევროპის, ამერიკის, არქტიკისა და სუბარქტიკის სექციებში. მოხსენებების რიცხვი სექციებისა და ქვე-სექციების მიხედვით: ფიზიოლოგიური ანთროპოლოგია—41, ჰემატოლოგია და სეროლოგია—18, ადამიანის სომატოლოგია—44, სპორტული ანთროპოლოგია—4, დერმატოლოგიკა—7, ანატომიური ანთროპოლოგია—30, ეთნიკური ანთროპოლოგია—47, პალეოანთროპოლოგია და ეთნოგენეზი—36, თეორია და მეთოდოლოგია—41, საზოგადოებრივი წყობილება—36, მატერიალური კულტურა—23, პალეოეთნოგრაფია—4, ეთნობოტანიკა



და ეთნოზოოლოგია—19, ეთნოლინგვისტიკა—17, ხალხური ზეპირი სიტყვიერება—48, ხალხური მუსიკა—28, ხალხური თეატრი და ქორეოგრაფია—19, ხალხური სახვითი ხელოვნება—28, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და მითოლოგია—28, გამოყენებითი ეთნოგრაფია—42, ეთნიკური გეოგრაფია—22, აფრიკა—33, ავსტრალია და ოკეანია—23, აღმოსავლეთისა და სამხრეთის აზია—41, დასავლეთი აზია—26, არქტიკა და სუბარქტიკა—31, ჩრდილოეთის ამერიკა—19, სამხრეთისა და ცენტრალური ამერიკა—33, ევროპა—46, მუზეუმმცოდნეობა—26.

კონგრესის სექციებსა და პლენარულ სხდომებზე მოსმენილ მოხსენებათა თემებიდან სახელდახელოდ ზოგიერთს დავასახელებთ: პროფ. ბისვასი (ინდოეთი)—რასიულ და კასტურ სხვაობათა ურთიერთობის პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; პროფ. განდევი (ბულგარეთი)—მუშათა ყოფის შესწავლის მიღწევები ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში; პროფ. ვალუა (საფრანგეთი)—მაროკოში აღმოჩენილი ადამიანის ნეანდერტალური თვისებები. დოქტორი ხრუსტოვი (სსრკ)—ანტროპოიდების მიერ იარაღის გამოყენების ხერხები; დოქტორი უდანკო (სსრკ)—სოციალისტური ერების განვითარებისა და დაახლოების პროცესების ეთნოგრაფიული შესწავლა; პროფ. იაკობსონი (აშშ)—ლინგვისტიკური მონაცემები მითოლოგიის საკვანძო საკითხების შესწავლის საქმეში; დოქტორი ჰეიერდალი (ნორვეგია)—აღდგომის კუნძულის წინაპოლინეზიური კულტურის წარმოშობის საკითხი და სხვა.

მოხსენებებში მრავალი ახალი სიტყვა ითქვა, მომხსენებლებმა ახალი თეორიები წამოაყენეს, მსჯელობის პროცესში ახალი შეხედულებები გამოიშვა.

ამჟამად შეუძლებელია კონგრესის მუშაობის მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ასახვა. კონგრესის მუშაობის შედეგების მთლიანად შეჯამება და შეფასება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც წრული სახით დაიბეჭდება კონგრესის შრომები, რაც 7—8 ტომს დაიჭერს, თუ მეტს არა. ამიტომ მკითხველის ყურადღებას კონგრესის მუშაობის ზოგიერთ მხარეებზე შევაჩერებ.

კულტურის ერთიანობისა და კულტურათა სიმრავლის პრობლემა ჩვენს დროში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამჟამად იმდენად გაიზარდა ხალხთა შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირების საერთაშორისო მნიშვნელობა, რომ ამა თუ იმ ხალხის იზოლაციაში ყოფნა შეუძლებელია. ამ პირობებში კულტურის ერთიანობის იდეა, მრავალგვარი კულტურების არსებობის დროს, მოწოდებულია ემსახუროს ხალხთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასა და პროგრესს.

თანამედროვე ამერიკის ბურჟუაზიული ეთნოგრაფიის რელატივიზმი (რ. ლოუი, მ. ჰერსკოვიჩი) კაცობრიობის კულტურის ისტორიულ ერთიანობას უაზროფს და ლოკალური კულტურების შესწავლით კმაყოფილდება. თიშავს ერთმეორისგან ეთნოგრაფიასა და ეთნოლოგიას; უკანასკნელის ამოცანად კულტურის „მოძღვების“ შექმნას მიიჩნევს და უკეთეს შემთხვევაში (მურდოკი) კულტურის ერთობლიობის საფუძველს ბიოლოგიურ და ფსიქობიოლოგიურ დეტერმინაციებში ეძებს.

კონგრესზე საბჭოთა მომხსენებლების მიერ კარგად იყო ნაჩვენები, რომ წარმოების წესის პრიმატობა კაცობრიობის ისტორიის უნივერსალური კანონზომიერებაა, რომელიც აპირობებს კაცობრიობის კულტურის ერთიანობას და

რომ კულტურის ისტორიული ერთიანობა არ ნიშნავს კულტურათა იგივეობას. თითოეული კულტურის თავისებურება ისეთივე კანონზომიერი მოვლენაა, როგორც სტადიალური განვითარება. კულტურის ერთიანობა და სიმრავლე იძლევა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოვლენების მრავალსახეობას, როგორც ზოგადი კერძობობის. მეორეგვარი ერთიანობა წარმოიქმნება კულტურული კონტაქტების საფუძველზე, რაც ქმნის კულტურის ელემენტების სინთეზს (მაგალითად, კულტურული მცენარეების გავრცელება ვიწრო ლოკალური რაიონიდან (Артановский)).

კარგად იყო ნაჩვენები აგრეთვე ისიც, რომ კულტურა მუდმივ მოძრაობაშია, დინამიურია, ირკვევა, რომ ისეთ თითქოს უძრავ გაყინულ კულტურასაც, როგორც ავსტრალიის აბორიგენების კულტურაა, გაუვლია რამდენიმე საფეხური თავის განვითარებაში. 17000 წ. ± 200 წ. კულტურა განსხვავდება 12.900 ± 170 წ. დათარიღებულ კულტურისაგან (კაბო).

მწვავე პრინციპული ხასიათის პრობლემა წამოიჭრა ცნობილი ეთნოგრაფის ტურ პეიერდალის მოხსენების განხილვის დროს.

პოლინეზიელების, კერძოდ, აღდგომის კუნძულის მოსახლეობის ეთნოგენეზის საკითხის გარკვევისას მის მიერ ადრე წამოყენებულ დებულებებს მან აღდგომის კუნძულების ძველი მოსახლეობისა და პერუს მოსახლეობის სისხლის გამოკვლევის შედეგები დასძინა. მაგრამ არც ამ ახალმა არგუმენტმა იხსნა მომხსენებელი კრიტიკისაგან. აქ წამოიჭრა საკითხი კულტურის ელემენტების სარალელიზმის შესახებ. მოკამათეების ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ კულტურის ელემენტების დამთხვევა შეიძლება აიხსნას კულტურის ელემენტების სპონტანური წარმოშობით და არა მიგრაციით.

რაც მოხსენებებში გამოყენებული იყო ახალი მეთოდიკა: რადიოკარბინი, სისხლის მაჩვენებლები, გამოთვლითი გაანგარიშება. განხილული იყო მოხსენებები ისეთ თემებზე, როგორცაა: მ. იაბლონკოსი (აშშ) სავლელ ეთნოგრაფიული კინემატოგრაფიის ტექნიკური პრობლემები: ა. იაბლონკოსი (აშშ) ეთნოგრაფიული ფილმი, როგორც ანალიზის საფუძველი და პ. ვარუეკისა (ჩეხოსლოვაკია) დაცვითი ეთნოგრაფიული გამოკვლევები ჩეხოსლოვაკიაში, ჰ. დამისა (გდრ) ეთნოგრაფიული კოლექციების დანომრვა საბირკო ფირფიტების სისტემის მიხედვით.

2

საქართველოს დღევანდელი კონგრესზე გაიტანა 39 მოხსენება, ყველაზე მეტი სხვა მოძმე რესპუბლიკათა შორის. ყველა მოხსენება დაიბეჭდა ორ ენაზე—რუსულ და უცხო ენებზე და გავრცელდა კონგრესის დღევანდელ შორის. მოხსენებების ერთი ნაწილი დაიბეჭდა თბილისში. დღევანდის წევრები, მოხსენებების გარდა, აქტიურად მონაწილეობდნენ სექციების და სიმპოზიუმების მუშაობაში.

ჩვენი დღევანდის მოხსენებები შეეხებოდა საქართველოს და კავკასიის მოსახლეობის ანთროპო და ეთნოგენეზს, კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს, სოციალური ურთიერთობის საკითხებს, ენის, ზეპირი და მუსიკალური ფოლკლორის, ქორეოგრაფიის, ხალხური მედიცინის, გამოყენებითი ეთნოგრაფიისა და რელიგიის ისტორიის საკითხებს.

ზოგიერთ მათგანზე ქვემოთ შევჩერდებით.

უკანასკნელი წლების აღმოჩენების საფუძველზე (Braidwood-ი, Melart-ი, Kenyon-ი) გაირკვა, რომ მომთაბარე მონადირეობიდან ბინადარ მიწათმოქმე-

დებასა და მესაქონლეობაზე გადასვლა (ძვ. წ. 4—3 ათასწლეული) მოხდა წინა აზიაში, ევფრატისა და ტიგროსის იმ მთიანეთში, რომელიც სირია-ერაყის დაბლობის აღმოსავლეთით მდებარეობს. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენში ბოლო წლებში დაგროვდა მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მიწათმოქმედების ერთ-ერთ უძველეს კერად მტკვარ-არაქსისა და რიონ-ჰოროხის აუზის მთიანი ზოლი გვევლინება.

ამ უკანასკნელზე იყო გამახვილებული ყურადღება მოხსენებაში „ძველი კოლხეთის კულტურის ზოგიერთი თავისებურება“. მოხსენებებში ნაჩვენებია იყო, რომ კოლხეთში დასტურდება პურეულის ისეთი ჯიში, რომელიც ველურიდან ძოწინაურებულ პურეულზე გარდამავალ ჯიშს წარმოადგენს. ეს პურეულია მახა, რომელიც ბოლო დრომდე იყო შემონახული ლეჩხუმსა და მთიან სამეგრელოში. მახას ახასიათებს ისეთი თვისებები, რომლებიც, ერთი მხრით, ველური პურეულისათვის არის დამახასიათებელი (თავთავის მტვრევადობა, თავისთავადი თესვადობა), ხოლო, მეორე მხრით, კულტურული ჯიშის თვისებები. გარდა ამისა მახა კოლხეთის სინამდვილეში ნეოლითის ხანიდანაა ცნობილი. ყოველივე ამას ისიც ერთვის, რომ მახას მოსამკელად თავისებური, ორიგინალური სამკელი იარაღი შენევიან განკუთვნილი, რომლის მსგავსი მხოლოდ ესპანეთში—ასტურიაში მოიპოვება. ამგვარი გარდამავალი საფეხურისათვის დამახასიათებელი პურეულის ჯიში არ მოიპოვება ევფრატისა და ტიგროსის აუზის მთიან ზოლში არც ვანათხარ მასალაში (ქერიმ-შაპირი, ტელ-მლევიათი, ტელ-სარანი-ი, იერიქო) და არც ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

ამავე მოხსენებაში აღნიშნულია იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც კოლხურ ტომს—ხალობებს (იგივე ჭანები, ლაზები) ეკუთვნის მაგარი რკინის, ფოლადის გამოდნობის საქმეში. აღინიშნა, რომ ფოლადის გამოღებებამ დიდად შეუწყო ხელი კოლხური კულტურის აღმავლობას, მისი მეურნეობის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას და მოსახლეობის გამრავლებას. ამ დროს აქ უკვე გამოყენებულია სახენელი იარაღი რკინის სახნისით და რთული კონსტრუქციით. აქვე აღინიშნა, რომ არგონავტების ძველი ბერძნული თქმულება ლეგენდარულ ფორმებში მეტ-ნაკლებად ასახავს იმ დროინდელი კოლხეთის სინამდვილის ზოგ მხარეებს—მელითონეობას, მიწათმოქმედებას, მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებს და სხვას, რაც დასტურდება არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი და სხვა მასალით.

მცენარეების მოწინაურების საკითხს ბოტანიკის მონაცემების საფუძველზე შეეხებოდა კარვად დასაბუთებული მოხსენებები: პროფ. ნ. კეცხოველისა—„კულტურული მცენარეთა წარმოშობის ისტორიისათვის საქართველოში“, პროფ. ვ. მენაბდისა—„კულტურული ხორბლის ისტორიისათვის“. ქართული ტომების უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის საკითხები იყო განხილული პროფ. ო. ჯაფარიძის მოხსენებაში არქეოლოგიური მასალის საფუძველზე.

კავკასიის სამიწათმოქმედო კულტურის საკითხები იყო განხილული მ. გეგეშოძის მოხსენებაში „ტერასული სარწყავი მიწათმოქმედება კავკასიაში“. მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული, დაღესტნური, სომხური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა და მომიჯნავე დარგების მონაცემები. მასში ნაჩვენებია კავკასიის ხალხების მიერ ხანგრძლივი დროის მანძილზე შექმნილი მიწათმოქმედების კულტურა და კერძოდ მთის მიწათმოქმედების თავისებურებანი. საკითხის მრავალი ასპექტიდან ყურადღება გამახვილებულია ტერასულ სარწყავ

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმების თავისებურებებზე, რაც ეხმარება კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის პრინციპულ, ახალ დებულებებს მთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საფეხურების შესახებ. მოხსენებაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა, რომ კავკასია ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერა იყო და რომ აქ ადგილი ჰქონდა ისტორიული განვითარების რთულსა და ხანგრძლივ პროცესებს.

მოხსენების გარშემო მსჯელობის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ ავღანისტანის მთიანეთში, მსგავსად საქართველოსა და კავკასიის მთიანეთისა, ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი განვითარების ადრეკლასობრივ საფეხურს, რომ იქაც არ იყო „მუდმივი“ გვაროვნული წყობილება, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მიღებული.

სოციალურ საკითხებს ეხებოდა საზოგადოებრივი წყობილების სექციამი წაითხული ვ. ბარდაველიძის მოხსენება „მიწათმფლობელობის უძველესი ფორმები ქართული ეთნოგრაფიული მასალების შუქზე“. ქართველი მთიელების გადმონათული მასალის ანალიზის საფუძველზე მომხსენებელი ადგენს, რომ ტერიტორიალურ-მეზობლური ორგანიზაციის ფარგლებში, მის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ სამიწათმოქმედო თემები ჯერ სამკობისა, ხოლო შემდეგ „მამათა“ სახით. ამ სოციალურ ერთეულებში სოფლის თემის არსებობის პერიოდში დგინდება თემური მიწათმფლობელობის სამი სახეობა: პირველი—სამკობს მიწათმფლობელობა, რომელიც ხასიათდება თაობიდან თაობაზე გადასვლის კოლექტიური მემკვიდრეობის უფლებით და მიწათმფლობელობის წილობრივი ფორმით. მომხსენებელი წილობრივ-მემკვიდრეობით მიწათმფლობელობის მასალების სერუპულოზური ანალიზის საფუძველზე ადგენს, რომ მიწათმფლობელობის ამ ფორმის არსებობის დროს მიწის გადანაწილება იწვევს არა მიწის ფართობის გათანაბრებას თემის წევრებს შორის, არამედ პირიქით მიწით მდიდარი და ღარიბი ფენების წარმოქმნას.

მიწათმფლობელობის მეორე ფორმის არსებობის დროს სამკობს თანდათან სუსტდება სათემო-სამეურნეო საქმიანობაში და ამის შედეგად სამემკვიდრო მამული პირდაპირ გადადის მამებზე—პატრონიმიებზე, ხოლო პატრონიმიის შიგნით მიწები ნაწილდება კომლზე, რაც იწვევს კიდევ უფრო მეტ ქონებრივ დიფერენციაციას პატრონიმიის წევრებს შორის.

მიწათმფლობელობის მესამე ფორმას წარმოადგენს გარდამავალი საფეხური, როდესაც პატრონიმიულ-სათემო მიწათმფლობელობა გადადის კომლობრივ მიწათმფლობელობაზე. მიწათმფლობელობის ამ სახეობის სპეციფიურობა მდგომარეობს იმაში, რომ კომლობრივ-მემკვიდრეობითი მფლობელობა ხორციელდება „მამათა“ მფლობელობის ფარგლებში, თუმცა მიწის ნაკვეთს მუდმივად ერთი და იგივე კომლი იყენებს და მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე.

მომხსენებელი ადგენს, რომ კოლექტიურ-მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობის პრაქტიკა, დაბალი ტექნიკის არსებობის პირობებში, სოფელში ქმნიდა ახალ ურთიერთობას, ქონებრივ უთანასწორობას, „კაცრიელ“ და „უკაცურ“ მამათა კოლექტივებს შორის. ეს გარემოება თავის მხრივ იწვევდა ბრძოლას ამ ძლიერ და სუსტ თემებს შორის, მიწის იჯარით აღებას, მამულის დაწინდვას, მიწის ყიდვა-გაყიდვას და სხვ.

მომხსენებელი ასკვნის, რომ თემური მიწათმფლობელობის აღნიშნული სახეობანი დამახასიათებელია იმ სოფლის თემისათვის, ადრეკლასობრივი საზოგადოების პერიოდში რომ არსებობდა.



კამათში გამოსულმა ორატორებმა განზიარეს მომხსენებლის დებულება და აღნიშნეს, რომ ეს დებულება მართლდება დადესტნურ მასალაზე (ხაშაევი) და შუა აზიისა და სამხრეთ ჩინეთის მთიანეთის მასალაზე (იამპოლსკი).

სოციალურ საკითხებს ეხებოდა ზ. გავლოვეს მოხსენება „ოსური რვა-დალთა“. ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ ოსური სამო—რვადალთა სოფლის თემის ფარგლებში ჩამოყალიბებული სოციალური გაერთიანება და არა გვაროვნული ხანის ფრაქტია.

სოფლის თემის საკითხები იყო განხილული რ. ხარაძის მოხსენებაში „ქართველ-მთიელების სოფლის თემის ხასიათი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით“.

ი. ჭყონიას მოხსენებაში „დიდი ოჯახის ბუნებისათვის“, რომელიც გავრცელდა და მსჯელობის საგნად იყო დედეგატებს შორის, ახლებურადაა დასმული საკითხი დიდი ოჯახის შესახებ.

მატერიალური კულტურის საკითხები აისახა რიგ მოხსენებებში: ა. რობაქიძისა „დასახლება—სახოგადოებრივი ყოფის შესწავლის წყარო“, ლ. სუმბაიძისა—„დარბაზი—ქართული ხალხური საცხოვრებელი ნაგებობა და მისი ადგილი სურთომოდვრების ისტორიაში“, თ. ჩიქოვანისა „დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობის შედარებითი შესწავლის ცდა“, ს. ბედუქაძისა—„ხალხური სამშენებლო ტექნიკა საქართველოში“, დ. ციციშვილისა—„ხალხური ტრადიცია თანამედროვე ქართულ მხატვრულ კერამიკაში“. მატერიალური კულტურის საკითხები იყო ასახული აგრეთვე მოხსენებებში—კ. ჩოლოყაშვილის „ქართული ფოლადის ისტორიისათვის“, ვ. ჩაჩაშვილის „XIX საუკუნის ქართული კოსტუმის ხალხური საწყისები“ და გ. კვიციანიას—„სპილენძის ჭურჭელი XIX საუკუნის ირანში“.

დიდი ყურადღება დაიმსახურეს ქართველი მეცნიერების მოხსენებებმა ფოლკლორის დარგში: გრ. ჩხიკვაძისა—„ქართული ხალხური მრავალმნიშვნელობის ძირითადი ტიპები“, ვ. ანობაძისა—„ქართული ხალხური შრომის სიმღერები, „ნადური“, ლ. გვარამაძისა—„ქართული ხალხური ცეკვის ზოგიერთი თავისებურებანი“, მ. ჩიქოვანის—„მოჭაჭველი ვმირის, ამირანის სახე ებერულ-კოლხურ ფოლკლორში“ და ე. ვირსალაძისა—„ქართული საგაზაფხულო ფერბულეების პოეზია“.

თავი ისახელებს ჩვენმა ახალგაზრდა ლენგვისტებმა თ. გამყრელიძემ და გ. იაქვაზარიანმა.

გ. მაჭავარიანის მოხსენებაში „ინდო-ევროპულ-ქართველური ენების ტიპოლოგიური პარალელების საკითხისათვის“ წარმოდგენილი იყო ის შედეგები, რომლებიც მიღებული აქვთ თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს ქართველურ ენათა უძველესი ტიპების რეკონსტრუქციისა და მათი ინდოევროპულ ენებთან ტიპოლოგიური შეპირისპირების საქმეში. მოხსენებაში გარკვეულია ქართველურ ფუძე ენაში ორი ფენის არსებობა, ადრეულის, რომელიც კავკასიურს, უპირატესად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენებს ენათესავება და გვიანდელი—ინდოევროპული ენების შრეს რომ განეკუთვნება. გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის ვარაუდით, ინდოევროპული შრე იმ კონტაქტის შედეგია, რაც ხეთურ ინდოევროპულ ტომებთან, ამ ტომების კავკასიაზე გავლის დროს უნდა ჰქონოდათ ქართველურ ფუძე ენასთან. კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს ამ თეორიის დიდი მნიშვნელობა. კერძოდ, თ. იაკობსონმა თ. გამყრელიძის და გ. მაჭავარიანის თეორია ქართველური აბლაუტის (ბგერათა კანონზომიერებანი) შე-

სახებ დაახასიათა, როგორც ბრწყინვალე პერსპექტივის მქონე თვალსაზრისი, რომელიც ახალ პორიზონტებს შლის ქართველურ და ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში.

თ. გამყრელიძის მოხსენება შეეხებოდა ანატოლიურ ენებს და ინდოევროპული ტომების მცირე აზიაში გადასახლების პრობლემას. მსჯელობაში მონაწილეებმა აღნიშნეს მოხსენების დიდი მნიშვნელობა ინდოევროპული ეთნოგენეტიკური პრობლემების გადასაწყვეტად. აღნიშნეს აგრეთვე ისიც, რომ თ. გამყრელიძე მოსკოველ ლინგვისტ ვ. ივანოვთან ერთად „საბჭოთა ხეთოლოგიის ფუძემდებელია“ და რომ მოხსენებაში გაშუქებული რთული პრობლემატიკა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მცირე აზიის ეთნოგენეტიკური პრობლემების შესწავლას.

სექციების სხდომებზე საინტერესო მოხსენებები ჰქონდათ აგრეთვე ბ. რაქველიშვილს—ხალხური მედიცინა საქართველოში, ა. სოხაძეს—მესაქონლეობის კულტის გადმონაშთები დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ვ. ელაშვილს—ხალხური სპორტი და ი. მიქელაძეს—ნორჩი ეთნოგრაფების მუშაობა საქართველოში. ი. მიქელაძემ თავის გამოსვლაში ვრცლად გააშუქა ის მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში პიონერთა შორის. ამ მუშაობამ მოწონება დაიმსახურა და სანიმუშოდ იქნა აღიარებული. კავკასიის ანთროპოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხი განხილული იყო მ. აბდუშელიშვილის მოხსენებაში „კავკასიის ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგია“. ა. კაცის მოხსენების თემა იყო „დაბალი მაიმუნების მიერ სროლა-ტყორცნის აქტის ფორმირება და მისი მნიშვნელობა ანთროპოგენეზისათვის“, ხოლო ალექსეევასი—„პრიმატების ფილოგენიის ზოგიერთი საკითხი სტერილდული გორმონების შესწავლის შუქზე“. საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის კულტურულ-ისტორიული საკითხები იყო დამუშავებული მოხსენებებში: ა. კალანდაძისა „ძველ პალეოლითური კულტურის ძეგლების შესწავლის ისტორიისათვის საქართველოში“ და ნინო ბერძენიშვილისა „საგვარჯილეს გამოქვაბული და მისი მნიშვნელობა უძველესი კულტურის ისტორიისათვის“, ხოლო ტ. ჩუბინაშვილის მოხსენება შეეხებოდა „მტკვარ-არაქსისა და წინააზიის კულტურის ურთიერთობას ძვ. წ. III ათასწლეულში“.

3

როგორც იყო აღნიშნული, კონგრესზე შედგა 17 სიმპოზიუმი. სხდომებზე განხილული იყო თანამედროვე ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მრავალი აქტუალური პრობლემა და დაისახა მათ დასამუშავებლად რიგი საორგანიზაციო ღონისძიებები.

ერთ-ერთი სიმპოზიუმის მსჯელობის თემას წარმოადგენდა პირველყოფილი საზოგადოების მორგანისეული პერიოდიზაცია თანამედროვე ეთნოგრაფიის მონაცემების შუქზე.

საბჭოთა ეთნოგრაფიისათვის მორგანის მეშვეობის კრიტიკული ათვიდება უცხო და ახალი არ არის. ერთეული კონკრეტული ფაქტი და მისი მორგანისეული ახსნა დიდი ხანია საბჭოთა ეთნოგრაფების მიერ, საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე, აღარ არის გაზიარებული; მაგ. ჩვენში მიაჩნიათ, რომ სისხლით მონათესავე ოჯახის არსებობა ლ. მორგანის ნაშრომში „უძველესი საზოგადოება“, დასაბუთებული არ არის და არცაა სავარაუდებელი. ზოგიერთი უცხოელი ეთნოლოგის წინააღმდეგ სიმპოზიუმზე საბჭოთა ეთნოგრაფების



მხრით მძაფრი კრიტიკა იმით იყო გამოწვეული, რომ სიმპოზიუმის მუშაობაში აშკარად გამოვლინდა მორგანის კრიტიკით შენიღბული პირველყოფილი საზოგადოების განვითარების მარქსისტული გაგების უარყოფა. ამერიკელი ეთნოგრაფი ბოსტონიდან ე. კოსტანსი ამტკიცებდა, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, კერძო საკუთრება მოქმედი ინსტიტუტი იყო. სიმპოზიუმზე გამოაშკარავდა, რომ ბურჟუაზიული ეთნოლოგები არ განასხვავებენ, ნებისთ თუ უნებლიედ, პირად საკუთრებას კერძო საკუთრებისაგან.

საბჭოთა ეთნოგრაფებმა სიმპოზიუმზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კერძო საკუთრება ჩაისახა პირველყოფილი საზოგადოების რღვევის საფეხურზე, რამაც თავის მხრით განაპირობა ამ საზოგადოების დაშლა. აღნიშნეს აგრეთვე ისიც, რომ ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის ხელსაყრელია ისტორიულობას მოკლებული მსჯელობა, რათა აღიარებულ იქნეს კერძო საკუთრების მარადისობა და აქედან გამომდინარე ყველა შედეგი.

აგარჯული ეთნოგრაფიის სიმპოზიუმზე მწვავედ დაისვა საკითხი სასოფლო-სამეურნეო იარაღების ისტორიის შესწავლის უკეთ ორგანიზაციის შესახებ ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით. სიმპოზიუმის არა ერთი მონაწილე მოითხოვდა ამ საკითხზე მუშაობის გაძლიერებას და აკრიტიკებდა საერთაშორისო მუდმივ სამდივნოს საორგანიზაციო მუშაობას ამ დარგში. ამ საკითხზე კონგრესის გახსნის წინ ამერიკულმა ეთნოგრაფიულმა ორგანომ **Current Anthropology** დაბეჭდა ცნობილი ეთნოგრაფების მოსაზრებები, თუ როგორ უნდა მოეწყო უკეთ სასოფლო-სამეურნეო იარაღების ისტორიის შესწავლა. ამ ეთნოგრაფთა შორის საბჭოთა კავშირიდან ამ სტრუქტურების ავტორიც არის. გარდა ამისა, სიმპოზიუმმა გაითვალისწინა ამავე საკითხზე 1964 წლის აპრილში ბუდაპეშტში შემდგარი თათბირის წინადადებანი და დადგინა: მუდმივ სამდივნოსთან დაარსდეს კომისიები, რომლებიც უხელმძღვანელებენ 1. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ისტორიისადმი განკუთვნილი ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენას ევროპისა და ხმელთაშუაზღვის აუზის ფარგლებში; 2. ევროპისა და ხმელთაშუაზღვის აუზის მუზეუმებში დაცული სასოფლო-სამეურნეო იარაღების აღრიცხვას; 3. სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მათი ნაწილების ტერმინოლოგიის კორპუსის შედგენას და მათ უნიფიკაციას (ჩვენი წინადადებით).

გარდა ამისა სიმპოზიუმმა აირჩია კომისია, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლის საორგანიზაციო საქმიანობას. კომისიაში შეყვანილი არიან: რ. ვეინპოლდი (დრეზდენი), ი. ვინცე (ბუდაპეშტი), პარენი (პარიზი), ი. დიასი (ლისაბონი) და გ. ჩიტაია (თბილისი).

ასევე ეთნოგრაფიული ატლასის სიმპოზიუმმა მიიღო დადგენილება გაფართოვდეს აშკარად მოქმედი საერთაშორისო კომისიის შემადგენლობა, მასში შეყვანილი იქნეს სხვადასხვა სახელმწიფოს სპეციალისტები, დადგინდეს საერთაშორისო ტრანსკრიფცია ატლასში გამოსაყენებელი ტერმინოლოგიის შესახებ (ჩვენი წინადადება) და სხვ.

როგორც ყოველთვის ასეთ კონგრესებზე სპეციალისტების აზრთა გაზიარება ოფიციალური სხდომების გარეშეც ნაყოფიერ შედეგებს იძლევა. მუდმივი სამდივნოს წინადადებით უნდა დამზადდეს საქართველოს სახენწილო იარაღების კატალოგი კოპენჰაგენში დასაბეჭდად. დაიბეჭდოს ინგლისურად მ. აბ-

დღეშელიშვილის ნაშრომი კავკასიის მოსახლეობის ანთროპოგენეზზე. ქართველი ეთნოგრაფები მიწვეული არიან მიიღონ მონაწილეობა მიწათმოქმედების ისტორიის კრებულში, რომელიც ბუდაპეშტში დაიბეჭდება და მევენახეობა-მელვინეობის კრებულში, რომელიც კოპენჰაგენში გამოვა, აგრეთვე კოსტუმის ისტორიის, თოჯინების, მუსიკალური ინსტრუმენტების ისტორიის ასოციაციებში. აქვე აღვნიშნავ, რომ მე მომეცა შესაძლებლობა პირადად გავცნობოდი პროფ. დრ. ს. ერიქსონს (სტოკჰოლმი), რომელიც სოფლის მეურნეობის იარაღების ისტორიის საერთაშორისო მუდმივი სამდივნოს პრეზიდენტია, პროფ. დრ. ბ. ბრატანიჩს (ზაგრები), სოფლის მეურნეობის იარაღების ისტორიის ცნობილი სპეციალისტია და რომელთანაც დიდი ხანია მიმოწერა მაქვს, პროფ. ა. პოდრიკურს (პარიზი), რომელიც ავტორია სახვნელი იარაღების ისტორიის კაბიტალური ნაშრომისა და რომელიც საქართველოში ჩამოვიდა კონგრესის დამთავრების შემდეგ, პროფ. მ. ფორტეს (კემბრიჯიდან), ი. კაიამას (ტოკიოდან) და სხვ. საფრანგეთის საელჩოში მიღებაზე გავიცანი სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ტრომპი, რომელიც კავკასიური ყნებით არის დაინტერესებული. შევხვდი აგრეთვე ჩემს ძველ ნაცნობებს დემოკრატიული რესპუბლიკებიდან, ცნობილ სპეციალისტ-ეთნოგრაფებს.

გარდა იმისა, რომ საქართველოს დელეგაციას კონგრესზე ჰქონდა წარდგენილი 39 მოხსენება, დელეგაციის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სექციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში გამოსვლების სახით (გ. ჯალაბაძე, ნ. ბრეგაძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ელიავა და სხვ.).

კონგრესის მუშაობის დღეებში კონგრესის დელეგატებმა და სტუმრებმაც ნახეს გამოფენები: ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები, ქართული ეთნოგრაფიული, ფოლკლორისტული, ხელოვნებათმცოდნეობისა და ენათმეცნიერული უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გამოცემული ლიტერატურა, მათ შორის 32 დასახელების კონგრესისათვის გამოცემული მონოგრაფიები, კრებულები, ფერადი ალბომები, პიონერ-ეთნოგრაფების ალბომი, ღია ბარათები ეთნოგრაფიული ექსპონატებისა, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა. აკადემ-წიგნის კიოსკში იყიდებოდა საქართველოში გამოცემული ახალი ლიტერატურა. დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ კონგრესის მონაწილენი საქართველოს ნორჩი ეთნოგრაფების ნამუშევრების გამოფენას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა დელეგატებს შორის უფროს თაობასთან ერთად იყვნენ ახალგაზარდა მკვლევრები. ამგვარი კონგრესების ისტორიაში ნორჩ ეთნოგრაფთა მონაწილეობა პირველი შემთხვევა იყო. ეს პატივი ქართველმა ნორჩმა ეთნოგრაფებმა დაიმსახურეს.

კონგრესის მუშაობის დღეებში ნაჩვენები იყო 70 კინოფილმი, მათ შორის ფრანგებისა აფრიკის მოსახლეობის ყოფაცხოვრებიდან, იაპონელებისა „ჰიმალაის საიდუმლოება“. აღდგომის კუნძულის ექსპედიციისა (პეიერდალისა) და სხვ.

ნაჩვენები იყო ორჯის 9 დოკუმენტურ-სამეცნიერო ფილმი საქართველოდან: ქართული მეღვინეობა, ქართული ხალხური შრომის სიმღერა „ნადური“, ქართული ფუტკარი, ქართული ოქრომჭედლობა, ქართული მინანქარი, ახალი სვანეთი, ქართული არქიტექტურა, ამირანის გორა, ქართული ფოლადი.

ანთროპოლოგებისა და ეთნოგრაფების მსოფლიო კონგრესის მოსკოვში მოწვევა საბჭოთა კავშირის ამ მხრივადაც დაწინაურებითა და სიძლიერით იყო

გაპირობებული, რაც, როგორც ადრევე გვქონდა აღნიშნული, ნათლად გამოჩნდა როგორც სექციების, ასევე სიმპოზიუმების მუშაობაში.

კონგრესის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ სამეცნიერო პრობლემების შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა გაზიარებისა და ურთიერთგაგების, არამედ მათი პირადი დაახლოებისა და უშუალო კონტაქტების დამყარების მხრივ. აღნიშნული ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგ., საქართველოში ჩამოსულ მეცნიერებთან, რომლებიც უფრო ახლო გაცნენ ქართული კულტურის ძეგლებს როგორც ადგილზე, ასევე მუზეუმებში და რომლებმაც შემოქმედებითი სამეცნიერო კავშირი გააბეს ქართველ მეცნიერებთან. სტუმრებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ნახეს კონგრესისადმი მიძღვნილი ახალი ეთნოგრაფიული გამოფენა თემაზე: კავკასიური ხალიჩა, კერამიკა და ლითონი.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დელეგაციის წარმატება შეაპირობა იმ გარემოებამ, რომ ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VII საერთაშორისო კონგრესის ხელისშემწყობ რესპუბლიკურ კომიტეტს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ როგორც ზემდგომი ორგანოები, ისევე საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, ისტორიის ინსტიტუტის დირექცია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექცია, კულტურის სამინისტრო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კომიტეტი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორატი, ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი, კინემატოგრაფიის კომიტეტი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, მასში შემავალი ფერადი ბეჭდვის სტამბის მუშაკები (გ. გოგიჩაიშვილი), გამომცემლობა „მეცნიერება“ და თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხელმძღვანელობა, კერძოდ, რესპ. დამსახურებული პედაგოგი ირ. მიქელაძე, მხატვარი-ეთნოგრაფი ნ. ბრაილაშვილი და სხვები.

ი. ი. სემიონოვი, ადამიანთა საზოგადოების წარმოშობა,
ბრასნოვარსკი, 1962, 672 გვ. (რუსულ ენაზე)

მონოგრაფია წარმოადგენს ცხოველთა ჯოგის ადამიანთა საზოგადოებად გადაქცევის პროცესის შინაგანი ობიექტური ლოგიკის, ადამიანთა საზოგადოების ფორმირების პროცესის ჩვენების ცდას. ავტორმა ამ მძიმე ამოცანას თავი გაართვა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიის, პრიმატოლოგიის, ფოლკლორის, ბიოლოგიისა და სხვ. მეცნიერებათა მონაცემების მოშველებით. ადამიანთა საზოგადოების ფორმირების ზოგადი პრობლემის მომენტებად განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა ეგზოგამიის, გვარისა და დულურ-გვაროვნული ორგანიზაციის წარმოშობა, ადამიანის თანამედროვე ფიზიკური ტიპის, ტრეტემიზმის წარმოშობისა და ევოლუციის, მავიის, მიცვალებულთა კულტის, ანიმიზმის გაჩენა და სხვ.

ნაშრომი შედგება წინასიტყვაობის, შესავლის, ძირითადი ნაწილებისა და დასკვნისაგან.

წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ უკანასკნელი ათეული წლების ანთროპოლოგიურ-არქეოლოგიური თუ სხვა მეცნიერებათა მონაცემები იძლევიან მარქსიზმის კლასიკოსთა ზოგად პრინციპული დებულებების კონკრეტიზაციის საშუალებას, ანთროპოგენეზის ორი ნახტომის თეორიის გაზიარებამ ავტორს მისცა საშუალება თვისობრივად განესხვავებინა პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის პერიოდი პირველყოფილი გვაროვნული თემის პერიოდისაგან; ჩვენს მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, ავტორის აზრით, პირველყოფილ ადამიანთა ჯოგი, როგორც ფორმირებადი საზოგადოება, არ წარმოადგენს პირველყოფილი თემური ფორმაციის შემადგენელ ნაწილს; ხოლო პირველყოფილი თემური ფორმაცია მხოლოდ გვარის (gens) წარმოშობით იწყება; პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის პერიოდის არსს ავტორი იმაში ხედავს, რომ ჯოგი კონკრეტულად გვაროვნული საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდს კი არ წარმოადგენს, არამედ—ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდს საერთოდ. განსხვავება პირველყოფილ ადამიანთა ჯოგსა და გვაროვნულ საზოგადოებას შორის იმაში მდგომარეობს, რომ ჯოგი არის ფორმირებადი საზოგადოება—განსხვავებული უკვე „მზა“ საზოგადოებისაგან; ავტორის დასკვნა ასეთია: კაცობრიობის ისტორია იყოფა ორ დიდ პერიოდად: I—პირველყოფილი ჯოგის ხანად, ანუ ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების ფორმირების ეპოქად და II—ადამიანთა საზოგადოების ხანად, ე. ი. უკვე ფორმირებული საზოგადოების ეპოქად. ვინაიდან საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები წარმოადგენენ უკვე „მზა“ ადამიანთა საზოგადოების არსებობის ფორმებს, მისი ისტორიული განვითარების საფეხურებს, ამიტომ კატეგორიის „საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია“ აქვს აზრი მხოლოდ მეორე პერიოდის მიმართ; ხოლო პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის ეპოქა იყო როგორც

ადამიანის ჩამოყალიბების (ანთროპოგენეზის), ისე ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების (სოციოგენეზის) პერიოდი. ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემა ვერ გადაიჭრება სოციოგენეზისა და ანთროპოგენეზის პრობლემის ერთობლივი განხილვის გარეშე, ვინაიდან ეს პროცესები თანხვედრილია, ერთი პრობლემის ორ მხარეს წარმოადგენენ.

ნაშრომში მოცემულია Homo Sapiens-ის წარმოშობის პრობლემისა და ადამიანის წარმოშობის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით ვრცელადაა განხილული ანთროპოგენეზის კანონზომიერებათა და მათი მოძრავებელ ძალთა პრობლემა ჩ. დარვინისა და ზოგიერთ სხვა საზღვარგარეთელ (დობუინსკი, კიპსი) და საბჭოთა მეცნიერთა (შმიდტი, რავდონიკასი, ეფონენკო, როგინსკი, ტოლსტოვი) შრომებში.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ზოოლოგიურ გაერთიანებათა და ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის დახასიათებით იწყება. უახლეს მონაცემებზე დაყრდნობითაა აღწერილი ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულება ზოოლოგიურ გაერთიანებებში. დომინირების სისტემისა და პარემული ოჯახის, როგორც სქესთა ურთიერთობის, არის გახსნილ ავტორი წარმოგვარდგენს ცხოველთა ჯოგის ხათელ სურათს; ნაჩვენებია განსხვავებანი ცხოველთა ჯოგისა და წინარეადამიანის ჯოგს შორის, რომლის განვითარების შემდგომ ეტაპსაც თვისობრივად განსხვავებული პირველყოფილ ადამიანთა ჯოგი წარმოადგენს. დამაჯერებლადაა მოცემული პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის წარმოშობა შრომის რეფლექტორული ფორმისაგან განთავისუფლების საფუძველზე, წარმოების წარმოქმნას რომ უკავშირდება თავის მხრივ, ხოლო შრომის განვითარების პირველი ეტაპი ადამიანის წინარე ჯოგის წარმოშობის თანხვედრილადაა მიჩნეული.

ფართოდაა განხილული ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის თავისებურებანი და კანონზომიერებანი. პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის საკითხთან დაკავშირებით განხილულია საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების ჩამოყალიბება, როგორც ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის შეზღუდვის პროცესი, ხოლო ადამიანის ფიზიკური ტიპის ცვლილება გაგებულია, როგორც პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის განვითარების, წარმოებისა და საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის აუცილებელი მომენტი.

ავტორი არ იზიარებს ზოგიერთ საბჭოთა მეცნიერის (ზოლოტარევი, ზიბკოვეცი, ნესტურხი) მოსაზრებას პრომისკუიტეტის, როგორც ცხოველური მდგომარეობის გადმონაშთის შესახებ, მიიჩნევს პრომისკუიტეტს პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის მახასიათებლად და ცხოველური მდგომარეობის უარყოფელად; ავტორი არ იზიარებს, აგრეთვე, მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პრომისკუიტეტი შეუზღუდავ სქესობრივ ურთიერთობათა ეპოქა იყო, ცდილობს აჩვენოს, რომ პირველყოფილ ადამიანთა ჯოგში არსებული პრომისკუიტეტი დროში შეზღუდულ მოვლენას წარმოადგენდა. პრომისკუიტეტის დროში შეზღუდულობა განაპირობა სქესობრივ-წარმოებითი ტაბუს გაჩენამ, რომელიც თავის მხრივ, წარმოებითი საქმიანობის განვითარებას უკავშირდება.

საინტერესოდ არის გაშუქებული ტაბუს, კერძოდ, სქესობრივ-წარმოებითი ტაბუს წარმოშობის პრობლემა. ტაბუ მიჩნეულია პირველ მორალურ ნორმად, ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის შემზღუდავ საშუალებად.

კლასიკურ ნეანდერტალელთა ადგილისა და პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის განვითარების ძირითადი ეტაპების განსაზღვრასთან დაკავშირებით გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორცაა სქესობრივ-წარმოებითი ტაბუს ნიჟადავზე პრომიკუტეტულ-ორგიული დღესასწაულების, ასაკობრივი ინიციაციების წარმოშობა და მათი არსი. საყურადღებოა ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სქესობრივ-წარმოებითი ტაბუს მოქმედებამ ჯოგი დროში გააორა, ოის შედეგად უკანასკნელი გვევლინება, ერთი მხრივ, როგორც ბიოლოგიური და მეორე მხრივ, როგორც სოციალური ორგანიზმი—სწორედ ამში ხედავს ავტორი ჯოგის თვისობრივ განსხვავებას პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის წინარე გაერთიანებებისაგან. ამრიგად, პირველყოფილ ადამიანთა ჯოგი წარმოადგენდა გარდამავალ ეტაპს ბიოლოგიური გაერთიანებიდან სოციალურ გაერთიანებაზე, რომლის პირველი ფორმა გვაროვნული საზოგადოება იყო. ბრძოლა სოციალურსა და ბიოლოგიურ საწყისს შორის დახასიათებულია, როგორც ძირითადი წინააღმდეგობა ფორმირებად ადამიანთა კოლექტივისა, რომლის თითოეული შემადგენელი ჯოგი კარჩაკეტილ, ენდოგამიურ ერთეულს წარმოადგენდა. ავტორი არ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჯოგში სქესთა შორის გარკვეულ დროში არსებულმა ტაბუაციამ მიგვიყვანა ორ სრულიად დამოუკიდებელ საპირისპირო სქესთა სამეურნეო კოლექტივად დაყოფამდე. ი. ი. სემიონოვი სამართლიანად წერს, რომ განსახილველ პერიოდში სქესობრივად დაყოფილი კოლექტივების არსებობისათვის არ იყო სათანადო პირობები. იშველიებს არქეოლოგიურ მასალას და ასკენის, რომ ნეანდერტალელთა სამარხები მიუთითებენ ორივე სქესისაგან შემდგარი კოლექტივების არსებობაზე.

ნაშრომის ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ის თავები, რომლებიც ტოტემიზმის პრობლემებისადამია მიძღვნილი. დღემდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული იყო აზრი, რომ ტოტემიზმი გვაროვნული საზოგადოების პროდუქტია; ავტორი არ იზიარებს აღნიშნულ შეხედულებას და საქმოდ დამაჯერებლად, უამრავი ფაქტობრივი მასალის მოშველიებით აყენებს დებულებას ტოტემიზმის, როგორც პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის წევრთაგან ერთიანობის შეცნობის პირველი ფორმის შესახებ. ავტორი იშველიებს მრავალრიცხოვან ეთნოგრაფიულ თუ ფოლკლორულ მონაცემებს ტოტემიზმის გენეტური კავშირის შესახებ მონადირეობასა და მონადირულ შენიღბვასთან. ავტორის მსჯელობა ლოგიკური და დამაჯერებელია. პირველ ფორმას ადამიანისაგან ერთიანობის შეცნობისა ჯოგის ხანაში აუცილებლად უნდა ეტარებინა თვალნათლივი, გაშუალებული და ილუზორული ხასიათი. ამგვარი ფორმის (ტოტემიზმის) წარმოქმნა განაპირობა პრაქტიკულმა საქმიანობამ, კერძოდ, მონადირეობის, როგორც აღნიშნული პერიოდის მთავარი საარსებო წყაროს, განვითარებამ. ცხოველის ქცევების უკეთ გაგებამ განაპირობა ნადირობის წარმატებანი, შედეგი. პრაქტიკამ ჯოგის ხანის ადამიანი დაარწმუნა, რომ ერთი გარკვეული სახეობის ცხოველის ქცევათა დაუფლება უფრო ადვილია, ვიდრე მრავალისა და ამის გამო გარკვეული ჯოგი გარკვეული სახეობის ცხოველზე ნადირობით შემოიზღუდა, რის შედეგად მივიღეთ ნადირობაში თავისებური სპეციალიზაცია. გარკვეული სახეობის ცხოველთან ამა თუ იმ ჯოგის დავაშირებამ მისი წევრი მიიყვანა სანადირო ობიექტისა და თვით მისი ერთიანობის მოაზრებამდე, ხოლო მონადირულმა შენიღბვამ კი ცხოველის ადამიანად და პირუკუ გადაქცევის რწმენის აღმოცენებამდე. უკანასკნელი გარემოების დასადასტურებლად ავტორი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემების

გარდა ენობრივ მონაცემებსაც იშველებს. ავტორმა მოგვცა საინტერესო და საყურადღებო ახსნა ტოტემიზმისა; გადმოიტანა რა ტოტემიზმის წარმოშობის დრო ჯოგის ხანაში, ამასთან ერთად ავტორმა ტოტემის შექმნის ფაქტი საბჭოთა ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების (რომ ტოტემი არის ტაბუ) საწინააღმდეგოდ, პირველად მოვლენად მიიჩნია, ხოლო ტოტემური, ცხოველის ტაბუირება გვიანდელ ამბად გამოაცხადა. ამით სემიონოვმა მოგვცა ტოტემიზმის ევოლუციის ახლებური სურათი, აღნიშნა, რომ ტოტემიზმის განვითარება წარიმართა ადამიანთა და გარკვეული სახეობის ცხოველთა იგივეობის შესახებ არსებული წარმოდგენიდან ტოტემისტური წინაპრების რწმენისაკენ და არა შებრუნებით, როგორც ამას ღღემდე მკვლევართა უმრავლესობა ვარაუდობს.

ნაშრომში საკმაო ადგილი ეთმობა მაგიის, როგორც ფორმირებადი რელიგიის საკითხს; ამასთან დაკავშირებით განხილულია ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ორი სფერო: 1. თავისუფალი პრაქტიკული საქმიანობა, რომლის შედეგი, უპირველეს ყოვლისა, თვით ადამიანზეა დამოკიდებული და 2. არათავისუფალი, დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ადამიანის კონტროლს არ ექვემდებარება. დაბალი განვითარების საფეხურზე მდგომ ხალხებში სჭარბობს მეორე რიგის სფერო, სადაც შედეგი ძირითადად შემთხვევაზეა დამოკიდებული. ავტორის აზრით, აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა სიმბოლური პრაქტიკული მოღვაწეობა (მაგია) და აზროვნების ილუზორული (მაგიური) სახეობის წარმოქმნა. ავტორის დამსახურება იმაშია, რომ ის თვალნათლივ გვიჩვენებს მაგიური მოქმედებისა (მაგიური პრაქტიკა) და მაგიური აზროვნების წესის ერთიანობას მაგიური მოქმედების განმსაზღვრელი როლის შენარჩუნების პირობით. დამაჯერებლადაა მოცემული მაგიის, როგორც ფორმირებადი რელიგიის დასასაიათება, რელიგიასთან მაგიის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა; ავტორის ვრცელი მსჯელობა მაგიური პრაქტიკის მაგიური შეხედულებათა წარმოქმნაში ვადამწყვეტი როლის შესახებ წარმოადგენს ჰეგელის შეხედულებათა განვითარებას აღნიშნულ საკითხზე და საცესებით ეწინააღმდეგება საბჭოთა ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს (ფრანკევი, ტოკარევი) მაგიური პრაქტიკის მაგიური შეხედულებებიდან მომდინარეობის შესახებ; ავტორის ყველა ზემომოტანილი მოსაზრება ილუსტრირებულია სათახადო ეთნოგრაფიული მასალით.

ამგვარად, ავტორი ეწინააღმდეგება რელიგიისა და იდეალიზმის ფესვების გაიგივებას (ბევრი საბჭოთა მეცნიერი მიიჩნევს, რომ რელიგიას, იდეალიზმის მსგავსად, გნოსეოლოგიური საფუძველი აქვს). რაც არსებითად უდრის ზღვარის წაშლას იდეალიზმსა და რელიგიას შორის. ავტორი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ რელიგიის ფესვები პრაქტიკულ სიძნელეებშია, იდეალიზმის ფესვები კი მის აზრობრივ, შეყვანებით სიძნელეებში მდგომარეობენ.

ნაშრომში ახლებურადაა დასმული ნეანდერტალელთა დამარცხის წესის წარმოშობის საკითხი. ავტორი არ იზიარებს მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ნეანდერტალელთა სამარხების გაჩენა წარმოადგენს კანიბალიზმის აკრძალვის საბუთს; ავტორი აჩვენებს, რომ აღნიშნულ სამარხთა გაჩენა მიუთითებს მორალურ წესზე, რომლითაც ცოცხლებს მიცვალებულზე ზრუნვა ევალებოდათ; ეს უკანასკნელი კი ვერ აღმოცენდებოდა, რომ არ არსებულობდა ნორმები, რომლებიც პირველყოფილი ჯოგის ყველა წევრს ურთიერთზე ზრუნვას აკისრებდნენ (საკვების; იარაღის განაწილება თუ სხვ.); ლოგიკურადაა დაკავშირებული ნეანდერტალელთა სამარხებისა და მიცვალებულთა წინაშე ში-

შის წარმოშობის საკითხი. მიცვალებულის წინაშე შიშის წარმოშობას ჩვეულებრივ ანიმიზმის ჩანასახებს უკავშირებდნენ. ავტორი საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ამოსავალში სახეზეა არა მიცვალებულის სულის წინაშე შიში (ანიმიზმი), არამედ შიში მიცვალებულის სხეულის, როგორც ზიანის მომტანის, წინაშე. ნაშრომში მოტანილი მასალის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ნეანდერტალელს არ გააჩნდა არავითარი ანიმიტური წარმოდგენები. ამრიგად, სემიონოვი გვაძლევს ნეანდერტალელთა სამარხების გაჩენის ორი ერთად მოქმედი და ურთიერთ საწინააღმდეგო ფაქტორით ახსნის ცდას: კალექტოვის წვერისადმი ზრუნვით და მიცვალებულის წინაშე შიშით; მოტანილი საილუსტრაციო მასალა დამაჯერებელია და შესაბამისი ავტორის მსჯელობისა.

საინტერესოა ავტორის შეხედულება ფეტიშიზმის წარმოშობაზე. მისი აზრით, ფეტიშიზმი დაკავშირებულია მიცვალებულის გვამისაგან წარმოშავალი რეალური საშიშროების შეცნობასთან; ეს რეალური საშიშროება მოაზრებულ იქნა პირველყოფილი ადამიანისაგან როგორც მაგიური ძალა, ხოლო გვამი როგორც ზიანის მომტანი ფეტიში; ამგვარად, ფეტიშიზმი განმარტებულია, როგორც რწმენა საგნებში საიდუმლო თვისებების არსებობისა, რომლებიც მაგიური ძალით გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრება-საქმიანობაზე. ავტორი ეხება რა რელიგიის ევოლუციის ზოგიერთ პრობლემას, ასკვნის, რომ მაგიას ჯოგის ეპოქა არ გასცილებია; რაც შეეხება ანიმიტურ შეხედულებებს, ისინი შემდგომი ეტაპის პროდუქტს წარმოადგენენ.

ტოტემიზმის ევოლუციის თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა მუსტიეს ხანის დრაქენლოქისა და პეტერსქელის არქეოლოგიური აღმოჩენების ავტორისეული გააზრება. დრაქენლოქის ტიპის ძველების ზოოფაგიურ დღესასწაულებთან (და კერძოდ დათვის დღესასწაულთან) დაკავშირებამ ავტორს საშუალება მისცა გაეკეთებინა დასკვნა: აღნიშნულ დღესასწაულებზე დამოწმებული შექაპა ტოტემისა და მეორე მხრივ, მის გამრავლებაზე ზრუნვა, რაც საკვებად უვარგისი ნაწილების შენახვაში გამოიხატა, აღნიშნული დღესასწაულების ტოტემისტურ ხასიათზე მიუთითებს.

ავტორის დახასიათებით, პირველყოფილ ადამიანთა ჯოგი შეკრულ, ენდოგამიურ, კარჩაკეტილ კოლექტივად წარმოგვიდგა. ავტორის დასკვნით, ასეთი ხასიათის ჯოგი სისხლით მონათესავეთა კოლექტივს წარმოადგენს. უკანასკნელმა გარემოებამ განაპირობა ინბრიდინგის (ორი ურთიერთ სისხლით მონათესავე ორგანიზმის შეჯვარება) პრობლემის წარმოჩენა. ინბრიდინგმა კი, თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ადამიანის ფიზიკური ტიპის შემდგომ განვითარებაზე, ჯოგის ოდნობრივ შემცირებაზე; ჯოგის ოპტიმალური ოდენობა, რომელიც ავტორისაგან დაახლოებით 60 სულით არის განსაზღვრული, საგრძნობლად დაეცა.

ნაშრომის უკანასკნელი თავები დათმობილია ევზოგამიის, გვარისა და Homo Sapiens-ის წარმოშობის საკითხებისადმი. სქესობრივი კავშირების გაბმა ტოტემისტურ ჯოგებს შორის მიჩნეულია პირველყოფილი ჯოგის გვარში გადასვლისა და ნეანდერტალელის თანამედროვე ტიპის ადამიანად გადაქცევის ამოსავალ მომენტად. სქესობრივი კავშირების დამყარების უძველეს ფორმად მიჩნეულია ორგიული თავდასხმები. დუალურ ჯოგური ორგანიზაციის წარმოშობა ახსნილია, როგორც შემდგომი პირველი ნორმირებული საფეხური ჯოგების ურთიერთდამოკიდებულებისა. აღნიშნულია, რომ დუალურ-ჯოგური ორ-

განიზაცია წარმოადგენდა ნეანდერტალელთა თანამედროვე ტიპის ადამიანებად გადაქცევის, ტრანსფორმაციის კერას.

Homo Sapiens-ის ფორმირების პროცესის დასასრული ეგზოგამიის, გვარისა და დუალურ-ჯოგური ორგანიზაციას დუალურ-გვაროვნულ ორგანიზაციაში გადაქცევის პროცესს წარმოადგენდა.

ავტორის დასკვნით, გვარის წარმოშობით დასრულდა ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის საბოლოო შეზღუდვის პროცესი. დასრულდა ბრძოლა სოციალურსა და ბიოლოგიურს შორის. დასრულდა პროცესი ადამიანთა საზოგადოების წარმოშობისა. ვინაიდან, ავტორის აზრით, გვარი წარმოიშვა მაშინ, როცა სოციალურმა, საწარმოო ურთიერთობებმა საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს სქესობრივ-ბიოლოგიურ ურთიერთობებზე, ამდენად ეგზოგამია გვარის გარეგნულ ნიშანს კი არ შეადგენს, არამედ ნეგატიური ფორმით მასში გამოხატულია გვარის არსი, სახელდობრ ის, რომ გვარი არის პირველი კოლექტივი, რომლის წევრთა შორის არ იყო არავითარი სხვა ურთიერთობა, გარდა სოციალურისა. ამდენად გვარი იყო წმინდა სოციალური წარმოებითი კოლექტივი.

ავტორმა შესძლო შეეგროვებინა და წარმოედგინა დამატებითი მასალები ეგზოგამიისა და დუალური ორგანიზაციის წარმოშობის საკითხებთან დაკავშირებით. აქ ვგულისხმობთ პალესტინის ორი გამოქვაბულის ტაბუნისა და სხულის აღმოჩენების ავტორისეულ მეტად საინტერესო ინტერპრეტაციას: თითოეული გამოქვაბულის მოსახლეობა, ავტორის აზრით, წარმოადგენდა ჯოგის დუალურ ნაწილს.

სამწუხაროდ, პირველყოფილ ადამიანთა ჯოგის გვარში ტრანსფორმირების პროცესი, დუალურ გვაროვნული ორგანიზაციის წარმოქმნა დუალურ-ჯოგური ორგანიზაციიდან ავტორისაგან სქემატურადაა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ავტორის მსჯელობა წინარეადამიანთა ჯოგის ადამიანთა ჯოგად გადაქცევის შესახებ, ლოგიკურობის მიუხედავად ფაქტობრივ მონაცემებს მოკლებულია; წინარე ადამიანთა ჯოგებს შიგნით არსებულ პარემულ ოჯახთა დაშლის ფაქტი არაა საკმარისი თვისობრივ განსხვავებათა დასადგენად წინარე ადამიანთა ჯოგსა და პრომისკუიტეტულ ადამიანთა ჯოგს შორის.

და ბოლოს, ზოოფაგიურ დღესასწაულებში ცხოვილას გამრავლებისაკენ მიმართული მომენტის წარმოჩენა მოკლული დათვეების ძელების მოვლის სახით არ კმარა აღნიშნული დღესასწაულის დასაკავშირებლად ავსტრალიურ ინტრიჩუმას ცერემონიალთან, მით უმეტეს, რომ ავტორის საილუსტრაციოდ მკვალითები, ძირითადად, ციმბირის უბის უგრებში ცხოვრებიდან მოყავს.

მონოგრაფიაში ფართოდაა გამოყენებული როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მეცნიერთა უახლესი გამოკვლევები სათანადოდ საკითხებზე. მონოგრაფიას ერთვის ლიტერატურის ვრცელი სია რუსულ და უცხოურ ენაზე, საგნობრივი საძიებელი, ადამიანის წინაპართა და ფორმირების პროცესში მყოფ ხალხთა საძიებელი, პალეოლითურ სადგომთა საძიებელი, ხალხთა და ტომთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ამრიგად, ნაშრომი საინტერესო და საყურადღებო გამოკვლევას წარმოადგენს, რომელშიც განხილულია ნაბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად დამუშავებული ანთროპოსოციოგენეზის ძირითადი, პრინციპული მნიშვნელობის მქონე პრობლემები.

ღვაწლმოსილი მეცნიერი

(აკად. ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო)

აკად. ნიკო ალექსანდრეს ძე ბერძენიშვილი დაიბადა 1894 წელს, სელმოკლე გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მან სამშობლო სოფლის გოგოლეისუბნის სამრევლო სკოლასა და ჩოხატაურის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. 1906 წელს შევიდა ბათუმის გიმნაზიაში, საიდანაც მოწაფეთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო 1909 წ. გარიცხეს „მგლის ბილეთით“.

ნიკო ბერძენიშვილის დაწყებითი სწავლის პერიოდი 1905 წლის რევოლუციის მღელვარე ამბებით იყო აღსავსე. ამ რევოლუციის დიდმა მოვლენებმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს მოსარდსე და მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მისი ხასიათისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

სიმწიფის ატესტატის მიღება ნიკო ბერძენიშვილმა მხოლოდ თვითმწერობელობის დამსობის შემდეგ მოახერხა. ამის შემდეგ მან სცადა უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში გამგზავრება, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული გასდა, სელი აელი ამ განსრავსე.

1918 წელს ასრულდა ქართველი ხალხის მოწინავე შვილების საუკუნოვანი ოცნება—თბილისში დაარსდა ქართული უნივერსიტეტი. 1920 წელს ნ. ბერძენიშვილი ამ უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიის დარგის სტუდენტად ჩაირიცხა. 1926 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იგი ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით დატოვებულ იქნა საქართველოს ისტორიის კათედრასე ასპირანტად.

ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არის განუერყლად დაკავშირებული. უკვე მრავალი წელია, იგი ნაყოფიერად სელმძღვანელობს ისტორიკოსთა დიდი კოლექტივის კვლევით მუშაობას.

ნ. ბერძენიშვილის წინაშე იმთავითვე მწვავედ დაისვა ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების მრავალი რთული საკითხი. იგი ცდილობს ახსნას და გამოავლინოს ის წინამძღვრები, რომელთაც შეაძლებინეს საქართველოს



ნიკო ბაგრატიონი

საუკუნეთა მანძილზე გაემლო მტერთა გამუდმებული შემოტევისათვის და დავება თავისი ეროვნული თვითყოფობა. „კონების თვლით მიკვლეულია, — წერს ნიკო ბერმენიშვილი, — თუ რაში იყო ის ძალა, რომლის წყალობითაც საქართველო, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთ — სამხრეთი, ასეთი სიმედგრით უძლებდა ველის ხალხთა გამანადგურებელ შემოტევებს და აღდგომა-განახლების დაუპრეტელ უნარს იჩენდა. სხვა ჰირობათა მორის ასეთი უნარიცა და თვით სპეციფიკაც ქართული ფეოდალური ურთიერთობისა მე ქვეყნის მეურნეობის სახიათში, ქართულ მევენახეობა-მებაღეობაში და, კერძოდ, მორწევაზე აკებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურაში მესატებოდა“. ასეთ დასკვნამდე მივიდა მკვლევარი ხანგრძლივი მიებისა და მსჯელობის შედეგად.

ნიკო ბერმენიშვილის შემოქმედებითი მუშაობა იმთავითვე ზედაგოგიური და კვლევითი ხასით წარიმართა. 1929 წლიდან ის მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1932 წლიდან როგორც დოცენტი, 1939 წლიდან როგორც პროფესორი, ხოლო 1946—56 წლებში — როგორც საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე) და დაუღალავად ემსახურებოდა სტუდენტების, ასპირანტების, მეცნიერი მუშაკების აღზრდის საქმეს. იგი უნივერსიტეტში კითხულობდა საქართველოს ისტორიის, ქართული ისტორიოგრაფიის, წყაროთმცოდნეობისა და სამართლის ისტორიის კურსებს; ატარებდა სპეციალურ კურსებს და ხელმძღვანელობდა სპეციალურ სემინარებს. იმავე დროს იგი კითხულობდა ლექციებს ქუთაისის ზედაგოგიურ ინსტიტუტში (1935—1935 წწ.) და ჰუმანის სახელობის თბილისის ზედაგოგიურ ინსტიტუტში (1938—40 წწ.). ბრწეინვალე ლექტორის ნ. ბერმენიშვილის ლექციები უოველთვის გამოირჩეოდა ხანის დრმა ცოდნით, მაღალი თეორიული დონითა და პრინციპულობით.

1933 წლიდან ნიკო ბერმენიშვილი თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში, რომლის ბასხეც 1936 წელს შეიქმნა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტი. ნ. ბერმენიშვილი 1933 წლიდან ამ ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის სექტორის სწავლული მდივანი იყო, ხოლო 1939 წელს არჩეულ იქნა ისტორიის განყოფილების გამგედ. 1941 წელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ, ეს ინსტიტუტი გაიყო ორად, ენათმეცნიერებისა და ისტორიის ინსტიტუტებად. 1948 წლიდან ნ. ბერმენიშვილი აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის (ამჟამად ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის) ინსტიტუტის დირექტორია.

1943 წელს ნ. ბერმენიშვილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოუპოვა სადისერტაციო ნაშრომმა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. მიჯნაზე“.

1944 წელს ნ. ბერმენიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამდივოლ წევრად აირჩიეს. იმავე წელს ის შევიდა სკკპ რიგებში.

1951—1957 წლებში ნ. ბერმენიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

დიდ ზედაგოგორ და სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ნ. ბერმენიშვილი მუდამ ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას; სშირად კითხულობს საჯარო სამეცნიერო და პოპულარულ მოხსენებებსა და ლექციებს, მონაწილეობს სამეცნიერო დისკუსიებში. მისი თაოსნობით, საზოგადოებრივ საწიესებზე შეიქმნა საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის და ფოლკლორის საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც თვითონ არის.

ნაუოფიერი და მრავალმხრივი სამეცნიერო, ზედაგოგორი და საზოგადოებრივი მუშაობისათვის ნ. ბერმენიშვილი დაჯილდოებულია მრამის წითელი დროშის ორი ორდენით (1945 წ. და 1951 წ.) და მედალებით. 1946 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1948 და 1953 წლებში ქ. თბილისის მშრომელებმა ის ზედიზედ აირჩიეს საქალაქო საბჭოს დეპუტატად, სოლო 1963 წ. გამოინიღი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საქართველოს ისტორიის მრავალრიცხოვანმა სპეციალისტებმა მკაცრი და დრმა მეცნიერული წრთობა გაიარეს ნ. ბერმენიშვილის სელმძღვანელობით. უნივერსიტეტის და ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტები, ასალგაზრდა და სამუალო თაობის მეცნიერი მუშაკები იგ. ჯავახიშვილის სასელობის ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განუოფილეების სსდომებზე წლებმს მანმილზე ისმენდნენ ნ. ბერმენიშვილის სამეცნიერო მოხსენებებს, კრიტიკულ გამოსვლებს, ეუფლებობდნენ მეცნიერული კვლევისა და კრიტიკის შეთოდებს. ასეთივე სკოლა იყო და არის ასალგაზრდა კადრებისათვის მონაწილეობა ისტორიულ არქეოლოგიურ ექსპედიციებში ნ. ბერმენიშვილთან ერთად. ველზე, ამა თუ იმ ისტორიული ობიექტის დათვალაიერების დროს, მუელ საუაჭრო-საქარაუნო გზებზე სიარულში, დიდი ისტორიული ბრმოლეების ადგილებში ნ. ბერმენიშვილი ექსპედიციის მონაწილეუთა თვალწინ აცოცხლებს ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის სურათებს. მრავალი საკვლევი პრობლემა დასასულა ასეთი ექსპედიციების დროს, მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვეტილა წერილობით წუაროებში ამოკითხულის ადგილობრივ შემოწმების შეშეკობით.

იგ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერმენიშვილის მიერ დასასული გემის თანასმად თანდათან ფართოვდებოდა საქართველოს ისტორიის კათედრის და ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განუოფილებების სამუშაო პროფილი. საქართველოს სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტო-

რიასთან ერთად ამ კათედრისა და განყოფილების სამუშაო გეგმაში შემო-
 დიოდა: მასლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნებისა და ჩრდილო
 კავკასიის ხალხთა ისტორია; საბერძნეთ-რომთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან
 საქართველოს ურთიერთობის ისტორია; ქართული ისტორიოგრაფია, წუა-
 როთმცოდნეობა და ისტორიული გეოგრაფია. ზოგი ამ პრობლემათაგანი
 აღნიშნულ სამეცნიერო ერთეულთაგან ცალკე გამოყოფილი სათანადო კა-
 თედრებისა და განყოფილებების კვლევის საგნად იქცა.

ნ. ბერძენიშვილი ერთი იმ პირველ მეცნიერთაგანია, რომელმაც წარ-
 მატებით გამოიყენა მარქსისტული მეთოდოლოგია საქართველოს ისტორიის
 კვლევის საქმეში.

დიდი წვლილი შეიტანა ნ. ბერძენიშვილმა საქართველოს ისტორიის
 პრობლემათა მეცნიერული კრიტიკის დარგში. ამ მხრივ განსაკუთრებული
 მნიშვნელობა ენიჭება ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის პრინციპულ ბრძო-
 ლას მარქსისტული ისტორიოგრაფიის პოზიციებიდან საქართველოს ისტო-
 რიის სხვადასხვა ჯურის გამაჯლებელთა წინააღმდეგ, პრინციპულ ბრძო-
 ლას იმათ წინააღმდეგ, ვინც უარყოფდა საქართველოში კლასობრივი სა-
 ზოგადობისა და სახელმწიფოს არსებობას მკ. წ. VI საუკუნიდან, უარყოფდა
 საერთოდ მონათმფლობელური ფორმაციის არსებობის ფაქტს საქართველო-
 ში და ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების ფაქტს VI საუკუნეში.

დიდა ნ. ბერძენიშვილის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის
 წინაშე. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს პოლი-
 ტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის, არქეოლოგიის, ისტო-
 რიოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიის და სხვა დარგთა შესწავლაში. მაგ-
 რამ მისი მეცნიერული ინტერესისა და კვლევის ძირითადი სარბიელი მანის
 არის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია, რომელსაც ის მასლო-
 ბელი აღმოსავლეთის, ევროპისა და რუსეთის ისტორიულ განვითარებას-
 თან მჭიდრო ურთიერთობაში განიხილავს.

ფეოდალური საქართველოს შესახებ საისტორიო თსრობა ნ. ბერძე-
 ნიშვილმა მთლიან სისტემაში მოიყვანა და სათანადო მოვლენები კლასობ-
 რივი და შინაკლასობრივი ბრძოლის მუქსე განიხილა.

ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხთაგან ნ. ბერძენი-
 შვილის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული ფეოდალიზმის
 გენეზისისა და განვითარების პრობლემა. ცალკეული დებულებანი ამ პრო-
 ბლემათთან დაკავშირებით მოცემულია ნ. ბერძენიშვილის სხვადასხვა ნაშ-
 რომებში.

ქართული ფეოდალიზმის ამ კარდინალური პრობლემის შესწავლა,
 რომელსაც მანამდე წარმატებით მუშაობდნენ აკად. ივ. ჯავახიშვილი და
 აკად. ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილის მიერ საგრძნობლადაა წაწეული წინ.

განსაკუთრებული ურადდება მიაქცია ნ. ბერძენიშვილმა მიწის მფლობელობისა და საკუთრების ფორმების კვლევას. მან გამოავლინა მიწის საკუთრების ისეთი სახეობა („ნასუიდი მიწა“), რომელიც, მკვლევარის ვარაუდით, ადრეფეოდალურ ხანას შემკვიდრებით უნდა ჰქონდეს მიღებული მონათმფლობელური ხანის საქართველოსაგან. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, საკუთრების ეს ფორმა ფართოდ ყოფილა გავრცელებული წარმოების ძირითად საშუალებაზე, მიწაზე, რაც თავის მხრივ მიუთითებს სასოკადრობრივი ურთიერთობის განვითარების მაღალ დონეზე.

ფეოდალური სასოკადრობის ძირითადი ანტაგონისტური კლასების, აზნაურობისა და გლეხობის ისტორიის შესწავლით ნ. ბერძენიშვილმა შუქი მოიხილა როგორც აზნაურობის კლასად ჩამოყალიბების და ამ კლასის მერმინდელი დიფერენციაციის შედეგად თავადთა წოდების გამოყოფის პროცესს, ისე გლეხობის, როგორც კლასის, წარმოქმნის ტყუბს. სახელდობრ, გამოავლინა ის ფორმები და საშუალებანი, რომელნიც ასანიათებდნენ ზირად თავისუფალ მწარმოებელთა გლეხობაში გადასვლის პროცესს. მკვლევარის დასკვნით, ამ პროცესის ერთ-ერთ გამოვლინებას „მოკიდებული“-ს ინსტიტუტის განვითარება წარმოადგენს. ეს ინსტიტუტი ადრეფეოდალურ ხანაში წარმოიქვა. თავიდან მასში იგულისხმებოდნენ ფეოდალის როგორც თანასწორები, ისე სოციალურად მისგან დამოკიდებულნი. მაგრამ თანდათან თავისუფალი „მოკიდებულნი“ გადადიოდნენ „გლეხობაში“ და ფეოდალის უმა-კლესებად იქცეოდნენ. „მოკიდებული“-ს ინსტიტუტის შესწავლით ნ. ბერძენიშვილმა ნათელი გახადა თავისუფალ მწარმოებელთა გავლენების ერთ-ერთი ტზა ფეოდალურ საქართველოში.

მიწისმფლობელობის ფეოდალური ფორმებისა და ფეოდალური სასოკადრობის ძირითადი კლასების ჩამოყალიბება განსაზღვრავს მოწიფული ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების ისტორიას, ხოლო გლეხობის მიწაზე საბოლოო მიმაგრება—ბატონულობის პროცესის დასრულებას. განსხვავებით წინამორბედ მკვლევართაგან, რომელნიც ბატონულობის წარმოქმნას ჩვენში XV საუკუნეს უკავშირებდნენ, ნ. ბერძენიშვილმა ბატონულობის გამარჯვების ხანად მიიჩნია XI—XII საუკუნე, რომელიც მის მიერ აღიარებულია ფეოდალური სასოკადრობის განვითარების კულმინაცია და საქართველოში.

ნ. ბერძენიშვილის დებულებანი XII—VXIII საუკუნეების საქართველოს სასოკადრობრივი კლასების და მათი ბრძოლის ძირითადი მომენტების შესახებ ჩამოყალიბებულია მის სხვადასხვა გამოკვლევებში.

ნ. ბერძენიშვილმა გამოავლინა ფეოდალური საქართველოს როგორც სიმღიერის განმსაზღვრელი ფაქტორები, ისე დასუსტებისა და დაშლის წინამძღვრები.

საქართველოს სამ სამეფოდ დაყოფა მკვლევარმა შეაფასა, როგორც ფეოდალური ურთიერთობის კანონსომიერი განვითარების შედეგი ქვეყნის ეკონომიური წინსვლის შეფერსების ზირობებში. ფეოდალთა პოლიტიკური სელისუფლებისა და დამოუკიდებლობის შემდგომი ზრდა, საქართველოს გაერთიანების სუსტი ეკონომიური ბაზისი, ნატურალური მეურნეობის ბატონობა, საგარეო პოლიტიკური სიმწელებანი—აი ის ძირითადი წინამძღვრები, რომელთაც, მკვლევარის აზრით, განაზირობეს საქართველოს დამლა.

ნ. ბერმენიშვილს ეკუთვნის დებულება XV საუკუნიდან ფეოდალური ურთიერთობის სტატეგნიცისა („დანიხულობის“) და განვითარებული ფეოდალური ურთიერთობიდან ასალ, ბურჟუასიულ ურთიერთობასე გადასვლის პროცესის (გარდამავალი საფესური) განსაგრძლივების შესასებ საქართველოში.

მანვე ასსნა ამ „დანიხულობის“, საქართველოს ისტორიულ განვითარებაში შექმნილი შეფერსების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიხესებე და მნიშენვლობა.

განსაკუთრებული მნიშენვლობა ენიბება ნ. ბერმენიშვილის დაკვირვებას „სათავადოს“ სისტემის ჩამოყალიბებასე. აღნიშნული მოვლენა მის მიერ ასსნილია, როგორც ნატურალური მეურნეობის ბატონობისა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების დამუსრუტების შედეგი. მკვლევარმა შეაფასა სათავადოს, როგორც ნასეგარად დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის, მნიშენვლობა საქართველოს ისტორიაში და ჩამოყალიბა ამ ორგანიზაციის ძირითადი დამასსიათებელი ნიშნები: ტერიტორიული განცალკეებულობა, სათავადოში არსებული საკუთრების ფორმები, სათავადოს დამოკიდებულება სამეფო სელისუფლებასთან, სამსეგრო ფუნქციები, სამოსამართლო უფლებათა ფარგლები და სსე.

თავისი შესედულებანი სათავადოს შესასებ ნ. ბერმენიშვილმა წარმოადგინა 1937 წელს ნაპროში „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში“. მისი დებულებანი სათავადოთა სისტემის შესასებ, ისევე როგორც მრავალი სსეა დებულება, შემდგე შევიდა მისი თანავტორობით თუ რედაქციით სსეადასსეა დროს გამოსულ საქართველოს ისტორიის სასელმძღვანელოებში.

სოციალური და პოლიტიკური ისტორიის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს ნ. ბერმენიშვილი ეკონომიური ისტორიის საკითხებს.

გვიანფეოდალური საქართველოს ეკონომიური ისტორია შედარებით ნაკლებად შესწავლილი უბანია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის ამ მონაკვეთის შესწავლა ნ. ბერმენიშვილმა დოკუმენტური მასალის მიება-თავმოყრითა და გამოქვეყნებით დანიწყო. ეკონომიური ისტორიის საბუთები მან ცალკეულ დარგთა მიხედვით დაჯგუფა (სელფასი, ქირა, ვალი, ფასები, იჯარა, ვაჭრობა, აღმშენებლობა) და ისე გამოსცა. ეს გამოცემა ბიძგის მიმცემია გვიანფეოდალური ხანის ეკონომიური ისტორიის კვლევისათვის.

1937 წელს ნ. ბერმენიშვილმა გამოაქვეყნა წერილი სამღვიროთა შესახებ საქართველოში. ამ ნაშრომში გარკვეულია როგორც საკუთრივ მათი ეკონომიური ნიშნები და მნიშვნელობა, ისე XVIII ს. საერთო ეკონომიურ საწარმოო განვითარებაში მიმდინარე ის პროცესები, რომელთა წარმოჩენა ახალ სოციალურ-ეკონომიურ აღმავლობას უკავშირდება.

ქვეყნის საერთო განვითარების ფონზე იკვლევს ნ. ბერმენიშვილი სასელმწიფო წუობილებისა და სამართლის ისტორიის საკითხებს. მნიშვნელოვანია მისი წვლილი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წუობილებისა და, აგრეთვე, სავაზიროს ისტორიის შესწავლის საქმეში ფეოდალურ საქართველოში. მის მიერ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შესაბამისად არის ასხნილი ვაზიროს თანამდებობის მექანიზმის, მისი გაძლიერების, სოლო შემდეგ თანდათან დასუსტებისა და გაქრობის მიზეზები. ნ. ბერმენიშვილმა ასლებურად ასხნა ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასელმწიფოებრივი ორგანოს, „სავაზიროს“ მექანიზმისა და „მწიგნობართუსუცეს-კუონდიდლის“ თანამდებობის წარმოშობის საფუძვლები, სოლო შემდეგ, ქვეყნის განვითარების შეფერხების ზირობებში, მათი მნიშვნელობის თანდათან დაკნინების მიზეზები. ამასთანავე მან გარკვევა „მწიგნობართუსუცესობის“ და „ავაზობის“ მეზირისზირების საკითხი.

მკვლევარმა ფეოდალური ხანის საქართველოს ძიგნით მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრმოლა საგარეო ურთიერთობის, გარეშე შტრებთან დამოკიდებულების გათვალისწინებით განისილა და თავის ნაშრომებში მკაფიოდ ასახა, თუ საგარეო ხსიათის მოკლენები როგორ იტყვიან შინაისტორიული ხსიათის ფაქტორებად და როგორ შემოქმედებას ახდენენ ჩვენი ქვეყნის საერთო ისტორიულ პროცესზე.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ნ. ბერმენიშვილს XIII—XVIII სს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის. მან გამოავლინა ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს საქართველოს დამარცხება შონღოლებთან ბრმოლაში. უმთავრეს მიზეზად მან ქვეყნის შიგნით მიმდინარე გამწვავებული კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრმოლა მიახნია. მან გარკვევა XVI—XVIII სს. ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრმოლის თავისებური ფორმები, ქართველი ხალხის „ადღკომისა და გამოსხსნისათვის“ ბრმოლის შინაარსი.

ნ. ბერმენიშვილის მიერ სწორად შეფასებულია ირანისა და ოსმალეთის მომადეობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრმოლის ისტორიული მნიშვნელობა. ამ ბრმოლაში ერთმეორეს ორი განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დაუზირისზირდა: „ქართველობა“, რაც განვითარებულ ფეოდალიზმსა და ინტენსიურ მეურნეობას გულისხმობდა და „ოსმალობა“ და „უილიბაშობა“, რომელიც ფეოდალიზმის ჩამორჩენილ საფესურსსა და ექსტენსიურ მეურნეობას განახსიერებდა. ქართველმა

საღმრთო „ოსმალბასთან“, „ეიზილბაშობასთან“ ბრძოლაში დიდი მსხვერპლი გაიღო. მეტადრე „ოსმალბასთან“ ბრძოლას მთელი თაობები შეეწირნენ, ამ ბრძოლაში საქართველომ თავისი ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილიც დაკარგა, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა და არ ასცდა განვითარების თავის საკუთარ გზას.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომი „აღმოსავლეთ კასეთის წარსულიდან“, სადაც ნაჩვენებია, რომ საინგილო საქართველოს წიაღში იყო მოქცეული უძველესი დროიდანვე. ამ ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ურთიერთობის ისტორია მის აღმოსავლეთ მეზობლებთან X—XVIII საუკუნეების მანძილზე და ნაჩვენებია საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური სასდგრების როგორც გაფართოება ამ მიმართულებით, ისე შემდგომ, ირან-ოსმალეთისა და დაღისტნელ მომთაბარეთა შემოტევის შედეგად, მისი შევიწროება.

საქართველოს მიწა-წყალზე მომთაბარეთა ჩამოსახლების სამიშროება საქართველოს წინაშე XI—XII საუკუნეებშიც იდგა, თურქ-სელჩუკთა შემოსევის დროს. ნ. ბერმენიშვილმა გამოაშკარავა როგორც მომთაბარეთა ჩამოსახლების მძიმე შედეგები, აგრეთვე იმ ბრძოლის დიდი პროგრესული მნიშვნელობა, რომელსაც ქართველი ხალხი აწარმოებდა, ამიერკავკასიის სსკა საღსებთან ერთად დავით აღმაშენებლის სელმძღვანელობით, აძევრკავკასიიდან თურქ-სელჩუკთა გაღარევის მიხნით.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ნ. ბერმენიშვილის შემოქმედებაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის კვლევას. ნ. ბერმენიშვილმა გამოავლინა იმ თვალსაზრისის მცდარობა, რომელიც საქართველოს წარმოიდგენდა, როგორც მსოფლოდ „მფარველის“ მაჩიებელ ქვეყნას, სოლო ქართულ დიპლომატიას ასსნიათებდა, როგორც ჩამორჩენილსა და უნიათოს. დოკუმენტების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ნ. ბერმენიშვილმა დაასაბუთა რრივე მხარის დაინტერესება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობით და ცხადყო, რომ ურთიერთობის დამყარების თაოსნობა რრივე მხარის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მან მასლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ფართო ფონზე განიხილა.

საქართველოს ისტორიის საერთო მიმდინარეობის შესაბამისად განიხილავს ნ. ბერმენიშვილი ქართული ისტორიოგრაფიის, ისტორიული აზროვნების განვითარების ეტაპებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე არსებული შესდგულების შესასწორებლად მან დააყენა საკითხი წინარექრისტიანული ხანის ქართული ისტორიოგრაფიის არსებობის შესასებ, და აღნიშნა ისტორიული აზროვნების ამკარად გამოსატყული კლასობრივი ხასიათი, რაც მისი თვალსაზრისით რკვარი ქართული ისტორიოგრაფიის, საღსურ-გლეხურისა და ფეოდალურის არსებობაში ვლინდებო.

როგორც აღინიშნა, ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო ინტერესების წრე უპირატესად ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ისტორიას შიდადებს. მაგრამ იგი აქასთანავე დიდ ყურადღებას აქცევს საქართველოს ისტორიის სხვა უბნებსაც.

ახალ საფეხურზე აჭავს მას საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის საქმე. ნივთიერი კულტურის ძეგლების, ტოპონომიკის, ეპიგრაფიკის და ძველ ნაგებობათა შესწავლით, ნ. ბერძენიშვილი თავის შრომებში იხსნავს შინაინს—აღადგინოს ადამიანის საქმიანობის ისტორია გარკვეულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ საშუაროში.

საველე სამუშაოებში საშუალება მისცეს ნ. ბერძენიშვილს გამოეტანა მნიშვნელოვანი დასკვნები სხვადასხვა ეპოქათა დასახლების ტიპების შესახებ. სახელდობრ, მის მიერ დადასტურებულია, რომ კვაროვული წყობილების საფეხურზე ადამიანთა საცხოვრისი განლაგებული იყო ბუნებრივ ან სელოვანურ გორებზე, რომლებიც მან მიატოვა კლასობრივი სასოკადობის აღმოცენების შედეგად. ამ თეორიულ მოსაზრებას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებით მიღებული მუდგებები. სადღეისოდ უკვე აღრიცხულია ასეული ასეთი გორა, რომელთა არქეოლოგიური გამოკვლევა შესამდგომლობას მისცემდა მეცნიერებას დაწვრილებით შესწავლილიყო ზირველეოთილი თემური წყობილების დამლის ისტორია.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე აღინიშნული სიმწვავეით იხსნა თავს საისტორიო წყაროების შეკრება-გამოჯინების და მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის საჭიროება. საქართველოს საისტორიო მეცნიერების სათანადო სარეჟისის შევსების მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება ნ. ბერძენიშვილის მიერ შესრულებული სამუშაო მრავალრიცხოვანი საბუთების გამოცემის სახით. მის მიერ თემატურადაა გამოცემული საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალები, სოციალური ისტორიის საბუთები და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ცალკეული საბუთი. მის მიერ, გამოცემული დოკუმენტები სანიმუშო არიან დათარიღების, დაზიანებული ადგილების თუ ტექსტში არსებული რვალების აღდგენის თვალსაზრისით.

საქართველოს ისტორიის წყაროების და ქართველ ისტორიულ მოღვაწეთა მუშასა და მათი საქმიანობის შესწავლას ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთაც აწარმოებს. რუსეთის არქივებში მან ჩვენს ისტორიისათვის მრავალ მნიშვნელოვან დოკუმენტს მიაგვლია. სოლო 1949 წ. რუმინეთსა და ბულგარეთში სამეცნიერო მივლინების შედეგად (აქად. ა. მანიშესა და ო. გიგინვიშვილთან ერთად) საში გამოჩენილი ქართველის—გრიგოლ ბაკურიანის-მის, ანთიმოზ ივერიელის და ბესიკის ამბავი ჩამოიტანა.

ნ. ბერძენიშვილი დირსეულად აგრძელებს თავისი დიდი მასწავლებლის ივ. ჯავახიშვილის და სასელოვანი კოლეგის ს. ჯანაშიას კარგ ტრადიციას და შესვერობას საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების

წარმოების. საქმეს მისი უშუალო სელმმღვანელობით გაითხარა და სამეცნიერო სასოგადოებისათვის სელმისაწვდომი გასდა ფოტოალური, ანტიკური თუ წინარე ანტიკური ხანის მრავალი ძეგლი.

ნ. ბერძენიშვილი იმ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც უპირველესად ესმურებიან ცსოვრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა განსოციელების საქმეს. როდესაც ქართულ ისტორიკოსთა წინაშე დაისვა საკითხი საქართველოს ისტორიის მარქსისტულად გამართული სასელმმღვანელოს დაწერის აუცილებლობის შესახებ, ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ ნ. ბერძენიშვილმა წარმატებით დასძლიეს ეს რთული ამოცანა. მათი ერთობლივი შრომის შედეგად შეიქმნა საქართველოს ისტორიის სასელმმღვანელო (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, პირველი გამოც. 1943 წ.). ეს სასელმმღვანელო შეესაბამებოდა საქართველოს ისტორიის შესწავლის იმდროინდელ მეცნიერულ დონეს და წარმოადგენდა მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე შედგენილ პირველ სასელმმღვანელოს. მან დიდი როლი შეასრულა ჩვენი ასლგანვითარების აღწრდის საქმეში და დირსეულად დაიმსახურა მკითხველი სასოგადოების სიუვარული და მთავრობის მალალი ჯილდო (1946 წელს მას სასელმწიფო პრემია მიენიჭა).

ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომმა განვითარებამ და ცსოვრების მიერ კვლავ წამოყენებულმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში საქართველოს ისტორიის ასლი სასელმმღვანელოს შექმნის აუცილებლობის საკითხი დააყენეს. ამ საპატიო და რთული ამოცანის შესრულება დაეკისრა ისტორიკოსთა კოლექტივს ნ. ბერძენიშვილის სელმმღვანელობით: 1958 წელს გამოხული საქართველოს ისტორიის დასმარე სასელმმღვანელოს, სოლო შემდეგ მის საფუძველზე შექმნილი სასწავლო წიგნების მეცნიერი რედაქტორი და ფოტოალიზმის ეპოქის ამსახველი უდიდესი ნაწილის ავტორი ნ. ბერძენიშვილია.

ნ. ბერძენიშვილის დებულებანი საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე, ჩამოყალიბებული მის ცალკეულ ნაშრომებში, განსოგადებული აქვს საქართველოს ისტორიის სასელმმღვანელოებსა და პრ.ო. ე. დონდუას თანავტორობით დაწერილ ნარკვევებში, რომლებიც შესულია მრავალტომეული გამოცემის— „Очерки истории СССР“ წიგნში.

დიდა ნ. ბერძენიშვილის ღვაწლი, როგორც მრავალი სამეცნიერო კრებულის თუ მონოგრაფიის რედაქტორისა და გამოკვლევის რეცენზენტისა.

მცირე მოცულობის წერილში შეუძლებელია სასელმმღვანელო მეცნიერისა და სასოგადო მოღვაწის მუშაობის შეფასება. მის ღვაწლზე უველანზე უკეთ მტკვევლებენ მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები. დაუღალავი მკვლევარი დღესაც ენერგიულად განაგრძობს მუშაობას, იგი გეპირდება, რომ საქართველოს ისტორიულ მეცნიერებას კიდევ ბევრ მნიშვნელოვან ნაშრომს შესძენს.

ნ. ბერძენიშვილის მრავალრიცხოვანი მოწაფეები წარმატებით ასწავლიან ისტორიას ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში. მის მიერ აღზრდილი მენიერები მოღვაწეობენ საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელსა თუ სამეცნიერო დაწესებულებაში. ქართველი ისტორიკოსები დღესაც უსვად სარგებლობენ ღვარღმოსილი მენიერის რჩევა-დარიგებით.

მაღლიერი მოწაფეები და კოლეგები ულოცავენ გამოჩენილ საბჭოთა მენიერს სასულიოვან იუბილეს და უსურვებენ სანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი*

სახელგანთქმულ მეცნიერს, ზედაგოცა და სასოგადო მოღვაწეს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს დაბადების 70 და სამეცნიერო ზედაგოცობური და სასოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდა.

დიდა აკად. ნ. ბერძენიშვილის დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში. იუბილარის ეს დამსახურება თავის დროზე ჯეროვნად დააფასა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ, დააჯილდოვა რა იგი „ბროძის წითელი დროშის“ ორი ორდენითა და მედლებით. 1946 წ. მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1947 წელს — სახელმწიფო პრემიის ღირსი რვატისა. ოც წელზე მეტია ჩვენი იუბილარი ამჟამინდელ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემადგენლობის ზირველ რიგებს.

40 წლის მანძილზე საქართველოს საისტორიო მეცნიერებას წინ მიუძღოდა საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერი, ქართველოლოგიის მამამთავარი, ქართველ ისტორიკოსთა მოძღვართმოდვარი დიდი ივანე ჯავახიშვილი. სულმნათი მოთახ სიტყვებით რომ ვთქვათ: „რაცა მან ჰქმნა, არ უქნია არც გამხრდელსა, არცა ზრდილსა“.

1940 წლის ნოემბერში ქართული საისტორიო მეცნიერების ეს დედაბოძი უეცრად დაეცა მეცნიერების საბრძოლო სარბიელზე, წაიქცა სვეტიცხოველი. საქართველოს ისტორიის ტახტი დარჩა უმეფოდ და უგვირგვინოდ. დიდი დანაკლისი და სარგეზი, რომელიც მისი დაკარგვით წარმოიქმნა ქართველოლოგიაში, სამწუსაროდ, ალბათ, დიდხანს ვერ იქნება შევსებული.

ამ ხნის მანძილზე მისი ღირსეული მემკვიდრეების, გამოჩენილი მოწაფეების აწ განსვენებული სიმონ ჯანაშიასა და ჩვენი დღევანდელი იუბილარის წინამძღოლობით, ქართველ ისტორიკოსთა დაუდალავი პროშით, ჩვენი მატანე კიდევ უფრო გამდიდრდა და შეიმკო ახალი, დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო განმებთა და აღმოჩენებით.

მაგრამ სულ მალე მეცნიერების მძიმე უღელში შებმული, ინტელექტუალურად ძლიერი, მაგრამ ფიზიკურად სუსტი და მოქანცული სიმონიც დაეცა. ხანმოკლე სიცოცხლის მიუსხედავად მან მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა და კარგად აწუთბილი საქმე დაგვიტოვა.

* საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა.

უკანასკნელი თითქმის 20 წლის განმავლობაში ქართულ საისტორიო მეცნიერებას ცალუდელი გუთნისდგა მიუძღვის წინ. მისი მეთაურობით ჩვენმა ნიჭიერმა ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა და ეთნოგრაფებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის მეცნიერული შესწავლის დარგში.

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე ჩვენმა იუბილარმა მეცნიერებმა ფუნდამენტალური გამოკვლევები შესძინა, რომელთა გამოცემა ნაზარაუდევია სუთ ტომად. ბევრ მის გამოკვლევას აღმოჩენითი, ფუძემდებლური შრომის ხასიათი აქვს, რომელსაც ახალი სიტუვა შეაქვს ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად მის მიერ მიღებული დასკვნები და დებულებები მტკიცედ დაშვებულა სამეცნიერო ლიტერატურაში. არამარტო ისტორიკოსებმა, არამედ საქმეში ჩანდულმა მკითხველებმაც კარგად იცინ, რომ ის, რაც ნიკოს მადლიანი კალმითაა შექმნილი, უადრესად სანდო და საიმედოა. ამიტომ, რომ 40 წლის წინათ დაბეჭდილი მისი სამეცნიერო ნაშრომები დღესაც მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ მეცნიერულ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

აკად. ნიკო ბერძენიშვილს, როგორც ისტორიკოსს, განსაცარი მეცნიერული ინტუიცია, ძიებისა და მიხვედრის უტეუარი აღლო აქვს; ეს არის მისი არაჩვეულებრივი უნარი — შეამჩნიოს და აღმოაჩინოს სხვის მიერ შეუმჩნეველი და ურადღებამიუცქეველი, მაგრამ მეცნიერებისათვის ზირველხარისხოვანი მნიშვნელობის მოვლენა. მასვილი მეცნიერული ხედვისა და მასხალის ანალიზის არაჩვეულებრივ უნარს უნდა გუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენმა იუბილარმა მეტად მუნწსა და მერთალ საისტორიო წუაროებში დიდი ამბები ამოიკითხა და მისი ღრმა მეცნიერული ახსნა მოგვცა. ჰატარა რამეში დიდის დანახვა, ჰატარა ფაქტიდან დიდი დასკვნის გაკეთება — მხოლოდ რჩეულ შემატანეთა განსაკუთრებული ნიჭის წუალობა, რომლითაც ასე მომადლებულია ჩვენი ნიკო.

აკად. ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომების ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება ის არის, რომ ისინი დაწერილია მკაფიო ენით. ჩვენს იუბილარს არ უეუარს დიდი და დახლართული წინადადებანი; არც მუვირალა მალა ლფარდოვანი სიტუეები. იგი ამჯობინებს მოკლე, მკაფიო და მოხდენილ თქმას. მისთვის უცნოა გაჭინურებული და ენაწულიანი მსჯელობა. მისი თსრობა და დებულებები ისეა შეერული, ბევრიც რომ ემოთ, ერთ ზედმეტ სიტუვასაც ვერ იზოვით. მისი სტილისათვის დამახსიათებელია მოკლე და თქმა დიდი სათქმელისა. მას განსაკუთრებით ეხერსება მცირე ნაწერში ბევრის თქმა. მის ნაშრომებში ნაწერი ცოტაა, თქმული კი ბევრი. მოკლე და ბევრის თქმა კი მხოლოდ მას შეუძლია, ვინც სრულყოფილად იცნობს საგანს და ვინც ღრმად ჩაწვდა სკნის შინაარსს.

ნიკო გასაცრად ნიჭიერი კაცია; იგი ჩვეულებრივ საუბარშიც ნამდვილი მოაზროვნეა. რამდენ ბუნდოვან საკითხს მოჰყენია ნათელი ასეთი საუბრის დროს! დიას, ნიკოს უოველი სიტყვა ჩასწერია!

ისტორიული მეცნიერება ფაქტებსე დაფუძნებული მეცნიერებაა. იგი ვერ ითმენს ვერც მიმშიდგველ ჰიპოთეზებს და ვერც ლამაზ სქემებს, თუ ისინი ფაქტებით დასაბუთებული არ არიან. ნიკო ბერმენიშვილის მეცნიერული მუშაობის ჰირველი მოთხოვნა საბუთიანობაა. თქვენ ეცნობით მის შრომებს და განცვიფრებული რჩებით, როგორი უტყუარი ფაქტებითა და საბუთებით აცემენტებს იგი თავის აზრებსა და დებულებებს. მის ნაშრომებში ფაქტები უოველმსრივ განალიზებული და გააზრებულია უაღრესი მეცნიერული სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით. თქვენ შეგიძლიათ ენდოთ მის უოველ სიტყვას. ამ მსრივ ჩვენმა ახალგაზრდა მეცნიერებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ მვირფასი მასწავლებლისგან.

ნიკო ბერმენიშვილი არა მარტო ისტორიკოსია, არამედ გამომცემელი ტექსტოლოგი და წუართმცოდნეც. აკად. ივანე ჯავახიშვილი მას ქართული საისტორიო წუართმცოდნეობის საუკეთესო სპეციალისტად თვლიდა. დღეს ჩვენ გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დარგში მას ბადალი არა ჰყავს.

არქივებსა და მუსეუმებში სანგრძლივი მუშაობის შედეგად მის მიერ გამოვლინებული, კრიტიკულად შესწავლილი და შენიშვნების დართვით გამოქვეყნებული დოკუმენტების 6 ტომი (2 ტომი სოციალური ისტორიისა, 3 ტომი ეკონომიური ისტორიისა და ერთი ტომი თბილისის ისტორიისა), ორი დასაბუჯდად გამზადებული ტომი, აგრეთვე რამდენიმე ჰირველსარისსოვანი დოკუმენტის ჰერიოდული ჰებლიკაცია შეადგენს ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების მკვიდრ ბაზას, რომელზედაც ბევრი ნაშრომი დაეფუძნება მომავალში.

ნიკო ბერმენიშვილი ფართო ჰროფილის ისტორიკოსია. წლების განმავლობაში თბილისის სასელმწიფო უნივერსიტეტი იგი კითხულობდა მირითად და დამსმარე საისტორიო დისციპლინების მთელ ციკლს. აღსანიშნავია მისი დიდი დვაწლი ქართული სამართლის ისტორიის საკითხების დამუშავებაშიც. ნიკოს სამართლიანად თვლიან ფოვალური ხანის დიდ სპეციალისტად, მაგრამ მეცნიერები ასევე მვირფასად მიიჩნევენ მის საფუძლიან აზრებს მკელი და ახალი ჰერიოდების ისტორიის, საქართველოს სსვა ქვეყნებთან ურთიერთობის, ქართული ისტორიოგრაფიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოვლოლორის საკითხებზე. სპეციალისტები მას საქართველოს ისტორიის თითქმის უველა ჰერიოდისა და დარგის ავტორიტეტად აღიარებენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ბერმენიშვილის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ. ოთხი

ათეული წელია საქართველოს ისტორიის სადარჯჯოზე დგას ჩვენი იუბილარი, დგას როგორც ფსიხელი გუშაგვი, როგორც ებგური სამარადისო მღუიძარე. ასეთმა გულმოდგინე, პრინციპულმა და შეურიგებელმა მეცნიერულმა ბრძოლამ ჩვენში და სხვაგანაც ბევრ ცრუ, ფალსიფიკატორ ისტორიკოსს დაუკარგა წერის ხალისი, გზა გადაუღობა მათ და ამით გაუღბებისგან იხსნა საქართველოს ისტორია.

ნიკო ბერძენიძეილი არამარტო დიდი მეცნიერია, არამედ გამოჩენილი ჰედაგოგი და აღმსრდელიც. უმაღლეს სკოლაში მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე მან აღსარდა საქართველოს ისტორიის სამუალო და ახალგაზრდა თაობის მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრი. მისი სახელგანთქმული მოწაფეები, ცნობილი მეცნიერები, რომელთა დიდი ნაწილი დღევანდელ ზეიმს ესწრება, მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო ჰედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი ჭეშმარიტად დიდი სიამაყის გრძობით მიმართავენ დღეს თავის მასწავლებელს: „მეირფასო ნიკო! უსომოდ მადლიერი ვართ, რომ ვისმინეთ და ჩავენერგეთ სიტყვა თქვენი, რადგან უოველი კეთილი და გონიერი, რომელი მოგვეც ჩვენ, თქვენგან არს“.

ჩვენი იუბილარი მეცნიერული მუშაობის გამოჩენილი ორგანიზატორია. მრავალი წლის განმავლობაში იგი სელმძღვანელობდა საქართველოს ისტორიის კათედრას უნივერსიტეტში. მალე ორი ათეული წელი გასდება, რაც იგი სათავეში უდგას ისტორიის ინსტიტუტს; წლებების მანძილზე სელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას, სოლო 1951—1957 წლებში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ნიკო ბერძენიძეილი ცნობილი საზოგადო მოღვაწეა. იგი სათავეში უდგას მისი ინიციატივით დაარსებულ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოებას, არის კულტურის მეგლოთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის წევრი, საქტიერ მონაწილეობას იღებს მრავალი სამეცნიერო საბჭოს, სექციებისა და კომისიების მუშაობაში.

პატივცემული ნიკო წლების განმავლობაში მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის საბჭოს დეპუტატი იყო, სოლო 1963 წლიდან საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

მიუსედავად ხანდაზმულობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, იგი ცხოველი ინტერესითა და შეუნელებელი ყურადღებით მონაწილეობს ჩვენი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორც კომუნისტი-მეცნიერი იგი უოველმხრივ ესმარება და მხარს უჭერს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა მეცნიერების უკეთესი მომავლისაკენ.

ნიკოს განსაკუთრებული ზრუნვისა და სიეყარულის საგანია ჩვენი მომავალი, ჩვენი ახალგაზრდობა, რომლის პატრიოტული სულიკვეთებით აღზრდაში თავისი მოღვაწეობით ესოდენ დიდი როლი შეასრულა ჩვენმა იუბილარმა. თავის მაღალგონიერ, ანდერძივით ჩამოყალიბებულ სიტყვაში, რომელიც პატივცემულმა ნიკომ ამას წინათ ჰიონერებთან გულთბილი შესუვდრისას წარმოთქვა, ჩვენს მოზარდ თაობას შრომის, სიბეჯითის, სიკეთის, სიძაღის, პატიოსნების, ხალხისა და სამშობლოს უსაზღვრო სიეყარულის იდეები უქადაგა. ძვირფასი ნიკოს ჰიროვნება, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ საუკეთესო თვისებების მქონე ადამიანის მკაფიო მაგალითია.

ღღეს, ამ საზეიმო ვითარებაში სამშობლოსა და მეცნიერების წინაშე ჰირნათლად ვაღმოსდილი ჩვენი, იუბილარის დიდ დამსახურებას რომ აღვნიშნავთ, მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები, ამხანაგები, მოწაფეები, რომელთა რჩეული ნაწილი აქ ბრძანდება და გულწრფელად იზიარებს ამ ამაღლებებელ სიხარულს, სულითა და გულით მიესალმება თავის სასწავლო მეგობარსა და ძვირფას მასწავლებელს, უსურვებს მას დღეგრძელობას, რაც ესოდენ საჭიროა მისთვის, ჩვენი ხალხისა და ჩვენი მეცნიერებისათვის.

ღიდხანს, დიდხანს იცოცსლე და იღღეგრძელე კარგო და კეთილო ადამიანო, ჩვენო სასწავლო მეგობარო და მასწავლებლო, ჩვენო ძვირფასო ნიკო!

ი. დოლიძე

ზ ი ნ ა რ ს ი

ვლ. სივრახვილი, ვ. ი. ლენინი—კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი	3
დ. დანელია, სპინოზას შემეცნების თეორიის ზოგიერთი საკითხი	13
ა. გოგორიშვილი, არაცნობიერის პრობლემა დ. უზნაძის განწყობის თეორიაში	28
ბ. ვალაყსია, საქართველოს სსრ ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის განვითარება	44
ე. ალიზარაძე, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლების ზოგიერთი საკითხის შესახებ	57
ე. ქვბთაძე, საკოლმეურნეო სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფის საკითხისათვის კომუნისტური გაშლილი მშენებლობის წინა პერიოდში	68
დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში	93
ბ. ლორთქიფანიძე, კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი II—I სს. წ. ე.	117
ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში	133
ლ. მინაბაძე, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან	155
ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის	170
ბ. როგავა, დეცესიურ-პარამონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში	184
ჰ. რაზავა, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართულ-სომხური ვერსიები	192
თ. უთუხრბაძე, ერდოს მნიშვნელობისათვის „გეფხისტყაოსანი“	208

ინფორმაცია

ბ. ჩიტაბა, ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მცენიერებათა საერთაშორისო კონგრესი . 212

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. პანდელაკი, ი. ი. სემიონოვი, ადამიანთა საზოგადოების წარმოშობა	224
ლვალდოსილი მაცნიერი	230
ი. დოლიძე, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი	241

СОДЕРЖАНИЕ

В. Сипрашвили, В. И. Ленин — основатель Коммунистической партии и социалистического государства	3
Д. Давелая, Некоторые вопросы теории познания Спинозы	13
А. Бочоришвили, Проблема бессознательного в теории установки Д. Н. Узнадзе	28
Г. Малашхиа, Развитие электротехнической и приборостроительной промышленности Грузинской ССР	44
Е. Ализаде, О некоторых вопросах пути повышения производительности труда в колхозах	57
Э. Кватадзе, К вопросу об укреплении материально-технической базы и обеспечении кадрами специалистов колхозной деревни накануне развернутого строительства коммунизма	68
Д. Мухелишвили, Вопросы исторической географии Грузии в трудах Н. Бердзешивили	93
Г. Лордкипанидзе, Некоторые вопросы истории Колхиды II—I вв. до н. э.	117
Н. Махатадзе, Очаг грузинской культуры в Петербурге	133
Л. Менабде, Из истории очагов древнегрузинской литературы	155
В. Топуриа, Данные диалектов картвельских языков и их значение для истории языка и общего языкознания	170
Г. Рогава, К вопросу о системе и истории децессивно-гармонических комплектов в картвельских языках	184
Г. Рапава, Грузинско-армянские версии «Диалектики» Иоанна Дамаскина	192
Ф. Утургаидзе, К пониманию ჳბრღჳ в «Вепхисткаосани»	208

ИНФОРМАЦИЯ

Г. Чигава, VII Всемирный конгресс антропологических и этнографических наук	212
--	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. Канделаки, Ю. Н. Семенов, Возникновение человеческого общества,	224
Маститый ученый	230
И. Долидзе, Выдающийся исследователь истории Грузии	241

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძერქინსკის ქ. № 8

ტელეფონი: 9-03-52

შეკვ. 256

უე 02137

ტირაჟი 1500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.6.1965; ქალაქის ზომა $70 \times \frac{1}{16}$;
ნაბეჭდი თაბახი 21.17; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18.93;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5